



The Georgian Academy of Agricultural Sciences

საქართველოს სოფლის
მეურნეობის მეცნიერებათა
აკადემია

ოლიშრი ანგარიში
2012

თბილისი
2013

საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის 2012 წლის წლიურ ანგარიშში ასახულია საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის აკადემიური საბჭოს, აკადემიის საკოორდინაციო-დარგობრივი სამეცნიერო განყოფილებებისა და მისი წევრების სამეცნიერო და სამეცნიერო-ორგანიზაციული საქმიანობა.

ანგარიში მოამზადა საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის აკადემიურმა დეპარტამენტმა აკადემიის წევრების, აკადემიის აკადემიური საბჭოს, აკადემიის საკოორდინაციო-დარგობრივი სამეცნიერო განყოფილებების და ადმინისტრაციული დეპარტამენტის აპარატის მიერ წარმოდგენილი მასალების საფუძველზე.

რედაქტორი: აკადემიკოსი გურამ ალექსიძე,
საქართველოს სოფლის მეურნეობის
მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდენტი.

ISSN 2298-0105

**დაიბუჭიდა შპს „პოლიგრაფში“
ტირაჟი -100**

უფლისდება და უნეტარესი, სრულიად საქართველოს
გათოლიკოს-პატრიარქი, მთავარეპისკოპოსი მცხეთა-
თყილისისა და მიტროპოლიტი გიზგითისა და ცხუმ-
აშხაზეთის, ილია II

**საქართველოს სოფლის მეურნეობის მიცნიერებათა აკადემიის
საპატიო აკადემიკოსი**



მილოცვა

საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემია გულიოთადად
ულოცავს აღსაყდრებიდან 35 და დაბადებიდან საიუბილეო 80 წელს
სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქს, მცხეთა-თბილისის
მთავარეპისკოპოსს, ბიჭვინთისა და აფხაზეთის მიტროპოლიტს, უწმინდესსა
და უნეტარესს ილია II.

თქვენო უწმინდესობავ, თქვენ როგორც ღმერთის მსახური ყოველთვის
ნახულობდით გზას და საშუალებებს დაგეყენებინათ ქართველი ერი
ჰემმარიტების გზაზე. ყველა ჩვენთაგანის სურვილია მრავალი და მრავალი
წელი იცოცხლოთ და იყოთ ქართველი ერის სადარაჯოზე.

გისურვებთ ჯანმრთელობას, მხეობას და ხანგრძლივ სიცოცხლეს.

**უღრმესი პატივისცემით,
საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემია**

რედაქტორისაგან

საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემია არის თვითმართვადი სამეცნიერო დაწესებულება, სრული ავტონომიური უფლებებით და სახელმწიფოს დაფინანსებით, ქვეყანაში აგრარულ მეცნიერებათა პრიორიტეტული მიმართულებების განმსაზღვრელი, სამეცნიერო – კვლევითი სამუშაოების კოორდინატორი, მთავრობის მეცნიერული მრჩეველი აგრარულ საკითხებში.

აკადემია იმ პრობლემების გადაწყვეტით არის დაკავებული, რომლებიც ქვეყნის მრავალდარგოვანი სპეციალიზაციის მქონე აგროსასურსათო კომპლექსის წინაშე დგას. აქედან გამომდინარე აკადემიის საქმიანობაც სპეციფიური და მრავალპროფილიანია. მისი დანიშნულებაა სოფლის მეურნეობის დარგების შეთანწყობილად, კომპლექსურად განვითარების სამეცნიერო უზრუნველყოფა, ამ მიზნით მეცნიერული ძალების ინტეგრაცია, მეცნიერული პოტენციალის სრულყოფილად გამოყენება.

საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის დანიშნულება და ამოცანები, მისი უფლებები და წევრთა შემადგენლობა განისაზღვრება აკადემიის წესდებით, რომელსაც იღებს და ამტკიცებს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემია.

საქართველოს კანონის “მეცნიერების, ტექნოლოგიებისა და მათი განვითარების შესახებ” და “საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის შესახებ” საქართველოს კანონში ცვლილებებისა და დამატებების შეტანის თაობაზე საქართველოს კანონის შესაბამისად საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის მიზნები და ამოცანები მეცნიერებისა და ტექნოლოგიების სფეროში შემდეგნაირად ჩამოყალიბდა:

- სამეცნიერო და სამეცნიერო-ტექნოლოგიური შედეგების ეფექტური გამოყენება;
- სამეცნიერო-ტექნიკური კადრების შენარჩუნება და სამეცნიერო საკადრო პოტენციალის შემდგომი ხარისხობრივი სრულყოფა;
- მეცნიერებისა და განათლების ეფექტური ერთობლივი ფუნქციონირების ხელშეწყობა;
- საერთაშორისო სამეცნიერო-ტექნიკური თანამშრომლობის გადრმავება.

აგროსასურსათო სექტორში მეცნიერებისა და ტექნოლოგიების განვითარების ოპტიმალურ საფუძველს ქმნის:

- მთელ რიგ დარგებში არსებული უმნიშვნელოვანები გამოყენებითი კვლევები, სოფლის მეურნეობის, გადამამუშავებელი და კვების მრეწველობის პოტენციალი, ახალი უნიკალური ტექნოლოგიების არსებობა;
- მაღლკვალიფიციური სამეცნიერო და სპეციალისტთა კადრები, საინფორმაციო ინფრასტრუქტურა, ჯერ კიდევ შემორჩენილი საცდელ-ექსპერიმენტული ბაზებით;
- აგროსასურსათო სექტორში სამეცნიერო-ტექნიკური პრობლემის გადაწყვეტის ფართო გამოცდილება;
- ხელისუფლების მხრიდან მეცნიერების ხელშეწყობის პოლიტიკის გატარება, რაც ინოვაციურ სისტემაზე გადასვლის პერსპექტივებს სახავს;
- მეცნიერებისა და ტექნოლოგიების სფეროში მაღალი კვალიფიკაციის მქონე კადრების მომზადების გამოცდილება.

დასახული ამოცანებიდან და ფუნქციებიდან გამომდინარე, აკადემიის ხელმძღვანელობით, აგრარიკოს – მეცნიერთა მიერ მრავალი მნიშვნელოვანი პრობლემა და საკითხი იქნა დამუშავებული და გადაწყვეტილი, რომლებიც დღეს წარმატებით გამოიყენება სოფლის მეურნეობაში და მისი საქმიანობაც ცნობილია და წარმატებულად არის შეფასებული, არა მხოლოდ ჩვენს ქვეყანაში, არამედ მის ფარგლებს გარეთაც.

საქართველოში შექმნილია სასოფლო – სამეურნეო კულტურებისა და პირუტყვის 100-ზე მეტი ახალი ჯიში, კვებისა და გადამამუშავებელი მრეწველობის ათეულობით ახალი, კონკურენტუნარიანი პროდუქცია; საქართველო ჩაის მოვლა – მოყვანის, კრეფის და გადამუშავების კომპლექსური მექანიზაციისა და ინდუსტრიული ტექნოლოგიების სამშობლოა, აქ შექმნილია 50-მდე ახალი მანქანა და ტექნიკური საშუალება. ყოველივე ზემოაღნიშნულზე მიღებულია 300-ზე მეტი საავტორო მოწმობა და პატენტი. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ მსოფლიოში ხორბლის არსებული 23 ჯიშიდან საქართველო 14 ჯიშის სამშობლოა, ასევეა მევენახეობაში, მეხილეობაში (ვაზის, ხილის ჯიშები) და სხვ., რასაც მსოფლიოში შეიძლება ანალოგიც არ გააჩნდეს.

აკადემია წევრია და თანამშრომლობს 20-მდე საერთაშორისო ორგანიზაციასთან. იგი აქტიურად მონაწილეობს საერთაშორისო პროექტებში,

კონფერენციებში, თათბირებში, ტრენინგებში და სხვა. მნიშვნელოვნად გაფართოვდა თანამშრომლობა უცხოეთის სამეცნიერო ცენტრებთან. აკადემიის წევრებმა მონაწილეობა მიიღეს და მოხსენებით გამოვიდნენ აშშ-ში, იტალიაში, ბულგარეთში, ჩეხეთში, ესპანეთში, პორტუგალიაში, რუსეთში, უკრაინაში, თურქეთში, საფრანგეთში, იორდანიაში და სხვა ქვეყნებში მოწყობილ საერთაშორისო სიმპოზიუმებზე, კონფერენციებზე და გამოფენებზე. აღნიშნულ დონისძიებებზე გამომსვლელთა მოხსენებები გამოქვეყნებულია საერთაშორისო გამოცემებში (ICARDA, CIMMYT, FAO, ICRISAT, BIOVERCITY, CIP და სხვა). ვფიქრობთ ჩვენმა აკადემიამ კიდევ უფრო უნდა გააფართოვოს ეს წრე და გააფორმოს ხელშეკრულებები რუსეთის, უკრაინის, ბელორუსის მეცნიერებათა აკადემიებთან, მებოსტნეობის მსოფლიო ცენტრთან (ტაივანი). თუმცა აქვე უნდა აღინიშნოს, რომ საერთაშორისო ორგანიზაციებთან ურთიერთობა მაშინ იქნება ეფექტური, თუ ჩვენ შევძლებთ დავიბრუნოთ აგრარული პროფილის კვლევითი ორგანიზაციები, სადაც უნდა მოხდეს ამ საერთაშორისო ორგანიზაციებიდან მიღებული ჯიშების თუ ტექნოლოგიების აპრობირება ჩვენს ქვეყანაში.

საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოს კონფერენციაზე და წევრ – კორესპონდენტების მიერ მარტო 2012 წელს სულ გამოქვეყნებული იქნა 200-ზე მეტი სამეცნიერო ნაშრომი და მათ მონაწილეობა მიიღეს 40-მდე სხვადასხვა სამეცნიერო ფორუმში (კონფერენცია, სემინარი, თათბირი).

აკადემიის სამ ნამდვილ წევრს მინიჭებული აქვს წლის „საუკეთესო მეცნიერის“ წოდება, ორს – „წლის საუკეთესო ინჟინრის“, ხოლო ხუთს სახელმწიფო პრემია მეცნიერებისა და ტექნიკის დარგში. აკადემიის რამდენიმე წევრი არჩეულია საერთაშორისო აკადემიების ნამდვილ წევრად, მ. შ. საერთაშორისო საინჟინრო აკადემიის – 1, რუსეთის სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის – 3 და სხვ. ბევრი მათგანი გაერთიანებული არიან სხვადასხვა საერთაშორისო სამეცნიერო და დარგობრივ ორგანიზაციებში.

აღნიშნულის გარდა, უკანასკნელ პერიოდში, საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის მიერ ჩატარებულ იქნა მთელი რიგი სხვა მნიშვნელოვანი სამუშაოები, რომელთა შედეგებმა სახელმწიფოსთან თანამშრომლობის მყარი საფუძველი შეუქმნა მას, რათა აგრარული მეცნიერების თანამედროვე მიღწევებით იქნეს რეალიზებული პრაქტიკაში.

**საქართველოს სოფლის მეურნეობის
მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდენტი
აკადემიკოსი გურამ ალექსიძე**

შესავლის მაგიერ

საქართველოს კანონის “საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის შესახებ” (საქართველოს კანონში ცვლილებებისა და დამატებების შეტანის თაობაზე) მე-16 მუხლის პირველ პუნქტში აღნიშნულია, რომ „”საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემია არის საჯარო სამართლის იურიდიული პირი, თვითმართვადი სამეცნიერო დაწესებულება სრული ავტონომიური უფლებით და სახელმწიფო დაფინანსებით, ქვეყანაში აგრონომიულ მეცნიერებათა პრიორიტეტული მიმართულებების განმსაზღვრელი, სამეცნიერო-კვლევითი სამუშაოების კოორდინატორი, მთავრობის მეცნიერული მრჩეველი აგრარულ საკითხებში”.

როგორც კანონის ამ მუხლიდან ჩანს, საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიას მეტად საპასუხისმგებლო ფუნქცია აკისრია – განსაზღვროს ქვეყანაში აგრარულ მეცნიერებათა პრიორიტეტული მიმართულებები, იყოს აგრარული მიმართულებების სამეცნიერო-კვლევითი სამუშაოების კოორდინატორი და რაც მთავარია ...“იყოს მთავრობის მეცნიერული მრჩეველი აგრარულ საკითხებში”.

აღნიშნული კანონის აღსრულებას და შესაბამისად საპასუხისმგებლო ფუნქციების შესრულებას საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემია, რომელსაც საანგარიშო – 2012 წელს დაარსებიდან 55 წელი შეუსრულდა, წარმატებით ართმევდა თავს, ვინაიდან იგი ზედმიწევნით ზუსტად ასრულებდა ზემოაღნიშნული კანონის მე-16 მუხლის მეორე პუნქტს „აკადემია იხილავს და აფინანსებს აგრარული პროფილის სამეცნიერო-კვლევითი დაწესებულებების (მათი სამართლებლივი ფორმის მიუხედავად) საქმიანობის ამსახველ წლიურ ანგარიშებსა და დასრულებული სამეცნიერო-კვლევით სამუშაოებს, რისთვისაც უფლებამოსილია ამ ორგანიზაციებისაგან თავისი კომპეტენციის ფარგლებში გამოითხოვოს დამატებითი საჭირო ინფორმაცია და შეფასებები აცნობოს ამავე ორგანიზაციებს, ხოლო სათანადო რეკომენდაციები – დაინტერესებულ სამთავრობო უწყებებს”.

საანგარიშო პერიოდში საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიამ კანონის მე-16 მუხლის ზემოთაღნიშნული მეორე პუნქტის შესრულება ვერ შეძლო იმ მარტივი მიზეზის გამო, რომ აგრარული პროფილის სამეცნიერო-კვლევითი დაწესებულებების უმრავლესობა (სულ 17 ერთეული) საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს

ბრძანებით 2012 წლის იანვარში გადავიდა არასამეტარმეო (არაკომურციული) იურიდიული პირის - საქართველოს აგრარული უნივერსიტეტის და საჯარო სამართლის იურიდიული პირის – საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის დაქვემდებარებაში და მათი სტრუქტურული ერთეული გახდა; აქედან გამომდინარე საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიას მათზე კანონით გათვალისწინებული მოვალეობების შესრულება და შესაბამისად გარკვეული ზემოქმედება პრაქტიკულად აღარ შეუძლია.

ამიტომ საანგარიშო წელს კანონის უზენაესობის დაცვა და კანონით გათვალისწინებული მუხლების შესრულება დაევალათ იმ თვალსაჩინო აგრარიკოს-მეცნიერებს, რომლებიც დღეს საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის ძირითად ბირთვს წარმოადგენენ – 24 აკადემიის ნამდვილ წევრს და 21 აკადემიის წევრ-კორესპონდენტს, სულ 45 მეცნიერს და აკადემიის სტრუქტურულ ერთეულებს – აკადემიურ და ადმინისტრაციულ დეპარტამენტებს და საკოორდინაციო-დარგობრივ სამეცნიერო განყოფილებებს.

მეცნიერების, დეპარტამენტისა და განყოფილებების გამოცდილებებისა და მეცნიერული ღირებულებების გათვალისწინებით შესრულდა წინამდებარე ნაშრომი, რომელიც ოთხი თავისაგან შედგება, საიდანაც პირველი თავი ეთმობა საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსების (ნამდვილი წევრების) და წევრ-კორესპონდენტების შემადგენლობას 2012 წლის 31 დეკემბრისათვის და მათ მოკლე ბიოგრაფიულ ინფორმაციებს.

მეორე თავი ეთმობა აკადემიის აკადემიური საბჭოს მუშაობას, მის სხდომებზე განხილულ მნიშვნელოვან საკითხებს, საკანონმდებლო ინიციატივებზე მიღებულ დადგენილებებს და რეკომენდაციებს, რომლებიც სათანადო რეაგირებისათვის გადაეცათ ადრესატებს – ზემდგომ ორგანოებს.

მესამე თავში მოკლედ გადმოცემულია საანგარიშო წელს აკადემიის საერთაშორისო თანამშრომლობა საზღვარგარეთის სამეცნიერო წრეებთან. აკადემიის თანამშრომლებმა აქტიური მონაწილეობა მიიღეს რამდენიმე საერთაშორისო კონფერენციაში, სამიზში, სემინარში და თათბირში საფრანგეთში, თურქეთში, ბულგარეთში, რუსეთში, უკრაინაში, ყირგიზეთში და სხვა.

ადსანიშნავია აგრეთვე, რომ ამავე თავში მოხსენებულია საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიაში დამუშავებული “საქართველოს მეპრეშუმეობის განვითარების კონცეფცია”, რომლითაც სერიოზულად დაინტერესდა შავი, კასპის ზღვის აუზის და ცენტრალური აზის ქვეყნების მეპრეშუმეობის საერთაშორისო ორგანიზაცია BACSA და ამავე კონცეფციამ დიდი მოწონება და გამოხმაურება ჰქოვა FAO-სა და ევროკავშირის ქვეყნებში.

მეოთხე თავი ეძღვნება საანგარიშო წელს საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის საკოორდინაციო-დარგობრივი სამეცნიერო განყოფილებების მოკლე ანგარიშებს და მათი წევრების – აკადემიკოსების და აკადემიის წევრ-კორესპონდენტების პირად ანგარიშებს, მათ რეკომენდაციებს, ხედვებსა და წინადაღებებს ქვეყნის პრიორიტეტული დარგის – სოფლის მეურნეობის შემდგომი განვითარებისა და აღმავლობის შესახებ.

იმედს გამოვთქვამთ, რომ მომდევნო წლებშიც საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემია ზუსტად შეასრულებს იმ მუხლებს და დებულებებს, რომელსაც მას საქართველოს კანონი “საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის შესახებ” (საქართველოს კანონში ცვლილებებისა და დამატებების შეტანის თაობაზე) ავალებს.

ნაშრომში შესაძლებელია იყოს გარკვეული უზუსტობები და უმნიშვნელო შეცდომები, რაზედაც მკითხველს ბოდიშს ვუხდით და სიამოვნებით გავითვალისწინებთ ყველა სამართლიან შენიშვნას, რომელსაც ამ ნაშრომის გაცნობის შემდეგ გამოუგზავნით საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის აკადემიურ დეპარტმენტს.

**საქართველოს სოფლის მეურნეობის
მეცნიერებათა აკადემიის
აკადემიური დეპარტამენტის უფროსი,
აკადემიის წევრ-კორესპონდენტი
ე. შავაქიძე**

**I. საქართველოს სოცლის მეურნეობის მმცინერებათა აპარატის
აკადემიკოსთა (ნამდვილი შემოგთა) და
ზეპრ-პორტალის განვითარებისათვის**

აკადემიის ნამდვილი წევრები

- 1. აგლაძე გოგოთურ დავითის ძე
დაბადების თარიღი – 09.09.1930;**
**სპეციალობა დიპლომის მიხედვით – სწავლული აგრონომი საქართველოს
სასოფლო სამეცნიერო ინსტიტუტი;**
**დაკავებული თანამდებობა –
სამეცნიერო ხარისხი – სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა დოქტორი,
პროფესორი;**
სამეცნიერო წოდება – აკადემიკოსი, 10.01.1991;
**მეცნიერული შრომების რაოდენობა – 322, მათ შორის 5 მონოგრაფია,
4 სახელმძღვანელო;**
**გამოგონებებისა და რაციონალიზაციული წინადადებების რაოდენობა –
ბინის მისამართი, ტელეფონი – ქ. თბილისი მარჯანიშვილის ქ. №9, ბ.18,
ტ: 2 95 36 58 (ბინა), 577-46-11-44.**

- 2. ალექსიძე გურამ ნიკოლოზის ძე
დაბადების თარიღი – 30.07.1939;**
**სპეციალობა დიპლომის მიხედვით – სწავლული აგრონომი საქართველოს
სასოფლო-სამეცნიერო ინსტიტუტი;**
**დაკავებული თანამდებობა – სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის
ვიცე-პრეზიდენტი;**
**სამეცნიერო ხარისხი – ბიოლოგის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი;
სამეცნიერო წოდება – აკადემიკოსი 14.07.1992;**
**მეცნიერული შრომების რაოდენობა – 156, მათ შორის 9 წიგნი, 6 ბროშურა;
გამოგონებებისა და რაც. წინადადებების რაოდენობა –
ბინის მისამართი, ტელეფონი – ქ. თბილისი, გამსახურდიას ქ.№6, ბ.143,
ტ. 2 36 00 16 (ბინა); 2 94 02 14 (სამ), 593 20 07 93**

- 3. ასათიანი რევაზ ნოდარის ძე
დაბადების თარიღი – 29.10.1951;**
**სპეციალობა დიპლომის მიხედვით – ინჟინერ ეკონომისტი, თბილისის
სახელმწიფო უნივერსიტეტი;**
**დაკავებული თანამდებობა – რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის
დეპარტამენტის უფროსის მოადგილე;**
სამეცნიერო ხარისხი – ეკონომიკის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი;
სამეცნიერო წოდება – აკადემიკოსი, 16.07.2004;
**მეცნიერული შრომების რაოდენობა – 80, მათ შორის 4 მონოგრაფია,
4 სახელმძღვანელო;**
**გამოგონებებისა და რაც. წინადადებების რაოდენობა –
ბინის მისამართი, ტელეფონი – ქ. თბილისი, სიმონ ჩიქოვანის 46,
ბინა 2 21 34 38, 599 54 00 48.**

4. ბადათურია ნუგზარ შოთას ძე
დაბადების თარიღი – 22.07.1945;
სპეციალობა დიპლომის მიხედვით – ინჟინერ ტექნიკოგი, საქართველოს
სუპროპიკული მეურნეობის ინსტიტუტი;
დაკავებული თანამდებობა – ტექნიკური უნივერსიტეტის კვების მრეწველობის
სკო-ს დირექტორი;
სამეცნიერო ხარისხი – ტექნიკის მეცნიერებათა დოქტორი;
სამეცნიერო წოდება – აკადემიკოსი, 14.07.1992;
მეცნიერული შრომების რაოდენობა – 312, მათ შორის 4 მონოგრაფია;
გამოგონებებისა და რაც. წინადადებების რაოდენობა – 34 გამოგონება;
ბინის მისამართი, ტელეფონი – ქ. თბილისი, რაზმაძის ქ. №57, ბინა 7,
ტ. 2-22-66 46 (ბინა), 599 43 15 14.

5. დიდებულიძე ალექსანდრე კონსტანტინეს ძე
დაბადების თარიღი – 30.09.1944;
სპეციალობა დიპლომის მიხედვით – ინჟინერ-ელექტრო მექანიკისი,
საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტი;
დაკავებული თანამდებობა – აგრარული უნივერსიტეტის სრული პროფესორი;
სამეცნიერო ხარისხი – ტექნიკის მეცნიერებათა დოქტორი;
სამეცნიერო წოდება – აკადემიკოსი, 07.09.1995;
მეცნიერული შრომების რაოდენობა – 170, მათ შორის 11 მონოგრაფია;
გამოგონებებისა და რაციონალიზაციული წინადადებების რაოდენობა – 39 გამოგონება, 18 პატენტი;
ბინის მისამართი, ტელეფონი – ქ. თბილისი, კოსტავას ქუჩა 44, ბ. 18.
ტ. 2 93 28 41 (ბინა), 599 30-56-03.

6. გასაძე იუზა შალვას ძე
დაბადების თარიღი – 27.12.1935;
სპეციალობა დიპლომის მიხედვით – აგრონომი,
ინჟინერ- ტექნიკოლოგი, საქართველოს სასკოლო-სამეცნიერო ინსტიტუტი;
დაკავებული თანამდებობა – მეღვინეობა, მევენახეობა და მებადეთა
სამეცნიერო-საწარმოო კავშირის პრეზიდენტი;
სამეცნიერო ხარისხი – სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა დოქტორი;
სამეცნიერო წოდება – აკადემიკოსი, 07.09.1995;
მეცნიერული შრომების რაოდენობა – 144;
გამოგონებებისა და რაც. წინადადებების რაოდენობა – 4 გამოგონება;
ბინის მისამართი, ტელეფონი – ქ. თბილისი, ჭავჭავაძის პროსპექტი №11, ბ.13,
ტ. 2 23 21 51 (ბინა), 577 40 76 27.

7. გაშაგიძე არჩილ აკაკის ძე
დაბადების თარიღი – 30.05.1943;
სპეციალობა დიპლომის მიხედვით – ინჟინერ-ელექტრიკოსი, საქართველოს
პოლიტექნიკური ინსტიტუტი;
დაკავებული თანამდებობა – საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის
სრული პროფესორი;

სამეცნიერო ხარისხი – ტექნიკის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი;
სამეცნიერო წოდება – აკადემიკოსი, 30.09.2003;
მეცნიერული შრომების რაოდენობა – 68;
გამოგონებებისა და რაციონალიზაციული წინადადებების რაოდენობა –
1 გამოგონება;
**ბინის მისამართი, ტელეფონი – ქ.თბილისი, ჭავჭავაძის პროსპექტი №41, ბ. 36
ტ. 22 53 53, 577-79-91-91;**

8. ზარდალიშვილი ოთარ იუზას ქადაგების თარიღი – 08.09.1928;
**სპეციალობა დიპლომის მიხედვით – სწავლული აგრონომი, საქართველოს
სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტი;**
დაკავებული თანამდებობა –
**სამეცნიერო ხარისხი – სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა დოქტორი,
პროფესორი;**
სამეცნიერო წოდება – აკადემიკოსი, 14.07.1992;
მეცნიერული შრომების რაოდენობა – 220;
გამოგონებებისა და რაც. წინადადებების რაოდენობა –
**ბინის მისამართი, ტელეფონი – ქ. თბილისი, ვანასკერტელის ქ. კორპ. 6,
ბინა 1. ტ. 2 36 00 86 (ბინა), 599 25 61 94.**

9. კაციტამე ჯემალ ბენიას ქადაგების თარიღი – 26.05.1937;
**სპეციალობა დიპლომის მიხედვით – ინჟინერ-მექანიკოსი, საქართველოს
სუპერობილი მეურნეობის ინსტიტუტი;**
**დაკავებული თანამდებობა – საქართველოს აგრარული უნივერსიტეტის
სრული პროფესორი;**
სამეცნიერო ხარისხი – ტექნიკის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი;
სამეცნიერო წოდება – აკადემიკოსი, 07.09.1995;
**მეცნიერული შრომების რაოდენობა – 230, მათ შორის 5 მონოგრაფია,
6 სახელმძღვანელო;**
გამოგონებებისა და რაც.იონალიზაციული წინადადებების რაოდენობა –
14 გამოგონება;
**ბინის მისამართი, ტელეფონი – ქ. თბილისი, ერწოს ქ. №4, ბ. 138.
ტ. 2 61 50 76 (ბინა), 599 10 65 37.**

10. მარგველაშვილი გოგოლა ნიკოლოზის ასული
დაბადების თარიღი – 22.09.1939;
**სპეციალობა დიპლომის მიხედვით – სწავლული აგრონომი, საქართველოს
სუბტოპიკული მეურნეობის ინსტიტუტი;**
**დაკავებული თანამდებობა – აგრონომიული საკორდინაციო-დარგობრივი
სამეცნიერო განყოფილების აკადემიკოს-მდივანი;**
სამეცნიერო ხარისხი – სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა დოქტორი;
სამეცნიერო წოდება – აკადემიკოსი, 07.09.1995;
**მეცნიერული შრომების რაოდენობა – 109 შრომა, მათ შორის 2 მონოგრაფია,
2 წიგნი, 8 სახელმძღვანელო;**
გამოგონებებისა და რაციონალიზაციული წინადადებების რაოდენობა –

3 რაციონალიზატორული წინადაღება;
ბინის მისამართი, ტელეფონი – ქ. თბილისი, ყაზბეგის გამზირი №8^ა, ბ. 21 ტ.
2 38 61 34 (ბინა), 599 23 89 46.

11. მახარობლიდე რევაზ მეთოდეს ძე

დაბადების თარიღი – 22.08.1936;

სპეციალობა დიპლომის მიხედვით – ინჟინერ-მექანიკოსი, საქართველოს
სუბტორობიკული მეცნიერობის ინსტიტუტი;
დაკავებული თანამდებობა – აგრარული უნივერსიტეტის სრული პროფესორი;
სამეცნიერო ხარისხი – ტექნიკის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი;
სამეცნიერო წოდება – აკადემიკოსი, 14.07.1992;
მეცნიერული შრომების რაოდენობა – 330, მათ შორის 25 მონოგრაფია და
სახელმძღვანელო;
გამოგონებებისა და რაციონალიზატორული წინადაღებების რაოდენობა –
70 გამოგონება;
ბინის მისამართი, ტელეფონი – ქ. თბილისი, გურამიშვილის გამზირი 5ბ, ბ. 65
ტ. 2 61 60 226(ბინა), 599-53-52-82.

12. ნანიტაშვილი თენგიზ სერგოს ძე

დაბადების თარიღი – 04.06.1928;

სპეციალობა დიპლომის მიხედვით – ინჟინერ-ტექნოლოგი, საქართველოს
სასოფლო-სამეცნიერო ინსტიტუტი;
დაკავებული თანამდებობა – საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის
კვების პროდუქტების დეპარტამენტის სრული პროფესორი;
სამეცნიერო ხარისხი – ტექნიკის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი;
სამეცნიერო წოდება – აკადემიკოსი, 07.09.1995;
მეცნიერული შრომების რაოდენობა – 185, მათ შორის 1 მონოგრაფია;
გამოგონებებისა და რაციონალიზატორული წინადაღებების რაოდენობა –
7 გამოგონება;
ბინის მისამართი, ტელეფონი – ქ. თბილისი, პეტრი ქუჩა №10, ბ. 22,
ტ. 2 33 27 37 (ბინა), 599 71 55 33.

13. ნასყიდაშვილი პეტრე პავლეს ძე

დაბადების თარიღი – 25.11.1928;

სპეციალობა დიპლომის მიხედვით – სწავლული აგრონომი, საქართველოს
სასოფლო-სამეცნიერო ინსტიტუტი;
დაკავებული თანამდებობა – საქართველოს სოფლის მეურნეობის
მეცნიერებათა აკადემიის აკადემიური დეპარტამენტის მთავარი ექსპერტი;
სამეცნიერო ხარისხი – სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა დოქტორი,
პროფესორი;
სამეცნიერო წოდება – აკადემიკოსი, 14.07.1992;
მეცნიერული შრომების რაოდენობა – 676, მათ შორის 16 მონოგრაფია, 10
სახელმძღვანელო;
გამოგონებებისა და რაციონალიზატორული წინადაღებების რაოდენობა –
7 გამოგონება, 21 ჯიშის ავტორი და თანაავტორი;

**ბინის მისამართი, ტელეფონი – ქ. თბილისი, ვაჟა-ფშაველას პროსპექტი,
VI კვარტალი, კორპ. 20, ბ. 3. ტ. 2 30 26 28 (ბინა), 559 26 83 51.**

**14. ქარქაშაძე ნაპოლეონ ირაკლის ძე
დაბადების თარიღი – 15.05.1935;**

**სპეციალობა დიპლომის მიხედვით – სწავლული აგრონომი, ეკონომისტი,
საქართველოს სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტი;**

**დაკავებული თანამდებობა – საქართველოს სოფლის მეურნეობის
მეცნიერებათა აკადემიის აკადემიური საბჭოს მრჩეველი;**

**სამეცნიერო ხარისხი – ეკონომიკის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი;
სამეცნიერო წოდება – აკადემიკოსი, 14.07.1992;**

**მეცნიერული შრომების რაოდენობა – 295, მათ შორის 4 მონოგრაფია,
5 სახელმძღვანელო;**

**გამოგონებებისა და რაციონალიზაცორული წინადადებების რაოდენობა –
1 გამოგონება;**

**ბინის მისამართი, ტელეფონი – ქ. თბილისი, ლუქსემბურგის ქუჩა №9,
ტ. 2 37-05-50 (ბინა), 557 42 42 97.**

**ნ. ქეგხიშვილი ვლადიმერ ილიას ძე
დაბადების თარიღი – 05.01.1928;**

**სპეციალობა დიპლომის მიხედვით – სწავლული აგრონომი, საქართველოს
სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტი;**

დაკავებული თანამდებობა –

**სამეცნიერო ხარისხი – სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა დოქტორი,
პროფესორი;**

სამეცნიერო წოდება – აკადემიკოსი, 30.09.2003;

მეცნიერული შრომების რაოდენობა – 75;

გამოგონებებისა და რაც. წინადადებების რაოდენობა –

**ბინის მისამართი, ტელეფონი – სიღნაღის რაიონი სოფ. მაღარო, ქახეთის
საცდელი სადგური.**

**16. ქეშელაშვილი ომარ გრიგოლის ძე
დაბადების თარიღი – 14.08.1941;**

**სპეციალობა დიპლომის მიხედვით – სწავლული აგრონომი, საქართველოს
სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტი;**

**დაკავებული თანამდებობა – ეკონომიკის და ბიზნესის ინსტიტუტის
დირექტორი;**

სამეცნიერო ხარისხი – ეკონომიკის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი;

სამეცნიერო წოდება – აკადემიკოსი, 07.09.1995;

**მეცნიერული შრომების რაოდენობა – 550, მათ შორის 33 მონოგრაფია,
7 სახელმძღვანელო;**

**გამოგონებებისა და რაციონალიზაცორული წინადადებების რაოდენობა –
15 გამოგონება;**

**ბინის მისამართი, ტელეფონი – ქ. თბილისი, ფალიაშვილის ქ. 65,
ტ. 2 22 75 50 (ბინა), 599 22 75 50.**

17. ჩაგელიშვილი რევაზ გიორგის ძე
დაბადების თარიღი – 28.08.1937;
სპეციალობა დიპლომის მიხედვით – სატყეო მეურნეობის ინჟინერი,
საქართველოს სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტი;
დაკავებული თანამდებობა – საქართველოს აგრარული უნივერსიტეტის
ვასილ გულისაშვილის სახ. სატყეო ინსტიტუტის მთავარი მეცნიერ-მუშაკი;
სამეცნიერო ხარისხი – სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა დოქტორი,
პროფესორი;
სამეცნიერო წოდება – აკადემიკოსი, 07.09.1995;
მეცნიერული შრომების რაოდენობა – 140, მათ შორის 3 მონოგრაფია,
11 სახელმძღვანელო;
გამოგონებებისა და რაც. წინადადებების რაოდენობა –
ბინის მისამართი, ტელეფონი – ქ. თბილისი, ვალიაშვილის ქ. 82, ბ. 19.
ტ. 2 23 28 74 (ბინა), 599 93 96 00.

18. ჩანქსელიანი ზაურ უორდანის ძე
დაბადების თარიღი – 15.12.1942;
სპეციალობა დიპლომის მიხედვით – აგროქიმიკოს-ნიადაგმცოდნე,
საქართველოს სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტი;
დაკავებული თანამდებობა – საქართველოს აგრარული უნივერსიტეტის
რადიოლოგიისა და ეპოლოგიის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის
დირექტორი;
სამეცნიერო ხარისხი – სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა დოქტორი;
სამეცნიერო წოდება – აკადემიკოსი, 14.03.2003;
მეცნიერული შრომების რაოდენობა – 133;
გამოგონებებისა და რაციონალიზაციული წინადადებების რაოდენობა –
2 გამოგონება;
ბინის მისამართი, ტელეფონი – ქ. თბილისი, ბალანჩივაძის ქ. №82, ბ. 30,
ტ. 2 33-36-02 (ბინა), 593 32 00 21.

19. ჩხარტიშვილი ნოდარი სიმონის ძე
დაბადების თარიღი – 17.09.1930;
სპეციალობა დიპლომის მიხედვით – სწავლული აგრონომი, საქართველოს
სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტი;
დაკავებული თანამდებობა – საქართველოს აგრარული უნივერსიტეტის
მებაღეობის, მევენახეობის და მედვინეობის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის
მთავარი მეცნიერ-კონსულტანტი;
სამეცნიერო ხარისხი – სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა კანდიდატი;
სამეცნიერო წოდება – აკადემიკოსი, 07.09.1995;
მეცნიერული შრომების რაოდენობა – 212;
გამოგონებებისა და რაციონალიზაციული წინადადებების რაოდენობა –
15 გამოგონება;

**ბინის მისამართი, ტელეფონი – ქ.თბილისი, ვ-ფშაველას პროს. IV კვარტალი,
კორპ 2, ბ 10. ტ. 2 32 31 13 (ბინა), 599 51 88 58.**

**20. ცანაგა ვალერიან პეტრეს ძე
დაბადების თარიღი – 25.02.1935;**
საეციალობა დიპლომის მიხედვით – აგროქიმიკოს-ნიადაგმცოდნე,
საქართველოს სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტი;
**დაკავებული თანამდებობა – საქართველოს აგრარული უნივერსიტეტის ჩაის
და სუბტროპიკული კულტურების სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის
ლაბორატორიის გამგე;**
**სამეცნიერო ხარისხი – სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა დოქტორი,
პროფესორი;**
სამეცნიერო წოდება – აკადემიკოსი, 07.09.1995;
**მეცნიერული შრომების რაოდენობა – 200, მათ შორის 3 მონოგრაფია
გამოგონებებისა და რაციონალიზაცორული წინადადებების რაოდენობა –
6 გამოგონება;**
**ბინის მისამართი, ტელეფონი – ქ.ოზურგეთი, ანასეული, მეცნიერების ქ. №21,
ბ.12. ტ. 6 4 38 (ბინა), 599 53 22 25.**

**21. ცქიტიშვილი ზურაბ მიხეილის ძე
დაბადების თარიღი – 01.01.1941;**
**საეციალობა დიპლომის მიხედვით – ინჟინერ-ტექნიკოლოგი, საქართველოს
პოლიტექნიკური ინსტიტუტი;**
**დაკავებული თანამდებობა – მეცხოველეობის, ვეტერინარიის,
საკვებწარმოებისა და მეცხოველეობის პროდუქტების გადამუშავების
საკორდინაციო-დარგობრივი სამეცნიერო განყოფილების აკადემიკოს-მდივანი;**
სამეცნიერო ხარისხი – ტექნიკის მეცნიერებათა დოქტორი;
სამეცნიერო წოდება – აკადემიკოსი, 27.02.1997;
**მეცნიერული შრომების რაოდენობა – 60, მათ შორის 2 წიგნი;
გამოგონებებისა და რაციონალიზაცორული წინადადებების რაოდენობა –
17 რაციონალიზაცორული წინადადება;**
**ბინის მისამართი, ტელეფონი – ქ. თბილისი, იშხნელის №4 ტ. 2 37 18 52;
577 57 77 71.**

**22. ჭალაგანიძე შოთა ივანეს ძე
დაბადების თარიღი – 21.05.1933;**
**საეციალობა დიპლომის მიხედვით – ინჟინერ-მექანიკოსი, საქართველოს
სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტი;**
**დაკავებული თანამდებობა – საქართველოს სოფლის მეურნეობის
მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდენტი;**
სამეცნიერო ხარისხი – ტექნიკის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი;
სამეცნიერო წოდება – აკადემიკოსი, 16.07.2004;
**მეცნიერული შრომების რაოდენობა – 227, მათ შორის 2 მონოგრაფია, 14
წიგნი;**
გამოგონებებისა და რაციონალიზაცორული წინადადებების რაოდენობა –

10 გამოგონება;

ბინის მისამართი, ტელეფონი – ქ. თბილისი, საბურთალოს ქ. 30ა. ბინა 37,
ტ. 2 37 06 07 (ბინა), 593 36 48 2

23. ჭითანავა ნოდარ ამბროსის ძე

დაბადების თარიღი – 10.03.1936;

სპეციალობა დიპლომის მიხედვით – ინჟინერ-მშენებელი, საქართველოს პოლი-
ტექნიკური ინსტიტუტი;

დაკავებული თანამდებობა – საქართველოს დამგაშენებლის სახელობის
უნივერსიტეტის სრული პროფესორი;

სამეცნიერო ხარისხი – ეკონომიკის მეცნიერებათა დოქტორი;

სამეცნიერო წოდება – აკადემიკოსი, 27.02.1997;

მეცნიერული შრომების რაოდენობა – 105, მათ შორის 11 მონოგრაფია;

გამოგონებებისა და რაციონალიზატორული წინადაღებების რაოდენობა –
17 რაციონალიზატორული წინადაღება;

ბინის მისამართი, ტელეფონი – ქ. თბილისი, ატენის ქ. 16, ტ. 2 23 37 53 (ბინა),
593 67 64 16.

24. ჯაფარიძე გიგი გალაქტიონის ძე

დაბადების თარიღი – 06.01.1944;

სპეციალობა დიპლომის მიხედვით – სატყეო მეურნეობის ინჟინერი,

საქართველოს სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტი. სამართალმცოდნე, თბილისის
ივ. ჯაფახიშვილის სახ. სახელმწიფო უნივერსიტეტი;

დაკავებული თანამდებობა – საქართველოს სოფლის მეურნეობის
მეცნიერებათა აკადემიის ვიცე-პრეზიდენტი, აკადემიკოს მდივანი;

სამეცნიერო ხარისხი – ეკონომიკის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი;

სამეცნიერო წოდება – აკადემიკოსი, 18.02.2000;

მეცნიერული შრომების რაოდენობა – 82, მათ შორის 1 სახელმძღვანელო,
1 პროექტი;

გამოგონებებისა და რაციონალიზატორული წინადაღებების რაოდენობა –

ბინის მისამართი, ტელეფონი – ქ. თბილისი, ფალიაშვილის ქუჩა №64, ბ. 17.
ტ. 2 22 20 47 (ბინა), 2 91 71 65, 2 91 01 14 (სამსახ.), 599 54 99 99.

წევრ-კორესპონდენტები

1. ბადრიშვილი გიგი გიორგის ძე

დაბადების თარიღი – 12.09.1934;

სპეციალობა დიპლომის მიხედვით – სწავლული აგრონომი, საქართველოს
სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტი;

დაკავებული თანამდებობა –

სამეცნიერო ხარისხი – სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა დოქტორი;

სამეცნიერო წოდება – საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა
აკადემიის წევრ-კორესპონდენტი, 15.07.1992;

მეცნიერული შრომების რაოდენობა – 74, მათ შორის 6 წიგნი;

გამოგონებებისა და რაციონალიზატორული წინადაღებების რაოდენობა –
1 გამოგონება, 1 რაციონალიზატორული წინადაღება;

ბინის მისამართი, ტელეფონი – ქ. თბილისი, პეტიონის გამზირი 17ა, ბინა 19,

გ. 2 38 81 18 (ბინა), გ. 599 40 97 70.

- 2. ბედია ომარი აქვსენტის ძე**
დაბადების თარიღი – 27.06.1943;
სპეციალობა დიპლომის მიხედვით – ინჟინერ-მექანიკოსი, საქართველოს
სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტი;
დაკავებული თანამდებობა – საქართველოს სოფლის მეურნეობის
მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდენტის მოადგილე, ადმინისტრაციული
დეპარტამენტის უფროსი;
სამეცნიერო ხარისხი – ტექნიკის მეცნიერებათა დოქტორი;
სამეცნიერო წოდება – საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიოერებათა
აკადემიის წევრ-კორესპონდენტი, 16.07.2004;
მეცნიერული შრომების რაოდენობა – 130, მათ შორის 2 მონოგრაფია,
3 სახელმძღვანელო;
გამოგონებებისა და რაციონალიზაცორული წინადადებების რაოდენობა –
2 გამოგონება;
ბინის მისამართი, ტელეფონი – ქ. თბილისი, უჩანეიშვილის 2 ჩიხი, №3.
გ. 2 29 13 59 (ბინა), 2 91 03 90 (სამსახ), 593 71 08 35.

- 3. გაბუნია ნოდარ ალექსანდრეს ძე**
დაბადების თარიღი – 23.04.1935;
სპეციალობა დიპლომის მიხედვით – ინჟინერ-მექანიკოსი, საქართველოს
სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტი;
დაკავებული თანამდებობა –
სამეცნიერო ხარისხი – ტექნიკის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი;
სამეცნიერო წოდება – საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა
აკადემიის წევრ-კორესპონდენტი, 15.04.1994;
მეცნიერული შრომების რაოდენობა – 234, მათ შორის 1 წიგნი;
გამოგონებებისა და რაციონალიზაცორული წინადადებების რაოდენობა –
77 გამოგონება;
ბინის მისამართი, ტელეფონი – ქ. თბილისი, ნუცუბიძის 1 მ/რ, კორპუსი 17,
ბ.27. გ. 2 32 77 42 (ბინა), 599 33 31 93.

- 4. გუგუშვილი ჯემალ სერგოს ძე**
დაბადების თარიღი – 14.04.1945;
სპეციალობა დიპლომის მიხედვით – სწავლული ზოოტექნიკოსი, საქართველოს
ზოოტექნიკურ-სავეტერინარო ინსტიტუტი;
დაკავებული თანამდებობა – ქვემო ქართლის ოვიომართველობისა და
სახელმწიფო ორგანოებთან ურთიერთობის სამსახურის უფროსი;
სამეცნიერო ხარისხი – სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა დოქტორი,
პროფესორი;
სამეცნიერო წოდება – საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა
აკადემიის წევრ-კორესპონდენტი, 14.03.2003;
მეცნიერული შრომების რაოდენობა – 151, მათ შორის 1 მონოგრაფია,
2 სახელმძღვანელო;
გამოგონებებისა და რაციონალიზაცორული წინადადებების რაოდენობა –
1 გამოგონება, 1 პატენტი, 1 ჯიშის გამოყვანა (ავტორი);

ბინის მისამართი, ტელეფონი – ქ. თბილისი, დეპოს ქუჩა №19.

გ. 2 69 40 24 (ბინა), 577 41 29 23.

5. თევზაძე გახტანგ ისმაილის ძე
დაბადების თარიღი – 24.10.1933;

სპეციალობა დიპლომის მიხედვით – ინჟინერ-პიდროტექნიკოსი, საქართველოს
სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტი;

დაკავებული თანამდებობა – საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის
წყალთამეურნეობის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის ბუნებრივი
კატასტროფების განყოფილების ხელმძღვანელი;

სამეცნიერო ხარისხი – ტექნიკის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი;

სამეცნიერო წოდება – საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა
აკადემიის წევრ-კორესპონდენტი, 15.07.1992;

მეცნიერული შრომების რაოდენობა – 172, მათ შორის 1 მონოგრაფია;

გამოგონებებისა და რაციონალიზაცორული წინადადებების რაოდენობა –
1 გამოგონება;

ბინის მისამართი, ტელეფონი – ქ.თბილისი, ტიციან ტაბიძის ქ. №41, ბ.13,
გ.2 22 69 27 (ბინა), 599 60 68 67.

6. თურმანიძე თამაზ ივანეს ძე
დაბადების თარიღი – 04.09.1932;

სპეციალობა დიპლომის მიხედვით – სწავლული აგრონომი, საქართველოს
სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტი;

დაკავებული თანამდებობა – საქართველოს აგრარული უნივერსიტეტის
მეცნიერ-მუშაკი;

სამეცნიერო ხარისხი – გეოგრაფიის მეცნიერებათა დოქტორი;

სამეცნიერო წოდება – საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა
აკადემიის წევრ-კორესპონდენტი, 15.07.1992;

მეცნიერული შრომების რაოდენობა – 200, მათ შორის 2 მონოგრაფია;

გამოგონებებისა და რაციონალიზაცორული წინადადებების რაოდენობა –
1 გამოგონება;

ბინის მისამართი, ტელეფონი – ქ.თბილისი, საბურთალოს ქ. №35, ბ.36,
გ. 2 38 61 32 (ბინა), 591 17 04 96.

7. ქვალიაშვილი გაუა რომანის ძე
დაბადების თარიღი – 29.08.1936;

სპეციალობა დიპლომის მიხედვით – სწავლული აგრონომი, საქართველოს
სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტი;

დაკავებული თანამდებობა – საქართველოს აგრარული უნივერსიტეტის
მებადეობა-მეცნიერების სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის ექსპერტი;

სამეცნიერო ხარისხი – სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა დოქტორი;

სამეცნიერო წოდება – საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა
აკადემიის წევრ-კორესპონდენტი, 30.09.2003;

მეცნიერული შრომების რაოდენობა – 95;

გამოგონებებისა და რაციონალიზაცორული წინადადებების რაოდენობა –
3 პატენტი;

**ბინის მისამართი, ტელეფონი – ქ. თბილისი, ვ.ფშაველას V კვარტალი, კორპ. 1
ბ. გ. 2 32 10 28 (ბინა), 593 51 15 37.**

- 8. კილასონიძე გურამ ქონსტანტინეს ძე
დაბადების თარიღი – 22.09.1936;**
**სპეციალობა დიპლომის მიხედვით – სწავლული აგრონომი, საქართველოს
სუბტოპიკული მეურნეობის ინსტიტუტი;**
**დაკავებული თანამდებობა – ქუთაისის ა. წერეთლის სახელობის
უნივერსიტეტის პედაგოგი;**
**სამეცნიერო ხარისხი – სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა დოქტორი,
პროფესორი;**
**სამეცნიერო წოდება – საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა
აკადემიის წევრ-კორესპონდენტი, 16.07.2004;**
**მეცნიერული შრომების რაოდენობა – 168, მათ შორის 4 მონოგრაფია,
5 სახელმძღვანელო;**
გამოგონებებისა და რაც. წინადადებების რაოდენობა –
**ბინის მისამართი, ტელეფონი – ქ. ქუთაისი, ნიკეას 2/37, გ. 2 22 78 90,
577 43 24 67;**

- 9. კოდუაშვილი პაარა პეტრეს ძე
დაბადების თარიღი – 05.09.1956;**
**სპეციალობა დიპლომის მიხედვით – ეკონომისტ-ორგანიზატორი, საქართველოს
სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტი;**
**დაკავებული თანამდებობა – თბილისის ი. ჯავახიშვილის სახ.
უნივერსიტეტის ეკონომიკის და ბიზნესის ფაკულტეტის ეკონომიკური
პოლიტიკის კათედრის პროფესორი;**
სამეცნიერო ხარისხი – ეკონომიკის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი;
**სამეცნიერო წოდება – საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა
აკადემიის წევრ-კორესპონდენტი, 16.07.2004;**
**მეცნიერული შრომების რაოდენობა – 159, მათ შორის 6 მონოგრაფია,
2 სახელმძღვანელო;**
გამოგონებებისა და რაც. წინადადებების რაოდენობა –
**ბინის მისამართი, ტელეფონი – ქ. თბილისი. ზაქარიაძის ქ. №8. ბ. 35.
გ. 2 39 97 75 (ბინა), 597 33 34 75.**

- 10. გუნჯულია თამაზ გასილის ძე
დაბადების თარიღი – 01.07.1935;**
**სპეციალობა დიპლომის მიხედვით – სწავლული აგრონომი, საქართველოს
სასოფლო-სამეურნეო ინტიტუტი;**
**დაკავებული თანამდებობა – საქართველოს სოფლის მეურნეობის
მეცნიერებათა აკადემიის აკადემიური დეპარტამენტის უფროსი;**
სამეცნიერო ხარისხი – ეკონომიკის მეცნიერებათა დოქტორი;
**სამეცნიერო წოდება – საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა
აკადემიის წევრ-კორესპონდენტი, 14.03.2003;**
**მეცნიერული შრომების რაოდენობა – 160, მათ შორის 4 მონოგრაფია;
გამოგონებებისა და რაციონალიზატორული წინადადებების რაოდენობა –
2 გამოგონება;**
ბინის მისამართი, ტელეფონი – ქ. თბილისის, საბურთალოს ქ. 35.

გ. 2 38 29 28 (ბინა), 599 50 38 16;

- 11. ლიპარტელიანი ოთარ ანტონის ძე**
დაბადების თარიღი – 03.12.1932;
სპეციალობა დიპლომის მიხედვით – სწავლული აგრონომი, საქართველოს სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტი;
დაკავებული თანამდებობა – საქართველოს აგრარული უნივერსიტეტის მიწათმოქმედების სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის უფროსი მეცნიერ-მუშავი;
სამეცნიერო ხარისხი – სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი;
სამეცნიერო წოდება – საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტი, 15.04.1994;
მეცნიერული შრომების რაოდენობა – 158, მათ შორის 4 მონოგრაფია;
გამოგონებებისა და რაციონალიზაცორული წინადადებების რაოდენობა – 18 გამოგონება;
ბინის მისამართი, ტელეფონი – მცხეთა, წილკნის საკრებულო სოფ. სელექცია, 599 10 51.

- 12. ნიკოლეიშვილი გიორგი ვასილის ძე**
დაბადების თარიღი – 30.12.1930;
სპეციალობა დიპლომის მიხედვით – აგრონომ-ეკონომისტი, საქართველოს სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტი;
დაკავებული თანამდებობა – მეაბრეშუმეობის განვითარების საინვესტიციო პროგრამის თავმჯდომარე;
სამეცნიერო ხარისხი – ეკონომიკის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი;
სამეცნიერო წოდება – საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტი, 07.09.1995;
მეცნიერული შრომების რაოდენობა – 152;
გამოგონებებისა და რაციონალიზაცორული წინადადებების რაოდენობა – 5 გამოგონება, 2 ჯიშის ავტორი
ბინის მისამართი, ტელეფონი – ქ. თბილისი, რ. ერისთავის ქუჩა №3. ბ.6, 599 56 58 84.

- 13. ონიანი ჯუმბერ ილიას ძე**
დაბადების თარიღი – 15.06.1928;
სპეციალობა დიპლომის მიხედვით – მეგენახე, მეხილე და მებოსტნე, საქართველოს სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტი;
დაკავებული თანამდებობა –
სამეცნიერო ხარისხი – სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი,
სამეცნიერო წოდება – საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტი, 15.04.1994;
მეცნიერული შრომების რაოდენობა – 180, მათ შორის 3 მონოგრაფია;
გამოგონებებისა და რაციონალიზაცორული წინადადებების რაოდენობა – 1 გამოგონება, 30 რეკომენდაცია;
ბინის მისამართი, ტელეფონი – ქ. თბილისი, გომიაშვილის II ქესახვევი №15, ბ 3, გ. 2 52 49 61 (ბინა), 5 68 10 51 66.

**14. პაპუნიძე გურამ რაფაელის ძე
დაბადების თარიღი – 02.04.1944;**

**საეციალობა დიპლომის მიხედვით – ინჟინერ-ტექნიკოლოგი, საქართველოს
სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტი;**

**დაკავებული თანამდებობა – შ. რუსთაველის ბათუმის სახელმწიფო
უნივერსიტეტის აგრარული ტექნიკური ინსტიტუტის სამეცნიერო-კვლევითი
ინსტიტუტის მთავარი მეცნიერ-თანამშრომელი;**

სამეცნიერო ხარისხი – ტექნიკის მეცნიერებათა დოქტორი;

**სამეცნიერო წოდება – საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა
აკადემიის წევრ-კორესპონდენტი, 06.04.1998;**

**მეცნიერული შრომების რაოდენობა – 150, მათ შორის 10 მონოგრაფია;
გამოგონებებისა და რაციონალიზაცორული წინადადებების რაოდენობა –
12 გამოგონება;**

**ბინის მისამართი, ტელეფონი – ქ. ბათუმი, 26 მაისის ქ. №10/12. ბინა .63,
ტ. 2 7 50 21 (ბინა), 599 50 61 25.**

**15. სარიშვილი დავით ეფრემის ძე
დაბადების თარიღი – 24.01.1927;**

**საეციალობა დიპლომის მიხედვით – ინჟინერ-მექანიკოსი, საქართველოს
სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტი;**

დაკავებული თანამდებობა –

სამეცნიერო ხარისხი – ტექნიკის მეცნიერებათა კანდიდატი;

**სამეცნიერო წოდება – საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა
აკადემიის წევრ-კორესპონდენტი, 27.02.1997;**

მეცნიერული შრომების რაოდენობა – 21;

**გამოგონებებისა და რაციონალიზაცორული წინადადებების რაოდენობა –
ბინის მისამართი, ტელეფონი – ქ. თბილისი, საბურთალოს 30 ა.,
ტ. 2 38 20 31 (ბინა), 599 15 85 26.**

**16. ურუშაძე თენგიზ თედორეს ძე
დაბადების თარიღი – 14.01.1940;**

**საეციალობა დიპლომის მიხედვით – აგრონომი, საქართველოს სასოფლო-
სამეურნეო ინსტიტუტი;**

**დაკავებული თანამდებობა – საქართველოს აგრარული უნივერსიტეტის
სრული პროფესორი;**

სამეცნიერო ხარისხი – ბიოლოგის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი;

**სამეცნიერო წოდება – საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა
აკადემიის წევრ-კორესპონდენტი, 10.01.1991;**

მეცნიერული შრომების რაოდენობა – 380, მათ შორის 40 მონოგრაფია;

გამოგონებებისა და რაც. წინადადებების რაოდენობა –

**ბინის მისამართი, ტელეფონი – ქ. თბილისი, მ. ალექსიძის № 1, ბინა 23,
ტ. 2 10 20 05 (ბინა), 599 58 25 41.**

**17. ლორჯომელაძე ოთარ ლავრენტის ძე
დაბადების თარიღი – 15.05.1955;**

**სპეციალობა დიპლომის მიხედვით – სწავლული აგრონომი, საქართველოს
სუბტროპიკული მეურნეობის ინსტიტუტი;**
**დაკავებული თანამდებობა – აჭარის აგრონომიური რესპუბლიკის მთავრობის
თავმჯდომარის მრჩეველი;**
სამეცნიერო ხარისხი – სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა დოქტორი;
**სამეცნიერო წოდება – საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა
აკადემიის წევრ-კორესპონდენტი, 14.03.2003;**
მეცნიერული შრომების რაოდენობა – 136;
**გამოგონებებისა და რაციონალიზაცორული წინადადებების რაოდენობა –
1 რეკომენდაცია;**
**ბინის მისამართი, ტელეფონი – ხელვაჩაურის რ-ნი, სოფ. ახალშენი (ქვედა
სამება), 593 99 15 22.**

**18. ყურაშვილი თენგიზ ქონსტანტინეს ძე
დაბადების თარიღი – 23.03.1948;**

**სპეციალობა დიპლომის მიხედვით – ვეტერინარი ექიმი, საქართველოს ზოო-
ტექნიკურ-სავეტერინარო სასწავლო-კვლევითი ინსტიტუტი;**
**დაკავებული თანამდებობა – საქართველოს აგრარული უნივერსიტეტის
სრული პროფესორი;**
სამეცნიერო ხარისხი – ვეტერინარიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი;
**სამეცნიერო წოდება – საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა
აკადემიის წევრ-კორესპონდენტი, 15.04.1994;**
მეცნიერული შრომების რაოდენობა – 218, მათ შორის 1 სახელმძღვანელო;
**გამოგონებებისა და რაციონალიზაცორული წინადადებების რაოდენობა –
14 გამოგონება;**
**ბინის მისამართი, ტელეფონი – ქ. თბილისი, ნუცებიძის 5 მ/რ-ნი, 5 კორპ.,
ბინა 25. ტ. 2 31 48 18 (ბინა), 599 58 55 16;**

**19. შაფაქიძე ელგუჯა დავითის ძე
დაბადების თარიღი – 20.05.1942;**

**სპეციალობა დიპლომის მიხედვით – ინჟინერ-მექანიკოსი, საქართველოს სა-
სოფლო-სამეცნეო ინსტიტუტი;**
**დაკავებული თანამდებობა – საქართველოს აგრარული უნივერსიტეტის
სრული პროფესორი;**
სამეცნიერო ხარისხი – ტექნიკის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი;
**სამეცნიერო წოდება – საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა
აკადემიის წევრ-კორესპონდენტი, 07.09.1995;**
**მეცნიერული შრომების რაოდენობა – 162, მათ შორის 3 მონოგრაფია, 6
სახელმძღვანელო;**
**გამოგონებებისა და რაციონალიზაცორული წინადადებების რაოდენობა –
15 გამოგონება, 6 რაციონალიზაცორული წინადადება;**
ბინის მისამართი, ტელეფონი – ქ. თბილისი, პეტრიაშვილის ქუჩა №13. ბინა 4,

გ. 2 23 02 93 (ბინა), 577 71 17 75.

**20. ცაგურიშვილის გივი ნიკოლოზის ძე
დაბადების თარიღი – 10.10.1928;**

**სპეციალობა დიპლომის მიხედვით – სწავლული აგრონომი, საქართველოს
სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტი;**

**დაკავებული თანამდებობა – საქართველოს აგრარული უნივერსიტეტის
აგრონომიული ფაკულტეტის კონსულტანტი;**

**სამეცნიერო ხარისხი – სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა დოქტორი,
პროფესორი;**

**სამეცნიერო წოდება – საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა
აკადემიის წევრ-კორესპონდენტი, 07.09.1995;**

**მეცნიერული შრომების რაოდენობა – 125, მათ შორის 3 მონოგრაფია, 5 სახ-
ელმძღვანელო;**

**გამოგონებებისა და რაციონალიზატორული წინადადებების რაოდენობა –
25 რეკომენდაცია, 1 ჯიშის ავტორი;**

**ბინის მისამართი, ტელეფონი – ქ. თბილისი, დიდი დიდომი, გ. ბრწყინვალეს ქ.
41. ბ. 64, გ. 2 53 39 61 (ბინა), 5 99 63-12-34.**

**21. ჯაბნიძე რევაზ ხასანის ძე
დაბადების თარიღი – 18.01.1954;**

**სპეციალობა დიპლომის მიხედვით – სუბტროპიკული მეურნეობის სწავლული
აგრონომი, საქართველოს სუბტროპიკული მეურნეობის ინსტიტუტი;**

**დაკავებული თანამდებობა – ბათუმის შ. რუსთაველის უნივერსიტეტის
სრული პროფესორი;**

**სამეცნიერო ხარისხი – სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა დოქტორი,
პროფესორი;**

**სამეცნიერო წოდება – საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა
აკადემიის წევრ-კორესპონდენტი, 07.09.1995;**

**მეცნიერული შრომების რაოდენობა – 105, მათ შორის 7 წიგნი,
3 სახელმძღვანელო;**

გამოგონებებისა და რაც. წინადადებების რაოდენობა –

**ბინის მისამართი, ტელეფონი – ქ. ბათუმი, მწვანე კონცხი, გ. 5 46 20 (ბინა),
555 64 58.**

II. საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის აკადემიური საბჭო

2.1.ამონაწერი საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის წესდებიდან

თავი VI. საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის აკადემიური საბჭო

21. აკადემიის აკადემიური საბჭო შედგება აკადემიის პრეზიდენტის, ვიცე-პრეზიდენტის, ვიცე-პრეზიდენტის აკადემიკოს-მდივნის, საკორდინაციო-დარგობრივი სამეცნიერო განყოფილებათა აკადემიკოს-მდივნების, აკადემიურ საბჭოსთან არსებული სამეცნიერო-საკორდინაციო საბჭოს თავმჯდომარისა და აკადემიის სხვა აკადემიკოსებისა და წევრ-კორესპონდენტებისაგან. აკადემიური საბჭოს წევრთა რიცხოვნობას განსაზღვრავს აკადემიის საერთო კრება. აკადემიური საბჭოს წევრები არ არიან საჯარო მოხელეები.

22. აკადემიის პრეზიდენტს, ვიცე-პრეზიდენტს, ვიცე-პრეზიდენტს- აკადემიკოს-მდივანს საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსთაგან ირჩევს აკადემიის საერთო კრება ფარული კენჭისყრით, სიით შემადგენლობის უმრავლესობით, 5 წლის ვადით. მათზე არ ვრცელდება ასაკობრივი შეზღუდვა.

აკადემიური საბჭოს სხვა წევრებს აკადემიის წევრთაგან ირჩევს აკადემიის საერთო კრება 5 წლის ვადით, სიით შემადგენლობის ხმათა უბრალო უმრავლესობით, ფარული კენჭისყრით.

23. აკადემიური საბჭოს მუშაობაში სათათბირო ხმის უფლებით მონაწილეობენ აკადემიური საბჭოს ასოცირებული წევრები, რომელთა არჩევა ხდება დია კენჭისყრით აკადემიური საბჭოს წევრთა ხმათა უბრალო უმრავლესობით. აკადემიური საბჭოს ასოცირებული წევრების რაოდენობას განსაზღვრავს აკადემიური საბჭო.

“მეცნიერების, ტექნოლოგიებისა და მათი განვითარების შესახებ” საქართველოს კანონის მე-10 მუხლის შესაბამისად, სამეცნიერო-კვლევითი დაწესებულების თხოვნის და აკადემიის აკადემიური საბჭოს თანხმობის შემთხვევაში ამ სამეცნიერო დაწესებულების აკადემიის სტრუქტურული ერთეულის ფორმით ჩამოყალიბება შესაძლებელია, თუ საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს მიერ მიღებულია გადაწყვეტილება მისთვის ქონების გადაცემის შესახებ.

24. აკადემიის აკადემიური საბჭო ასრულებს აკადემიის საერთო კრებების დადგენილებებს და საერთო კრებებს შორის პერიოდში ხელმძღვანელობს აკადემიის საქმიანობას.

აკადემიის პრეზიდენტს, ვიცე-პრეზიდენტს, ვიცე-პრეზიდენტს-აკადემიკოს-მდივანსა და აკადემიური საბჭოს სხვა წევრთა შორის მოვალეობებს ანაწილებს აკადემიური საბჭო.

25. აკადემიის აკადემიური საბჭოსთან შეიძლება არსებობდეს სამეცნიერო-საკორდინაციო საბჭო, ეროვნული კოორდინატორები, სამეცნიერო კომისიები და სამეცნიერო საზოგადოებები, რომელთა დებულებებს და ხელმძღვანელებს ამზკიცებს აკადემიის აკადემიური საბჭო.

26. აკადემიის აკადემიური საბჭო:

ა) ამჟარებს სამეცნიერო კონტაქტებს დარგობრივ მეცნიერებათა აკადემიებთან და უცხოეთის ქვეყნების მეცნიერებათა აკადემიებთან, აგრეთვე სხვა სამეცნიერო დაწესებულებებთან;

ბ) იწვევს სამეცნიერო სესიებს, კონფერენციებს, თათბირებებსა და სიმპოზიუმებს; ანიჭებს საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის სახელობით პრემიებს დიდმნიშვნელოვანი მეცნიერული შრომებისათვის, აღმოჩენებისა და გამოგონებებისათვის, აგრეთვე საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის პრემიებს ახალგაზრდა აგრარიკოს მეცნიერთა და უმაღლესი სასწავლებლების სტუდენტთა საუკეთესო მეცნიერული ნაშრომისათვის.

გ) წარუდგენს აკადემიის საერთო კრებას განსახილველად და დასამტკიცებლად აკადემიის საქმიანობის წლიურ ანგარიშს;

დ) აკადემიის საკოორდინაციო-დარგობრივი სამეცნიერო განყოფილებათა მიერ წარმოდგენილი მასალების საფუძველზე შეფასებას აძლევს განყოფილებების სამეცნიერო საქმიანობის წლიურ ანგარიშებს და დასრულებულ სამეცნიერო-კვლევით სამუშაოებს. თავის მოსაზრებებს აცნობს ამ განყოფილებებს, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების და საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტროების და მეცნიერების განვითარების ფონდებს;

ე) ამტკიცებს იმ ორგანიზაციათა დებულებებს და ხელმძღვანელებს, რომლებიც სტრუქტურული ერთეულის ფორმით ექვემდებარებიან საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიას.

ვ) ამტკიცებს აკადემიის პერიოდულ გამოცემათა “მოამბის” და “აკადემიის მაცნეს” სარედაქციო კოლეგიების შემაღენლობას და დებულებებს;

ზ) ამტკიცებს გამოჩენილ მეცნიერთა აკადემიური სახელობითი პრემიების მინიჭების სამინიმუშო დებულებას;

თ) ამტკიცებს აკადემიის განყოფილებების სწავლულ მდივნებს.

27. აკადემიის აკადემიური საბჭო ანგარიშვალდებულია საერთო კრების წინაშე.

28. აკადემიის აკადემიურ საბჭოს ემსახურება ადმინისტრაციული აპარატი; ადმინისტრაციული აპარატის დებულებას ამტკიცებს აკადემიური საბჭო. ადმინისტრაციული აპარატს ხელმძღვანელობს პრეზიდენტის მოადგილე – ადმინისტრაციული დეპარტამენტის უფროსი, რომელიც აგრეთვე მონაწილეობს აკადემიის აკადემიური საბჭოს სამეცნიერო საქმიანობაში. მას პრეზიდენტის წარდგინებით ამტკიცებს აკადემიის აკადემიური საბჭო დია კენჭისყრით.

22. საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის

აკადემიური საბჭოს შემაღენლობა

(დამტკიცებულია აკადემიის საერთო კრების მიერ

2012 წლის 27 ივნისს, ოქმი №1)

1. აკად. შ. ჭალაგანიძე – აკადემიური საბჭოს თავმჯდომარე, სსმმა-ის პრეზიდენტი;
2. აკად. გ. ალექსიძე – სსმმა-ის ვიცე-პრეზიდენტი;
3. აკად. გ. ჯაფარიძე – სსმმა-ის ვიცე-პრეზიდენტი, აკადემიის აკადემიკოს-მდივანი;
4. აკად. გ. მარგველაშვილი – აგრონომიული დარგობრივი-სამეცნიერო განყოფილების აკადემიკოს-მდივანი;
5. აკად. რ. მახარობლიძე - საინჟინრო დარგობრივი-სამეცნიერო განყოფილების აკადემიკოს-მდივანი;

6. აკად. ზ. ცქიტიშვილი - მეცნოველეობის, ვეტერინარიის, საკვებწარმოებისა და მეცნოველეობის პროდუქტების გადამუშავების დარგობრივი-სამეცნიერო განყოფილების აკადემიკოს-მდივანი;
7. აკად. ნ. ქარქაშაძე – ეკონომიკის დარგობრივი-სამეცნიერო განყოფილების აკადემიკოს-მდივანი;
8. აკად. ნ. ბალათურია;
9. აკად. პ. ნასყიდაშვილი;
10. აკად. რ. ჩაგელიშვილი;
11. აკად. გ. ცანავა.

2.3. საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის აკადემიური საბჭოს 2012 წლის სამუშაო გეგმა

(დამტკიცებულია საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის აკადემიური საბჭოს სხდომაზე 23.12.11. ოქმი №13).

| № | აკადემიურ საბჭოზე განსახილველი საკითხები | განხილვის დრო | დარგობრივი განყოფილება, მომსხვენებელი | შენიშვნა |
|----|-------------------------------------------------------------------|---------------|----------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------|----------|
| 1 | 2 | 3 | 4 | 5 |
| 1. | ბიოჰუმუსის წარმოების მდგომარეობა და პერსპექტივები საქართველოში | 27 იანვარი | საქართველოს ფერმერთა სახლის გენერალური დირექტორი, ინფორმაციის საერთაშორისო აკადემიის აკადემიკოსი – ლერი გიგინეიშვილი | |
| 2. | შპს “მექანიზატორის” საქმიანობის შესახებ | 27 იანვარი | შპს “მექანიზაციის” გენერალური დირექტორი – ბესარიონ თეთვაძე | |

| | | | | |
|----|--------------------------------------------------------------------------------------------------------------------|----------------------|-------------------------------------------------------------------------------------------------------------------------|--|
| 3. | აგროპროდუქტის ექსპორტ-იმპორტის ტენდენციები | 24 თებერვა- ლი | აკადემიკოსი შოთა ჭალაგანიძე; აკადემიის წევრ- კორესპონდენტი თამაზ კუნჭულია | |
| 4. | საქართველოში ბზის დაავადებების არსებული მდგომარეობა და მათ წინააღმდეგ ბრძოლის დონისძიებების შესახებ | 24 თებერვა- ლი | აკად.დოქტორი არჩილ სუპატაშვილი – საქართველოს აგრარული უნივერსიტეტის სამთო მეტყევეობის ინსტიტუტი | |
| 5. | სალიზინგო საქმიანობის განვითარების შესახებ საქართველოს სოფლის მეურნეობაში | 30 მარტი | აკადემიკოსი შოთა ჭალაგანიძე; აკადემიის წევრ- კორესპონდენტი თამაზ კუნჭულია | |
| 6. | ნიადაგის მინიმალური დამუშავებისათვის კომბინირებული მანქანების კონსტრუქციების სრულყოფის საკითხებისათვის | 30 მარტი | აკადემიის წევრ- კორესპონდენტი ელგუჯა შაფაქიძე | |
| 7. | საქართველოს სოფლის დემოგრაფიული პრობლემები და სოციალური განვითარება. | 25 აპრილი | პროფესორი ანზორ თოთაძე | |
| 8. | სამკურნალო, არომატული, სანელებელი და შხამიანი მცენარეების ბიომრავალფეროვნება და მდგრადი გამოყენება | 25 აპრილი | პროფესორი თამარ კაჭარავა | |

| | | | | |
|-----|--------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------|-----------|---------------------------------------------------------------------|--|
| 9. | საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტის თამაზ თურმანიძის ანგარიში 2011 წელს ჩატარებული სამეცნიერო-კვლევითი მუშაობის შესახებ. | 30 მაისი | აკადემიის წევრ-კორესპონდენტი თამაზ თურმანიძე | |
| 10. | ბიზნეს გარემოს როლი საქართველოს სოფლის მეურნეობის განვითარებაში. | 30 მაისი | აკადემიკოსი ნაპოლეონ ქარქაშაძე | |
| 11. | საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსის ვალერიან ცანავას ანგარიში 2011 წელს ჩატარებული სამეცნიერო-კვლევითი მუშაობის შესახებ. | 29 ივნისი | აკადემიკოსი ვალერიან ცანავა | |
| 12. | საქართველოს ტყეების თანამედროვე მდგრმარეობა | 29 ივნისი | აკადემიკოსი რევაზ ჩაგელიშვილი | |
| 13. | ინფორმაცია საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის სამეცნიერო ჟურნალ „მოამბისა“ და სარეკლამო-საინფორმაციო ბიულეტენის „აკადემიის მაცნის“ საქმიანობის შესახებ. | 29 ივნისი | სამეცნიერო ჟურნალ „მოამბის“ პასუხისმგებელი მდივანი მიხეილ შებიორიძე | |
| 14. | კაპელე-ენ-პეგელეში (საფრანგეთი) ევროპის მცნარეთა გენეტიკური რე-სურსების კოპერირებული პროგრამის ბეტა ჯგუფის და ქსელის მე-4 თათბირის შესახებ. | 27 ივლისი | აკადემიკოსი გურამ ალექსიძე | |
| 15. | საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის აკადემიური დეპარტამენის ფერმერებთან კავშირისა და საქმიანობის კოორდინატორის ქეთევან მჭედლიშვილის ანგარიში ჩატარებული მუშაობის შესახებ. | 27 ივლისი | აკად. დოქტორი ქეთევან მჭედლიშვილი | |
| 16. | საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის საერთაშორისო ორგანიზაციებთან კავშირისა და საქმიანობის | 27 ივლისი | დოქტორანტი თინათინ ეპიტაშვილი | |

| | | | |
|-----|---------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------|--------------------|---------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------|
| | კოორდინატორის თინათინ ეპიტაშვილის ანგარიში ჩატარებული მუშაობის შესახებ. | | |
| 17. | ცხოველთა ძირითადი ინფექციური დაავადებების საწინააღმდეგო დონისძიებათა პროგრამების შესახებ. | 24აგვისტო | აკადემიის წევრ- კორესპონდენტი თენიზ ყურაშვილი |
| 18. | საქართველოს მეცხოველეობის განვითარების ძირითადი ასპექტები. | 24აგვისტო | სრული პროფესორი როლანდ მიტიჩაშვილი |
| 19. | საქართველოს სოფლის მეურნეობის დარგობრივ-რეგიონული პროგრამების შესრულების მიმდინარეობა (საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტროს დაკვეთა). | 28 სექტემ- ბერი | აკადემიკოსი პეტრე ნასყიდაშვილი (მემარცვლეობა) აკადემიკოსი იუზა გასაძე (მეხილეობა) სრული პროფესორი ლევან თორთლაძე (მეცხოველეობა) დოქტორი ნატო კაკაბაძე (მებოსტნეობა) |
| 20. | საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის წევრ- კორესპონდენტის ოთარ ლიპარტელიანის ანგარიში 2011 წელს ჩატარებული სამეცნიერო-კვლევითი მუშაობის შესახებ. | 26 ოქტომ- ბერი | აკადემიის წევრ- კორესპონდენტი ოთარ |
| 21. | მინდვრად საკვებწარმოება და მისი განვითარების პერსპექტივები საქართველოში. | 26 ოქტომ- ბერი | აკადემიის წევრ- კორესპონდენტი გივი ცაგურიშვილი |

| | | | | |
|-----|---------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------|-----------------|----------------------------------------------------------------|--|
| 22. | მევენახეობის არსებული მდგომარეობა და განვითარების პერსპექტივები საქართველოში. | 29 ნოემბერი | აკადემიკოსი ნოდარ ჩხარტიშვილი | |
| 23. | მეფუტკრეობის არსებული მდგომარეობა და განვითარების პერსპექტივები საქართველოში | 29 ნოემბერი | აკად. დოქტორი ბორის წითლიძე | |
| 24. | საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსის ზაურ ჩანქსელიანის ანგარიში 2011 წელს ჩატარებული სამეცნიერო-კვლევითი მუშაობის შესახებ. | 28 დეკემბერი | აკადემიკოსი ზაურ ჩანქსელიანი | |
| 25. | საქართველოში კოლაერაციული მშენებლობის პრინციპული ასპექტების შესახებ. | 28 დეკემბერი | აკადემიის წევრ- კორესპონდენტი თამაზ გუნდულია | |
| 26. | საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიაში 2013 წელს ჩასატარებელი ოემატიური ღონისძიებების გეგმა-გრაფიკის შესახებ. | 28 დეკემბერი | გიცე- პრეზიდენტი, აკადემიკოს მდიგანი გიგი ჯაფარიძე | |

2.4. საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის აკადემიურ საბჭოში 2012 წელს განვიღებული საკითხების მოპლე მიმოწილვა

საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემია თავის საქმიანობას წარმართავს აკადემიის წესდების შესაბამისად ჩამოყალიბებული სამუშაო გეგმის მიხედვით. აკადემიური საბჭოს სხდომა ტარდება ყოველთვიურად (კვარტალში სამი გეგმიური სხდომა) და იხილავს აგრარული მეცნიერების აქტუალურ საკითხებს, თანამედროვე მდგომარეობას, სადღესო ამოცანებს, განვითარების პერსპექტივებს და სხვ. გაზეთი “აკადემიის მაცნე”, რომელიც გამოდის კვარტალში ერთხელ, სისტემატიურად აშუქებს აკადემიის საქმიანობას, აკადემიური საბჭოს სხდომაზე განხილულ ცალპეტულ მნიშვნელოვან საკითხებს, თანამედროვე საინტერესო მოვლენებსა და მათდამი მიღებული მოწინავე გამოცდილებასა და ტექნოლოგიებს და სხვ. გაზეთში ასევე ეთმობა ყურადღება საზღვარგარეთის სამეცნიერო ცენტრებთან თანამშრომლობის მდგომარეობისა და განვითარების პერსპექტივებს.

2.4.1. საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის აკადემიურმა საბჭომ 2012 წლის 27 იანვარს მოისმინა “საქართველოს ფერმერთა სახლი” გენერალური დირექტორის, მეცნიერებათა დოქტორის ლერი გიგინეიშვილის მოხსენება “ ბიოპუმუსის წარმოების მდგომარეობა და პერსპექტივები საქართველოში”.

აღინიშნა, რომ მემცენარეობისა და მეცხოველეობის დარგების განვითარებისათვის დიდი მნიშვნელობა აქვს ნიადაგის იმ ზედაპირულ შრეს, რომელიც ბუნებამ შექმნა მილიონი წლების განმავლობაში. ნიადაგის ნაყოფიერებაზეა დამოკიდებული არა მარტო მიღებული პროდუქციის რაოდენობა, არამედ მისი სამომხმარებლო და ხარისხობრივი მაჩვენებლები, რომლებიც განპირობებულია, აგრეთვე, ნიადაგის აგროქიმიური, აგროფიზიკური და ბიოლოგიური თვისებებით. როგორც წესი, ნიადაგის ნაყოფიერების შესაფასებლად პირდაპირი მაჩვენებლებით სარგებლობენ, რომელთა შორის უმთავრეს პარამეტრებია N, P₂, K₂O და pH და წარმოადგენს ორგანული ნივთიერების (ჰუმუსის) შემცველობის ხვედრით წილს.

საქართველოში ნიადაგებში გამოიკვეთა ჰუმუსის და საერთო აზოგის შემადგენლობის შემცირების ტენდენცია. მაგალითად, შავმიწა ნიადაგებში უკანასკნელი 300 წლის განმავლობაში ეს მაჩვენებელი მკვეთრად შემცირდა, შესაბამისად 27% და 28%-ით.

მინერალური სასუქებით გატაცებამ წლების მანძილზე დააკნინა ორგანული სასუქების მასობრივი გამოყენება და ორგანული სასუქების ეფექტიანობის მრავალჯერადი ამაღლება შესაძლებელი გახდა ნაკელისა და სხვა ორგანული ნარჩენების გადამუშავების გზით წითელი ჭიაყელების – EISENIA FOETIDA ჯიშის გამოყენებით, რის შედეგადაც მიიღება ვერმიკომპოსტი ანუ ბიოპუმუსი.

ბიოპუმუსი წარმოადგენს ნაკელისა და სხვა ორგანული ნარჩენების ფერმენტირებულ სუბსტრატს წითელი კალიფორნიული ჭიაყელების მიერ გადამუშავებულ ნივთიერებას. სხვა ორგანულ, ორგანულ-მინერალურ სასუქებთან შედარებით მას გააჩნია მთელი რიგი უპირატესობანი. ბიოპუმუსში

აკუმულირებულია მცენარეთა მკვებავი ნივთიერებების დიდი მრავალფეროვნება (ვიტამინები, ანტიბიოტიკები, ამინომჟავები, სასარგებლო მიკროფლორა), რომლის ათვისება ხდება უშუალოდ მცენარეთა ფესვთა სისტემით და ხელს უწყობს მათ ზრდა-განვითარების პროცესს. ბიოჰუმუსს – კონცენტრირებულ ორგანულ სასუქს დიდი მნიშვნელობა აქვს ეკოლოგიურად სუფთა მოსავლის მისაღებად, როგორც დია გრუნტში - ისე საობურებში. მაგალითად, პომიდორის მოსავლიანობა იზრდება საშუალოდ 25%, კომბოსტოსი - 27%, საადრეო კარტოფილის - 22%, სასილოსე სიმინდის - 30%.

უკანასკნელ წლებში მსოფლიოს ბევრ ქვეყანაში ინტენსიურად ვითარდება ბიოჰუმუსის სამრეწველო წარმოების მეთოდები წითელი კალიფორნიული ჯიშის ჭიაყელების გამოყენებით ჯანსაღი, კონკურენტუნარიანი, ეკოლოგიურად სუფთა აგრარული პროდუქციის საწარმოებლად. საქართველოში ამ მიმართულებით ცოტა რამ კეთდება, იშვიათ გამონაკლისს წარმოადგენს რამდენიმე კერძო ინიციატივა, რაც არასაკმარისია. გასათვალისწინებელია საქართველოს მთავრობის 2010 წლის 28 დეკემბრის №1756 განკარგულებით დამტკიცებული სტრატეგია და საკანონმდებლო მიახლოვების პროგრამა სურსათის უვნებლობის სფეროში. 2011 წლიდან ამოქმედებულია “სურსათის უვნებლობისა და ხარისხის შესახებ” საქართველოს კანონის შეჩერებული მუხლები, რომლის მიხედვითაც საგადადებულო ხდება შიდა და გარე აგრარულ ბაზარზე მოქმედი ყველა ბიზნეს-ოპერატორის მიერ სურსათის ხარისხის და უვნებლობის მოთხოვნილებების დაკმაყოფილება.

ბიოჰუმუსის წარმოებისათვის საჭიროა: ნედლეულის მოპოვება, დაჯგუფება, დაქუცმაცება, დოზირება და აერობული წესით ფერმენტირებული სუბსტრატის მიღება, ფერმენტირებულ სუბსტრატში წითელი ჭიაყელების ჩასახლება და მათი არსებობისთვის საჭირო კლიმატური პირობების შექმნა. ტექნოლოგიურ პროცესში არ გამოიყენება არავითარი არაბიოლოგიური წარმოშობის ნივთიერება.

დანიშნულების მიხედვით წარმოების ტექნოლოგია შესაძლოა გაიყოს ორ ჯგუფად: I პირადი მოხმარება: (მცირე ფერმერული მეურნეობები, მებაღეობა-მებოსტნეობა, სააგარაკე, დამხმარე საკარმიდამო და შინა მეურნეობები) და II აგროსამრეწველო ობიექტები (ქალაქების გამწვანება, საშუალო და მსხვილი ფერმერული-სასათბურე მეურნეობები, სპეციალიზირებული სასწავლებლები, სკოლები, აგროტურიზმის ობიექტები)

კალიფორნიული წითელი ჭიაყელას საარსებო საკვებ გარემოს წარმოადგენს ფერმენტირებული სუბსტრატი. იგი ნაკლებად მოძრავია, ძნელად ეგუება გრუნტს, გამოირჩევა დიდი ნაყოფიერებით, წლის განმავლობაში შთამომავლობის სახით წარმოქმნის 1000 ჭიაყელას და სიცოცხლის ხანგრძლივობა 15-16 წლიდა. დღე-დამეში გადამუშავებს თავის წონაზე 2-ჯერ მეტ სუბსტრატს; მიღრეკილება აქვთ ერთ ადგილას ცხოვრებისკენ, აქტიურია + 15, +25 °C ტემპერატურის და ტენიანობის 60-70 % დიაპაზონში.

ბიოჰუმუსის ძირითადი მახასიათებლები: ჰუმინიური მჟავები 6-18 %, pH რეაქცია 6,5-7,2, საერთო აზოტი (N) 0,9-3%, საერთო ფოსფორი (P) 0,9-2,5%, საერთო კალიუმი (K) 0,6-2,5%, მაგნიუმი (Mg) 0,5-2,3%, რკინა (F) 0,5-2,5%, სპილენი

(Cu) 3,5-5,1 მგ/კგ, მანგანუმი (Mn) 60-80 მგ/კგ, მოლიბდენი (Mo) 28-35 მგ/კგ, ბაქტერიული ფლორა 20 000 მლრდ კოლონია გრ, ტენიანობა 30-50%, მშრალი ორგანული ნივთიერება 30-70%.

კომპოსტირებისას სუბსტრატი გადის შემდეგ სტადიებს: ლაგ-ფაზა (lag phase), მეზოფილური ფაზა (mesophilic phase), თერმოფილური ფაზა (termophilic phase), ფინალური ფაზა (final phase). კომპოსტირებისთვის კრიტიკული ფაქტორებია: pH ნეიტრალური 6.8-7.0, მუდმივი აერაციის პირობებში ჟანგბადის შემცველობა 16 – 18% ტენიანობა 50 – 60% ტემპერატურა: ფაზების მიხედვით ცვალებადია: მაქსიმუმი არ უნდა აღემატებოდეს 60-65 °C, ნაწილაკების დისპერსულობა 0.3 – 5.0 სმ-ის ფარგლებში. საკომპოსტე მასის ფორმა და ზომები: სიმაღლე - 150 სმ, სიგანე - 250 სმ, სიგრძეს - მნიშვნელობა არა აქვს.

ბიოპუმჟსის წარმოების პროცესი გულისხმობს ცხოველების ნაკელისა თუ სხვა ბიონარჩენების სრული ფერმენტაციის შედეგად მიღებული კომპოსტის გადამუშავებას ჭიაყელების მიერ. ამ ბუნებრივ პროცესს სჭირდება დაჩქარება ჟანგბადისა და ბიოპრეპარატების („ემ“ ტექნოლოგია) და შესაბამისი აგრო-ბიო-ტექნოლოგიური რეჟიმების გამართვა. მოხსენებაში მოყვანილია სოფელ ველისციხეში (გურჯაანის რ-ნი) პილოტ-ფაბრიკის აღწერა, სადაც გამოყენებულია ორი მეთოდი: I ტრადიციული, ზვინულას მეთოდი, და II კონვეირული მეთოდი. რომელიც ითვალისწინებს პროდუქციის მაღალ ხარისხს, და დიდ წარმადობას სანიტარულ-ჰიგიენური პირობების დაცვით – მთელი წლის განმავლობაში.

„საქართველოს ფერმერთა სახლი“ ჩატარებულ კვლევებზე დაყრდნობით გეგმავს 2012-13 წლებში ბიოპუმჟსის მწარმოებელი 4 მინი-ფაბრიკის ორგანიზებას კახეთის, მცხეთა- მთიანეთის, სამეგრელოს და აჭარის რეგიონებში, რაც დაეხმარება საქართველოს ფერმერულ მეურნეობებს აწარმოონ კონკურენტუნარიანი, ეკოლოგიურად სუფთა სასოფლო-სამეურნეო პროდუქცია, რომელიც დააკმაყოფილებს ეკოკავშირის რეგულაციის მოთხოვნებს ადგილობრივ და ეკოკავშირის ქვეყნებში ბიოპროდუქტების ექსპორტისათვის.

2.4.2. საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის აკადემიურმა საბჭომ ამავე სხდომაზე განიხილა მოხსენება შპს „მექანიზატორის“ საქმიანობის შესახებ. მომხსენებელი: შპს „მექანიზატორის“ გენერალური დირექტორი – ბესარიონ თეთვაძე.

აღინიშნა, რომ 2009 წელს საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტროს ინიციატივით, საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტროს 29 დეკემბრის №1-1/2929 ბრძანებით შეიქმნა შპს „მექანიზატორი“, რომლის 100%-იან წილსაც ფლობდა სახელმწიფო. 2010 წლის დეკემბერში განხორციელებული ცვლილებების შედეგად კომპანიის წილის 100% გადაეცა სს „საქართველოს სოფლის მეურნეობის კორპორაციას“, რომელიც დღემდე წარმოადგენს კომპანიის ერთადერთ პარტნიორს. კომპანიის საწესდებო კაპიტალი 2012 წლის მდგომარებით განსაზღვრულია 44 890 330 ლარით და მოიცავს

შენობა-ნაგებობებს, სასოფლო-სამეურნეო ტექნიკას, მიწებს, ეროვნულ ვალუტასა და სხვა აქტივებს.

შპს „მექანიზატორი“ საქმიანობს აგრარულ სექტორში და მოიცავს საქართველოს თითქმის ყველა რეგიონს. კომპანიის საქმიანობის ძირითადი მიმართულებებია: მცირე და მსხვილი ფერმერების მომსახურება სასოფლო-სამეურნეო ტექნიკით; სასოფლო-სამეურნეო ტექნიკის შესყიდვა და რეალიზაცია; სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის მწარმოებელთა (ფერმერთა) ინფორმაციით უზრუნველყოფა, კონსულტაციების გაწევა და ტრეინინგების ჩატარება; სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის წარმოებაში თანამედროვე ტექნოლოგიების დანერგვა; სასოფლო-სამეურნეო ტექნიკაზე სერვისული მომსახურების გაწევა (რემონტი, მარაგი ნაწილებით უზრუნველყოფა).

ბაზარზე არსებულ კონკურენტებთან შედარებით შპს „მექანიზატორს“ გააჩნია რიგი უპირატესობები: სამუშაოთა შესრულებისას ორგანიზებულობა; მობილურობა და ოპერატიულობა; უახლესი სასოფლო-სამეურნეო ტექნიკა და აგრეგატები; გამოცდილი ოპერატორები და მაღალკულიფიციური კონსულტანტები სასოფლო-სამეურნეო საკითხებში; სამუშაოს შესრულების მაღალი ხარისხი; კლიენტებთან ანგარიშსწორების გამჭვირვალე სისტემა;

კომპანია ქვეყნის მასშტაბით ახორციელებს 30-მდე სახეობის სხვადასხვა ოპერაციებს, მათ შორისაა: ნიადაგის მოხვნა, ღრმად დამუშავება ე.წ. „ჩიზელით“ ან ზემძიმე დისკონტინუური ფარცხით; ხნულის დადისკვა დისკონტინუური ფარცხით ან დაფარცხვა თითებიანი ფარცხით; საშემოდგომო და საგაზაფხულო თავთავიანი კულტურების, ასევე სიმინდის და მზესუმზირის თესვა სასუქის შეტანით; ნათესების კულტივაცია სასუქის შეტანით; ხნულის ფრეზირება ჩვეულებრივი და ვერტიკალური ფრეზით (ვენახის ან ბაღისათვის) და სხვა...

კომპანია ოპერირებს საქართველოს თითქმის მთელ ტერიტორიაზე, ყველა რეგიონში. 2011 წლის სექტემბრის თვიდან კომპანიამ დაიწყო ახალი სერვისცენტრების მშენებლობა; განისაზღვრა პირველი თანამედროვე სტანდარტების სერვის ცენტრის მშენებლობის ადგილები; შეიქმნა ტექნიკური დავალება და შეირჩა საპროექტო სამუშაოებზე მომუშავე კომპანია და მიმდინარეობს ტექნიკური დეტალების დაზუსტება. ამჟამად სერვის ცენტრების მშენებლობა უკვე მიმდინარეობს 12 მუნიციპალიტეტში. ყველა რეგიონის სერვის ცენტრის ძირითადი მახასიათებლები იქნება ტიპიური;

ექსტენციის ცენტრში განსაზღვრულია: საკლასო ოთახი - გათვალისწინებული 30 მსმენელზე; **ლაბორატორიები:** ნიადაგის ანალიზის ლაბორატორია; მცენარეთა მავნებლების და დაავადებების ანალიზის; ცხოველთა მოვლის, კვების და დაავადებების გამოკვლევის; თესლის ხარისხის და შხამქიმიკატების ანალიზის და კლიმატური პირობების პროგნოზირების ლაბორატორია.

ადმინისტრაციული შენობა: მათ შორის: მმართველის ოთახი; საფინანსო განყოფილება - 2 პერსონა; იურიდიული განყოფილება - 2 პერსონა; მენეჯერის ოთახი - 5 პერსონა; **სერვისული მომსახურების ოთახები,** მათ შორის: შეხვედრების ოთახი 30 პერსონაზე; ბანკი (6-10 კვ. მ); საკონსულტაციო ცენტრი; შხამქიმიკატების მაღაზია; **სასტუმრო ოთახი;** (7-10 ადამიანზე, 3 ოთახი სველი წერტილებით) სერვისცენტრის ტერიტორიაზე განთავსდება **საგუშაგო;** მოეწყობა სველი წერტილი - აბაზანა (დუში 5 ადამიანზე); ავტოგასამართი **სადგური** (20+20+10 ტონიანი ორი პისტოლეტით); **სასაწყობეფართი - 70 კვ/მ ორ ნაწილად;** სარემონტო **სადგური:** ორი ბოქსი; ვულკანიზაცია 20კვ/მ; სახარატო ოთახი 20 კვ/მ - 30კვ/მ. სამრეცხაო ორი ღია ფარდულით, წყლის რეზერვუარი 20 ტონიანი; ღია ტიპის ფარდულები (ეწ. "ნავესი") 40-50 ტრაქტორი; 25-30 კომბაინი; აგრეგატები 100 ერთეული (სიგრძე- 5 მ.) ტერიტორია **შემოსაზღვრული იქნება ღობით** (დაბალი კედელი + მავთულბადე) სულ საპროექტო-სამშენებლო სამუშაოების ღირებულებაა 2 070 000

კომპანიის ტექნიკური პარკი ძირითადად ევროპული თანამედროვე სტანდარტების ტექნიკითაა წარმოდგენილი "მექანიზატორის" საკუთრებაშია 41 კომბაინი, 157 ტრაქტორი და 450-მდე სხვადასხვა სახის მისაბმელი ტექნიკა. კომპანიის პარკის შემადგენლობა ისეთი მსოფლიო ბრენდებითაა წარმოდგენილი როგორიცაა: **New Holland, John Deer, Sampo, Kuhn.** კომპანიის ბალანსზე რიცხული ტრაქტორების სიმძლავრე არის 18 147 ცხ.დ (12 700 კვტ.) მოთხოვნის შესაბამისად, მოცემული სიმძლავრით შესაძლებელია 15 000 ჰა-მდე მიწის ფართობზე სხვადასხვა აგროტექნიკური ოპერაციების ჩატარება. ასევე კომპანიის ბალანსზე ირიცხება 28 ერთეული მარცვლეულის ამღები კომბაინი საერთო სიმძლავრით 4640 ცხ.დ (3250 კვ.ტ.), მოთხოვნის შესაბამისად, მოცემული სიმძლავრით შესაძლებელია 12 000 ჰა-მდე ფართობზე მარცვლეული კულტურების მოსავლის აღება 2011 წლის 5 თვის მონაცემებით შპს „მექანიზატორმა“ სხვადასხვა აგროპერაციების სახით სულ მომსახურება გაწია 15 107 ჰა მიწაზე და აქედან მიღებულ იქნა შემოსავლის სახით 839 761 ლარი.

კომპანიის განვითარებისათვის გამოიყოფა რამდენიმე პრიორიტეტული მიმართულება. ესენია: კადრების გადამზადება; სასოფლო-სამეურნეო ტექნიკის სარემონტო ბაზების შექმნა; თანამედროვე სასოფლო-სამეურნეო ტექნიკის შემოყვანა და ტექნოლოგიების დანერგვა წარმოების პროცესში; შიდა მეურნეობის განვითარება, სათესლე მასალის წარმოება.

2.4.3. საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის აკადემიურმა საბჭომ 2012 წლის 24 თებერვალს განიხილა აკადემიკოს შ. ჭალაგანიძის და აკადემიის წევრ-კორესპონდენტის თ. კუნძულიას მოხსენება “აგროპროდუქციის ექსპორტ-იმპორტის ტენდენციები საქართველოში”

საქართველოში ბოლო წლებში ჩამოყალიბდა ყველა სახის პროდუქციის ექსპორტი – იმპორტის ზრდის ტენდენცია. ანალოგიური სურათი შეინიშნებოდა აგროპროდუქციის სეგმენტშიც. 2010 წელს, 2000 წელთან შედარებით ექსპორტი გაზრდილია 3-ჯერზე მეტად, ხოლო იმპორტი 4,2-ჯერ.

აღსანიშნავია, რომ საბჭოთა წლებში საქართველოდან რესპუბლიკათაშორის საქონელგაცვლაში მონაწილე 9 დარგიდან (მაშინ მოქმედი ფასებისა და ტრანსპორტირების გარიფების გათვალისწინებით) დადგებითი სალდო ჰქონდა მხოლოდ აგროპროდუქციის ექსპორტს – 1430,8 მლნ რუბლი, რაც 1,7-ჯერ აღემატებოდა ანალოგიური პროდუქციის იმპორტს. დანარჩენი პროდუქტების ურთიერთმიწოდების სალდო უარყოფითი იყო და 1989 წელს 384,8 მლნ რუბლს შეადგენდა.

სსრკ დახურული ბაზრის დაკარგვის შემდეგ განვითარებული მოვლენების გამო, აგროპროდუქციის ექსპორტში სერიოზული რაოდენობრივი და სტრუქტურული ცვლილებები მოხდა, გაჩნდა ახალი საექსპორტო სასაქონლო ჯგუფები, რომლებიც სულ უფრო მზარდ ადგილს იკავებენ ქვეყნებიდან გატანილი პროდუქციის მთლიან მოცულობაში. მაგალითად, ბოლო სამი წლის მონაცემებით დაწინაურდა ცოცხალი ცხოველების – მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვის, ცხვრისა და თხის ექსპორტი, რომელთა მთლიანმა კომერციულმა დირებულებამ 2010 წელს 34 მლნ აშშ დოლარი შეადგინა. სერიოზული საექსპორტო სასაქონლო პოზიცია გახდა თხილი, რომლის ღირებულება ბოლო წლების მონაცემებით 65–70 მლნ აშშ დოლარს შორის მერყეობდა. ასევე ზრდის ტენდენციით ხასიათდებოდა მინერალური წყლისა და ყურძნის ნატურალური დვინოების ექსპორტი, შესაბამისად 38 და 9 პროცენტით.

გარდა ზემოთჩამოთვლილი პროდუქტებისა, საანალიზო წლებში ზრდის ტენდენციით ხასიათდებოდა თევზის, ბოსტნეულის, დაფნის ფოთლის, მრავალწლოვანი მცენარეების თესლისა და ნაყოფის, სამკურნალო და ტექნიკური დანიშნულების მცენარეების, ხილისა და ბოსტნეულის წვენების, სპირტიანი სასმელების ექსპორტი. ამავე პერიოდში ჩამოყალიბდა ჩაისა და სხვა ტრადიციული პროდუქტების ექსპორტის შემცირების ტენდენცია.

ამავე წლებში ზრდის ტენდენციით ხასიათდებოდა აგროპროდუქციის იმპორტი და მან 2006, 2007 და 2008 წლებში ყველაზე მაღალ ნიშნულს მიაღწია, შესაბამისად 842; 855 და 935 მლნ აშშ დოლარს. 2000 – 2010 წლებში აგროპროდუქციის ხედრითი წონა მთლიან იმპორტში 14,8 – 31,4 პროცენტს შორის მერყეობდა. ტრადიციულ საიმპორტო პროდუქტებთან ერთად: (ხორბალი და ხორბლის ფქვილი, მცენარეული ზეთი, შაქარი, ხორცი და ხორცის პროდუქტები, რძე და რძის პროდუქტები და სხვა). გაიზარდა იმ პროდუქტების იმპორტი, რომელთა წარმოებისათვის საქართველოში ხელსაყრელი ნიადაგურ-კლიმატური პირობებია და მოვლა-მოყვანის გამოცდილებაც არსებობს. მაგალითად, 2010 წელს, 2000 წელთან შედარებით კარტოფილის იმპორტი გაზრდილია 3,7-ჯერ, პომიდორის – 3,5-ჯერ, ხახვის, ხახვისნაირების და ნიორის 42,2-ჯერ. მეცხოველეობის საკვების იმპორტმა 21 მლნ აშშ დოლარს გადააჭარბა.

კვების პროდუქტების იმპორტის ზრდა მიუთითებს ქვეყანაში მოცემულ პროდუქტებზე მოთხოვნისა და მისი გაყიდვის გარანტიის არსებობაზე, რასაც მოთხოვნა-მიწოდების კანონიდან გამომდინარე თავისუფალ ბაზარზე ადგილობრივი წარმოების გამოცოცხლება უნდა გამოეწვია, რაც ფაქტიურად არ მოხდა შესაბამისი ცოდნისა და ინფრასტრუქტურის უქონლობის გამო. უფრო მეტიც, პროდუქციის იმპორტის ზრდის კვალდაკვალ მოხდა ადგილობრივი წარმოების შემცირება, მათ შორის მოსახლეობისათვის სასიცოცხლოდ აუცილებელი პროდუქტების. ბოსტნეულით მოსახლეობის თვითუზრუნველყოფის მაჩვენებლი 70, ხოლო კარტოფილით – 86 პროცენტამდე შემცირდა და ა.შ. ყოველივე ეს მიუთითებს აგროწარმოების არამდგრადობაზე, რომლის დაძლევა შესაძლებელია ისეთი ბერკეტების გამოყენებით, როგორიცაა ვაჭრობის მსოფლიო ორგანიზაციის წევრობა, რაც ჩვენს მეწარმეებს სხვა ქვეყნების ბაზარზე პროდუქციის დაბალი საბაჟო ტარიფებით შეტანის უფლებას აძლევს. ამ შემთხვევაში აუცილებელია მხოლოდ მოცემულ პროდუქციაზე იმპორტიორ ქვეყანაში დაწესებული ხარისხის სტანდარტის დაცვა. საქართველოსათვის უაღრესად ხელსაყრელია ღრმა და ყოვლისმომცველი ვაჭრობის შესახებ ევროკავშირთან მოლაპარაკებების წარმატებით გამართვა, რაც გაერთიანების ქვეყნების ბაზარზე GSP+ პროგრამით გათვალისწინებული 7200-ზე მეტი დასახლების პროდუქციის საბაჟო გადასახადის გარეშე შეტანის უფლებას იძლევა. ექსპორტის ზრდისათვის აგრეთვე უდიდესი მნიშვნელობა აქვს აშშ ადმინისტრაციის გადაწვეტილებას საქართველოსთან ვაჭრობის თავისუფალი რეჟიმის შემოღების შესახებ, რასაც ამერიკა დღემდე მსოფლიოს მხოლოდ 17 ქვეყანასთან იყენებდა.

2.4.4. საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის აკადემიურმა საბჭომ 2012 წლის 24 თებერვალს განიხილა აგრარული უნივერსიტეტის ვასილ გულისაშვილის სატყეო ინსტიტუტის ტყის დაცვის განყოფილების მეცნიერ თანამშრომლების, დოქტორების: არჩილ სუატაშვილის და ბიძინა თავაძის მოხსენება “საქართველოში ბზის დაგადებების არსებული მდგრმარეობა და მათ წინააღმდეგ ბრძოლის დონისძიებების შესახებ.”

აღინიშნა, რომ 2011 წელს ჩატარებული სატყეო-პათოლოგიური გამოკვლევისას დადგინდა, რომ საქართველოში გავრცელებულია და თანდათანობით ფართო ხასიათს იღებს აქამდე უცნობი სოკოვანი დაავადება ბზის ფოთლების მოწვა, რომლის გამომწვევი სოკო *Cylindrocladium buxicola*.

ამჟამად ბუნებრივი ბზების, როგორც ხეების, ისე ბუჩქების, ინტენსიური ხმობა აღინიშნება წალენჯიხისა და მარტვილის რაიონებში, კოლხეთის ეროვნულ პარკში, კინტრიშის დაცულ ლანდშაფტში და მტირალას ეროვნულ პარკში; ხოლო, ჯერჯერობით სუსტი ინტენსივობით აღინიშნება ხმობა ჭოროხისა და მაჭახელას ხეობებში. ჩატარებული დაზვერვითი გამოკვლევებით დგინდება, რომ საქმე გვაქს კავკასიის ენდემური სახეობის კოლხური ბზის - *Buxus Colchica Pojark.*, როგორც სახეობის ეკოლოგიურ კატასტროფასთან.

კოლხური ბზა (*Buxus colchica Pojark.*) საქართველოს ტყეების ერთ-ერთი ყველაზე ძვირფასი და იშვიათი სახეობაა. იგი საქართველოს დენდროფლორის რელიქტია.

ბზა ბუნებრივად მირითადად გვხვდება დასავლეთ საქართველოში, სუბტროპიკულ ზონაში. გავრცელებულია ფრაგმენტულად მცირე ფართობებზე ბუჩქებისა და მცირე სიმაღლის ხეების სახით.

აღმოსავლეთ საქართველოში კი მისი გავრცელება დაკავშირებულია „ბზობის“ საკულტო დღესასწაულთან, მისი ნერგების გადატანის გამო.

ბზა მცირე რაოდენობით შერეულია კოლხური ტყის ისეთ სახეობებთან, როგორიცაა: მურყანი (*Alnus barbata C.M.M.*), ხურმა (*Diospyrus lotus W.*), ნეკერჩელები (*Acer campestre W.*, *A. Waetum C.M.M.*), დაფნა (*Waurus nobilis W.*), იმერეთის მუხა (*Querqus imeretina Sten.*) და სხვა მრავალი.

ზემოთ აღნიშნულ უბნებში ბზიანების სატყეო-პათოლოგიური გამოკვლევების საჭიროება გამოიწვია იმ გარემოებამ, რომ უკანასკნელ წლებში დასავლეთ საქართველოს სხვადასხვა რაიონებიდან შემოსული ინფორმაციის თანახმად აქ აღინიშნება ბზების ინტენსიური ხმობა, როგორც ბუჩქების, ისე ხეებისაც.

სატყეო-პათოლოგიური გამოკვლევებისას გამოყენებული იყო ვიზუალური, რეკოგნიცირებული, მარშრუტული, ლაბორატორიული კვლევისა და ანალიზის მეთოდები.

კოლხეთის ბზა (*Buxus Colchica Pojark.*) შედის ბზისებრთა ოჯახის (*Buxaceae Baill.*) ბზის გვარში (*Buxus W.*). ამ გვარიდან საქართველოში ბუნებრივად გავრცელებულია კოლხეთის ბზა.

კოლხეთის ბზა თბილი და ტენიანი ჰავის სახეობას წარმოადგენს და კოლხური ტყის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი კომპონენტია, რომელიც ადრე უფრო ფართოდ ყოფილი გავრცელებული, მაგრამ ძვირფასი მერქნის გამო ძლიერი ექსპლუატაცია განიცადა და მისი ფართობები კატასტროფულად შემცირდა.

იგი უმთავრესად გვხვდება ღრმა და დაბურულ ხეობებში. აღსანიშნავია, რომ მიუხედავად ტენიანობის მოთხოვნილებისა ბზა სიმშრალისა და სიცივის ამტანობასაც ამჟღავნებს, რისი დასტურიცაა მისი არსებობა ფასანაურთან ხეობაში 1700 მ-ზე ზღვის დონიდან.

გამოკვლევებით დადგინდა, რომ მიმდინარეობს ბზების მასობრივი და ინტენსიური ხმობა – ხმება, როგორც ბუჩქები, ისე მოზრდილი ხეები.

დაავადების სიმპტომები ყველა ზემოთ აღნიშნულ ობიექტზე ერთნაირია და ასეთია: ახლად-დაინფიცირებულ ფოთლებზე ჩნდება მუქი ყავისფერი ლაქები, შემდეგ კი ფოთოლი მასობრივად კარგავს სიმწვანეს – ქლოროტული ხდება და ცვივა. ამ პროცესის რამდენჯერმე განმეორებისას ხმება ყლორტები, ტოტები და შემდეგ მოელი მცენარეც.

ზემოხსენებული დაავადება (ბზის ფოთლების მოწვა ანუ სიდამწვრე) პირველად აღინიშნა მე-20 საუკუნის 90-იან წლებში ახალ ზელანდიასა და დიდ ბრიტანეთში. ამჟამად იგი გავრცელებულია ესპანეთში, იტალიაში, ხორვატიაში, გერმანიაში; ყველგან მიმდინარეობს ბუნებრივი ბზებისა და მისი ხელოვნური ნარგაობების მასობრივი ხმობა და მიუხედავად უცხოეთის ბევრ ქვეყანაში

მიმდინარე ინტენსიური სამეცნიერო გამოკვლევებისა, ამ დაავადების წინააღმდეგ, რაიმე ღონისძიების შემუშავება ჯერჯერობით ვერ მოხერხდა.

უნდა აღინიშნოს, რომ როგორც ჩანს, საქართველოში ამ დაავადების გავრცელებას ხელი შეუწყო ერთის მხრივ საკარანტინო პირობების დარღვევამ და მეორეს მხრივ, უკანასკნელი პერიოდის კლიმატურმა ანომალიებმა, რამაც ბზა სტრესულ მდგომარეობაში ჩააყენა.

პრობლემის სირთულიდან გამომდინარე, საჭიროა ბზის კორომებისა და ხელოვნური ნარგაობების პათოლოგიური გამოკვლევები, როგორც დასავლეთ საქართველოს სხვა რაიონებში, ისე აღმოსავლეთ საქართველოშიც.

2.4.5. საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიამ 2012 წლის 30 მარტს განიხილა საკითხი “საქართველოს სოფლის მეურნეობაში სალიზინგო საქმიანობის განვითარების შესახებ” (მომხსენებლები, აკადემიკოსი შ. ჭალაგანიძე, აკადემიის წევრ-კორესპონდენტი თ. კუნჭულია).

აღინიშნა, რომ აგროსასურსათო სექტორში, სატყეო და თევზის მეურნეობაში ლიზინგის საგანი შეიძლება იყოს: სასოფლო-სამეურნეო ტექნიკა, რძის ქარხნები, ფერმები, მოწყობილობა მცხოველეობისათვის, ჯიშიანი პირუტევი, მარცვლის და ბოსტნეულის სათავსოები, სოფლის საცხოვრებელი სახლები, ხეტყის დამამზადებელი ტექნიკა, მეთევზეობის პროდუქციის შესანახი და გადამამუშავებელი მოწყობილობები, სასოფლო-სამეურნეო მცირე ავიაცია და ა.შ.

ლიზინგი აგრარულ სექტორში გულისხმობს ხანგრძლივვადიანი არენდით ტექნიკის მომხმარებელზე გადაცემას, მისი ღირებულების ნაწილ-ნაწილ გადახდით რამდენიმე წლის მანძილზე. ეკონომიკური თვალსაზრისით ლიზინგი არის კრედიტი, რომელსაც ლიზინგის გამცემი აძლევს ლიზინგის მიმღებს არენდაში გადაცემული ქონების სახით. ამდენად სასოფლო-სამეურნეო საქონელმჾარმოებლებისათვის ლიზინგი ერთდროულად წყვეტს ორ უმნიშვნელოვანებს პრობლემას – ტექნიკის შეძენა და ამ ოპერაციების დაფინანსება.

ლიზინგი საშუალებას აძლევს სოფლის საქონელმჾარმოებლებს განვადებით გამოისყიდონ ლიზინგის საგნები, რომელთა ფასი რჩება უცვლელი ლიზინგის მთელი პერიოდის მანძილზე.

გასათვალისწინებელია, რომ ლიზინგის ყველა მიმღებისათვის დაწესებულია დაბალი საარენდო გადასახადი (3% ლიზინგის საგნის ნარჩენი ღირებულებიდან).

ბოლო დროს სულ უფრო ფართოვდება აღდგენილი ტექნიკის ლიზინგი, რაც განსაკუთრებით საინტერესო უნდა იყოს საქართველოსთვის.

აგროსასურსათო სექტორში ლიზინგის ეკონომიკური უპირატესობა შემდეგნაირად შეიძლება ჩამოყალიბდეს: სამამულო და საზღვარგარეთის ტექნიკის შეძენის შესაძლებლობა თავდაპირველი ფინანსური შენატანების გარეშე; მაღალი მობილურობა, რაც საშუალებას იძლევა მოხდეს ოპერატორი რეაგირება მოწყობილობების შეძენისას ბაზრის ინფრასტრუქტურაში მომხდარ

ცვლილებებზე; სერვისის ფართო სპექტრი ტექნიკის შეძენის შემდეგ; ფინანსური სალიზინგო გადასახადები, რომლებიც ხელს უწყობენ ლიზინგის მიმღების ფინანსური გეგმების სტაბილიზაციას და ნაწილობრივ არბილებენ ინფლაციური პროცესების შედეგებს.

მიუხედავად იმისა, რომ საქართველოში 100-მდე სალიზინგო კომპანიაა შექმნილი, ისინი ფაქტიურად არ საქმიანობენ, რაც ძირითადად რეალური ეკონომიკის განვითარებაში შექმნილი სიტუაციითა განპირობებული. ბოლო დროს შეინიშნება 2-3 ფირმის გააქტიურება. იგი დაკავშირებულია IUSAID-ის პროგრამის განხორციელებასთან, რომელიც სოფლის მეურნეობის გამოცოცხლებას ითვალისწინებს.

ნორმალურ პირობებში საქართველოში დიდი სალიზინგო მოთხოვნა უნდა იყოს სასოფლო-სამეურნეო ტექნიკაზე, რომელიც ყოველწლიურად ძვირდება და მისი შეძენა თუნდაც ბანკის კრედიტით, ცალკეული საქონელმწარმოებლების მიერ თითქმის შეუძლებელია.

იგივე შეიძლება ითქვას მცირე და საშუალო წარმადობის გადამამუშავებელი საწარმოების დანადგარ-მოწყობილობებზე, რომელთა ფასი ყოველწლიურად მატულობს.

ლიზინგის განვითარებას ხელს უშლის მცირე ზომის სასოფლო-სამეურნეო საწარმოების არსებობა, სადაც პროდუქციის წარმოება ძირითადად დაფუძნებულია ხელით შრომასა და მველი ტექნოლოგიების გამოყენებაზე, რაც განაპირობებს მათი საქონლიანობის დაბალ დონეს.

სალიზინგო საქმიანობის გამოცოცხლება ვერ მოხდება, ვიდრე არ გატარდება ღონისძიებები მიწების კონსოლიდაციისათვის, წვრილი მეწარმეების მიერ კოოპერატივების ჩამოყალიბებისა და მათ მიერვე წარმოებული ნედლეულის ადგილზე გადამუშავების გზით.

წარმოების ორგანიზაციისადმი ასეთი მიღება გააჩენს მოთხოვნას არა მარტო ცოდნაზე, არამედ თანამედროვე სასოფლო-სამეურნეო ტექნიკასა და ნედლეულის გადამამუშავებელ დანადგარ-მოწყობილობებზე, რომლებიც მწირი ფინანსური შესაძლებლობების პირობებში მხოლოდ ლიზინგის გამოყენებით შეიძლება იქნეს შეძენილი. იმის გათვალისწინებით, რომ წარმოების ძირითადი საშუალებები საქართველოში არ იწარმოება, საჭირო გახდება საერთაშორისო ლიზინგის ფინანსური ფორმის გამოყენება.

ლიზინგის განვითარებაში აქტიური მონაწილეობა უნდა მიიღოს სახელმწიფომ ინვესტირებული თანხის შედაგათიანი დაბეგვრისა და სალიზინგო ოპერაციებში მონაწილე საქონელმწარმოებლებისთვის დაბალპროცენტიანი სესხების კრედიტების გამოყოფის გზით. აღნიშნული ღონისძიების გატარებით შესაძლებელი გახდება ახალი ტექნიკისა და დანადგარ-მოწყობილობების შეძენაზე ინვესტიციების გაზრდა, რაც განსაკუთრებით მნიშვნელოვანია იმ პირობებში, როცა სოფლის მეურნეობის განვითარებისათვის კომერციული ბანკების მიერ გამოყოფილი კრედიტები, კრედიტების საერთო რაოდენობის 1.5 – 2%-ს არ აღემატება.

სალიზინგო ორგანიზაციის ფუნქციის შესრულება შეუძლია სოფლის მეურნეობის კორპორაციასთან არსებულ შპს “მექანიზატორს”. ლიზინგური ოპერაციების გაფართოების კვალობაზე ამ ორგანიზაციასთან მიზანშეწონილი იქნება სალიზინგო კომპანიის ჩამოყალიბება. კომპანიის საქმიანობაში სახელმწიფოს მონაწილეობის გამო მის მიერ ლიზინგის გამცემის ფუნქციის შესრულება უაღრესად მიმზიდველი გახდება. იგი ტექნიკას არენდით გადასცემს სასოფლო-სამეურნო კოოპერატივებს და მსხვილ ფერმერებს, რამეთუ იაპონური ტექნიკის არენდით ფიზიკურ პირებზე გადაცემის პრაქტიკამ შედეგი ვერ გამოიღო.

2.4.6. საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიამ 2012 წლის 30 მარტს მოისმინა საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტის ელგუჯა შაფაქიძის მოხსენება “ნიადაგის მინიმალური დამუშავებისათვის კომბინირებული მანქანების კონსტრუქციების სრულყოფის საკითხისათვის”.

აღინიშნა, რომ სოფლის მეურნეობაში შრომის ნაყოფიერების ამაღლების ერთ-ერთი ძირითადი პირობაა მიწის გამოყენების ეფექტურობის გადიდება. მიწის გამოყენების ეფექტურობა იზომება მოსავლის გადიდებით და მდგრადობით და ერთეული პროდუქციის მისაღებად დანახარჯების რაოდენობით.

საქართველოში სოფლის მეურნეობის პროდუქციის წარმოებისათვის გამოიყენება – 3 მლ 248 ათასი ჰა (46,4%), საიდანაც სახნავია 800 ათასი ჰა (11,4%).

საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის 2010 წლის მონაცემებით საგაზაფხულო და საშემოდგომო ნათესი ფართობები სულ იყო 275,3 ათასი ჰა, მათ შორის: მარცვლოვანი – 191,4 ათასი ჰა; საკვები კულტურები – 8,5 ათასი ჰა; კარტოფილი და ბოსტნეული – 48,3 ათასი ჰა; სხვა კულტურები – 27,1 ათასი ჰა.

2010 წლისათვის იკლო ნათესი ფართობების რაოდენობამ 330 000 ჰა-დან (2008 წ) 275 000 ჰა-მდე (17,0%-ით); მათ შორის: საშემოდგომო და საგაზაფხულო მარცვლეული კულტურების 227 000 ჰა-დან (2006 წ) 191 400 ჰა-მდე (16%-ით).

ნათესი ფართობების შემცირების ერთ-ერთი ძირითადი მიზეზია ნიადაგის დამუშავების არათანამედროვე, გაზრდილი რესურსშემცველი ტექნოლოგიების გამოყენება, ხოლო სას.სამ. კულტურების, მ.შ. მარცვლეული კულტურების, საჰექტარო მოსავლიანობის შემცირება კი გამოწვეულია ენერგო რესურსების გაზრდით, საწვავ-საცხები მასალების, სასუქების და მცენარეთა დაცვის საშუალებების საბაზო ფასების მკვეთრი ზრდით.

მიზანშეწონილია შეიქმნას სასოფლო-სამეურნეო ფართობების ათვისების და კულტურეული მცენარეების, განსაკუთრებით მარცვლეული კულტურების, მოვლა-მოყვანის თანამედროვე რესურსდამზოგი სამანქანო ტექნოლოგიების განხორციელების სახელმწიფო პროგრამები.

აღნიშნული პრობლემის გადაჭრისათვის საჭიროა, რომ დამუშავდეს მსოფლიოს განვითარებულ ქვეყნებში აპრობირებული და დანერგილი ტექნოლოგიები, რომლებიც უზრუნველყოფენ გარანტირებულ მაღალ მოსავალს.

აუცილებელია დამუშავდეს ისეთი სამანქანო ტექნოლოგიები, რომლებიც უზრუნველყოფენ საცვლელ მუშა ორგანოებიანი კომბინირებული მანქანების გამოყენებას, რომლის დროსაც შესაძლებელია აგრეგატის ერთი გავლით რამდენიმე ტექნოლოგიური პროცესის შესრულება, სადაც ამის საშუალებას აგროტექნიკური მოთხოვნები იძლევა. აღნიშნულ სამანქანო ტექნოლოგიას მიეკუთვნება ნიადაგის მინიმალური დამუშავება.

ნიადაგის მინიმალური დამუშავების მეთოდი გამოიყენება კარგად კულტივირებულ ნიადაგებში და წარმოადგენს ნიადაგის დამუშავების მეცნიერულად დასაბუთებულ მეთოდს, რომელიც აერთიანებს რამდენიმე ოპერაციას ერთ სამუშაო პროცესში, ამცირებს ნიადაგის ზედაპირის დამუშავების რაოდენობას ან აუცილებლობის შემთხვევაში საჭიროებს ჰერბიციდების გამოყენებას, რაც საშუალებას იძლევა შემცირდეს აგრეგატების გავლათა რაოდენობა, რომელიც მეტად მნიშვნელოვანი ფაქტორია ნიადაგის დაცვითი დონისძიებების ვრცელ ნუსხაში. ნიადაგის მინიმალური დამუშავების დროს მცირდება ენერგეტიკული დანახარჯები, სახნავი ფენის გამკვრივება და გამტვერიანება.

ნიადაგის მინიმალური დამუშავების ტექნოლოგიის განხორციელებით მიიღწევა: ნიადაგის დაცვა მძიმე ტრაქტორების და სატრაქტორო სატრანსპორტო საშუალებების უარყოფითი ზემოქმედებისგან, ენერგეტიკული დანახარჯების და შრომითი რესურსების შემცირება, სასოფლო-სამეურნეო კულტურების მოსავლიანობის გაზრდა, პროდუქციის თვითდირებულების კლება და ა.შ.

ნიადაგის მინიმალური დამუშავება ფართოდ არის აპრობირებული მსოფლიოს მრავალ ქვეყანაში, მათ შორის აშშ და კანადაში, ბრაზილიაში, გერმანიაში, საფრანგეთში, ბელორუსიაში, რუსეთში, ყაზახეთში და ა.შ. სადაც ყველგან გამოყენებულია ფართო მოდების, როგორი კონსტრუქციის და დიდი მწარმოებლურობის მანქანები, რომელთა გამოყენება საქართველოს მცირეკონტურიან ნაკვეთებში თითქმის შეუძლებელია.

აღნიშნულის გათვალისწინებით საქართველოს აგრარული უნივერსიტეტის სოფლის მეურნეობის მექანიზაციის დეპარტამენტში მცირე კონტურიანი ნაკვეთებისათვის დამუშავდა კომბინირებული მანქანის სქემა, სადაც რამოდენიმე სამუშაო ორგანოს გამოყენებით აგრეგატის ერთი გავლით შესაძლებელია ნიადაგის სრულფასოვანი გაფხვიერების მიღწევა, ანუ მომზადდება ნიადაგი სასოფლო-სამეურნეო კულტურების დასათესად. აღსანიშნავია, რომ მარცვლეული კულტურების მოვლა-მოყვანის თანამედროვე ტექნოლოგიების განხორციელების ყველაზე კარგ ობიექტს დედოფლისწყაროს რაიონი წარმოადგენს, სადაც ხორბალს უკავია 15000 ჰა ფართობი, რაც საქართველოს სახნავი ფართობების 27-30 %-ს წარმოადგენს (2010 წელს საქართველოში ხორბალი 53900 ჰა დაითესა); აღნიშნულ რაიონში შესაძლებელი იქნება ფართო მოდების განის ნიადაგის დამუშავების კომბინირებული მანქანების გამოყენება, რაც გათვალისწინებილი უნდა იყოს ქვეყანაში შემოსატანი მანქანების ნომენკლატურის შერჩევის დროს.

აგრეთვე მიზანშეწონილია დედოფლის წყაროს რაიონში განხორციელდეს ზუსტი მიწათმოქმედების ტექნოლოგიების საპილოტები პროექტიც, რომელიც გულისხმობს ნიადაგის დამუშავების ტექნოლოგიებში GPS სისტემების ჩართვას, როგორიცაა პარალელური მართვისა და ავტოპილოტირების სისტემები.

პირველ კვარტალში სულ მოსმენილი და განხილული იქნა 10 საკითხი, მათ შორის: “საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის პრობლემები” (აკად. შ.ჭალაგანიძე), “აგრარული სექტორის ტექნოლოგიურ-რესურსული პოტენციალის ზრდის სტრატეგიული სისტემა” (აკად.ო.ქეშელაშვილი).

აკადემიური საბჭოს სხდომაზე ასევე იხილებოდა არაგეგმიური, მიმდინარე საკითხები. განხილულ ცალკეულ საკითხებზე საკანონმდებლო ინიციატივასა და რეკომენდაციებზე, სათანადო რეაგირებისათვის წერილობით ეცნობოდა ზემდგომ თრგანოებს (“გარემოს დაცვითი ღონისძიებების განხორციელების საინჟინრო (მექანიზაცია) უზრუნველყოფის შესახებ”).

2.4.7. საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის აკადემიურმა საბჭომ 2012 წლის 25 აპრილს მოისმინა საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ბიოტექნოლოგიის ცენტრის მთავარი მეცნიერ-თანამშრომელის, სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა დოქტორის, სრული პროფესორის, აფხაზეთის ა/რ მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის აკადემიკოსის თამარ კაჭარავას მოხსენება “სამკურნალო, არომატული, სანელებელი და შხამიანი მცენარეების ბიომრავალფეროვნება და მდგრადი გამოყენება.”

აღნიშნავთ, რომ საქართველოს მდიდარი და უნიკალური ფიტოგენოფონდი ბუნებრივ-ისტორიული სიმდიდრეა, რომელიც მუდმივ დაცვა-აღდგენა-კონსერვაციას საჭიროებს, რადგან ნადგურდება ან იცვლება სხვადასხვა სტიქიური თუ ანთროპოლოგიური ზემოქმედებებით. პრობლემა აქტუალურია ჩვენი მცირემიწიანი, მჭიდროდ დასახლებული ქვეყნისთვის, რომელიც მრავალი კულტურული მცენარეების და მათი ველური წინაპრების წარმოშობის პირველად და მეორად კერას წარმოადგენს. აქ გავრცელებულია სამკურნალო, არომატული, სანელებელი და შხამიან მცენარეთა ის უნიკალური სახეობები, რომლებიც სხვაგან არ გვხვდება. ბევრი მათგანი გადაშენების პირას არის მისული, მიმდინარეობს გენეტიკური რესურსის ეროზიული პროცესები, უკონტროლო იმპორტი. აქედან გამომდინარე, აუცილებელია ბიომრავალფეროვნების შენარჩუნების *ex-situ* და *in-situ/on farm's* უზრუნველყოფა. მომავალი მოხმარებისათვის გენეტიკური და სახეობრივი მრავალფეროვნების შესანარჩუნებლად უდიდეს აუცილებლობას იძენს საქართველოს უნიკალური ფლორის დაცვა-კონსერვაციის და რაციონალურად გამოყენების მნიშვნელობაზე ფართო საზოგადოების ინფორმირების ამაღლება, ეთნობოტანიკური ტრადიციებისა და ფიტოპროდუქციის პოპულარიზების მექანიზმების ინტენსიფიკაცია და მდგრადი გამოყენება მიღებული სარგებლის

განაწილების პრინციპების ინტეგრირებით ბიომრავალფეროვნების იმ კონვენციით, რომლის წევრიც არის საქართველო 1994 წლიდან.

აღნიშნული პრობლემა დაედო საფუძვლად პროექტს, სადაც ერთ მოდელში გაერთიანებულია ერთის მხრივ კვლევა სამკურნალო, არომატული, სანელებელ და შხამიან მცენარეთა გენეტიკური რესურსის მარაგისა ქვეყანაში შემდგომი დაცვა-კონსერვაციის და გაუმჯობესების პარამეტრების დაკონკრეტებით, მეორე მხრივ კი მათი სახალხო-სამეურნეო მნიშვნელობა და ეკონომიკური რეაბილიტაციის აუცილებლობა საქართველოს ნიადაგურ-კლიმატურ პირობებში განთავსება-განვითარებისათვის, ანუ სამრეწველო პლანტაციების და თესლის ბანკის შექმნა ბიომრავალფეროვნების დაცვის მიზნით.

ექსპედიციების შედეგად ქვეყნის განსხვავებულ ეკოსისტემებში (ბორჯომის, ატენის, დარიალის ხეობები, აჭარა, რაჭა, იმერეთი, სამეგრელო, ქართლი) მოპოვებულია მცენარეთა ბუნებრივ პირობებში არსებობის უნიკალური ფიტომასალა, მათ შორის იშვიათი და გადაშენების პირას მყოფების, კონკრეტდება ცოცხალი ორგანიზმიდან რადიონუკლეიდების გამომტანი მცენარეების ნუსხა; შექმნილია საკოლექციო ნაკვეთი, არსებული ეთნოფარმაკოლოგიური ჩვევების, მონაცემთა და თესლის (კვლავ-წარმოებისათვის) ბანკები, განსაზღვრულია ფარმაკოლოგიურად აქტიურ ნივთიერებათა და მძიმე ლითონების შემცველობა მცენარეებსა და ნიადაგში.

მუშავდება მონოგრაფია: „სამკურნალო, არომატული, სანელებელი და შხამიან მცენარეთა ბიომრავალფეროვნება და მდგრადი გამოყენება”, სადაც ქართულ და ინგლისურ ენებზე იქნება წარმოდგენილი საქართველოში გავრცელებული სამკურნალო, არომატული, სანელებელი და შხამიანი მცენარეები ბუნებრივ პირობებში გადაღებული ფოტოებით, ბიოლოგიური თავისებურებების და გამოყენების ეთნობოტანიკური ტრადიციების დართვით.

სამუშაოების უმეტესი ნაწილი შესრულებულია საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის, მსოფლიო ბანკისა და საქართველოს მთავრობის ერთობლივი პროექტის, აგრეთვე მეცნატების დაფინანსებებით.

2.4.8. საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის აკადემიურმა საბჭომ ამავე სხდომაზე მოისმინა პროფესორ ანზორ თოთაძის მოხსენება “საქართველოს სოფლის დემოგრაფიული პრობლემები და სოციალური განვითარება”.

აღინიშნა, რომ საქართველოში არსებული უმძიმესი ვითარება განპირობებულია მის ცალკეულ რეგიონებში დემოგრაფიული პროცესების გამწვავებით. ზოგიერთი გამონაკლისის გარდა (აჭარა, ქვემო ქართლი, სამცხე-ჯავახეთი). საქართველოს, უპირატესად ქართველებით დასახლებულ რეგიონებში, დემოგრაფიული ვითარება მეტად მძიმეა.

საკმარისია აღინიშნოს, რომ ბოლო პერიოდში (1990-2010) ქვემო ქართლში, სადაც მოსახლეობის საგრძნობ ბუნებრივ მატებას აქვს ადგილი, დაიბადა 131 744 ბავშვი, მაშინ როდესაც მოსახლეობის რაოდენობის მხრივ მასზე მრავალრიცხოვან კახეთისა და გურიის რეგიონებში ერთად მხოლოდ 126 386 ბავშვი დაიბადა. ამ რეგიონებში, ისევე როგორც უპირატესად ქართველებით დასახლებულ სხვა რეგიონებში, მოსახლეობის ბუნებრივ მატებას კიდევ უფრო ართულებს მოკვდაობის დონის ზრდა. კერძოდ, ამავე პერიოდში ქვემო ქართლში გარდაიცვალა 78 098 კაცი, ხოლო კახეთისა და გურიაში 144 973 ადამიანი, ანუ თითქმის ორჯერ მეტი. შესაბამისად ბუნებრივმა მატებამ ქვემო ქართლში შეადგინა 62 459 კაცი, ხოლო ერთად აღებულ კახეთისა და გურიაში მოსახლეობის ბუნებრივი მატების ნაცვლად ადგილი ქონდა მოსახლეობის 10 123 კაცით კლებას.

ადსანიშნავია, რომ ამავე პერიოდში თბილისში მოსახლეობის ბუნებრივმა მატებამ 52 565 კაცი შეადგინა, ანუ თითქმის ცხრა ათასი კაცით ნაკლები ქვემო ქართლის ანალოგიურ მაჩვენებლებთან შედარებით, მაშინ როცა თბილისის მოსახლეობა 2,3-ჯერ აღემატება ქვემო ქართლის მოსახლეობას.

ცალკეული რეგიონების მიხედვით, მოსახლეობის ბუნებრივმა მატებამ, ბოლო წლების განმავლობაში კრიზისულ მაჩვენებელს მიაღწია, ხოლო ზოგიერთ რეგიონში მნიშნელოვნად შემცირდა კიდეც. მაგალითად, უკანასკნელი 21 წლის განმავლობაში, იმერეთში, როგორც საქართველოს ყველაზე მრავალრიცხოვან და ძირითადად ქართველებით დასახლებულ რეგიონში, მოსახლეობის ბუნებრივმა მატებამ 6 580 კაცი შეადგინა, მაშინ როცა წინა 21 წელიწადში იმერეთში 114 863 კაცით მეტი დაიბადა, ვიდრე გარდაიცვალა. უფრო მეტიც, ცალკეულ წლებში იმერეთის ბუნებრივი მატება იმაზე მეტიც კი იყო, ვიდრე მთელ, 1990-2010 წლების პერიოდში. კერძოდ, 1970 წელს იმერეთში ბუნებრივმა მატებამ 6 830 კაცი შეადგინა, მაშინ როდესაც იმერეთის მოსახლეობის ბუნებრივი მატება 1990-2010 წლებში, როგორც ითქვა, მხოლოდ 6 580 კაცს შეადგენდა.

საქართველოს ზოგიერთ რეგიონში იმდენად შემცირდა შობადობა და გაიზარდა მოკვდაობა, რომ შეუძლებელი ხდება თაობათა ერთი და იგივე რაოდენობით განახლება. თუ ასე გაგრძელდა, ქვეყნის ზოგიერთი ისტორიული პროვინცია მოსახლეობისაგან დაიცლება და დაცარიელებულ ადგილებს სხვა ეროვნების ხალხი დაიკავებს – სხვა კულტურით, რელიგიური აღმსარებლობით და სხვა ცხოვრების წესით.

ამ მხრივ განსაკუთრებით სავალალო ვითარებაა ქვეყნის ჩრდილოეთ საზღვრებთან მდებარე რაიონებში – მესტიაში, ამბროლაურში, ონსა და ყაზბეგში.

ამჟამად, აღნიშნულ რაიონებში 42,4 ათასი კაცი ცხოვრობს – ისინიც ძირითადად მოხუცები, მაშინ როდესაც 1939 წელს იქ მცხოვრებთა რაოდენობა 92,5 ათას კაცს უდრიდა, ანუ ამჟამინდელზე 50,1 ათასი კაცით მეტს. ასე რომ, ქვეყნის რუსეთთან საზღვარი მოფარდალავებულია, რასაც შეიძლება მოჰყვეს ჩრდილოეთიდან სხვა ხალხების შემოსვლა, რის მცდელობასაც კომუნისტების პერიოდშიც კი ჰქონდა ადგილი. განსაკუთრებით ადსანიშნავია, რომ უშუალოდ საზღვრისპირა ადრე ხალხმრავალი სოფლები, თითქმის გაუკაცრიელდა.

მაგალითად, 1886 წელს პირიქითა ხევსურეთის სოფელ ახიელში 241 კაცი ცხოვრობდა. ამჟამად იქ მხოლოდ 6 კაცია დარჩენილი. იგივე მაჩვენებელი სოფელ ამაღლში 194 და 31-ია, სოფელ ჭიმაღლში კი შესაბამისად 72 და 5.

რაჭაში 1990-2010 წლებში არცერთი წელი არ ყოფილა ისეთი, რომ მოსახლეობა საგრძნობლად არ შემცირებულიყო. ამ პერიოდში რაჭის მოსახლეობის კლებამ 7 346 კაცი შეადგინა და შესაბამისად 31 ათასიდან 23 ათასამდე შემცირდა. თუ ასე გაგრძელდა ორ-სამ ათეულ წელიწადში რაჭის გაუკაცრიელება გარდაუვალია. მსგავსი მდგომარეობაა ლეჩხუმში, ყაზბეგსა და ზოგიერთ სხვა მთიან რეგიონში.

ყოველივე ზემოთ აღნიშნული ნათლად მოწმობს, რომ არსებული დემოგრაფიული მდგომარეობის გამოსასწორებლად აუცილებელია დი- ფერენცირებული, საგანგებო რეგიონული დემოგრაფიული პოლიტიკის შემუშავება და ცხოვრებაში განხორციელება. წინააღმდეგ შემთხვევაში ქვეყანა დემოგრაფიულ კატასტროფას ვერ აცდება.

2.4.9. საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის აკადემიურმა საბჭომ 2012 წლის 30 მაისს მოისმინა ინფორმაცია: “აკადემიის წევრ-კორესპონდენტის თამაზ თურმანიძის ანგარიში 2011 წელს ჩატარებული სამეცნიერო-კვლევითი მუშაობის შესახებ”.

აღინიშნა, რომ საანგარიშო პერიოდში მუშაობა მიმდინარეობდა ორი მიმართულებით: კლიმატის მიმდინარე დათბობის აგროსაწარმოო სექტორზე გავლენის შეფასება და შეცვლილ კლიმატურ პირობებთან დარგის ადაპტაციის დონისძიებების მეცნიერული დასაბუთება; გრძელვადიანი აგრომეტეოროლოგიური პროგნოზების შედგენა აგროსაწარმოო სექტორის ცალკეულ დარგებისა და რეგიონებისათვის

პირველი მიმართულებით სამეცნიერო კვლევები ჩატარდა შიდა ქართლის რეგიონისთვის. კერძოდ, რაოდენობრივად შეფასდა რეგიონში მიმდინარე კლიმატის ცვლილებების გავლენა აგროკლიმატურ რესურსებზე – სას. სამ. კულტურების სითბოთი და ტენიო უზრუნველყოფის პირობებზე – აქტიურ ტემპერატურათა ჯამებზე, ატმოსფერულ ნალექებზე, მათ ურთიერთშეფარდებაზე (პიდროთერმული კოეფიციენტი), რეალურ წყალმოხმარებაზე (ევაპონოფინაცია), წყალმოთხოვნილებაზე (აორთქლადობა) და წყალმოხმარების დეფიციტზე (სარწყავი ნორმები). ჩატარდა შიდა ქართლის ტერიტორიის აგროკლიმატური დარაიონება კლიმატის დათბობის გათვალისწინებით. გამოიყო სამი აგროკლიმატური ზონა – I ზომიერად ცხელი და მშრალი, II – თბილი და გვალვიანი და III – გრილი და ტენიანი. მოცემულია თითოეული ზონის დეტალური დახასიათება და შეცვლილი კლიმატის მიმართ ადაპტაციის დონისძიებები.

მეორე მიმართულებით – შედგენილია სამი გრძელვადიანი აგრომეტეოროლოგიური პროგნოზი: I – საშემოდგომო ხორბლის მოსავლისა. II – მომავალი ზაფხულის პიდროთერმიული პირობებისა და III – მომავალი ზამთრის განმავლობაში მკაცრი ყინვებისა.

საშემოდგომო ხორბლის მოსავლის პროგნოზი 2011 წლისათვის ძირითადად ეყრდნობა გაზაფხულის აგრომეტეოროლოგიური პირობების მცენარეთა ზრდა-განვითარებაზე გავლენის შეფასებას.

საშემოდგომო ხორბლის მოსავლის ფორმირება მიმდინარეობს ძირითადად გაზაფხულზე – კეგეტაციის განახლებიდან, დათავთავების ფაზის დამთავრებამდე. ამ პერიოდში ამინდის ძირითადი მაღიმიტირებელი ფაქტორია ტენი, რომელიც ჩვენ მიერ გამოიხატება ატმოსფერული ნალექებით, ტემპერატურით, მათი ურთიერთშეფარდებით და წვიმიან დღეთა რიცხვით.

საპროგნოზო განტოლებას შემდეგი სახე აქვს: $y=(b_1+0.015b_2-0.05b_3+0.64)$; სადაც: y – მოსალოდნელი მოსავალია ტონებში 1ჰა-ზე; b_1 – აპრილის თვის პიდროთერმიული კოეფიციენტი; b_2 – ნალექიან დღეთა რაოდენობა მარტსა და აპრილში; b_3 – უნალექო დღეთა რაოდენობა იმავე პერიოდში მაისის თვის პიდროთერმიული კოეფიციენტი.

მოცემული ფორმულით ჩატარებულმა გათვლებმა შემდეგი შედეგები მოგვცა: კახეთი - $y=(1.7+0.015*23-0.015*38+0.64)*3.7=2.9\text{ ტ/ჰა}$; შიდა ქართლი - $y=(1.75+0.015*25-0.05*36+0.64)*1.75=1.7\text{ ტ/ჰა}$; ქვემო ქართლი - $y=(1.52+0.015*21-0.05*40+0.64)*1.62=1.4\text{ ტ/ჰა}$; მესხეთ ჯავახეთი - $y=(1.84+0.015*23-0.05*38+0.64)*2.11=1.96\text{ ტ/ჰა}$;

მიღებული სიდიდეების გადამრავლებით უვალ რეგიონში საშემოდგომო ხორბლის ნათეს ფართობებზე მივიღებთ ხორბლის საერთო მოსავალს აღმოსავლეთ საქართველოს მასშტაბით.

მომავალი ზაფხულის საშუალო ტემპერატურა იანგარიშება შემდეგი განტოლებით: $\theta=-0.12b+0.46y$; სადაც b უდრის დღეთა რაოდენობას პირველი მარტიდან 10° -ზე გადასვლის თარიღამდე; y არის აპრილის თვის საშუალო ტემპერატურა.

აღნიშნული განტოლებით ჩატარებულმა გათვლებმა შემდეგი შედეგები მოგვცა:

ზესტაფონი: $\theta=-0.12*55+0.46*11.8=-6.6+5.4+23.8=22.6^\circ$;

საშური: $\theta=-0.12+0.46*8.4+22.5=-6.6+3.9+22.5=19.8^\circ$; ბოლნისი: $\theta=-6.6+4.7+23.8=21.9^\circ$;

თელავი: $\theta=-6.6+4.6+23.8=21.8^\circ$;

ახალციხე: $\theta=-6.6+3.5+22.5=20.8^\circ$

ატმოსფერული ნალექების პროგნოზი:

ზესტაფონისათვის – $=22.6*21.8-700=206\text{მმ}$;

საშური – $P=21.8*19.8-650=118\text{მმ}$;

ბოლნისი – $P=21.8*21.9-650=170\text{მმ}$;

თელავი – $P=21.8*21.8-700=253\text{მმ}$;

ახალციხე – $P=21.8*19.5-680=251\text{მმ}$

აღნიშნულ გათვლებზე დაყრდნობით იანგარიშება ჯამური აორთქლების, აორთქლადობის და ტენმოხმარების დეფიციტის სიდიდეები.

საქართველოს ცალკეულ რეგიონებში ზამთრის პირობები მეტად მრავალფეროვანია. გადამწყვეტი ფაქტორები, რომლებიც განაპირობებენ ზამთრის ყინვების სიმკაცრეს არის: ზღვის სიახლოვე, სიმაღლე ზღვის დონიდან, თოვლის საფარი.

ყველაზე თბილი ზამთრებით ხასიათდებიან შავი ზღვის სანაპიროს ფერდობები. აგრეთვე რიონის და მისი შენაკადების ხეობები კოლხეთის დაბლობზე. ალაზნის ველი და მდ. აჭარისწყლის ხეობა. აქ ზღვის დონიდან 300 მ-დე ზამთარი რბილია და ძირითადად ხასიათდება დადებითი ტემპერატურებით. წელიწადში საშუალოდ 10 დღეს შეიძლება დაეცეს პაერის ტემპერატურა 0 -ზე ქვევით. მიუხედავად ამისა, ცალკეულ წლებში (მაგ. 1910-11; 1959-60; 1924-25; 1927-28; 1934-35; 1971-72 და სხვ) აღინიშნება ტემპარატურის მკვეთრი დაცემა და ადგილი აქვს სას. სამ. კულტურების მნიშვნელოვნად დაზიანებას.

ზღვის დონიდან ადგილის სიმაღლის ზრდასთან ერთად ზამთრის პირობებითანდათან მკაცრდება და 3500 მ-ზე მაღლა კი მთელი წლის განმავლობაში უარყოფითი ტემპერატურები გვაქვს.

ზამთრის დადგომა (ტემპერატურის დაცემა 0 -ზე ქვევით) ყველაზე ადრეოქტომბრის ბოლოს აღინიშნება ცენტრალურ კავკასიონზე ზღვის დონიდან 2100-2450 მ-ზე, ხოლო ყველაზე გვიან – 17 იანვარს – ქვემო ქართლში (ზ.დ. 300-400 მ-ზე) და მთიან აჭარაში (1150-1500 მ-ზე). ეს არის საშუალო მრავალწლიური თარიღები და მათი ალბათობა არის 50% (ანუ ათ წელიწადში 5-ჯერ). იმერეთის ზეგანზე ზამთარი გრძელდება 13-107 დღე. შიდა ქართლში – 50 (400-600 მ.) – 82 დღე (600-900 მ.). ქვემო ქართლში – 13 დან 100 დღემდე (ზ.დ. 1200-1400 მ-ზე). გარე კახეთში და ივრის ზეგანზე – 47 (400-700 მ.) – 96 დღემდე (900-1100 მ.), სამხრეთიალეთში – 92 (800-1150 მ.) – 181 დღე (2300-2500 მ.), ჯავახეთის პლატოზე – 113 დან (1250-1600 მ.) 163 დღემდე (1900-2200 მ.).

როგორც ვხედავთ (წლების მიხედვით) ზამთრის ხანგრძლივობისა და სიმკაცრის დიაპაზონი საკმაოდ დიდია, რაც მიგვანიშნებს ცალკეული წლების ზამთრის პირობების პროგნოზირების აუცილებლობაზე. ყველაზე თბილ, კოლხეთის დაბლობზეც კი პაერის ტემპერატურის აბსოლუტური მინიმუმია: -15, -20. აბსოლუტური მინიმუმების მრავალწლიანი საშუალო სიდიდე: -6, -11. იმერეთის ზეგანზე ტემპერატურა ადგილის სიმაღლის მიხედვით შეიძლება დაეცეს -20, -36 -მდე, ხოლო მრავალწლიური საშუალო მაჩვენებელი შეადგენს -10, -18. შიდა ქართლისათვის აღნიშნული სიდიდეები შესაბამისად შეადგენენ -28, -34, და -15, -22. ალაზნის ველზე: -23, -28 და -10,-16 და ა.შ.

2.4.10. საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის აკადემიურმა საბჭომ 2012 წლის 30 მაისს მოისმინა აკადემიკოს ნაპოლეონ ქარქაშაძის მოხსენება “ბიზნეს გარემოს როლი საქართველოს სოფლის მეურნეობის განვითარებაში”.

აღინიშნა, რომ სასოფლო-სამეურნეო წარმოებაში ბიზნესგარემოდ ითვლება ის რეალობა, რომელშიც უნდა განვითარდეს წარმოება, ანუ ეს არის შიდა და გარე ფაქტორების ერთობლიობა, რომელიც საჭიროა ამა თუ იმ სახის სასოფლო - სამეურნეო პროდუქციის წარმოებისათვის.

ბიზნესი, მეცნიერული თვალსაზრისით, არის ფულის კეთება, ანუ საწარმოო ციკლის დამთავრების შემდეგ, რაც უფრო მეტია ამონაგები თანხა, მით უფრო წარმატებულია ბიზნესი.

ბიზნესმენის ძირითადი პოსტულატებია: რა უნდა აწარმოოს? რა საშუალებით? და ვისთვის (ან რისთვის) არის საჭირო მის მიერ წარმოებული პროდუქცია.

ბიზნესგარემოს ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ელემენტია ფული, რომელიც საჭიროა ბიზნესის ყველა ეტაპზე. უფულობის გამო, თუ საფრთხე შექმნა საწარმოო ციკლის რომელიმე ეტაპს, მაშინ საფრთხეში ვარდება მთელი ბიზნესი.

ბიზნესის ეფექტიანობას განსაზღვრავს, მასში ჩადებული კაპიტალის ბრუნვადობა, რომელიც რაც უფრო სწრაფია, მით უფრო წარმატებული და ეფექტურია ბიზნესი. ბრუნვადობის ციკლში შედის: ა) ფულის წარმოებაში ჩადება (ანუ დაუმთავრებელი წარმოება), ბ) პროდუქციის (ანუ საქონლის) მიღება და გ) მიღებული საქონლის რეალიზაციის შედეგად მიღებული ფულადი ამონაგები (ანუ წარმოებაში ჩადებული ფულის დაბრუნება), თუ ამონაგები თანხა მეტია ჩადებულ თანხაზე ბიზნესი წარმატებულია, რომელიც პირდაპირ პროპორციულია ნამეტი თანხის სიდიდეზე, ხოლო თუ ამონაგები თანხა ნაკლებია დაბანდებულზე იწყება ე.წ. გაკოტრების პროცესი.

წარმოების შედეგად მიღებულ პროდუქციაში წარმოდგენილია: ა) წარსული ანუ განივთებული შრომა (მოხმარებული ძირითადი საშუალებების ცვეთისა და დახარჯული საბრუნავი საშუალებების დირებულება) და ბ) ცოცხალი შრომა (ანუ იმ მუშა მოსამსახურეთა ხელფასი, რომლებიც გარკვეული სახის პროდუქციის წარმოებაში იყო დასაქმებული).

ყველა სახის ბიზნესს (მ.შ. წარუმატებელსაც) მოჰყვება შემოსავალი:

შემოსავალი = ფასი X პროდუქციის რაოდენობაზე. თუ შემოსავალი თავდაპირველ თანხას აღმატება, მაშინ ბიზნესი მომგებიანია, ანუ მოგება = შემოსავალს – გასავალი (ანუ თვითდირებულება).

ბიზნესისათვის საჭიროა მასზე ორიენტირებული ბიზნესგარემო, რომელიც შედგება მიკრო – ანუ შიდა ფაქტორებისაგან და მაკრო – ანუ გარე ფაქტორებისაგან, ამ უკანასკნელში შედის როგორც წარმოებისათვის საჭირო მასალები (სასუქი, შეხმქიმიკატები, საწვავი და ა.შ.) ისე წარმოებული პროდუქციის სარფიანად რეალიზაცია, გარე ფაქტორები ორიენტირებულია ადამიანების მსყიდველობით შესაძლებლობებზე, ანუ მოთხოვნილებაზე, რომელსაც განსაზღვრავს ბაზრის კონიუნქტურა.

პრობლემის გლობალურმა შესწავლამ მეცნიერები დაარწმუნა, რომ მსოფლიოს მოსახლეობის უდიდესი ნაწილი (მ.შ. საქართველოც), ორიენტირებულია ყოველდღიური მოხმარების იაფ პროდუქციაზე, აქედან გამომდინარე, ამა თუ იმ ქვეყნის მწარმოებლის, (მ.შ. სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის), ძირითადი ორიენტირი უპირველეს ყოვლისა შიდა ბაზარია, რომელიც ამავე დროს მსოფლიო ბაზარზე გასვლის ტრამპლინიცაა.

მეცნიერება, რომელიც შეისწავლის საზოგადოების კომერციულ მოღვაწეობას ანუ ფულის კეთებას (მის მოძრაობას) ეკონომიკა ეწოდება.

ბიზნესმენი, როდესაც მოგების გარკვეულ ნაწილს (ან მთლიანად) აბრუნებს წარმოებაში, ამას “დამატებითი ინვესტიცია” ეწოდება.

გეოპოლიტიკური თვალსაზრისით, საქართველო მსოფლიოსათვის კიდევ უფრო მნიშვნელოვანი ქვეყანა გახდა, ვიდრე ოდესმე იყო. რასაც სამწუხაროდ ვერ ვიტყვით წარმოებაზე.

საქართველო აწარმოებდა 35 სახის ორდინალურ ღვინოს, 11 სახეობის საკონიაკე მასალას, ლიქიორს. საქართველოში შესაძლებელია (და ვაწარმოებდით კიდეც) უმაღლესი ხარისხის ჩაის პროდუქციას, დიდი რაოდენობით კონტინენტალურ და სუბტროპიკულ ხილს, საადრეო კარტოფილს, ბოსტნეულ-ბალჩეულს და ა.შ. სამწუხაროდ დღეისათვის, აღნიშნული დარგები სავალალო მდგომარეობაშია, გამონაკლისად შეიძლება ჩაითვალოს მხოლოდ მეღვინეობა.

ბიზნესგარემოს, უპირველეს ყოვლისა ქმნის ბიზნესმენი, რომელიც მხოლოდ იმ შემთხვევაში დააბანდებს კაპიტალს, თუ ამისათვის არსებობს შესატყვისი გარემო. სამწუხაროდ, სასოფლო-სამეურნეო წარმოებით დაინტერესების კოეფიციენტი, ქვეყანაში განხორციელებული ინვესტიციების 1,5 - 2,0 % არ აღემატება.

ამის მიზეზი გახლავთ უპირველეს ყოვლისა ის, რომ თითქმის აღარ არსებობს ის ინფრასტრუქტურა, რომელიც ქმნის ბიზნესგარემოს და რაც არანაკლებ მნიშვნელოვანია; ჯერ კიდევ არაა განსაზღვრული, სასოფლო – სამეურნეო წარმოების პრიორიტეტები, ამიტომ მწარმოებლისათვის უცნობია, თუ როგორი იქნება მის მიერ წარმოებულ პროდუქციაზე მოთხოვნილების მრუდი.

ბიზნესგარემოზე დიდ გავლენას ახდენს ის, თუ როგორი სასტარტო პირობები აქვს მწარმოებელს, სასაქონლო პროდუქციის საწარმოებლად. საქართველოში, სადაც გლეხურ კომლს, სარგებლობაში აქვს 1.0 ჰექტარამდე სავარგული სასაქონლო პროდუქციის წარმოება შეუძლებელია. მიწა, რომელიც მას აქვს საკუთრებაში, მისი ოჯახის მოთხოვნილებებსაც ძლივს აკმაყოფილე ამიტომ, ჯერ კიდევ გასული საუკუნის 90-იანი წლების დასაწყისში, როდესაც მზადდებოდა მიწის რეფორმა, ჩვენ შევიტანეთ წინადადება, რომ რეგიონების მიხედვით, განსაზღვრული ყოფილიყო სავარგულთა ოპტიმალური მინიმუმი, რომელზეც სასაქონლო პროდუქციის წარმოება იქნებოდა რენტაბელური. მაგალითად: თუ მრავალწლოვანი ნარგავებისათვის (ვენახი, ჩაი, ხეხილი და ა.შ.) ოპტიმალურად შეიძლება ჩათვლილიყო 1.0-1.5 ჰექტარი, ერთწლიანი კულტურებისათვის იგი 10-15 ჰექტარი მაინც უნდა ყოფილიყო და ა.შ. მაგრამ, იმ დროს ჩვენი მოსაზრებები, რომელსაც მეცნიერთა დიდი ჯგუფი უჭერდა მხარს, უურად არ იდეს.

ეფექტური სასოფლო – სამეურნეო წარმოება, უპირველეს ყოვლისა, მოთხოვნილება – მიწოდების სწორად განსაზღვრაა. მოთხოვნილების მრუდი, საქონლის ის რაოდენობაა, რომელიც უნდა გაიყიდოს განსაზღვრული ფასის ფარგლებში, ხოლო მიწოდების მრუდი, საქონლის ის რაოდენობაა, რომლებსაც მწარმოებლები გაიტანენ სამომხმარებლო ბაზარზე, დადგენილი ფასის ფარგლებში.

მოთხოვნილება – მიწოდების მრუდების გადაკვეთის წერტილები გვიჩვენებს იმ სავარაუდო ფასს, რომელიც ორიგე მხარისათვის მისაღებია.

ბიზნესგარემოს ერთ-ერთი მნიშვნელოვანი კომპონენტია, სასოფლო – სამეურნეო წარმოების საბაზო და სადაზღვევო უზრუნველყოფა. ისინი

ორიენტირებულები უნდა იყვნენ მწარმოებლის ინტერესებზე, რომლის გარანტიც აუცილებლად უნდა იყოს სახელმწიფო. სამწუხაროდ, დღეისათვის საბანკო და სადაზღვევო სისტემა, აგრარული სექტორისადმი ინერტიულია.

ბიზნესგარემო გულისხმობს წარმოებისათვის საჭირო მასალების (სასუქები, საწვავ – საცხები, მცენარეთა დაცვის საშუალებები და ა.შ.), შეძენის კარგ ორგანიზაციას, კონტრაქტული სისტემების დახერგვას, იგივე შეიძლება ითქვას, წარმოებული პროდუქციის რეალიზაციაზეც. მიუკერძოებული უნდა იყოს სარისხე კონტროლი, როგორც წარმოებისათვის საჭირო შემოტანილ მასალებზე, ისე წარმოებულ პროდუქციაზე.

ბიზნესგარემო გულისხმობს სწორ მარკეტინგს, ანუ იმის სწორად განსაზღვრას, თუ რისი ყიდვა სურს მომხმარებელს და რა ფასად. აქვეა ფასიც, რომელსაც თავისუფალ ეკონომიკურ სივრცეში ადგენს ბაზარი, მაგრამ განვითარებად ქვეყნებში, ფასწარმოქმნაში აუცილებლად უნდა ჩაერიოს სახელმწიფოც. წინააღმდეგ შემთხვევაში მწარმოებელი (განსაკუთრებით მალფუჭადი პროდუქციისა), შეიძლება ჩავარდეს მძიმე ეკონომიკურ სიტუაციაში.

სახელმწიფო უნდა უზრუნველყოს ფერმერის (გლეხის) დროული ინფორმირება მეტეოროლოგიური თვალსაზრისით, ისინი წინასწარ უნდა გააფრთხილონ მოახლოებულ ეკონომიკურ კრიზისებზე (განსაკუთრებით ინფლაციაზე) და ა.შ. ინფლაციას ახასიათებს ზიგზაგური განვითარება და ცხადია გლეხს გაუჭირდება რთულ ეკონომიკურ პროცესებში გარკვევა.

სწორედ ამიტომ არსებობდნენ, სასოფლო – სამეურნეო დარგის მომსახურე სამეცნიერო – კვლევითი ინსტიტუტები, რომლებიც დროულად აწვდიდნენ მწარმოებელს მათვის საჭირო მეცნიერულად დასაბუთებულ ინფორმაციებს, რომელთა გარეშეც წარმატებული სასოფლო – სამეურნეო წარმოება შეუძლებელია.

ნებისმიერ წარმოებას და განსაკუთრებით სასოფლო – სამეურნეოს, ესაჭიროება, წარმოებაზე ორიენტირებული, მეცნიერულად დასაბუთებული ბიზნესგარემო, რომლის შექმნაც შესაბამისი სამეცნიერო – კვლევითი დაწესებულებების გარეშე შეუძლებელია. ასეთი სამეცნიერო ცენტრები, საქართველოში არსებობდნენ და საჭიროა მათი სასწრაფოდ აღდგენა და ამოქმედება.

2.4.11. საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის აკადემიურმა საბჭომ ამავე სხდომაზე მოისმინა აკადემიკოს რევაზ მახარობლიბის მოხსენება “საქართველოში აგროსაინჟინრო კვლევების მდგომარეობა და პერსპექტივები”.

ადინიშნა, რომ აგროსამრეწველო კომპლექსის საინჟინრო სფერო მოიცავს ისეთ ურთიერთ კავშირში მყოფ და ურთიერთ განსაზღვრულ დარგებს, როგორიცაა სასოფლო-სამეურნეო კულტურების მოვლა-მოყვანის სამანქანო ტექნოლოგია, მანქანათა სისტემა, სასოფლო-სამეურნეო მანქანათმშენებლობის ტექნოლოგია და აგროსაინჟინრო სერვისი. აღნიშნული დარგების ურთიერთ გავლენაში წამყვანი როლი მიეკუთვნება სამანქანო ტექნოლოგიას. იგი თანამედროვე ეტაპზე გაცილებით მაღალ მოთხოვნებს უყენებს სასოფლო-სამეურნეო მანქანების კონსტრუქციას და მანქანათმშენებლობის დონეს ტექნოლოგიური პროცესების შესრულების სიზუსტის, მწარმოებლობის გაზრდის

და განსაკუთრებით, რესურსდაზოგვის მხრივ. ამიტომ პერსპექტიული რესურს-დამზოგი მექანიზებული ტექნოლოგიების დასაბუთება, მანქანების და აგრეგატების რაციონალური პარამეტრების პროგნოზი, ოპტიმალური მანქანათა სისტემის და მანქანა-ტრაქტორთა პარკის (მტპ) ფორმირება წარმოადგენს ახალი ტექნიკის შექმნის, წარმოებისა და გამოყენების აუცილებელ წინაპირობას. ყველა აღნიშნული პრობლემების ერთობლიობაში გადაწყვეტა გათვალისწინებულ უნდა იქნეს აგროსაინჟინრო კვლევების პრიორიტეტების განსაზღვრისათვის.

საქართველოს სოფლის მეურნეობის სპეციფიკიდან გამომდინარე, აგროსაინჟინრო დარგში კვლევითი მუშაობა ძირითადად წარიმართა სამთო მიწათმოქმედებისა და სუბტროპიკული კულტურების მექანიზაციის მიმართულებით. დამუშავდა ფერდობზე ტრაქტორებისა და სასოფლო-სამეურნეო აგრეგატების მუშაობის მეცნიერული საფუძვლები, მათ შორის, მათი წევითი დინამიკის, მდგრადობის და გამავლობის თეორია, ფერდობზე აგრეგატების მუშაობის ფიზიკური და მათემატიკური მოდელირების მეთოდიკა, ფერდობმავლის ძირითადი პარამეტრების გაანგარიშებისა და დაპროექტების საფუძვლები. შეიქმნა ფერდობმავლების რამდენიმე მოდიფიკაცია, რომლებიც მცირე სერიებად იწარმოებოდა. ჩატარდა მნიშვნელოვანი კვლევები და შეიქმნა სამანქანო ტექნოლოგიები, შესაბამისი მუშაორები და მანქანათა კომპლექსები ფერდობზე ნიადაგის დამუშავებისა და სასოფლო-სამეურნეო კულტურების (ერთწლიანი და მრავალწლიანი) მოვლა-მოყვანისთვის. „მანქანათა სისტემაში” ცალკე თავად გამოიყოფოდა „ფერდობზე სასოფლო-სამეურნეო კულტურების მოვლა-მოყვანა და აღება”.

მსოფლიოში წამყვან პოზიციებზე იმყოფებიან ქართველი მეცნიერები და კონსტრუქტორები, ჩაის კულტურის მოვლა-მოყვანის ტექნოლოგიური პროცესების კომპლექსური მექანიზაციისთვის ტექნიკური საშუალებების შექმნისა და წარმოების საქმეში. დამუშავდა ამ მანქანების ოპტიმალური პარამეტრების გაანგარიშების, საიმედოობისა და ხანგამდლეობის ამაღლების, ექსპლუატაციისა და რემონტის მეცნიერული საფუძვლები. ზოგიერთი ამ სამუშაოებისა აღინიშნა საკავშირო და რესპუბლიკური ლაურეატობის პრემიებით. სპეციალური სასოფლო-სამეურნეო მანქანების ქარხანა დაკავებული იყო აღნიშნული მანქანების სერიული წარმოებით. საკავშირო „მანქანათა სისტემაში” ცალკე პარაგრაფად გამოიყოფოდა განაკვეთი „ჩაისა და სუბტროპიკული კულტურების მოვლა-მოყვანისა და აღების მანქანათა კომპლექსი”.

მნიშვნელოვანი სამუშაოები ჩატარდა ასევე მცირე მექანიზაციის ტექნიკური საშუალებების წარმოების მეცნიერული უზრუნველყოფის მიმართულებით. უკანასკნელი წლების მნიშვნელოვან მიღწევად უნდა ჩაითვალოს სოფლის მეურნეობის მექანიზაციისა და ელექტრიფიკაციის ინსტიტუტში დამუშავებული „მემცენარეობის და მეცხოველეობის პროდუქტების წარმოების ტექნოლოგიებისა და მანქანების სისტემა”, რომელიც სოფლის მეურნეობის სამინისტროს დაკვეთით გამოცემულია ოთხ წიგნად და წარმოადგენს საქართველოს სოფლის მეურნეობის ტექნოლოგიური და ტექნიკური გადაიარაღების საფუძველს საბაზრო ეკონომიკის პირობებში.

მცირე ფერმერული მეურნეობებისათვის შექმნილია ადაპტური თვითმავალი შასის მოდიფიკაცია. ყურადღებას იმსახურებს თესვისწინა დამუშავებისა და თესვის კომბინირებული აგრეგატი, რომელიც ერთი გავლით ასრულებს ხუთ ტექნოლოგიურ ოპერაციას.

უკანასკნელ წლებში, დაუფინანსებლობის გამო, ათასობით ჰექტარის ჩაის პლანტაციები და სასოფლო-სამეურნეო სავარგულები გამოვიდნენ მიმოქცევიდან. დაუმუშავებელია სამანქანო ტექნოლოგიები და მანქანათა კომპლექსები ვარგისი ჩაის პლანტაციების რეაბილიტაციისათვის, ხოლო დეგრადირებულ პლანტაციებსა

და სავარგულებში კულტურულ-ტექნიკური სამუშაოების ჩატარებისათვის. რეაბილიტაციისათვის შექმნა რესურსდამზოგი, ადაპტური, ბლოკ-მოდულური პრინციპით აგებული მანქანა, აქტიური მუშა ორგანოებით, რომელიც ერთი გავლით ახდენს ჩაის ბუჩქების გადაჭრას საჭირო სიმაღლეზე, მოჭრილი მასის დაქუცმაცებას და მის მობნევას მულჩის სახით რიგთაშორისებში.

მნიშვნელოვანი თეორიული სამუშაოებია შესრულებული ისეთ პრობლებზე, როგორიცაა: ენერგეტიკული კრიტერიუმებით მექანიზებულ სამუშაოთა მოცულობისა და ტექნიკის რაოდენობის განსაზღვრა მაღალი ტექნოლოგიების ათვისების გათვალისწინებით; საინუინრო ინფრასტრუქტურის დასაბუთება მეურნეობრიობის მრავალფორმიანობის პირობებში; მიწათმოქმედების მექანიკაში დარტყმის თეორიისა და რეოლოგიის დებულებების გამოყენება; სოფლის მეურნეობასა და სატექ მექანიზაციაში არატრადიციული ტექნოლოგიური პროცესებისა და ტექნიკური საშუალებების პარამეტრების გაანგარიშება და ა.შ.

სამანქანო ტექნოლოგიებისა და მანქანათა კომპლექსების განვითარების თანამედროვე ტენდენცია ისეთია, რომ დამოუკიდებელი ტექნოლოგიური ოპერაციების რაოდენობა იყოს მინიმალური. იდეალურ შემთხვევაში ოპერაციების რაოდენობა უნდა გაუტოლდეს სასოფლო-სამეურნეო კულტურების წარმოების საერთო პროცესებში ციკლების რაოდენობას, ანდა მაქსიმალურად მიუახლოვდეს მას. ასეთ შემთხვევაში გარანტირებული იქნება სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების წარმოების მდგრადობა ნებისმიერი ამინდის პირობებში, რადგან მრავალოპერაციული კომბინირებული აგრეგატებით ერთდროულად რეალიზდება როგორც ტენდამზოგი, ისე რესურსდამზოგი ტექნოლოგიები.

მიწათმოქმედების მექანიკა, როგორც მეცნიერება, თავის დროზე ჩამოყალიბდა ცალკეული ტექნოლოგიური პროცესების, მუშა ორგანოების და მანქანების შექმნისათვის თეორიული საფუძვლების დამუშავებისათვის. თანამედროვე ეტაპზე კერძო თეორიები, თუ ისინი ცნობილ პროცესებს ეხებიან, ემსახურებიან მხოლოდ არსებული, ტრადიციული ტექნოლოგიებისა და მანქანების სრულყოფას. მეცნიერებატევადი, რესურსდამზოგი სამანქანო ტექნოლოგიებისა და ტექნიკური საშუალებების შექმნისათვის კი საჭიროა პრინციპულად ახალი, განზოგადოებული თეორიების შექმნა. უახლოეს წლებში, სოფლის მეურნეობის მექანიზაციის დარგში, ფუნდამენტური და კომპლექსური გამოყენებითი კვლევების საფუძვლზე, უნდა შეიქმნას რესურსდამზოგი ადაპტური ტექნოლოგიებისა და ახალი თაობის ტექნიკური საშუალებების ისეთი პარამეტრების საინუინრო გაანგარიშებისათვის მეცნიერული საფუძვლები, რომლებიც უზრუნველყოფენ სასოფლო-სამეურნეო მანქანების მუშა ორგანოების რაციონალურ ურთიერთქმედებას ბიოლოგიურ ობიექტთან: ნიადაგთან, მცენარეებთან, ცხოველებთან.

აღნიშნული პრობლემის გადაწყვეტისათვის საერთო ფუნდამენტური და გამოყენებითი კვლევები უნდა შესრულდეს შემდეგი მიმართულებებით:

შესწავლილ იქნეს სასოფლო-სამეურნეო ობიექტებისა და მასალების დეფორმაციის, მსხვერევისა და გადაადგილების ძირითადი კანონზომიერებანი, დამუშავდეს მათი რეოლოგიური თვისებების დამახასიათებელი ძირითადი მუდმივების განსაზღვრის მეთოდები და მოხდეს ამ მეთოდების სტანდარტიზაცია;

გამოკვლეულ იქნეს სასოფლო-სამეურნეო მასალები (თესლი, ნაყოფი, ჩაის დუეი, ძირხვენები და ა.შ.) მექანიკური და სხვა სახის დაზიანებების მიმართ მდგრადობაზე, დასაბუთდეს დაზიანების ის კრიტერიუმები, რომლებიც დაახასიათებენ მათზე მუშა ორგანოების დასაშვებ ჯამურ მექანიკურ ზემოქმედებას (სტატიკურ და დინამიკურ, სხვადასხვა ინტენსივობისა და ციკლურობის);

დასაბუთდეს ტექნოლოგიური პროცესების მინიმალური თეორიული

ხვედრითი ენერგოტევადობანი, რის საფუძველზე განისაზღვროს არსებული მანქანების და მუშა ორგანოების ტექნოლოგიური მ.ქ.კ., მექანიზაციის საშუალებებისა და ტექნოლოგიების ურთიერთშესაბამისობის ხარისხი, მათი სრულყოფის დონე და მ.ქ.კ. გაზრდის გზები;

დამუშავდეს და გაუმჯობესდეს სოფლის მეურნეობის მექანიზაციის ტექნიკური საშუალებების და სისტემების ფუნქციონირების ფიზიკური და მათემატიკური მოდელების აგების მეთოდები თანამედროვე საინჟინრო მეცნიერებათა მიღწევების გამოყენებით;

დამუშავდეს და გაუმჯობესდეს რესურსდამზოგი ტექნოლოგიისათვის განკუთვნილი კომბინირებული მანქანების პარამეტრების ანალიზისა და სინთეზის თეორიული მეთოდები;

დამუშავდეს და გაუმჯობესდეს რესურსდამზოგი ტექნოლოგიისათვის განკუთვნილი კომბინირებული მანქანების პარამეტრების ოპტიმიზაციის მეთოდები ტექნიკური და ტექნოლოგიური კრიტერიუმების მიხედვით;

დამუშავდეს სამთო მიწათმოქმედების პირობებში ეკოლოგიურად სუფთა სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების წარმოებისთვის რესურსდამზოგი სამანქანო ტექნოლოგიები, ახალი თაობის ენერგომომარაგების სისტემები და მანქანათა კომპლექსები მეურნეობების მრავალფორმიანობის გათვალისწინებით;

დამუშავდეს რესპუბლიკის ზონების მიხედვით მოცემული სამომხმარებო თვისებების მქონე სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების წარმოების ტიპიური სამანქანო ტექნოლოგიები პროდუქტების ხარისხის მართვის კომპლექსური სისტემების გამოყენებით;

დამუშავდეს ძირითადი სასოფლო-სამეურნეო კულტურების მოვლა-მოყვანის მაღალი სამანქანო ტექნოლოგიები და ტექნიკური საშუალებები ახალი ფიზიკური ეფექტების (ელექტრო-ჰიდროგლიკური, ჰიდროდინამიკური, გაზოდინამიკური, მაღალი სიხშირის დიაპაზონის რხევები და ა.შ.), მაღალპროდუქციული თესლის (მინიდროუირება, ჰიდროორმული დამუშავება, ელექტრული სეპარირება, ბიოლოგიურად სრულყოფილი მასალის გამორჩევა და ა.შ.), სრულკომპონენტიანი ბიოლოგიურად აქტიური ორგანო-მინერალური სასუქების კერობრივად დოზირებულად შეტანის, ტექნიკური საშუალებების ნიადაგზე დასაშვები ზემოქმედების, ვეგეტაციური პირობების ოპტიმალურად მართვის გამოყენებით;

დამუშავდეს სამთო პირობებისათვის ერთწლიანი და მრავალწლიანი კულტურების გარანტირებული წარმოების სამანქანო ტექნოლოგიები და მანქანათა კომპლექსები ნიადაგის დამცავი, ერთხის საწინააღმდეგო, ტენის შემნახვი, ტერასირების, საგალი ნაწილების და მუშა ორგანოების ფერდობზე ადაპტირების, ავტომატური ხიდური მიწათმოქმედების, მცირე მექანიზაციის, კომბინირებული და საცვლელი მუშა ორგანოების და სხვა კომპლექსური ღონისძიებების გამოყენებით;

დამუშავდეს გლეხური (ფერმერული) მეურნეობებისათვის საცვლელი მუშა ორგანოებიანი, სწრაფგადაწყობადი, მოქნილი აგრომანქანების კომპლექსები მობილური და მცირე მექანიზაციის ტექნიკური საშუალებების ბაზაზე ბლოკ-მოდულური პრინციპის, უნიფიკაციის, პროგრესული ტრანსმისიების (ჰიდრო, ელექტრო) გამოყენების ბაზაზე;

დამუშავდეს მეორეული პროდუქტების და სასოფლო-სამეურნეო ნარჩენების გადამუშავების მაღალინტენსიური ტექნოლოგიები და ტექნიკური საშუალებანი;

დამუშავდეს აგრო-სამრეწველო კომპლექსში (სახელმწიფო და გლეხურ მეურნეობებში) ტრანსპორტის გამოყენების მაღალეფებური მეთოდები მეურნეობრიობის ახალი ფორმების გათვალისწინებით, შეიქმნას სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების ტრანსპორტირების და დატვირთვა-გადმოტვირთვის საშუალებანი მრავალფუნქციური მუშა ორგანოებით, რომლებიც უზრუნველყოფენ

მოსავლის გარანტირებულ გამოზიდვას ნებისმიერი ამინდის პირობებში;

შეიქმნას სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მობილური და სტაციონალური ენერგეტიკული საშუალებანი და მანქანათა კომპლექსები, რომლებიც იმუშავებენ გაზის, მზის, ქარის და სხვა ალტერნატიული და ადგენადი ენერგიის წყაროებზე;

შეიქმნას სოფლის მეურნეობაში მექანიზებული სამუშაოების ავტომატიზებული მართვის და ხარისხის კონტროლის მეთოდები და ტექნიკური საშუალებანი კულტურების მოვლა-მოყვანის, დამუშავების, შენახვის და გადამუშავების ყველა სტადიისათვის, მათ შორის კოსმოსური ნავიგაციის სისტემების გამოყენებით;

დამუშავდეს მანქანათა ტექნოლოგიური კომპლექსების, მანქანა-ტრაქტორთა პარკის, ტექნიკური სერვისის ინფრასტრუქტურის ოპტიმიზაციის მეცნიერული საფუძვლები მანქანათა შემცირებული ნომენკლატურის, ბლოკ-მოდულური პრინციპით შედგენის, უნივერსალიზაციის და უნიფიკაციის, ასევე მეურნეობრიობის ახალი ფორმების გათვალისწინებით;

დამუშავდეს ტექნოლოგიური პროცესების და მანქანათა კომპლექსების დაჩქარებული მრავალფუნქციური გამოცდის მეთოდები და ავტომატიზებული ტექნიკური საშუალებები მათემატიკური და ფიზიკური მოდელების გამოყენებით;

დამუშავდეს და დაზუსტდეს ტრაქტორების და სასოფლო-სამეურნეო მანქანების საიმედოობის მაჩვენებლების განსაზღვრის მეთოდები სამორინებების, მუშაობის რეჟიმის და სხვა თავისებურებების გათვალისწინებით;

დამუშავდეს სტიქიურ მოვლენებთან (წაყინვები, სეტყვა, მეწყერები და ა.შ.) ბრძოლის ტექნოლოგია და ტექნიკური საშუალებანი.

სოფლის მეურნეობის მექანიზაციაში არ არსებობს ინოვაციისადმი სისტემური მიღებოდა. ამის გამო ტექნიკური გადაიარაღება ძირითადად ხდება სასოფლო-სამეურნეო კულტურების მოვლა-მოყვანის ტრადიციული, ოპერაციული ტექნოლოგიის საფუძველზე. ამის შედეგია, რომ მიუხედავად საზღვარგარეთიდან შეძენილი ტექნიკის რაოდენობის ზრდისა, შესაბამისად არ იზრდება წარმოებული სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის მოცულობა. იმისთვის, რომ მეცნიერულ-ტექნიკურ პროგრესზე მოვახდინოთ მუდმივი კონტროლი, გავატაროთ დასაბუთებული საინოვაციო პოლიტიკა, საჭიროა შეიქმნას შესაბამისი ტექნიკის შეძენაზე (ზოგიერთ შემთხვევაში წარმოებაზე) საჭირო ზემოქმედების მექანიზმი. ასეთი მექანიზმი შეიძლება იყოს ძირითადი კულტურების მოვლა-მოყვანის მუდმივად განახლებადი რესურსდამზოგი ტექნოლოგიების სისტემა და მანქანათა სისტემა. ასეთი „სისტემების“ ფორმირება ხდება გარკვეული, საკმაოდ ხანგრძლივი 5 - 10 წლიანი პერიოდისათვის. მათი დამუშავება უნდა ხდებოდეს სამეცნიერო-კვლევით დაწესებულებებში სამთავრობო ორგანოების დაკვეთით და მტკიცდებოდეს სოფლის მეურნეობის სამინისტროსა და სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის მიერ მთავრობასთან შეთანხმებით. ტექნოლოგიებისა და მანქანების სისტემა უნდა იყოს ძირითადი დოკუმენტი ახალი მანქანების შექმნის, საჭიროების შემთხვევაში მათი მოდერნიზაციის და ზოგიერთი სპეციფიკური მანქანის ადგილზე წარმოების შესაბამისად დაფინანსებისათვის, მანქანა-ტრაქტორთა პარკების და საინჟინრო სერვისული ობიექტების ფორმირებისათვის, ე.ი. საინოვაციო პროცესების მართვისათვის.

ქვეყნის მასშტაბით საინოვაციო პოლიტიკის გატარებისათვის ყველაზე დიდ გართულებებს იწვევს მექანიზაციის მიმართულებით მომუშავე სამეცნიერო-კვლევითი ორგანიზაციების ნაწილის გაუქმება.

საქართველოს აგროსამრეწველო სექტორის საინჟინრო სფეროს სტაბილიზაციისა და სოფლის მეურნეობის ტექნოლოგიური და ტექნიკური ინოვაციის გზით განვითარებისათვის საჭიროა შეიქმნას სამეცნიერო-ტრაქტიკული

ცენტრი, რომელიც ერთდროულად შეასრულებს დარგში სამეცნიერო-კვლევით, საკონსტრუქტორო-ტექნოლოგიურ მანქანების და ტექნოლოგიების გამოცდის და მექანიზებული სასოფლო-სამეურნეო სამუშაოების ნორმირების ფუნქციას.

აგროსაინჟინრო კვლევების მაღალ დონეზე შესრულებას დიდ სიძნელეებს უქმნის თანამედროვე ხელსაწყოებითა და დანადგარებით სუსტად აღჭურვა, როგორიცაა: პორტატული ტექნოლოგიებით აპარატურა; მობილური ტექნოლოგიული ლაბორატორია; გამოთვლითი ტექნიკა, რომელიც გამოიყენება როგორც პილოტური დანადგარი ახალი სასოფლო-სამეურნეო მანქანების კონსტრუქციების, პარამეტრების და მუშაობის რეჟიმების დასაბუთებისათვის მათი პროექტირების სტადიაზე; სისტემების ექსპერიმენტული და საცდელი ნიმუშების ავტომატური პროექტირებისათვის და ა.შ.

უახლოეს წლებში, სოფლის მეურნეობის მექანიზაციის დარგში, ფუნდამენტური და კომპლექსური გამოყენებითი კვლევების საფუძველზე, უნდა შეიქმნას რესურსდამზოგი ადაპტური ტექნოლოგიებისა და ახალი თაობის ტექნიკური საშუალებების ისეთი პარამეტრების საინჟინრო გაანგარიშების მეცნიერული საფუძვლები, რომლებიც უზრუნველყოფენ სასოფლო-სამეურნეო მანქანების მუშა ორგანოების რაციონალურ ურთიერთქმედებას ბიოლოგიურ ობიექტებთან: ნიადაგთან, მცენარეებთან, ცხოველებთან. აქედან გამომდინარე, გამოყოფილია ჩასატარებელი კვლევების ძირითადი მიმართულებანი და ასევე მექანიკა-მათემატიკის მეცნიერებათა ის დარგები, რომელთა გამოყენება მნიშვნელოვნად აამაღლებს აგროსაინჟინრო კვლევების მეცნიერულ დონეს. დასახულია ასევე ღონისძიებანი სოფლის მეურნეობის ტექნოლოგიური და ტექნიკური ინოვაციის გზით განვითარებისათვის.

2.4.12. საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის აკადემიურმა საბჭომ 2012 წლის 29 ივნისს მოისმინა ინფორმაცია: “საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსის ვალერიან ცანავას ანგარიში 2011 წელს ჩატარებული სამეცნიერო-კვლევითი მუშაობის შესახებ.”

მომხსენებელმა აღნიშნა, რომ 2011 წელს რეორგანიზაციის პროცესების პარალელურად ჩაის, სუბტროპიკული კულტურების და ჩაის მრეწველობის ინსტიტუტში მიმდინარეობდა სამეცნიერო-კვლევითი მუშაობა, კერძოდ აგროქიმიის, ნიადაგმცოდნეობისა და მიკრობიოლოგიის ლაბორატორიაში გრძელდებოდა მუშაობა სუბტროპიკული კულტურების პროდუქტიულობის ამაღლებისა და ხარისხის გაუმჯობესების მიზნით მცენარეებსა და ნიადაგში მიმდინარე პროცესების ოპტიმიზაციის კონკრეტულ საკითხებზე. გრძელდებოდა კვლევა ნიადაგის ორგანულ ნივთიერებაში გადასული სასუქის აზოგის ფრაქციული შემადგენლობის შესწავლის მიზნით.

აზოგის იზოტოპის ¹⁵N-ის გამოყენებით სავეგეტაციო ცდის პირობებში სწავლობდნენ აზოგოვანი სასუქების აზოგის გარდაქმნის (მობილიზაცია-იმობილიზაციის პროცესები) გავლენას აზოგის ბალანსზე.

დასრულდა საგრანტო თემა ორფოთოლა ტკბილის (სტევია) მოვლა-მოყვანა და გადამუშავება (№08/8-510) და წარდგენილი იქნა დასკვნითი ანგარიში.

2011 წელს აკადემიკოს ცანავას მიერ გამოქვეყნებული იქნა სტატიები: “დასავლეთ საქართველოს სუბტროპიკულ ზონაში სასოფლო-სამეურნეო

კულტურების განლაგების სრულყოფისათვის.” თანაავტორი გ. ღლონტი შრომების კრებული. აკ. წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი. ქუთაისი 2011 წ.

“მინერალური და ორგანული სასუქების გავლენა სტევიის პროდუქტიულობასა და ხარისხობრივ მაჩვენებლებზე.” თანაავტორები 6. ორაგველიძე და ი. მამულაიშვილი. საქ. სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის მოამბე, №29, თბილისი, 2011.

“სტევიის მცენარის აგრობიოლოგიურ დონისძიებათა სისტემის დახვეწა-გავრცელება.” რეკომენდაცია. ანასეული 2011. თანაავტორები: ნ.ორაგველიძე, ი. მამულაიშვილი, ნ. ზარნაძე, ა. ნიკოლაიშვილი.

აკადემიკოსმა ვ. ცანავაშ საანგარიშო პერიოდში მონაწილეობა მიიღო საერთაშორისო სამცნიერო-პრაქტიკულ კონფერენციაში „თანამედროვე ტექნოლოგიები და გამოყენებითი დიზაინი“ ქუთაისი, 2011 წ. მაისი. გამოვიდა მოხსენებით.

2.4.13. საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის აკადემიურმა საბჭომ 2012 წლის 29 ივნისს მოისმინა საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოს რევაზ ჩაგელიშვილის მოხსენება “ საქართველოს ტყეების თანამედროვე მდგომარეობა.”

ტყეს საქართველოს ბუნებრივ სიმდიდრეთა შორის ფრიად მნიშვნელოვანი ადგილი უკავია. ტყის ფონდის საერთო ფართობიდან საკუთრივ ტყეს (ტყით დაფარულ მიწებს) ქვეყნის ტერიტორიის 40,6% უკავია. ტყე თვითგანახლებადი ბუნებრივი რესურსია

უაღრესად დიდია საქართველოს მთის ტყეების ნიადაგდაცვითი, წყალმარეგულირებელი, თოვლის ზვავების ჩასახვის საწინააღმდეგო, კლიმატმარეგულირებელი, საკურორტო, სანიტარულ-ჰიგიენური, რეკრეაციული და სხვა სასარგებლო გარემოსდაცვითი ფუნქციები.

მეცნიერთა საერთო აღიარებით, საქართველოს მთის ტყეების მიერ შესრულებული სოციალური და ეკოლოგიური ფუნქციები გაცილებით ძვირად ფასობს, ვიდრე ამ ტყიდან მერქნის რეალიზაციით მიღებული შემოსავალი ფულად გამოსახულებაში

დღეს სატყეო დარგის წინაშე დგას მთავარი პრობლემა – შევინარჩუნოთ ტყე, გავაუმჯობესოთ მისი მდგომარეობა და მდგრადი მეტყველების პრინციპების დაცვით რაციონალურად გამოვიყენოთ ტყის რესურსები. შესაბამისად, უნდა გაიზარდოს სატყეო სექტორის წვლილი ქვეყნის ეკონომიკაში. ამისათვის აუცილებელია, დარგში გარკვეული რეფორმების გატარება. დღემდე გატარებულ რეფორმებს შედეგიანს ვერ ვუწოდებთ. ფაქტია, რომ ტყეს, რომელსაც ქვეყნის ტერიტორიის 40,6% უკავია, გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტროს სისტემაში რიგითი დეპარტამენტის რანგით ფუნქციონირებს და დაკარგული აქვს ტყის მეურნეობის მართვის მისთვის დამახასიათებელი ტრადიციული ფუნქციები, დარგი დღეისათვის უაღრესად დაკინებულია.

სატყეო დარგის მმართველობის ორგანოდ უნდა განისაზღვროს საჯარო სამართლის იურიდიული პირი – სააგენტო, რომელსაც უნდა აღუდგეს სადღეისოდ დაკარგული ფუნქციები, კერძოდ:

1. ტყის აღდგენა-განახლების, მოვლა-დაცვის და ტყით სარგებლობასთან დაკავშირებული ყველა სატყეო-სამეურნეო დონისძიებათა განხორციელების ორგანიზება და მონიტორინგი;

2. ტყეთმოწყობის (ტყის აღრიცხვა-ინვენტარიზაცია, ტყის მეურნეობის მდგრადი განვითარების მენეჯმენტ-გეგმების შედგენა და სხვა) სამუშაოთა განხორციელება;

3. სახელმწიფო ტყის ფონდის სამეურნეო ნაწილის მართვისა და ეკონომიკური რეფორმების განხორციელება;

4. სატყეო-სამეურნეო დონისძიებათა განხორციელებაზე ნებართვების გაცემა და ტყის ფონდის რესურსების განკარგვა;

5. ტყის რესურსების (მერქნითი და არამერქნითი) დამზადება-გადამუშავება და რეალიზაცია.

აღნიშნული ფუნქციების განსახორციელებლად და სატყეო დარგის ფინანსური მდგომარეობის რეალური გაუმჯობესებისათვის საჭიროა მისი სისტემატური რესტრუქტურიზაციის განხორციელება.

მნელბედობის უამს შეიარაღებულმა ხალხმა იარაღი ბოროტად, ტყის საზიანოდ გამოიყენა – ტყე ვერ დაიცვა. ვფიქრობთ, ტყე უნდა დაიცვას კანონმა დაცული ტერიტორიების შესახებ. ამ კატეგორიის ტყეების ოდენობა უნდა გაიზარდოს 20%-მდე. სამეურნეო ტყის ფონდის ნაწილი შეიძლება გადაეცეს ადგილობრივი მმართველობის ორგანოებს (მუნიციპალიტეტებს), ხოლო განსახელმწიფოებრივება უნდა განხორციელდეს თანახმად “ტყის კოდექსისა” (1999წ) და კანონის “საქართველოს ტყეების განსახელმწიფოებრიობის შესახებ”. პირველ ეტაპზე განსახელმწიფოებრივობას უნდა დაექვემდებაროს ტყით დაფარული ფართობის 10%-მდე.

საქართველოს მთის ტყეების ხანგრძლივვადიანი იჯარით გაცემა (20-50წწ) მიუღებლად მიგვაჩნია.

ცნობილია პოპულარული ფრთიანი გამოთქმა – “კადრები წყვეტენ ყველაფერს”. ჩვენი აზრით, ტყეს უნდა დაგუბრუნოთ მეტყევე სპეციალისტი, წინააღმდეგ შემთხვევაში აზრს კარგავს საუნივერსიტეტო კადრების მომზადება.

2.4.14. საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის აკადემიურმა საბჭომ ამავე სხდომაზე მოისმინა ინფორმაცია საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის სამეცნიერო უურნალ “მოამბისა” და სარეკლამო-საინფორმაციო ბიულეტენის “აკადემიის მაცნის” საქმიანობის შესახებ. მომხსენებული სამეცნიერო უურნალ “მოამბის” პასუხისმგებელი მდივანი მ. შუბითიძე.

აღინიშნა, რომ მიმდინარე წლის თებერვალში გამოვიდა საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის სამეცნიერო უურნალ “მოამბის” 30-ე საიუბილეო ნომერი. მასში გამოქვეყნებულია აკადემიკოსების: შ.

ჭალაგანიძის, გ. ალექსიძის, გ. ჯაფარიძის, პ. ნასყიდაშვილის, რ. მახარობლიძის, გ. აგლაძისა და ჭ. კაციტაძის სამეცნიერო ნაშრომები, ასევე წევრ-კორესპოდენტების: თ. კუნჭულიას, ჭ. ონიანის, თ. ურაშვილისა და ო. ღორჯომელაძის სტატიები. ურნალში ასევე წარმოდგენილია სოფლის მეურნეობის სხვადასხვა დარგში მოღვაწე, როგორც უპე ჩამოყალიბებული მეცნიერების, ასევე სამეცნიერო ხარისხების მაძიებელთა ფართო სპექტრი. ურნალის ყველა ნომერი პირველ რიგში ემსახურება მრავალდარგოვანი სოფლის მეურნეობისათვის ახალგაზრდა კადრების კვალიფიციურ სპეციალისტებად და მეცნიერებად ჩამოყალიბების საქმეს.

საიუბილეო ნომერში წარმოდგენილია სოფლის მეურნეობის მეცნიერების 12 დარგი, ესენია: მიწათმოქმედება და მეცენარეობა, მევენახეობა და მედვინეობა, მეტყველება და მცენარეთა დაცვა, გენეტიკა და სელექცია, მეცხოველეობა, ეკონომიკა, მექანიზაცია და სხვა.

ურნალმა, აკადემიასთან ერთად, გაიარა თავისი განვითარების რამდენიმე საფეხური. აკადემიკოს ვალერიან მეტრეველის პრეზიდენტობის პერიოდი: აღდგა საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემია და პარალელურად აკადემიის სამეცნიერო ურნალი “მოამბე”, იმავე პერიოდში სოფლის მეურნეობის საკითხებით დაკავებული უმთავრესი კვლევითი ინსტიტუტები შევიდნენ აკადემიის დაქვემდებარებაში და აკადემია იქცა საქართველოს სოფლის მეურნეობის განვითარების ბერკეტად და საერთაშორისო მნიშვნელობის სამეცნიერო ცენტრად;

მეორე საფეხურს წარმოადგენს აკადემიკოს ნაპოლეონ ქარქაშაძის აკადემიის პრეზიდენტად მოღვაწეობის პერიოდი. იგი ხანმოკლეა, მაგრამ ურნალმა მისი მეშვეობით გარკვეულ პოპულარობას მიაღწია. ბატონ ნ. ქარქაშაძის ინიციატივით საერთაშორისო სერიალური გამოცემების ცენტრთან, გაფორმდა ხელშეკრულება, რომლის შედეგად აკადემიის სამეცნიერო ურნალი “მოამბე”, მე- 14 ნომრიდან, შევიდა საერთაშორისო სერიალური გამოცემის ნუსხაში და მას მიენიჭა ამის აღმნიშვნელი სპეციალური ნომერი. სულ ბატონ ვ. მეტრეველისა და ნ. ქარქაშაძის აკადემიის პრეზიდენტებად მოღვაწეობის დროს გამოვიდა ურნალის 14 ნომერი: 13 – ვ. მეტრეველის, ხოლო ერთი – ნ. ქარქაშაძის დროს;

მესამე საფეხურია აკადემიკოს შ. ჭალაგანიძის აკადემიის პრეზიდენტად მოღვაწეობის ხანა, რომელიც დღესაც გრძელდება. მისი მთავარი რედაქტორობით სულ გამოცემულია 15 ნომერი. ბოლო ტომია 30-ე, რომელიც ერთგვარად საიუბილეო ნომრად შეიძლება ჩაითვალოს.

ურნალმა დღემდე გარკვეული ტრანსფორმაცია განიცადა. შემოდებული იქნა ნომრის რედაქტორის სტატუსი, რამაც ერთგვარად გააუმჯობესა ურნალის გამოცემის საკმაოდ რთული პროცესი, თუ ადრე გამოსაცემად შემოსულ სტატიებს კითხულობდა და რედაქტირებას უკეთებდა მხოლოდ ურნალის პასუხისმგებელი მდივანი, ახლა ამასვე აკეთებს ნომრის რედაქტორი, რომელიც ძირითადად ურადღებას აქცევს შემოსული სტატიების შინარსსა და მეცნიერულ დონეს. კიდევ უფრო დიდი ურადღება დაეთმო ახალგაზრდა კადრების კვალიფიციურ სპეციალისტებად და მეცნიერ-მუშაკებად

ჩამოყალიბების საქმეს. უურნალში სისტემატურად ქვეყნდება დოქტორანტებისა და სოფლის მეურნეობის სფეროში დასაქმებული ახალგაზრდების სატატიკი. გარდა ამისა შეიცვალა და გაუმჯობესდა უურნალის დიზაინი, იგი ვიზუალურად უფრო მეტყველი და მიმზიდველი გახდა. ყდაზე გამოსახულია ხორბლის სამი სავსე თავთავი, რაც ასევე ასოცირდება ყველასთვის ცნობილ ფრაზასთან – “პური ჩვენი არსობისა” და კარგად გამოხატავს მის მიწიერ და ზეციურ დანიშნულებას.

ამასთან უნდა აღინიშნოს ის შეცდომები, რომლებსაც ადგილი აქვს უურნალში და რომელთა შემდგომში აცილება ადგილად შეიძლება თუკი ნომრის რედაქტორი სპეციალური ტერმინებითა და ფორმულებით გადატვირთული სტატიების რედაქტირებას ავტორებისა და რეცენზენტების თანდასწრებით მოახდენს. გარდა ამისა ნომრის ხარვეზად მიჩნეულია ერთი ავტორის და ავტორთა ჯგუფის მიერ ერთ ნომერში სამ სტატიაზე მეტის გამოქვეყნება და ისიც, რომ ერთი სტატიის ავტორად სამ პიროვნებაზე მეტი არის წარმოდგენილი. საერთო ჯამში უურნალი თავის ძირითად დანიშნულებას პასუხობს თანამედროვე მოთხოვნილების შესაბამისად. იგი იყო და არის მრავალდარგოვანი სოფლის მეურნეობის აღორძინება-განვითარებისათვის საჭირო მძლავრი საშუალება.

გასათვალისწინებელია ისიც, რომ უურნალი წელიწადში ერთხელ გამოდის და თუ იგი წელიწადში ორჯერ მაინც გამოვა, არავინ შეცდება, რომ უურნალის ერთ ნომერში სამზე მეტი სტატია გამოაქვეყნოს.

უურნალის ყველა ნომრის გამოცემაში აქტიურ მონაწილეობას დებულობენ აკადემიკოსები გ. ალექსიძე, გ. ჯაფარიძე, პ. ნასყიდაშვილი, და რ. მახარობლიძე. ასევე წევრ-კორესპონდენტები ო. ბედია, თ. კუნძულია, თ. ყურაშვილი და სხვები. თუკი აკადემიის ყველა წევრი მათ მაგალითს მიბაძავენ კიდევ უფრო გაადვილდება უურნალის დროულად დაკომპლექტება და გამოცემა.

რაც შეეხება უურნალ “მოამბის” დამატებას, გაზეთ “აკადემიის მაცნეს”, უნდა აღინიშნოს, რომ იგი მთლიანად აკადემიის პრეზიდენტის, ბატონ შ. ჭალაგანიძის ინიციატივით გამოდის კვარტალში ერთხელ და ასახავს აკადემიის საქმიანობას. მასში ძირითადად ქვეყნდება აკადემიური საბჭოს მიერ მიღებული დადგენილებები და მათი შესრულებისათვის საჭირო დონისძიებები. გარდა ამისა გაზეთში გარკვეული ადგილი ეთმობა საერთაშორისო სამეცნიერო ცენტრების მიერ მოწყობილ სიმპოზიუმებსა და თავყრილობებში ჩვენი აკადემიის წევრებისა და აკადემიის მიერ წარგზავნილთა საქმიან მონაწილეობას.

მეორე კვარტალში სულ მოსმენილი და განხილული იქნა 11 საკითხი, მათ შორის: “სურსათი და მისი უვნებლობა” (აკადემიის წ/კ თ.ყურაშვილი), “ვაზის და ხეხილის ქართული ჯიშების ციტოგენეტიკური დახასიათება” (აკადემიის წ/კ გ.გვალიაშვილი).

აკადემიური საბჭოს სხდომაზე ასევე იხილებოდა არაგეგმიური, მიმდინარე საკითხები. განხილულ ცალკეულ საკითხებზე, საკანონმდებლო ინიციატივასა და რეკომენდაციებზე, სათანადო რეაგირებისათვის წერილობით ეცნობოდა ზემდგომ ორგანოებს (“ქაცვის პლანტაციების გაშენების პერსპექტივისათვის საქართველოში”).

2.4.15. საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის აკადემიურმა საბჭომ 2012 წლის 27 ივლისს მოისმინა საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის აკადემიური დეპარტამენტის თანამშრომლის, აკადემიური დოქტორის, ფერმერებთან კავშირისა და საქმიანობის კოორდინატორის ქეთევან მჭედლიშვილის მიერ 2010–2011 წლებში გაწეული მუშაობის ანგარიში.

ადინიშნა, რომ საანგარიშო პერიოდში გაიმართა შეხვედრები ფერმერებთან. თითოეულ ფერმერთან შეხვედრისას და ნათესი ფართობების გაცნობისას, მათ ეძლეოდათ რჩევები ადნიშნული კულტურების სათესლე მასალის თესვით დირსებებზე – მაღალი მოსავლის მისაღებად, მცენარეთა ზრდა-განვითარების ფაზების შესაბამისად დროულად მოვლის აგროტექნოლოგიური დონისძიებების ჩატარების აუცილებლობაზე;

როგორც აღმოსავლეთ, ისე დასავლეთ საქართველოში ფერმერულ მეურნეობებში მიმდინარეობს “ჰიბრიდული სიმინდის” და ხორბლის წარმოების პროცესი. ხორბლის ჯიშ „ჯაგრის“ უფრო მეტად გავრცელების წარმატებას ხელს უშლის პროდუქციის შესყიდვის მოუგარებლობა. ამიტომ ხორბალმა ვერ გამოიწვია ფერმერთა ეკონომიკური დაინტერესება, რის გამოც მიმდინარე წელს ხორბლის ნათესები ქვეყანაში გაზრდის ნაცვლად 20%-ით შემცირდა. ეს განაპირობა იმანაც, რომ ფერმერებმა ვერ შეძლეს მიღებული მოსავლის მომგებიან ფასში გაყიდვა.

ფერმერული მეურნეობებისათვის მეხილეობისა და მევენახეობის მიმართულებით უნდა შეიქმნას სერთიფიცირებული სანერგები, სადაც გათვალისწინებული იქნება საშუალო და სუსტი ზრდის საძირების გამოყენება ჩახშირებული ხეხილის ბაღების გასაშენებლად. ფერმერი წამლობებს უნდა ატარებდეს რეგულარულად. უნდა მოხდეს ახალი ჯიშების შემოტანა და დანერგვა როგორც მეხილეობის, ასევე მევენახეობის დარგში. საჭიროა გაძლიერდეს ფიტოსანიგარული სამსახურის როლი, მოხდეს ინტეგრირებული ბრძოლის მეთოდების, განსაკუთრებით ბიოლოგიური და ბიოპრეპარატების გამოყენება, აგრეთვე სასუქების ოპტიმალური დოზებით მოხმარება.

მძიმე მდგომარეობაშია მებოსტნეობის დარგი. აუცილებელია ჯიშების შერჩევა, თესლის წარმოება. ნიადაგის დამუშავება უნდა მოხდეს ბაზობზე. საჭიროა წამლობების დროულად ჩატარება, განსაკუთრებით ბიოლოგიური და მიკრობიოლოგიური საშუალებების გამოყენება.

ტენის შენარჩუნების მიზნით, უნდა მოხდეს რწყვის რეჟიმის ოპტიმალური ვადების დაცვა. გასათვალისწინებელია წვეთოვანი დაწვიმების გამოყენება. დია და დახურულ გრუნტში სასურველია ბიოპუშუსის გამოყენება.

ფერმერთა გაერთიანებაში მექანიზაციის მხრივ გასათვალისწინებელია თანამედროვე ტექნოლოგიების დანერგვა: ა) ნიადაგის დამუშავების, ბ) მცენარეთა მოვლა-მოყვანის, გ) გადამამუშავებელ წარმოებაში, როგორც მემცენარეობის, ასევე მეცხოველეობის დარგში, დ) მცირე მექანიზაციის საშუალებების გამოყენებისას.

ფერმერულ მეურნეობებში მეცხოველეობის დარგში გავრცელებულია შემდეგი დაგვადებები: ბრუცელოზი, ციმბირული წყლული, თურქული, ყვავილი.

აუცილებელია ამ დაავადებების თავიდან ასაცილებლად პრევენციული ღონისძიებების გატარება სახელმწიფოს მხარდაჭერით. მეცხოველეობაში სასურველია ცხოველთა დაწყურების მექანიზაციისა და მექანიკური წველის ადგენა. სასილოსე და სასენაჟე საკეთების მომზადებაში საჭიროა მექანიზაციის გამოყენება. მეცხოველეობის პროდუქციის წარმოების ზრდა პირდაპირ კავშირშია საკეთოან. დიდი ყურადღება უნდა მიექცეს სასოფლო-სამეურნეო ცხოველთა და ფრინველთა კვების ნორმებს.

სოფლის მეურნეობის სამინისტროს წარმომადგენლობის შემდეგი რეკომენდაციები: შეიქმნას წარმოებული პროდუქციის შესყიდვისათვის საჭირო პირობები; აღდგენილი უნდა იქნეს ჯიშთა გამოცდის და ოქსლის კონტროლის სისტემა; ფერმერთა მიერ მიღებული პროდუქციის შესყიდვა უნდა მოხდეს თანამედროვე საბაზო მექანიზმების გამოყენებით, ფერმერსა და შემსყიდველს (შემნახველს) შორის დადებული ხელშეკრულების საფუძველზე, რომელშიც მონაწილეობას მიიღებს კომერციული ბანკი; მიზანშეწონილია პიბრიდული სიმინდი დაითესოს აღმოსავლეთ საქართველოში. პიბრიდის უპირატესობების რეალიზაცია შესაძლებელია მხოლოდ დიდ ნაკვეთებზე, სადაც უფრო მეტად მოხდება ინტენსიური ტექნოლოგიების გამოყენება.

საანგარიშო პერიოდში იგი აგრძელებდა შეხვედრებს არასამთავრობო ორგანიზაციებთან: “ფერმერთა ასოციაცია”, ბიომეურნეობის ასოციაცია “ელკანა”, “მემამულეთა კავშირი” და სხვა, რის შედეგადაც ჩამოყალიბებული იქნა შემდეგი შეხედულებები: არასამთავრობო ორგანიზაციები განიცდიან ფინანსურ სიძნელეებს; განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ფერმერულ მეურნეობებში მეცნიერების მიღწევების წარმოებაში დანერგვა; ფერმერს კარგად ესმის, რომ მეცნიერების მიღწევების წარმოებაში დანერგვის გარეშე შეუძლებელია ხელშესახები შედეგის მიღწევა, მაგრამ იგი ამ მიმართულებით დიდ ლტოლვას არ ამჟღავნებს, რადგან რეკომენდაციების დანერგვის შესაძლებლობა არ აქვს, შესაბამისი ფინანსური რესურსების, წარმოებული პროდუქციის გაყიდვის შესაძლებლობისა და სხვა საჭირო ინფრასტრუქტურის უქონლობის გამო; საჭიროა მეცნიერების უშუალო კონტაქტი ფერმერებთან, ფერმერული მეურნეობის პრობლემისადმი კომპლექსური მიღგომა, საჩვენებელი ნაკვეთების მოწყობა, რომლის მაგალითზე დემონსტრირებული იქნება ინდუსტრიული ტექნოლოგიების უპირატესობა.

საანგარიშო პერიოდში იგი აგრძელებდა ფერმერული მეურნეობების ანალიზს მიწის ფართობების მიხედვით, რაც მომავალში შესაძლებელია ფერმერული და გლეხური მეურნეობების ინდენტიფიკაციის საფუძვლად გამოდგეს. აღინიშნა, რომ ქვეყანაში ჩამოყალიბდა წვრილი მეურნეობების რიცხვის შემცირების ტენდენცია, რაც ჩემი აზრით ხელს უწყობს მიწის ბაზრის ფორმირების, გლეხების მიერ მიწების გაყიდვის ტენდენციის გაძლიერებას.

მუშაობის გაძლიერების და განხორციელებადი შედეგების მიღების მიზნით მის მიერ შემუშავებულია შემდეგი წინადაღებები: ტიპიურ ფერმერულ მეურნეობაზე მრავალწლიანი დაკვირვების წარმოება, მეურნეობის საქმიანობის ეკონომიკურ მაჩვენებლებში ასახვა; რეკომენდაციების შემუშავება ფერმერული

მეურნეობის საქმიანობის გაუმჯობესების მიზნით, მისი აკადემიურ საბჭოზე განხილვა და შესაბამის ორგანოებში წარდგენა; სოფლის მეურნეობის პროდუქციის ორგანიზებული შესყიდვის მოწყობა; წარმატებული ფერმერების საქმიანობის შესახებ რესპუბლიკური გამოფენების მოწყობა; ფერმერთა სწავლება – კონსულტირება სოფლის მეურნეობის სხვადასხვა პროდუქციის ინდუსტრიორებული მეთოდებით წარმოების საკითხებზე; ფერმერთა მოთხოვნების შესწავლა დარგების მიხედვით, მათი სურვილებიდან გამომდინარე. კავშირის გაძლიერება მეცნიერებსა და ფერმერებს შორის, რაც ხელს შეუწყობს მათი მოთხოვნების რეალიზაციას.

2.4.16. საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის აკადემიურმა საბჭომ ამავე სხდომაზე მოისმინა საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის საერთაშორისო ორგანიზაციებთან კავშირისა და საქმიანობის კოორდინატორის თინათინ ეპიტაშვილის ანგარიში 2011-2012 წელს ჩატარებული მუშაობის შესახებ.

აღინიშნა, რომ მოვალეობებიდან გამომდინარე საანგარიშო პერიოდში მის მიერ შედგენილი იქნა სამუშაო გეგმა, საქმიანობის დებულება; მოძიებული და დაზუსტებული იქნა საერთაშორისო ორგანიზაციები, რომლებთანაც მჭიდრო კავშირი და თანამშრომლობა აკავშირებს აკადემიას (იკარდა, სიმიტი, ფაო, ბიოვერსიტი ინგ. აცირო, სიპი, იკრისატი, ჩინეთის სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემია და სხვა).

ჩატარდა სათანადო კონსულტაციები აკადემიის ხელმძღვანელობასთან, სამინისტროების წარმომადგენლებთან.

საქართველო არის “კაკაოის” – შუა აზიისა და ამიერკავკასიის ქვეყნების კველვითი ორგანიზაციების ასოციაცია – სისტემის წევრი ქვეყანა. აქედან გამომდინარე იგი ჩართულია მის ყოველწლიურ მუშაობაში. საანგარიშო პერიოდში აკად. გ. ალექსიძეს ხელმძღვანელობით მონაწილეობა მიიღო რეგიონალური სტრატეგიის “სოფლის მეურნეობის პროდუქციის მდგრადი განვითარება საქართველოში” მომზადებაში. ამ საკითხთან დაკავშირებით საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიამ ჩაატარა სემინარი. აღნიშნულ სემინარში მონაწილეობა მიიღეს სხვადასხვა სამინისტროებმა, საქართველოს აგრარულმა უნივერსიტეტმა, სამეცნიერო – კვლევითმა ინსტიტუტებმა, არასამთავრობო ორგანიზაციებმა. ამ საკითხზე მუშაობა ამით არ დამთავრებულა. მიღებული და გათვალისწინებული იქნა გამოხმაურებები და საბოლოო ვარიანტი გაიგზავნა “კაკაოის” სათაო ოფისში, ტაშკენტში.

შევსებული და გაგზავნილი იქნა კითხვარები სასოფლო-სამეურნეო მეცნიერებისა და ტექნოლოგიების ინდიკატორებზე (ASTI) გამოიკითხა სოფლის მეურნეობის სისტემაში შემავალი ყველა სამეცნიერო - კვლევითი ინსტიტუტი. (სამთავრობო, არასამთავრობო, სასწავლო ორგანიზაციები).

მომზადდა და გაგზავნილ იქნა მოკლე ანგარიში თემაზე: “აგრარული მეცნიერების დაფინანსება და ინსტიტუციონალური რეფორმები საქართველოში”, რომლის მომზადებაშიც მან მიიღო მონაწილეობა.

მონაწილეობას იღებდა საქართველოში ჩატარებული დონისძიებების ორგანიზებაში.

ამასთან ერთად, მონაწილეობდა საზღვარგარეთ ჩატარებულ საერთაშორისო კონფერენციებში, სემინარებში, ტრენინგებში.

მიმდინარე წლის 7-9 სექტემბერს ქ. პალანგაში (ლიტვა) ჩატარდა საერთაშორისო სემინარი თემაზე ”ევროპაში არსებულ კულტურულ მცენარეთა ველურ მონათესავე სახეობებისა და ხალხური სელექციის ჯიშების მრავალფეროვნების კონსერვაციის სტრატეგიის შემუშავება”, რომელიც ორგანიზებული იყო ლიტვის ბუნების კვლევითი ცენტრის, “ბიოვერსიტი ინტერნეიშენელის”, ბირმინგემის უნივერსიტეტის (ინგლისი) და პერუჯის უნივერსიტეტის (იტალია) მიერ. სემინარზე პარალელურ რეჟიმში მიმდინარებდა სამი ჯგუფის მუშაობა: მცენარეთა ველურ მონათესავე სახეობების ჯგუფი; ხალხური სელექციის ჯიშების ჯგუფი; საინფორმაციო მენეჯმენტი.

სემინარზე განხილული იქნა შემდეგი საკითხები: ევროპაში არსებულ კულტურულ მცენარეთა ველურ მონათესავე სახეობების და ხალხური სელექციის ჯიშების მრავალფეროვნების კონსერვაციის სტრატეგიის შემუშავება, კულტურულ მცენარეთა ველურ მონათესავე სახეობების და ხალხური სელექციის ჯიშების მრავალფეროვნების კონსერვაციის ეროვნული სტრატეგიის შემუშავება, in-situ და ex-situ კონსერვაცია, მონაცემთა ბაზის შემუშავება და გაუმჯობესება, კულტურულ მცენარეთა ველურ მონათესავე სახეობებისა და ხალხური სელექციის ჯიშების ინფო მენეჯმენტი.

მიმდინარე წლის 23-26 თებერვალს ქ. ერზრუმში (თურქეთი) ჩატარდა საერთაშორისო სიმპოზიუმი თემაზე ”ანატოლიის სამიტის (WISAS) პირველი ზამთრის სამიტი – ტურიზმი, სპორტი, ბიომრავალფეროვნება და გლობალური ცვლილებები”, რომელიც ორგანიზებული იყო ერზრუმის ათათურქის უნივერსიტეტის და ევროპის აბრეშუმის გზის კონსორციუმის (ESRUC) მიერ.

აღნიშნულ სემინარზე განხილული იყო ისეთი მნიშვნელოვანი საკითხები, როგორიცაა: ტურიზმის განვითარება აჭარის მაგალითზე; ბიომრავალფეროვნების კონვენცია, გლობალური ტაქსონომიის ინიციატივა და ადგილობრივი მრავალფეროვნების მართვა; სპორტის დეკომერციალიზაცია; ეკო-მეგობრული ტურიზმის და უნივერსიტეტების როლი; ტურიზმი, სპორტი, ბიომრავალფეროვნება, გლობალური ცვლილებები – რეგიონალურ და ეროვნულ დონეზე; ტურიზმი როგორც მდგრადი განვითარების საშუალება ეკონომიკაში; აბრეშუმის გზა აზიაში; მთიანი რეგიონების ტურიზმის განვითარების პერსპექტივები; ურბანიზაცია და ტურიზმი; გეოსაინფორმაციო სისტემები ტურიზმში; სოფლის მეურნეობის გავლენა გლობალური ეკოლოგიური პრობლემების გადაწყვეტაზე; გლობალური ცვლილებების გავლენა ნიადაგის დეგრადაციაზე და სხვა საინტერესო საკითხები.

პარალელურად მუშაობს სადოქტორო თემაზე: ”ტრიტიკალესა და ხორბლის შეჯვარებით მიღებულ გვართაშორის პიბრიდებში სამეურნეო და ბიოლოგიური ნიშან - თვისებების შესწავლა”. (ხელმძღვანელი: სრული პროფესორი ცოტნე სამადაშვილი), რომელიც დასრულებულია, მზადაა დაცვაზე დაშვებისათვის.

საანგარიშო პერიოდში გამოქვეყნებული აქვს სტატიები, როგორც ინდიკატორი, ისე თანაავტორობით. სულ 5 სტატია.

2.4.17. საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის აკადემიურმა საბჭომ 2012 წლის 24 აგვისტოს მოისმინა საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტის, საქართველოს აგრარული უნივერსიტეტის ვეტერინარული მედიცინის ფაკულტეტის სრული პროფესორის თენგიზ ყურაშვილის მოხსენება “ცხოველთა ძირითადი ინფექციური დაავადებების საწინააღმდეგო დონისძიებათა პროგრამების შესახებ.”

აღინიშნა, რომ აუცილებელია საქართველოს მთელს ტერიტორიაზე ცხოველთა თურქულზე ბუფერული ზონის შექმნა. ბუფერულ ზონად ითვლება ტერიტორია, რომელიც მუდმივად დაცულია დაავადების აღმდვრელის შემოტანისაგან, მასზე მაღალ დონეზე ტარდება ეპიზოოტიების საწინააღმდეგო ზოგადი დონისძიებები და შერჩეული ვაქცინებით ხორციელდება დაავადების ამთვისებელი ცხოველების სისტემატიური აცრა.

თურქული შინაური და გარეული წყვილჩლიქიანი ცხოველების ინფექციური, მაღალ კონტაგიოზური, მწვავედ მიმდინარე, სწრაფად გავრცელებადი ვირუსული დაავადებაა, რომელიც ხასიათდება ცხელებით, პირის ღრუს ლორწოვანი გარსის, ცურის კანის და ჩლიქთაშორის ნაპრალის აფთოზური დაზიანებით. თურქულით ავადდება ადამიანიც (დაავადებულ ცხოველთან კონტაქტით, რძის მიღებით და სხვა). თურქული შეიძლება გავრცელდეს წლის ნებისმიერ დროს, უპირატესად შემოდგომა-გაზაფხულზე. დღეისათვის თურქული გავრცელებულია ევროპის, აზიის, აფრიკის, სამხრეთ ამერიკის მრავალ ქვეყანაში.

აღნიშნული პროგრამის შესრულება გააუმჯობესებს აგრეთვე სხვა ინფექციური დაავადებების ეპიდემიოლოგიურ (ეპიზოოტოლოგიურ) სიტუაციას.

თურქულით გამოწვეული ეკონომიკური ზარალი ყალიბდება: ცოცხალი მასის დაკლებით, პროდუქტიულობის მკვეთრად და დიდი ხნით დაქვეითებით, მოზარდი პირუტყვის სიკვდილიანობით, მკურნალობისას გაწეული ხარჯებით.

თურქულით ავადდება ყველა სახეობის წყვილჩლიქიანი ცხოველები, ძირითადად მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვი, შემდეგ ღორი, ცხვარი, თხა, შედარებით ნაკლებად კამეჩი. ცნობილია თურქულით ცხენის, სახედრის, ძაღლის, კატის, ფრინველის დაავადებაც. თურქულით განსაკუთრებით მძიმედ ავადდება მოზარდი პირუტყვი (ადგილი აქვს დიდ სიკვდილიანობასაც). დადგენილია, რომ ბუნებაში თურქულის ვირუსის რეზერვუარები შეიძლება იყვნენ: შველი, ჯიხვი, ნიამორი, ჯეირანი და სხვა.

თურქულის დიაგნოსტიკისა და დაავადების აღმდვრელის იდენტიფიკაციისათვის აუცილებელია: ვეტერინარიულ ლაბორატორიებში განახლდეს თურქულის დიაგნოსტიკისათვის აუცილებელი აღჭურვილობა და საშუალებები. მოზარდეს კადრები, საჭირო აპარატურა და მასალები თურქულის ვირუსის იდენტიფიკაციისათვის; გეგმიურად ჩატარდეს სასაზღვრო ზოლში არსებული ცხოველების სისხლის გამოკვლევა თურქულის საწინააღმდეგო ანტისეულების კონტროლისათვის.

ასევე მნიშვნელოვანია, რომ თურქულის საწინააღმდეგოდ აცრა ჩატარდეს ქვეყნის მთელს ტერიტორიაზე სისტემატიურად შემოდგომა-გაზაფხულზე. ამთვისებელი ცხოველების (ძირითადად მსხვილი და წვრილი რქოსანი პირუტყვის) აცრა მოხდეს მეზობელ ქვეყნებში გავრცელებული ვირუსის ტიპის შესაბამისი ვაქცინებით (ამ შემთხვევაში მისაღებია საერთაშორისო ეპიზოოტიური ბიუროს რჩევები); აცრები მკაცრი კონტროლის ქვეშ უნდა ჩატარდეს სასაზღვრო ზოლში (აჭარა, სამცხე-ჯავახეთი, ქვემო ქართლი, კახეთის, აზერბაიჯანის მომიჯნავე ტერიტორია) და იმ რაიონებში, რომლებიც ეწევიან მომთაბარეობას სამხრეთ საქართველოში და აჭარის ტერიტორიაზე.

მნიშვნელოვანია ასევე მეცნიერული უზრუნველყოფა, კადრების მომზადება და საგანმანათლებლო მუშაობა. საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიამ აგრარული უნივერსიტეტის საეციალისტებთან ერთად დაგეგმოს სამეცნიერო კვლევითი სამუშაოები თურქულის დიაგნოსტიკის, მკურნალობის, პროფილაქტიკის და საწინააღმდეგო დონისძიებების აქტუალურ საკითხებზე.

ჯილები შინაური და გარეული ცხოველების აგრეთვე ადამიანის ზემწვავედ და მწვავედ მიმდინარე განსაკუთრებით საშიში ბაქტერიული ინფექციური დაავადებაა, რომელიც ხასითდება სეპტიცემიის ნიშნებით, მძიმე ინტოქსიკაციით და კარბუნკულების წარმოქმნით. ადამიანებში არჩევენ კანის და ვისცერალურ (ნაწლავის, ფილტვის და სეპტიკურ) ფორმებს. უფრო ხშირად რეგისტრირებულია კანის ფორმა, რომლის 80% მიმდინარეობს მსუბუქი და საშუალო სიმძიმით, ხოლო 20% მძიმედ. ადამიანი ჯილებით შეიძლება დაავადდეს ავადმყოფ ცხოველთან ან იძულებით დაკლული ცხოველის ტანხმორცთან კონტაქტით. აღწერილია შემთხვევები ადამიანის მიწასთან სამეურნეო საქმიანობის დროს დასენიანებისა.

ჯილებით გამოწვეული ეკონომიკური ზარალი დიდია. ლეტალობა ჯილების დროს 60-100%-ია, განსაკუთრებით მაღალია ის წვრილ რქოსან პირუტყვსა და ცხენებს შორის.

ჯილების მხრივ არაკეთილსამედო პუნქტად ითვლება დასახლებული პუნქტი, მეურნეობა, ფერმა, ეზო, სადგომებითა და მისი მომიჯნავე საძოვრებით, წყალსატევებით და სხვა, სადაც დროის მიუხედავად ადგილი ჰქონდა ცხოველის ჯილებით დაავადების შემთხვევებს.

დაავადების ამთვისებელი ცხოველებიდან უფრო ხშირად ავადდება მსხვილი და წვრილი რქოსანი პირუტყვი, ერთჩლიქიანი ცხოველები (ძირითადად ცხენი) და ყველა სახის გარეული ბალახისმჭამელი ცხოველი. ნაკლებ ამთვისებელია ღორი (ძირითადად ავადდება სეირანულ და ბანაკური შენახვის დროს) და ხორცის მჭამელი ცხოველები (ძაღლი, კატა). მოზარდი უფრო ხშირად ავადდება ვიდრე მოზრდილი ცხოველი.

ახალი კერების წამოქმნის თავიდან აცილების მიზნით აუცილებელია: ვეტერინარიული კონტროლის გარეშე (განსაკუთრებით ჯილებზე არაკეთილსამედო პუნქტებში) აიკრძალოს ცხოველთა იძულებთ დაკვლა და ხორცის რეალიზაცია; ცხოველთა ჯგუფში (ნახირში) რაიმე დაავადების გაჩენის და

ჯილებზე ეჭვის მიტანის შემთხვევაში ცხოველები სასწრაფოდ დამუშავდეს შრატით ან გამა-გლობულინით ანტიბიოტიკებთან ერთად; ქვეყნის მთელს ტერიტორიაზე (პირველ რიგში კი ჯილების მხრივ არავეთილსაიმედო პუნქტებში) მოეწყოს ნაკელსაცავი ორმოები; ცხოველის სიკვდილის და ჯილებზე ეჭვის მიტანის დროს დიაგნოზის დაზუსტებამდე შეზღუდვების დაწესება და ვეტერინარიულ-სანიტარიული ღონისძიებების გატარება. ჯილებზე ეჭვის მიტანისას ცხოველის ლეშის გაკვეთა აკრძალულია; ცხოველის სიკვდილის მიზეზი თუ ჯილებია უნდა გატარდეს ჯილებთან ბრძოლის ღონისძიებათა შესახებ ინსტრუქციის მოთხოვნები. პირველ რიგში ცხოველის ლეშის ადგილზე დაწვა და თუ ამის პირობები არ არის მისი უსაფრთხოდ სხვა ტერიტორიაზე გატანა და გაუვნებელყოფა. ჯილებით მკვდარი ცხოველის გასაუვნებელსაყოფად ყოველ რეგიონში დაცულ ადგილას მოეწყოს ბიოთერმული ორმოები; ლეშის საზიდი ავტომანქანების მომსახურე პერსონალი მომარაგდეს სათანადო სპეც ტანსაცმლით და პირადი ჰიგიენის საშუალებით.

ჯილების საწინააღმდეგო ღონისძიებების ეფექტურობა დიდადაა დამოკიდებული დაავადების ზუსტ და დროულ დიაგნოსტიკაზე. დაავადების დროული დიაგნოზი განსაზღვრავს აგრეთვე დაავადების ახალი კერის წარმოშობის შესაძლებლობასაც.

ლაბორატორიები (სტაციონარული და მოძრავი) უზრუნველყოფილი უნდა იქნეს პათოლოგიური მასალის, ნიადაგის, წყლისა და ცხოველური საკვების, ჯილებზე გამოკვლევის ექსპრეს მეთოდებით, საჭირო აპარატურითა და საშუალებებით.

აუცილებელ ვაქცინაციას ექვემდებარება ჯილებზე საშიშროების ქვეშ მყოფ ტერიოტორიაზე განლაგებულ დასახლებულ პუნქტში, მეურნეობაში, ფერმაში არსებული და ახლად შეძენილი ყველა ცხოველი. საჭიროა აგრეთვე მეცნიერული უზრუნველყოფა, კადრების მომზადება და საგანმანათლებლო მუშაობა.

2.4.18. საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის აკადემიურმა საბჭომ 2012 წლის 24 აგვისტოს მოისმინა საქართველოს აგრარული უნივერსიტეტის ზოოტექნიკური ფაკულტეტის ზოგადი ზოოტექნიკის დეპარტამენტის უფროსის, სრული პროფესორის როლანდ მიტიჩაშვილის მოხსენება “ საქართველოს მეცხოველეობის განვითარების ძირითადი ასპექტები”.

აღინიშნა, რომ ბოლო პერიოდში საქართველოს მთავრობამ განსაკუთრებული პრიორიტეტი მიანიჭა სოფლის მეურნეობას და მათ შორის მეცხოველეობას. პრემიერ მინისტრმა, ბატონმა ვანო მერაბიშვილმა წინა პლანზე წამოსწია მეცხოველეობის საკითხი და გამოთქვა მთავრობის მზადყოფნა მისი დაჩქარებული განვითარებისათვის.

საქართველოს მეცნიერებების განვითარება უნდა მოხდეს სამ განსაკუთრებულ გეოგრაფიულ ზონაში სრულიად განსხვავებული მიდგომით და სათანადო ტექნოლოგიებით: დიდი ქალაქების საგარეოუბნო და საკურორტო ზონის მიმდებარე მეცნიერება; დაბლობი და საშუალო სიმაღლის ზონის მეცნიერება; მაღალმთიანი ზონის მეცნიერება.

პირველ ზონაში უნდა გამოვიყენოთ უკვე გამოყენილი ცხოველთა და ფრინველთა თანამედროვე მაღალპროდუქტიული ჯიშები შენახვის ბაგური ტექნოლოგით და თანამედროვე მტკიცე საკვები ბაზით, ეს საშუალებას მოგვცემს გადავწყვიტოთ მეტად მნიშვნელოვანი საკითხი და საკვები პროდუქტებით მოვამარაგოთ დიდი ქალაქები და საკურორტო ზონები.

მეორე ზონაში გამოყენებული იქნება ბაგური, ბაგურ-სამოვრული და ბაგურ-ბანაგური შენახვის სისტემები. აქ უნდა გამოვიყენოთ აპრობირებული და ზონას შეგუებული კულტურული და აბორიგენული ჯიშები.

მესამე ზონაში პირველ ეტაპზე უნდა მოვაშენოთ მხოლოდ ადგილობრივი კულტურული, აბორიგენული და პრიმიტიული ჯიშები, ეს ისეთი მაღალმთიანი ზონაა, სადაც სპეციალური პირობების შექმნამდე გამოსადეგია მოლოდ ადგილობრივი ჯიშები.

საქართველოს მაღალმთიან რეგიონებში (დუშეთი, ფშავ-ხევსურეთი, მთიულეთი, ხევი, რაჭა-ლეჩხეუმი, სამეგრელო-სვანეთი, გურია-იმერეთი, აჭარის მაღალმთიანი რაიონები) პირველ ეტაპზე უნდა მოვაშენოთ ძროხის კავკასიური წაბლა ჯიში, ხევსურული, სვანური, აჭარული და მეგრული წითელი ჯიშის ძროხა; თუშური და იმერული ცხვარი; კახური, სვანური და მანგალიცური მომთაბარე ლორის პოპულაციები; თუშური, მეგრული და ჯავახური ცხენი; ქათმის ადგილობრივი პოპულაციები; ჩალისფერი, ყელტიტველა, მეგრულა, შავი და ნაცარა ქათმები, ჩალისფერი ინდაური; სამგზის საერთაშორისო ოქროს მედალოსანი მაღალდალიანი ქართული ფუტკარი; ამავე ზონაში აუცილებლად უნდა განვითარდეს დიდი პოტენციის მქონე საკალმახე მეურნეობები.

თანამედროვე მეცნიერებების განვითარების თავისებურებებმა ახალი ამოცანები დააყენეს ზოოტექნიკური მეცნიერების წინაშე. წარმოიშვა მნიშვნელოვან სამეცნეო სასარგებლო ნიშანთვისებათა მემკვიდრეობის გენეტიკურ კანონზომიერებათა ცოდნის ახალი მაღალპროდუქტიული ჯიშებისა და ჯიშური ტიპების შექმნის, აგრეთვე პიბრიდული ცხოველების მიღების აუცილებლობა, რომლებიც კარგად არიან შეგუებულები სამრეწველო ტექნოლოგიების პირობებს. მეცნიერებების ფერმების დაკომპლექტებისათვის საჭიროა მაღმწიფადი ცხოველები, მაგარი კონსტიტუციით, პროდუქციაზე საკვების მაღალი ანაზღაურებით, შეგუებული იმ მეურნეობის პირობებს, სადაც დანერგილია კომპლექსური მექანიზაცია. სწორედ სანაშენო საქმის დანიშნულებაა ცხოველთა და ფრინველთა ხარისხობრივი გაუმჯობესება.

ისმება კითხვა: რა მდგომარეობაა ამ მხრივ საქართველოში? თავიდანვე უნდა მოგახსენოთ, რომ მდგომარეობა კატასტროფულია. უახლოეს წარსულამდე საქართველოში ჯერ კიდევ არსებობდა ცხოველთა და ფრინველთა სანაშენე მუშაობის ქსელი, რომელიც თუმცა შორს იყო სრულყოფილისაგან, მაგრამ თავის ფუნქციას მაინც კარგად ასრულებდა.

აუცილებელ მოგვარებას მოითხოვს სახელმწიფო ეპიდემიაზე სამართლებრივი ბაზა ფერმერის სტატუსთან დაკავშირებით. დღეს საქართველოში ნებისმიერ პიროვნებას შეუძლია დაიწყოს ცხოველთა და ფრინველთა მოშენება და გახდეს ფერმერი ზოოტექნიკური სერტიფიკატის გარეშე. მოვიყვან გერმანიის მაგალითს: ბავარიაში მამა შვილს კერძო საკუთრებაში არსებულ ფერმას მემკვიდრეობით ვერ გადასცემს, თუ შვილმა არ მიიღო ზოოტექნიკური განათლება, ე.ი. მან უნდა დაამთავროს მინიმუმ 3 წლიანი ზოოტექნიკური სკოლა. მასზე არც ერთი ბანკი არ გასცემს კრედიტს, კრედიტის გარეშე კი ფერმერი ვერ იარსებებს. აღნიშნული გარემოება იმაზე მიუთითებს, რომ სახელმწიფო მხოლოდ პროფესიონალების ხელით აწარმოებს ცხოველთა სელექციას.

სოფლის მეურნეობის და სურსათის სამინისტროებთან აუცილებლად უნდა ადსდგეს მეცხოველეობის სანაშენე საქმის სამსახური, რომელიც თავის თავზე აიდებს სანაშენე მუშაობას, ე.ი. სანაშენე საქმეს სახელმწიფო გააკონტროლებს, დეპარტამენტის დაქვემდებარებაში უნდა მოექცეს სანაშენე მუშაობის და ხელოვნური დათესლების სათაო და ოეგიონალური სამსახურები, რომლებიც აღჭურვილი იქნებიან თანამედროვე ლაბორატორიებით და კომპიუტერული სისტემით, მათი აუცილებელი ფუნქცია უნდა იყოს მწარმოებლების შეფასება შთამომავლობის ხარისხით და გამაუმჯობესებელი მწარმოებლებიდან სპერმის ბანკის შექმნა და რაც მთავარია მისი გამოყენება ჯიშობრივი დარაიონების გეგმის შესაბამისად.

ცხოველთა თითოეულ სახეობაში უნდა ჩამოყალიბდეს სანაშენე ფერმები და უკელა ფერმერულ მეურნეობაში მოწესრიგდეს პირველადი და მეორადი ზოოტექნიკური აღრიცხვა; მირითადად გეგმიურ ჯიშებზე ჩამოყალიბდეს ასოციაციები, რომლებიც უზრუნველყოფენ ჯიშის სრულყოფის ღონისძიებების შესრულებას, სახელმწიფო სანაშენე წიგნებისა და მწარმოებლების კატალოგების გამოშვებას, მოაწყობს საშემოდგომო გამოფენებსა და აუქციონებს, გამართავს გამსვლელ სამეცნიერო-პრაქტიკულ ღონისძიებებს და ორგანიზაციას უკეთებს კვალიფიკაციის ამაღლების კურსებს; შეიქმნას ჯიშების შემოყვანისა და რეგიონში გაადგილების სამართლებრივი ბაზა, რომელსაც საფუძვლად დაედება ცხოველთა ჯიშობრივი დარაიონების სახელმწიფო გეგმა, რაც აკრძალავს სანაშენო ცხოველთა გამოცდას მეცნიერულად დასაბუთებული რეკომენდაციების გარეშე, მათ საზღვარგარეთიდან შემოყვანას და სტიქიურ გავრცელებას; განსაკუთრებული უურადღება მიექცეს და მატერიალური დახმარება გაეწიოს სანაშენე სამსახურებს პირუტყვის ხელოვნური განაყოფიერების და ემბრიონთა ტრანსპლატაციის ფართოდ დანერგვაში; მეცნიერული კვლევის შედეგების საფუძველზე, საქართველოში არსებული უცნობი წარმოშობის, დაბალპროდუქტიული პირუტყვის მოკლე დროში გარდაქმნა-გაუმჯობესების მიზნით შემუშავდეს და განხორციელდეს მათი გეგმიურ მაღალპროდუქტიულ ჯიშებთან შეჯვარების პროგრამა თანამედროვე ტექნოლოგიების გამოყენებით; ქვეყნის სანაშენე სამსახურის მაღალკვალიფიციური სპეციალისტებით უზრუნველყოფის მიზნით საქართველოს სოფლის მეურნების მეცნიერებათა აკადემიის და საქართველოს სახელმწიფო აგრარული უნივერსიტეტის ზოოტექ-

ქნიკური ფაკულტეტის ბაზაზე შეიქმნას მეცნოველეობის მუშაკთა კვალიფიკაციის ამაღლება-გადამზადების კურსები და სალიცენზიონ კომისია.

2.4.19. საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის აკადემიურმა საბჭომ 2012 წლის 28 სექტემბერს მოისმინა საკითხი “საქართველოს სოფლის მეურნეობის დარგობრივ – რეგიონული პროგრამების შესრულების მიმდინარეობა” (საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტროს დაკვეთა).

მომსხვენებლები: აკად. პეტრე ნასყიდაშვილი (მარცვლეული კულტურები); აკად. იუზა ვასაძე (მეხილეობა); პროფ. ლევან თორთლაძე (მეცნოველეობა); დოქტორი ნატო კაკაბაძე (მეცნიერება). თანამომსხვენებლები: აკადემიის ვიცე – პრეზიდენტი, აკად. გურამ ალექსიძე; საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტროს წარმომადგენელი გიგლა მიქაუტაძე.

მარცვლეული კულტურები სამუშაო ჯგუფი: სმმ აკადემიის აკადემიკოსი პეტრე ნასყიდაშვილი; სმმ აკადემიის წევრ – კორესპონდენტი ოთარ ლიკარტელიანი; მეცნ. დოქტორი გულნარი ჩხეიტიაშვილი;

მეხილეობა სამუშაო ჯგუფი: სმმ აკადემიის აკადემიკოსი იუზა ვასაძე; სმმ დოქტორი ნადეჟნა მიროტაძე; აკად. დოქტორი გიორგი ბარბაქაძე;

მეცნოველეობა სამუშაო ჯგუფი: სმმ დოქტორი, პროფესორი ლევან თორთლაძე; აკად. დოქტორი გივი ბერებული; აკად. დოქტორი ანატოლი გიორგაძე;

მეცნიერება სამუშაო ჯგუფი: აკად. დოქტორი ნატო კაკაბაძე; მეცნ. დოქტორი ვაჟა ჯაფარიძე; აკად. დოქტორი ლერი ნოზაძე;

მარცვლეული კულტურების სამუშაო ჯგუფის ხელმძღვანელმა აკადემიკოსმა პეტრე ნასყიდაშვილმა აღნიშნა, რომ მსოფლიო ექსპერტთა ანალიტიკური მონაცემების საფუძველზე დადასტურებულია, რომ XXI საუკუნეს კაცობრიობა მეტად გამწვავებული სასურსათო პრობლემით შეხვდა. თუ ახალი საუკუნის დამდეგისათვის დედამიწაზე შიმშილობდა მოსახლეობის 17%, უახლოეს 10-15 წელიწადში ეს საფრთხე ემუქრება პლანეტის მცხოვრებთა 25%-ს, ამიტომ სასურსათო უზრუნველყოფის პრობლემებიდან ყველაზე მთავარი იყო და მომავალშიც დარჩება, მარცვლეულის წარმოების გადიდების ამოცანა, რომლის წარმატებით გადაწყვეტა ნებისმიერი ქვეყნის ეროვნული ეკონომიკის განვითარების საფუძველთა საფუძველს წარმოადგენს.

კულტურულ მცენარეთა შორის ჩვენი ქვეყნისათვის ყველაზე მნიშვნელოვანია მარცვლეული კულტურები, რომელშიც გაერთიანებულია კულტურათა ორი ჯგუფი: 1) თავთავიანი პურეული (ხორბალი, ქერი, ჭვავი, შვრია) და ბურღულეული (სიმინდი, ღომი, ფეტვი, წიწიბურა), 2) სამარცვლე პარკოსნები (ლობიო, სოია,) და ზეთოვანი (მზესუმზირა).

სამწეხაროდ, საქართველოში ძირითადი მარცვლეული კულტურების მოსავლიანობა ძალიან დაბალია. 2010 წლის მონაცემებით ხორბალი ითესებოდა 47,5 ათას ჰა-ზე, საიდანაც საშუალო მოსავლიანობამ შეადგინა 1,0 ტ/ჰა-ზე; სიმინდი

დაითესა 99,8 ათას ჰა-ტე და მოსავლიანობამ შეადგინა 1,4 ტ/ჰა; ქერი - 20,6 ათასი ჰა, მოსავლიანობა 1,1 ტ/ჰა; ლობიო - 6,7 ათასი ჰა, მოსავლიანობა 0,6 ტ/ჰა.

მიზეზი იმისა, რომ დაბალია მარცვლეული კულტურების მოსავლიანობა არის ის, რომ:

უგულვებელყოფილია სელექცია-მეთესლეობის სისტემა, რის გამოც არ არსებობს დღეს თესლის წარმოების საკანონმდებლო ბაზა; არ მიმდინარეობს კულტურათა მორიგეობა - თესლბრუნვა; არ არსებობს მარცვლეულ კულტურებზე ორიენტირებული მცენარეთა დაცვის ინტეგრირებული სისტემა; დაბალია ფერმერთა კოოპერაციის დონე; ნაკლებია გრძელვადიანი და იაფი საკრედიტო სისტემა; საქართველოს მრავალფეროვანი ნიადაგური და კლიმატური ზონებისათვის (22 ზონა) არ ტარდება შესაფერისი ჯიშებისა და ჰიბრიდების შერჩევა; წარმოებაში ითესება წინასწარ შეუმოწმებელი ჯიშებისა და ჰიბრიდების თესლი; სასოფლო-სამეურნეო ტექნიკისა და საწვავის სიძვირის გამო დროულად და ხარისხიანად ვერ ტარდება აგროტექნოლოგიური ღონისძიებები (ნიადაგის მირითადი დამუშავება, თესვისწინა დამუშავება, თესვა, კულტივაცია, ნათესის მოვლა, მოსავლის აღება - დაბინავება, შენახვა).

ჩვენს ქვეყანას აქვს სამი მირითადი პირობა და ძლიერი მხარე, რომ საგრძნობლად გაიზარდოს მარცვლეული კულტურების მოსავლიანობა. ეს გახლავთ: 1) მარცვლეული კულტურების მოყვანისათვის ხელსაყრელი ნიადაგური და კლიმატური პირობები, 2) მეცნიერების მიერ გამოყვანილი და წარმოებაში დანერგილი მარცვლეული კულტურების ჯიშები და ჰიბრიდები, რომლებიც გამოირჩევიან როგორც მოსავლიანობით, ასევე მოსავლის ხარისხით, 3) ზონის პირობებისათვის, მეცნიერების მიერ დამუშავებული მარცვლეული კულტურების მოვლა-მოყვანის ტექნოლოგიები.

კულტურების მაღალი და სტაბილური მოსავლის მისაღებად საჭიროა მათი მოვლა-მოყვანის თანამედროვე სრულყოფილი აგროტექნოლოგია, რითაც შესაძლებელი გახდება ქვეყანაში ვაწარმოოთ: ხორბალი -3,5 ტ/ჰა; ქერი 2,5ტ/ჰა; სიმინდი - 5,5ტ/ჰა; წიწიბურა - 2,2 ტ/ჰა; მზესუმზირა -2,5ტ/ჰა; ლობიო - 2,0ტ/ჰა; სოია - 2,5ტ/ჰა. ამით საქართველო, დასახელებული კულტურების საშუალო მოსავლიანობის დონით მიუახლოვდება ევროპის ქვეყნების საშუალო მოსავლიანობის დონეს.

მეხილეობის სამუშაო ჯგუფის ხელმძღვანელმა აკადემიკოსმა იუზა ვასაძემ აღნიშნა, რომ მეხილეობა არის საქართველოს ერთ-ერთი პრიორიტეტული დარგი, არა მარტო ახალი ჯიშების გამოყვანითა და წარმოებაში მათი დანერგვით, არა მხოლოდ წარმოების მაღალი დონით, არამედ ასევე მეცნიერების უკანასნელ მიღწევებზე დაყრდნობით სათანადო აგროტექნიკის უფრო სრულყოფა-დახვეწითა და მისი წარმოებაში დანერგვით.

მეხილეობის დარგის განვითარება დაკავშირებული იყო არა მარტო ხეხილის იმ სარგავი მასალის ჯიშობრივ შემადგენლობასთან, რომელსაც არსებული სახელმწიფო სანერგეები იძლეოდნენ ამა თუ იმ რაიონის აგროეკოლოგიური პირობების შესაბამისად, არამედ დაკავშირებული იყო აგრეთვე გაუმჯობესებული ახალი ჯიშების გამოყვანასთან, მექანიზაციის დონესთან, მავნებლებთან და

დაავადებებთან ბრძოლის მაღალ ტექნიკასთან და ხეხილის ბალში ნიადაგის გარდაქმნა-გაკულტურებასთან.

ბუნებრივი და ეკონომიკური პირობების გათვალისწინებით მეხილეობა ქვეყნის რაიონებში მეტნაკლებადაა განვითარებული. ხეხილის ნარგაობის ტიპები ორნაირია და წარმოდგენილია, როგორც მასიური ბალების, ისე საკარმიდამო ნაკვეთებზე ცალკე ნარგაობათა ერთეული ძირების სახით.

ხეხილოვანი კულტურები სხვა მრავალწლიან კულტურებთან შედარებით გამოირჩევა მნიშვნელოვანი უპირატესობებით: საქართველოს ნიადაგურკლიმატური პირობები შესაძლებლობას იძლევა წარმოებული იქნას მისი მაღალი სასაქონლო თვისებების კონკურენტუნარიანი პროდუქცია საქართველოს უმეტეს რაიონში; მეხილეობა მაღალრენტაბელური დარგია; ადგილობრივი ბაზარი ამ პროდუქციის ტრადიციული და ფართო მომხმარებელია; ფერმერები დაინტერესებული არიან გააშენონ ხეხილის ბალები; ეს დარგი მნიშვნელოვანი საექსპორტო შემოსავლების მომტანი დარგია; იგი ხასიათდება უნარჩენო წარმოებით; ხეხილის ბალის გაშენება, მოვლა და აგროტექნიკური ღონისძიებების ჩატარება სხვა კულტურებთან, კერძოდ ვაზთან, შედარებით ნაკლებ დანახარჯებს მოითხოვს; საქართველოში არსებობს ხელსაყრელი პირობები ეკოლოგიურად სუფთა (ორგანული) ხეხილის წარმოებისა, რაც დამატებითი შემოსავლის მიღების რესურსს წარმოადგენს;

გარდა ჯიშურად გარანტირებული სარგავი მასალის ხელმიუწვდომლობისა, სერიოზულ ხელისშემშლელ მიზეზებს წარმოადგენენ შემდეგი სირთულეები: საქართველოში დღემდე ფუნქციონირებენ წვრილი სანერგე მეურნეობები, რომლებიც ყოველგვარი სახელმწიფო კონტროლისა და ზედამხედველობის გარეშე აწარმოებენ გაურკვეველ წარმოშობის ხეხილოვან კულტურათა ნერგებს; ბალების აბსოლუტური უმრავლესობა შენდება მეცნიერულად დასაბუთებული რეკომენდაციებისა და პროექტების გარეშე ხეხილის ბალების გაშენების დროს ხშირია შემთხვევები, როდესაც ხდება ახალი პროგრესული ტექნოლოგიებისა და ჯიშების შემოტანა ყოველგვარი ნიადაგური და კლიმატური პირობების გათვალისწინებათა კორექტირების გარეშე, რაც საბოლოოდ იძლევა უარყოფით შედეგს, რის გამოსწორებასაც დიდი დრო სჭირდება და ამასთანავე იგი ძვირად ღირებული სიამოვნებაა (ერთი ჰა-ს გაშენების ღირებულება 30-35 ათასი ლ.), რაც უნდა გამოირიცხოს; ქვეყნის სოფლის მეურნეობის სტრატეგიული განვითარების გრძელებითი გეგმის არქონა; ხეხილის ბალების მოვლის თანამედროვე ტექნოლოგიების სიმცირე, რაც იწვევს სამრეწველო ბალების მსხმოიარობაში გვიან შესვლას და მოსავლის აღების სირთულეს; თითქმის ადარ არსებობს ადგილობრივი საუკეთესო ჯიშებისა და პერსპექტიული ენდემური ჯიშების სადედე ბალები; თანამედროვე საირიგაციო სისტემების მოშლა (გამფრქვევებით, წვეთოვანი მორწყვა) და უქონლობა; კვლავ დასაზუსტებელია ხეხილოვან კულტურათა გავრცელების ოპტიმალური ზონები; თითქმის ადარ არსებობს ხეხილოვან კულტურებთან ადაპტირებული სასოფლო-სამეურნეო (მოსავლის ამდები, შესაწამლი) მანქანა-იარაღები; მეტად დაბალია მეხილეობაში დასაქმებული ფერმერების ცოდნა აგროტექნიკისა და მოვლის შესახებ; არ არსებობს ხეხილოვან კულტურაზე ორიენტირებულ მცენარეთა დაცვის

ინტეგრირებული სისტემები; სოფლის მეურნეობის სფეროში განათლების დაბალი დონე; მეცნიერებისა და ფარმერების ურთიერთგათიშულობა; დაბალი მოსავლიანობა; სადაზღვევო სისტემის არ მოქმედება; ფერმერებსა და მყიდველს შორის წინასწარი საკონტრაქტო სისტემის მოუწესრიგებლობა;

აღნიშნული ამოცანების გადასაჭრელად აუცილებელია განხორციელდეს შემდეგი ღონისძიებები: წარმოების მოცულობისა და მოსავლიანობის გაზრდა; საქართველოს ხეხილოვანი კულტურების წარმოების განვითარების გრძელვადიანი სტრატეგიის შექმნა; ხეხილოვანი კულტურების ახალი ბაზების გაშენება; აღნიშნული კულტურების წარმოებისათვის ხელსაყრელი საკანონმდებლო და ინსტიტუციონალური გარემოს შექმნა; ხარისხიანი და ჯიშურად გარანტირებული სარგავი მასალის წარმოება; სანერგე სექტორის აღორძინების მიზნით, ხეხილოვან კულტურათა ნერგის წარმოების სახელმწიფო მიზნობრივი პროგრამის შემუშავება, მის ფარგლებში ინტენსიური ტიპის ხეხილოვან კულტურათა უვირუსო საკალმე-სადედევების მოწყობის გათვალისწინება; ხეხილოვან კულტურათა წარმოების რენტაბელობისა და ეფექტურობის ამაღლება, პროდუქციის ხარისხობრივი მაჩვენებლების გაუმჯობესება; თანამედროვე პროგრესული ტექნოლოგიების დანერგვის ხელშეწყობა, უკვე არსებულის მოდერნიზაცია-რაციონალიზაცია, სადემონსტრაციო-საჩვენებელი სანერგების და ბაზების მოწყობა თითოეული ხეხილოვანი კულტურების მწარმოებელ რეგიონში; ხეხილოვან კულტურათა წარმოებისათვის სპეციალიზებული მანქანა-იარაღების შექმნა; სტატისტიკური აღრიცხვიანობის მეთოდების დახვეწა; სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობისა და საკონსულტაციო სამსახურების შექმნის მხარდაჭერა; დარგისათვის აუცილებელი და მნიშვნელოვანი საცნობარო ლიტერატურის სისტემატიური გამოცემის ორგანიზება; ხეხილოვან კულტურათა წარმოებისა და გადამუშავების შესახებ სემინარებისა და სახსავლო კურსების სისტემატიური ჩატარება და ფერმერთა კვალიფიკაციის ამაღლება; ხეხილოვანი კულტურების სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის დაფინანსება, საკონკურსო საგრანტო სისტემის შექმნის საშუალებით, რომელიც მიზნობრივად დააფინანსებს დარგის პრაქტიკული და აქტუალური საკითხების კვლევას; ხეხილოვან კულტურათა ადგილობრივი უნიკალური ჯიშების გადარჩენისა და შენარჩუნების მიზნით არსებული გენეტიკური რესურსების საფუძვლიანი მოძიება, მათი პასპორტიზაცია და კოლექციის სახით თავმოყრა და დაცვა; ექსპორტის განვითარების მხარდაჭერა და მასზე ორიენტირებული ინფრასტრუქტურის შექმნა; ხეხილოვან კულტურათა ბაზების გაშენებისათვის ხელსაყრელი საინვესტიციო გარემოს მომზადება, საგადასახადო შედაგათების დაწესება ბაზის გასაშენებელი ინვესტიციებისათვის, პორენტიური ინვესტორების ინფორმირება-დაინტერესება და მოზიდვა; ხეხილოვან კულტურათა წარმოების სპეციფიკის (დაბანდებული სახსრების ამოღების ხანგრძლივი პერიოდი) გათვალისწინებით შედავათიანი საკრედიტო სტრუქტურების ამოქმედების სტიმულირება; ხეხილოვან კულტურათა მარკეტინგული სამსახურის შექმნა, რომელიც მოემსახურება მწარმოებელს პროდუქტის გასაღებასა და ვაჭრობის დაგეგმვა-ორგანიზებაში; ეკოლოგიურად სუფთა ხეხილოვან კულტურათა წარმოების ხელშეწყობა, რისთვისაც

აუცილებელია შემუშავდეს და ამოქმედდეს აღნიშნული პროდუქციის სერტიფიცირების ეფექტური სისტემა, რომელიც აკრედიტებული იქნება შესაბამისი საერთაშორისო სასერტიფიკაციო სააგენტოს მიერ; ხეხილოვან კულტურათა შესანახი და გადამამუშავებელი საწარმოების გამართული მუშაობის ხელშეწყობა;

აღნიშნული კვლევითი სამუშაოები ჩატარდება მოქმედი კვლევითი საქმიანობის მეთოდური მითითებების საფუძველზე. დასკვნები და რეკომენდაციები მიიღება ადგილზე ჩატარებული ანალიზების, გამოკითხვების, ხელმძღვანელთა, ფერმერთა და სპეციალისტთა შეკრების შედეგად მიღებული შენიშვნებისა და წინადაღებების გათვალისწინებით.

მეცნიერებების სამუშაო ჯგუფის ხელმძღვანელმა სმმ დოქტორმა, პროფესორმა ლევან თორთლაძემ აღნიშნა, რომ ადამიანის მიერ მოხმარებული ხორცის ბალანსში 40% უნდა ეკავოს ძროხის ხორცს, რაც განპირობებულია ამ პროდუქტის ქიმიური შედგენილობითა და ბიოლოგიური ღირებულებით. ძროხის ხორცის წარმოების პრობლემა დიდი ხანია გახდა ერთ-ერთ ყველაზე მეტად აქტუალური ზოოტექნიკურ მეცნიერებაში, მაგრამ მიუხედავად მრავალი მეცნიერის და სპეციალისტის უდიდესი და ნაყოფიერი შრომისა, ეს პრობლემა დღესაც ამოუწურავი და ისეთივე აქტუალურია, რადგან სამეცნიერო-ტექნიკური პროგრესი უსასრულოდ წარმოშობს მისი გადაჭრის ახალ, უფრო სრულყოფილ შესაძლებლობას.

ეს პრობლემა განსაკუთრებით მნიშვნელოვანია საქართველოსათვის ძროხის ხორცის მნიშვნელოვანი დეფიციტისა და მისი წარმოების ინტენსიფიკაციის საკმაოდ დაბალი დონის გამო. ამასთან დაკავშირებით ხორცის გამოსავალი ძროხის ერთ სულზე საშუალოდ არ აღემატება 29–30 კგ–ს იმ დროს, როდესაც მეძროხეობის ინტენსიფიკაციის მაღალი დონის მქონე ქვეყნებში, ერთ სულზე გადაანგარიშებით, აწარმოებენ 100–110 კგ ხორცს.

პრობლემის აქტუალობიდან გამომდინარე ჩვენს მიერ უპირველეს ყოვლისა გაკეთებული იქნა ქვეყანაში ძროხის ხორცის წარმოების **SWOT ანალიზი**, სადაც გამოიკვეთა : **ძლიერი მხარეები** – მოთხოვნა ძროხის ხორცზე; ხელსაყრელი კლიმატი; არსებული ბუნებრივი სათიბ-საძოვრების (ზამთრის, ზაფხულის და გარდამავალი) სრულად გამოყენების შესაძლებლობა; ორგანული პროდუქციის წარმოების პერსპექტივა; ქვეყნის განვითარება და შექმნილი ბიზნეს გარემო; სახელმწიფოსა და მთავრობის დაინტერესება და მხარდაჭერა; ძროხის ხორცის წარმოების შესაძლებლობა მთელ ქვეყანაში; კონკურენცია (აზერბაიჯანის მხრიდან და სხვ.), **სუსტი მხარეები** – ადგილებზე მაღალკვალიფიციური მეცნიერებების სპეციალისტების დეფიციტი; ძროხის ხორცის წარმოების გრძელვადიანი გეგმის არქონა; მეცნიერებისა და ფერმერების ურთიერთგათიშულობა; საკონსულტაციო ცენტრების ნაკლებობა; ფერმერთა მცირემიწიანობა; მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვის საკვებად გამოსადეგი კულტურების დაბალი მოსავლიანობა; ცილის (პროტეინის) შემცველი არატრადიციული საკვები კულტურების ნაკლებობა; ცხოველთა არასათანადო მოვლა-შენახვა და კვების პირობები; მოძველებული ტექნოლოგიები, ტექნიკა და დაბალი პროდუქტიულობა ფერმერულ

მეურნეობებში; მეხორცული მექროხეობის და სამრეწველო შეჯვარების არ არსებობა; გრძელგადიანი და იაფი საკრედიტო რესურსის ნაკლებობა; სადაზღვევო სისტემის არარსებობა; სპეციალური სასაკლაოების ნაკლებობა; ვეტერინარული კონტროლი, მონიტორინგი და სხვ. **შესაძლებლობები:** ძროხის ხორცის წარმოების განვითარების გრძელგადიანი გეგმის შემუშავება; მეცხოველეობასა და ვეტერინარიაში უმაღლესი და საშუალო განათლების სისტემის გაუმჯობესება; მეცხოველეობის და ვეტერინარიის სამეცნიერო-კვლევითი და საკონსულტაციო ცენტრების განვითარება; ახალი ტექნოლოგიების, მაღალპროდუქტული სათესლე მასალისა და აგროტექნიკის გამოყენებით მსხვილფეხა პირუტყვის საკვებად გამოსადეგი კულტურების დანერგვა, მათი მოსავლიანობის გაზრდა; ცილის (პროტეინის) შემცველი არატრადიციული საკვები კულტურების მოყვანა; საჭირო სასოფლო სამეურნეო ტექნიკის განახლება; საკვებწარმოების სანედლეულო ბაზის გაძლიერება (მინდვრად საკვებწარმოება, მდელოთ საკვებწარმოება, კომბინირებული საკვების წარმოება); ფერმერთა კოოპერირების განვითარება; იაფი და გრძელგადიანი კრედიტების ხელმისაწვდომობა; სადაზღვევო სისტემის ამოქმედება; მეცნიერებისა და ფერმერების ურთიერთდაკავშირება (შესაბამისი ლიტერატურის მიწოდება, სემინარები, ტრეინინგები, გამოფენები); ინვესტირებისათვის ხელსაყრელი პირობების შექმნა; სპეციალური სასაკლაობის ქსელის გაფართოება; ცხოველების ტრანსპორტირების სპეციალიზირებული საშუალებების რაოდენობის გაზრდა; ექპორტზე მოთხოვნილების გადიდება. **გამოკვეთილი საფრთხეები:** ქვეყანაში და მის გარეთ პოლიტიკური და ეკონომიკური არასტაბილურობა; ბუნებრივ-კლიმატური პირობების გაუარესება, ბუნებრივი კატაკლიზმები და სხვ.; ქვეყანაში არასაიმედო ეპიზოტია.

თანახმად სოფლის მეურნეობის სამინისტროს მოთხოვნისა შევადგინეთ ხარჯთ აღრიცხვა საველე კვლევებისათვის ამბროლაურისა და ახალქალაქის რაიონებში. საველე კვლევები თითეულ რაიონში იწარმოებს ხუთი დღე .

დადგენილია, რომ როგორც სამრეწველო ტექნოლოგიის მქონე მსხვილი ფერმების, ისე წვრილი ფერმერულ მეურნეობათა პირობებში, ძროხის ხორცის წარმოების ეკონომიკურ ეფექტურობას განაპირობებს უმთავრესად ცხოველის ჯიში და სრულფოფილი ტექნოლოგიები. თანამედროვე ბაზრის მოთხოვნილებას ყველაზე მეტი დონით პასუხობს სახორცე ჯიშები, რომელიც საქართველოში არ არიან. ჩვენში ძროხის ხორცი იწარმოება სარმეო, კომბინირებული მიმართულების ჯიშებისაგან და მათი ნაჯვარებიდან.

შემდგომი მუშაობისათვის მოვიძიეთ სხვილფეხა პირუტყვის სულადობის დინამიკა ბოლო წლების მანძილზე. ცხრილის ანალიზი გვიჩვენებს, რომ სულადობით პირველ ადგილზე დგას იმერეთი, სადაც მოშენებულია მსხვილფეხა პირუტყვს მთელი რაოდენობის 18,4 %, მეორე ადგილზე ქვემო ქართლი — 17,9 %, მესამეზე სამეგრელო და ზემო სვანეთი—17,2 % და მეოთხეზე სამცხე-ჯავახეთი— 10,6%.

ხორცის წარმოებამ ქვეყანაში 2010 წელს შეადგინა 56,4 ათასი ტონა, მათ შორის ძროხის ხორცის – 26,7(47,3%); ღორის – 12,8(22,7%); ცხვრისა და თხის – 4,9(8,6%); ფრინველის – 11,6(20,6%) და სხვა ხორცის – 0,4 (0,8%) ათასი ტონა.

შევისწავლეთ ძროხის ხორცის წარმოება რეგიონების მიხედვით. ანალიზი გვიჩვენებს, რომ 50%-ზე მეტი ძროხის ხორცი იწარმოება იმერეთში (20,2%), სამეგრელო და ზემო სვანეთში(16,8%) და ქვემო ქართლში (13,4%).

მოცემული მასალების საფუძველზე გავიანგარიშეთ ხორცის ბალანსი ქვეყანაში, საიდანაც ჩანს რომ ხორცის თვითუზრუნველყოფის კოეფიციენტი შეადგენს 48%.

დავსახეთ საკითხები რომელიც იქნება შესწავლილი საველე პირობებში: მსხვილფეხა პირუტყვის სულადობა ამბროლაურისა და ახალქალაქის მუნიციპალიტეტების სოფლებში; მეწველი ფურების წლის მანძილზე საკვებით დაკმაყოფილება; ერთ სულ სასუქ მოზარდზე საკვების წლიური დანახაჯი; მეცხოველეობის შენობები და ცხოველთა სადგომები; რძისა და ხორცის წარმოების ეკონომიკური ეფექტურობა; მოშენებული ჯიშები და მათი გაუმჯობესების გზები(შერჩევა–გადარჩევა, ხელოვნური განაყოფიერება, სამრეწველო შეჯვარება და სხვ.); დაავადებათა პრევენცია; ცხოველთა იდენტიფიკაცია რეგიონების ბუნებრივი საკვები სავარგულების შესწავლა და დახასიათება; ამბროლაურის და ახალქალაქის მუნიციპალიტეტების ბუნებრივი საძოვრების და სათიბების პროდუქტიულობა; მათი სამეურნეო მდგომარეობა (დაკოლბოხება, დაქვიანება, დასარევლიანობა, დაბუჩქიანობა, ეროზიული მოვლენები და სხვ.). ცხოველთა ძოვების სისტემა; ნათესი სათიბების არსებობა და მოსავლიანობა; ნაკელისა და მინერალური სასუქის გამოყენება; არსებული ტექნიკა და მისი ხელმისაწვდომობა ყველა ფერმერისათვის; საველე კვლევების ფოტომასალა.

მებოსტნეობის სამუშაო ჯგუფის ხელმძღვანელმა აკად. დოქტორმა ნატო კაკაბაძემ აღნიშნა, რომ საქართველოს ნიადაგურ-კლიმატური პირობები მთელი წლის განმავლობაში იძლევა ბოსტნეული კულტურების ინტენსიური წარმოების და ფართო ასორტიმენტის პროდუქციის მიღების საშუალებას. სწორედ ეს არის ერთ-ერთი ძლიერი მხარე ბოსტნეულის წარმოებაში. ამასთან საქართველოს გეოგრაფიული მდებარეობა, სასოფლო-სამეურნეო საქმიანობის ხანგრძლივი ისტორია, 70-ზე მეტი სახეობის საადრეო, საშუალო და საგვიანო ბოსტნეულის, მათ შორის საადრეო კარტოფილის წარმოება, სავრგულების და იაფი მუშახელის სიუხვე არის ის ძლიერი მხარე, რომელიც განაპირობებს სხვა დარგებთან ერთად მებოსტნეობის პრიორიტეტულ დარგად ჩამოყალიბებას.

მებოსტნეობის განვითარებისათვის აუცილებელია დარგის ინტენსიფიკაცია, წარმოების კონცენტრაცია, სპეციალიზაცია, შესაძლებელია ადგილობრივი და საზღვარგარეთის ქვეყნების მეცნიერებისა და პრაქტიკის მიღწევებისა და გამოცდილების საფუძველზე დამუშავებული სამრეწველო ტექნოლოგიის

დანერგვა, სათანადო ჯიშების შექმნა და არსებულის სწორად შერჩევა, წარმოების კულტურის ამაღლება.

ბოსტნეული კულტურების სათეხი ფართობების და მოსავლიანობის გადიდება დამოკიდებულია ჯიშიანი და კონდიციური თესლების თესვაზე - ეს სოფლის მეურნეობაში მოსავლიანობის რაოდენობრივი და ხარისხებრივი ზრდის ერთ-ერთი მთავარი ფაქტორია . ამიტომ საქართველოს მთავრობამ უმთავრესი ყურადღება უნდა მიაქციოს სოფლის მეურნეობის მომარაგებას ჯიშიანი, კონდიციური თესლებით. სწორედ ამიტომ მებოსტნეობის დარგის მეცნიერები უპირველესად ყურადღებას აქცევენ მეთესლეობის საკითხს და ძირითად ამოცანად თვლიან ადგილობრივ პირობებთან კარგად შეგუებული მაღალხარისხოვანი და დიდმოსავლიანი, სელექციური და ადგილობრივი ჯიშების კარგი თესვითი დირსების მქონე თესლების დამზადებას.

საქართველოში ბოსტნეული კულტურების პირველადი მეთესლეობა უგულვებელყოფილია, არ არსებობს ჯიშთა გამოცდის პუნქტები, სასელექციო სანერგები, არის თანამედროვე ბიოტექნოლოგიური მეთოდების უკონტროლობა და დანერგვის საფრთხე, ახალგაზრდა კადრების მწვავე დეფიციტი. ინფორმაციისა და გამოცდილების გაცვლის ნაკლებობა ქვეყნის შიგნით და გარეთ. ცოდნის და გამოცდილების უკმარისობა **ex-situ** და **in-situ** კონსერვაციის სფეროში. გენეტიკური ოესურსების ხელმიუწვდომელობა ფერმერებისათვის და კანონმდებლობის დაუცველობა. ბოსტნეულის გამოყენებასთან დაკავშირებული ტრადიციული ცოდნის და გამოცდილების დაკარგვა. არსებული კვლევითი ინსტიტუტის, მებოსტნეობის განყოფილების და კათედრის გაუქმება. არსებული საგანმანათლებლო პროგრამის არასრულყოფილება, მანქანა-იარადების და შენობა-ნაგებობების დეფიციტი.

პრობლემების გადასაჭრელად კონკრეტულად უნდა გატარდეს და მოგვარდეს შემდეგი ორგანიზაციული ღონისძიებები და საკითხები: ხელსაყრელ კლიმატურნიადაგობრივ პირობებში მებოსტნეობის სპეციალიზებული ცენტრების შექმნა, მათი გაფართოება და გაღრმავება; სათანადო მატერიალურ-ტექნიკური ბაზის შექმნა და მისი შემდგომი სრულყოფა ბოსტნეულის საწარმოებლად დია და დახურულ გრუნტში; წარმოებაში ისეთი ტექნიკური საშუალებებისა და ტექნოლოგიების დანერგვა, რომლებიც გამორიცხავს ან მინიმუმადე დაიყვანს ხელით შესასრულებელ სამუშაოებს. ამავე დროს წარმოებული მოსავალი იქნება სტაბილური და ხარისხისანი; მაღალპროდუქტიული, მექანიზაციური მოვლა-მოყვანისათვის ვარგისი ბოსტნეული კულტურების ჯიშების გამოყვანა და არსებულის შერჩევა. ბოსტნეული კულტურების ასორტიმენტის გაფართოება; არსებული ან წინასწარ გამოცდილი ახალი ჯიშებისა და პიბრიდების მხოლოდ ხარისხისანი თესლებისა და სარგავი მასალის გამოყენება; ბოსტნეულის მოყვანის ტექნოლოგიურ პროცესში გათვალისწინებული ყველა აგროდონისძიების დროულად და ხარისხისანად შესრულება; ადამიანის ჯანმრთელობისათვის საზიანო და გარემოს დაბინძურების სიტუაციის შექმნის თავიდან აცილების მიზნით, ბოსტნეულის წარმოების პროცესში მხოლოდ საქართველოს კანონქვემდებარენორმატიული აქტებით დაშვებული პეტიციდების გამოყენება დოზებისა და მუშაობისას უსაფრთხოების ინსტრუქციის მკაცრი დაცვით; სეზონური

ხელმისაწვდომი დაკრედიტება, შეღავათიანი სადაზღვევო სისტემების შექმნა, საკანონმდებლო ბაზის დახვეწა, ბოსტნეული პროდუქტების შიდა ბაზრის დაცვა.

მესამე კვარტალში სულ მოსმენილი და განხილული იქნა 12 საკითხი, მათ შორის: “საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის საზღვარგარეთის სამეცნიერო ცენტრებთან თანამშრომლობის შესახებ (აკადემიკოსი შ. ჭალაგანიძე), “ინფორმაცია სიმინდის კულტურის დღევანდელი მდგომარეობისა და პერსპექტივების შესახებ საქართველოში (აკადემიკოსი პ. ნასყიდაშვილი)“.

აკადემიური საბჭოს სხდომაზე ასევე იხილებოდა არაგეგმიური, მიმდინარე საკითხები. განხილულ ცალკეულ საკითხებზე საკანონმდებლო ინიციატივასა და რეკომენდაციებზე, სათანადო რეაგირებისათვის წერილობით ეცნობოდა ზემდგომ ორგანოებს (“საქართველოში მთის ტყეების მდგომარეობის შესახებ”).

2.4.20. საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიამ 2012 წლის 26 ოქტომბერს მოისმინა აკადემიის წევრ-კორესპონდენტის ოთარ ლიპარტელიანის 2011-2012 წლების სამეცნიერო-კვლევითი მუშაობის ანგარიში.

აღინიშნა, რომ მისი ხელმძღვანელობით თემა მუშავდებოდა 2 პროექტში: „საქართველოს ურწყავი შემადლებული და მთის ზონისათვის სიმინდის საადრეო და საშუალო საადრეო, სავეგეტაციო პერიოდი 90-105 დღე, ჰიბრიდული და ჯიშების გამოყვანა და დანერგვა, რომელთა მარცვლის პოტენციალური მოსავალი იქნება 6-7 ტონა ჰა/ზე”.

„საქართველოს სარწყავი და ტენიო უზრუნველყოფილი ზონებისათვის სიმინდის საგვიანო და საშუალო საგვიანო ფორმების სავეგეტაციო პერიოდი 120-130 დღე, ჰიბრიდული და ჯიშების გამოყვანა და წარმოებაში დანერგვა, რომელთა მარცვლის პოტენციალური მოსავალი იქნება 9-10 ტონა ჰა/ზე”.

თემის მიზანია გამოყვანილ იქნას და წარმოებაში დაინერგოს სიმინდის უხვმოსავლიანი საადრეო და საშუალო საადრეო, საგვიანო და საშუალო საგვიანო, სამარცვლე და სასურსათო მიმართულების, ხარისხიანი პროდუქციის მომცემი, ჩაწოლისა და დაავადება-მავნებლების მიმართ გამდლე, ინტენსიური ტექნოლოგიით მოყვანისადმი ხელსაყრელი ჰიბრიდული და ჯიშები. თემის მიზანია აგრეთვე გამოყვანილი და დანერგილი პერსპექტიული ჰიბრიდული და ჯიშების პირველადი მეოთესლეობა.

თემის მიხედვით წლების განმავლობაში ჩატარებული კვლევითი მუშაობის შედეგად გამოიყვანეს და წარმოებაში დანერგეს სიმინდის 8 ჰიბრიდი და 1 ჯიში, რომლებიც სტანდარტობით შედარებით 7-12 ცენტნერით მეტ მოსავალს იძლევიან მარცვალში საშუალოდ ჰქექტარზე. გარდა ამისა, საანგარიშო წელს საქ. პატენტს გადასცეს 2 მარტივი ხაზთაშორისი ჰიბრიდი და 1 სინთეტიკი, რომლებიც სამ წელზე მეტია ისწავლებოდა საკონკურსო გამოცდაში და სამეურნეო, ბიოლოგიური, ფიზიოლოგიური და ბიოქიმიური მაჩვენებლებით უკავშირდებია სტანდარტებთან შედარებით.

სელექციაში ცდები განლაგებული იყო ნასიმინდარზე, ხოლო ინსტიტუტში ნახორბლარზე. ნიადაგის მზრალად მოხვნა ჩაატარეს 2011 წლის ნოემბერში. 2012 წლის 12 აპრილს ჩაატარეს თესვისწინა კულტივაცია დაფარცხვით. სელექციური ცდები დაითესა სელექციაში 23-25 აპრილს, ხოლო ინსტიტუტში 3 მაისს. საკონკურსო, წინასწარი და საკონტროლო გამოცდები დაითესა სიხშირით: საგვიანო და საშუალო საგვიანო ფორმები 52000 მცენარე ჰქექტარზე, ხოლო საადრეო და საშუალო საადრეო ფორმები 62000 მცენარე ჰქექტარზე. თესვა ჩატარდა პუნქტირებული წესით – ხელით. ბუდნაში ჩაითესა ორი მარცვალი და აღმოცენების შემდეგ დატოვებული იქნა თითო მცენარე. ნათესების პირველი თოხნა ჩატარდა სელექციაში 23 მაისს, ხოლო ინსტიტუტში 25 მაისს. მეორე თოხნა 11-12 ივნისს სელექციაში, ხოლო ინსტიტუტში 14 ივნისს. მორწყვა სელექციაში მოეწყო სამჯერ: ყვავილობის დაწყებამდე; ყვავილობის დამთავრების შემდეგ და რძისებრ სიმწიფის პერიოდში. ინსტიტუტში ცდების ნათესები არ მორწყელა.

საკონკურსო გამოცდა მოეწყო 10 კვ.მ. დანაყოფზე სელექციაში 4, ხოლო ინსტიტუტში 2 განმეორებაში. წინასწარი ჯიშთა გამოცდები დაითესა 10 კვ.მ. დანაყოფზე ორ განმეორებაში. საკონტროლო ჯიშთა გამოცდა დაითესა 5 კვ.მ. დანაყოფზე ორ განმეორებაში, დანარჩენი სანერგეები ხაზების და საკოლექციო დაითესა სამ კვ.მ. დანაყოფზე განმეორების გარეშე. თესვა ჩატარდა როგორც სელექციაში, ასევე ინსტიტუტში: საგვიანოების და საშუალო საგვიანოების 70X30 სმ. ხოლო საადრეოების და საშუალო საადრეოების 70X27 სმ.

კვლევით მუშაობაში გამოყენებული იყო სელექციის ძირითადი მეთოდები: გამორჩევა, პიბრიდიზაცია, ინცუხტი და სიბსური სელექცია. პიბრიდების მისაღებად წყვილთა შერჩევა და ინცუხტი მიმდინარეობდა ვიზუალური და ანალიზური მეთოდით, ხოლო პიბრიდების მიღება მარტივი ხაზთაშორისი, ჯიშხაზური და სამხაზოვანი დაწყვილებით. მშობლიური ფორმების გამორჩევას ვაწარმოებდით სასურველი ხარისხობრივი და რიცხობრივი ნიშანთვისებების მცენარეთა თვითდამტკვრვით და სიბსური გამრავლებით. სელექციის საწყის მასალად გამოყენებულია სიმინდის ადგილობრივი ჯიშები, მათგან მიღებული ხაზები და უცხოური ფორმები მსოფლიო კოლექციიდან. გამოცდის შედეგები შეფასებულია ტარო-მარცვლის ბოტანიკური მაჩვენებლების, ხოლო სამეურნეო მონაცემები ხმელი მარცვლის წონით დანაყოფზე. მოსავლის აღება – აღრიცხვა და დამუშავება მიმდინარეობდა ჯიშთაგამოცდის მეორდიკის მიხედვით.

აპრილის და მაისის პირველი ნახევარი ხასიათდებოდა უხვი ნალექებით, ასევე ნალექიანი იყო ივნისის და ივლისის პირველი ნახევარი. ივლისის მეორე ნახევარი და აგვისტო მთლიანად იყო გვალვიანი, ასეთმა ამინდებმა განსაკუთრებით იმოქმედა ინსტიტუტში ცდების ნათესებზე, ხოლო სელექციაში დროული მორწყვით შენარჩუნებული იქნა ცდებში მცენარეთა ნორმალური ზრდა-განვითარება.

პროექტის მიხედვით კვლევა ჩატარდა სელექციაში 6 ცდაში, სადაც შესწავლილი იქნა 346 ნომერი 16374 კვ.მ. ფართობზე, ხოლო ინსტიტუტში მოეწყო 3 გამოცდა, სადაც ისწავლებოდა 26 ნომერი 420 კვ.მ. ფართობზე. სელექციაში სე-

ლექციურ ცდებში მცენარეთა განვითარება ნორმალური იყო, ხოლო ინსტიტუტში მოურწყაობის გამო მცენარეთა განვითარება ვერ წარიმართა ნორმალურად.

საკონკურსოში იცდებოდა 10 ნომერი, მათ შორის 6 მარტივი ხაზთაშორისი ჰიბრიდი, 2 ჯიში და 2 სინთეტიკი. სტანდარტად აღებული იყო ქართული 9, რომელსაც მეტ-ნაკლებად აჯობა თითქმის ყველა ნომერმა. მათ შორის ყველაზე მაღალი მოსავალი უჩვენა სინთეტიკმა 2,24 ტონით ანუ 41%, მეორე ადგილზე გამოვიდა მარტივი ხაზთაშორისი ჰიბრიდი ვირ-44Xმო-17, აჯობა სტანდარტს 1,82 ტონით ანუ 33%.

პირველი პროექტის მიხედვით სიმინდის უკეთესი ფორმების საკონკურსო გამოცდა მოეწყო ინსტიტუტში. მოურწყაობის გამო ვერ მოხერხდა მოსავლის აღრიცხვა და აქ ჩატარდა თვალზომური შეფასება მცენარეთა დგომის დაავადება მავნებლების მიმართ იმუნურობის და ჩატოლის მიმართ გამძლეობაზე. გამოირჩა 4 ნომერი, მათ შორის: ვირ-44Xმო-17, ქართული კრუგი 44Xვირ-44, ქართული კრუგი 44Xმო-17 და სინთეტიკი ნარინჯისფერი.

პირველი პროექტის მიხედვით წინასწარ ჯიშთა გამოცდაში ისწავლებოდა სელექციაში და ინსტიტუტში 6 ნომერი. სტანდარტად აქაც აღებული იყო ქართული 9. როგორც მოსავლიანობით, ასევე სხვა დადებითი თვისებებით გამოირჩა 2 ნომერი, რომლებიც მომავალ წელს გამოიცდებიან საკონკურსო ჯიშთა გამოცდაში. საკონტროლოში, როგორც “დასახლება სელექციაში”, ასევე ინსტიტუტში ისწავლებოდა 17 ნომერი, სტანდარტებთან შედარებით მაღალი შეფასება დაიმსახურეს 8 ნომერმა, რომლებმაც სტანდარტს საშუალოდ ჰქექტარზე აჯობეს 1,1-1,6 ტონით. ეს უკეთესი ჰიბრიდები გამოიცდება მომავალ წელს წინასწარ ჯიშთა გამოცდებში.

პროექტის მიხედვით საკოლექციო და სელექციურ სანერგეში ისწავლებოდა “დასახლება სელექციაში” 328 ნომერი, სადაც უკეთესი ნომრების უკეთეს მცენარეებზე ჩატარდა თვითდამტვერვა და სიბსური გამრავლება, სულ მიღებული იქნა ხელოვნურად 347 ტარო, რომლებიც მომავალ წლებში გამოყენებული იქნება შესაბამის ცდებში და სანერგებში.

შესაბამისად პროექტისა ”დასახლება სელექციაში” კვლევა ჩატარდა 6 ცდაში, სადაც ისწავლებოდა 352 ნომერი 20309 კვ.მ. ფართობზე, ხოლო ინსტიტუტში მოეწყო 3 გამოცდა, ისწავლებოდა 32 ნომერი 570 კვ.მ. ფართობზე. ”დასახლება სელექციაში” ცდები ნორმალური იყო, ინსტიტუტში კი მცენარეთა განვითარება შეფერხდა.

პროექტი 2-ის მიხედვით საკონკურსო გამოცდაში ”დასახლება სელექციაში” იცდებოდა 17 ნომერი, სტანდარტად აღებული იყო ივერია-70, გამოცდილ ნომრებიდან სტანდარტს აჯობა 10 ნომერმა, მათ შორის როგორც მოსავლიანობით, ასევე ბიოლოგიური და ფიზიოლოგიური თვისებებით ყველაზე საინტერესოა 2 ჰიბრიდი, რომელმაც სტანდარტს ჰქექტარზე საშუალოდ აჯობეს 1,76-1,64 ტონით მარცვალში. აქედან ჰიბრიდი აბაშური ყვითელი 30Xმო-17 გასულ წელს გადაეცა საქ. პატენტს, ხოლო მეორე ჰიბრიდი იმ-47Xბი-73, რომელმაც სტანდარტს აჯობა 1,76 ტონით საშუალოდ ჰქექტარზე მარცვალში მიმდინარე წელს გადაეცემა საქ. პატენტს. ისინი ჰქერსპექტიულად იქნა მიჩნეული, როგორც

აღმოსავლეთ საქართველოს სარწყავი, ასევე დასავლეთ საქართველოს ტენიო უზრუნველყოფილი რაიონებისათვის სამარცვლედ და სასურსათოდ.

პროექტი 2-ის მიხედვით უკეთესი ფორმების შესწავლა მიმდინარეობდა ინსტიტუტშიც, მაგრამ სამწუხაროდ მოურწყაობის გამო მოსავლის აღრიცხვა ვერ ჩატარდა და ისინი შეფასდა დგომისა და ფიზიოლოგიური ნიშან-თვისებების მიხედვით. აქ 17-ფორმიდან ყველაზე კარგი შეფასება მიიღო 4 ნომერმა. უკეთესი ფორმების გამოცდა გაგრძელდება მომავალ წელს საკონკურსო ჯიშთა გამოცდაში. წინასწარ ჯიშთა გამოცდაში ისწავლებოდა “დასახლება სელექციაში” და ინსტიტუტში 8-ნომერი. აქაც სტანდარტი იყო ივერია-70. “დასახლება სელექციაში” სტანდარტს აჯობა 5-ნომერმა, სადაც საშუალოდ ჰქებარზე მიღებული იქნა 8-9,8 ტონა მარცვალში. ასევე წინასწარ ჯიშთა გამოცდაში იცდებოდა, როგორც “დასახლება სელექციაში”, ასევე ინსტიტუტში 7-ნომერი. აქაც სტანდარტი იყო ივერია-70, რომელსაც აჯობა სამშა ჰიბრიდმა 1,2-1,4 ტონით ჰქებარზე მარცვალში. უკეთესი ჰიბრიდები მომავალ წლებში გამოიცდება წინასწარ და საკონკურსო გამოცდებში.

პროექტის მიხედვით ჰქერსპექტიული ხაზების სანერგეში ისწავლებოდა 208 ნომერი და საკოლექციო სანერგეში 110 ნომერი. სანერგებში ყვავილობის დაწყებამდე ჩატარდა უკეთესი მცენარეების შერჩევა, სადაც მოეწყო თვითდამტკერვა და სიბსური გამრავლება. მიღებულია ხელოვნურად 320 ტარო. ამ მასალის გამოყენება ჩატარდება მომავალ წლებში შესაბამის ცდებში და სანერგებში.

სულ თემის მიხედვით მოწყობილი იყო 12 გამოცდა, სადაც ისწავლებოდა 756 ნომერი 38273 კვ.მ. ფართობზე.

ჰქერსპექტიული ჰიბრიდების მეთესლეობის მიზნით მიღებულია 2 ჰიბრიდის პირველი თაობის და სინთეტიკური ჰიბრიდის თესლი 5 ტონა. საანგარიშო პერიოდში პროფ. ო. ლიპარტელიანის მიერ გამოქვეყნებულია ერთი შრომა საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის მოამბეში №30 „სიმინდის ახალი ხაზთაშორისი ჰიბრიდები წარმოებას“, სადაც ნაჩვენებია წლების განმავლობაში ჩატარებული კვლევის შედეგად გამოყვანილი და საქარტენტზე გადაცემული სიმინდის ახალი ხაზთაშორისი ჰიბრიდების სამეურნეო-ბიოლოგიური, ფიზიოლოგიური და ბიოქიმიური მონაცემები. პროფ. ოთარ ლიპარტელიანის რეცენზიით გამოიცა ბროშურა „ჰიბრიდული სიმინდის მოვლა-მოყვანის აგროტექნოლოგიური პროცესები“, სადაც მოცემულია ჰიბრიდული სიმინდის მაღალი მოსავლის მიღების აგროლონისმიერები თესვიდან მოსავლის აღება-დაბინავებამდე. გაზეთ საქართველოს რესპუბლიკაში ო. ლიპარტელიანის თანაავტორობით გამოქვეყნდა სტატია ცნობილი მეცნიერის ლეონარდე დეკაპრელევიჩის იუბილესთან დაკავშირებით. მისი თანაავტორობით მომზადებული და გადაცემული იქნა საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის ურნალ მოამბეში გამოსაქვეყნებლად სტატია „სახეობის შიგნით მრავალფეროვნების სანიმუშო კულტურა – სიმინდი და მისი სელექციის შედეგები საქართველოში“, სადაც მოტანილია სიმინდზე სელექციური მუშაობის უკანასკნელი წლების შედეგები.

2.421. საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის აკადემიურმა საბჭომ ამავე სხდომაზე მოისმინა აკადემიის წევრ-კორესპონდენტის გივი ცაგურიშვილის მოხსენება “მინდვრად საკებწარმოება და მისი განვითარების პერსპექტივები საქართველოში”.

აღინიშნა, რომ სოფლის მეურნეობის ერთ-ერთი ძირითადი დარგის მეცნიერების განვითარება ძირითადად დამოკიდებულია საკვები ბაზის გაზრდასა და მისი ხარისხის გაუმჯობესების სრულყოფაზე. ხშირი იყო შემთხვევები, როდესაც წარმოებაში ადგილზე მყოფი პირუტყვი არ იყო უზრუნველყოფილი საკუთარი წარმოების საკვებით. მისი შეძენა და ტრანსპორტირება დიდ ხარჯთან იყო დაკავშირებული, ამდენად ხშირ შემთხვევაში ეს მნიშვნელოვანი დარგი ეკონომიურად გაუმართლებელი და ზარალიანი იყო. გამომდინარე აქედან ფერმერებმა და ოღნიშნულ დარგში დასაქმებულმა პირებმა პირველ რიგში უნდა მოაგვარონ თავის მფლობელობაში არსებული მიწის ფართობიდან საკვები ბაზის მიღების შესაძლებლობა და აქედან გამომდინარე დაგეგმონ პირუტყვის სულადობა.

პირუტყვისთვის საკვების უზრუნველყოფა ძირითადად დამოკიდებულია მინდვრად საკებწარმოებაზე, ბუნებრივ სათიბ-საძოვრებზე, მარცვლეულ და ბოსტნეული კულტურების წარმოების პროცესში მათ ანარჩენებზე. ამ საქმეში განსაკუთრებული წვლილი მიუძღვის ძირითადი პროდუქციის დროს მიღებულ ანარჩენებს: ჩალას და ნამჯას. როგორც ცნობილია ქვეყანაში სიმინდისა და ძირითადი თავთავიანი კულტურების (ხორბალი, ქერი, შვრია, ჭვავი) ნათესი ფართობები ყოველწლიურად 380-400 ათას ჰექტარს აღწევდა, რაც უხეში საკვების წარმოების ძირითად ბაზას ქმნიდა. თუ გავითვალისწინებთ იგივეს, რომ სიმინდის შემთხვევაში ჩალის გამოსავალი 1,5-2-ჯერ მეტია მარცვალთან შედარებით, ხოლო ნამჯის გამოსავალი ერთი ერთს უთანაბრდება ადვილი წარმოსადგენია რა რაოდენობის უხეში საკვების წარმოებასთან გვაქვს საქმე.

აღსანიშნავია ის გარემოება, რომ ქვეყანაში საერთოდ ნათესი ფართობებიდან საეციალურად საკვები კულტურებით ნათეს ფართობებს საშუალოდ 330-340 ათასი ჰექტარი ეკავა, რაც საერთო ნათესების 40-45% შეადგენდა. ეს ყოვლად მიღებული მაჩვენებელი იყო. სოფლის მეურნეობის განვითარებულ ქვეყნებში იგივე მაჩვენებელი 20-25% არ აღემატება.

საკვები კულტურებით ნათესი ფართობიდან შეუწყნარებლად დაბალი სამუშაო საპექტარო მოსავლიანობაა. სტატისტიკური სამმართველოს მონაცემების მიხედვით მრავალწლიანი ბალახების მწვანე მასის საშუალო საპექტრო მოსავლიანობა 116 ც, თივა-26,5 ც, ერთწლოვანი ბალახების მწვანე მასა 96 ც, ხოლო თივა-28,0 ც. სასილოსედ დათესილი სიმინდის მწვანე მასის საშუალო საპექტრო მოსავლიანობა 100 ც. არ აღემატებოდა.

დაბალი მოსავლის მთავარი მიზეზია ქვეყნის ბუნებრივ კლიმატური პირობების გაუთვალისწინებლობა შესაბამისი კულტურების შერჩევისას, დასათესი ფართობების დაბალი ნაყოფიერება. ცალკეულ კულტურისათვის მეცნიერულად დასაბუთებული ტექნოლოგიის განხორციელების უხეში დარღვევა, მინერალური

და ორგანული სასუქების დაბალი დონე, სარეველების წინააღმდეგ ბრძოლის გამოუყენებლობა და სხვა.

ჩვენს ქვეყანაში მინდვრად საკვებწარმოების წამყვანი საკვები კულტურების ჩამონათვალი ასეთ სურათს იძლევა; მრავალწლოვანი პარკოსანი ბალახებიდან: იონჯა, ესპარცეტი, სამყურა, სათითურა და მდელოს წიგანა.

ერთწლოვანი საკვები ბალახებიდან: სუდანურა, საკვები სორგო, ერთწლოვანი კოინდარი, შვრია და სხვა.

საკვები ძირხვენებიდან: საკვები ჭარხალი, საკვები სტაფილო, საკვები გოგრა, თალგამი, თალგამურა და სხვა.

ჩამოთვლილი კულტურებიდან განსაკუთრებული დადებითი მაჩვენებლებით გამოირჩევა იონჯა, როგორც მრავალწლოვანი პარკოსანი ბალახი, რომელსაც საკვები კულტურებით ნათეს ფართობებში ყოველწლიურად საშუალოდ 80-100 ათასი ჰექტარი ეკავა. იონჯის ასეთ პოპულარობას განსაზღვრავს შემდეგი დადებითი მაჩვენებლები: განსაკუთრებული სწრაფი ზრდა-განვითარება; ერთეულ ფართობზე მოსავლიანობის მაღალი დონე; გამოყენების ხანგრძლივი პერიოდი (საშუალოდ 4-5 წელი); განსხვავებულ ბუნებრივ-კლიმატური პირობებისთვის შეგუების განსაკუთრებული უნარი (მთა, ბარი, სარწყავი, ურწყავი); მწვანე მასისა და თივის საუკეთესო ქიმიური შედგენილობა; როგორც წმინდად ასევე მარცლოვნებთან ნარევში თესვისას ნიადაგის ნაყოფიერების ამაღლება და მისი სტრუქტურის გაუმჯობესება.

იონჯის, როგორც მინდვრად საკვებწარმოებაში წამყვან კულტურასთან დაკავშირებით მოკლედ შევეხებით მისი თესვა-მოყვანის ტექნოლოგიას. იონჯისათვის კარგი წინამორბედია თავთავიანი კულტურების ნაწვერალი და სათოხნი კულტურები. ფართობი წინამორბედისგან განთავისუფლებისთანავე უნდა გაიწმინდოს ანარჩენებისაგან და მოიხსას სრულ სიღრმეზე წინმხვნელიანი გუთნით. მოხვნამდე ან მოხვნის შემდეგ უნდა მოსწორდეს . თესვამდე ნიადაგი უნდა დამუშავდეს იმგვარად, რომ ფართობი იდეალურად იყოს სწორი 4-6სმ. სიღრმეზე ფხვიერი ზედაპირით. რადგანაც იონჯის თესლი მეტად წვრილია 1000 მარცლის მასა 2-3 გრამია, ამდენად მისი ჩათესვის სიღრმე 1,5-2 სმ. არ უნდა აღემატებოდეს. თესვის დამთავრებისთანავე უნდა მოიტკეპნოს თანაბარი აღმონაცენის მიღების მიზნით. ნიადაგში სასუქების შეტანა უნდა ჩატარდეს მისი ნაყოფიერებიდან გამომდინარე მოხვნის წინა და თესვის წინა დამუშავების დროს აგროწესების მიხედვით.

იონჯა ითესება, როგორც შემოდგომაზე ისე გაზაფხულზე, როგორც წმინდა ასევე მარცლოვანებთან შერეული. ჩვენი პირობებისთვის იონჯის საუკეთესო მეწყვილეა მარცლოვანებიდან მრავალსათიბი კოინდარი, რომელიც მიწათმოქმედების სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის მიერაა გამოყვანილი. თითქმის ყველა წონაში სწორედ იონჯა-მრავალსათიბი კოინდრის თესვაა რეკომენდებული.

შემოდგომაზე დათესილი იონჯა (იონჯა) მომდევნო წელს 2-3 გათიბვას იძლევა, ხოლო გაზაფხულზე დათესილი ნელა იზრდება და ხშირად ერთი გათიბვით შემოიფარგლება. აღნიშნული ნაკლის შევსების მიზნით ჩვენს მიერ იონჯაში შესათესად გამოცდილი იქნა სხვადასხვა კულტურა სუდანურა, სორგო,

სიმინდი და შვრია. გამოკვლევებით დადასტურდა, რომ იონჯაში შეთესილი შვრია განსაზღვრული ნორმით რიგთაშორის 30-45 სმ. გაცილებით სწრაფად ვითარდება და მაისის ბოლოს, ივნისის დასაწყისში ჰექტარზე საშუალოდ 200-250 ც. მწვანე მასას იძლევა. მიზანშეწონილია ამ მხრივ სუდანურაც, როგორც თავისუფლად ავსებს იონჯის გაზაფხულზე თესვისას მიღებულ დანაკლისს.

ერთწლოვანი საკვები კულტურებიდან ჩვენი პირობებისთვის განსაკუთრებული ყურადღების დირსია ძირითად ნათესებში სუდანურას თესვა-მოყვანა, რომელიც კულტურულ მცენარეთა შორის ყველაზე მეტი გვალვა გამდლეობით გამოირჩევა და სარწყავ პირობებშიც მაღალ მოსავალს იძლევა. აღსანიშნავია, რომ სარწყავ პირობებში ჩვენთან 2-3-ჯერ ითიბება და საერთო ჯამში მაღალი მოსავლიანობით გამოირჩევა.

შვრია მეტად მნიშვნელოვანი კულტურაა. იგი წლის ყველა პერიოდში შეიძლება დაითესოს და მისგან მაღალი მოსავალი მივიღოთ. აქედან გამომდინარე შვრია შეიძლება მოვიყვანოთ, როგორც ძირითადი კულტურა, ასევე შუალედური ნებისმიერ დროს. ადრე გაზაფხულზე, თავთავიანი ჰურეულის ნაწვერალზე და შემოდგომაზე სასილოსე სიმინდის აღების შემდეგ და საადრეო ბოსტნეულის აღების შემდეგაც.

მინდვრად საკვებწარმოებაში განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს შუალედურ კულტურებს. შუალედური ეწოდება ისეთ კულტურებს, რომლებიც საჭიროებენ კულტურათა სპეციალურად გამოყოფილ ფართობს, ითესებიან და მოსავალს იძლევიან ძირითადი კულტურებისაგან გამოთავისუფლებულ ფართობებში. ჩვენს პირობებში ასეთი პირობები გვაქვს: ადრე გაზაფხულზე (ძირითადი კულტურების თესვამდე), თავთავიანი ჰურეულის აღების შემდეგ ნაწვერალზე, შემოდგომაზე-სასილოსე სიმინდისა და ადრეული ბოსტნეული კულტურების აღების შემდეგ და შემოდგომიდან აპრილის ბოლომდე (რომელთაც მოზამთრე შუალედური კულტურები ჰქვია).

საქართველოს დაბლობი ზონის საუკეთესო გარემო-კლიმატური პირობები, ხანგრძლივი სავეგტაციო პერიოდი, დიდი რაოდენობით აქტიურ ტემპერატურათა ჯამი, სარწყავი წყალი და ზოგიერთ ადგილებში ბუნებრივი ტენი იმის სრულ შესაძლებლობას იძლევა, რომ მინდვრადწარმოებულ საკვების ბალანსში მკვეთრად გაზარდოს შუალედური კულტურების თესვა- მოყვანის გზით მიღებული საკვების პროცენტული რაოდენობა.

შუალედური კულტურების თესვით საკვების წარმოება თითქმის შეუზღუდავ და ეკონომიურად გამართლებული დონისძიებაა. ვინაიდან ითესებიან და მოსავალს იძლევიან ძირითადი კულტურებისაგან გამონთავისუფლებულ შუალედური კულტურების თესვა-მოყვანა საშუალებას იძლევა რაციონალურად გამოვიყენოთ სახნავი მიწა, სასოფლო- სამეურნეო ტექნიკა მუშახელი, წყლის რესურსები და სხვა საშუალებანი, რაც თავისთავად განაპირობებს შრომის მწარმოებლობის მაღალ დონეს. შუალედური კულტურების წარმოება შეიძლება მოეწყოს მცირე დანახარჯებით მექანიზაციის მაქსიმალური გამოყენებით. გამოკვლეულით დადასტურებულია, რომ შუალედური კულტურების მოყვანის შემთხვევაში საკვების თვითღირებულება 15-20% მცირდება.

განსაკუთრებით ადსანიშნავია ის ფაქტი, რომ შუალედური კულტურების თესვა-მოყვანა მეტად ეფექტურია სარეველების წინააღმდეგ ბრძოლის თვალსაზრისით.

გარდა ამისა შუალედური კულტურებიდან ერთწლოვანი პარკოსნების, ბარდის, ცერცველას და ცულისპირას გამოყენება ამდიდრებს და ზრდის ნაყოფიერებას, აუმჯობესებს ნიადაგის სტრუქტურას და ხელს უშლის წყლისმიერ და ქარისმიერ ეროზიას.

ძირითადი და შუალედური კულტურების სწორი შეთანაწყობით სრულიად შესაძლებელია, რომ პირუტყვი უზრუნველყოფილი იყოს მთელი წლის განმავლობაში მწვანე და წვნიანი საკვებით.

უნდა აღინიშნოს, რომ 1980-1985 წლებში ქვეყანაში შუალედური წესით ნათებმა ფართობმა 100 000 ჰექტარს მიაღწია. დარწმუნებით შეიძლება ითქვას, რომ საქართველოში მისი გაორმაგების შესაძლებლობა არსებობს.

აღნიშნული ღონისძიებების გონივრულად წარმართვის პირობებში შესაძლებელია მომავლისათვის 100 000 ჰექტარით შემცირდეს ძირითად ნათესებში საკვები კულტურების მიერ დაკავებული ფართობები (რომელიც ყოველწლიურად 330-340 ათას შეადგენდა) და იგი გამოყენებულ იქნას ძვირფასი მარცვლეული კულტურების სიმინდისა და ხორბლის დასათესად.

2.4.22. საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის აკადემიურმა საბჭომ მიმდინარე წლის 29 ნოემბერს მოისმინა საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსის ნოდარ ჩხარტიშვილის მოხსენება “მეცნიერებული მდგომარეობა და განვითარების პერსპექტივები საქართველოში.”

აღინიშნა, რომ ქვეყანაში განხორციელებული გარდაუვალ და მეტად სასურველ რეფორმებს, განსაკუთრებით მიწის პრივატიზაციის პროცესს, პირველ ეტაპზე თან ახლდა მოუმზადებელი, ნაჩქარევი ნაბიჯები, რამაც მძიმე დაღიდასვა აგრარულ სექტორს, მათ შორის მეცნიერებას.

ამ პერიოდის მძიმე დაღი დღემდე მოყვება თანამედროვე მეცნიერებას, რომლის უპირველესი მაჩვენებელი, სამრეწველო ვენახის ფართობი აღწერით 37 419 ათას ჰექტარამდე შენარჩუნებული, რაც 1980-1990 წლების საკარმიდამო ვენახების ფართობზე ნაკლებია, და უტოლდება 1921 წლის მაჩვენებლებს, რაც შესაბამისად აისახება ქვეყანაში წარმოებული ყურძნის რაოდენობაში. კერძოდ, 1990 წელს დვინის ქარხნების მიერ 433 ათასი ტონა ყურძენი გადამუშავდა, 2003 წელს მან მხოლოდ 19.5 ათასი ტონა შეადგინა (22.2-ჯერ ნაკლები); შესაბამისად ქვეყანაში ამ წლებში დამზადდა 16 183 ათასიდან 2 414 ათასი დეკალიტრი დვინო და დვინის მასალა. შესაბამისად შემცირდა ცქრიალა (შამპანური) დვინოებისა და კონიაკის წარმოებაც. უარყოფითი შედეგი დღემდე გრძელდება – ბოლო წლებში ქვეყანაში წარმოებული ყურძნის რაოდენობა 100-150 ათას ტონას არ აღემატება.

ძირითადად მსხვილი კომპანიების მონაწილეობით, რაც შორს არის შესაძლებლობის ფარგლებიდან. გლეხურ – ოჯახური მევენახეობა (ისე როგორც სხვა მიმართულებები) უყურადღებოდ არის მიტოვებული.

ქვეყანაში შიდა პოლიტიკური სტაბილურობის (1995-1998 წწ) დასაწყისიდანვე აგროსამრეწველო სექტორში უპირველესად აღდგენითი პროცესები მევენახეობა – მეღვინეობით დაიწყო. ისტორია მეორდება. გლეხი დაუბრუნდა ვენახს, განახლდა მიტოვებული ვენახების მოვლა – პატრონობა, აღდგენა – რეკონსტრუქცია; გაჩნდა ახალი ვენახების გაშენების მსურველები; გამოჩნდნენ ნამყენი ნერგის მწარმოებლებიც – გლეხური მეურნეობის პირობებში, რაც მოცემულ ეტაპზე მხარდაჭერილი და წახალისებული იქნა. ნამყენი ნერგის დეფიციტის გამო მოისინჯა ვენახის გაშენება (ყვარელში – საფერავი) საკუთარ ფესვზე – რქით, რაც დასაწყისშივე აიკრძალა, როგორც უპერსპექტივო და იგი შეწყდა. გამოჩნდნენ სამრეწველო მასშტაბით ნერგის მწარმოებლები: კახეთში: კონდოლში, ყვარელში, თელავში, კისისხევში, ქართლში – მცხეთა, იმერეთში – სვირის სახერგე. მაღალი კატეგორიის ნამყენი ნერგი შემოტანილი იქნა უცხოეთიდანაც; კერძოდ, თელავში, წინანდლის მიკროზონაში ნინო ანანიაშვილის მამულში, რამაც რა თქმა უნდა სასურველი შედეგი გამოიღო.

განახლდა არსებული დგინის ქარხნები, მოხდა მარნების აღდგენა-რეკონსტრუქცია. დაიწყო ახალი ქარხნების მშენებლობა, რომლებიც აღიჭურვა თანამედროვე ტექნიკური საშუალებებით, ტექნოლოგიური ხაზებით, კერძოდ: კახეთში: “თელავის მარანი”, “ჯვს”, ყვარელში: “ვაზის ცრემლები”, “ქინძმარაული”, “საქართველოს მარანი”, ქართლში – “შატოს მუხრანი”, იმერეთში – “ხარება”, რაჭაში – “ოქროს ხვანჭკარა” და სხვ.

დაიწყო ურთიერთობა საგარეო ბაზრებთან. პირველად ქვეყანაში შეიქმნა დარგის მართვის სამართლებრივი საფუძველი – საქართველოს კანონი ვაზისა და დგინის შესახებ (1998 წ.), შესწორებები განხორციელდა 2002 და 2010 წლებში. დამუშავდა დარგის რეაბილიტაციის პროექტი.

უმოავრეს პრიორიტეტულ მიმართულებად კვლავ რჩება უმაღლესი ხარისხის მშრალი (თეთრი და წითელი), ბუნებრივად მოტკბო, ქართული ცქრიალა დგინოების წარმოებისათვის სანედლეულო ბაზის განვითარება, ძირითადად ქართული აბორიგენული, უნიკალური ჯიშების ბაზაზე, რომლის შევსება განხორციელდება წინასწარ აპრობირებული და რეკომენდირებული ჯიშების გამოყენებით, მოქმედი კანონმდებლობის დაცვით.

შიდა დარგობრივ პრიორიტეტთა შორის პრიორიტეტად კვლავ რჩება ბიოლოგიურად ჯანსაღი (ვირუსისაგან თავისუფალი) სელექციურად სუფთა, უმაღლესი კატეგორიის სერთიფიცირებული სარგავი მასალის (ნერგის) წარმოების მყარი ბაზის შექმნა.

ვაზისა და ხეხილის ჯანსაღი, სერთიფიცირებული ვაზის ნერგის წარმოების საბაზისო სანერგე უკვე შექმნილია და ფუნქციონირებს მცხეთის რაიონის სოფლ ჯიღაურაში, 55.0 ჰა ფართობზე; ახლა პროგრამაშია მისი გაფართოება მხარეების მიხედვით და ამავე კატეგორიის სამრეწველო სარგავი მასალის წარმოების ბაზის შექმნა.

საქართველოს მევენახეობაში მკრთალდად არის წარმოდგენილი სუფრის უურძნის წარმოების სფერო. მას მხოლოდ ადგილობრივი მოხმარების დანიშნულება აქვს მინიჭებული, რაც გაუმართლებელია. საჭიროა: შეიქმნას სუფრის უურძნის წარმოების გაფართოების ჯიშობრივი ბაზა, ცოცხალი სახით (მცენარიდან) ხანგრძლივ სეზონზე მოხმარების გათვალისწინებით (კონვეირული სისტემა); ამაღლდეს სასუფრე და საქიშმიშე უურძნის წარმოებისა და მომხმარებლისათვის მიწოდების კულტურა; შემუშავდეს ქვეყანაში სუფრის უურძნის წარმოების სახელმწიფო მიზნობრივი პროგრამა ექსპორტის გათვალისწინებით.

21-ე საუკუნეში ქართული მეღვინეობის უმთავრესი პრიორიტეტია წარმოშობის ადგილის დასახელების, კონტროლის დაქვემდებარებული დვინოების წარმოების სანედლეულო ბაზის გაფართოება და მოწყობა.

ამჟამად რეგისტრირებულია საერთაშორისო რეესტრში 18 დასახელების დვინო; რეზერვი კვლავ დიდია და იგი რაციონალურად უნდა იქნეს გამოყენებული.

2004 წლის აღწერის მასალების მიხედვით საქართველოში აღრიცხულია 37.5 ათასი ჰექტარი ვენახი; იქვე მინიშნებულია ტერიტორიები, რომელთა ვენახებიც არ შესულა აღრიცხვაში, სადაც შესაძლებელია 7-10 ათასი ვენახის არსებობა, რომლის გათვალისწინებით დღეისათვის ოფიციალურ წყაროებში საქართველოში 45.0 ათასი ჰექტარი ვენახის არსებობაზე მიუთითებენ, რაც დაახლოებით XX საუკუნის 30-იანი წლების მაჩვენებელს უტოლდება და თითქმის ნახევარია 1875 წლის მაჩვენებლებისა (75.0 ათასი ჰა.).

ქვეყანაში მხარეების მიხედვით კახეთი ყოველთვის იყო ფლაგმანი და ასეა ახლაც; მთელი ფართობის 68% ანუ 32 823 ჰექტარი მოდის კახეთზე; ქართლში – 4177 ჰა (9%); იმერეთში – 18% ე.ი. 8584 ჰა; რაჭა-ლეჩხეთში – 1348 ჰა (3%); გურია – 268.0 ჰა (1%); სამეგრელო – 775.0 ჰა (2 %), აჭარა – 42.0 ჰა. სულ საქართველოში 48 017 ჰა ვენახს ვარაუდობენ. მევენახეობა – მეღვინეობის უძველეს მხარეში მესხეთში სადღეისოდ ვენახის ფართობი 7.0 ჰა-ს შეადგენს.

აღსანიშნავია, რომ აღწერის მასალები არ არის სრულყოფილი. იგი ვერ ასახავს ვენახების აგროტექნიკურობიურ და ბიოლოგიურ ფონს, ჯიშურ შედგენილობას, ვენახების კატეგორიებს, ნამყენი, საკუთარ ფესვებზე, გაშენების სქემებს და საერთოდ მთელ სტრუქტურას, რაც აუცილებელია ქვეყანაში დარგის განვითარების პერსპექტიული პროგრამების შესამუშავებლად.

აღნიშნულიდან გამომდინარე გადაუდებელია ვენახების (სხვა სას. სამ. კულტურების) სრულყოფილი აღწერა – ინვენტარიზაცია – პასპორტიზაცია.

ხანგრძლივი კვლევებისა და შესწავლის საფუძველზე მევენახეობის ზონების და მხარეების მიხედვით შედგენილია სამრეწველო ვაზის ჯიშების სტანდარტული ასორტიმენტი, რომლის განახლება, შევსება, გაუმჯობესება მუდმივი პროცესია და იგი გაგრძელდება.

სამრეწველო ასორტიმენტი ძირითადად შედგენილია ადგილობრივი, აბორიგენული, საუკეთესო, მაღალხარისხოვანი ვაზის ჯიშების გამოყენებით; აგრეთვე გამოყენებულია ამავე პრინციპით შერჩეული უცხოური, ინტროდუცირებული ვაზის ჯიშები (10-მდე ჯიში); მ.შ. სუფრის უურძნის ჯიშები.

სამრეწველო ვაზის ჯიშები (ჰაბით): რქაწითელი 19741, საფერავი 3704, მწვანე კახური 249, ქისი 20, ხიხვი 5, კაბერნე სოვინიონი 223, გორული მწვანე 224, ჩინური 955, თავკვერი 29, ალიგოტე 97, პინო თეთრი 171, ციცქა 2839, ცოლიკოური 6161, კრახუნა 36, ოცხანური საფერე 5, წულუკიძის თეთრი 152, ალექსანდროული მუჯურეთული 219, უსახელოური 8, ოჯალეში 25, ჩხავერი 20, ალადასტური 46.

სამწუხაროდ, საქართველოს ვენახების ჯიშობრივი შედგენილობის სრულყოფილი და დღევანდელი მდგომარეობის ამსახველი მონაცემები არ გაგვაჩნია; 2004 წელს მონაცემებიდან ჩანს, რომ თითქმის გაქრობის ზღვარზეა, სავალალო მდგომარეობაშია თავისი უნიკალურიბით გამორჩეული ვაზის ჯიშები: ჩხავერის, ოჯალეშის, უსახელოურის, ოცხანური საფერეს, კრახუნას და სხვათა ფართობები, რომელთა აღდგენა-განვითარება სამთავრობო ზრუნვის საგანი უნდა გახდეს.

სამწუხაროდ, ბოლო წლებში ქვეყანაში გახშირდა უცხოური ვაზის ჯიშების სამრეწველო დანიშნულებით შემოტანა-გავრცელება წინასწარი აპრობაციის, შემოწმების გარეშე, რამაც სასურველი შედეგი არ მოგვცა; მაგ: შატო მუხრანში იტალიელი კონსულტანტის ინიციატივით საუკუნის დასაწყისში შემოტანილი იქნა უცხობი ვაზის ჯიში. “ნერო დე ოლა”, რომელიც 4-5 წლის შემდეგ ამოსაძირკვი გახდა და ამოიძირკვა კიდეც; ასევე, მეცნიერული რეკომენდაციის გარეშე კაბერნე სოვინიონი აღმოჩნდა თერჯოლის რაიონში, შეუფერებელი ნიადაგურ-კლიმატურ პირობებში. გასულ წელს 5 წლის ვენახი ამოიძირკვა; სხვა მაგალითებიც ბევრია, როლებიც რეაგირების გარეშე არ უნდა დარჩეს და სათანადო წესრიგი უნდა დამყარდეს ამ სფეროშიც.

ზემოთ აღინიშნა, რომ 21-ე საუკუნეში ქართული მედვინეობის პრიორიტეტია ადგილწარმოშობის დასახელების დვინოების წარმოების გაზრდა, რომლის შესაძლებლობაც ჩვენს ქვეყანას უხვად გააჩნია.

2.4.23. ამავე სხდომაზე საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის აკადემიურმა მოისმინა ბიოლოგიურ მეცნიერებათა აკადემიური დოქტორის, საქართველოს ეკოლოგიურ მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტის, ბორის წითლიძის მოხსენება “მეფუტკრეობის დარგის თანამედროვე მდგომარეობა და მისი განვითარების პერსპექტივები”.

აღინიშნა, რომ საქართველოში მეფუტკრეობის დარგის ძირითად პრიორიტეტულ მიმართულებას ყოველთვის შეადგენდა მსოფლიოში აღიარებული ქართული ფუტკრის ხალასი სახით შენარჩუნება, დაცვა და მისი შემდგომი სრულყოფა. დარგის მნიშვნელობა აღმიანთა საზოგადოების განვითარებაში ფართო დიაპაზონს უნდა ისახავდეს. თუ წინათ ფუტკრის პროდუქტებიდან მთავარი ყურადღება მხოლოდ თაფლისა და ცვილის წარმოებას ექცეოდა, რომელთა გამოყენების სპექტრი საყოველთაოდაა ცნობილი, ამჟამად ფუტკრების ისეთი პროდუქტები, როგორიცაა ყვავილის მტვერი, დიდნგელი, ფუტკრის რძე და შხამი უნიკალური სამკურნალო და სასურსათო პრეპარატების საწარმოებლადაა გამოყენებული. ამდენად ამ პროდუქტების რაოდენობრივი და ხარისხობრივი

მაჩვენებლების გაზრდას, მნიშვნელოვანი როლის შესრულება შეუძლია სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის წარმოების განვითარებაში.

საქართველოში კულტურული მეფუტკრეობის ჩამოყალიბების პერიოდში მოხდა რამდენიმე ძირეული ცვლილება, რამაც განაპირობა მეფუტკრეობის მდგომარეობა, კერძოდ: გრძელ ხორთუმიანი ქართული რუხი ფუტკრის აღმოჩენას თან მოჰყვა ქართული ფუტკრის ძირითადი სამეურნეო და ბიოლოგიური ოვისებების შესწავლა, პოპულაციების გამოვლენა და სხვა, რამაც სათავე დაუდო მის გაგრცელებას მეზობელ და შორეულ ქვეყნებში; სახელმწიფო საჯიშე მეურნეობების შექმნამ და ქართული ფუტკრის ხალასჯიშიანობის დაცვის მქანიზმა თავის დროზე მნიშვნელოვანი როლი შეასრულა დარგის აღმავლობაში.

ასევე მეტად მნიშვნელოვანია მეფუტკრეობის ინსტიტუტის როლი დარგის განვითარებაში. ინსტიტუტის მიერ წლების განმავლობაში შემუშავებულია რიგი პროგრესული დონისძიებები, რომელთა საწარმოო რეალიზაცია ფუტკრის მოვლა-მოშენებისთვის ოპტიმალურ პირობებს ქმნის. აღნიშნული ეხება ქართული ფუტკრის სხვადასხვა პოპულაციების გამოვლენას, პოპულაციების შიგნით გაღრმავებული სელექციის წარმართვას, ახალი ხაზების მიღებას, დაავადებათა წინააღმდეგ მაღალეფექტური სამკურნალო საშუალებების შემუშავებას და წარმოებაში დანერგას, საკვები ბაზის სრულყოფილ შესწავლას, სადამტვერო სამსახურის სათანადო დონეზე დაყენებას, ფუტკრის პროდუქტების გადამუშავებისა და შენახვის თანამედროვე ტექნოლოგიების შემუშავებას, იაფი სასურსათო ნედლეულიდან ფუტკრის ხელოვნური საკვების მიღებას სასაქონლო თაფლის წარმოების გაზრდის მიზნით, მეფუტკრეობაში შრომატევადი სამუშაოების მქანიზაციას, ტექნიკის ახალი ნიმუშების შექმნას და სხვა.

სამწუხაროდ უახლოეს წარსულში (XX საუკუნის ბოლოს) მოხდა ამ სისტემის ნგრევა და სახელმწიფო საკუთრებიდან ფუტკრის გადასვლა კერძო პიროვნებების ხელში, რის შედეგადაც გაუარესდა სანაშენე მასალისა და ძირითადი გენოფონდის თვისებები, მოიშალა ჯიშური სიწმინდის დაცვის მქანიზმი. ამჟამად ჩვენს ხელთ არსებული მონაცემებით ფუტკრის ოჯახების საერთო რაოდენობიდან 99.9% კერძო სექტორშია, რის გამოც თაფლის წარმოების თითქმის 100% ოჯახურ მეურნეობებზე მოდის. შემდგომში დარგის საერთო მდგომარეობის გაუარესებას თან დაერთო მეფუტკრეობის ინსტიტუტის ოპტიმიზაციის მომიზეზებით მკვლევარების სამუშაოდან დათხოვნა და მთელი სამეცნიერო ქსელის განადგურება.

საუკუნოვანი ტრადიციების მქონე დარგის აღორძინებისა და წინსვლისათვის განსახორციელებელი იქნება რიგი კონკრეტული დონისძიებები, რომელთაგან უმთავრესია: ქართული ფუტკრის გაგრცელებული პოპულაციების ბუნებრივი არსებობის ზონებში საჯიშე საფუტკრებისა და სანაშენე მასალის რეპროდუქტორთა შექმნა, ჯიშური სიწმინდის დასაცავად აუცილებელი ორგანიზაციული დონისძიებების შემუშავება და გამოყენების უზრუნველყოფა; თაფლის გადამამუშავებელი საწარმოების შექმნა და საექსპორტო პროდუქციის წარმოების აღდგენა; საფუტკრე ინვენტარისა და მოწყობილობების დამამზადებელ საწარმოთა შექმნის სტიმულირება; მეფუტკრეობის ინსტიტუტის ძირითადი

სტრუქტურული ერთეულების აღდგენა და კვლევის პრიორიტეტული მიმართულების განსაზღვრა, რომელთაგან უმთავრესია: მეფუტკრეობის დარგის სპეციალისტების მომზადება; აუცილებელია აღდგეს მეფუტკრეობის საგნის სწავლება აგრარულ უნივერსიტეტში ან შესაბამისი პროფილის სხვა უმაღლეს სასწავლებელში; ხალასად ფუტკრის მოვლა-მოშენების ორგანიზება ძირითად სანაშენ კერებში თანამედროვე მიღწევათა გამოყენებით; ფუტკრის დაავადებათა სამკურნალო ახალი პრეპარატების შექმნისა და შემოსული (იმპორტული) საშუალებების კვალიფიციური შემოწმებისა და გამოყენების სისტემის შექმნა; ახალი თაფლოვანი მცენარეების გამოვლენისა და სანერგებების შექმნის სისტემის ამოქმედება; ფუტკრის პროდუქტების წარმოებისა და გადამუშავების თანამედროვე ხერხების დანერგვა საწარმოებში, პროდუქტების სტანდარტიზაცია და სერთიფიცირება, უცხოეთის ბაზარზე დამკვიდრების ხელშეწყობა; ფუტკრის პროდუქტებისაგან ახალი სასურსათო მასტიმულირებელი და სამკურნალო პრეპარატების შექმნა და წარმოებაში დანერგვა.

ეჭვგარეშეა აღნიშნულის განხორციელება, სახელმწიფოს მხრიდან სათანადო დახმარების საფუძველზე სარგებლობას მოუტანს საერთო საქმეს, რის გამოც სახელმწიფო ბიუჯეტიდან საჭირო სახსრები უნდა გამოიყოს მიზნობრივად – მეფუტკრეობის დარგის განვითარების სახელმწიფო სპეციალური პროგრამების საფუძველზე ეტაპობრივად. გაწეული ხარჯები კი მოკლე დროში საკმაო უკუგებით იქნება დაბრუნებული.

2.4.24. საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის აკადემიურმა საბჭომ 2012 წლის 28 დეკემბერს მოისმინა ინფორმაცია: “საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსის ზაურ ჩანქსელიანის ანგარიში 2011 წელს ჩატარებული სამეცნიერო-კვლევითი მუშაობის შესახებ.”

აღინიშნა, რომ აკადემიკოსი ზაურ ჩანქსელიანი საანგარიშო წელს მუშაობდა საკვლევ თემაზე: “შავი ზღვის აუზის მდინარეთა რადიოკოლოგიური გამოკვლევა”, რომელსაც ამუშავებს საქართველოს აგრარული უნივერსიტეტის რადიოლოგიისა და ექოლოგიის ინსტიტუტის რადიოლოგიისა და მოდელირების ლაბორატორია. იგი ი. გოგებაშვილის თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტის ზუსტი და საბუნებისმეტყველო ფაკულტეტზე ასწავლიდა საგანს “რადიოკოლოგია”.

გამოქვეყნებული აქვს სტატიები: Оценка дозовых нагрузок на население регионов южного Кавказа. Сборник докладов выводы и рекомендации международной конференции «Двадцать пять лет Чернобыльской катастрофы. Безопасность будущего». часть 1. Украина, Киев, 2011.

Поступление радионуклидов Чернобыльского генезиса в рацион питания населения Грузии Сборник докладов выводы и рекомендации международной конференции «Двадцать пять лет Чернобыльской катастрофы. Безопасность будущего». часть 1. Украина, Киев, 2011

Dynamics of atmospheric moving of products Chernobyl accident to southern Caucasus.
International conference Twenty-five Years after Chernobyl Accident. Safety for the Future. 2011
Kyiv, Ukraine

გამოაქვეყნა (თანაავტორი ვ. ხოსიტაშვილი) სახელმძღვანელო “მცენარეული რადიოპროცესები” ქ. თბილისი, 2011 წელი 280 გვ.

მისი ხელმძღვანელობით დამუშავდა სადოქტორო დისერტაცია ოქმაზე: “გარდაბნის თბოელექტროსადგურის ზეგავლენის ზონის აგროლანდშაფტების რადიოეკოლოგიური დახასიათება”, მუშავდება სადოქტორო დისერტაციები ა. წერეთლის ქუთაისის სახელმწიფო უნივერსიტეტში ოქმაზე: “ქუთაისისა და მისი მიმდებარე ბიოლანდშაფტების რადიოეკოლოგიური კვლევა” და “მახათას მთის რადიოეკოლოგიური დახასიათება”. მონაწილეობდა: საქართველოს აგრარული უნივერსიტეტის საერთაშორისო კონფერენციაში, გააკეთა მოხსენება ოქმაზე: “ამერიკული თეთრი პეპელას წინააღმდეგ რადიობიოლოგიური მეთოდის გამოყენება.” “25 წელი ჩერნობილის კატასტროფიდან. მომავლის უსაფრთხოება”. 2011 წლის 20-22 აპრილი, უკრაინა, კიევი. თემა “ჩერნობილის დროინდელი რადიონუკლიდების გენეზისი და მათი მოხვედრა საქართველოს მოსახლეობის კვებით რაციონში”.

არის სახელმწიფო გრანტის “სასოფლო-სამეურნეო კულტურების მავნებლებთან ბრძოლის რადიობიოლოგიური მეთოდის გამოყენება და მისი დანერგვა” მენეჯერი.

საქართველოს ეროვნული აკადემიის პრეზიდიუმის სხდომაზე გაიტანა საკითხი “ყურძნის ჭაჭისგან რადიოპროცესების დამზადების ტექნოლოგია და მისი დანერგვის პრესკეპტივები” 2011 წლის 3 ნოემბერი.

არის შოთა რუსთაველის სახელმწიფო ეროვნული ფონდის სამეცნიერო საბჭოს წევრი; საქართველოს ეკოლოგიურ მეცნიერებათა აკადემიის წევრი; თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტის ზუსტი და საბუნებისმეტყველო ფაკულტეტის დისერტაციების დაცვის საბჭოს წევრი.

წარდგენილი აქვს განაცხადი პატენტზე: “ამერიკული თეთრი პეპელას წინააღმდეგ ბრძოლის რადიობიოლოგიური მეთოდის გამოყენებისა და დანერგვის მეთოდზე”.

2.425. საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის აკადემიურმა საბჭომ 2012 წლის 28 დეკემბერს მოისმინა აკადემიის წევრ-კორესპონდენტის თამაზ კუნძულიას მოხსენება: “საქართველოში კოოპერაციული მშენებლობის პრინციპული ასპექტების შესახებ.”,

აღინიშნა, რომ საქართველოს პარლამენტში განსახილველად მზადდება კანონის პროექტი “ფერმერთა ჯგუფებისა და გაერთიანებების შესახებ”. იგი შემუშავებულია პარლამენტის აგრარულ საკითხთა კომიტეტის ინიციატივით ევროკავშირისა და ქართველი ექსპერტების მიერ.

კანონპროექტი ეყრდნობა “მეწარმეთა შესახებ” კანონში მოცემულ დებულებებს კოოპერატივების შესახებ, რის გამოც ხშირია მითითებები კანონში არსებულ სხვასადხვა მუხლებზე. კანონპროექტში ასევე ხშირადაა მოხსენებული

სამართლებლოვი დოკუმენტები: “სამოქალაქო კოდექსი”, “საგადასახადო კოდექსი”, “საჯარო რეესტრი” და სხვა.

კანონპროექტს ახლავს ცვლილებებისა და დამატებების პროექტები “საქართველოს სამოქალაქო კოდექსი”, “საქართველოს საგადასახადო კოდექსი”, კანონში “მეწარმეთა შესახებ”, “საჯარო რეესტრში” და “საქართველოს მთავრობის დაფგენილების” პროექტი.

კანონპროექტი თავისი დანართებით დაეგზავნა სხვადასხვა სახელმწიფო და კერძო უწყებას, მათ შორის საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტროს, სადაც ორჯერ შედგა მისი განხილვა საზოგადოების ფართო წრეების მონაწილეობით. ამ შეხვედრაზე არაოფიციალურად კანონპროექტი გადმოეგზავნა სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიას განსახილებით.

პარლამენტის ინიციატივით “ფერმერთა ჯგუფებისა და გაერთიანებების შესახებ” კანონპროექტის მომზადება მიუთითებს საწარმოს ამ ფორმისადმი ხელისუფლების ყურადღების გამახვილებაზე, რომლის მიზანი უპირველეს ყოვლისა პარცელირებული მიწების კონსოლიდაცია, სადაც შესაძლებელი იქნება ახალი ტექნოლოგიების დანერგვა, პროდუქციის კონკურენტუნარიანობის ამაღლება.

“ფერმერთა ჯგუფებისა და გაერთიანებების შესახებ” კანონპროექტის მიმართ გამოითქვა შენიშვნები:

კანონპროექტის სახელწოდება უნდა იყოს “სასოფლო-სამეურნეო” კოოპერატივებისა და გაერთიანებების შესახებ”. როგორც ჩანს კანონპროექტის სათაურს ავტორები ამართლებენ იმით, რომ სახელწოდებამ სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივების შესახებ გლეხობაში არ გამოიწვიოს კოლმეურნეობების რეაბილიტაციის განცდა, რასაც სხვა უძრავ ქონებასთან ერთად მიწაზე საკუთრების დაკარგვა მოყვება.

“მეწარმეთა შესახებ” კანონზე ხშირი მითითება კანონის წამკითხველს მრავალ უხერხულობას უქმნის, მით უფრო გლეხს, რომელმაც ამ კანონით უნდა იხელმძღვანელოს. ამიტომ კანონს უნდა დაერთოს “მეწარმეთა შესახებ” კანონიდან პროექტში მითითებული მუხლები. უკეთესი იქნება თუ გამოქვეყნდება განმარტება კანონთან დაკავშირებით.

კანონპროექტი უნდა ითვალისწინებდეს კოოპერატივების ჩამოყალიბებისა და მათი საქმიანობისადმი სახელმწიფო მხარდაჭერას, როგორც ეს გათვალისწინებულია გაეროს ღონისძიებებში განვითარებად ქვეყნებში კოოპერატივების მშენებლობასთან დაკავშირებით. სახელმწიფო მხარდაჭერაში იგულისხმება: კოოპერატივის წევრების ფულადი პაის დაფარვა, ოფისის შეძენა, რემონტი, მოწყობა, გამგეობის წევრებსა და სხვა მომსახურე პერსონალის შრომის ანაზღაურება რამდენიმე თვის განმავლობაში, კოოპერატივების წარმოების ცვლადი და მუდმივი საშუალებების შეძენა, კოოპერატივების წევრების სწავლება, ერთჯერადი ტრეინინგების მოწყობა, ძვირად ღირებული საშუალებების შეძენა, სესხის პროცენტის დაფარვა და ა.შ.

კანონპროექტში ნათლად უნდა იყოს აღნიშნული, რომ კოოპერატივების ჩამოყალიბება არ წარმოშობს ახალ ვალდებულებას სახელმწიფოს წინაშე.

ქვეყნებში, სადაც კოპერატივების ჩამოყალიბების ბუნებრივი პროცესები იძულებით იქნა შეწყვეტილი, კოპერატივების აღმშენებლობის ხელახალი მცდელობა უდიდეს წინააღმდეგობებს აწყდება, რომლის დაძლევა პროცესზე მძლავრი ეკონომიკური ზემოქმედების გარეშე, თითქმის შეუძლებელია. აქედან გამომდინარე, კანონის მიღება არ ნიშნავს გარანტირებულ წარმატებას. უცხოეთის გამოცდილების გაზიარება ნაკლებპროდუქტიული იქნება, რამდენადაც იგი ეფუძნება კოპერატიული მშენებლობის ბუნებრივ პროცესს, რომელიც საქართველოში შეწყვეტილი იქნა გასული საუკუნის 30-იან წლების მიჯნაზე, როცა მოხდა გლეხების ქონების ექსპროპრიაცია და მისი კოლმეურნეობებში იძულებით გაერთაინება. საქართველოში დღეს ჩამოყალიბებული რამდენიმე კოპერატივის გამოცდილება გვიჩვენებს, რომ მოსამზადებელ სამუშაოებს სულ მცირე 2-3 წელი მაინც დასჭირდა.

ყოველივე ზემოთქმულის გათვალისწინებით შესამუშავებელია სოფლად კოპერატივების, მშენებლობის სტრატეგია, რომელსაც პასუხობს აკადემიური საბჭოს მიერ 2010 წლის 30 ივნისს განხილული საკითხი საქართველოს აგროსასურსათო სექტორში მცირე და საშუალო ბიზნესის განვითარების შესახებ, რომელიც ითვალისწინებს გლეხების საინიციატივო ჯგუფებთან ერთად ადგილობრივი თვითმართველობის ორგანოების წარმომადგენლების (სახელმწიფო), საეკლესიო პირების (რწმენა), მეცნიერების (ახალი ტექნოლოგიები) მონაწილეობით ვიწროსპეციალიზებული კოპერატივების ჩამოყალიბებას.

კოპერატივების ვიწრო სპეციალიზაცია, რასაც ბევრი სპეციალისტი ეწინააღმდეგება, არა მარტო მრავალდარგიანობის აღმოფხვრის, არამედ წარმოების კონცენტრაციის საშუალებაა, რის გარეშეც კონკურენტუნარიანი პროდუქციის წარმოება შეუძლებელია. მრავალდარგიანობა, რომელიც საქართველოს სოფლის მეურნეობის ბუნებრივი მახასიათებელია, დღევანდელი ტექნოლოგიების პირობებში უარყოფით ფაქტორად უნდა მივიჩნიოთ.

პოსტსოციალისტურ ქვეყნებში კოპერატიული მშენებლობის გამოცდილება გვიჩვენებს, რომ აუცილებელია სახელმწიფო უწყებებში მართვის შესაბამისი რგოლების შექმნა. აქედან გამომდინარე სოფლის მეურნეობის სამინისტროში, რომელიც კოპერატიული მშენებლობის ყველაზე ფართო სფეროა, უნდა ჩამოყალიბდეს კოპერატივების მშენებლობის სამმართველო (მთავარი სამმართველო), ხოლო მთავრობის კანცელარიასთან – განყოფილება, სადაც სოფლის მეურნეობის საწარმოო კოპერატივების გარდა თავს მოიყრის სამომხმარებლო, სამშენებლო, ენერგეტიკული, სამედიცინო, საკრედიტო, სატრანსპორტო, ტურისტული და სხვა სახის კოპერატივების მშენებლობის კოორდინაციის, მათი ურთიერთკავშირის, კოპერატივების საერთაშორისო ალიანსთან ურთიერთობის საკითხები, კანონშემოქმედებითი საქმიანობა.

რამდენადაც კოპერატივების მშენებლობის შესახებ აკადემიის შეხედულებები განსხვავებულია გ.წ. ტრადიციული მიღგომებისაგან, მიზანშეწონილად მიგვაჩნია ჩვენი აზრი კოპერატივების ჩამოყალიბებისა და შესაბამისი მართვის რგოლების ჩამოყალიბების შესახებ ოფიციალურად ეცნობოს სოფლის მეურნეობის სამინისტროს და მთავრობის კანცელარიას.

2.426. 2012 წლის 9 ნოემბერს საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიაში გაიმართა დიდი ქართველი მოაზროვნის, ერის მამად აღიარებული, უკვდავი ილია ჭავჭავაძის დაბადებიდან 175 წლისთავისადმი მიძღვნილი კონფერენცია.

მოხსენება თემაზე “ილია ჭავჭავაძე და ქართული სოფელი” გააკეთა აკადემიის წევრ-კორესპონდენტმა პაატა კოლუაშვილმა, რომელმაც განსაკუთრებული ყურადღება გაამახვილა თანამედროვე სოფლის მეურნეობისადმი ილიასეული შეხედულებების აქტუალობაზე.

კონფერენციაზე სიტყვით გამოვიდნენ აკადემიკოსები ნ. ჭითანავა, ნ. ქარქაშაძე, ნ. ბალათურია, გ. ჯაფარიძე და სხვები.

კონფერენციის მუშაობა შეაჯამა საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდენტმა აკადემიკოსმა შ. ჭალაგანიძემ.

2.427. 2012 წლის 12 ნოემბერს საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიაში, აკადემიური საბჭოსა და ჩაის მწარმოებელთა ასოციაციის ინიციატივით შედგა მრგვალი მაგიდა საქართველოში მეჩაიერების ოებილიტაციის საკითხებზე.

მრგვალ მაგიდაში მონაწილეობის მისაღებად მოწვევულნი იყვნენ: გოჩა ძნელაძე, შპს “გეოპლანეტი”, თბილისი; თემურ ჯაში, შპს “აგროფირმა ქობულეთი”, ქობულეთი; გონერი სალია, შპს “ლაზი”, წალენჯიხა; გია ხუჭუა, შპს “ანასეული”, ოზურგეთი; უჩა დალაქიშვილი, შპს “ტყიბულის ჩაი”, ტყიბული; ალე გამახარია, შპს “თერნალის ჩაი”, წყალტუბო; ირაკლი ღლონტი, შპს “შემოქმედი”, ოზურგეთი; თამაზ მიქაძე, შპს “აგროექსპორტი რიონი”, ქუთაისი; თენგიზ სვანაძე, ჩაის მწარმოებელთა ასოციაციის პრეზიდენტი; რამაზ ფანცხავა, დამსახურებული აგრონომი; თამაზ იმედაძე, ჰუმანიტარული უნივერსიტეტის პროფესორი; ომარ კაჭარავა, სოფლის მეურნეობის სამინისტროს მთავარი სპეციალისტი; ნოდარ ხოსაშვილი, სოფლის მეურნეობის სამინისტროს სამმართველოს ხელმძღვანელი; ვახში უვანია, შპს “კესანეს” დირექტორი, თბილისი; გოგი ბენდელავა, შპს “კესანეს” დირექტორის მოადგილე.

დისკუსია გახსნა საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდენტმა აკადემიკოსმა შ. ჭალაგანიძემ. მეჩაიერებაში დაგროვილ პრობლემებზე ისაუბრა ჩაის მწარმოებელთა ასოციაციის პრეზიდენტმა თ. სვანიძემ. საკითხის განხილვაში მონაწილეობა მიიღეს აკადემიკოსებმა ნ. ქარქაშაძემ, გ. ჯაფარიძემ, რ. მახარობლიძემ, ვ. ცანავამ, გ. მარგველაშვილმა, აკადემიის წევრ-კორესპონდენტმა თ. კუნტულიამ, ტექნიკურ მეცნიერებათა დოქტორმა შ. მახარობლიძემ, სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა დოქტორმა ა. მესხიშვილმა.

განსაკუთრებით საინტერესო იყო ჩაის მწარმოებლების: გ. ძნელაძის, თ. ჯაშის, გ. სალიას, გ. ხუჭუას, ი. ღლონტის, ვ. უვანიას, გ. ბენდელავას, სოფლის მეურნეობის სამინისტროს წარმომადგენლების ნ. ხოსაშვილის და თ. კაჭარავას მონაწილეობა დისკუსიაში. ისინი კონკრეტულად შეეხენ დარგში დაგროვილ პრობლემებს და სხდომას შესთავაზეს მათი გადაჭრის თავიანთი ხედვები.

გადაწყვდა, რომ პრობლემები დალაგდეს მათი სიმძიმისა და შესრულების შესაძლებლობების მიხედვით და წარედგინოს შესაბამის სამინისტროებს გადასაწყვეტად.

2.4.28. 2012 წლის 7 დეკემბერს ქ. გორში, სუხიშვილის უნივერსიტეტში გაიმართა სამეცნიერო კონფერენცია მიძღვნილი სკრაში მეხილეობის სამეცნიერო 122წლისა და საცდელი სადგურის 80 წლის სამეცნიერო–კვლევითი საქმიანობისადმი.

კონფერენცია გახსნა და მისასალმებელი სიტყვა წარმოთქვა საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდენტმა აკადემიკოსმა შოთა ჭალაგანიძემ. მეხილეობის საცდელ სადგურს იუბილე მიულოცა საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის ვიცე–პრეზიდენტმა აკადემიკოსმა გურამ ალექსიძემ.

საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის სახელით მისალოცი ადრესი გადასცა აკადემიის წევრ–კორესპონდენტმა ომარ ბედიამ.

საცდელი სადგურის ისტორიული მიმოხილვა 122 წლის შედეგებით წარმოადგინა საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის წევრ–კორესპონდენტმა გივი ბადრიშვილმა. ასევე მისალოცი მოხსენებებით გამოვიდნენ: აკადემიკოსი ნოდარ ჩხარტიშვილი, აკადემიის წევრ–კორესპონდენტი ვაჟა კვალიაშვილი, აკადემიის წევრ–კორესპონდენტი ჯუმბერ ონიანი, მებაღეობის, მევენახეობის და მეღვინეობის ინსტიტუტის მეხილეობის განყოფილების ყოფილი გამგე გიორგი ჯომარდიძე, აგრარული უნივერსიტეტის მეხილეობის კათედრის ყოფილი გამგე მიხეილ ვარძელაშვილი, საცდელი სადგურის სელექციის განყოფილების გამგე მზია ბაიაძე, გორის მეხილეობის საცდელი სადგურის ყოფილი დირექტორი არჩილ კაჭარავა, მებაღეობის, მევენახეობისა და მეღვინეობის ინსტიტუტის მეცნიერ თანამშრომელი ზვიად ბობოქაშვილი.

კონფერენციის მუშაობა შეაჯამა საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდენტმა აკადემიკოსმა შოთა ჭალაგანიძემ. კონფერენციამ მიიღო მიმართვა მთავრობისადმი სკრის საცდელი სადგურის აღდგენის და განვითარების ხელშეწყობის შესახებ.

2.4.29. 2012 წლის 12 დეკემბერს საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის სხდომათა დარბაზში აკადემიის ორგანიზებით გაიმართება მრგვალი მაგიდა საქართველოში მეცხოველეობის პრობლემატურ საკითხებზე, რომელშიც მონაწილეობას ღებულობდნენ აკადემიის წევრები, საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტროს წარმომადგენლები, მეცნიერები, აგრარული უნივერსიტეტის პროფესორ–მასწავლებლები, პრაქტიკოსი ვეტენიმები და ფერმერები.

შეხვედრა გახსნა აკადემიკოსმა ზურაბ ცქიტიშვილმა. მოსულ სტუმრებს მიესალმა და მრგვალ მაგიდას ნაყოფიერი მუშაობა უსურვა აკადემიის ვიცე-პრეზიდენტმა აკადემიკოსმა გურამ ალექსიძემ. შეკრებილ საზოგადოებას სიტყვით მიმართა სოფლის მეურნეობის მინისტრის პირველმა მოადგილემ დავით შერვაშიძემ. მან ისაუბრა საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიასთან ახლო კონტაქტის მნიშვნელობაზე, რომელიც დადებით ზეგავლენას მოახდენს სოფლის მეურნეობის განვითარებაზე. აღნიშნული შეხვედრის მნიშვნელობაზე ისაუბრა აკადემიის წევრ-კორესპონდენტმა თამაზ კუნჭულიამ.

სურსათის ეროვნული სააგენტოს ვეტ-დეპარტამენტის უფროსმა კობა ძამაშვილმა გააკეთა ინფორმაცია საქართველოში ცხოველთა დაავადების კერების შესახებ. დისკუსია გახსნა აკადემიკოსმა ზურაბ ცქიტიშვილმა. დისკუსიის დროს განხილული იქნა შემდეგი საკითხები: ცხოველთა ჯანმრთელობის დაცვის ვეტერინალური ღონისძიებები, სეზონური წველადობის დაძლევის და პროდუქტიულობის ზრდის სხვადასხვა გზები, ხელოვნური განაყოფიერების მეთოდები, ცხოველთა კვების ახლებური მიდგომები, ფერმერთა კოოპერირების (გამსხვილების) მასტიმულირებელი მექანიზმები, პირუტყვითა სასაკლაოების ინფრასტრუქტურა და სხვა.

დისკუსიაში მონაწილეობა მიიღეს: აკადემიის წევრ-კორესპონდენტმა თენგიზ ყურაშვილმა, ბიოლოგის მეცნიერებათა აკადემიურმა დოქტორმა ელიოზ ხაჭაპურიძემ, აკადემიურმა დოქტორმა გიორგი ხატიაშვილმა, სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა დოქტორმა გიული გოგოლმა, სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა დოქტორმა გივი ბასილაძემ, ბიოლოგიურ მეცნიერებათა დოქტორმა როლანდ მიტიჩაშვილმა, ვეტ-ექიმმა ჯამბულ მაღლაკელიძემ, აკადემიურმა დოქტორმა რამაზ ჭანტურიძემ, აკადემიურმა დოქტორმა თენგიზ ფირცხალაიშვილმა, ფერმერმა კახა ალანიამ, სოფლის მეურნეობის სამინისტროს წარმომადგენელმა ომარ კაჭარავამ, ეკონომიკის ფილოსოფიის დოქტორმა ნათია კუტივაძემ.

დისკუსიის შემდეგ მუშაობა შეაჯამა აკადემიის წევრ-კორესპონდენტმა თენგიზ ყურაშვილმა და აკადემიკოსმა ზურაბ ცქიტიშვილმა. გადაწყდა, აღნიშნულ პრობლემათა გადაჭრის სტრატეგიისა და სამოქმედო გეგმის ჩამოყალიბების მიზნით სამუშაო ჯგუფის შექმნა, რომლის საქმიანობის კოორდინირება მოხდება სოფლის მეურნეობის სამინისტროსა და სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის მეშვეობით.

მეოთხე კვარტალში სულ მოსმენილი და განხილული იქნა 10 საკითხი, მათ შორის: “სიმინდის მოვლა-მოყვანის თანამედროვე ტექნოლოგიები და მათი გამოყენება ფერმერულ მეურნეობებში” (აკადემიის წ/კ ო.ლიპარტელიანი), “სკრის მეხილეობის საცდელი სადგურის 80 წელი და მეხილეობის დარგის განვითარება” (აკადემიის წ/კ გ.ბადრიშვილი).

აკადემიური საბჭოს სხდომაზე ასევე იხილებოდა არაგეგმიური, მიმდინარე საკითხები. განხილულ ცალკეულ საკითხებზე საკანონმდებლო ინიციატივასა და რეკომენდაციებზე, სათანადო რეაგირებისათვის წერილობით ეცნობოდა ზემდგომ ორგანოებს (“საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის შესახებ”, “საქართველოში კოოპერაციული მშენებლობის პრინციპული ასპექტების შესახებ”).

III. საერთაშორისო თანამშრომლობა

3.1. საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის საზღვარგარეთის სამეცნიერო ცენტრებთან ურთიერთობა

აკადემიის ურთიერთობა საერთაშორისო კვლევით ცენტრებთან ჩვენი ქვეყნის აგრარული სფეროს შემდგომი აღმავლობის მნიშვნელოვანი ბერკეტია. აკადემიას მჭიდრო ურთიერთობა აქვს საერთაშორისო აგრარული კვლევის ჯგუფის (ქ. გაშინგბონი, ა.შ.შ.) ისეთ სამეცნიერო ცენტრებთან როგორიცაა:

“**ICARDA**” – მშრალი რეგიონების სასოფლო-სამეურნეო კვლევის ცენტრი (ქ.ალეპო, სირია);

“**SIMMIT**” – ხორბლისა და სიმინდის სელექციის კვლევითი ცენტრი (ქ. მეხიკო, მექსიკა).

“**IPGRI**” – ამჟამად “**BIOVERSITY**” – მცენარეთა გენეტიკური რესურსების ევროპის ინსტიტუტი (ქ. რომი, იტალია);

“**ICRISAT**” - ნახევრად ტროპიკული ზონის სასოფლო-სამეურნეო კვლევის ცენტრი (ქ. პატაჩერუ, ინდოეთი);

მცენარეთა გენეტიკური რესურსების ევროპის პროგრამა (ქ.რომი, იტალია);

“**FAO**” (ქ. რომი, იტალია);

“**CIP**” – კარტოფილის საერთაშორისო კვლევის ცენტრი, (ქ. ლიმა, პერუ);

“**ILRI**” – მეცხოველეობის საერთაშორისო კვლევის ცენტრი (ქ. ნაირობი, კენია);

“**ACIRO**” – მებოსტნეობის მსოფლიო ცენტრი, ტაივანი და სხვა.

სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის მცდელობით საქართველო გაერთიანებულია მცენარეთა გენეტიკური რესურსების ევროპის კოოპერირებულ პროგრამაში (ქ. რომი, იტალია), სადაც ევროპის წამყვან მეცნიერებთან ერთად პროგრამაში აქტიურად არიან ჩართველი საქართველოს აგრარული დარგის წამყვანი სპეციალისტები. ქართველი მეცნიერების მიერ დამუშავებული მასალა შეტანილი იქნა ევროპის საინფორმაციო სისტემაში. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ აკადემიის და “იკარდას” ერთობლივი მცდელობით ინტერნეტში შექმნილია ვებ-გვერდი საქართველოს მცენარეთა გენეტიკური რესურსების არსებული მდგომარეობის შესახებ. საერთაშორისო კვლევით ცენტრ “სიმიტან” ერთად, ჩვენი მეცნიერები წლების განმავლობაში სწავლობენ ხორბლისა და სიმინდის ახალი ჯიშების გავრცელებასა და მათი ჯიშური აგროტექნიკის თავისებურებებს საქართველოში. “იკრისატან” ერთად, ისწავლება არაქისის ახალი ჯიშები

ადმოსავლეთ საქართველოს სხვადასხვა რაიონში. მათი დანერგვა ფერმერულ მეურნეობებში მნიშვნელოვნად შეუწყობს ხელს არამარტო ჩვენი მოსახლეობის მოთხოვნების დაკმაყოფილებას აღნიშნულ პროდუქტებზე, არამედ მატერიალური თვალსაზრისითაც ხელსაყრელია ფერმერებისთვის.

მნიშვნელოვანია ქართველ აგრარიკოს მეცნიერთა მონაწილეობა საერთაშორისო სიმპოზიუმებსა და კონფერენციებში. აკადემიის წარმომადგენლები ჩართული არიან ცენტრალურ აზიასა და ამიერკავშირის ქვეყნების სასოფლო-სამეურნეო კვლევების გლობალური ფორუმის, მცენარეთა გენეტიკური რესურსების, მთამომავლობის გამოწვევის და სხვა საერთაშორისო ორგანიზაციების საკოორდინაციო საბჭოს მუშაობაში, სადაც ისინი ხშირად წამყვან როლს თამაშობენ.

მომავალში გათვალისწინებულია საერთაშორისო ურთიერთობების კიდევ უფრო გადრმავება. აღნიშნული მნიშვნელოვნად შეუწყობს ხელს აგრარული მეცნიერების შემდგომ წინსვლას ჩვენს ქვეყანაში.

3.2. საერთაშორისო სიმპოზიუმი თემაზე ”ანატოლიის სამიტის (WISAS)

პირველი ზამთრის სამიტი – ტურიზმი, სპორტი, ბიომრავალფეროვნება და გლობალური ცელილებები”

2012 წლის 23-26 თებერვალს ქ. ერზრუმში (თურქეთი) ჩატარდა საერთაშორისო სიმპოზიუმი თემაზე ”ანატოლიის სამიტის (WISAS) პირველი ზამთრის სამიტი – ტურიზმი, სპორტი, ბიომრავალფეროვნება და გლობალური ცელილებები”, რომელიც ორგანიზებული იყო ერზრუმის ათათურქის უნივერსიტეტის და ევროპის აბრეშუმის გზის კონსორციუმის (ESRUC) მიერ. ადსანიშნავია, რომ კონფერენცია ყოველწლიურად იმართება ათათურქის უნივერსიტეტის თაოსნობით, სადაც აქტიურად მონაწილეობენ მსოფლიოს წამყვანი მეცნიერები, ასევე სტუდენტები. აღნიშნულ სემინარზე საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიიდან მონაწილეობა მიიღო თინათინ ეპიტაშვილმა. ასევე ჩვენი ქვეყნიდან მონაწილეობდნენ: თინათინ გელაშვილი (ახალციხის სასწავლო ინსტიტუტის რექტორი), როინ კავრელიშვილი (ახალქალაქის სახელმწიფო სასწავლო ინსტიტუტის რექტორი), ირაკლი ბარამიძე (ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორის მოადგილე), ზურაბ ვადაჭკორია (თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის რექტორი), ნატო კაკაბაძე (საქართველოს აგრარული უნივერსიტეტი).

აღნიშნული სემინარი მაღალორგანიზებული და მასშტაბური იყო. სტუმრები მოწვეულნი იყვნენ, როგორც აზიიდან და ევროპიდან, ასევე ამერიკიდან. მასზე განიხილა ისეთი მნიშვნელოვანი საკითხები, როგორიცაა: ტურიზმის განვითარება აჭარის მაგალითზე; ბიომრავალფეროვნების კონვენცია, გლობალური

ტაქსონომიის ინიციატივა და ადგილობრივი მრავალფეროვნების მართვა; სპორტის დეკომურციალიზაცია; ეკო-მეგობრული ტურიზმის და უნივერსიტეტების როლი; ტურიზმი, სპორტი, ბიომრავალფეროვნება, გლობალური ცვლილებები – რეგიონალურ და ეროვნულ დონეზე; ტურიზმი როგორც მდგრადი განვითარების საშუალება ეკონომიკაში; აბრეშუმის გზა აზიაში; მთიანი რეგიონების ტურიზმის განვითარების პერსპექტივები; ურბანიზაცია და ტურიზმი; გეოსაინფორმაციო სისტემები ტურიზმში; სოფლის მეურნეობის გავლენა გლობალური ეკოლოგიური პრობლემების გადაწყვეტაზე; გლობალური ცვლილებების გავლენა ნიადაგის დეგრადაციაზე და სხვა საინტერესო საკითხები.

სიმპოზიუმის ბოლოს აღინიშნა, რომ ასეთი შეხვედრები მომავალშიც გაგრძელდება.



ქ. ერზერუმის საერთაშორისო სიმპოზიუმი.

მომსენებელი თ. ეპიტაშვილი.

3.3. საერთაშორისო კონფერენცია თემაზე: “ზოოტექნიკური მეცნიერება: ისტორია, პრობლემები, პერსპექტივები”

2012 წლის 14-16 მარტს უკრაინის ქალაქ კამიანეც-პოდოლსკის სახელმწიფო აგრარულ-ტექნიკურ უნივერსიტეტში ჩატარდა II საერთაშორისო კონფერენცია თემაზე: “ზოოტექნიკური მეცნიერება: ისტორია, პრობლემები, პერსპექტივები”. მასში მონაწილეობა მიიღო და მოხსენებით გამოვიდა აკადემიის სწავლული მდივანი, დოქტორი ანატოლი გიორგაძე, რომელიც არის აღნიშნული უნივერსიტეტის საპატიო პროფესორი. მოხსენება შეეხებოდა ქართული ფრინველის ჯიშების გენოფონდის შენარჩუნების პრობლემებს.

კონფერენციაში მონაწილეობდნენ მეცნიერები მოლდოვადან, ბულგარეთიდან, რუმინეთიდან, რუსეთიდან, ყაზახეთიდან, უკრაინიდან. კონფერენციის პირველ დღეს პლენარულ სესიონის მოსმენილი იქნა 24 მოსსესხება. მომდევნო დღეებში კონფერენციის მუშაობა გაგრძელდა 5 სექციაში: სოფლის მეურნეობის მეცნიერების ისტორია; ცხოველთა კვება და საკვების ტექნოლოგია; ცხოველთა გამრავლება და სელექცია; მეცხოველეობის პროდუქტების წარმოების ტექნოლოგია; მეცხოველეობის პროდუქტების გადამუშავება და სტანდარტიზაცია, ეკოლოგიური ასპექტები.

კონფერენციის მონაწილეებმა დაათვალიერეს დასავლეთ უკრაინის ერთობი უმსხვილესი მეფისინგელეობის ფაბრიკა “პოდოლსკი ბროილერი” და ცხენსაშენი “ვერესტი”.

II საერთაშორისო კონფერენციის მონაწილეებს გადაეცათ შესაბამისი სერთიფიკატები.



კონფერენცია ქ. კამიანეც-პოდოლსკის აგრარულ-ტექნოლოგიურ უნივერსიტეტში. მონაწილეობდა აკადემიის სწავლული მდივანი, აკადემიური დოქტორი ანატოლი გიორგაძე.

3.4. ევროპის მცენარეთა გენეტიკური რესურსების კოოპერირებული პროგრამის ბეტა ჯგუფის და ქსელის მე-4 თათბირი

მიმდინარე წლის 20-22 ივნისს კაპპელუ-ენ-პეველეში (საფრანგეთი) ჩატარდა ევროპის მცენარეთა გენეტიკური რესურსების კოოპერირებული პროგრამის ბეტა ჯგუფის და ქსელის მე-4 თათბირი.

თათბირის მუშაობაში მონაწილეობა მიიღეს მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნის (გერმანია, იტალია, ინგლისი, ესპანეთი, პორტუგალია, საფრანგეთი, ირლანდია, ა.შ.შ., იაპონია, საბერძნეთი) 40-მდე მეცნიერმა, რომელთა მუშაობის

ძირითადი სფეროც არის ჭარხლის შესწავლა. თათბირი ჩატარდა ჭარხლის თესლის ცნობილი მწარმოებელი ფირმის “ფლორიმონდ დესპრეზის” ბაზაზე.

თათბირის მუშაობის დროს განხილული იქნა ისეთი საკითხები, როგორიცაა: ჭარხლის კულტურული და გარეული ფორმების გავრცელება, გეოგრაფიული სტრუქტურა და მრავალფეროვნება, შენახვა და კონსერვაცია. სპეციალური სხდომა მიეძღვნა პოსტერების განხილვას. სხვა საკითხებთან ერთად განხილული იქნა აგრეთვე ბეტა ჯგუფის მომავალი სამუშაო საკითხები, სადაც ერთ-ერთ პუნქტად გამოიყო ჭარხლის გარეული მონათესავე სახეობების კონსერვაცია, “ინ-სიტუს” სახით, ამიერკავკასიის ქვეყნებში, მათ შორის საქართველოშიც. ბოლოს კი ჩატარდა თავმჯდომარის, ვიცე - თავმჯდომარის და პასუხისმგებელი მდივნის არჩევა. თავმჯდომარედ და ვიცე - თავმჯდომარედ ისევე, როგორც წინა წლებში ხელმეორედ არჩეული იქნა დოქტორი ლოტერ ფრიზე (გერმანია) და პროფ. გურამ ალექსიძე (საქართველო), ხოლო პასუხისმგებელ მდივნად დოქტ. იაშმინა ელ - ბაშლოული.



ევროპის მცენარეთა გენეტიკური რესურსების კოოპერირებული პროგრამის ბეტა ჯგუფის და ქსელის მე-4 თათბირი (მარცხნიდან პირველი აბად. გ. ალექსიძე)

3.5. სასოფლო – სამეურნეო ერთობლივი კვლევების საერთაშორისო პროგრამის ხელმძღვანელი კომიტეტის მე-15 თათბირი

2012 წლის 4-6 სექტემბერს ისიპ – კულტო (ყირგიზეთი) ჩატარდა შეა აზიისა და სამხრეთ კავკასიისათვის სასოფლო – სამეურნეო ერთობლივი კვლევების საერთაშორისო პროგრამის (КГМСХИ) ხელმძღვანელი კომიტეტის მე-15 თათბირი.

თათბრის მუშაობაში მონაწილეობა მიიღეს: ყაზახეთის, უზბეკეთის, ყირგიზეთის, ტაჯიკეთის, თურქმენეთის, აზერბაიჯანის, სომხეთის და საქართველოს აგრარული მეცნიერების ხელმძღვანელებმა და დონორი ორგანიზაციების წარმომადგენლებმა. მათ შორის იყვნენ: მშრალი რეგიონების სასოფლო – სამეურნეო კვლევის ცენტრი (ICARDA, ქ. ალეპო, სირია), მცენარეთა გენეტიკური რესურსების საერთაშორისო ცენტრი (Bioversity int. ქ. რომი, იტალია), ხორბლისა და სიმინდის სელექციის საერთაშორისო ცენტრი (CIMMYT, ქ. მეხიკო, მექსიკა), ნახევრადმშრალი ტროპიკული ზონის მემცენარეობის საერთაშორისო ინსტიტუტი (ICRISAT, ქ. ჰააჩერე, ინდოეთი), წყლის რესურსების მართვის საერთაშორისო კვლევითი ინსტიტუტი (IWMI, ქ. კოლომბო, შრილანკა), მებოსტნეობის საერთაშორისო ცენტრი (AVRDC, ტაივანი), სურსათის პოლიტიკის საერთაშორისო ინსტიტუტი (IFPRI, ქ. ვაშინგტონი, აშშ) და სხვა კვლევითი ცენტრები, აგრეთვე დონორი ორგანიზაციები: მსოფლიო ბანკი, ADB, IFAD, USAID, SDC, SIDA, UNDP, EU და სხვა წარმომადგენლები.

საქართველოდან აღნიშნულ თათბირში მონაწილეობდა სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდენტი, აკადემიკოსი შოთა ჭალაგანიძე, რომელმაც მოხსენება გააკეთა აგრარულ სფეროში საერთაშორისო პროექტების მიმდინარეობის და მათი შემდგომი განვითარების შესახებ ჩვენს ქვეყანაში.

თათბირზე მოსმენილი იქნა სამხრეთ კავკასიაში კონსულტანტის, დოქტორ ანა გულბანის მოხსენება თემაზე: “საერთაშორისო ცენტრებიდან მიღებული პერმოპლაზმის შესწავლა საქართველოში”.

საქართველოდან თათბირში ასევე მონაწილეობდა მიწათმოქმედების ინსტიტუტის დირექტორი პროფესორი დავით ბედოშვილი.

თათბირზე განხილული იქნა საკითხები: აგრარული კვლევების პრიორიტეტების შესახებ, სელექცია – მეთესლეობის შესახებ, მეცხოველეობის შემდგომ განვითარებაზე, სამთო მიწათმოქმედებაზე და სხვა.

თათბირზე გადაწყვდა, რომ ხელმძღვანელი კომიტეტის მომავალი მე-16 სხდომა 2013 წელს ჩატარდება ქ. დუშამბეში (ტაჯიკეთი). კომიტეტის თანათავმჯდომარედ არჩეული იქნა აკადემიკოსი ხუკმატულო ახმადოვი.



შუა აზიისა და სამხრეთ კავკასიისათვის სასოფლო – სამეურნეო ერთობლივი კვლევების საერთაშორისო პროგრამის (КГМСХИ) ხელმძღვანელი კომიტეტის
მე-15 თაობირი.ს მონაწილეობა ერთი ჯგუფი
(4-6 სექტემბერი, 2012 წ. ისიკ-ყალი, ყირგიზეთი; ცენტრში აკად. შ. ჭალაგანიძე).

3.6. ნ.ი. ვავილოვის III საერთაშორისო კონფერენცია

მიმდინარე წლის 6-9 ნოემბერს რუსეთის ფედერაციის ქალაქ სანკტ-პეტერბურგში ჩატარდა ნ.ი. ვავილოვის III საერთაშორისო კონფერენცია “**ნ.ი. ვავილოვის იდეები თანამედროვე მსოფლიოში**”, რომელიც მიეძღვნა ნ.ი. ვავილოვის დაბადებიდან 125-ე წლისთავს. მასში მონაწილეობა მიიღო 350 მეცნიერმა მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნიდან. რუსეთიდან, ამერიკიდან, თურქეთიდან, საფრანგეთიდან, ლატვიიდან, გერმანიიდან, ბელორუსიიდან, უკრაინიდან და სხვა.

საქართველოდან კონფერენციის მუშაობაში მონაწილეობა მიიღო და პლენარულ სხდომაზე მოხსენებით “აკადემიკოსი ნ.ი. ვავილოვი საქართველოში” გამოვიდა საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი, აკადემიის ვიცე-პრეზიდენტი გურამ ალექსიძე (თანაავტორი აკადემიკოსი პეტრე ნასუიდაშვილი).

კონფერენციის მუშაობა მიმდინარეობდა შემდეგ სექციებში: ნ.ი. ვავილოვი “ცხოვრება ხანმოკლეა – უნდა ვიჩქაროთ”; მცენარეთა გენეტიკური რესურსები ინტეგრაციისა და მოლეკულური ტექნოლოგიების ეპოქაში; გამოყენებითი ბოტანიკა ნ.ი. ვავილოვიდან დღემდე; კულტურული მცენარეების წარმოშობის თეორია და ევოლუცია; მცენარეების ბუნებრივი იმუნიტეტი მავნე ორგანიზმების წინააღმდეგ; სელექცია – მეცნიერება, ხელოვნება თუ ტექნოლოგია. გარდა ამისა კონფერენციაზე განხილული იქნა სასტენდო მოხსენებები.

სამეცნიერო კონფერენციის მონაწილეებმა დაათვალიერეს ნ.ი. ვავილოვის მემორიალური კაბინეტ-მუზეუმი და რუსეთის მემკვარეობის ინსტიტუტის გენეტიკური ბანკი.



ნ.ი. ვავილოვის III საერთაშორისო კონფერენცია.
მომხსენებელი სსმა-ის ვიცე პრეზიდენტი გურამ ალექსიძე.

3.7. საერთაშორისო სამეცნიერო-ტექნიკური კონფერენცია ქ. ვარნაში (ბულგარეთი)

მიმდინარე წლის 27-29 ივნისს ბულგარეთის ერთ-ერთ ულამაზეს კურორტ ვარნაში ჩატარდა საიუბილეო XX სამეცნიერო-ტექნიკური კონფერენცია ტრანსპორტის, სამშენებლო მანქანების, სოფლის მეურნეობის, ამწე-სატრანსპორტო და სამხედრო ტექნიკისა და ტექნოლოგიების შესახებ. ასეთი სახის კონფერენცია ბულგარეთში ტარდება ყოველწლიურად, მაგრამ ეს კონფერენცია იმით იყო ნიშანდობლივი, რომ იგი წარმოადგენდა რიგით მე-20-ეს, საიუბილეოს და მასში მონაწილეობა მიიღო ადრე ჩატარებულ კონფერენციათა შორის მომხსენებელთა სარეკორდო რაოდენობამ – 100-მა მეცნიერმა.

კონფერენციაში პროფესორ გიორგი პოპოვისა და პროგრამის საერთაშორისო კომიტეტის თავმჯდომარე ემილ მირონოვის მიწვევით მონაწილეობა მიიღო აკადემიკოსმა ჯემალ კაციტაძემ. მან მოხსენება წარადგინა პრეზენტაციის სახით, რომელიც შეიცავდა როგორც თეორიულ ასევე ექსპერიმენტულ ნაწილს და ვიდეო მასალას მიღებული მეცნიერული შედეგების დემონსტრირებისათვის.

მოხსენება შეეხებოდა სასოფლო-სამეცნეო ტექნიკის საიმედოობის გაანგარიშების თეორიულ საფუძვლებს და მისი გაზრდის ინოვაციურ ტექნოლოგიებს, რომელიც აკადემიკოს კაციტაძის მიერ იქნა დამუშავებული.

მოხსენების შემდეგ მრავალი საინტერესო და პრობლემური შეკითხვა იქნა დასმული, რომლის დროსაც გამომსვლელებმა მაღალი შეფასება მისცეს წარმოდგენილ შეფასებას. დისკუსიაში მონაწილეობდნენ რიგის (ლატვია)

ტექნიკური უნივერსიტეტის სრული პროფესორი გ. უშაგისი, სოფიის (ბულგარეთი) ტექნიკური უნივერსიტეტის პროფესორი ლ. კუნჩევი და ბულგარეთის სამეცნიერო-ტექნიკური კავშირის გენერალური მდივანი, ტექნიკის მეცნიერებათა დოქტორი რ. გიორგიევი. ყველა გამომსვლელმა ხაზი გაუსვა იმ გარემოებას, რომ მანქანების ნამუშევარი დეტალების “სიცოცხლის გაზრდა” და ხელმეორედ გამოყენება აქტუალური ეკონომიკური და სამეცნიერო-ტექნიკური ამოცანაა მსოფლიო მასშტაბით და მის გადაწყვეტას ინოვაციური ტექნოლოგიების გამოყენებით შეუძლა “აევავებადი” ბიზნესი მისცეს მის ორგანიზაციონურებს, მხოლოდ საჭიროა მოიძებნოს ფინანსური წყაროები საწყისი ინვესტიციებისათვის სპეციალიზებული საწარმოების შესაქმნელად.

29 ივნისს შედგა კონფერენციის საბოლოო სხდომა, წარმოდგენილი მოხსენებების ანალიზი და შეფასება. გადაწყვდა საორგანიზაციო კომიტეტი შეიმუშავებს შესაბამის რეკომენდაციებს, რომლებიც დაეგზავნება თითოეულ მონაწილეს. გადაწყვდა ასევე, რომ მომავალ წელს ასეთივე ფორუმი ჩატარდება სოფიაში, ტექნიკურ უნივერსიტეტში და მისი ერთ-ერთი თანაორგანიზაციონური იქნება საქართველოს აგრარული უნივერსიტეტი, ხოლო მისი რექტორი ბატონი ლაშა გოცირიძე და ჯემალ კაციტაძე შეენილდი იქნებიან საერთაშორისო საორგანიზაციო კომიტეტის შემადგენლობაში.

3.8. ხორბლის სელექციის საერთაშორისო სამოგზაურო სემინარი (საქართველო, ლომთაგორა)

2012 წლის 24-25 მაისს ლომთაგორას მეურნეობაში გაიმართა “ხორბლის სელექციის საერთაშორისო სამოგზაურო სემინარი”, რომლის მუშაობაშიც მონაწილება მიიღო საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის ვიცე პრეზიდენტმა აკადემიკოსმა გურამ ალექსიძემ. სემინარზე მოხსენებით “საქართველოს მეხორბლეობის წარსული, აწმუო და მომავალი” გამოვიდა აკადემიკოსი პეტრე ნასყიდაშვილი.

სემინარის მუშაობაში ასევე მონაწილეობდნენ და მოხსენებებით გამოვიდნენ: ფირმა “ლომთაგორას” გენერალური დრექტორი კახა ლაშხი, CIMMYT-ის წარმომადგენერალი ალექსი მორგუნოვი, ICARDA-ს წარმომადგენლები ზაკირ ხალიგულოვი, რამ შარმა და სხვები.

უნდა აღინიშნოს, რომ ასეთი სახის სამოგზაურო სემინარების ყოველწლიურად ტარდება სხვადასხვა ქვეყნებში.

სემინარის მონაწილეებმა დაათვალიერეს სასელექციო მასალები და საწარმოო ჯიშები:

ბულგარეთის დობრუჯას ინსტიტუტის მიერ 1992-2010 წლებში დარაიონებული ჯიშები; 15 IWWYT-IR; გაუმჯობესებული ფორმები რუმინეთიდან; გაუმჯობესებული ფორმები ICARDA- დან;

ხორბლის ადგილობრივი სახეობები და ისტორიული ჯიშები: “ლომთაგორა 109;” “ლომთაგორა 149;” “ლომთაგორა 123;” თეთრი დიკა; ახალციხის წითელი; დოლი; შავვეხა;

პერსპექტიული ფორმა –PEHLIVAN/JAGGER სანერგე – NURSERY 17FAWWON-26.

პერსპექტიული ფორმა –CUPRA-1/3/CROC1/AE SQUARROSA სანერგე – NURSERY 17FAWWON-7.

პერსპექტიული ფორმა – CUPRA-1/3/CROC1/AE SQUARROSA სანერგე – NURSERY 17FAWWON-42.

პერსპექტიული ფორმა –BEZ/SDV!/5/338-K1-1//TJB368.251სანერგე – NURSERY 17FAWWON-55.

სასელექციო მასალებს და საწარმოო ჯიშებს მაღალი შეფასება მიეცა.



ხორბლის სელექციის საერთაშორისო სამოგზაურო სემინარის მონაწილეთა ერთი ჯგუფი (საქართველო, ლომთაგორა).

3.9. საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის მეცნიერების საერთაშორისო აღიარება.

საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის აკადემიური საბჭოს 2011 წლის 20 ივნისის №04 ბრძანებით შეიქმნა საქართველოში საინვესტიციო პროექტის „აბრეშუმის“ შემმუშავებელი კომისია შემდეგი შემადგენლობით:

1. გიორგი ნიკოლეიშვილი- (კომისიის თავმჯდომარე), აკადემიის წევრ-კორესპონდენტი;
2. გივი ჯაფარიძე- აკადემიის ვიცე-პრეზიდენტი, აკადემიის აკადემიკოს-მდივანი;
3. თამაზ კუნძულია- აკადემიის წევრ-კორესპონდენტი, აკადემიური დეპარტამენტის უფროსი;
4. ელგუჯა შაფაქიძე- აკადემიის წევრ-კორესპონდენტი, საქართველოს აგრარული უნივერსიტეტის სრული პროფესორი;

5. ნარგიზა ბარამიძე- საქართველოს აგრარული უნივერსიტეტი, სოფლის მეურნეობის აკადემიური დოქტორი;
6. ემზარ ჭოლაძე- ქუთაისის მეაბრეშუმეობის ზონალური საცდელი სადგურის დირექტორი, სოფლის მეურნეობის აკადემიური დოქტორი;
7. მაგდა ბაგრატიონი- იურისტი;

კომისიის მიერ დამუშავებული იქნა “საქართველოში მეაბრეშუმეობის განვითარების კონცეფცია”, რომელიც გასაცნობად და რეაგირებისათვის დაგზავნილი იქნა საქართველოს აგრარული მიმართულების სამთავრობო და კვლევით ორგანიზაციებში, აგრეთვე საერთაშორისო ორგანიზაციებში.

შავი, კასპიის ზღვის აუზისა და ცენტრალური აზიის ქვეყნების მეაბრეშუმეობის საერთაშორისო ორგანიზაცია BACSA სერიოზულად დაინტერესდა საქართველოს სოფლის მეურნეობის აკადემიის ეგიდით დამუშავებული “საქართველოში მეაბრეშუმეობის განვითარების კონცეფციით”. აღნიშნულმა კონცეფციამ დიდი მოწონება და გამოხმაურება პპოვა FAO-სა და ევროკავშირის ქვეყნებში.

2013 წლის 7-12 აპრილს იტალიის ქალაქ პადუაში გაიმართება BACSA-ს მე-6 კონფერენცია, სადაც დაგეგმილია შავი, კასპიის ზღვის აუზისა და ცენტრალური აზიის ქვეყნების მეაბრეშუმეობის აღდგენის პროგრამის დამუშავება ევროსაბჭოში წარსადგენად, რომელშიც ძირითადად გათვალისწინებული იქნება ქართველი მეცნიერების მიერ დამუშავებულ “საქართველოში მეაბრეშუმეობის განვითარების კონცეფციაში” მოცემული ძირითადი დებულებები.

აღნიშნულ კონფერენციაზე მიწვეულნი არიან საქართველოს წარმომადგენლები – კონცეფციის ავტორები, ხოლო საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტს, ეკონომიკურ მეცნიერებათა დოქტორს, პროფესორ გიორგი ნიკოლეიშვილს შავი, კასპიის ზღვის აუზისა და ცენტრალური აზიის ქვეყნების მეაბრეშუმეობის საერთაშორისო ორგანიზაციამ BACSA პირადი მოწვევა გამოუგზავნა, რაც საერთაშორისო თანამეგობრობის მხრიდან ქართველი მეცნიერის დიდი აღიარებაა.

IV. საქართველოს სოფლის მეურნეობის მაცნეობებითა აკადემიის საპოლიტიკო - დარგობრივი სამაცნეორო განყოფილებები

საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიაში ფუნქციონირებს ოთხი საკოორდინაციო დარგობრივი-სამეცნიერო განყოფილება:

1. აგრონომიული;
2. მეცხოველეობის, ვეტერინარიის, საკვებწარმოებისა და მეცხოველეობის პროდუქტების გადამუშავების;
3. საინჟინრო;
4. ეკონომიკის.

4.1. აბრონომიული საპორტფინაციო-დარბობრიზი სამეცნიერო განყოფილება

აკადემიკოს მდივანი – აკადემიკოსი გოგოლა მარგველაშვილი
სწავლული მდივანი – აკადემიური დოქტორი ანატოლი გიორგაძე.

საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის აგრონომიულ დარგობრივ-სამეცნიერო განყოფილებაში გაერთიანებულია აკადემიის 21 წევრი, მათ შორის აკადემიის ნამდვილი წევრი - 10 და აკადემიის წევრ-კორესპონდენტი – 10:

აკადემიკოსები – ალექსიძე გურამი, ვასაძე იუზა, ზარდალიშვილი ოთარი, მარგველაშვილი გოგოლა, ნასყიდაშვილი პეტრე, ონიანი ოთარი (გარდაიცვალა 2012 წლის 20 მაისს), ქევხიშვილი ვლადიმერი, ჩაგლიშვილი რეზო, ჩანქელიანი ზაური, ჩხარტიშვილი ნოდარი, ცანავა ვალერიანი.

აკადემიის წევრ-კორესპონდენტები – ბადრიშვილი გივი, თურმანიძე თამაზი, კილასონია გურამი, კვალიაშვილი ვაჟა, ლიპარტელიანი ოთარი, ონიანი ჯუმბერი, ურუშაძე თენგიზი, ღორჯომელიძე ოთარი, ცაგურიშვილი გივი, ჯაბნიძე რეზო.

1. განყოფილებაში შემოსულია განყოფილების წევრების 18 ანგარიში, რომლებიც ძირითადად პასუხობენ აკადემიური საბჭოს მიერ შემუშავებული კიოხვარის მოთხოვნებს;

2. აგრონომიული განყოფილების წევრების მიერ წარმოდგენილი ანგარიშების მიხედვით შესაძლებელია ჩამოყალიბდეს განყოფილების აკადემიის ნამდვილი წევრების და წ/კორესპონდენტების მიერ ჩატარებული სამეცნიერო-კვლევითი და სასწავლო-პედაგოგიური მუშაობის ანგარიში 2012 წელს.

3. განყოფილების 21 წევრის საშუალო ასაკია 76 წელი, ყველაზე უფროსია აკადემიკოსი ვლადიმერ ქევხიშვილი - 84 წელი, უმცროსი კი – წევრ-კორესპონდენტი ოთარ ღორჯომელაძე – 57 წელი.

4. განყოფილების წევრები – აკადემიკოსი გურამ ალექსიძე აკადემიის ვიცე-პრეზიდენტი და აკადემიის აკადემიური საბჭოს წევრია, ასევე შუა აზიისა და კავკასიის ქვეყნების სამეცნიერო ორგანიზაციების ასოციაციის “კაკაარის” საქართველოს კოორდინატორი; აკად. გოგოლა მარგველაშვილი სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის აკადემიური საბჭოს წევრი და განყოფილების აკადემიკოს – მდივანი; აკადემიკოსი პეტრე ნასყიდაშვილი - აკადემიის აკადემიური საბჭოს წევრი და აკადემიის მთავარი ექსპერტი; აკადემიკოსი ვალერიან ცანავა - აკადემიის აკადემიური საბჭოს წევრი და საქართველოს აგრარული უნივერსიტეტის ჩაისა და სუბტროპიკული კულტურების ს/კ ინსტიტუტის ლაბორატორიის გამგე; აკადემიკოსი ზაურ ჩანქელიანი – საქართველოს აგრარული უნივერსიტეტის რადიოლოგიის ს/კ ინსტიტუტის დირექტორი და ანდრია პირველწოდებულის სახელობის უნივერსიტეტის პროფესორი, აკადემიკოსი ნოდარ ჩხარტიშვილი - თბილისის მეცნიერება-მედვინეობის, ხილ-ბოსტნეულის წარმოებისა და სპეციალისტთა გადამზადების სასწავლო ინსტიტუტის პროფესორი და თელავის ი. გოგებაშვილის სახელობის

უნივერსიტეტის პროფესორია; აკადემიკოსი იუზა ვასაძე და აკადემიის წ/კ ვაჟა კვალიაშვილი - საქართველოს აგრარული უნივერსიტეტის მეცნიერების, მედვინეობისა და მებადეობის ს/კ ინტიტუტის თანამშრომლები არიან, აკადემიის წ/კ ოთარ ლიპარტელიანი - საქართველოს აგრარული უნივერსიტეტის მიწათმოქმედების ინსტიტუტის თანამშრომელი; აკადემიის წ/კ ოთარ ღორჯომელაძე - აჭარის კომპერაციული ინსტიტუტის პრორექტორი სამეცნიერო დარგში და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის თავმჯდომარის მრჩეველი; აკადემიის წ/კ რევაზ ჯაბიძე - შ.რუსთაველის ბათუმის უნივერსიტეტის აგრარული და საინჟინრო ტექნოლოგიების ფაკულტეტის აგრონომიის პროგრამული მიმართულების ხელმძღვანელი.

5. განყოფილების 19 წევრის სამეცნიერო ხარისხია მეცნიერებათა დოქტორი, ხოლო ერთი წევრი - აკადემიკოსი ნოდარ ჩხარტიშვილი არის მეცნიერებათა კანდიდატი. წევრებიდან 16 აქვს სამეცნიერო წოდება - პროფესორი, 4 წევრს უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში უკავია სრული პროფესორის აკადემიური თანამდებობა.

6. განყოფილების წევრების მიერ საანგარიშო 2012 წელს გამოქვეყნებულია 55 ნაშრომი (გ. ალექსიძე -7, გ. მარგველაშვილი - 1, ნ. ჩხარტიშვილი - 2, ჯ. ონიანი - 6, რ. ჯაბიძე - 7, ი. ვასაძე - 1, ო. ზარდალიშვილი - 1, პ. ნასყიდაშვილი - 13, რ. ჩაგელიშვილი - 2, ზ. ჩანქელიანი - 1, ვ. ცანავა - 1, ვ. კვალიაშვილი -1, ო. ღორჯომელაძე - 8); განყოფილების წევრების მიერ 2012 წელს გამოქვეყნებულია 4 მონოგრაფია და სახელმძღვანელო (პ.ნასყიდაშვილი - 3, ო. ღორჯომელაძე - 1).

7. განყოფილების წევრებს 2012 წელს მონაწილეობა აქვთ მიღებული 20 საერთაშორისო და ადგილობრივ კონფერენციებში, სიმპოზიუმებში და სემინარებში (გ. ალექსიძე -2, გ. ბადრიშვილი -1, ნ. ჩხარტიშვილი -1, ვ. კვალიაშვილი -1, რ. ჩაგელიშვილი - 1, ი. ვასაძე -2, პ. ნასყიდაშვილი - 6, რ. ჯაბიძე - 5, ო. თურმანიძე -1);

8. 2012 წელს წარდგენილია 1 პატენტი გამოგონებაზე – აკად. ზ. ჩანქელიანი;

9. 2012 წელს მუშავდებოდა საქართველოს სამეცნიერო ეროვნული ფონდის მიერ დაწესებული 1 გრანტი – აკად. გ. ალექსიძე.

10. 2012 წელს განყოფილების წევრების უმრავლესობა არის სხვადასხვა გამოცემების კრებულების, შრომების და გამოცემების სარედაქციო კოლეგიის წევრი.

11. განყოფილების წევრები 2012 წელს იყვნენ სხვადასხვა სამეცნიერო საბჭოს წევრები: აკად. გ. ალექსიძე, აკად. გ. მარგველაშვილი, აკად. ვ. ცანავა არიან საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის აკადემიური საბჭოს წევრები.

12. განყოფილების წევრები აკადემიკოსები გ. ალექსიძე, გ. მარგველაშვილი, ზ. ჩანქელიანი არიან სხვადასხვა საერთაშორისო და არასახელმწიფო დარგობრივი აკადემიების წევრები;

13. განყოფილების წევრები აკად. გ. ალექსიძე, აკად. ი. ვასაძე, წ/პ ვ. კვალიაშვილი, წ/პ რ. ჯაბინძე, წ/პ ო. ღორჯომელაძე - სხვადასხვა არასამთავრობო ორგანიზაციის წევრები არიან.

14. განყოფილების წევრები არიან სხვადასხვა გამომცემლობების, შრომათა კრებულების, სამეცნიერო ჟურნალების სარედაქციო კოლეგიის წევრები, სახელმძღვანელოების და მონოგრაფიების რედაქტორები ან რეცენზენტები.

აგრონომიულ სამეცნიერო დარგობრივ განყოფილებაში 2012 წელს სულ ჩატარდა 3 სხდომა.

პირველი სხდომა ჩატარდა 1 ივნისს და განხილული იქნა შემდეგი საკითხები: 1. აგრონომიული საკოროდინაციო სამეცნიერო დარგობრივი განყოფილების 2011 წლის ანგარიშის შესახებ, მომხსენებელი აკადემიკოს მდივანი – გოგოლა მარგველაშვილი; 2. აგრონომიული სამეცნიერო დარგობრივი განყოფილების წევრების 2011 წლის პირადი სამეცნიერო საქმიანობის ანგარიში, მომხსენებლები - განყოფილების წევრები (აკადემიკოსები და წევრ-კორესპონდენტები);

მეორე სხდომა ჩატარდა 28 ნოემბერს და განხილული იქნა შემდეგი საკითხები: 1. მევენახეობის არსებული მდგომარეობა და განვითარების პერსპექტივები საქართველოში, მომხსენებელი - აკადემიკოსი ნოდარ ჩხარტიშვილი; 2. ქ. გორში მეხილეობის გასვლითი კონფერენციის საორგანიზაციო საკითხების შესახებ, მომხსენებელი - აკადემიკოს წევრ-კორესპონდენტი გივი ბადრიშვილი;

მესამე სხდომა ჩატარდა 21 დეკემბერს და განხილული იქნა საკითხი: 1. საქართველოს ნიადაგების არსებული მდგომარეობა და მათი ნაყოფიერების აღდგენა-გაუმჯობესების გზები, მომხსენებელი - აკადემიკოსი გოგოლა მარგველაშვილი;

აგრონომიული განყოფილების და აკადემიის წევრ-კორესპონდენტის გივი ბადრიშვილის ორგანიზებით ქ. გორში სუხიშვილის სახელობის უნივერსიტეტში ჩატარდა გამსვლელი სამეცნიერო კონფერენცია მიძღვნილი სკრის საცდელი სადგურის 80 წლისთავისადმი.

აგრონომიული სამეცნიერო დარგობრივი განყოფილებიდან საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის აკადემიურ საბჭოზე განსახილველად გატანილი იქნა 8 საკითხი.

4.1.1. აგრონომიული საქონლინაციო-დარგობრივი სამეცნიერო განყოფილების წევრების 2012 წლის ანგარიშები

4.1.1.1. აკადემიკოსი გურამ ალექსიძე



1. საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის საგანმანათლებლო პროგრამების ფარგლებში მცენარეთა დაცვის მიმართულებით 2012 წელს მომზადებული აქვს ხუთი საგანი (სილაბუსები): „ენტომოლოგია”, „მცენარეთა ქიმიური დაცვა”, „მცენარეთა ბიოლოგიური დაცვა”, „მცენარეთა ბიოტექნოლოგია” და „მცენარეთა ინტეგრირებული დაცვა”. არჩეულია სტუ-ში სრულ პროფესორად (ნახევარ საშტატო ერთეულზე). საგნების სწავლება იწყება 2013 წლიდან.
2. გამოქვეყნებული აქვს 6 სამეცნიერო სტატია:

- 2.1. “Академик Николай Иванович Вавилов в Грузии”. III Вавиловская международная конференция, Санкт – Петербург, Россия, 2012. (თანაავტორობით).
- 2.2. “პეტიციურებით დანაგვიანებისაგან გარემოს დაცვის ძირითადი პრინციპები საქართველოში”. საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის „მოამბე“, თბილისი, 2012 წ, ტ.30.
- 2.3. „მზარებელი – მსხვერპლის“ სისტემის გამოკვლევა ფაზური სიბრტყის გამოყენებით”. საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის „მოამბე“, თბილისი, 2012 წ, ტ.31.
- 2.4. “ციტრუსოვანთა ფრთათეორა და მისი ბუნებრივი მტრის სერანგიუმის შესწავლის შედეგები აჭარის პირობებში”. საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის „მოამბე“, თბილისი, 2012 წ, ტ.31.
- 2.5. “მავნე ორგანიზმებისაგან ციტრუსების ინტეგრირებული დაცვა”. საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის „მოამბე“, თბილისი, 2012 წ, ტ.31.
- 2.6. “აკადემიკოსი ნიკოლოზ ვავილოვი საქართველოში”. საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის „მოამბე“, თბილისი, 2012 წ, ტ.31.
3. გამოქვეყნებულია ერთი ბროშურა: „როგორ მივიღოთ სიმინდის მარცვლის მაღალი და ხარისხიანი მოსავალი“. სახელმძღვანელო – სამახსოვრო ფერმერებისათვის. თბილისი, 2012 წ. ბროშურაში სიმინდის მავნებლები და დავადებები მომზადებულია აკად. გ. ალექსიძის მიერ.
4. აკად. გ. ალექსიძის ხელმძღვანელობით მომზადებულია ერთი სადოქტორო დისერტაცია თემაზე: „სამკურნალო მცენარეების მავნებლები და მათთან ბრძოლა“, რომლის დაცვაც ჩატარდება 2013 წელს საქართველოს აგრარულ უნივერსიტეტში.
5. მონაწილეობა მიიღო ორ საერთაშორისო კონფერენციაში, სადაც წაკითხული იქნა მოხსენებები: 1) ქალაქ ლილში (საფრანგეთი) ევროპის გენეტიკური რესურსების ბეტა ჯგუფის სხდომაზე, სადაც ევროპის 20-მდე

ქვეყნის, აგრეთვე იაპონიის და ამერიკის წარმომადგენლები მონაწილეობდნენ; 2) ქალაქ სანკტ – პეტერბურგში (რუსეთი), სადაც მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნიდან სელექციის, მეთესლეობის და გენეტიკური რესურსების 350–მდე სპეციალისტი მონაწილეობდა.

6. მონაწილეობდა როგორც ხელმძღვანელი შ. რუსთაველის სამეცნიერო ფონდის მიერ დაფინანსებულ გრანტის შესრულებაში. თემის დასახელებაა: „ბიოსისტემების მათემატიკური მოდელირება და მისი გამოყენება ციტრუსების ინტეგრირებულ დაცვაში“ (შესრულების ვადები 2012-2015).

7. როგორც ვიცე – პრეზიდენტი, აქტიურ მონაწილეობას იღებდა აკადემიის აკადემიური საბჭოს მუშაობაში.

8. არის არასამთავრობო ორგანიზაციის „ეკო – სანდოს“ თავმჯდომარე; შუა აზიისა და კავკასიის ქვეყნების სამეცნიერო ორგანიზაციების ასოციაციის „კაპაარის“ საქართველოს კოორდინატორი; აკადემიის უურნალის „მოამბის“ მთავარი რედაქტორის მოადგილე; საქართველოს მეცნიერებათა აკადემიასთან არსებული ეკოლოგიური კომისიის წევრი და სხვ.

4.1.12. აკადემიკოსი იუზა გასაძე



1. აკად. ი. გასაძის დასაქმების ადგილი: საქართველოს აგრარული უნივერსიტეტის მეცნიერების, მედიცინისა და მეცნიერების ინსტიტუტის ინტელექტუალური საკუთრების უზრუნველყოფისა და დაპროექტების განყოფილების გამგე (2012 წლის 1 აპრილამდე).

2. საქართველოს მეცნიერთა, მედვინეთა და მებადეთა სამეცნიერო-საწარმოო კავშირის პრეზიდენტი (არასამთავრობო ორგანიზაცია, საიდენტიფიკაციო კოდი 404918292 15.11.2011 წ.).

3. 2012 წელს გამოქვეყნებულია აქვს ერთი ბროშურა „ხეხილოვან კულტურათა წარმოებაში არსებული თანამედროვე მდგომარეობა და განვითარების პერსპექტივები“. ბროშურაში განხილულია ისეთი აქტუალური საკითხები როგორიცაა: მეხილეობაში არსებული თანამედროვე მდგომარეობა; ხეხილოვან კულტურათა განვითარების პროგრამის განხორციელების აქტუალობა; ხელისშემშლელი პირობები; ხეხილოვანი კულტურების მარკეტინგი; ხეხილოვანი კულტურების წარმოების საკანონმდებლო გზა; სამეცნიერო-კვლევითი და ინოვაციური პოლიტიკა; საერთაშორისო პროგრამები და საკრედიტო პოლიტიკა; დარგის მთავარი ამოცანები; გასატარებელი ღონისძიებები; მოსალოდნელი შედეგები.

ბროშურას თან ერთვის დანართი, რომელშიც მოცემულია ცხრილები, სადაც განხილულია ახალი მასალები მრავალწლიან და ხეხილოვან კულტურებთან დაკავშირებული ფართობების, ნარგავებისა და საერთოდ მათი წარმოების შესახებ.

4.მონაწილეობა კონფერენციებში:

- 4.1. მეხილეთა ზონალურ კონფერენცია (ლაგოდები-2012 წლის თებერვალი);
- 4.2. საქართველოს სოფლის მურნეობის სამინისტროსა და მებაღეობის, მეცნიერებისა და მეცნიერების სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის მეხილეობის სკრის საცდელი სადგურის 80 წლისთავისადმი მიძღვნილი საიუბილეო კონფერენციის ორგანიზაცია-ჩატარება (გორი – 2012 წლის დეკემბერი).
5. საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტროსა და საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიას შორის გაფორმებული ხელშეკრულების საფუძველზე, რომლის თანახმად, როგორც ჯგუფის ხელმძღვანელი, (წევრები სოფლის მეურნეობის მეცნიერებათ დოქტორები ნ. მირობაძე და გ. ბარბაქაძე) მონაწილეობდა კახეთისა და ქართლის რეგიონში სტიქის შედეგად დაზარალებული რაიონების შედეგების დასადგენად, შემუშავებულია მათი აღმოსაფხვრელი დონისძიებები.

რეკომენდაციები გადაეცა სამინისტროს შემდგომი რეაგირებისათვის (2012 წლის ოქტომბერი-ნოემბერი-დეკემბერი I დეკადა).

**აკად. ი. გასაძის ხედვა მეხილეობის დარგში არსებულ მდგომარეობასა და მისი
აღორძინებისათვის საჭირო გასატარებელ
დონისძიებებზე**

მეხილეობის დარგის განვითარება დაკავშირებულია არა მარტო ხეხილის იმ სარგავი მასალის ჯიშობრივ შემადგენლობასთან, რომელსაც აწარმოებდნენ სახელმწიფო სანერგეგები ამა თუ იმ მეხილეობის ზონის ან რაიონის აგროეკოლოგიური პირობების შესაბამისად (რაც დღეისათვის თითქმის მოშლილია), არამედ გაუმჯობესებული ახალი ჯიშებისა და ფორმების გამოყვანასთან, ხეხილის ბაღში ნიადაგის გარდაქმნა გაკულტურებასთან, მავნებელ-დაავადებებთან ბრძოლის მაღალ ტექნიკასთან და მექანიზაციის დონის ამაღლებასთან, რასაც დიდი მზრუნველობით მრავალი ათეული წლების განმავლობაში ხელმძღვანელობდა საქართველოს მებაღეობის, მეცნიერებისა და მედცინეობის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის მრავალრიცხვოვანი კოლექტივი, რომელიც თითქმის გაუქმებულია და რომლის აღდგენაც დღეისათვის გადაუდებელ ამოცანად უნდა ჩაითვალოს. ვგულისხმობთ ჯერ კიდევ შემორჩენილ მეცნიერთა თავმოყრასა და მათ დასაქმებას, რაც აუცილებლად შეუწყობს ხელს ამ დარგის აღდგენა-აღორძინებას.

არსებული ეკონომიკური და პოლიტიკური კრიზისის ფონზე მეცნიერული აზრიც განიცდის კრიზისს. ამდენად ბუნებრივია, რომ სოფლის მეურნეობის კომპლექსში, სხვა პრობლემებთან ერთად, საჭიროა მოხდეს ახალ მეთოდოლოგიაზე გადასვლა, რომელიც დამოკიდებული იქნება გადრმავებულ ანალიზებსა და გამოკვლევაზე.

ხეხილოვან კულტურათა განვითარების პროგრამის განხორციელების აქტუალობა. ხეხილოვანი კულტურები სხვა მრავალწლიან კულტურებთან შედარებით გამოირჩევა მნიშვნელოვანი უპირატესობებით:

- საქართველოს ნიადაგურ-კლიმატური პირობები შესაძლებლობას იძლევა უმეტეს რაონში წარმოებული იქნას მაღალი სასაქონლო თვისებების კონკურენტუნარიანი პროდუქცია.
- მეხილეობა მაღალრენტაბელური დარგია.
- ადგილობრივი ბაზარი ამ პროდუქციის ტრადიციული და ფართო მომხმარებელია.
- ფერმერები დაინტერესებული არიან გააშენონ ხეხილის ბაღები.
- ეს დარგი მნიშვნელოვანი საექსპორტო შემოსავლების მომტანი დარგია.
- იგი ხასიათდება უნარჩენო წარმოებით – გამოიყენება მისი როგორც ნაყოფი, ასევე მთლიანად მცენარე – მერქანი.
- ხეხილის ბაღის გაშენება, მოვლა და აგროტექნიკური ღონისძიებების ჩატარება სხვა კულტურებთან, კერძოდ ვაზთან, შედარებით ნაკლებ დანახარჯებს მოითხოვს.
- საქართველოში არსებობს ხელსაყრელი პირობები ეკოლოგიურად სუფთა (ორგანული) ხეხილის წარმოებისა, რაც დამატებითი შემოსავლის მიღების რესურსს წარმოადგენს.
- ახალი ტექნოლოგიების დანერგვის მაღალი პოტენციალი – ახალი მაღალმოსავლიანი ჯიშების ინტროდუქციითა და ბაღის მოვლის თანამედროვე მეთოდების დანერგვით რეალურია მკვეთრად გაიზარდოს მოსავლიანობა და შემცირდეს ბაღის გაშენების საინვესტიციო პერიოდი.
- საქართველოში არ არის ხეხილის საშიში საკარანტინო დაავადებები.
- ხეხილის წარმოების გაზრდა შემფუთავი, დამხარისხებელი და გადამამუშავებელი სიმბლავრეების აღდგენის კარგი წინაპირობაა.

ხეხილოვანი კულტურების მარკეტინგი. ხეხილოვანი კულტურების მარკეტინგი, სხვა ხილისაგან განსხვავებით, მთელი რიგი თავისებურებებით ხასიათდება, რომელთაგან განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ის ფაქტორი, რომ ისინი არიან მაღლუქებადი და მოითხოვენ განსაკუთრებული სახის სამაცივრო დანადგარებს, გამონაკლისის გარდა (კაკლოვნები).

ხეხილოვანი კულტურების მარკეტინგი მნიშვნელოვანია წარიმართოს შემდეგი კუთხით: ნაყოფების საერთაშორისო სტანდარტების მიხედვით დამუშავება, დახარისხება და სასაქონლო სახის მიცემა, საცდელი პარტიების გაგზავნის გზით ახალი ბაზრების მოძიება, სასურსათო სარეკლამო გამოფენების მოწყობა, თანამედროვე საინფორმაციო საშუალებების (ინტერნეტი, ვებ-გვერდი) გამოყენებით პოტენციური მყიდველის ინფორმირება-რეკლამირება და მარკეტინგული კოპერაციული ორგანიზაციების შექმნა.

ხეხილოვანი კულტურების წარმოების საკანონმდებლო ბაზა. მიმდინარე ეტაპზე ხეხილოვანი კულტურების წარმოების სპეციფიკური მიმართულებების რეგულირება, ძირითადად ექვემდებარება საქართველოს შემდეგ კანონებს: „სამყნობი, სათესლე და სარგავი მასალის წარმოების ლიცენზირების შესახებ“, „სასოფლო-სამეურნეო კულტურების ჯიშების გასავრცელებლად დაშვების, სარისხიანი თესლისა და სარგავი მასალის შესახებ“, „აესტიციდებისა და აგროქიმიკატების შესახებ“, „სელექციური მიღწევების დაცვის შესახებ“ და

„სასოფლო-სამეურნეო კულტურების, ჯიშების გასავრცელებლად დაშვების, ხარისხის თესლისა და სარგავი მასალის შესახებ“.

წარმოდგენილი კანონები გარკვეულწილად ახდენენ დარგის მნიშვნელოვანი საკითხების სამართლებრივ უზრუნველყოფას, თუმცა, დარჩენილია ზოგიერთი საკითხი, რომელთა მოქცევაც სამართლებრივ ჩარჩოში აუცილებელია. აღნიშნული, უპირველეს ყოვლისა, შეეხება ეკოლოგიურად სუფთა (ორგანული) პროდუქციის წარმოებასა და სერტიფიცირებასთან დაკავშირებული საკითხების რეგულირებას. აგრეთვე მეტად აქტუალურია სარგავი მასალის წარმოებისა და რეალიზაციის წესებთან დაკავშირებული საკითხების მოწესრიგება და ამ საკითხში საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტროს წამყვანი როლის განსაზღვრა.

გადაუდებელ ამოცანად მიგვაჩნია იმ კომისიის შექმნა, რომელიც სასწრაფოდ შეიმუშავებს და საქართველოს პარლამენტს წარუდგენს კანონ-პროექტს მეხილეობის განვითარების შესახებ, მით უმეტეს, რომ ამ მხრივ მებადეობის, მევენახეობისა და მეღვინეობის ინსტიტუტს საკმაო გამოცდილება აქვს და ჩატარებულია მოსამზადებელი სამუშაოები.

სამეცნიერო კვლევების ამჟამინდებლ ამოცანას წარმოადგენს: ხეხილოვან კულტურათა ახალი ჯიშების შესწავლა, საუკეთესოების გამორჩევა და დანერგვა; ბალის აგროტექნიკის პროგრესული მეთოდების შემუშავება; ხეხილოვან კულტურათა თანამედროვე ტექნოლოგიების შერჩევა-დანერგვა ადგილობრივი პირობების გათვალისწინებით; მცენარეთა ინტეგრირებული დაცვის ოპტიმალური სქემების შემუშავება; ხეხილოვან კულტურათა საჩვენებელი ბალების მოწყობა; ქართველ სელექციონერთა მიღწევების დაცვა და პროპაგანდა. განსაკუთრებული ძალისხმეული საჭირო ქართული უნიკალური გენოფონდის მოძიება-დაცვისა და შენარჩუნებისათვის.

სახელმწიფო დაფინანსების პირობებში იმის გათვალისწინებით, რომ საგრძნობლად იზრდება მომავალში დაფინანსება (1 მილიარდი ლარი), ჩამოთვლილი მიმართულებების განხორციელების რეალურ გზად საერთაშორისო ორგანიზაციებისა და დონორების დახმარებაც უნდა მივიჩნიოთ. მნიშვნელოვანია მოწინავე ტექნოლოგიების დაფინანსება საკონკურსო გრანტების სისტემითაც.

მიზანშეწონილია მკვეთრად გაიზარდოს მეხილეობის დარგის დახმარების საერთაშორისო პროგრამები და გაუმჯობესდეს ამ მიმართულებით ქვეყნის საკრედიტო პოლოგიკა.

საერთაშორისო პროგრამები და საკრედიტო პოლიტიკა. მეხილეობა და მათ შორის მათი კულტურების წარმოება, მიუხედავად მათი დიდი მნიშვნელობისა და პერსპექტივებისა, ნაკლებად არის მოქცეული საერთაშორისო ორგანიზაციებისა და დონორების აქტიური დახმარების სფეროში. ამის ძირითად მიზეზს, კვლავაც დარგის განმასხვავებელი ნიშანი – მრავალწლიანი საწარმოო ციკლი – წარმოადგენს. პოლიტიკური და ეკონომიკური არასტაბილურობის პირობებში, საერთაშორისო ორგანიზაციები, დონორები და ადგილობრივი საკრედიტო ინსტიტუტები თავს იკავებენ ისეთი პროექტების დაფინანსებაზე, რომელთა

შედეგები მხოლოდ 5-8 წლის შემდეგ იქნება მიღებული. მისაბაძია ერთი საკმაოდ კარგი მაგალითი, როდესაც კაკლოვანი კულტურის წარმოების განვითარების მიმართულებით მნიშვნელოვანი კონკრეტული საქმიანობები განახორციელა გაეროს სურსათისა და სოფლის მეურნეობის (FAO) კაკლისა და თხილის სანერგების რეაბილიტაციის ტექნიკური დახმარების პროექტში 2003-2004 წელს.

4.1.1.3. აკადემიკოსი ოთარ ზარდალიშვილი



მოღვაწეობს საქართველოს აგრარული უნივერსიტეტის აგროეკოლოგიის დეპარტამენტის პროფესორ-კონსულტანტად ხელშეკრულებით. კითხულობს ლექციების კურსს “აგროქიმიასა” და “აგროეკოლოგიაში”.

ლექციების თემატიკა აგროქიმიასა და აგროეკოლოგიაში მნიშვნელოვან წილად ეხება ისეთ საკითხებს, როგორიცაა ქიმიურ ნივთიერებათა და კერძოდ მინერალური სასუქების გამოყენების გავლენას პროდუქციის ხარისხზე და განსაკუთრებით

ნიადაგის ნაყოფიერების მაჩვენებელთა ცვალებადობაზე.

1. საანგარიშო პერიოდში კონსულტაციები გაუწია რამოდენიმე ფერმერს განოყიერების საკითხების სწორად შედგენაში და განხორციელებაში.
2. გამოქვეყნებული აქვს ერთი სამეცნიერო სტატია; სისტემურ კონსულტაციებს უტარებს, როგორც პედაგოგიურ პერსონალს, ისე სტუდენტობას.
3. არის საქართველოს აგრარული უნივერსიტეტის სადისერტაციო საბჭოს წევრი. ხელმძღვანელობს დეპარტამენტის ორ თანამშრომელს სადოქტორო დისერტაციის მომზადებაში.

4.1.1.4. აკადემიკოსი გოგოლა მარგელაშვილი



1. გამოქვეყნებული აქვს ერთი სამეცნიერო შრომა: „სოფლის მეურნეობა მეცნიერებაზე დამყარებული ინდუსტრია”; (თანაავტორობით). “გლობალიზაცია და ეკონომიკის მდგრადი განვითარების პერსპექტივები”, მე-4 საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციის მასალები. თსუ 2012. გვ. 117-126.

შრომაში განხილულია საქართველოში ნიადაგის დაცვისა და ნაყოფიერების შენარჩუნება-ამაღლებასთან დაკავშირებული პრობლემები და

მითითებულია, რომ აღნიშნული პრობლემების გადაწყვეტა მისი მეცნიერული უზრუნველოფის გარეშე შეუძლებელია.

2. გამოქვეყნებული აქვს წერილი: „სოფლის მეურნეობა მეცნიერებაზე დამყარებული ინდუსტრიაა – ასე ფიქრობენ ეკონომიკის, საქართველოში? “გაზეთ „რეზონანსში”, 2 თებერვალი, 2012 წ.

წერილში საუბარია აწ გაუქმებული მ. 6. საბაშვილის ნიადაგმცოდნეობის, აგროქიმიის და მელიორაციის ინსტიტუტის აღდგენის აუცილებლობაზე, რომელსაც სამეცნიერო ხელმძღვანელობას და კოორდინაციას გაუწევს საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემია.

3. არის სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის აგრონომიული საკოორდინაციო-დარგობრივი სამეცნიერო განყოფილების აკადემიკოს-მდივანი.

— განყოფილებაში ჩატარებულია ექვსი სხდომა. განყოფილების სხდომებზე სოფლის მეურნეობის სხვადასხვა აქტუალურ საკითხებზე მოსმენილი იყო განყოფილების აკადემიკოსების და წევრ-კორესპონდენტების 7 მოხსენება. აკად. გ. მარგველაშვილის მიერ გაკეთებული იყო 2 მოხსენება: 1. „საქართველოს ნიადაგების არსებული მდგომარეობა და მათი ნაყოფიერების აღდგენა-გაუმჯობესების გზები” და 2. აგრონომიული საკოორდინაციო-დარგობრივი სამეცნიერო განყოფილების მიერ 2011 წელს ჩატარებული მუშაობის შესახებ; მოსმენილი იქნა განყოფილების წევრების ანგარიშები 2011 წელს ჩატარებული სამეცნიერო-კვლევითი და საზოგადოებრივი საქმიანობის შესახებ. განხილულია და დამტკიცებულია განყოფილების 2013 წლის სამუშაო გეგმა და აკადემიური საბჭოს სხდომაზე გასატანი საკითხები.

4. არის აკადემიური საბჭოს წევრი და მონაწილეობს მის საქმიანობაში. საბჭოს სხდომაში მოიხმინა მოხსენება აგრონომიული საკოორდინაციო-დარგობრივი სამეცნიერო განყოფილების მიერ 2011 წელს ჩატარებული მუშაობის შესახებ.

5. არის საქართველოს სოფლის-მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის „ურნალ..მოამბის“ რედკოლეგის წევრი და აქტიურად მონაწილეობს მის მუშაობაში.

აკად. გ. მარგველაშვილის რეკომენდაციები სოფლის მეურნეობის შემდგომი განვითარების შესახებ:

1. ფოსფორიანი სასუქების გამოყენება მარცვლეულ კულტურებში (საშ. ხორბალი, სიმინდი) ბაზალეთის ზეგანის ყავისფერ კარბონატულ ნიადაგებზე
2. ფოსფორიანი სასუქების გამოყენება ბოსტნეულ კულტურებში (კომბოსტო, პამიდორი) შიდა ქართლის მდელოს ყავისფერ ნიადაგებზე
3. ფოსფორიანი სასუქების რაციონალური გამოყენება კარტოფილში სამხრეთ საქართველოს ყავისფერ-კარბონატულ ნიადაგებზე.
4. ფოსფორიანი სასუქების რაციონალური გამოყენება საშემოდგომო ხორბალში შირაქის შავმიწა ნიადაგებზე.
5. ფოსფორიანი სასუქების ოპტიმალური დოზები შაქრის ჭარხლისა და სიმინდისათვის ფოსფორით სხვადასხვა ხარისხით უზრუნველყოფილ შიდა ქართლის მდელოს ყავისფერ ნიადაგებზე.

6. ფოსფორ-კალიუმიანი სასუქების პერიოდული შეტანა მარცვლეულ კულტურებში შირაქის შაგმიწა ნიადაგებზე.
7. ფოსფორიანი სასუქების რაციონალური გამოყენება საშემოდგომო ხორბალში სამხრეთ საქართველოს ყავისფერ-კარბონატულ ნიადაგებზე.
8. რთული სასუქების გამოყენება მარცვლეულ და ბოსტნეულ კულტურებში.
9. საშემოდგომო ქერისა და სიმინდის აზოტით კვების ოპტიმიზაცია შაგმიწა ნიადაგებზე.
10. ახალი კონცენტრირებული ფოსფორიანი სასუქის – სუპერფოსის რაციონალურად გამოყენება საადრეო კარტოფილისთვის ქვემო ქართლის ვაკის ღია ყავისფერ ნიადაგებზე.
11. ნიადაგის დამუშავების სისტემა სიმინდის კულტურისათვის კოლხეთის დაბლობის პირობებში.
12. სიმინდის განოყიერება კოლხეთის დაბლობის პირობებში.
13. დახურული მატერიალური დრენაჟისა და ოვალურად პროფილირებული ზოლების „პვლების“ შეთანაწყობა.
14. მელიორირებული მიწების სასოფლო-სამეურნეო ათვისების კულტურტექნიკური დონისძიებები.
15. მელიორირებული ნიადაგების ნაყოფიერების ამაღლება ორგანული და მწვანე სასუქების გამოყენებით.
16. ახალი კულტურის – კივის გაშენება და მოვლა.

4.1.15. აკადემიკოსი პეტრე ნასყიდაშვილი



გამოქვეყნებული სტატიები და თეზისები:

- 1.“საქართველოს რბილი ხორბლის ჯიშების ენდემურ და სხვა სახეობებთან შეჯვარებადობა, პირველი თაობის ჰიბრიდების სიცოცხლის უნარიანობა და ნიშან-თვისებათა მემკვიდრეობა” (თანაავტორობით). საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის ჟურნალი “მოამბე”, თბილისი, გ. 30, გვ.130-135.

სტატიაში ნაჩვენებია, რომ საქართველოს რბილი ხორბლის აბორიგენული ჯიშ-პოპულაციების და სელექციური ჯიშების საქართველოს ხორბლის ენდემურ და სხვა სახეობებთან შეჯვარება არ საჭიროებს რაიმე სხვა

დამატებით დონისძიებების ჩატარებას. მიიღება სიცოცხლის უნარიანი ჰიბრიდული მარცვლები.

2. “საქართველოს ხორბლის ჯიშების ენდემურ და სხვა სახეობებთან შეჯვარებით მიღებულ მეორე თაობის ჰიბრიდებში ნიშან-თვისებათა მემკვიდრეობის თავისებურებანი” (თანაავტორობით). საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის ჟურნალი “მოამბე”, თბილისი, გ. 30, გვ. 136-141.

დადგენილი იქნა, რომ საქართველოს რბილი ხორბლის სახეობათშორის ჰიბრიდიზაციით მიღებულ მეორე თაობაში, მიმდინარეობს დათიშვა და ადგილი აქვს ფართე ფორმათაწარმოქმნის პროცესს, სადაც მშობლიური ფორმების მსგავსი და მათ შორის გარდამავალ ფორმათა რაოდენობა, წარმოდგენილია დაახლოებით 1:1 შეფარდებით, ე.ი. მეორე თაობის ჰიბრიდულ პოპულაციაში, მშობლიური ფორმები, მათი მსგავსი და გარდამავალი მცენარეები თითქმის თანაბარია.

3. “საქართველოს რბილი ხორბლის ჯიშების მაგარ ხორბალთან შეჯვარებით მიღებულ პიბრიდების მეორე და შემდგომ თაობებში ფორმათა წარმოქმნის პროცესი და საინტერესო ფორმათა გამორჩევა” (თანაავტორობით), საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის ჟურნალი “მოამბე”, თბილისი, გ. 30, გვ.142-149.

დაგენილი იქნა, რომ რბილი და მაგარი ხორბლის შეჯვარებით მიღებულ მეორე თაობაში, ადგილი აქვს ფორმათაწარმოქმნის ფართე პროცესს. მეორე თაობაში გამოთიშული მშობლიური ტიპის მცენარეები შემდგომ თაობაში არ ითიშებიან, ხოლო მშობლიური ფორმების მსგავსი, მათ შორის გარდამავალი და შუალედური ტიპის ფორმები, შემდგომ მესამე თაობაში განიცდიან დათიშვას, მეორე თაობის მსგავსი კანონზომიერებით. გარდამავალი და შუალედური ფორმების დათიშვა წყდება მეოთხე თაობაში.

4. “მარცვლეული კულტურების პროდუქტიულობის კომპონენტების და მათი ფაზების განვითარების თავისებურებანი და კლასიფიკაცია – მეორე პრონციპი” (თანაავტორობით), საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის ჟურნალი “მოამბე”, თბილისი, გვ. 150-155.

ნაჩვენებია, რომ თავთავიან კულტურებში, პროდუქტიულობის გამაპირობებელი ძირითადი კომპონენტების განვითარების რეგულირებით შესაძლებელია, მიღებული იქნეს მარცვლის მაღალი და ხარისხიანი მოსავალი; ამასთანავე ერთად, ნაჩვენებია მცენარეთა განვითარების ფაზების კლასიფიკაციის შკალები.

5. “საქართველოს ხორბლის გენეტიკა და სელექცია” (თანაავტორობით), საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის ჟურნალი “მოამბე”, თბილისი, გვ. 163-167.

ნაჩვენებია, რომ მსოფლიოს სხვა ქვეყნებს შორის, საქართველო გამოირჩევა, ხორბლის მრავალფეროვნებით და ენდემიზმის მაღალი დონით. გარდა ამისა, ნაჩვენებია, რომ მათ გენოტიპია, ისეთი გენები, რომლებიც განაპირობებენ დაავადებებისადმი-მავნებლებისადმი გამძლეობას და მარცვლის მაღალ ხარისხს, რის გამოც საქართველო აღიარებულია იმუნური და მარცვლის მაღალი ხარისხის ხორბლის სამშობლოდ.

6. “საქართველოს ხორბლის ენდემური სახეობების აბორიგენულ ჯიშებთან შეჯვარებადობა და ნიშან-თვისებები F_1 -ში”- ინგლისურ ენაზე (თანაავტორობით), საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის ჟურნალი “მოამბე”, თბილისი, გვ. 137-142.

ნაშრომში ნაჩვენებია, რომ საქართველოს ხორბლის ენდემურმა სახეობებმა უდიდესი როლი შეასრულეს ხორბლის გვარის ეკოლუციაში და მსოფლიო სელექციაში. მათ საფუძველზე მიღებულია ახალი სახეობები, გვარები, კულტურები და ჯიშები. მათ გენოტიპია ისეთი გენები, რომლებიც განაპირობებენ ეკოლოგიურად უსაფრთხო პროდუქციის, მაღალ და მყარ მოსავლიან, მაღალხარისხოვან, მაღალი ადაპტაციის უნარის მქონე ჯიშების მიღებას.

7. “რბილი ხორბლის (T. aestivum L.) ინდუცირებული მუტაცენებით მიღებული მოკლედეროიანი ახალი ბოტანიკური და გენეტიკური ფორმა “გორდა”; -ინგლისურ ენაზე (თანაავტორობით), საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის ჟურნალი მოამბე, გვ. 6, №2, თბილისი, 2012 წ., გვ.134-137.

ნაშრომში ნაჩვენებია, რომ საქართველოში გასავრცელებლად დაშვებულ ფრანგული სელექციის რბილი ხორბლის ჯიშ დუკატის თესლზე ქიმიური მუტაცენის NMS 0,01%-იანი ხსნარის ზემოქმედებით მიღებული იქნა მოკლედეროიანი სუპერჯუჯა სრულიად ახალი გენეტიკური ფორმა “გორდა”-ას სახელწოდებით. “გორდა” არის სრულიად ახალი მემკვიდრეობის მქონე სასელექციო საწყისი მასალა, 2-3 გენიანი მოკლედეროიანი ჯიშების გამოსაყვანად.

8. “მეცნიერებათა კორიფე და დიდი პედაგოგი – ლეონარდე ლეონარდეს ძე დეკაპრელევიჩი” (თანაავტორობით), გაზეთი “საქართველოს რესპუბლიკა” №133 (7009), 13 ივლისი, 2012 წ., გვ.7.

ნაჩვენებია, აგრონომიულ და ბიოლოგიურ მეცნიერებათა კორიფეს, უმაღლესი სასოფლო-სამეურნეო განათლების ერთ-ერთ ფუძემდებელს, საქართველოში მცენარეთა სელექციური და გენეტიკური სკოლის ფუძემდებელს, საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის წევრ-კორესპონდენს, საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსს ლეონარდე ლეონარდეს ძე დეკაპრელევიჩის მოღვაწეობა და და მეცნიერული შემოქმედება.

9. “აკადემიკოსი ნ.ი. ვავილოვი საქართველოში” - რუსულ ენაზე (თანაავტორობით); ვავილოვის მესამე საერთაშორისო კონფერენციის მოხსენებათა თეზისები, სანკტ-პეტერბურგი, 6-9 ნოემბერი, 2012 წ., გვ.8.

ნაჩვენებია, რომ მსოფლიო დონის გენეტიკოსი, სელექციონერი, ბოტანიკოსი, სისტემატიკოსი, იმუნოლოგი, ევოლუციონისტი, მემცენარე, აგრონომი, ექსპერიმენტატორი მკვლევარი, ეთნოგრაფი, გეოგრაფი, ისტორიკოსი, მოგზაური, პუბლიცისტი, ინტროდუქტორი, ინტერნაციონალისტი და ამ მეცნიერებათა კორიფე, აკადემიკოსი ნ.ი. ვავილოვი უცხოელი პირველი მეცნიერი იყო, რომელმაც მთელი საქართველო შემოიარა, გამოავლინა მისი მდიდარი გენეტიკური ფონდი და მათი მცნიერული და სამეცნიერო დირსება მსოფლიო სარბიელზე გაიტანა და წარმოაჩინა.

4. მონოგრაფიები და სახელმძღვანელოები:

1. რაჭის მინდვრის კულტურების გენეტიკური, სელექციური და სამეცნიერო დირექტორის – რაჭა-წარსული, აწმუნ და მომავალი, საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის გამომცემლობა, თბილისი, 2012 წ., გვ. 196-228.

ნაჩვენებია, რომ რაჭა, ლეჩხუმთან ერთად, არის ხორბლის ენდემური უნიკალური კულტურული სახეობების წარმოშობის სამშობლო. გარდა ამისა, ნაჩვენებია რაჭის მინდვრის სხვა კულტურების სახეობრივი, სახესხვაობრივი და ჯიშობრივი შედგენილობა.

2. მცხეთა-მთიანეთის მხარის მინდვრის კულტურების გენეტიკური, სელექციური და სამეცნიერო მნიშვნელობა (თანაავტორობით), წიგნში – მცხეთა-მთიანეთის ტერიტორიის სოციალურ-ეკონომიკური და დემოგრაფიული განვითარების პრობლემები, საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის გამომცემლობა, თბილისი, 2012 წ., გვ. 88-119.

ნაჩვენებია, რომ მცხეთა-მთიანეთის მხარე არის, საგაზაფხულო ხორბლის ენდემური უფრო მეტად “კოსმოპოლიტური”, დააგადებებისადმი გამძლე და მაღლხარისხოვანი სახეობის დიკას წარმოშობის სამშობლო. გარდა ამ სახეობისა, მცხეთა-მთიანეთის რეგიონი ხასიათდება რბილი ხორბლის აბორიგენული ჯიშ-პოპულაციების სიმრავლით. ამავე დროს გამოთქმულია შეშფოთება იმის თაობაზე, რომ გადაშენების პირას არის მისული ამ მხარის ძვირფასი გენეტიკური ფონდი.

3. სელექციისა და თესლომცოდნების საფუძვლები (თანაავტორობით), გამომცემლობა “უნივერსალი”, თბილისი, 2012 წ. 228 გვ.

ნაჩვენებია, სელექციის განვითარების ისტორია გაუთვითცნობიერებული სელექციიდან გათვითცნობიერებული სელექციის ჩათვლით. განსაკუთრებული ყურადღებაა გამახვილებულია სელექციური მეცნიერების განვითარებაზე

საქართველოში, მახლობელი და შორეული საზღვარგარეთის ქვეყნებში. გარდა ამისა განხილულია თესლმცოდნეობის საფუძვლები.

4. სამახსოვრო ფერმერებისათვის და მიწათმოსარგებლეთათვის, ვისაც სურს მიიღოს პიბრიდული სიმინდის მაღალი და ხარისხიანი მოსავალი. (თანავტორობით), გამომცემლობა “უნივერსალი”, თბილისი, 2012 წ. 63 გვ.

ნაჩვენებია, რომ პიბრიდული სიმინდი რენტაბელური კულტურაა. ამიტომ, ამ ახალი კულტურის მაღალი და ხარისხიანი მოსავლის მისაღებად საჭიროა: დასათესი ფართობის სწორი შერჩევა და აგროდონისძიებების დროული და მაღალხარისხოვანი შესრულება.

5. კონფერენციებში მონაწილეობა:

1. მონაწილეობა “ელგანას” მიერ, ქ. თბილისში მოწყობილი სამცხე-ჯავახეთის გზამკვლევის პრეზენტაცია, 2012 წლის 26 აპრილი.

2. მონაწილეობა საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის მთიანეთის პრობლემათა კომპლექსური შესწავლის კომისიის მიერ მოწყობილ წიგნის – “რაჭა წარსული, აწმყო და მომავალი” პრეზენტაციასა და სამეცნიერო-პრაქტიკულ კონფერენციაზე: რაჭის დღევანდელობა, პრობლემები და მოგვარების გზები; 2012 წ. 30 მაისი.

3. მონაწილეობა ფირმა ლომთაგორაში და საქართველოს აგრარულ უნივერსიტეტში მოწყობილ “ხორბლის სელექციის საერთაშორისო სემინარში”; 2012 წლის 24-25 მაისი.

4. მონაწილეობა ქ. სანქტ-პეტერბურგში ვავილოვის მესამე საერთაშორისო კონფერენციაში; 2012 წლის 6-9 ნოემბერი.

5. მონაწილეობა ქ. გორში სუხიშვილის უნივერსიტეტში, საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის და მებადეობის, მევებახეობის და მედვინეობის სამეცნიერო-კვლევითი ონსტიტუტის მიერ მოწყობილ – “სკრის საცდელ სადგურში მეხილეობის სამეცნიერო მუშაობის 122 წ. და საცდელი სადგურის 80 წლის კვლევითი მუშაობის შესახებ”, კონფერენციაში, 2012 წლის 12 დეკემბერი.

6. მონაწილეობა ქ. გორში სუხიშვილის უნივერსიტეტის მიერ მოწყობილ საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციაში. 2012 წლის 14 დეკემბერი.

7. სხვა მნიშვნელოვანი სახის სამუშაოები:

1. მონაწილეობს ხორბლის და სიმინდის წარმოების პროგრამის შემუშავებაში.

2. მონაწილეობს ხორბლის და სიმინდის ნათესების მონიტორინგში და საცნობარო მასალის შემუშავებაში.

4.1.1.6. აკადემიკოსი გლადიომერ ქევხიშვილი



საანგარიშო პერიოდის განმავლობაში აკად. გ. ქევხიშვილი მუშაობდა წინა წლებში დაწყებული და ჯერ კიდევ დაუმთავრებელი საკითხების სრულყოფაზე, სტატიებზე, რეკომენდაციებზე და დასკვნების ფორმირებაზე, მათ შორის:

1. საქართველოს რესპუბლიკის პურით უზრუნველყოფის პრობლემისათვის;
 2. პური ქვეყნის ეროვნული ვალუტა;
 3. მიწათმოქმედება-ქვეყნის დამოუკიდებლობისა და სუვერენიტეტის პირობა;
 4. ანეულების შესახებ აღმოსავლეთ საქართველოს მიწათმოქმედებაში;
 5. კულტურათა მოვლა-მოყვანის ინტენსიური ტექნოლოგია-მოსავლის გადიდების სამსახურში;
 6. მარცვლეულის მეურნეობის არსებული მდგომარეობა და მისი განვითარების პერსპექტივები საქართველოს რესპუბლიკის კახეთის რეგიონში.
- მათზე მუშაობა ჯერ კიდევ გრძელდება.

აკად. გ. ქევხიშვილის ხედვა საქართველოს სოფლის მეურნეობის დღეგანელ პრობლემატურ საკითხებზე.

იმის გამო, რომ რადიკალურად არის შეცვლილი რესპუბლიკის მიწათმოქმედების და საერთოდ სოფლის მეურნეობის არსებული მდგომარეობა, აგრარულ მეცნიერებას სრულიად გამოეცალა ხელიდან მიწა და მიწათმოქმედება, როგორც დარგის მეცნიერული განვითარების გარანტი, რამაც განაპირობა სოფლის მეურნეობის დარგის საჭირო მეცნიერული დონით უზრუნველყოფა.

როგორც ცნობილია, როცა ეს ერთგვარი განვითარების პროცესი იწყებოდა, სერიოზული პრეტენზიები აგორდა სოფლის მეურნეობის სამეცნიერო წრეებში. მაგრამ გაუაზრებელი მდგომარეობა კვლავ გაგრძელდა და აგრარული დარგი საზოგადოებისათვის გერის მდგომარეობაში მოექცა. ყველაფერი, რითაც ფუნქციონირებდა სოფლის მეურნეობა დაუფიქრებლად გაიყიდა. განსაკუთრებით დასაფიქრებელია ახალგაზრდა მეცნიერული კადრების მომზადების შეწყვეტა (ასპირანტურის ფუნქციონირების შეჩერება) და ამ მდგომარეობისადმი არასერიოზული დამოკიდებულება. ამას უპირველეს ყოვლისა, აპირობებდა რესპუბლიკის აგრარული ნაწილის მთა-გორიანი ხასიათი და მაშასადამე ნიადაგურ-კლიმატური პირობების სიჭრელე, რაც სოფლის მეურნეობისათვის თავისებურ-დიფერენციებულ მიდგომას მოითხოვდა.

ეს თავისებური მიდგომა კი გასაგებია, რომ მატერიალურ-ტექნიკური დანახარჯების გადიდებასთან არის დაკავშირებული. მართალია დღეისათვის ლაპარაკია სოფლის მეურნეობის დაფინანსების გადიდებაზე, მაგრამ საქმე მარტო

დარგში დაბანდებული ფინანსების გადიდებაში კი არა, იმაშია, რომ რას და როგორი პასუხისმგებლობით და კვალიფიკაციით მოიხმარება იგი.

წინა წლების ანგარიშებშიც ვწერდით და ახლაც გვინდა გავიმეოროთ, რომ დღეისათვის საგრძნობლად შემცირებულია დამუშავებული მიწების ფართობები ეს იმით არის გამოწვეული, რომ მიწის პატრონს ძირი უჯდება ტექნოლოგით საჭირო ღონისძიებათა პრაქტიკული შესრულება, როცა გაწეული დანახარჯები, ან საერთოდ ვერ ნაზღაურდება მოსავლით, ან ეს ანაზღაურება ვერ იწვევს მიწის დამმუშავებლის სერიოზულ დაინტერესებას. ამ საკითხის ჯეროვნად შესწავლისა და შემოსავლის გაზრდის გარეშე, მიწის პატრონის ინტერესი არ იზრდება (არ იგრძნობა).

რაც არ უნდა შეურაცმყოფელი იყოს, ჩვენთვის ასეთი მიღგომა, დღეს საქართველოში არავინ არ იცის, გარდა სუპერჩინოვნიკებისა, თუ რითი ვიკვებებით. არ ვიცით, რადგან პროდუქტების ხარისხსა და უვნებლობას არავინ აკონტროლებს და არც მონიტორინგია დაწესებული მათზე. შეიძლება ითქვას, რომ ამაზე პასუხისმგებლობა არავის აქვს დაკისრებული. გამდიდრების მოყვარულებსა და ფალსიფიკატორებს რა დალევს მსოფლიოში. სანეტარო პერიოდი უდგათ მათ. საქმიანობები ყველა თავისი მადითა და სინდისის მიხედვით. დაბალხარისხოვანს ან საერთოდ უხარისხოს დარიბებს (გადახდის უუნარობით, ე.ი. ჩვენც) სთავაზობენ, კარგს და მაღალხარისხოვანს მდიდრებს, ფულიანებს. ყველა ამის შედეგი კი მაშინ კლინდება და მაშინ გვაცნობს თავს, როცა ყოველგვარი ზომის მიღება დაგვიანებულია და შედეგს არ იღებს. მით უფრო მაშინ, როცა პროდუქტების კარცეროგენურობა უცბად კი არა, აუზქარებლად, დინჯად აკეთებს თავის ბოროტ საქმეს. ხშირად სხვას უნდა ვეხვეწოთ, რომ როგორმე მოგვიდოს რანაირიც გინდა პური და იმავე დროს ჩვენი სავარგულების ნაყოფიერებას ანადგურებდეს მავნე ბუნებრივი პირობები (პროცესები). ადრეულად ნადგურდებოდეს მრავალი ახალგაზრდა ადამიანთა არსებობა. თითქოს დახმარებას ეწევა 300-თა კომიტეტის შეთქმულებას.

მოკლედ-გარემოება თხოულობს, საქართველოში იწარმოებოდეს იმდენი და იმდენგვარი, ისეთი ხარისხის და იმდენი პროდუქტი (პირველ რიგში პური), რამდენის შესაძლებლობაც ექნება ქვეყანას.

4.1.1.7. აკადემიკოსი რევაზ ჩაგელიშვილი



1.2011-2012 წლებში სატყეო ინსტიტუტის ტყის აღდგენისა და სატყეო მელიორაციის განყოფილებაში მუშავდებოდა საბიუჯეტო ოქმა – “მდინარე გუჯარეთის წყლის აუზის მცენარეული საფარის წყალმარეგულირებელი” და ნიადაგდაცვითი ფუნქციების შესწავლა”...

საკითხის შესწავლა დაგეგმილი იყო ორ ეტაპად. პირველი ეტაპი “მდ. გუჯარეთის წყლის აუზის მცენარეული საფარის წყალმარეგულირებელი” და ნიადაგდაცვითი ფუნქციების შესწავლა ნაძვისა და სოჭის სარტყელში”; ხელმძღვანელი აკად. რ.

ჩაგელიშვილი

მეორე ეტაპის სამუშაოები დარჩა შეუსწავლელი ზემდგომი ორგანიზაციიდან (აიპ (აკიპ) “საქართველოს აგრარული უნივერსიტეტი”) დაუფინანსებლობის გამო. ამჟამად ტყის აღდგენისა და სატყეო მელიორაციის განყოფილება ლიკვიდირებულია, ხოლო კადრები დათხოვილი.

7. გამოქვეყნებული სტატიები:

ა. “დაცვითი ფუნქციების ცვალებადობა წყალშემკრებ აუზებში ტყიანობისა და ფონური დატენიანების შუქზე”. ავტორი რ. ჩაგელიშვილი, თანაავტორები ლ. დოლიძე და ვ. პაპუნიძე. შრომათა კრებული – “დედამიწა – გლობალური ბუნებრივი კატაკლიზმები და ტყეები”. საერთაშორისო კონფერენციის მასალები (2012 წლის 20-22 აპრილი). ბათუმი – 2012. გვ. 100-106.

ბ. “აჭარის ჭრაგავლილ წიფლნარებში ტყის მკვდარი საფარის მარაგი და ტენტევადობა”. ავტორები რ. ჩაგელიშვილი, ლ. დოლიძე, ნ. ფარურაშვილი. საერთაშორისო კონფერენციის მასალები - “დედამიწა – გლობალური ბუნებრივი კატაკლიზმები და ტყეები”. ბათუმი – 2012. გვ. 170-180.

8. 2012 წლის 20-22 აპრილს, საქართველოში, აჭარის ა/რ-ა ქ. ქობულეთი, გაიმართა საერთაშორისო – პრაქტიკული კონფერენცია “დედამიწა – გლობალური ბუნებრივი კატაკლიზმები და ტყეები”. დედამიწის დაცვის დღესთან დაკავშირებით.

აკად. რ. ჩაგელიშვილის მოხსენების თემა პლენარულ კონფერენციაზე იყო – “საქართველო თურქეთის ტრანსსასაზღვრო ტყეების დაცვითი ფუნქციების ცვალებადობა წყალშემკრებ აუზებში რეგიონთა ფონური დატენიანების შუქზე”.

9. მომზადდა და საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის აკადემიურ საბჭოს სხდომაზე წაკითხული იქნა მოხსენება – “საქართველოს ტყეების თანამედროვე მდგომარეობა და პროგრამები”.

სისტემატიურად მონაწილეობს გარემოს დაცვისა და მწვანეობა მოძრაობის ეგიდით გამართულ კოლოქვიუმებში.

10. არის ურნალ “საქართველოს მეტყველების” რედაქტორი და ამ ურნალის სარედაქციო კოლეგიის წევრი და სხვა.

აკად. რ. ჩაგელიშვილის მცდელობა, გარდამავალ პერიოდში, შეენარჩუნებინა მაღალი კვალიფიკაციის კადრები (სულ 12 მეცნიერებათა დოქტორი და 2 მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი) და საერთო სამეცნიერო პოტენციალი აკად. ვ. გულისაშვილის სატყეო ინსტიტუტში – უშედეგო აღმოჩნდა. უფრო მეტიც, გასხვისებული იქნა ინსტიტუტის შენობა; ინვენტარი, სამეცნიერო აპარატურა და სხვა რამდენჯერმე დაეჭვემდებარა ადგილმონაცვლეობას სხვადასხვა ობიექტზე. სადღეისოდ, მრავალჯერადი შემცირების შემდეგ, ინსტიტუტს შემორჩენილი კადრები (სულ 9 ერთგული, მ.შ. ორი მეტყველე საეციალისტი) გადასულია საქართველოს აგრარული უნივერსიტეტის სტრუქტურებში.

აკად. რ. ჩაგელიშვილის

რეკომენდაციები სატყეო სექტორის მართვასთან დაკავშირებით:

1. უკანასკნელი წლების განმავლობაში ქვეყნის ეკონომიკის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი დარგის – სატყეო მეურნეობის განვითარების პროცესში საგანგებო სიტუაცია შეიქმნა. სატყეო მეურნეობამ დაკარგა თავისი ძირითადი ტრადიციული ფუნქციები, მას შეზღუდული აქვს თუნდაც მერქნით სარგებლობასთან დაკავშირებული ქმედებების განხორციელება. სატყეო მეურნეობაში ე.წ. სარეინჯეროებში სათანადო ყურადღება არ ექცევა ტყის მოვლა დაცვას, აღდგენუა-განახლებას, ტყეთსარგებლობას, ტყეთმოწყობას და სხვ. ამ სიტუაციიდან ერთადერთ სწორ და გადაუდებელ ღონისძიებად მიგვაჩნია ძირეულად გარდაიქმნას სატყეო მეურნეობის მართვის თანამედროვე სტრუქტურა.
2. უნდა შეიქმნას ტყეების მართვის დამოუკიდებელი, ყველა სამეურნეო ფუნქციით აღჭურვილი ორგანო რომელმაც უნდა უზრუნველყოს ტყეებში რაციონალური მეურნეობის წარმოება.
3. შემუშავებული უნდა იქნეს სატყეო მეურნეობის მდგრადი განვითარების და მათი მართვის კონცეფცია, სადაც გათვალისწინებული იქნება ყველა აუცილებელი სატყეო-სამეურნეო ღონისძიების გატარება (ტყითსარგებლობა, ტყის აღდგენა-განახლება, ტყის დაცვა და სხვ.);
4. სატყეო მეურნეობას უნდა აღუდგეს სამეურნეო ფუნქცია.
5. სატყეო მეურნეობა საინვენტარიზაციო სამუშაოებს უნდა ატარებდეს ყოველწლიურად მკაცრად ტყეთმოწყობის მასალებზე დაყრდნობით.
6. საჭიროა გაიზარდოს ხე-ტყის საიჯარო დირექტულება, რომლის ორი მესამედი უნდა დარჩეს ადგილობრივ ბიუჯეტში, რაც გამოიწვევს ადგილობრივი თვითმართველობის დაინეტერესებას. აუცილებელია ძირითადი პასუხისმგებლობა უნებართვო ჭრებზე, სატყეო მეურნეობის ხელმძღვანელობასთან ერთად დაეკისროს ადგილობრივი თვითმართველობის ორგანოებს.
7. სამასალე ხე-ტყის სარეალიზაციო ფასი უნდა შეესაბამებოდეს საერთაშორისო საბაზო ფასებს. რეალიზაციის შედეგად შემოსული

- თანხის 80% უნდა დარჩეს სატყეო მეურნეობის ანგარიშზე, რაც უნდა მოხმარდეს ტყის დაცვა-აღდგენის სამუშაოებს.
8. უნდა შეიცვალოს საკანონმდებლო ბაზა და შემუშავდეს ახალი ტყის კოდექსი, რომელიც ორიენტირებული იქნება ძირითადად ტყის დაცვა-აღდგენაზე.
 9. კატეგორიულად უნდა აიკრძალოს ტყის ფონდის მიწების გაცემა კერძო სამოსახლო და სააგარაკო დანიშნულებისათვის, რაც თავიდან აგვაცილებს ტყის ფონდის მიწების განიავებას.
 10. საქართველოს მთის ტყეებს ქვეყნის ტერიტორიის თითქმის 40% უკავია, საერთო ფართობით 3 მლნ. ჰექტარი. ეს ტყეები საერთო აღიარებით არის ეკოლოგიური დანიშნულების, მათ მიერ შესრულებული ეკოლოგიური და სოციალური ფუნქციები გაცილებით ძვირად ფასობს, ვიდრე მერქნით სარგებლობა ფულად ერთეულში გამოსახული.
 11. მეურნეობის გაძლიერების ფორმად მიზანშეწონილია განისაზღვროს მეცნიერულად დასაბუთებული და პრაქტიკით დადასტურებული ტყის ჭრის ნებით ამორჩევითი ფორმა, როდესაც იჭრება შემატება და გარანტირებული ტყით უწყვეტი სარგებლობა
 12. ტყე სტრატეგიული ობიექტია და უნდა დარჩეს სახელმწიფო საკუთრებაში, უნდა კატეგორიულად აიკრძალოს მრავალწლიან იჯარაში მისი გაცემა.

4.1.1.8. აკადემიკოსი ზაური ჩანქელიანი



1. 2012 წელს აკად. ზ. ჩანქელიანის ხელმძღვანელობით მიმდინარეობდა დიდი დიდმის საუნივერსიტეტო ქალაქისათვის გამოყოფილი მიწის ნაკვეთების რადიოეკოლოგიური გამოკვლევა. კვლევის შედეგების საფუძველზე შედგენილია რადიაციული სერტიფიკატი.
2. ასწავლის და ხელმძღვანელობს სადოქტორო პროგრამას საპატრიარქოს ანდრია პირველწოდებულის სახელობის ქართულ უნივერსიტეტში.
3. გამოქვეყნებული აქვს ერთი სტატია “საქართველოში არსებული ადგილობრივ და იმპორტირებულ ციტრუსოვან კულტურათა ნედლეულის ბიოლოგიური სრულფასოვნებისა და კვებითი უგნებლობის დადგენა ეკოქიმიური ექსპერტზის თვალსაზრისით”, (თანაავტორობით). სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის ჟურნალი “მოამბე”, №31 2012 წელი, გვ. 283-296.
4. მისი ხელმძღვანელობით მომზადებულია სადისერტაციო ნაშრომი თემაზე: “ქუთაისის და მისი მიმდებარე ბიოლანდშაფტების რადიოეკოლოგიური

გამოკვლევა”, რომლის დაცვა სადისერტაციო საბჭოს ფორმირებასთან დაკავშირებით ჩატარდება 2013 წლის მარტში.

5. ინსტიტუტის რეფორმირების სამუშაოების გამო კონფერენციებში არ მიუღია მონაწილეობა.

6. სსმმ აკადემიის აკადემიურ საბჭოზე (2012 წლის 28 დეკემბერს) განხილული იქნა აკად. ზ. ჩანქელიანის პირადი ანგარიში;

7. არის საქართველოს ეკოლოგიურ მეცნიერებათა აკადემიის ნამდვილი წევრი, შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის სამეცნიერო საბჭოს წევრი.

8. მიღებული აქვს პატენტი –“სასოფლო სამეურნეო მავნებლებთან ბრძოლის რადიობიოლოგიური მეთოდები.

9. არის საპატრიარქოს ანდრია პირველწოდებულის სახელობის ქართული უნივერსიტეტის დოქტორანტის სამეცნიერო ხელმძღვანელი.

4.1.19. აკადემიკოსი ნოდარ ჩხარტიშვილი



1. საანგარიშო წელს სსმმ აკადემიის აკადემიურ საბჭოში აკადემიურ სემინარების მუშაობა შემოიფარგლა საბჭოს სხდომებზე სტრატეგიული პრობლემების, მოხსენებების აგრონომიული საკოორდინაციო-დარგობრივი განყოფილების და აკადემიური საბჭოს სხდომაზე განხილვაში მონაწილეობით. სხდომებზე მოსმენილი იქნა პროგრამით გათვალისწინებული მისი მოხსენება თემაზე: “საქართველოს მეგენახეობა-მედვინეობის არსებული მდგრადი და მდგრადი განვითარების პერსპექტივები”.

მოხსენებაში უძველესი და უახლოესი ისტორიული წარსულის და არსებული მდგრადებების ანალიზის საფუძველზე განისაზღვრა მევენახეობა-მედვინეობის პრიორიტეტული ადგილი ჩვენი ქვეყნის ეკონომიკაში. გაშუქებული იქნა დარგის რეაბილიტაციის პროცესების დასაწყისი – დადგითი ტენდენციები ვენახების გაშენების ჯიშობრივი ასორტიმენტის გაუმჯობესების, დვინის ექსპორტის ზრდის ტენდენციები. ხაზი გაესვა დარგში შექმნილი მეცნიერული კვლევის საგანგაშო მდგრადებას; დარგობრივი სამეცნიერო-ტექნიკური ბაზების განადგურებას და აღდგენა-განვითარების გადაუდებელ პრობლემებს; მხარდაჭერილი იქნა დარგის რეაბილიტაციის დაჩქარების და მდგრადი

განვითარების მიზნობრივი სახელმწიფო პროგრამის შემუშავების აუცილებლობა, რომელსაც წინ უნდა უსწრებდეს ვენახების აღწერა-პასპორტიზაცია.

11. სამეცნიერო-კვლევითი მუშაობის სფეროში – სოფ. ჯილდაურის (მცხეთის რი, საგურამო) სარგავი მასალის წარმოების ცენტრში გაშენებული ვაზის საკოლექციო ნარგაობებში მონაწილეობას ღებულობს საკოლექციო ჯიშების იდენტიფიკაციის პროცესში; გამოვლენილი იქნა რამოდენიმე (4-5) ჯიში, რომელიც არ შეესაბამებოდა დაფიქსირებულ სახელწოდებას.
12. კონსულტირებისა და დანერგვის მიმართულებით გაწეული მუშაობა: გასული წელი, განსაკუთრებით კახეთის რეგიონი ხშირი და ძლიერი სეტყვიანობით იყო გამორჩეული, რამაც დიდი ზიანი მიაყენა სასოფლო-სამეურნეო კულტურებს, განსაკუთრებით ვენახებს, ატმის ბაღებს, თელავის და გურჯაანის რაიონში კერძოდ სოფ.ვაჩნაძიანის ტერიტორიაზე ივლისის მეორე ნახევარში მოსულმა სეტყვამ 100%-ით განადგურდა ვაზის მწვანე მასა და ყურძნის მოსავალი. საფრთხე შეექმნა მომავალი წლის მოსავალს. მდგომარეობის ნაწილობრივი გამოსწორების მიზნით ადგილზე ჩატარდა საჩვენებელი სხვლები, რომელიც დააჩქარებს დაზიანებული ვაზის ადდგენას და უზრუნველყოფს მომავალი წლის მოსავლის მიღებას. ღონისძიება განხორციელდა 200.0 ჰა ფართობზე.
13. ზესტაფონის რაიონის სოფ. სვირის ახალშენ (2012 წლის გაზაფხულზე გაშენებული) ვენახში, 9.0 ჰა ფართობზე მისი რეკომენდაციით გამოყენებული იქნა სარეველების წინააღმდეგ ჰერბიციდების უსაფრთხო – ჰერბიციდით ნორჩი მცენარის დაზიანებისაგან დამცავი ტექნიკური მოწყობილობის –პოლიეთილენის გარსაცმის გამოყენება, რითაც გამოირიცხა სარეველების ხელით გამარგვლის და გათოხვნის საჭიროება, დაიზოგა მუშახელი და შრომის დანახარჯები.
14. “შატო მუხრანის” მამულში 5.0 ჰა გორული მწვანისა და ჩინური ჯიშების ნარგაობაში 5.0 ჰა-ზე დაინერგა ვაზის ფორმირებისა და მსხმოიარობის დამაჩქარებელი ფიტოტექნიკური ღონისძიება – ყლორტების ნორმირება მიმართულებით აღზრდა, ნამხარის გამოყენება, რის შედეგად ვაზის დარგის მეორე წელს მიღებული იქნა ჰექტარზე 4-5 ტონა ყურძნი.
15. მევენახეობა-მეღვინეობის აქტუალურ პრობლემებზე გადაიცა აკად. 6. ჩხარტიშვილის რადიო საუბარი, სადაც ყურადღება იქნა გამახვილებული დარგში არსებულ პრობლემებზე: ჯიშებისა და სავენახე ადგილების

შერჩევის, გაშენების სქემებზე და ტექნოლოგიებზე; გლეხურ, ოჯახურ მევენახეობასა და მედვინეობაზე დვინის დიეტურ და სამკურნალო თვისებებზე და სხვ.

პასუხი გაეცა მსმენელთა შეკითხვებს.

16. პედაგოგიური მუშაობა: აგრძელებდა მუშაობას თბილისის მევენახეობა-მედვინეობის, ხილ-ბოსტნეულის წარმოებისა და სპეციალისტთა გადამზადების სასწავლო ინსტიტუტის რექტორის თანამდებობაზე; ამავე ინსტიტუტში ხელმძღვანელობდა და კითხულობდა სალექციო კურსს “მევენახეობაში”, “გაზის ბიოეკოლოგიისა და ამპელოგრაფიაში”. თელავის ი. გოგებაშვილის სახელობის საჯარო უნივერსიტეტში აგრძელებდა მუშაობას აგრონომიული და სასურსათო ტექნოლოგიის პროფილით; კითხულობდა სალექციო კურსს საგნებში: “შესავალი კურსი აგრონომიაში”, “მევენახეობაში”, “მევენახეობის აგროტექნოლოგიასა და ვაზის ეკოლოგიაში”, “სელექციაში”. ამავე უნივერსიტეტში ხელმძღვანელობს მაგისტრანტებს.
17. საზოგადოებრივი საქმიანობა: ი. გოგებაშვილის სახელობის უნივერსიტეტში არის სოფლის მეურნეობისა და სასურსათო ტექნოლოგიის სამეცნიერო ხარისხის მიმნიჭებელი საკვალიფიკაციო საბჭოს წევრი.
18. თანამშრომლობს ქართული ენციკლოპედიის სოფლის მეურნეობის სარედაქციო ჯგუფთან; არის კომისიის წევრი; რედაქტირება გაუკეთა რამოდენიმე სტატიას (წერილს) მევენახეობაში, ამპელოგრაფიაში.
19. საერთაშორისო ღონისძიებებში მონაწილეობა: უშუალოდ მისი ინიციატივითა და მონაწილეობით, საანგარიშო წლის 22 ივნისს საქართველოში, ყვარელში, კომპანია „ხარება” მედვინეობის ე.წ. „გვირაბის” ბაზაზე ჩატარდა საერთაშორისო ღონისძიება – პროგრამით „ქართული ვაზი და ღვინო საერთაშორისო სამეცნიერო ინტერესების ფოკუსში”. „ერთობლივი წიგნებისა და ფილმის პრეზენტაცია”, 22 ივნისი, 2012 წ. ღონისძიება ჩატარდა კომპანია „ხარებას” ფინანსური მხარდაჭერით.
აკად. 6. ჩხარტიშვილმა გახსნა კონფერენცია და წარმოთქვა მისასალმებელი სიტყვა. პრეზენტაციაზე წარმოდგენილი იქნა იტალიურ (2003 და 2009 წლები) და ინგლისურ (2012 წლები) ენებზე გამოცემული 1000 და 400 გვერდიანი კაპიტალური ილუსტრირებული წიგნები, აგრეთვე იტალიელების მიერ გადაღებული დოკუმენტური ფილმი ქართული ვაზისა და ღვინის, მევენახეობა-

მედვინეობის ტრადიციებზე პრემირებული იქნა მევენახეობა-მედვინეობის საერთაშორისო ორგანიზაციის მიერ.

ღონისძიების ბოლოს ჩატარდა ქართული ღვინოების დეგუსტაცია.

20. გამოქვეყნებული შრომები:

ა. 6. ჩხარტიშვილი - „რაჭაში – მევენახეობა-მედვინეობის განვითარების პრობლემები”: საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის გამოცემა; რაჭა-წარსული, აწმყო, მომავალი; 2012 წ. ქართულ ენაზე.

შრომაში ისტორიულ-ეთნოგრაფიული, ამპელოგრაფიულ წყაროებზე დაყრდნობით გაშუქებულია რაჭის მევენახეობა-მედვინეობის თავისებურებანი, მისი პერსპექტივები, როგორც განუმეორებელი ბუნებრივად მოტკბო და ტკბილი ღვინოების „ხვანჭკარას” წარმოების სანედლეულო ბაზა-ოაზისი.

ბ. „მევენახეობა-მედვინეობა საქართველოში” – ინგლისურ ენაზე (Viticulture and winemaking in Georgia), (თანაავტორობით), ტრანს-კავკასია და შავი ზღვის აუზის ამპელოგრაფია; 2012 წ, 400 გვ.

შრომაში არგუმენტირებულია საქართველო კულტურული ვაზის მოშინაურების ერთ-ერთ პირველად კერად; გაშუქებულია მევენახეობა-მედვინეობის არსებული მდგომარეობა და სამომავლო პოტენციალი.

აკად. 6. ჩხარტიშვილის რეკომენდაციები მევენახეობაში ახალი ტექნოლოგიების და ტექნიკური საშუალებების შესახებ:

შრომის რესურსებისა და ენერგოდამზოგი ტექნოლოგიები და ტექნიკური საშუალებები, რომელთა ათვისება წარმოებაში გააუმჯობესებს ვენახების მდგომარეობას, შექმნის წინაპირობებს მდგრადი, სასურველი კონდიციის ყურძნის მოსავლის მიღებისათვის, რაც თავისთავად ქართული ღვინის ხარისხის გაუმჯობესების საფუძველია:

1. ბალ-ვენახის გაშენება ადგილის შერჩევის ნიადაგური და აგროკლიმატური რესურსების კომპლექსური გამოკვლევის საფუძველზე.
2. ვენახის გაშენება რაციონალური სქემებით და ვაზის ფორმირებისა და მსხმოიარობის დაჩქარების ღონისძიებები.
3. ძლიერ დასეტყვილი ვენახის დაჩქარებული აღდგენის ფიტოტექნიკური ღონისძიებები.
4. ვენახის სეტყვასაწინააღმდეგო ბადეებით გადახურვა.

რეკომენდაციები ვაზის ნამყენის წარმოების სფეროში:

1. ნამყენის უნახერხო სტრატიგიკია ელექტროავტომატიზირებულ საკანში.
2. ნამყენის დარგვა სანერგეში წინასწარ მომზადებულ ბაზოში.
3. ნამყენის გამოყვანა უსათბუროთ პოლიეთილენის აპკის გამოყენებით.

4. ვაზის მწვანე ნერგის გამოყვანის ტექნოლოგია: ტრადიციული ტექნოლოგიისაგან მწვანე ნერგის გამოყვანის ტექნოლოგიის პრინციპული განსხვავება იმაში მდგომარეობს, რომ ამ შემთხვევაში ნერგის გამოყვანა წარმოებს სანერგის გარეშე, რითაც გამოთავისუფლდება ყოველი ნამყენისათვის საჭირო 30-40 ჰა ნაყოფიერი მიწა.
5. ზრდის რეგულატორის გამოყენება ვაზის ნამყენი ნერგის გამოყვანის საქმეში.
6. კენახში ნიადაგის მინიმალური და ნულოვანი დამუშავების ტექნოლოგია.
7. დაპარაფინებული ვაზის ნერგის კოკოლების გარეშე რგვა. ინერგება 1970 წლიდან.
8. ფილოქსერაგამძლე საძირეთა სადედეში ყლორტების აღზრდის რაციონალური ტექნოლოგია: а) ყლორტების აღზრდა პორიზონტალურად შპალერის თითოეულ მავთულზე, ბ) ვაზის გაფორმება კორდონული სისტემით.

აკად. ნ. ჩხარტიშვილის წინადადებები სამთავრობო ლონისმიებების შესახებ

- აუცილებელია მიღებულ იქნას მევენახეობა-მეღვინეობის რეაბილიტაციისა და მდგრადი განვითარების სახელმწიფო მიზნობრივი პროგრამა, რომელიც მოიცავს დარგობრივი მეცნიერების რეაბილიტაციასაც.
- ქვეყანაში საჭიროა ჩატარდეს სასოფლო-სამეურნეო სავარგულების (დარგობრივ ასპექტში) გ.შ. ვენახების ინვენტარიზაცია-პასპორტიზაცია და მომქმედ ვაზისა და ლვინის კანონში შეტანილ იქნას ცვლილებები დეკლარაციის შესახებ.
- კადრების უზრუნველყოფის პრობლემა; აგრონომი უკვე დეფიციტია ქვეყანაში, დამკვიდრდა უცხოელი კონსულტანტის მოწვევის ინსტიტუტი, ანუ ადგილობრივი კადრის უგულებელყოფა, რაც არ უნდა დარჩეს უყურადღებოდ.
- დროულად უნდა იქნას შემუშავებული და სამოქმედოდ მიღებული სოფლის მეურნეობის ეროვნული კადრების მომზადების მ.შ. მევენახე-მეღვინე სპეციალისტების მომზადების მიზნობრივი პროგრამა.
- მთავრობის წინაშე დროულად დაისვას საკითხი დარგობრივი სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტების და მათი სამეცნიერო-კვლევითი ბაზების აღდგენის შესახებ, რომლებიც ამავე დროს შეითავსებენ კადრების მომზადებასც.
- დროულად უნდა შემუშავდეს გლეხურ-ოჯახური, საშუალო და მსხვილი ფერმერული მეურნეობების, მეურნეობა-ქარხნების ინტეგრაციის-კოოპერირების, ოჯახური მევენახეობა-მეღვინეობის განვითარების პროექტი.
- ვაზისა და ლვინის შესახებ საქართველოს კანონში შეტანილი იქნას სათანადო ცვლილებები, სოფლის მეურნეობის აკადემიის ფარგლებში მომზადდეს ცვლილებების პროექტი.

4.1.1.10. აკადემიკოსი ვალერიან ცანავა



1. 2012 წელს საქართველოს აგრარული უნივერსიტეტის ჩაის, სუბტროპიკული კულტურების და ჩაის მრეწველობის ინსტიტუტის აგროქიმია, ნიადაგმცოდნეობის და მიკრობიოლოგიის ლაბორატორიაში აკად. ვ. ცანავას ხელმძღვანელობით მიმდინარეობდა კვლევა თემაზე: „ნიადაგის ნაყოფიერების დონის შესწავლა, დიფერენცირებული განოყიერების სისტემის შემუშავება-დანერგვა“. თემის ირგვლივ ტარდებოდა სავალე და ლაბორატორიული კვლევები აზოტის სტაბილური იზოტოპით ნიშანდებული სასუქების გამოყენებით, სამუშაო გარდამავალია.

2. გამოსაცემად მომზადდა აგროქიმიის სახელმძღვანელო (თანაავტორები ა.ბაჯელიძე, შ. ლომინაძე)

გრძელდება მუშაობა მონოგრაფიაზე „ციტრუსოვანთა კულტურების აზოტით განვითარების მეცნიერული საფუძვლები“, თანაავტორი შ. ლომინაძე.

3. 2012 წელს გამოქვეყნებულია სამეცნიერო სტატია: “აგროქიმიის აქტუალური საკითხები სუბტროპიკული სოფლის მეურნეობის მდგრადი განვითარების უზრუნველყოფის საქმეში. „გამოყენებითი ქიმიის პრობლემები“ თბილისი. 2012 წ. გვ. 141-146.

4. აკად. ვ. ცანავას ხელმძღვანელობით დამუშავდა თამარ დლონტის სამაგისტრო თემა: „ჩაის კულტურის აგროეკოლოგიური პოტენციალი კოლხეთის დაბლობის სამხრეთ ნაწილში“. კვლევის ობიექტს წარმოადგენდა მრავალწლიანი ცდა, სადაც ისტავლება სასუქების გავლენა ჩაის ჯიშ „კოლხიდას“ პროდუქტიულობასა და ნიადაგის აგროქიმიურ მაჩვენებლებზე.

4.1.1.11. აკადემიის წევრ-კორესპონდენტი გივი ბადრიშვილი



1. სამეცნიერო – კვლევითი სამუშაო შესრულდა სოფ. ქვიშხეთში ქლიავის ახალი ჯიშების შესასწავლად. ხელმძღვანელი და შემსრულებელი აკად. წ/კ გ. ბადრიშვილი.

2. მომზადებულია გამოსაცემად:

2.1. წიგნი “სკრის თემის და მეხილეობის საცდელი სადგურის ისტორია”;

2.2. წიგნი “ხეხილის სანერგე”.

3. 2012 წლის 7 დეკემბერს აკად. წ/კ. გ.

ბადრიშვილის ორგანიზებით და უშუალო მონაწილეობით (ძირითადი მოხსენება) ჩატარდა საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა

აკადემიის სამეცნიერო პრაქტიკული კონფერენცია ქ. გორში “მეხილეობის საცდელი სადგურის 80 წლის სამეცნიერო მოღვაწეობის იუბილეს შესახებ”.

აკადემიის წევრ-კორესპონდენტის გ. ბადრი შვილის ხედვა მეხილეობის დარგის მდგომარეობაზე


საბჭოთა კავშირის დაშლამ გამოიწვია სოციალისტური სისტემის გაუქმება, კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების ლიკვიდაცია. სახნაგ-სათეს ფართობებთან ერთად მოსახლეობაზე გადანაწილდა მრავალწლიანი ნარგაობა.

მეხილოების დარგის შემდგომი რეაბილიტაციისა და განვითარებისათვის აუცილებელ დონისძიებებად მიგვაჩნია:

1. საჭიროა განისაზღვროს მოსახლეობის და ბაზრის მოთხოვნილება ხილზე.
2. ცალკეული ზონების მიხედვით უნდა დაიგეგმოს ხეხილის ჯუჯა ჯიშების გაადგილება მისი ეკონომიკური გაანგარიშებით. შესაბამისად ნარგაობის ტიპების მიხედვით განისაზღვროს ხილის ვარჯის ფორმები.
3. საკარმიდამო ხეხილის ნარგაობის ტიპი შემდეგ ხასიათს უნდა ატარებდეს: ხეხილის გაშენების წესი ნებაყოფლობითია, ბალი შენდება ნაკვეთის მესაკუთრის სურვილის მიხედვით, იგი ირჩევს კულტურას, ჯიშს სიმწიფის პერიოდების მიხედვით, საზღვრავს ხილის რაოდენობას ოჯახისა და პირადი მოთხოვნილების შესაბამისად, ირჩევს ხის ფორმას ზრდის სიძლიერის მიხედვით.
4. ფერმერთა ნახევრად სამრეწველო ნარგაობა გარკვეული წესით შენდება, რომელიც კომერციულ მიზნებსაც ემსახურება. იანგარიშება ხილის თვითღირებულება, ხარჯები და მოგება.
5. ფერმერთა სამრეწველო ხეხილის ნარგაობა შენდება გარკვეული წესის მიხედვით, ნარგაობაში ურთიერთდამამტკერიანებელი ჯიშების გაადგილებით ფართობის რაციონალური ათვისებით.
6. მექანიზაციის მაქსიმალური გამოყენებით ჯიშების და საძირეთა მიზანშეწონილი შერჩევით მსხმოარობაში შესვლის ადრეული პერიოდი მაღალმოსავლიანი ხარისხის და მცირე დანაკარგები (ნაქარი) მქონე ბაღის შექმნა განაპირობებს მებაღის ეკონომიკურ მდგომარეობას.
7. მიზანშეწონილად მიგვაჩნია ხეხილსანერგებების ფირმებად და სერტიფიკატებით, საერთაშორისო სტანდარტების მიხედვით შექმნა და მასზე სახელმწიფო კონტროლის დაწესება.
8. მეხილეობის განვითარებისათვის საქართველოში აუცილებელია აღდგეს მებაღეობის, მევენახეობის და მეღვინეობის ინსტიტუტი გაუქმებამდე არსებული მდგომარეობით, თავისი საცდელი სადგურებით.
9. შეიქმნას მეხილეობის დარგში სამეცნიერო ხარისხების მიმნიჭებელი სამეცნიერო საბჭო.

10. მეცნიერი მზადდება სამეცნიერო კვლევით ან უმაღლეს სასწავლო-საგანმანათლებლო დაწესებულებაში რამოდენიმე წლის ექსპერიმენტული კვლევითი მუშაობის შედეგად (არანაკლებ 5 წლისა), განსაკუთრებით მრავალწლიანი ნარგაობის შემთხვევაში, რაც დღევანდელი აკადემიური ხარისხის მინიჭების შემთხვევაში არ არის გათვალისწინებული.

4.1.1.12. აკადემიის წევრ-კორესპონდენტი თამაზ თურმანიძე



2012 წელს ბატონ თ. თურმანიძის სამეცნიერო-კვლევითი და პედაგოგიური მუშაობა მირითადად მიმართული იყო კლიმატის ცვლილებით გამოწვეული ექსტრემალური ბუნებრივი მოვლენების მონიტორინგის განხორციელებაზე.

მისი უშუალო მონაწილეობით და ხელმძღვანელობით შესრულდა შემდეგი სამეცნიერო-კვლევითი სამუშაოები:

1. ზაფხულის გვალვის გრძელვადიანი (სეზონური) პროგნოზი, რომელიც შედგენილ იქნა მის მიერ ადრე (2005 წ.) შემუშავებული მეთოდით. პროგნოზის მეთოდს

საფუძვლად უდევს კორელაციური კავშირი გაზაფხულის ამინდის პირობებსა და ზაფხულის გვალვიანობას შორის. კერძოდ, რაც უფრო ადრე ხდება გაზაფხულზე ჰაერის დღელამური საშუალო ტემპერატურის 10° -ზე ზევით გადასვლა და რაც უფრო მაღალია აპრილის თვის საშუალო ტემპერატურა, მით უფრო მკაცრია მომდევნო ზაფხულის სეზონის გვალვიანობა (მეთოდი აღწერილია 2010 წელს გამოქვეყნებულ მონოგრაფიაში - „კლიმატი, სტიქია და სასურსათო უშიშროება“ გამომცემლობა „უნივერსალი“, თბილისი, 2010 წელი).

2. საშემოდგომო ხორბლის მოსავლის პროგნოზი შედგენილ იქნა აკად. წ/კ თ. თურმანიძის მიერ ადრე დამუშავებული მეთოდით. მეთოდი ეყრდნობა საშემოდგომო ხორბლის ვეგეტაციის განახლებიდან დათავთავებამდე ფაზათა შორის პერიოდში წვიმიანი და უნალექო დღეების ურთიერთ შეფარდებასა და ამავე პერიოდში პიდროთერმიული კოეფიციენტის მაჩვენებლების კორელაციურ კავშირს საშემოდგომო ხორბლის საჰექტარო მოსავლთან.

3. აგრარული უნივერსიტეტის სტუდენტებთან ატარებდა კონსულტაციებს სადიპლომო ნაშრომებში აგრომეტეოროლოგიური მონაცემების კვალიფიციურად გამოყენების საკითხებზე.

4. მსოფლიო ბანკის მიერ თბილისში 2012 წლის 10 აპრილს ჩატარებული ვორკშოპის მუშაობაში მონაწილეობა - ერთ-ერთი სექციის თავმჯდომარე. წაკითხულია მოხსენება თემაზე: „კლიმატის ცვლილების პირობებში სოფლის მეურნეობის მოწყვლადობის შემცირების დონისძიებების შესახებ“.

4.1.1.13. აკადემიის წევრ-კორესპონდენტი გურამ კილასონია



სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა დოქტორის, პროფ. გურამ კილასონიას მეცნიერულ საქმიანობაში ძირითადი აქცენტი გაკეთებულია სუბტროპიკულ კულტურებზე, კერძოდ დამუშავებულია და დაინერგა წარმოებაში ისეთი აქტუალური საკითხები, როგორიცაა კეთილშობილი დაფნის პლანტაციის გაშენების აგროტექნოლოგია; ასევე წლების განმავლობაში მრავალი ექსპერიმენტის ჩატარებით შესწავლილი აქვს გერანის, ევტენოლის, კამელიას, ლუფის მოვლა-მოყვანის ტექნოლოგიის საკითხები, ციტრუსოვანი პიბრიდებიდან ეთეროვანი ზეთის გამოსავლიანობის გადიდების გზები და სხვა.

განსაკუთრებით დიდია მისი ღვაწლი ბამბუკის მოვლა-მოყვანის ინტენსიური ტექნოლოგიის დამუშავების საქმეში დასავლეთ საქართველოს სხვადასხვა რეგიონში. პროფ. გ. კილასონია მიუთითებს თავის შრომებში, რომ ბამბუკი ძვირფასი და იაფფასიანი მერქნის მომცემი მცენარეა და ამიტომ უახლოეს პერსპექტივაში ბამბუკის ნარგავებმა უნდა დაიკავონ ხევები, მდარე დირსების ტყე-ბუჩქნარების და სხვა კულტურებისათვის ნაკლებად გამოსაყენებელი ადგილები.

4.1.1.14. აკადემიის წევრ-კორესპონდენტი ვაჟა კვალიაშვილი



1.2012 წელს თემატიკის შესაბამისად მუშაობდა სოფ. წედისის საცდელ ნაკვეთზე ვაზის და ხეხილის (ატამი, ვაშლი, ქლიავი) სელექციაში – ახალი ჯიშების გამოყვანაზე:

წინა წელს მიღებული ატმის პიბრიდული ფორმებიდან გამორჩეულია პერსპექტიული ფორმები, მოხდა ნაყოფის და მცენარეების აღწერა და ფოტო სურათების გადაღება.

- 2011 წელს მიღებული პიბრიდული ვაზის წიპჭა და ატმის კურკა 2012 წლის გაზაფხულზე დაითესა და მიღებულია კარგი აღმონაცენი. ჩატარდა მათი მოვლის ღონისძიებანი.

-2012 წელს სხვადასხვა ჯიშთაშორისი პიბრიდიზაციით მიღებული ვაზის და ატმის თესლი გადის სტრატიფიკაციას. არის თემატიკის ხელმძღვანელი და შემსრულებელი.

ბ) საქართველოს აგრარული უნივერსიტეტის დაგალებით მონაწილეობს შიდა საუნივერსიტეტო გრანტის - „საქართველოს ხეხილის ადგილობრივი გენოფონდის

მოძიება, კონსერვაცია და გამოყენების პოტენციალის შეფასება“ - შესრულებაში (შიდა ქართლის რეგიონში). სკრის საცდელი სადგურის კოლექციაში (სამწუხაროდ განადგურების პირასაა), სოფ. წედისის საცდელ ბაზში და გორის რაიონის სოფლებში მოძიებულია და აღწერილია: მცენარეთა ახალი ჯიშების დაცვის საერთაშორისო ორგანიზაციის UPOV-ს შესაბამისი მეთოდიკის – ჯიშების განსხვავებულობაზე, ერთგვაროვნებაზე და სტაბილურობაზე გამოცდის ჩატარების მიხედვით:

-სკრაში და კერძო ნაკვეთებზე - ვაშლის 25 ჯიშისა და ფორმის ბოტანიკური ნიშნები, კერძოდ:

- 23 ჯიშე - 17 ნიშანი; 2 ჯიშე - 52 ნიშანი თითოეულზე;

- სოფლებში - წედისში, ხიდისთავში, ატენში (საცდელ ბაზებში და კერძო ნაკვეთებზე) ატმის 38 ჯიშისა და ფორმის 52 ნიშანი თითოეულზე და გადაღებულია მათი ნაყოფებისა და ხის სურათები.

2. მონაწილეობა აქვს მიღებული ქ. კრასნოდარში (რუსეთის ფედერაცია) ჩატარებულ საერთაშორისო სიმპოზიუმში - „ვაზის ინტერაქტიური ამპელოგრაფია და სელექცია“, რომელიც ჩატარდა 20-21.09.2011 წელს. მასალები უკრნალის სახით გამოქვეყნდა 2012 წელს. (Международный симпозиум „Интерактивная ампелография и селекция винограда“. – г. Краснодар.Ж. 2012 გ.) მოხსენების თემა იყო: „ Участие Грузинских сортов в селекции винограда“ (“ქართული ჯიშების მინაწილეობა ვაზის სელექციაში”). – ავტორები: ვახტანგაძე თ, მაღრაძე დ, ჭიათურაშვილი რ. კვალიაშვილი ვ.

3. აკადემიის პრეზიდიუმის სხდომაზე მოსმენილი იქნა 2010-2011 წწ აკად. წ/კ ვ. კვალიაშვილის მუშაობის ანგარიში, რომელიც დაღებითად შეფასდა.

4. არის სოფლის მეურნეობის სამინისტროს ცხოველთა და მცენარეთა ახალი ჯიშების ექსპერტთა საბჭოს წევრი.

5. მომზადებულია მასალები „საქართველოში“ ატამისა და უკრძალის ახალი ჯიშების დასარეგისტრირებლად.

6. 2012 წელს სოფ. წედისის საცდელ ბაზში, ჭანჭურის მსხმოიარე ხეზე აღმოჩენილია ტოტი, რომელსაც ჭანჭურთან ერთად ესეა „ქლიავის“ 3 ნაყოფი. ბუნებრივი „მუტანტი ქლიავის“ ფორმა აღწერილია, მოპოვებულია ფოტო მასალა და კვირტი დამყნობილია ტყემალზე - გასამრავლებლად.

აკადემიის წევრ-კორესპონდენტის გ. კვალიაშვილის რეკომენდაციები სოფლის მეურნეობის შემდგომი განვითარების შესახებ:

1. საქართველოს წვრილგლეხური სოფლის მეურნეობა, მცირე გამონაკლისის გარდა, დაბალშემოსავლიანია. ნაკვეთების სიმცირის გამო გლეხობა მასობრივად ვერ იყენებს მექანიზაციას, აუცილებელი აგროდონისძიებების ჩასატარებლად, ხელით მუშაობა კი აძვირებს პროდუქციას. ძვირია მცენარეთა და ცხოველთა მავნებელ-დაავადებებისაგან დაცვის საშუალებები, საწვავი და სასოფლო-სამეურნეო ინვენტარი.

2. მცირე ფართობებზე ძნელად ინერგება მეცნიერული სიახლე, ყველაფერი დამოკიდებულია გლეხის პირად ინიციატივაზე და მის ფინანსურულობის შესაძლებლობაზე. არაა სიახლის პრაქტიკაში დამნერგავი და მასზე ვალდებული, ერთიანი პოლიტიკის გამტარებელი რესპუბლიკური ოურაიონული რგოლები. რაიონებში ფაქტობრივად არ იციან და არ მართავენ სოფლად მიმდინარე აგროდონისძიებებს და არავინ აღრიცხავს მათ რაოდენობას. სტატისტიკის მონაცემები არარეალური, სავარაუდოა.
3. კახეთი სტიქიისაგან არაა დაზღვეული, აუცილებელია სეტყვისაგან მოსავლის დაცვის სამსახურის აღდგენა, ვენახების გადახურვა სეტყვის დამჭერი ბადეებით.
4. სოფლის მეურნეობის სამინისტროში უნდა დაასაქმონ კვალიფიციური და გამოცდილი აგროსპეციალისტები. სამინისტრომ და სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიამ ერთად ყველა ლონე უნდა იხმარონ ქართული სოფლის, სოფლის მეურნეობის, ეროვნული აგრარული მეცნიერული სკოლის, ტრადიციული დარგების და სამეცნიერო-საკვლევი და სასწავლო ინსტიტუტებისა და საცდელი სადგურების აღსადგენად.
5. სამინისტროში შეიქმნას საგრანტე ფონდი ცალკეულ რაიონებში არსებული პრობლემატური საკითხების სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიასთან ერთად საჯარო გამჭვირვალობით და მეცნიერულ დონეზე გადასაჭრელად.
6. აუცილებელია მიწების გაერთიანება კოოპერაციის ან სხვა სახით.

4.1.1.15. აკადემიის წევრ-კორესპონდენტი ოთარ ლიპარტელიანი



მისი ხელმძღვანელობით თემა მუშავდებოდა ორ პროექტში: 1. „საქართველოს ურწყავი შემაღლებული და მთის ზონისათვის სიმინდის საადრეო და საშუალო საადრეო, სავეგეტაციო პერიოდი 90-105 დღე, ჰიბრიდებისა და ჯიშების გამოყვანა და დანერგვა, რომელთა მარცვლის პოტენციალური მოსავალი იქნება 6-7 ტონა ჰა/ზე”.

2. „საქართველოს სარწყავი და ტენიო უზრუნველყოფილი ზონებისათვის სიმინდის საგვიანო და საშუალო საგვიანო ფორმების სავეგეტაციო პერიოდი 120-130 დღე, ჰიბრიდებისა და ჯიშების გამოყვანა და წარმოებაში დანერგვა, რომელთა მარცვლის პოტენციალური მოსავალი იქნება 9-10 ტონა ჰა/ზე”.

თემის მიზანია გამოყვანილ იქნას და წარმოებაში დაინერგოს სიმინდის უხევმოსავლიანი საადრეო და საშუალო საადრეო, საგვიანო და საშუალო საგვიანო, სამარცვლე და სასურსაო მიმართულების, ხარისხის პროდუქციის მომცემი, ჩაწოლისა და დაავადება-მავნებლების მიმართ გამძლე, ინტენსიური ტექნოლოგიით მოყვანისადმი ხელსაყრელი ჰიბრიდები და ჯიშები. თემის მიზანია

აგრეთვე გამოყვანილი და დანერგილი პერსპექტიული პიბრიდებისა და ჯიშების პირველადი მეოცხლეობა.

თემის მიხედვით წლების განმავლობაში ჩატარებული კვლევითი მუშაობის შედეგად გამოყვანილია და წარმოებაში დანერგილია სიმინდის 8 პიბრიდი და 1 ჯიში, რომლებიც სტანდარტთან შედარებით 7-12 ცენტერით მეტ მოსავალს იძლევიან მარცვალში საშუალოდ ჰქებარზე. გარდა ამისა, საანგარიშო წელს “საქპატენტს” გადაეცა 2 მარტივი ხაზთაშორისი პიბრიდი და 1 სინთეტიკი, რომლებიც სამ წელზე მეტია ისწავლებოდა საკონკურსო გამოცდაში და სამეცნიერო, ბიოლოგიური, ფიზიოლოგიური და ბიოქიმიური მაჩვენებლებით უკეთესებია სტანდარტებთან შედარებით.

სელექციაში ცდები განლაგებული იყო ნასიმინდარზე, ხოლო ინსტიტუტში ნახორბლარზე. ნიადაგის მზრალად მოხვნა ჩატარდა 2011 წლის ნოემბერში. 2012 წლის 12 აპრილს ჩატარდა თესვისწინა კულტივაცია დაფარცხვით. სელექციური ცდები დაითესა სელექციაში 23-25 აპრილს, ხოლო ინსტიტუტში 3 მაისს. საკონკურსო, წინასწარი და საკონტროლო გამოცდები დაითესა სიხშირით: საგვიანო და საშუალო საგვიანო ფორმები 52000 მცენარე ჰქებარზე, ხოლო საადრეო და საშუალო საადრეო ფორმები 62000 მცენარე ჰქებარზე. თესვა ჩატარდა პუნქტირებული წესით – ხელით. ბუდნაში ჩაითესა ორი მარცვალი და აღმოცენების შემდეგ დატოვებული იქნა თითო მცენარე. ნათესების პირველი თოხნა ჩატარდა სელექციაში 23 მაისს, ხოლო ინსტიტუტში 25 მაისს. მეორე თოხნა 11-12 ივნისს სელექციაში, ხოლო ინსტიტუტში 14 ივნისს. მორწყვა სელექციაში მოეწყო სამჯერ: ყვავილობის დაწყებამდე, ყვავილობის დამთავრების შემდეგ და რძისებრ სიმწიფის პერიოდში. ინსტიტუტში ცდების ნათესები არ მორწყება.

საკონკურსო გამოცდა მოეწყო 10 მ² დანაყოფზე სელექციაში 4, ხოლო ინსტიტუტში 2 განმეორებაში ჯიშების წინასწარი ჯიშთა გამოცდები დაითესა 10 მ² დანაყოფზე ორ განმეორებაში. საკონტროლო ჯიშთა გამოცდა დაითესა 5 მ² დანაყოფზე ორ განმეორებაში, დანარჩენი სანერგეები ხაზების და საკოლექციო დაითესა 3 მ² დანაყოფზე განმეორების გარეშე. თესვა ჩატარდა როგორც სელექციაში, ასევე ინსტიტუტში: საგვიანოების და საშუალო საგვიანოების 70X30 სმ, ხოლო საადრეოების და საშუალო საადრეოების 70X27 სმ.

კვლევით მუშაობაში გამოყენებული იყო სელექციის ძირითადი მეთოდები: გამორჩევა, პიბრიდიზაცია, ინცუხტი და სიბსური სელექცია. პიბრიდების მისაღებად წყვილთა შერჩევა და ინცუხტი მიმდინარეობდა ვიზუალური და ანალიზური მეთოდით, ხოლო პიბრიდების მიღება მარტივი ხაზთაშორისი, ჯიშხაზური და სამხაზოვანი დაწყვილებით. მშობლიური ფორმების გამორჩევა ხდებოდა სასურველი ხარისხობრივი და რიცხობრივი ნიშანთვისებების მცენარეთა თვითდამტვრევით და სიბსური გამრავლებით. სელექციის საწყის მასალად გამოყენებულია სიმინდის ადგილობრივი ჯიშები, მათგან მიღებული ხაზები და უცხოური ფორმები მსოფლიო კოლექციიდან. გამოცდის შედეგები შეფასებულია ტარო-მარცვლის ბოტანიკური მაჩვენებლების, ხოლო სამეცნიერო მონაცემები ხმელი მარცვლის წონით დანაყოფზე. მოსავლის აღება – აღრიცხვა და დამუშავება მიმდინარეობდა ჯიშთაგამოცდის მეთოდიების მიხედვით.

აპრილის და მაისის პირველი ნახევარი ხასიათდებოდა უხვი ნალექებით, ასევე ნალექიანი იყო ივნისის და ივლისის პირველი ნახევარი. ივლისის მეორე ნახევარი და აგვისტო მთლიანად იყო გვალვიანი, ასეთმა ამინდებმა განსაკუთრებით იმოქმედა ინსტიტუტში ცდების ნათესებზე, ხოლო სელექციაში დროული მორწყვით შენარჩუნებული იქნა ცდებში მცენარეთა ნორმალური ზრდა-განვითარება.

პროექტის მიხედვით კვლევა ჩატარდა სელექციაში 6 ცდაში, სადაც შესწავლილი იქნა 346 ნომერი 16374 კვ.მ. ფართობზე, ხოლო ინსტიტუტი მოეწყო 3 გამოცდა, სადაც ისწავლებოდა 26 ნომერი 420 კვ.მ. ფართობზე. სელექციაში სელექციურ ცდებში მცენარეთა განვითარება ნორმალური იყო, ხოლო ინსტიტუტი მოურწყაობის გამო მცენარეთა განვითარება ვერ წარიმართა ნორმალურად.

საკონკურსოში იცდებოდა 10 ნომერი, მათ შორის 6 მარტივი ხაზთაშორისი პიბრიდი, 2 ჯიში და 2 სინთეტიკი. სტანდარტად აღებული იყო ქართული 9, რომელსაც მეტ-ნაკლებად აჯობა თითქმის ყველა ნომერმა. მათ შორის ყველაზე მაღალი მოსავალი უჩვენა სინთეტიკმა 2,24 ტონით ანუ 41%, მეორე ადგილზე გამოვიდა მარტივი ხაზთაშორისი პიბრიდი ვირ-44Xმო-17, აჯობა სტანდარტს 1,82 ტონით ანუ 33%.

პირველი პროექტის მიხედვით სიმინდის უკეთესი ფორმების საკონკურსო გამოცდა მოეწყო ინსტიტუტში. მოურწყაობის გამო ვერ მოხერხდა მოსავლის აღრიცხვა და აქ ჩატარდა თვალზომური შეფასება მცენარეთა დგომის დაავადება მავნებლების მიმართ იმუნურობის და ჩაწოლის მიმართ გამძლეობაზე. გამოირჩა 4 ნომერი, მათ შორის: “ვირ44Xმო-17”, “ქართული კრუგი 44Xვირ-44”, “ქართული კრუგი 44Xმო-17” და “სინთეტიკი ნარინჯისფერი”.

პირველი პროექტის მიხედვით წინასწარ ჯიშთა გამოცდაში ისწავლებოდა სელექციაში და ინსტიტუტში 6 ნომერი. სტანდარტად აქაც აღებული იყო ქართული 9. როგორც მოსავლიანობით, ასევე სხვა დაღებითი თვისებებით გამოირჩა 2 ნომერი, რომლებიც მომავალ წელს გამოიცდებიან საკონკურსო ჯიშთა გამოცდაში. საკონკროლოში როგორც სელექციაში, ასევე ინსტიტუტში ისწავლებოდა 17 ნომერი, სტანდარტებთან შედარებით მაღალი შეფასება დაიმსახურეს 8 ნომერმა, რომლებმაც სტანდარტს საშუალოდ ჰქექტარზე აჯობეს 1,1-1,6 ტონით. ეს უკეთესი პიბრიდები გამოიცდება მომავალ წელს წინასწარ ჯიშთა გამოცდებში.

პროექტის მიხედვით საკოლექციო და სელექციურ სანერგეში ისწავლებოდა სელექციაში 328 ნომერი, სადაც უკეთესი ნომრების უკეთეს მცენარეებზე ჩატარდა თვითდამტვერვა და სიბური გამრავლება, სულ მიღებული იქნა სელოვნურად 347 ტარო, რომლებიც მომავალ წლებში გამოყენებული იქნება შესაბამის ცდებში და სანერგეებში.

შესაბამისად პროექტისა, სელექციაში კვლევა ჩატარდა 6 ცდაში, სადაც ისწავლებოდა 352 ნომერი 20309 კვ.მ. ფართობზე, ხოლო ინსტიტუტში მოეწყო 3 გამოცდა, ისწავლებოდა 32 ნომერი 570 კვ.მ. ფართობზე. სელექციაში ცდები ნორმალური იყო, ინსტიტუტში კი მცენარეთა განვითარება შევერხდა.

პროექტი 2-ის მიხედვით საკონკურსო გამოცდაში სელექციაში იცდებოდა 17 ნომერი, სტანდარტად აღებული იყო ივერია-70, გამოცდილ ნომრებიდან სტანდარტს აჯობა 10 ნომერმა, მათ შორის როგორც მოსავლიანობით, ასევე ბიოლოგიური და ფიზიოლოგიური თვისებებით ყველაზე საინტერესოა 2 პიბრიდი, რომელმაც სტანდარტს ჰქექტარზე საშუალოდ აჯობა 1,76-1,64 ტონით მარცვალ ში. აქედან პიბრიდი აბაშური ყვითელი 30Xმო-17 გასულ წელს გადაეცა საქ. პატენტს, ხოლო მეორე პიბრიდი იმ-47Xბი-73, რომელმაც სტანდარტს აჯობა 1,76 ტონით საშუალოდ ჰქექტარზე მარცვალ ში მიმდინარე წელს გადაეცემა საქ. პატენტს. ისინი პერსპექტიულად იქნა მიჩნეული, როგორც აღმოსავლეთ საქართველოს სარწყავი, ასევე დასავლეთ საქართველოს ტენით უზრუნველყოფილი რაიონებისათვის სამარცვლებლივ და სასურსათოდ.

პროექტი 2-ის მიხედვით უკეთესი ფორმების შესწავლა მიმდინარეობდა ინსტიტუტშიც, მაგრამ სამწუხაროდ მოურწყაობის გამო მოსავლის აღრიცხვა ვერ

ჩატარდა და ისინი შეფასდა დგომისა და ფიზიოლოგიური ნიშან-თვისებების მიხედვით. აქ 17-ფორმიდან ყველაზე კარგი შეფასება მიიღო 4 ნომერმა. უკეთესი ფორმების გამოცდა გაგრძელდება მომავალ წელს საკონკურსო ჯიშთა გამოცდაში. წინასწარ ჯიშთა გამოცდაში ისწავლებოდა სელექციაში და ინსტიტუტში 8-ნომერი. აქაც სტანდარტი იყო ივერია-70. სელექციაში სტანდარტს აჯობა 5-ნომერმა, სადაც საშუალოდ ჰქებარზე მიღებული იქნა 8-9,8 ტონა მარცვალში. ასევე წინასწარ ჯიშთა გამოცდაში იცდებოდა, როგორც სელექციაში, ასევე ინსტიტუტში 7-ნომერი. აქაც სტანდარტი იყო ივერია-70, რომელსაც აჯობა სამმა პიბრიდმა 1,2-1,4 ტონით ჰქებარზე მარცვალში. უკეთესი პიბრიდები მომავალ წლებში გამოიცდება წინასწარ და საკონკურსო გამოცდებში.

პროექტის მიხედვით პერსპექტიული ხაზების სანერგეში ისწავლებოდა 208 ნომერი და საკოლექციო სანერგეში 110 ნომერი. სანერგეებში ყვავილობის დაწყებამდე ჩატარდა უკეთესი მცენარეების შერჩევა, სადაც მოეწყო თვითდამტკერვა და სიბსური გამრავლება. ხელოვნურად მიღებულია 320 ტარო. ამ მასალის გამოყენება ჩატარდება მომავალ წლებში შესაბამის ცდებში და სანერგეებში.

სულ თემის მიხედვით მოწყობილი იყო 12 გამოცდა, სადაც ისწავლებოდა 756 ნომერი 38273 კვ.მ. ფართობზე.

პერსპექტიული პიბრიდების მეთესლეობის მიზნით მიღებულია 2 პიბრიდის პირველი თაობის და სინთეტიკური პიბრიდის თესლი 5 ტონა. საანგარიშო პერიოდში პროფ. ო. ლიპარტელიანის მიერ გამოქვეყნებულია ერთი შრომა საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის მოამბეში №30 „სიმინდის ახალი ხაზთაშორისი პიბრიდები წარმოებას“, სადაც ნაჩვენებია წლების განმავლობაში ჩატარებული კვლევის შედეგად გამოყვანილი და საქატენტზე გადაცემული სიმინდის ახალი ხაზთაშორისი პიბრიდების სამეურნეო-ბიოლოგიური, ფიზიოლოგიური და ბიოქიმიური მონაცემები. პროფ. ოთარ ლიპარტელიანის რეცენზიით გამოიცა ბროშურა „პიბრიდული სიმინდის მოვლა-მოყვანის აგროტექნოლოგიური პროცესები“, სადაც მოცემულია პიბრიდული სიმინდის მაღალი მოსავლის მიღების აგროლონისტიებები თესვიდან მოსავლის აღება-დაბინავებამდე. გაზეთ საქართველოს რესპუბლიკაში ო. ლიპარტელიანის თანავგტორობით გამოქვეყნდა სტატია ცნობილი მეცნიერის ლეონარდე დეკაპრელევიჩის იუბილევთან დაკავშირებით. მისი თანაავტორობით მომზადებული და გადაცემული იქნა საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის უურნალ მოამბეში გამოსაქვეყნებლად სტატია „სახეობის შიგნით მრავალფეროვნების სანიმუშო კულტურა – სიმინდი და მისი სელექციის შედეგები საქართველოში“, სადაც მოტანილია სიმინდზე სელექციური მუშაობის უკანასკნელი წლების შედეგები.

**აკადემიის წევრ-კორესპონდენტის ო. ლიპარტელიანის
რეკომენდაციები საქართველოში სიმინდის, გენეტიკის, სელექციისა და
მეთესლეობის თეორიული, მეთოდური და პრაქტიკული საკითხების შესახებ:**

1. სელექციოური მუშაობის დაჩარების მიზნით უნდა ჩატარდეს დარაიონებული სიმინდის უკეთესი პიბრიდების გაუმჯობესება მათი მშობლიური ხაზების ცნობილ დონორებთან ბეკკროსირების მეთოდის გამოყენებით.

2. ადგილობრივი და უცხოური სასურველი ნიშან-თვისებების მატარებელი ფორმების საფუძველზე უნდა შეიქმნას სინთეტიკები და ადგილობრივი უკეთესი ჯიშები გამოვიყენოთ ინცუხტ ხაზების მისაღებად.
3. ინცუხტ ხაზების კომბინაციური უნარის შესწავლა დაწყებული უნდა იქნეს თვითდამტვერვის მეორე წლიდან, რათა დროულად იქნეს გამოწუნებული ამ მიმართულებით არასაინტერესო ფორმები.
4. ახლად მიღებული ხაზების გენეტიკური ანალიზისათვის უნდა გამოვიყენოთ ცნობილი უკეთესი ხაზები რაც საშუალებას მოგვცემს სწორად განვსაზღვროთ საანალიზო ხაზის გენეტიკური ბუნება და ამავე დროს დროულად მივიღოთ ჰეტეროზისული კომბინაციები.
5. საპიბრიდიზაციო წყვილების დადგენისას ყურადღება უნდა მიექცეს იმ ფაქტს, რომ ყველაზე მეტი დადებითი სასურველი ნიშან-თვისებების მატარებელი ნახევრადკბილა და კაუა ტიპის ხაზი ჰიბრიდის მიღების დროს გამოვიყენოთ მდედრობით ფორმად.

4.1.1.16. აკადემიის წევრ-კორესპონდენტი ჯუმბერ ონიანი



2012 წელს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის „მოამბის“ 30-ე ნომერში გამოქვეყნებულ ნაშრომში „ანთროპოგენული ფაქტორების გავლენა გენანის ნიადაგების პლანტაციორებულ ფენებში,“ მოცემულია:

1. ვენახების ნიადაგებზე ანთროპოგენული ფაქტორების ზემოქმედების ინტენსიონისა და ხანგრძლიობის შედეგად, აგრონომიულად სრულფასოვანი სტრუქტურის სიმტკიცე მცირდება.
2. ყავისფერი, რუხ-ყავისფერ, მდელოს ყავისფერ, ნეშომპალა-კარბონატულ, ნეშომპალა-სულფატურ, ალუვიურ, წითელმიწა ნიადაგში 3-26%-ით ანუ 216-1872გ/ჸა მცირდება წყალგამძლე აგრეგატების ოდენობა.
3. დამლაშებულ და სუბტროპიკულ ეწერ ნიადაგებში აგრონომიულად სრულფასოვანი სტრუქტურული აგრეგატების ოდენობა 18-16%-ით ანუ 3312 და 1152 გ/ჸა იზრდება, ყამირ ნიადაგთან შედარებით.

2012 წლის სსმმ აკადემიის მოამბის იმავე ნომერში გამოქვეყნდა მე-2 შრომა-„ანთროპოგენული ფაქტორების გავლენა სუბტროპიკული ეწერი ნიადაგის წყლიერ თვისებებზე,“ რომელშიც მოცემულია:

1. სუბტროპიკული ეწერი ყამირი ნიადაგის ათვისება ჩაის პლანტაციებისთვის და მათი ხანგრძლივად გამოყენება მნიშვნელოვნად აუმჯობესებს მათ თვისებებს, რაც ამ ნიადაგების გაკულტურების რეალური მაჩვენებელია.

2. სარწყავი ნიადაგების რაციონალურად გამოყენებისთვის აუცილებელია განსაზღვრული იქნას წყალგამტარობა, სავალე ზღვრული ტენტევადობა, მცენარეთა ჭკნობის ტენი და ნიადაგის კაპილარებში წყლის კავშირის წყვეტის ტენი.
3. მცენარეთა ნორმალური ზრდა-განვითარებისთვის ნიადაგში წყლის შემცველობა უნდა მერყეობდეს სავალე ზღვრულ ტენტევადობისა და ნიადაგის კაპილარებში წყლის კავშირის წყვეტას შორის არსებული სხვაობით.
4. ვენახის ნიადაგში ყურძნის სიმწიფის დასასრულისთვის ტენის შემცველობა უნდა იყოს მის კაპლარებში წყლის კავშირის წყვეტასთა ახლოს.
5. ზუგდიდის ზონაში მოსული ნალექების ინიტენსიობა, უმეტეს წილად აჭარბებს წყალგამტარობას, რაც თავისთავად აძლიერებს ეროზიულ მოვლენებს, ხოლო ჩაის პლანტაციებში პირიქით, წყალგამტარობა მნიშვნელოვნად აღემატება მოსული ნალექების ინტენსიობას და ოდენობას, რაც მოლიანად გამორიცხავს ეროზიულ მოვლენებს.

2012 წლის სემ აკადემიის მოამბის 31 ნომერში გამოქვეყნებულია 4 ნაშრომი:

I. „ანთროპოგენული ფაქტორების გავლენა ყავისფერი კარბონატული ნიადაგის ქიმიურ თვისებებზე“ რომლებშიც მოცემულია:

1. ყავისფერი კარბონატული ნიადაგის დაპლანტაჟება და 46 წლის განმავლობაში გამოყენება მოლიანად ცვლის იერსახეს (შეხებას).
2. ნიადაგის ნიმუშების გამოწვითი ნაშთი იზრდება C_aO და ჰუმურის შემცველობის შესაბამისად.
3. ვენახის ვარიანტებში შეიმჩნევა SiO_2 შემცველობის ზრდა და ერთნახევარი ჟანგეულების შემცირება, ყამირთან შედარებით, ხოლო $SiO_2 : R_2O_3 = 4-6$ ფარგლებშია.
4. ვენახის ვარიანტებში ჰუმურის შემცირება სიღრმეების შესაბამისად ერთმეტრიან ფენაში 88, 48 და 81 ტ/ჰა-ს შეადგენს.
5. საცდელი ვარიანტების ნიადაგებში ჰუმურის ჯგუფური და ფრაქციული შემადგენლობის მიხედვით პირველ ადგილს მეორე ფრაქცია, მეორეს პირველი ხოლო უკანასკნელს მესამე ფრაქცია იკავებს.
6. ყველა ვარიანტში უხსნადი ნახშირბადის შემცველობა საერთო ნახშირბადიდან ნახევარზე მეტს შეადგენს ხოლო $C_3 : C_2 = \text{მნიშვნელოვნად}$ იზრდება პლანტაჟირებულ ვარიანტებში, რაც აერაციის პროცესების გაუმჯობესებითაა განპირობებული.

II. „ანთროპოგენული ფაქტორების გავლენა ყავისფერი კარბონატული ნიადაგის ფიზიკო-ქიმიურ თვისებებზე.“ რომლებშიც მოცემულია:

1. ყავისფერი კარბონატული ნიადაგის 46 წლის განმავლობაში გამოყენების შედეგად და პირველადი დამუშავებისა და სიღრმის შესაბამისად 1 მ ფენაში

პუმუსის და საკვების ელემენტების როგორც მთლიანი, ისე მცენარეებისათვის შესათავსებელი მარაგები მცირდება.

2. პირველადი დამუშავების სიღრმეების მატების შესაბამისად იზრდება შთანთქმული კალციუმი.
3. ფოსფორიანი და კალციუმიანი სასუქები შეტანილი უნდა იქნას მარაგების სახით პლანტაჟის დროს მთელ სიღრმეზე და მისი განახლების პროცესების პერიოდულობის შესაბამისად.

III. „ყავისფერი კარბონატული ნიადაგის პირველადი დამუშავების სიღრმის გავლენა დიფერენციულ ფორმსნობაზე,” რომელშიც მოცემულია:

ყავისფერი საშუალო სისქის, სიღრმით ძლიერ კარბონატულ, მსუბუქი ნიადაგის საერთო ფორმების მოცულობისა და მათი კატეგორიათა შეთანაწყობის მიხედვით, ცდაში შემავალი რვა ვარიანტიდან უპირატესობა 60 სმ სიღრმეზე დაპლანტაჟებულს ეძლევა. სწორედ ამ ვარიანტის ნიადაგებშია ოპტიმალურ ფარგლებში ფიზიკური თვისებები, რაც თავისთავად განაპირობებს ვაზის მიწისზედა და მიწისქვედა ორგანოების ძლიერ ზრდას და მოსავლიანობის მატებას.

IV. „ანთროპოგენული ფაქტორების გავლენა ყავისფერი კარბონატული ნიადაგის წყალგამტარიანობაზე,” რომელშიც მოცემულია:

1. ყავისფერი კარბონატული, საშუალო სისქის, ნიადაგის ქვედაფენებში კარბონატების 40-60% შემცველობის, ყამირ ნიადაგში 6 საათში გატარებული წყლის ოდენობა, 210 მმ აღემატება მე-8 ვარიანტის რიგითაშორისებში გატარებული წყლის ოდენობას.
 2. მეექვსე და მესამე ვარიანტების რიგთაშორის გატარებული წყლის ოდენობა 84 და 36 მმ აღემატება ყამირი ნიადაგის 6 საათში გატარებული წყლის ოდენობას.
 3. მე-8, მე-6 და მე-3 ვარიანტების შესაბამისად რიგში მცენარეთაშორის 6 საათში გატარებული წყლის ოდენობა 1542, 1338 და 1098 მმ აღემატებიან შესაბამისი ვარიანტების რიგთაშორისებში 6 საათში გატარებული წყლის ოდენობას.
 4. მოტანილი მასალებიდან ნათლად ჩანს, რომ ყავისფერი კარბონატული ნიადაგის ოპტიმალურ სიღრმეზე დაპლანტაჟება, ვენახების ჰორიზონტალურების მიხედვით გაშენებისა და 46 წლის განმავლობაში გამოყენების შედეგად გატარებული წყლის ოდენობა მნიშვნელოვნად აღემატება ამ ზონაში მოსული ნალექის ოდენობას და ინტენსიონას, რაც მთლიანად გამორიცხავს წყლისმიურ ერთიულ მოვლენებს.
- აღნიშნული ნაშრომებიდან გამომდინარე, ნათელი ხდება, რომ ყავისფერი, სიღრმით ძლიერ კარბონატული, საშუალო სისქის ნიადაგების დაპლანტაჟების ოპტიმალურ სიღრმეს 60 სმ წარმოადგენს. იგი აგროწესებით დაკანონებულია აღმოსავლეთ საქართველოს ყველა ტიპისა და ქვედატიპების ნიადაგებისთვის, რაც არასწორად მიგვაჩნია.

აკადემიის წევრ-ქორესპონდენტის ჯ. ონიანის

რეკომენდაციები ნიადაგის დატენიანების ზოგიერთ საკითხზე:

ნიადაგებში წყლიერ თვისებათა ხელოვნურად რეგულირებით (მორწყვით) იქმნება უკეთესი პირობები, მათი დამუშავებისა და მცენარეთა ნორმალური ზრდა-განვითარებისათვის. ნიადაგში ტენის ოპტიმალურ შემცველობაზე უშუალოდ არის დამოკიდებული მაღალხარისხის მოსავლისა და დამუშავებული ფენის მიღება.

1. სხვადასხვა სასოფლო-სამეურნეო კულტურებისათვის ათვისებული ერთი და იგივე ნიადაგი, გარკვეული დროის გავლის შემდეგ, მოითხოვს ნიადაგების დამუშავებისა და მცენარეთა ნორმალური ზრდა-განვითარებისათვის განსხვავებულ ტენიანობებს.

სასოფლო-სამეურნეო კულტურათა აღწარმოების მიზნით აუცილებელია მათში ტენის შემცველობის ოპტიმალურ ფარგლებში რეგულირება ნიადაგების ტიპურ თავისებურებათა მიხედვით.

2. ზედა ზღვრად, როგორც წესი, მიზნეული უნდა იქნას საველე ზღვრული ტენტევადობა, ხოლო ქვედა ზღვრად მისი 80% და არა მცენარეში წყლის შესვლის შენელების მომენტში ნიადაგში ტენის შემცველობა, ე.ი. ნიადაგის მორწყვა უნდა დაგიწყოთ მაშინ, როდესაც ფესვთა სისტემის განვითარების ძირითად ფენაში ტენის საშუალო შემცველობა შემცირდება სავლე ზღვრული ტენტევადობის 80%-მდე და უნდა გაგრძელდეს მანამ აღნიშნულ ფენაში წყლის შემცველობა საველე ზღვრულ ტენტევადობამდე არ მიაღწვევს.

წყლიერ თვისებათა რეგულირებისათვის აუცილებლად უნდა განისაზღვროს აქტიური ფენის საველე ზღვრული ტენტევადობა, ე.ი. მორწყვის ზედა ზღვარი. ერთსა და იმავე ნიადაგში საველე ზღვრული ტენტევადობა იცვლება მექანიკური შედგენილობის, მოცულობითი წონისა და ჰუმურის შემცველობის მიხედვით.

3. აგროკულტურებისათვის გამოყენებულ ნიადაგებში წყლის თანაბრად განაწილების მიზნით საჭიროა ფართობის ზედაპირის კარგად მოსწორება, რათა თავიდან ავიცილოთ ცალკეულ ადგილებში წყლის დაგუბება. კარგად მოსწორებულ სარწყავ ნაკვეთებზე მრწყველს უმსუბუქდება შრომა, უმჯობესდება წყლის ხარისხი და მცირდება წყლის ხარჯვა.

ნაკვეთების სათანადოდ მომზადების შემდეგ სასოფლო-სამეურნეო კულტურათა მოვლა-მოყვანის თავისებურებათა და ნიადაგების თვისებათა შესაბამისად, გამოიყენება მორწყვის 4 ძირითადი წესი: ზედაპირული, დაწვიმებით, ნიადაგქვეშა და წვეთოვანი.

ზედაპირული მორწყვის უარყოფითი მხარეებია: სარწყავ ფართობზე წყლის არათანაბარი განაწილება, სტრუქტურის გაუარესება, მძიმე მექანიკური შედგენილობის ნიადაგების გამკვრივება, აერაციის პროცესების შემცირება და გამოშრობის შედეგად ძლიერი დანაპრალება. ზედაპირული მორწყვა საშუალო საკეტარო მოსავლიანობას 30-50%-ით ზრდის.

წყლის გაუონვითი და ფიზიკური აორთქლებითი დანაკარგების შემცირებისა და არხებთან მიმდებარე ნაკვეთების დაჭაობების თავიდან ასაცილებლად ძირითადი სარწყავი არხები მიღსადენებით, თუ ამის საშუალება არ არის, მაშინ რკინა-ბეტონის ან მოპირკეთებული კედლებიანი ღია არხებით უნდა იყოს გაყვანილი, რომელთაგანაც უნდა ხდებოდეს წყლის სარწყავ ქსელში განაწილება.

4. დაწვიმება წყლის მიწოდების უკელაზე პერსპექტიული ხერხია, იგი წარმატებით გამოიყენება ყოველგვარი რელიეფის პირობებში. დაწვიმების უპირატესობას წარმოადგენს: მექანიზაციის მაქსიმალური გამოყენება, წყლის რეგულარული ხარჯვა, ფართობზე თანაბარი განაწილება, პაერის შეფარდებითი ტენიანობის ზრდა. პაერის და მცენარის ტემპერატურის შემცირება და გამოყენების მეტი ეფექტურობა.
დაწვიმებიც მორწყვით მასობრივი დანერგვის ხელშემშლელ პირობებს პირველდაწყებითი დიდი კაპიტალდაბანდება (თუმცა მკვეთრად მცირდება საექსპლუატაციო ხარჯები) და ძლიერი ქარები წარმოდგენს. ეს უკანასკნელი წყლის არათანაბარ განაწილება იწვევს. სასოფლო-სამეურნეო კულტურების დაწვიმებით მორწყვა, ზედაპირულთან შედარებით მოსავლიანობას 20-30%-ით ზრდის.
5. ნიადაგქვეშა მორწყვა პერსპექტიულია კარგი ფიზიკური და წყლიერი თვისებების მქონე ნიადაგებზე გაშენებულ მრავალწლოვან ნარგავებში. ნიადაგქვეშა სარწყავი სისტემა ეწყობა პლანტაჟის სიღრმეზე. ამ სიღრმეზე ჩაწყობილი სარწყავი სისტემა უზრუნველყოფს ნიადაგში წყლიერ თვისებათა რეგულირებას. ნიადაგქვეშა მორწყვის შედეგად ნიადაგის აქტიურ ფენაში ტენის შემცველობა თითქმის ყოველთვის უტოლდება კაპილარულ ტენტევადობას და იგი უზრუნველყოფს მრავალწლოვანი ნარგავების ძლიერ ზრდა-განვითარებას.
ნიადაგქვეშა მორწყვა საშუალებას იძლევა შევინარჩუნოთ ზედაფენების სტრუქტურული მდგომარეობა, შეგამციროთ დანახარჯები, როგორც ზედაპირის მოსწორებაზე, ისე მორწყვაზე და მაქსიმალურად გამოვიყენოთ ნიადაგების მექანიზაციით დამუშავება. ნიადაგქვეშა მორწყვასაც აქვს უარყოფითი მხარეები: დიდი კაპიტალდაბანდება, მიღებზე გაკეთებული ნახვრეტების, როგორც ნიადაგის უწვრილესი ნაწილაკებით, ისე მცენარეთა ფესვებით დაცობა და მცენარეზე უარყოფითად მოქმედი მარილების ზევით ამოწევა.
6. წევეთოვანი მორწყვა ფართოდ უნდა იქნეს გამოყენებული კარგი გაუონვითი თვისებების მქონე ნიადაგებზე გაშენებულ ინტენსიურ ბალებში, ვენახებში და განსაკუთრებით კენკროვნებში. ამ ახალი წესის თავისებურება ის არის, რომ იგი მუდმივად უზრუნველყოფს მცენარეებს წყლით, რომლის რეგულირებაც ხდება საწვეთურებიდან დაწვეთების ინტენსივობის ზრდით. ფესვთა სისტემის მოქმედების ზონაში წყლის მიწოდება ხდება პლასტმასის

მიღებთან შეერთებული სავეთურებით, რომელიც თავსდება ნიადაგის ზედაპირზე ან შტამპზე.

წვეთოვანი მორწყვის უპირატესობა, სხვა წესებთან შედარებით, აიხსნება მის ლოკალურობაში, დატენიანების უწყვეტობაში, წყლის ეკონომიურად ხარჯვაში და სრულ ავტომატიზაციაში.

ნიადაგში ტენის დეფიციტის პირობებში კარგ შედეგს იძლევა შემოდგომა-ზამთრის მორწყვა, რომელიც განაპირობებს ტენის მარაგის შექმნას და ნიადაგში მოზამთრე მატლების, ჭუპრებისა და მღრღნელების მოსპობას.

4.1.1.17. აკადემიის წევრ-კორესპონდენტი თენგიზ ურუშაძე



I. 2012 წელს თსუ გამომცემლობაში გადაცემულია დასაბეჭდად ორი სახელმძღვანელო – “ნიადაგების კლასიფიკაცია” და “გამოყენებითი ეკოლოგიის საფუძვლები” (თანაავტორით).

II.სტატიები:

1.T.G.Andronikashvili, T.F.Urushadze, T.N. Kordzakhia, L.G.Eprikashvili, M.A.Dzagania-To certain features of the influence of organic-zeolitic fertilizers on character of development of plants - Annals of Agrarian Science, vol.10, No. 3, 2012, pp. 22-29.

თ.გ. ანდრონიკაშვილი, თ.თ. ურუშაძე, თ.ნ. კორძახია, ლ.გ. ეპრიკაშვილი, მ.ა. მაგანია – მცენარეების განვითარების ხასიათზე ორგანო-ცეოლიტური სასუქების ზემოქმედების ზოგიერთი თავისებურების შესახებ – აგრარულ მეცნიერებათა მაცნე, ტომ.10, ნომ. 3, 2012, გვ. 22-29. განხილულია მცენარეთა განვითარების ხასიათზე ორგანულ-ცეოლიტური სასუქების ზემოქმედების ზოგიერთი ხასიათი.

2. თ. ურუშაძე, თ. ქვრივიშვილი, ე. სანაძე, რ. კახაძე -აღმოსავლეთ საქართველოში გავრცელებული კამბისოლების თავისებურებანი - საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის მოამბე, 30, 2012, გვ.177-182. მოცემულია აღმოსავლეთ საქართველოში გავრცელებული კამბისოლების თავისებურებანი.

3. Т. Урушадзе, Т. Квривишвили, Л. Мачавариани, Э. Санадзе-Особенности почв субтропиков Восточной Грузии. НАН Азербайджана, Отделение аграрных наук, Общество почвоведов Азербайджана, том X11, часть 11, 2012, с. 619-622.

თ. ურუშაძე, თ. ქვრივიშვილი, ლ. მაჭავარიანი, ე. სანაძე – აღმოსავლეთ საქართველოს სუბტროპიკების ნიადაგების თავისებურებანი. აზერბაიჯანის მეცნიერებათა ეროვნული აკადემია. აგრარულ მეცნიერებათა განყოფილება. აზერბაიჯანის ნიადაგმცოდნეთა საზოგადოება, ტომი XII, ნაწილი 11, 2012, გვ. 619-622. განხილულია აღმოსავლეთ საქართველოს სუბტროპიკების ნიადაგების თავისებურებანი;

II. მონაწილეობა საერთაშორისო და ადგილობრივ კონფერენციებში და მათი თემისები:

I. ევროპის ნიადაგმცოდნეთა კონგრესზე-ბარი, იტალია, ივნისი 2012 -EUROSOIL-2012

1. T.Urushadze, T. Hanauer, D. Steffens, S. Schnell, L. Wichmann, , L. Navrozashvili, E. Narimanidze, B. Kalandaze, P. Felix-Henningsen-Properties of kastanozems and their potential For heavy metals fixation in the Mashavera valley, south of Tbilisi (Georgia).

თ. ურუშაძე, თ. ჰანაუერი, დ. სტეფენსი, ს. შნელი, ლ. ვიქსმანი, ლ. ნავროზაშვილი, ე. ნარიმანიძე, ბ. კალაძე, პ. ფელი-ჰენინგი - კასტანოზემების თვისებები და მათი პოტენციალი მძიმე ლითონების ფიქსაციაში მაშავერას ველზე, თბილისის სამხრეთით (საქართველო).

მოცემულია კასტანოზემების თვისებები და მათი მძიმე მეტალების ფიქსაციის პოტენციალი;

2. T. Kvrivishvili, T. Urushadze, L. Matchavariani, E. Sanadze, G. Gambashidze-Experience use of World Soil Resources (WRB) in Georgia (on example of the humid subtropic soils).

თ. ქვრივიშვილი, თ. ურუშაძე, ლ. მაჭავარიანი, ე. სანაძე, გ. ღამბაშიძე – ნიადაგების მსოფლიო რესურსების (ნმმ) გამოყენების გამოცდილება საქართველოში (ტენიანი სუბტროპიკული ნიადაგების მაგალითზე).

განხილულია საქართველოს ტენიანი სუბტროპიკების ნიადაგების მაგალითზე (წითელმიწები, ყვითელმიწები, ყვითელმიწა-ეწერები, ყვითელ-ყომრალი) ნიადაგების მსოფლიო რესურსების (ნმმ) გამოყენების გამოცდილება.

3. B. Kalandadze, T. Hanauer, D. Steffens, S.Schnell, L. Wichmann, E. Narimanidze, L. Navrozashvili, T. Urushadze, P.Felix-Henningsen-Experience of the remediation of soils polluted by heavy metals in irrigation district in Southern Georgia

ბ. კალაძე, თ. ჰანაუერი, დ. სტეფენსი, ს. შნელი, ლ. ვიქსმანი, ე. ნარიმანიძე, ლ. ნავროზაშვილი, თ. ურუშაძე, პ. ფელი-ჰენინგი – სამხრეთ საქართველოს ირიგაციულ რეგიონში მძიმე ლითონებით დაბინძურებული ნიადაგების აღდგენის გამოცდილება

მოტანილი დაბინძურებული ნიადაგების აღდგენის ზოგიერთი ასპექტი;

4. L. Navrozashvili, T. Hanauer, D. Steffens, S.Schnell, L. Wichmann, E. Narimanidze,
B. Kalandadze, T. Urushadze, P.Felix-Henningsen- Transfer of Cd, Cu and Zn from soil into food
crops in the Mashavera valley, Georgia.

ლ. ნავროზაშვილი, თ. ჰანაური, დ. სტეფენსი, ს. შემანი, ე. ნარიმანიძე, ბ. კალაძე, თ. ურუშაძე, პ. ფელიქს-ჰენინგსენ – საქართველოში
მაშავერას ველზე, ნიადაგიდან საკვებ კულტურებში Cd, Cu და Zn გადაადგილების
თავისებურებანი.

განხილულია ნიადაგსა და საკვებს შორის კადმიუმის, სპილენძისა და თუთიის
გადაადგილების თავისებურებანი მაშავერას ველზე კაზრეთის მიდამოებში.

5. აკადემიკოს გასან ალიევის დაბადებიდან 105 წლისადმი მიძღვნილი საერთაშორისო
კონფერენცია, ბაქო 2012-7-8 ნოემბერი.

Г.Ш. Мамедов, Т.Ф. Урушадзе – Почвенно-экологические проблемы горных территорий
(на примере южного склона Большого Кавказа).

ჟ. შ. მამედოვი, თ.ფ. ურუშაძე – მთის ტერიტორიების ნიადაგურ-ეკოლოგიური
პრობლემები (მთავარი კავკასიონის სამხრეთ ფერდობის მაგალითზე).

დახასიათებულია მთის ტერიტორიების ნიადაგურ-ეკოლოგიური პრობლემები დიდი
კავკასიონის სამხრეთ ფერდობის მაგალითზე.

6. სამეცნიერო-პრაქტიკული კონფერენცია „ხელოვნური ფიჭვნარების
ბიომრავალფეროვნება და მისი ინგრირებული დაცვა“ (აპრილი, თბილისი), სადაც
აკად. წ/კ თ. ურუშაძე გამოვიდა მოხსენებით: “ფიჭვნარების ნიადაგების
ეკოლოგიური თავისებურებანი”;

7. საერთაშორისო კონფერენცია “დედამიწა, ბუნებრივი კატაკლიზმები და ტყეები”
(აპრილი, ქობულეთი), სადაც გაკეთდა მოხსენებები: 1) “აჭარის ძირითადი
მერქნიანი სახეობების ეკოლოგიური პოტენციალი” (თანამომხსენებელი); 2)
“აჭარის ძირითადი მერქნიანი სახეობების ეკოლოგიური ვალენტობა”
(თანამომხსენებელი);

8. საერთაშორისო სამეცნიერო-პრაქტიკული კონფერენცია “ინოვაციური
ტექნოლოგიები და გარემოს დაცვა” (მაისი, ქუთაისი), სადაც წაკითხულ იქნა
მოხსენება: “ეროვნია საქართველოს ძირითად ნიადაგში” (თანამომხსენებელი);

9. საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია “აზერბაიჯანის ნიადაგები: გენეზისი,
გეოგრაფია, მედიორაცია, რაციონალური გამოყენება და ეკოლოგია” (ივნისი,
ბაქო), სადაც წაკითხულ იქნა მოხსენებები: 1) “Scientific Relations of Georgia and
Azerbaijan: Yesterday and Today” (თანამომხსენებელი); 2)” Особенности почв
субтропиков Восточной Грузии”

(თანამომხსენებელი);

10. ევროპის ნიადაგმცოდნეთა კონგრესი: EUROSOIL 2012, სადაც პქონდა 5

პრეზენტაცია (თანაავტორებთან) და იყო სამეცნიერო კომიტეტის წევრი.

III. საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის საწარმოო ძალების და ბუნებრივ
ცენტრში მონაწილეობდა როგორც ერთ-ერთი ხელმძღვანელი – “თბილისის

ფიზიკურ-გეოგრაფიული დახასიათების „შესწავლა” - მომზადებულია კოლექტიური ნაშრომი, რომელიც გადაეცა დასაბეჭდად.

IV.ა) შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის გრანტი “საქართველოს ნიადაგების გამოკვლევა/სისტემატიზაცია ნიადაგების რესურსების მსოფლიო მონაცემთა ბაზის საფუძველზე” – 01.01.2010-31.12.2012 – გრანტის ხელმძღვანელი.

ბ) საზღვარგარეთის გრანტი – “Transfer of Heavy Metals into the Food Chain from Heavily Polluted Soils on Irrigation District in Southern Georgia” – “მძიმე ლითონების გადაადგილება საკვებ კულტურებში მძიმე ლითონებით დაბინძურებულ ნიადაგებზე ირიგაციულ რეგიონში სამხრეთ საქართველოში” – 01.05-2009 – 01.05-2012 – სამეცნიერო პარტნიორი.

V. წინადადებები “საქართველოში მეცნიერების განვითარების საკითხებზე” – ხელმძღვანელობდა საქართველოს მეცნიერებათა ეროვნულ აკადემიაში შექმნილ კომისიას საქართველოში მეცნიერების განვითარების შესახებ.

4.1.1.18. აკადემიის წევრ-კორესპონდენტი ოთარ ლორჯომელაძე



I. გრძელდება მუშაობა პრობლემაზე: „ეროზიული პროცესების შესწავლა სხვადასხვა საგარეულების ქვეშ და ნიადაგის ნაყოფიერების აღდგენა-გაუმჯობესების დონისძიებანი“, 631.459 (ნიადაგის ეროზია) და 631.45 (ნიადაგის ნაყოფიერება). ცნობილია, რომ შიდამთიანი აჭარა სასიათდება მთა-გორიანი, გორაქ-ბორცვიანი რელიეფით, ციცაბო ფერდობებითა და უხვნალექიანობით. სწორედ მცირემიწიანობის გამო მოსახლეობა იძილებულია ერთწლოვანი სათოხნი კულტურების ქვეშაც კი გამოიყენოს 30-35 გრადუსით და უფრო მეტად დახრილი ფერდობები, ამიტომაც აქ დომინირებს – სიმინდი, კარტოფილი, თამბაქო, არის წვრილნაკვეთიანობა და გააქტიურებულია ეროზიული პროცესები. აღნიშნულიდან გამომდინარე მოსახლეობისა და მეცნიერის კვლევის ინტერესებში შედის შემდეგი საკითხების შესწავლა: ა) ეროზიული პროცესების შედეგად ხმარებიდან გამოსული მიწების გამოვლენა-აღრიცხვის, მათი დაკარგული ნაყოფირების აღდგენა-გაუმჯობესებისა და სასოფლო-სამეურნეო ბრუნვაში კვლავ ჩართვის დონისძიებები; ბ) სიდერაცია და ნიადაგის ნაყოფიერებასთან დაკავშირებული ასპექტები სრულასაკოვან და სრულმოსავლიან ხეხილოვანთა ბაზებში; გ) კულტურული თხილის ბიო-ეკოლოგია, გავრცელება და მოვლა-მოყვანა შიდამთიან აჭარაში (ხელოს რაიგნი, სოფ. ლურტა).

აღნიშნულ პრობლემაზე მუშაობა მიმდინარეობს 1983 წლიდან – მოსკოვის მ.ვ. ლომონოსოვის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორის გ.ნ. ზასლავსკისა და დოცენტ შ. გვაზავას ხელმძღვანელობით, ხოლო 1989 წლიდან - დამოუკიდებლად.

II. კითხულობს ლექციების კურსს დისციპლინებში: “მსოფლიო ნიადაგების საფარის სტრუქტურა, ნიადაგის ეროზია და დაცვა”; “ეროზიათმცოდნეობა”; “მიწამოთქმედების საფუძვლები” (აღნიშნულ დისციპლინებში 2002 წლიდან 2011 წლამდე ლექციებს კითხულობდა ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის გეოგრაფიის დეპარტამენტში), ხოლო ამჟამად - აჭარის კოპერაციულ ინსტიტუტში.

III. 2012 წელს გამოქვეყნებულია და გამოსაცემად გადაცემულია შემდეგი სტატიები:

1. “ნიადაგის ეროზიის ნორმების შესახებ”. საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის ქურნალი “მოამბე”, 2012, № 30.

ნაშრომში განხილულია ეროზიის შედეგად ნიადაგის დანაკარგების აღრიცხვისა და მისი შემცირების გზების შესახებ.

2. “ნიადაგის ეროზიულობის დინამიკა წლის განმავლობაში”. საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის ქურნალი “მოამბე”, 2012, № 30.

მთაგორიანი, გორაკ-ბორცვიანი და უხვნალექიანი რეგიონის პირობებში გაანალიზებულია ნიადაგის დანაკარგების მექანიზმი, მისი აღრიცხვის შედეგები და სასოფლო-სამეურნეო კულტურათა გავლენა ნიადაგის ჩამორცხვაზე.

3. “Прогноз эрозийной опасности почв со склонов Аджарии”, Сообщения академии сельскохозяйственных наук Грузии, 2012, № 30.

В труде рассмотрены вопросы о восстановлении плодородия смытых разной степени почв на склонах внутригорной Аджарии.

4. “Некоторые вопросы об эрозии почв Аджарии”. Сообщения академии сельскохозяйственных наук Грузии, 2012, № 30.

Аджария типичная горная республика, где доминируют однолетние пропашные (кукуруза, картофель, табак и т.д.) культуры, где большое значение имеет внедрения противоэрзийных мероприятий.

5. “კომპონენტური წყალი გეოგრაფიულ გარემოში და ჰიდროატიული წყლის შემცველობა ნიადაგწარმოქმნის ენერგეტიკასთან დაკავშირებით”. საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის ქ. “მოამბე”, 2012, № 31.

ნაშრომში განხილულია წყლის როლის შესახებ და ნიადაგწარმოქმნის ენერგეტიკასთან დაკავშირებული მასალები.

6. “ნიადაგწარმოქმნის კლიმატურ-ენერგეტიკული პარამეტრების შესწავლასთან დაკავშირებული საკითხები”. საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის ჟ. “მოამბე”, 2012, № 31.

ნიადაგის შექმნისა და ჩამოყალიბების რთული და ხანგრძლივი პერიოდის განმავლობაში უდიდესია კლიმატურ-ენერგეტიკული პრობლემების როლი და სწორედ აღნიშნული საკითხებია განხილული მოცემულ შრომაში.

7. “ენერგეტიკული დანახარჯები ნიადაგწარმოქმნის პროცესში”. საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის ჟ. “მოამბე”, 2012, №31.

ნაშრომში ასახულია ნიადაგწარმოქმნასთან დაკავშირებული კვლევის შედეგები. სხვადასხვა მონაცემები საქართველოს ნიადაგებთან დაკავშირებით.

8. “ნიადაგის ეროზია და სტაციონარული კვლევის შედეგები”. საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის ჟ. “მოამბე”, 2012, №31.

ნაშრომში განხილულია ჩაის სუბტროპიკული კულტურებისა და ჩაის მრეწველობის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის აჭარის საყრდენ პუნქტი (ქედის რაიონი, სოფ. ზენდიდი) არსებული სტაციონარისა და საქართველოს ნიადაგმცოდნების, აგროქიმიისა და მელიორაციის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის კიცხისა და ხევის სტაციონარებიდან მიღებული ემპირიული კვლევის შედეგები. სხვადასხვა კულტურების შემთხვევაში ზედაპირულად ჩამონადენ წყლებთან ერთად ჩამონარეცხი და ჩამონაღვარი მყარი და თხევადი ფაზების ამსახველი მასალები.

გარდა ამისა, საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის ურნალ „მოამბეში“, ურნალ „კვალში“ და ურნალ «АгроэкоИМФИ»-ში (ქ. მოსკოვი) გამოსაცემად გადაცემულია 9 სტატია:

1. “აჭარის ეროზიორებული ტერიტორიების აღდგენა-გაუმჯობესება და სასოფლ-სამეურნეო ბრუნვაში კვლავ ჩართვის აუცილებლობა”;

2. “საქართველოს ნიადაგების და ნიადაგური საფარის თანამედროვე მდგომარეობა”;

3. “ეროზიული პროცესების გამოვლინებისა და ნიადაგწარმოქმნასთან დაკავშირებული ზოგიერთი საკითხის შესწავლის შესახებ”.

4. “ეროზიორებული პროცესების გამოვლინება ზემო იმერეთის მდინარეთა აუზებში”;

5. “О применении универсального уравнения потери почв от эрозии в Аджарии”.

6. “Восстановление плодородия смытых разной степени почв внутригорной Аджарии”.

7. "Охрана природы внутригорной Аджарии и горный туризм".
8. "Зашита почв от эрозии – основа экологической безопасности для Аджарии".
9. "Земельный фонд Аджарской А.Р. и защита почв от эрозии".

IV. ეროვნიული ტერიტორიების ნაყოფიერების აღდგენა-გაუმჯობესების პრობლემები შიდამთიან აჭარაში.

V. აჭარის კოოპერაციული ინსტიტუტის გამომცემლობა „მეცნიერება“-ს მთავარი რედაქტორის მოადგილე, საერთაშორისო სამეცნიერო ჟურნალი „კვალი“-ს სარედაქციო კოლეგიის წევრი.

VI. აგად. წ/კ ო . დორჯომელაძე ამჟამად მუშაობს აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის თავმჯდომარის მრჩეველად და აჭარის კოოპერაციულ ინსტიტუტში პროგრესულის თანამდებობაზე სამეცნიერო მუშაობის დარგში.

**აკადემიის წევრ-კორესპონდენტის ო. დორჯომელაძის
რეკომენდაციები ეროვნიული და სასოფლო-სამეურნეო ბრუნვიდან გამოსული
მიწების ნაყოფიერების აღდგენა-გაუმჯობესებისათვის:**

1. სასოფლო-სამეურნეო ბრუნვიდან გამოსული და მიტოვებული მიწების ათვისება იწყება ზედაპირის მოსუფთავებით და კულტურ-ტექნიკური სამუშაოების ჩატარებით. მიწით უნდა ამოივსოს ეროვნის შედეგად გაჩენილი ხრამები, დრანტეები, შეტანილი იქნეს ფოსფოროვანი სასუქი 500-600 კგ/ჰა-ზე ანგარიშით.
2. ფერდობებზე ნიადაგი ერთწლოვანი სათოხნი კულტურებისათვის უნდა მოიხსა 25 სმ სიღრმეზე ჩვეულებრივი, ერთტანიანი საბრუნი გუთნით, ცოცხალი გამწევი ძალის გამოყენებით.
3. აჭარის საყრდენ პუნქტში დოც. ზ. ბეროძის მიერ დამუშავებული იქნა 35⁰-მდე დახრილ ფერდობზე მრავალწლოვანი მცენარეების (მათ შორის ციტრუსების) გასაშენებლად ნიადაგის პირველადი დამუშავება მიკრო აფეთქებების მეთოდით.
4. მიტოვებული მიწების ნაყოფიერების აღდგენის საქმეში გამოყენებული უნდა იყოს ჩამონადენი მდგრიე წყლების ეროვნიულ ფართობებში შეშვებისა და მცირე ნაკადებად დანაწევრებული სახით მთელ ნაკვეთში განაწილების მეთოდი.
5. ფერდობებზე ნიადაგის ყოველგვარი დამუშავება და აგროტექნიკური ოპერაცია უნდა შესრულდეს დაქანების გარდიგარდმოდ, ე.ი. მისი დახრილობის გადამკვეთი (პერპენდიკულარული, კონტურული) მიმართულებით. კულტურათა მორწყვა კი უნდა განხორციელდეს რწყვის წვეთური და დაწვიმებითი წესების გამოყენებით.

6. მრავალწლოვანი სუბტროპიკული, სამხრეთული და ასევე სხვა საინტერესო კულტურების ფერდობებზე მწკრივთა განლაგება, მცენარეთა ნერგების დარგვა-გაშენება უნდა ხდებოდეს არა მარტო დახრილობის საწინააღმდეგოდ, არამედ მრავალწლოვანი მარცვლოვან-პარკოსანი ბალახნარეგებისაგან შექმნილი (კოინდარი-იონჯას; კოინდარი-სამყურას და სხვა) გ.წ. „ბუფერული ზოლები“-ს მორიგეობითაც;
7. შემოდგომა-ზამთრისა და გაზაფხულის ტრადიციული ინტენსიური ხასიათის წვიმების მოსვლის, ასევე თოვლის დნობის დროს ნიადაგები, რომ არ ჩამოირეცხოს, ნერგის დარგვის პირველსავე წლიდან ძირითადი კულტურებით ვარჯით შეკვრამდე პრაქტიკაში უნდა დავნერგოთ რიგთაშორისებში სასიდერაციო ბალახთესვა და სხვადასხვა ორგანული მასით მულჩირება.
8. ციტრუსების, სხვა სუბტროპიკული თუ კონტინენტალური ხეხილოვნების (თესლოვანები, კურკოვანები), ეთერზეთოვანი ვარდისა და ვაზის ახალგაზრთა და ჯერ კიდევ ვარჯშეუპრელი ნარგაოებების რიგთაშორისებში უნდა დაითესოს მრვალწლოვანი მარცვლოვან-პარკოსანი ბალახები – იონჯა – მრავალსათიბი კოინდარის ნარევი, ან ერთწლოვანი მარცვლოვან-პარკოსანი ბალახები: ცერცველა-შვრიას ნარევი, ასევე სოიო.
9. შექანიზირებული წესით დატერასებულ ფერდობებზე ბალახები პირველ წლებში უნდა დაითესოს მცენარეთა შტამბიდან 75 სმ-ის დაცილებით. შემდგომში ვარჯის განვითარების კვალობაზე, ბალახების სათეს ზოლს ვავიწროებთ და ვარჯშეუპრელ პლანტაციებში კი ბალახთესვა უნდა შევწყვიტოთ.
10. ახლად გაშენებული და ჯერ კიდევ ვარჯშეუპრელი ჩაის რიგთაშორისებში შემოდგომით უნდა დავთესოთ ცერცველა-შვრიას ნარევი. ბალახნარევს ვთიბავთ გაზაფხულზე და განათიბს, ისევე როგორც ჩაის ანასხლავ მასას, მულჩის სახით ვფენთ რიგთაშორისებში.
11. ფერდობებზე თამბაქოს, სიმინდისა და კარტოფილის მონაკულტურის შეწყვეტის მიზნით, ასევე მცირემიწიანობის გამო თესლბრუნვის დანერგვის სიძნელეთა მხედველობაში მიღებით, სახნავი მიწების მწვავე უკმარისობის გათვალისწინებით, პრაქტიკაში უნდა გამოვიყენოთ ხსენებული კულტურების მორიგეობა მრავალწლოვანი მარცვლოვან-პარკოსანი ბალახების ნათესებთან.
12. შექმნილი რეალური აუცილებლობიდან გამომდინარე ფერდობის ათვისების დროს ნაკვეთის ქანობის გათვალისწინებით უნდა მოეწყოს წყალმარებულირებელი კვლები ერთიმეორისაგან 15-20 მეტრის დაცილებით,

ხოლო ყოველი 8-10 მეტრის დაშორებით კი მრავალწლოვანი მარცვლოვან-პარკოსანი ბალახნარევებისაგან უნდა შევქმნათ 0,5-0,6 მ სიგანის ბუფერული ზოლები. სადაც ზემოთ აღნიშნული ოპერაციების შესრულება მისი მკვეთრი დაქანების გამო შეუძლებელი ხდება, იქ ერთწლოვანი სათოხნი კულტურების წარმოება უნდა შეწყდეს.

13. შეალებული კულტურების წარმოება მიზნობრივად უნდა შევუფარდოთ ძირითადი კულტურების მოვლა-მოყვანის ტექნოლოგიას, რათა შევინარჩუნოთ ნიადაგის ნაყოფიერება და ვიზრუნოთ მისი კიდევ უფრო ამაღლებისათვის.

ნიადაგდამცავი დონისძიებები სხვა კატეგორიის მიწებზე ისახავს შემდეგ ამოცანებს:

14. იმ ტერიტორიებზე, რომლებსაც ციცაბოობისა და სხვადასხვა მიზეზთა გამო არ ვითვისებოთ სასოფლო-სამეურნეო კულტურებისათვის და მასიური ბალების გასაშენებლად, კორდის საფარის შექმნის, მისი გამდელოების, ნაყოფიერების აღდგენა-გაუმჯობესებისა და ეროზიის აღკვეთის მიზნით უნდა დაითესოს მრვალწლოვანი მარცვლოვან-პარკოსანი (მრავალსათიბი კოინდარი-იონჯასთან; მრავალსათიბი კოინდარი-სამყურასთან) ბალახნარევები.

15. ზღვის დონიდან სიმაღლეთა სხვაობისა და ნიდაგურ-კლიმატური პირობების მხედველობაში მიღებით აჭარის მთელ ტერიტორიაზე დახრამულ და ეროზირებულ ნაკვეთებზე ნიადაგის დამაგრების მიზნით სადაც კი ამის შესაძლებლობა იქნება, მასიურად (ბევრგან კი ინდივიდუალური – ნარგაობების სახით) უნდა გავაშენოთ თხილი, დაფნა, მსხვილნაყოფა ტყემალი, ბერძნული კაპალი, ბამბუკი, იაპონური ხურმა, თესლოვანი და კურკოვანი ნაყოფის მომცემი და სხვა ძვირფასი ხე და ბუჩქოვანი მცენარეები;

16. მთავარი ყურადღება უნდა მიექცეს საძოვრების სწორ გამოყენებას, შემოღებული უნდა იქნეს ნაკვეთ-მორიგეობითი ძოვება, ცხოველთა ძოვების ნორმების დაცვით. ხოლო ძლიერ გაძოვილ ნაკვეთებზე ბუნებრივი ბალახების განახლების მიზნით 2-3 წლით უნდა აიკრძალოს ძოვება. დასახლებასთან ახლო მდებარე გაძოვილ ნაკვეთებზე საჭიროა გვალვისა და ძოვების გამძლე (ამტანი) ბალახების მთლიანი ან ზოლებრივი თესვა მინერალური სასუქების შეტანით და პირველ წელს მასში ძოვების აკრძალვით. საძოვრების ზედაპირული გაუმჯობესების მიზნით საჭიროა გავრმინდოთ ისინი ქვა-დორდისაგან, ეკალ-ბარდის, უვარგისი ბუჩქნარებისა და სხვადასხვა აბეზარი მცენარეულობებისაგან. უნდა შევთესოთ მარცვლოვან-პარკოსანი ბალახები და გამოვკვებოთ სასუქებით,

მოვახდინოთ გასარწყავება. ნიადაგის ეროვნის საწინააღმდეგო დონისძიებები უნდა გატარდეს ერთ მთლიანობაში, მაღალ აგროტექნიკურ ფონზე, ცალკეული მეურნეობების მიხედვით შედგენილი ნიადაგის გადარეცხილობის და ეროვნის წინააღმდეგ ბრძოლის სათანადო კარტოგრამების მიხედვით.

აკადემიის წევრ-კორესპონდენტის თ. დორჯომელაძის ხედვა სოფლის მეურნეობის განვითარების საკითხებზე

სოფლის მეურნეობის შემდგომი განვითარებისათვის მიზანშეწონილია განხორციელდეს რიგი ღონისძიებებისა, როგორიცაა:

1. სპეციალური საკრედიტო ინსტიტუტების შექმნა.

საერთაშორისო ორგანიზაციებთან დღეს თვისობრივად ახალი თანამშრომლობის ფორმირება გვესახება, რის შედეგადაც სასურსაო პუმანიტარული დახმარების გაწევის კურსიდან, აქცენტი გადატანილი უნდა იქნას წარმოების ზრდის ხელშეწყობისაკენ.

2. საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტროს მიერ უპირველეს ამოცანად უნდა დაისახოს სოფლის მეურნეობის განვითარების სტრატეგიის ჩამოყალიბება.

3. ძირითადი სტრატეგიული ალტერნატივების გათვალისწინებით ექსპორტზე ორიენტაცია და შიდა ბაზრის ადგილობრივი ნაწარმით გაჯერება.

4. მიზანშეწონილია, რეგიონალური მართვის საკითხთა საქართველოს სახელმწიფო მინისტრის აპარატში რეგიონალური განვითარების საკოორდინაციო ეროვნული ცენტრის შექმნა, შესაბამისი რეგიონალური წარმომადგენლობებით, რომელიც მოახდენს რეგიონში სხვადასხვა სამინისტროების საქმიანობის, ადგილობრივი ძალების და დაწესებულებების პარმონიზაციას, დიდ როლს ითამაშებს სოფლის და შესაბამისად მთლიანად ქვეყნის განვითარების საქმეში.

5. ბუნებრივ გეოგრაფიულ-კლიმატური პირობების ფონზე სამკურნალო-პროფილაქტიკური სოფლის მეურნეობის დარგის სადლეისოდ წამყვან სახელმწიფოებრივ პრიორიტეტად წარმოდგენა.

6. იმ პროდუქტების წარმოების ხელშეწყობამ, რომელიც ეველაზე მომგებიანია, როგორც წმინდა ეკონომიკური, ასევე სოციალურ-პოლიტიკური თვალსაზრისით.

7. თითოეულ ფერმერისთვის ისეთი ინფორმაციისა და კვალიფიცირების საშუალებების მიწოდება, რომელიც ორიენტირებული იქნება წარმოების მოთხოვნაზე. განსაკუთრებით საგარეო ბაზრებზე პოზიციების აღდგენასა და ახალი ბაზრების ათვისებაზე და სხვა.

8. ამ ეტაპზე შიდამთიან აჭარაში მოსახლეობის ეკონომიკური მდგომარეობის გაუმჯობესების ერთადერთი უსწრაფესი გზა თამბაქოს კულტურის აღდგენის დროებითი პროგრამა.

9. მთის მოსახლეობის სოფლად დამაგრებისა და სიღარიბის დაძლევის პრობლემები, რისთვისაც მიზანშეწონილია საქართველოს ხელისუფლებამ

დროებით (3-4 წლის განმავლობაში) სახელმწიფო კონტროლს დაუქვემდებაროს თამბაქოს წარმოებისა და რეალიზაციის საკითხები.

10. რეფორმების განხორციელება, რაც მოითხოვს როგორც ადმინისტრაციულ, და პოლიტიკურ გამოცდილებას, ისე კარგად დამუშავებულ სტრატეგიას (ტაქტიკას). ამიტომ რეფორმების წარმატებას მნიშვნელოვნად განსაზღვრავს მართვის ეფექტიანობა. გარდამავალ პერიოდში განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება შესაბამისი სამინისტროების, ასევე სამსარეო და ადგილობრივი ადმინისტრაციების ორგანიზებულობასა და პასუხისმგებლობას დარგში მიმდინარე პროცესების მართვის საქმეში. საქართველოს პარლამენტი სასწრაფოდ უნდა შემუშავდეს სპეციალური კანონ-პროექტი “სასოფლო-სამეურნეო და კულტურული მდგრადი განვითარების შესახებ”, ასევე “სასოფლო-სამეურნეო კოოპერაციის შესახებ”.

11. ნიადაგის ეროვნისაგან დასაცავად სატყეო სწრაფმოზარდი მცენარეების შერჩევა და ეროვნირებულ, დამეტყრილ, დასარევლიანებულ და გაშიშვლებულ ფერდობებზე ხელოვნური ტყეების გაშენება.

12. მეჩაიერების რეაბილიტაციის სტრატეგიული აუცილებლობა. ნაჩიარი პლანტაციების გამოყენება პირველ ხანებში სხვა კულტურის ქვეშ შეუძლებელია ნიადაგის ქიმიური მელიორაციის გარეშე, რაც დაკაშვირებულია კაპიტალდაბანდებებთან, დროსთან, სიძნელეებთან.

მცირე საწარმოების გაფართოების პროცესში თანდათანობით შეიძლება ძველი და ამორტიზირებული ჩაის პლანტაციების შეცვლა უხვმოსავლიანი და მაღალხარისხოვანი სელექციური ჯიშებით. მხედველობაში მისაღებია ისიც, რომ ჩვენში არსებულ ჩაის პლანტაციებს არ სჭირდება წამლობები, როგორც ეს ხდება ინდოეთში და სხვა ქვეყნებში. ამდენად, ჩვენში წარმოებული ჩაის პროდუქცია ეკოლოგიურად გაცილებით სუფთაა, ვიდრე საზღვარგარეთისა.

13. შიდამთიანი აჭარისათვის მეტად საინტერესო კულტურაა თხილი, რომელმაც ხულოს რაიონის სოფელ დურტაში ზღვის დონიდან 1100 მეტრის სიმაღლეზე საუკეთესო შედეგები მოგვცა. თხილის მოსავლიანობამ მთის პირობებში შეადგინა 5 ც/ჰა-ზე; გარდა ამისა თხილის, როგორც მრავალწლოვანი და მთავარდერძიანი ფესვთა სისტემის მქონე მცენარის ფერდობებზე ჭადრაკული წესით გაშენებისა და რიგორული მარცვლოვან - პარკისანი ბალახნარევების სასიდერაციოდ თესვის შემთხვევაში საუკეთესოდ იცავს ფერდობებს ჩამორეცხვისაგან.

14. შიდამთიან აჭარაში აგრეთვე ამ რეგიონისათვის სრულიად ახალი კულტურა - ეთერზეთოვანი ვარდი, რომელიც - ეკონომიკური კვლევის შედეგებიდან გამომდინარე, მეტად პერსპექტიულ კულტურად გვესახება. ვარდი, გარდა იმისა, რომ იძლევა ძვირფას და სურნელოვან ვარდის ეთერზეთს, (რომლის ერთი გრამი გაცილებით ძვირია, ვიდრე ერთი გრამი ოქრო) ის როგორც მრავალწლოვანი და ბუჩქოვანი მცენარე ფერდობებზე საიმედოდ იცავს ნიადაგს ჩამორეცხვისაგან.

15. მეციტრუსეობის დარგის აღდგენისა და განვითარებისათვის სპეციალური ფირმების შექმნა სახელმწიფოს პასუხისმგებლობით, რომლებიც ახლო საზღვარგარეთის ქვეყნებში მოქმედიან ციტრუსების ნაყოფის ხილის სახით

გასაღების ბაზარს (რა თქმაუნდა ხელშეკრულების საფუძველზე), ხოლო არასტანდარტულ ნაყოფს გადამუშავებს მურაბად ან გამაგრილებელ სასმელად. დამატებით უნდა გაიხსნას წუნდებული ნაყოფის მიმღებ-ჩამბარებელი რამოდენიმე ქარხანა თუ სურთ რეალურად დაეხმარონ ფერმერებს, მოსახლეობას. ასევე აღნიშნულმა ფირმამ ყურადღება უნდა მიაქციოს მინერალური და ორგანული სასუქების, პეტიციდების და სათანადო ტექნიკის შემოტანასაც, რომლის ორგანიზებულად დიდი რაოდენობით შემოტანა ხომ გაცილებით იაფი დაჯდება.

16. ციტრუსოვანთა ნაყოფის მოთხოვნილებაზე გაზრდის შემთხვევაში ამორტიზირებული და მობერებული ჩაის პლანტაციების ნაცვლად ნაგალა ფორმის აღრემწიფებადი ციტრუსოვანთა ბაღების - თუნდაც ქართული საადრეო და ტიახარა იუნშიუს ფორმების გაშენება, რომლებიც მწიფდებიან ოქტომბერში და მოსავლიანობით არ ჩამორჩებიან ჩვეულებრივ უნშიუს.

17. აჭარაში შესაძლებელია აგრეთვე სულ მცირე 600 ჰა სრულყოფილი ვენახის პლანტაციის მოვლა და შენახვა. თუ საშუალო საპექტარო მოსავალს 100 ცენტნერს ვიანგარიშებთ, შეიძლება დამზადდეს 6 ათასი ტონა მაღალხარისხის კურძენი. მათგან კი შეიძლება მაღალხარისხის ალკოჰოლიანი სასმელების წარმოება.

18. 25 გრადუსზე მეტად დახრილ ფერდობებზე ერთწლიანი სათოხნი კულტურების წარმოება. ფერდობებზე, მდინარეთა გასწვრივ, ხრამის პირებზე და ამგვარ ადგილებში უნდა გაშენდეს მრავალწლოვანი ნაყოფის მომცემი ხე და ბუჩქოვანი ნაყოფის მომცემი მცენარეები: აღმოსავლური ხურმა, კარალიოკი, თხილი, ბერძნული კაკალი, თესლოვანი და კურკოვანი ხილი, ეთერზეთოვანი ვარდი, ბარის ზონაში ჩაი (ქვედა, ნაწილობრივ შუახევი), ტყვემალი და სხვა. მრავალწლოვანი მარცლოვან-პარკოსანი ბალახნარევები, უნდა მოეწყოს წყალამრიდი არხები და სასოფლო სამეურნეო კულტურების წარმოების პროცესში აქტიურად უნდა ჩაირთოს სასიდერაციო და მოზამთრე-შუალედური კულტურების წარმოება, მრავალწლოვანი ხე და ბუჩქოვანი მცენარეების რიგთაშორისებში ორგანული მუხმასალის გამოყენება. ფერდობებზე ნიადაგის ყოველგვარი დამუშავება და კულტურათა მოვლა-მოყვანა უნდა ხდებოდეს აგროწესებით გათვალისწინებული მოთხოვნებისა და ნიადაგდამცავი ღონისძიებების მტკიცედ დაცვით.

19. შიდამთიანი აჭარაში უნდა განვითარდეს სამკურნალო მცენარეების და ტყის ნაყოფის მომცემი ნარგაობის რაოდენობა და ნაყოფების მიღების ტექნოლოგია.

4.1.1.19. აკადემიის წევრ-კორესპონდენტი გივი ცაგურიშვილი



საანგარიშო წელს აკადემიის წ/კ გ. ცაგურიშვილი მუშაობას აგრძელებდა საქართველოს აგრარულ უნივერსიტეტში აგრონომიული ფაკულტეტის ექსპერტის თანამდებობაზე. მონაწილეობდა უნივერსიტეტისა და აგრონომიული ფაკულტეტის ყოველდღიურ საქმიანობაში. სპეციალურ საგანში საჭიროების შემთხვევაში კითხულობდა ლექციებს, როგორც “შესავალ სპეციალობაში”, ასევე პროგრამით გათვალისწინებულ საკითხებში. კონსულტაციას უწევდა მაგისტრებსა და დოქტორანტებს. მონაწილეობას ღებულობდა ფაკულტეტის სამეცნიერო და სადისერტაციო საბჭოს მუშაობაში. მონაწილეობდა ზემდგომი ორგანოებიდან დავალებული საჭირო და სადაო საკითხების გადაწყვეტაში და სხვა.

ცნობილია, რომ ქვეყნის ხელისუფლებამ ამჟამად სოფლის მეურნეობა ერთ-ერთ პრიორიტეტულ დარგად გამოაცხადა, რომ იგი უახლოეს წლებში უნდა გახდეს მაღალრენტაბელური, კონკურენტუნარიანი და მდგრადი. აქედან გამომდინარე აკად. წ/კ გ. ცაგურიშვილი, როგორც გამოცდილი მიწათმოქმედი, ყოველნაირად ცდილობს თავისი ცოდნა და გამოცდილება გაუზიაროს, როგორც სტუდენტებს სწავლების პროცესში, ასევე წარმოებაში პრაქტიკულად დასაქმებულ ფერმერებსა და მიწათმფლობელებს.

მომზადებულია სტამბური წესით გამოსაცემად დარგობრივი აგროწევები: “მემცნენარეობაში”, “მებოსტნეობაში”, “საკვებ კულტურებში”, “მეხილეობაში”, “მევენახეობაში” და სხვა დარგებში, რომლებიც ბოლო 20-30 წელია არ გამოცემულა. ამ მიზნის განხორციელებისათვის საქმის კურსშია საქართველოს სოფლის მეურნეობის მინისტრი, რომელმაც მოიწონა ეს იდეა და დახმარებას დაპირდა. ასევე საქმის კურსშია მიწათმოქმედების სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის დირექტორი ა.მუმლაძე, რომ ტრადიციის შესაბამისად მოემზადებინათ სამი აგროწესი: “მემცნენარეობაში”, “მებოსტნეობაში” და “საკვებ კულტურებში”. “საკვები კულტურების” აგროწევების მომზადება ივალდებულა გ. ცაგურიშვილმა, რომლის წინა გამოცემებიც მისი მონაწილეობით კეთდებოდა, ხოლო “მემცნენარეობაში” და “მებოსტნეობაში” ეს საქმე უნდა შეესრულებინათ ინსტიტუტის შესაბამის განკოფილებებს. მიწათმოქმედების ინსტიტუტმა ეს სამუშაო შეასრულა და ივნისის თვისათვის სამივე აგროწესი მოამზადა დასაბეჭდად. სამწუხაროდ ამ საქმით თითქმის არავინ არ დაინტერესებულა, თუმცა მათი გამოქვეყნება გადაუდებლად საჭირო და აუცილებელია.

საქართველოს “აგროგეოს” დავალებით, რომელთაც ქვეყნის მასშტაბით შემოაქვთ სასოფლო-სამეურნეო კულტურების თესლები, სასუქები და მცენარეთა დაცვის საშუალებანი მომზადებულია მოკლე აგროტექნიკა მირითად სასოფლო-სამეურნეო კულტურებზე მათი მოვლა-მოყვანის საკითხებთან დაკავშირებით ოთხ კულტურაზე: ხორბალზე, მზესუმზირაზე, სოიასა და ლობიოზე; სამუშაო შესრულდა, რომლის მოცულობა შეადგენს 70 გვერდს. მომზადებულია აგრეთვე ერთი შრომა აკადემიის სამეცნიერო ჟურნალში გამოსაქვეყნებლად.

არის ლომოურის სახელობის მიწათმოქმედების სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის 2011 წლის ანგარიშის რეცენზენტი.

როგორც განყოფილების გამგის მოადგილე ერთწლოვან კულტურებში, ამჟამად მონაწილეობს განყოფილების მუშაობაში.

**აკადემიის წევრ-კორესპონდენტის გ. ცაგურიშვილის რეკომენდაციები
სოფლის მეურნეობის შემდგომი განვითარების ზოგიერთ საკითხებზე:**

1. ქვეყანაში რეგიონების გათვალისწინებით, რამდენიმე ფერმერის გაერთიანებით კახეთში, ქვემო ქართლში, შუა ქართლში, კოლხეთში, ქვემო და ზემო იმერეთში, რაჭა-ლეჩხუმში მაღალ დონეზე უნდა მოეწყოს ზონისათვის დამახასიათებელი კომპლექსური საჩვენებელი მეურნეობები. ასეთ მეურნეობასთან შეიძლება მოეწყოს სასოფლო-სამეურნეო ტექნიკის სერვის-ცენტრი, რომელიც მოემსახურება რეგიონში სამუშაოთა შესრულების მიმდინარეობას. იქვე შეიძლება მოეწყოს ასევე მცირე სიმძლავრის პროდუქტების გადამუშავების ცენტრებიც.
2. სადღეისოდ ძალზე დაბალია სახნავი მიწის გამოყენების დონე, რაც სასოფლო-სამეურნეო კულტურების დაბალ მოსავალში გამოიხატება.
3. შეურიგებელია ქვეყანაში სახნავი მიწის ფართობის შემცირების ტენდენცია.
4. ჩვენი ქვეყნის მცირე მიწიანობის პირობებში განსაკუთრებულ ყურადღებას იმსახურებს ერთ-ერთი გამოუყენებელი რეზერვის შუალედური კულტურების თესვა-მოყვანის საკითხი. შემოდგომა-ზამთრის შუალედური ტურნეფის და რაფსი, რომლებიც ითესებიან შემოდგომის დასაწყისში და მოსავალს იძლევიან როგორც შემოდგომაზე, ასევე გამოიყენებიან ზამთრის განმავლობაში აპრილის ბოლომდე, ჩვენი ქვეყნის შესანიშნავი გარემო პირობები, მცენარის ზრდა-განვითარების ხანგრძლივი სავეგეტაციო პერიოდი, აქტიურ ტემპერატურათა ჯამის სიდიდე (ზოგიერთ რეგიონში 4000-4500⁰), სარწყავი პირობები და ზოგიერთ ადგილებში ბუნებრივი ნალექები შუალედური კულტურების თესვა-მოყვანისათვის საუკეთესო პირობებს ქმნის.
5. საქართველოში და განსაკუთრებით დაბლობი ზონის პირობებში შუალედური კულტურებით ნათესი ფართობები თავისუფლად შეიძლება გაიზარდოს 180-200 ათას ჰექტარამდე. საქმის ასეთნაირი ორგანიზაციით ყოვლისშემძლე ქართული მიწა დაკავებული იქნება მთელი წლის განმავლობაში მოსავლის ქვეშ, რაც მომავალში ქვეყნის აღორძინების საიმედო გარანტიაა.

4.1.120. აკადემიის წევრ-კორესპონდენტი რევაზ ჯაბნიძე



1. სამეცნიერო თემატური გეგმით

გათვალისწინებული კვლევები:

ა) სამეცნიერო თემატური გეგმითან გამომდინარე აგრძელებდა მუშაობას თემაზე: "ბამბუკის ბიოლოგიური თავისებურებანი და მისი გავრცელება აჭარის პირობებში".

ანოტაცია: ბამბუკის პერსპექტიული სახეობების შესწავლა-გამოვლენის და მათი ბიომეტრიული მაჩვენებლის დამუშავების მიზნით, დაკვირვებები ტარდებოდა 2011-12 წლებში ფაკულტეტისა და მის მიმდებარე ტერიტორიაზე. ცდის პერიოდში გსწავლობდით ჩინური მადაკესა და მოსო ბამბუკების მცენარეებზე ზრდის დინამიკასა და ბიომეტრიულ მაჩვენებლებს. კერძოდ: ზრდის რიტმს, ამონაყრების წარმოქმნის ინტენსივობას, ვეგეტაციის დასაწყისსა და დასასრულს, მცენარის საშუალო სიმაღლეს, მუხლთაშორისების რაოდენობას, ფესვთა სისტემას, მცენარის საშუალო წონას (დეროები, ტოტები). კვლევები გაგრძელდება 2013 წელს.

ბ) "ჩინური აქტინიდიის (კივი) ზრდა-განვითარებისა და მოსავლიანობის თავისებურებები აჭარის სუბტროპიკულ ზონაში".

ანოტაცია: დაკვირვებები ტარდებოდა მცენარის ფენოლოგიური ფაზების პერიოდში ვეგეტაციის დასაწყისზე, მასიურ ყვავილობაზე, სხვადასხვა ტიპის ყლორტების ზრდის დინამიკაზე, ნაყოფების ზრდასა და მომწიფებაზე. შესწავლეთ მცენარის გასხვლის საკითხები, რომელიც ორ პერიოდად დაიყო: 1. გასხვლა მსხმოიარობაში შესვლამდე ანუ მაფორმირებელი გასხვლა და 2. გასხვლა მსხმოიარობაში შესვლის შემდეგ. სავეგეტაციო პერიოდში ტარდებოდა დაკვირვება ყლორტების ზრდა-განვითარებაზე. აქტინიდიის ბიოლოგიური თავისებურებებიდან გამოდინარე ნარგაობის მიწისზედა ორგანოების ზრდა-განვითარება მძლავრად მიმდინარეობს და მთელ არეს იჭერს, მოზვერა ლერწის პირველი ნაზარდი 2 მეტრს აჭარებს, მამრობითი მცენარეების სიმაღლე 3 მეტრს აღწევს. დაკვირვებები გაგრძელდება 2013 წელს

2. სახელმძღვანელო ან სხვა სასწავლო-მეთოდური ლიტერატურა.

ა) 2012 წელს მომზადებული აქვს გამოსაცემად სახელმძღვანელო: "სუბტროპიკული ტექნიკური კულტურები", რომელიც განკუთვნილი იქნება აგრარული დარგის სამივე საფეხურის სტუდენტების, სოფლის მეურნეობაში მომუშავე მეცნიერების, სპეციალისტებისა და ამ დარგით დაინტერესებულ მკითხველთა ფართო წრისათვის.

ნაშრომი ნაბეჭდი სახით წარმოდგენილია 405 გვერდზე, რომელიც აერთიანებს 40-მდე სახელწოდების კულტურებს, სადაც განხილულია მცენარეთა სახეობების, ჯიშების, ფორმებისა და კლონების მოვლა-მოყვანის ინტენსიური ტექნოლოგიები, მათი აღდგენა-განვითარების პროგნოზები და დაჩარებული რეაბილიტაციის გზები.

3. საზღვარგარეთ და საქართველოს რეცენზირებად საერთაშორისო და ადგილობრივი მნიშვნელობის მქონე ჟურნალებში გამოქვეყნებული სამეცნიერო ნაშრომების სია:

3.1. Сортимент хурмы восточной на черноморском побережье Грузии. №1829-0001. междунар. Журнал «Известия» Гос. Аграрный Университет Армений. №1. 2012 г. (Соавтор).

3.2. კლიმატის გლობალური ცვლილებების გავლენა სასოფლო-სამეურნეო კულტურების გავრცელების არეალზე მაღალმთიან რეგიონებში. - სამეცნიერო-პრაქტიკული კონფერენცია. ”დედამიწა. გლობალური ბუნებრივი კატაკლიზმები და ტექნიკი”. ბათუმი, 20-22 აპრილი, 2012 წ.

3.3. სოფლის მეურნეობის განვითარების ზოგიერთი პრობლემა და მათი გადაწყვეტის გზები - საერთაშორისო სამეცნიერო პრაქტიკული კონფერენცია. ქუთაისი. 30-31 მაისი, 2012 წ.

3.4. ციტრუსოვანთა პლანტაციებში ბიოლოგიურად მობერებული (ამორტიზირებული) მცენარეების რეაბილიტაციის შესახებ - ჟურნალი ”მოამბე” №32. ობილისი, 2012 წ.

3.5. Роль высококвалифицированных кадров в оптимизации фермерских хозяйств в субтропической зоне Грузии. Межд. Конф. Г. Ганджа (Азербайджан) 23-24 ноября, 2012 г.

3.6. სტევიას (ტებილი ორფოთოლას) მავნებელ-დაავადებანი და მათგან დაცვის ღონისძიებები - მესამე საერთაშორისო სამეცნიერო-პრაქტიკული კონფერენცია. გორის სუხიშვილების სასწავლო უნივერსიტეტი. გორი 14-15 დეკემბერი, 2012 წ.

4. საერთაშორისო და ადგილობრივი სამეცნიერო კონფერენციები

4.1. საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია – “სოფლის მეურნეობის განვითარების ზოგიერთი პრობლემა და მათი გადაწყვეტის გზები”, ქუთაისი. 30-31 მაისი, 2012 წ.

4.2. საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია – “სუბტროპიკული სოფლის მეურნეობის განვითარების ორიენტირებული სახელმწიფო მმართველობის როლი საბაზრო ურთიერთობის პირობებში”. გორის სახელმწიფო უნივერსიტეტი. ქ. გორი, 15-16 ოქტომბერი, 2012 წ.

4.3. Международная Конференция - «Роль высококвалифицированных кадров в оптимизации фермерских хозяйств в субтропической зоне Грузии». Г. Ганджа (Азербайджан) 23-24 ноября, 2012 г.

4.4. მესამე საერთაშორისო სამეცნიერო-პრაქტიკული კონფერენცია – “სტევიას (ტებილი ორფოთოლას) მავნებელ-დაავადებანი და მათგან დაცვის ღონისძიებები”. გორის სუხიშვილების სასწავლო უნივერსიტეტი. გორი 14-15 დეკემბერი, 2012 წ.

4.5. სამეცნიერო-პრაქტიკული კონფერენცია – “კლიმატის გლობალური ცვლილებების გავლენა სახოფლო-სამეცნიერო კულტურების გავრცელების არეალზე მაღალმთიან რეგიონებში”, ბათუმი, 20-22 აპრილი, 2012 წ.

5. საბაკალავრო და სადოქტორო ნაშრომების ხელმძღვანელობა

2012 წელს პროფ. რ. ჯაბნიძის ხელმძღვანელობით ორმა სტუდენტმა მოამზადა და წარმოადგინა საჯარო დაცვისათვის საბაკალავრო ნაშრომები თემაზე: ა) ნინო წითელაძე - ”აგრობიოლოგიური ფაქტორების გავლენა ჩინური აქტინიდის (კივი) ზრდა-განვითარებასა და პროდუქტიულობაზე. ბ) თამარ ფუტკარაძე - ”ციტრუსოვანთა გაშენებისა და მოვლა-მოყვანის ტექნოლოგია”.

6. იყო პროფესორ გურამ კილასონიას სახელმძღვანელოს: ”მემცნიარეობის საფუძვლები”-ს რედაქტორი, ასევე რეცენზენტი სახელმძღვანელოს - ”ნიადაგმცოდნეობა” ავტორები თ. ურუშაძე, შ. ლომინაძე, კ. ბაჯელიძე.

7. აკადემიის წ/კ რ. ჯაბნიძე არჩეული იყო საერთაშორისო სამეცნიერო-პრაქტიკული კონფერენციის საორგანიზაციო კომისიის წევრად, რომელიც ჩატარდა ქ. ქუთაისში 2012 წლის 30-31 მაისს, აკაკი წერეთლის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტში.

8. გრანტები და მიზნობრივ პროგრამებში მონაწილეობა.

8.1. მონაწილეობა აქვს მიღებული აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის სოფლის მეურნეობის სამინისტროს 2013 წლის მიზნობრივი პროგრამის №02-20/213 პროექტში, სადაც პროფესორ შოთა ლამპარაძესთან ერთად წარდგენილია პროექტი: ”აჭარის სუბტროპიკული ზონაში არსებულ ციტრუსოვანთა პლანტაციებში ბიოლოგიურად მობერებული მცენარეების აღწერის და მათი განახლების დონისძიებები”, რომელიც მიეცუთვნება თანამედროვე ტექნოლოგიების დემონსტრირების კატეგორიას.

პრობლემის აქტუალურობა:

დღეისათვის აჭარაში მწვავედ დგას მეციტრუსეობის საკითხი, რის გამოც პირველ რიგში უნდა ჩატარდეს ბიოლოგიურად მობერებული მცენარეების მონიტორინგი, რადგანაც საწარმოო ბაღების დიდი ნაწილი 80 წელზე მეტი სხისაა, ხოლო მაშინ როცა მცენარე სრულმოსავლიანობას 50 წლამდე ინარჩუნებს, შემდეგ მსხმოიარობა და ნაყოფის ხარისხი თანდათან უარესდება. ამას მცენარის ბიოლოგიური, ჯიშური თვისებები, აგროტექნიკის დონე და გარემოს არახელსაყრელი ფაქტორები განაპირობებს.

კვლევის მიზანი:

ამ პრობლემის გადასაჭრელად მიზანშეწონილია, საწარმოო პლანტაციებში ციტრუსოვანთა კულტურების ამორტიზირებულ მცენარეთა აღრიცხვა და რეკომენდაციების მიწოდება ჯიშთგანახლებასთან დაკავშირებით.

კვლევის მოსალოდნელი შედეგები და დასკვნები:

ეკონომიკური თვალსაზრისით პროექტი, რომ მომგებიანი იქნება ამას გაანგარიშებაც ადასტურებს. ამორტიზირებული მცენარეები ჰქონია საშუალოდ იძლევა 6-7 ტონა ნაყოფს, ახლგაზრდა (25 წლის) კი 30 ტონას, რაც

ყოველწლიურად ფერმერებისა და კერძო მესაკუთრეების მნიშვნელოვანი დამატებითი მოგების მოცემა შეუძლია.

8.2. სამინისტროში ასევე წარდგენილია მეორე პროექტი: "აჭარის სუბტროპიკული ზონის ფერმერთა, სპეციალისტთა და ამ დარგით დაინტერესებულ მკითხველთათვის საჭირო ახალი ლიტერატურის "სუბტროპიკული კულტურები"-ს გამოცემის შესახებ.

✓ პრობლემის აქტუალურობა:

წიგნში განხილული იქნება საქართველოში გავრცელებული 58 (ორმოცდაოთვრამეტი) დასახელების სუბტროპიკული მცენარის მოვლა-მოყვანის ინტენსიური ტექნოლოგიები და მათი მნიშვნელობა დარგის მდგრადი განვითარების საქმეში. სადაც ძირითადი ყურადღება დაეთმობა მათ სახალხო-სამეურნეო მნიშვნელობას, გავრცელებას. საბაზო ეკონომიკის მოთხოვნილებიდან გამომდინარე, გაშუქდება მეჩაიერების, მეციტრუსეობის და სხვა კულტურების აღდგენა-განვითარების პროგნოზები და მათი დაჩქარებული რეაბილიტაციის გზები.

✓ ნაშრომის მიზანი:

ნაშრომი წარმოდგენილი იქნება კომპიუტერზე ნაბეჭდი 450 გვერდით და გამოცემა 500 (ხუთასი) ეგზემპლარად, რომელიც უსასყიდლოდ დაურიგდებათ ფერმერებსა და ამ დარგით დაინტერესებულ პირებს, ხოლო ფერმერებს წიგნების გადაცემის დროს ჩაუტარდებათ ლექციები, ნაშრომში მოცემულ მათვის საინტერესო ყველა კულტურაზე.

აღსანიშნავია, რომ ასეთ ერთიან სისტემაში მოქცეული კრებულის გამოცემა პირველი ცდა იქნება ფერმერთა და სპეციალისტთა ფართო წრისათვის.

9. საგანმანათლებლო პროგრამები:

9.1. პროფ. რ. ჯაბნიძე არის ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის აგრარული და საინჟინრო ტექნოლოგიების ფაკულტეტის, აკადემიური უმაღლესი განათლების პირველი საფეხურის (საბაკალავრო) საგანმანათლებლო პროგრამის "აგრონომია", ხელმძღვანელი. (აკადემიური საბჭოს დადგენილება №75.1306.11).

9.2. მომზადებული აქვს საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა: "აგროსისტემების მდგრადი განვითარება და აგრარული ტექნოლოგიები", რომლის განხილვა დაგეგმილია 2013 წლის პირველ კვარტალში.

10. მონაწილეობდა სხვადასხვა კომისიების, საბჭოებისა და საზოგადოებრივ საქმიანობაში

- არჩეულია: ყოველთვიური საერთაშორისო რეცენზირებადი და რეფერირებადი სამეცნიერო ჟურნალის "ეკონომიკა", სარედაქციო კოლეგიის წევრად. ქ. თბილისი;

- პერიოდულ საერთაშორისო სამეცნიერო ჟურნალი "ხანძთა"-ს რედკოლეგიის წევრად;

- სომხეთის აგრარული უნივერსიტეტის საპატიო დოქტორად;

- საქართველოს დაცული ტერიტორიების, მტირალას ეროვნული პარკის სამეცნიერო-საკონსულტაციო საბჭოს წევრად;
- ენციკლოპედია ”აჭარა”, სარედაქციო კოლეგიის წევრად;
- საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის, აჭარის რეგიონალური ორგანიზაციის აგრარულ საკითხთა კომისიის წევრად;
- აგრარული და საინჟინრო ტექნოლოგიების ფაკულტეტის სადისერტაციო საბჭოს თავმჯდომარის მოადგილედ;
- აგრარული და საინჟინრო ტექნოლოგიების ფაკულტეტზე, აგრონომიის პროგრამული მიმართულების ხელმძღვანელად.

**საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა
აკადემიის წევრ-ქორესპონდენტის რეზო ჯაბნიძის წინადადებები:
„მეციტრუსეობაში არსებული სირთულეები და მისი გადაჭრის გზები”**

მეციტრუსობა საქართველოს სუბტროპიკული სოფლის მეურნეობის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი და მაღალრენტაბელური დარგია, რომელმაც ძირეულად შეცვალა ამ რეგიონების სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობა და მოსახლეობის მატერიალურ-კულტურული დონე. გასული საუკუნის 90-იან წლებში საქართველოში, ციტრუსოვანთა კულტურებს მთლიანი სავარგულების 0,62% და დამუშავებული მიწების 1,75% ეკავა. წარმოებული საერთო სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის დირებულებაში მისი წილი 7,7 %-ს შეადგენდა და ამ მხრივ ეს დარგი ერთ-ერთი წამყვანი იყო.

დღევანდელ საქართველოში მეციტრუსეობის განვითარების პრობლემები არ შეიძლება განვიხილოთ მხოლოდ საბაზრო ეკონომიკისათვის დამახასიათებელი კანონების კონტექსტით, იგი განსაკუთრებულ მიდგომას და სახელმწიფო ხელშეკრულებების საჭიროების მიზანთ. მას აუცილებლად ესაჭიროება სახელმწიფო ეკონომიკური მიმდინარე ტენდენციების გათვალისწინებით სასწრაფო რეაბილიტაცია.

ყოფილი საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ ძველი ეკონომიკური კავშირების რღვევის გამო ექსპორტი მნიშვნელოვნად შემცირდა, ამჟამად ციტრუსოვანი კულტურების მოსავლის 10-ჯერ შემცირების მიუხედავად ექსპორტი მნიშვნელება, ასე მაგალითად, 1995 წელს ციტრუსების ექსპორტი შეადგინ 6,8 მლნ აშშ დოლარი, 2000 წელს ექსპორტის მოცულობა მცირდება 2,3 მლნ-მდე, ხოლო 2010 წელს 1,5 მლნ აშშ დოლარამდე.

ჩვენში არსებული ციტრუსოვანთა ბაზები სამოცდაათ წელზე და უფრო მეტი ხნისაა. თეორიულად და პრაქტიკულად დამტკიცებულია, რომ ეს მცენარე მაღალპროდუქტიულია 50-55 წლის ასაკამდე, შემდეგ მოსავალი თანდათანობით მცირდება და ნებისმიერი აგროდონისძიებების გატარებაც კი არ იძლევა სასურველ შედეგს. აღნიშნული საკითხის გადაჭრის ერთ-ერთ ეფექტურ დონისძიებათ ციტრუსების პლანტაციების გაახალგაზრდავება წარმოადგენს, კერძოდ, ბიოლოგიურად მობერებული მცენარეები უნდა შეიცვალოს ადგილობრივ პირობებთან უკეთ შეგუებული უხვად და სტაბილურად მსხმოიარე ადრემწიფადი ჯიშებით, კლონებითა და ფორმებით. ამორტიზებული ხეების ახალგაზრდა ნარგავებით ჩანაცვლება გაზრდის მოსავლიანობას, შესაბამისად ამაღლდება

ეკონომიკური ეფექტიანობა და რამდენიმე წელიწადში მივიღებთ მთლიანად გაახალგაზრდავებულ პლანტაციებს.

ამ პრობლემის გადაწყვეტისათვის აუცილებელია სადედე ბალებისა და ახალი სანერგეების მოწყობა. უნდა ვეცადოთ, მივიღოთ მაღალხარისხიანი სტანდარტული კალმები, რისთვისაც განსაკუთრებული პირობებია საჭირო: კერძოდ, ნიადაგის აგროწესებით განვითრება, ნორმალური ტენის, ტემპერატურის, ჰაერაციის, ნიადაგში არსებული სასარგებლო მიკროორგანიზმების ცხოველმყოფელობის უზრუნველყოფა და ა. შ.

საჭიროა რაც შეიძლება გავახანგრძლივოთ ნაყოფების მსხმოიარობის პერიოდი, რომლის გადაჭრა შეიძლება მხოლოდ ციტრუსოვანთა განლაგების სტრუქტურაში ჯიშობრივი შეფარდების დაცვით, ანუ მანდარინის სამრეწველო ასოტრიმენტში ისეთი ჯიშების ჩართვით, რომლებიც ნაყოფების მომწიფებას სხვადასხვა პერიოდში მოახდენენ, ამასთან ექნებათ უხვი მოსავალი და ნაყოფის უკეთესი ხარისხი. აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის სოფლის მეურნეობის სამინისტროს გეგმით, ბალების განახლება უნდა მოხდეს, ახალი, გაუმჯობესებული, სხვადასხვა დროს მწიფადი და საადრეო ჯიშებით, რომლებიც უკვე გამოცდილი და პპრობირებულია საზღვარგარეთის ბევრ ქვეყანაში, სადაც მეციტრუსეობა ტრადიციული და მთავარი დარგია. უნდა გავზარდოთ ფორთოხლისა და ლიმონის ბალების ხვედრითი წილიც, რაც ასევე მომგებიანი იქნება. მაგალითად, ფორთოხლი და განსაკუთრებით მისი ნატურალური წვენი სულ უფრო პოპულარული და მოთხოვნადი ხდება მთელ მსოფლიოში.

ციტრუსოვნების ახალი, გაუმჯობესებული ჯიშების გამოყვანის და წარმოებაში დანერგვის მხრივ სხვა ქვეყნებმა ძალიან გაგისწრეს, ისევე როგორც სხვა დარგებში. ჩვენთან ეს პროცესი ცნობილი პოლიტიკური და ეკონომიკური სირთულეების გამო ჩამორჩა. მისასალმებელია, რომ დღევანდელი ხელისუფლების მიერ სხვადასხვა ქვეყნებიდან შეძენილი და ჩამოტანილია ციტრუსოვანთა ნერგები: მანდარინის, ფორთოხლის, ლიმონისა და პომელოს 5 სახეობის, 50 ჯიშის ციტრუსოვანთა სანერგე მასალა. აქედან 14 ჯიში მანდარინია. ისინი დააპიკირეს ჩაქვის სანერგე მეურნეობის კვალსათბურებში, გამოაზამთრეს და სწორედ ახლა გადაიტანეს სადედე ნაკვეთზე. აქ გაშენებული ნარგავებიდან აიღებენ სანამყენე კვირტებს ციტრუსოვანთა ნერგების მასობრივი წარმოებისათვის.

მეციტრუსეობის დარგში სავალალო მდგომარეობაა შექმნილი და მოსალოდნელია მისი კვლავ უფრო გაუარესება, რითაც მოსახლეობა დიდად დაზარალდება. მაგალითად დღეისათვის 7613 ჰა ციტრუსოვანთა პლანტაციებიდან 5075 ჰა დაავადებულია მეჭეჭიანობით, ანთრაქნოზით, ციტრუსბლასტით, კოკციდებით, განსაკუთრებით ვერცხლისფერი ტკიპით და სხვა, რომლებიც ციტრუსოვანი კულტურების მოსავლიანობას მნიშვნელოვნად ამცირებენ, ნაყოფს კი უკარგავს სასაქონლო სახეს. მოსავლის თითქმის 30-35%, ხოლო საკარმიდამო ნაკვეთების ზოგიერთ ფართობზე მოწეული ციტრუსების 70-80% სარეალიზაციოდ უგარგისი ხდება. მეციტრუსეები გარდა შრომითი დანაკარგისა სოლიდურ მატერიალურ ზარალს განიცდის, რაც იმის შედეგია, რომ უმრავლესობა

ეკონომიკური მდგომარეობის გამო ვერ უზრუნველყოფენ მცენარეთა მკურნალობას.

მეციტრუსეობის დარგში არსებული მდგომარეობის გამოსწორება და არსებული პირობების მოგვარება შესაძლებელი იქნება მხოლოდ სერვისული მომსახურების შექმნით, რაც გულისხმობს: მავნებელ-დაავადებათა დიაგნოსტიკას, მის კვალობაზე პრეპარატების სახეობისა და რაოდენობის, წამლობათა ვადების, ჯერადობების, კონცენტრაციების, სამუშაო ხსნარების მოცულობების და ლოდინის პერიოდის ზუსტ განსაზღვრას, საჭიროების მიხედვით ნიადაგის ნიმუშების აღებას და ქიმიური შედგენილობის განსაზღვრას, რეკომენდაციების საფუძველზე აგროქიმიკატებით ნიადაგის განვიყირებას, წამლობათა მაღალეფების და ხარისხიად ჩატარების უზრუნველსაყოფად თანამედროვე დისპერსიული შემასხურებელი ტექნიკის შეძენას და გამოყენებას.

ციტრუსოვანთა რეაბილიტაციის პროგრამის განხორციელების საფუძველთა საფუძველია ფერმერთა რეორგანიზება და გაერთიანება კოოპერატიულ ან სააქციო საზოგადოების ურთიერთობათა საფუძველზე, რომელთა კლასიკური მაგალითების შესახებ მიგვითითებს სხვადასხვა ქვეყნების გამოცდილება. მიუღებლად მიგვაჩნია, არაპროფილურმა ინსტიტუტებმა განაცხადოს პრეტენზია სუბტროპიკული მემცნარეობის განვითარების საკითხებში, მთავარი როლი ითამაშონ და კომპეტენტური სიტყვა თქვან, როდესაც საკითხი ეხება ციტრუსოვანთა დარგის მომავალს და მის გადარჩენას.

და ბოლოს, აგრარულ სექტორში რადიკალური ცვლილებები დაიწყება მაშინ, როდესაც გადაწყდება მაღალკვალიფიცირებული სწავლული აგრონომებისა და ამ სფეროში დასაქმებული სხვა კადრების საკითხი.

მართალია ამ სფეროს ინტელექტუალური ძალების საგრძნობი ნაწილი უცხოეთში მოდვაწეობს, მაგრამ აგრარიკოსი მეცნიერ-პრაქტიკოსები, სათანადო განათლებასა და მაღალი კვალიფიკაციის კომპეტენტური სპეციალისტები საკმაოდ გვყავს. არ არის გამორიცხული, რომ ბევრი დაბრუნდეს კიდევ და მოხდეს მათი დასაქმება. ყოვლად გაუმართლებელია, როცა კარგი მენეჯერის მოტივით, ამა თუ იმ სფეროში, გადაწყვეტილებების მიმღებ პირთა თანამდებობებზე ინიშნებიან სრულიად სხვა განათლების, პროფესიისა და პრაქტიკული გამოცდილების პირები. ან ახალგაზრდული ასაკი, კომპიუტერისა და უცხო ენის ცოდნა ხდება გადამწყვეტი უაღრესად საპასუხისმგებლო სამსახურში დანიშვნისას.

საქართველოსა და მის რეგიონებში შექმნილი მდგომარეობა, ის როლი და ამოცანები, რაც ამ ეტაპზე რეგიონულ მართვასა და ეროვნული ეკონომიკის აღორძინება-განვითარებას ეკისრება, მოითხოვს ქვეყანას პქონდეს ძირითადი სტრატეგიული მიმართულება მეციტრუსეობის სახელმწიფოს მარეგულირებელი როლის და ფუნქციების განვითარებისაკენ, კერძოდ, რეგიონებში ამ სფეროში ზრდის რეზერვების სრულიად ამოქმედების, მისი ეფექტურიანობის ამაღლებისაკენ.

**4.2. მეცნიერებების, გეოგრაფიის, საგეოგრაფიისა და მეცნიერებების
პროდუქტების გადამუშავების საკორდინაციო-დარბობრივი სამეცნიერო
განყოფილება**

**აკადემიკოს - მდივანი – აკადემიკოსი ზურაბ ცქიტიშვილი
სწავლული მდივანი – აკადემიური დოქტორი ანატოლი გიორგაძე.**

**საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის
მეცნიერებების, ვეტერინარიის, საკვებწარმოებისა და მეცნიერებების
პროდუქტების გადამუშავების საკორდინაციო-დარბობრივ სამეცნიერო
განყოფილებაში გაერთიანებულია აკადემიის 5 წევრი, მათ შორის აკადემიის
ნამდვილი წევრი - 3 და აკადემიის წევრ-კორესპონდენტი - 2:**

**აკადემიკოსი – კოზმანაშვილი აპოლონ (გარდაიცვალა 2012 წლის 05
ივნისს), აგლაძე გოგოთური, ცქიტიშვილი ზურაბი.**

**აკადემიის წევრ-კორესპონდენტი – გუგუშვილი ჯემალი, ყურაშვილი
თენგიზი.**

1. განყოფილებაში შემოსულია განყოფილების წევრების 4 ანგარიში,
რომელიც ძირითადად პასუხისმგებელი აკადემიური საბჭოს მიერ შემუშავებული
კითხვარის მოთხოვნებს;

2. მეცნიერებების, ვეტერინარიის, საკვებწარმოებისა და მეცნიერებების
პროდუქტების გადამუშავების განყოფილების წევრების მიერ წარმოდგენილი
ანგარიშების მიხედვით შესაძლებელია ჩამოყალიბებეს განყოფილების აკადემიის
ნამდვილი წევრების და წევრ-კორესპონდენტების მიერ ჩატარებული სამეცნიერო-
კვლევითი და სასწავლო-პედაგოგიური მუშაობის ანგარიში 2012 წელს;

3. განყოფილების 4 წევრის საშუალო ასაკია 71 წელი, ყველაზე უფროსია
აკადემიკოსი გოგოთურ აგლაძე – 82 წელი, უმცროსი კი – აკადემიის წევრ-
კორესპონდენტი თენგიზ ყურაშვილი – 64 წელი;

4. განყოფილების წევრი – აკად. ზურაბ ცქიტიშვილი სოფლის მეურნეობის
მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოს-მდივანია. აკად. გოგოთურ აგლაძე
საერთაშორისო ორგანიზაციის კონსულტანტია; აკადემიის წევრ-კორესპონდენტი
თენგიზ ყურაშვილი - საქართველოს აგრარული უნივერსიტეტის სრული
პროფესორია, აკადემიის წევრ-კორესპონდენტი ელგუჯა გუგუშვილი ქვემო
ქართლის თვითმართველობისა და სახელმწიფო ორგანოებთან ურთიერთობის
სამსახურის უფროსია;

5. განყოფილების 4 წევრის სამეცნიერო ხარისხია მეცნიერებათა დოქტორი,
წევრებიდან 3 აქვს სამეცნიერო წოდება – პროფესორი. 1 წევრს უმაღლეს
საგანმანათლებლო დაწესებულებაში უცავია სრული პროფესორის აკადემიური
თანამდებობა;

6. განყოფილების წევრების მიერ საანგარიშო 2012 წელს გამოქვეყნებულია
5 სამეცნიერო ნაშრომი: აკად. გ. აგლაძე - 3, აკად. წ/კ თ. ყურაშვილი – 2;
განყოფილების წევრის აკად. წ/კ თ. ყურაშვილის მიერ 2012 წელს

გამოქვეყნებულია 1 სახელმძღვანელო და 3 ბროშურა; სულ განყოფილებაში გამოქვეყნებულია 10 ნაშრომი.

7. განყოფილების წევრმა აკად. წ/კ თ. ყურაშვილმა 2012 წელს მონაწილეობა მიიღო 2 სამეცნიერო-პრაქტიკულ სემინარში;

8. 2012 წელს მიღებულია 2 პატენტი გამოგონებაზე. პატენტები მიიღეს აკად. ზ. ცქიტიშვილმა - 1 და აკად. წ/კ თ. ყურაშვილმა - 1;

9. 2012 წელს მუშავდებოდა საქართველოს სამეცნიერო ეროვნული ფონდის მიერ დაწესებული 1 გრანტი (აკად. წ/კ თ. ყურაშვილი) და საერთაშორისო ორგანიზაციის გრანტი (აკად. გ. აგლაძე);

10. 2012 წელს განყოფილების წევრი აკად. წ/კ თ. ყურაშვილი ხელმძღვანელობას უწევდა 2 დოქტორანტს;

11. 2012 წელს განყოფილების წევრების უმრავლესობა არის სხვადასხვა გამოცემების კრებულების, შრომების და გამოცემების სარგებლივ კოლეგიის წევრები;

12. განყოფილების წევრები 2012 წელს იყვნენ სხვადასხვა სამეცნიერო საბჭოების წევრი; აკად. ზ. ცქიტიშვილი არის საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის აკადემიური საბჭოს წევრი;

13. განყოფილების წევრები აკად. ზ. ცქიტიშვილი, აკად. გ. აგლაძე, აკად. წ/კორ. თ. ყურაშვილი, აკად. წ/კორ. ჯ. ბუგუშვილი არიან სხვადასხვა საერთაშორისო და არასახელმწიფო დარგობრივი აკადემიების წევრები;

14. განყოფილების წევრი აკად. წ/კ. თ. ყურაშვილი არასამთავრობო ორგანიზაციის წევრია;

15. განყოფილების წევრები არიან სახელმძღვანელოების და მონოგრაფიების რედაქტორები ან რეცენზენტები.

მეცხოველეობის, ვეტერინარიის, საკვებწარმოებისა და მეცხოველეობის აროდუქტების გადამუშავების სამეცნიერო დარგობრივ განყოფილებაში 2012 წელს სულ ჩატარდა 5 სხდომა.

პირველი სხდომა ჩატარდა 27 ივლისს და განხილული იქნა შემდეგი საკითხები: 1. მეცხოველეობის, ვეტერინარიისა და საკვებწარმოების სამეცნიერო დარგობრივი განყოფილების სახელწოდების ცვლილების შესახებ, მომხსენებელი - აკადემიის ვიცე პრეზიდენტი აკადემიკოს-მდივანი გივი ჯაფარიძე; 2. განყოფილების აკადემიკოს მდივნის არჩევნები;

მეორე სხდომა ჩატარდა 1 აგვისტოს და განხილული იქნა შემდეგი საკითხი: 1. საქართველოს სოფლის მეურნეობის განვითარების სტრატეგიის 2012 – 2022 შესახებ, მომხსენებელი - აკადემიკოს-მდივანი ზურაბ ცქიტიშვილი;

მესამე სხდომა ჩატარდა 5 ნოემბერს და განხილული იქნა საკითხი:

1. მეცხოველეობის განვითარების პერსპექტივები საქართველოში, მომხსენებელი - აკადემიკოს-მდივანი ზურაბ ცქიტიშვილი;

მეოთხე სხდომა ჩატარდა 26 ნოემბერს და განხილული იქნა საკითხი: მეფუტკრეობის არსებული მდგომარეობა და განვითარების პერსპექტივები საქართველოში, მომხსენებელი: - აკად. დოქტორი ბორის წითლიძე;

მეხუთე სხდომა ჩატარდა 12 დეკემბერს და განხილული იქნა შემდეგი საკითხი: 1. ცხოველთა ჯანმრთელობის დაცვის ვეტერინალური დონისძიებები, სეზონური წველადობის დაძლევის და პროდუქტიულობის ზრდის სხვადასხვა გზები, ხელოვნური განაყოფიერების მეთოდები, ცხოველთა კვების ახლებური მიღებები, ფერმერთა კოოპერირების (გამსხვილების) მასტიმულირებელი მექანიზმები, პირუტყვთა სასაკლაოების ინფრასტრუქტურა და სხვა, მომხსენებლები – აკდემიკოსი ზურაბ ცქიტიშვილი, აკადემიის წევრ-კორეპონდენტი თენიზ ყურაშვილი.

მეცხოველეობის, ვეტერინარიის, საკვებწარმოებისა და მეცხოველეობის პროდუქტების გადამუშავების სამეცნიერო დარგობრივი განყოფილებიდან საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის აკადემიურ საბჭოზე განსახილველად გატანილი იქნა 3 საკითხი.

4.2.1. მეცხოველეობის, ვეტერინარიის, საკვებწარმოებისა და მეცხოველეობის პროდუქტების გადამუშავების საკოორდინაციო-დარგობრივი სამეცნიერო განყოფილების წევრების 2012 წლის ანგარიშები.

4.2.1.1. აკადემიკოსი გოგოთურ აგლაძე



2012 წელს გამოქვეყნებული შრომები:

1. გ. აგლაძე, ი.სარჯველაძე – „საქართველოს სოფლის მეურნეობის აღორძინების და განვითარების აქტუალური პრობლემები“. საქ. სოფ. მეურნ. მეცნ. აკადემიის მოამბე, 30, 2012 თბილისი გვ. 231-237.
2. გ. აგლაძე, ფ. ჩხეიძე – „რაჭის სათიბ-სამოვრების არსებული მდგომარეობა, მათი პროდუქტიულობის გადიდების, ხარისხის ამაღლების და უკეთგამოყენების ღონისძიებები“. სტატია „კრებულში „რაჭა-წარსული, აწმუო, მომავალი“. საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია, თბილისი, 2012 წ. გვ117-153.
3. გ. აგლაძე, ფ. ჩხეიძე – „მცხეთა-მთიანეთის რეგიონის ბუნებრივი სათიბ-სამოვრები, მათი მნიშვნელობა მეცხოველეობის განვითარების პრობლემების წარმატებით გადაწყვეტაში“. სტატია კრებულში „მცხეთა-მთიანეთის ტერიტორიის სოციალურ-ეკონომიკური და დემოგრაფიული განვითარების პრობლემები“. საქ. მეცნიერებათა ეროვნული აკადემია. აკადემიის მთიანეთის პრობლემათა კომპლექსური შემსწავლელი კომისია. თბილისი, 2012 გვ. 64-88.

საანგარიშო წელს საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის მთიანეთის პრობლემათა კომპლექსური შესწავლის კომისიის

დაკვეთით, როგორც კომისიის წევრი, აკად. გ. აგლაძემ შეისწავლა ბიოლოგიის აკადემიურ დოქტორ ფირან ჩხეიძესთან ერთად რაჭის და მცხეთა-მთიანეთის ბუნებრივი საკვები სავარგულების (სათიბ-სამოვრების) არსებული მდგომარეობა და მათი მნიშვნელობა მეცნიერების განვითარების პრობლემების წარმატებით გადაჭრაში. რაჭის რეგიონში (ამბოლაური და ონის რაიონები), აგრეთვე მცხეთა-მთიანეთის რეგიონში (მცხეთის, თიანეთის და ყაზბეგის რაიონები, დუშეთის რაიონის ნაწილი) ჩატარებული მარშრუტული ექსპედიციებით აღიწერა ბუნებრივი სათიბებისა და სამოვრების არსებული მდგომარეობა, შედგენილია 100-ზე მეტი ფლორისტული სია, განსაზღვრულია ბალახნარის მოსავლიანობა, ნაკვეთების სამეურნეო მდგომარეობა და სხვა. შემაჯამებელი მასალები გამოქვეყნდა ორ კრებულში: „რაჭა-წარსული, აწმყო, მომავალი“ და „მცხეთა-მთიანეთის ტერიტორიის სოციალურ-ეკონომიკური“ და დემოგრაფიული განვითარების პრობლემები“.

საერთაშორისო ორგანიზაციების გრანტის ფარგლებში შესწავლილია საქართველოს სამხრეთ-აღმოსავლეთი ნაწილის გაუდაბნოების პროცესის მიმდინარეობა. დედოფლის წყაროს რაიონში ჩატარებული ექსპედიციების და არსებული ლიტერატურის წყაროების საფუძველზე შესრულებულია გრცელი ანგარიში და წარედგინა დამკვეთს.

აკად. გ. აგლაძის წინადადებები „საქართველოს სოფლის მეურნეობის რამდენიმე ძირითადი დარგის განვითარების შესახებ“

ერთ-ერთ, უადრესად საჭირო აუცილებლობას წარმოადგენს ის, რომ უახლოეს წლებში შესაძლებელი გახდეს დაიწყოს და მზარდი მასშტაბებით წარიმართოს ბუნებრივი საკვები სავარგულების გაუმჯობესებისა და მოსავლიანობის ამაღლების დონისძიებები. ამ სავარგულების დიდი პოტენციური შესაძლებლობების ათვისება მეცნიერების აღორძინებისა და განვითარების უპირველესი წინაპირობა. საკვების დეფიციტი, მისი დაბალი ხარისხი, მაღალი თვითდირებულება მნიშვნელოვნად ზღუდავს რძის, ხორცის და მოსახლეობისათვის პირველი მოთხოვნილების მქონე მეცნიერების სხვა პროდუქტების წარმოებას, ხელს უწყობს ამ პროდუქტების დიდი რაოდენობით იმპორტს, ამასთან, როგორც წესი, ხშირ შემთხვევაში იგი უხარისხოა და ზოგჯერ საფრთხის მომტანესაც კი წარმოადგენს.

საქართველოს ტერიტორია თითქმის 70 ათას კვადრატულ კილომეტრს, ანუ დაახლოებით 7,0 მლნ. ჰექტარს შეადგენს. აქედან სახნავ მიწებს 750 ათასი ჰექტარზე ნაკლები უკავია, მაშინ როდესც ბუნებრივი სათიბებისა და სამოვრების ფართობი 2 მლნ ჰექტარს აღწევს. 2011 წელს სასოფლო-სამეურნეო კულტურების ნაოესი ფართობი 310 ათას ჰექტარს, ე.ი. ბუნებრივ საკვებ სავარგულებზე 6,3-ჯერ ნაკლებს შეადგენს.

ბუნებრივი სათიბ-სამოვრების როლისა და მნიშვნელობის გადიდება და მათი ხელითი წილის გაზრდა მეცნიერებისათვის საჭირო საკვებთა

ბალანსში განაპირობა, უპირველეს ყოვლისა, ნათესი ფართობების მკვეთრმა (710 ათასი-დან 310 ათას ჰექტარამდე ბოლო 20 წლის მანძილზე) და განსაკუთრებით კი საკვები კულტურების ქვეშ ნათესი ფართობის კატასტროფულმა კლებამ - 329 ათასიდან 17 ათას ჰექტარამდე. ყოველივე ამან განსაზღვრა ბუნებრივი საკვები სავარგულებიდან მიღებულ საკვების პროცენტი მოხმარებული ყველა სახის საკვებში 48-50%-დან (1990 წელი) 80-85%-მდე (2011 წელი).

მეტად მნიშვნელოვანია ბუნებრივი საობების ფართობის შეძლებისდაგვარად მაქსიმალური გადიდება და მათი მოსავლიანობის ამაღლება. დღეისათვის ბუნებრივი საობების ფართობი 193 ათას ჰექტარს შეადგენს რაც ბუნებრივი საკვები სავარგულების მოელი ფართობის მხოლოდ 7,18%-ია. მათი საშუალო მოსავლიანობა 1,2-1,4 ტ/ჰა შორის მერყეობს. ამოცანა მდგომარეობს საობების გადიდებაში სულ ცოტა 20%-ით, ე.ო. 380-390 ათას ჰექტარამდე, ხოლო მოსავლიანობის საშუალო მაჩვენებლების მომატება 2,4-2,8 ტ/ჰა-მდე.

ბუნებრივი საობ-საძოვრების მოსავლიანობის გადიდების მიზნით ადრე წარმოებული გამოკვლევებით დასტურდება, რომ ამ სავარგულების ძირეული და ზედაპირული გაუმჯობესების სისტემების სწორად შერჩეული და ხარისხიანად განხორციელებული ღონისძიებების და ხერხების რეალიზაცია საშუალებას იძლევა 2-2,5-ჯერ და მეტად გავადიდოთ მათი მოსავლიანობა. ბუნებრივი საობების ფართობის გადიდება სავსებით რეალურია, მითუმეტეს, რომ ჩრდილოეთ კავკასიაში ე.წ. ყიზლარის ზამთრის საძოვრებით სარგებლობის შეწყვეტის და ცხვრის სულადობის მნიშვნელოვანი შემცირების შემდეგ თითქმის გამოუყენებელი დარჩა ზაფხულის საძოვრების ბევრი მასივი. ცხადია, ეს აადვილებს ამ საძოვრების უკეთესი ნაკვეთების საობებში გადაყვანას და თივის დამზადების მნიშვნელოვნად გადიდებას.

ბუნებრივ საძოვრებსა და საობებზე ყველა სახის საკვების წარმოების გადიდება (საძოვრული, მწვანე, წვნიანი, უხეში), მათი ხარისხის ამაღლება და თვითდირებულების შემცირება მეცხოველეობის განვითარების საფუძველთა საფუძველია. ხაზგასასმელია, რომ მეცხოველეობის პროდუქტების თვითდირებულებაში 65-75%-ს სწორედ დახარჯული საკვების ღირებულებაზე მოდის. ამიტომ ნათელია, რომ წარმოებული საკვების რაოდენობის გადიდება, მისი ხარისხის გაუმჯობესება მეცხოველეობის პროდუქტებზე (რძე, ხორცი, კვერცხი, მატყლი, ტყავი და სხვა) მოსახლეობის მზარდი მოთხოვნების მაქსიმალურად შესაძლებელი დაქმაყოფილების წინა პირობაა.

ბუნებრივი საკვები სავარგულების მდიდარი პოტენციური შესაძლებლობის ათვისება მთელი რიგი ორგანიზაციულ-სამეურნეო ხასიათის საკითხების მოგვარებას მოითხოვს. მათ მიეკუთვნება სოფლის მეურნეობის სამინისტროში სათანადო დეპარტამენტის (საკვებწარმოების) ჩამოყალიბება, რომლის ამოცანა უნდა გახდეს პრობლემასთან დაკავშირებული ყველა საკითხის გადაწყვეტისთვის საჭირო ღონისძიებების ორგანიზაცია და წარმართვა, ცხადია ფერმერთა შესაძლებლობების მაქსიმალური გამოყენებით. მათ მიეკუთვნება სააქციო საწყისებზე სათანადო სამანქანო-სატრაქტორო მდელო-საძოვრული ბრიგადების შექმნა, ამ ბრიგადებისთვის სამუშაო ფრონტის მოგვარება, კონტროლი სამუშაოთა ხარისხზე და სხვა.

მეცხოველეობის პროდუქტიულობის გადიდების მეორე მთავარი წინაპირობაა (ფარის, ჯოგის, კოლტის, რემას, გუნდის) ჯიშობრივი შემადგენლობის გაუმჯობესება, სწორი მიმართულებით გაძლოლა რეგიონების მიხედვით გონივრულად შედგენილი გეგმის შემუშავებით და ჯიშსაშენების აღდგენა, აგრეთვე კერძო ფერმერული სანაშენო მეურნეობების, ჩამოყალიბება, სადაც შესაძლებელი იქნება ჯიშიანი მოზარდის მიღება და გამოზრდა. სოფლის მეურნეობის სამინისტროში უნდა აღდგეს სანაშენო დეპარტამენტი (სამართველოები). ამ ორგანიზაციებმა უნდა წარმართონ ქვეყანაში სანაშენო საქმე, ხელოვნური დათესლვა და სელექციური მუშაობა მეცხოველეობაში, როგორც სახელმწიფო, ასევე ფერმერულ მეურნეობაში, აგრეთვე სასოფლო – სამეურნეო კულტურების მეთესლეობა-სელექცია, ჯიშთა გამოცდა, შეიმუშაონ ყველა სასოფლო-სამეურნეო კულტურების და ცხოველთა ჯიშების დარაიონების რეკომენდაციები, ერთხელ და სამუდამოდ დაამყარონ წესრიგი დღეს სრულიად მოუგვარებელ საკითხებში.

4.2.12. აკადემიკოსი ზურაბ ცქიტიშვილი



აკადემიკოსი ზურაბ ცქიტიშვილი 2012 წელს ხელმძღვანელობდა საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის მეცხოველეობის, ვეტერინარიის, საკვებწარმოებისა და მეცხოველეობის პროდუქტების გადამუშავების საკოორდინაციო-დარგობრივ სამეცნიერო განყოფილებას. მისი ხელმძღვანელობით ჩატარდა განყოფილების ოთხი სხდომა. მათ შორის მრგვალი მაგიდა თემაზე: „საქართველოში მეცხოველეობის განვითარების პრობლემატური საკითხები“:

მიმდინარე წელს მიღებული აქვს პატენტი გამოგონებაზე (№ 1740 (სასარგებლო მოდელი) – „მშრალი რძის წარმოების ხერხი 2011–10–24“. ხერხი ითვალისწინებს რძის გაწმენდას, ნორმალიზაციას, პასტერიზაციას, შესქელებას, პომოგენიზაციას, შრობას და გაცივებას, ამასთან პომოგენიზაცია ხორციელდება 1–3 მაზ წნევის პირობებში. სასარგებლო მოდელი განეკუთვნება კვების მრეწველობას, კერძოდ, რძის წარმოებას და შეიძლება გამოყენებული იქნეს მშრალი რძისა და რძის ცხიმის წარმოებაში.

აკად. ზ. ცქიტიშვილის წინადადებები „გეტერინარული საქმიანობის რადიკალური გაუმჯობესების შესახებ“

ქვეყნის ტერიტორიის დაცვა, განსაკუთრებით საშიშ ინფექციათა აღმძღვრელის შემოტანისაგან (შემოჭრისაგან). ქვეყანაში ვეტერინარული კეთილსამედობის მიღწევა-შენარჩუნება და ეპიზოოტიებთან ბრძოლა ვეტერინარული საქმიანობის ერთ-ერთი ძირითადი შემადგენელი ნაწილია. რიგ

სხვა ვეტერინარულ—სანიტარულ დონისძიებებთან ერთად აღნიშნულის მიღწევა არა მარტო სოფლის მეურნეობის დარგის – მეცხოველეობის წინა პირობაა, არამედ მასზეა დამოკიდებული სასოფლო—სამეურნეო პროდუქციის ექსპორტი, ქვეყნის სატრანზიტო დერეფნის იმიჯი, ტურიზმის განვითარება, სურსათის უვნებლობის უზრუნველყოფა და ა.შ.

გაეროს სოფლის მეურნეობისა და სურსათის ორგანიზაციის (FAO), ვაჭრობის მსოფლიო ორგანიზაციის (WTO), საერთაშორისო ეპიზოოტის ბიუროს (OIE) წინადადებების, რეკომენდაციების, მოთხოვნების და ეროვნული ინტერესების გათვალისწინებით ქვეყანაში ვეტერინარული საქმიანობის რადიკალური გაუმჯობესებისათვის საჭიროა სტრატეგიის შემუშავება და განხორციელება, რომელიც მოიცავს, მაგრამ არ შემოიფარგლება შემდეგი საკითხებით: ვაქცინაცია, რეგისტრაცია, ზედამხედველობა, იზოლირება, სასაზაღვრო კონტროლი, კარანტინი, ცხოველთა დაავადებების აღმოფხვრა.

სახელმწიფო დაფინანსებით განხორცილებული სახელმწიფო ვაქცინაციის პროგრამის გაგრძელება და ცხოველის შერჩევლი ხეთი დაავადებისათვის მისი ეფექტურობისა და ეფექტურობის გაზრდა. აღნიშნული პროგრამა მანამ უნდა გაგრძელდეს, სანამ კერძო სექტორი ფინანსურად იმდენად გაძლიერდება, რომ თავად იკისრებს ვაქცინაციის ფუნქციის განხორციელებას და მასთან დაკავშირებულ ხარჯებს.

ცხოველთა იდენტიფიცირების სახელმწიფო ელექტრონული სისტემისა და ცხოველთა ჯანმრთელობის მდგომარეობის სერტიფიცირების სისტემის შემუშავება და შესრულება, საწყის ეტაპზე აღნიშნული ღონისძიება სახელმწიფომ უნდა დააფინანსოს.

ყველა გასაყიდ ცხოველზე ჯანმრთელობის მდგომარეობის დამადასტურებელი სერტიფიკატის გაცემისა და მისი შემოწმების უზრუნველყოფა.

ხელშეკრულებით ნაკისრი ვაქცინაციის ვალდებულებების მონიტორინგისა და ზედამხედველობის მექანიზმის გაუმჯობესება ხელშეკრულების პირობების შესრულებისა და პროექტის მიზნების მიღწევის უზრუნველსაყოფად, მათ შორის:

ა) თითოეული ვაქცინაციისათვის დაწესებული ანაზღაურების ცხოველთა კონცენტრაციისა და ადგილმდებარეობის გათვალისწინებით მოდიფიცირება;

ბ) ვაქცინების შემოწმება მათი ფალსიფიცირების თავიდან აცილების მიზნით;

გ) მითითებული დაფარვის მასშტაბის დოკუმენტური დადასტურება.

ცხოველთა დაცვის სტრატეგიის ინტეგრირება მომხმარებელთა დაცვის სტრატეგიასთან სურსათის უვნებლობის საკითხებთან მიმართებაში.

სოფლის მეურნეობის სამინისტროს კოორდინირებას, კონტროლსა და მეთვალყურეობას დაქვემდებარებული ცხოველთა სასაზღვრო და ქვეყნის შიგნით ეფექტიანი ინსპექტირების შესაძლებლობის უზრუნველყოფა.

მეცხოველეობის სექტორში საინსპექციო სადგურებისა და საგამოცდო (მობილური) ლაბორატორიების რაოდენობის რაციონალიზაცია, თითოეული მათგანის შესაბამისი შენობით და აღჭურვილობით უზრუნველყოფა (მათ შორის, ყველა სასაზღვრო პუნქტზე მარტივი შესამოწმებელი საშუალებების არსებობა და

მობილური ლაბორატორიების ფუნქციონირების ეფექტიანობის დადგენა), კადრების კვალიფიკაციის ამაღლება და მათი სატრანსპორტო საშუალებებით უზრუნველყოფა.

ქვემოთ ჩამოთვლილი შემდეგი ფუნქციების ეფექტიანი შესრულების უზრუნველყოფა:

ა) ფრინველისა და ცხოველის ქვეყნის შიგნით გადაადგილების შემოწმება საშიშ დაავადებებზე;

ბ) სათანადო ჯანმრთელობის სერთიფიკატის შემოწმება და გაცემა; აგრეთვე ცხოველების აღწარმოების, სანაშენებ, ტრანსპორტირებისა და გადამამუშავებელი საწარმოების სრულყოფილი რეესტრის წარმოება;

გ) ქვეყნის შიგნით საშიშ დაავადებათა (მაგ. ფრინველის გრიპის) მონიტორინგი და მათზე დაკვირვება;

დ) ადგენვატური ლაბორატორიული მომსახურების და იდენტიფიცირებული ორგანიზმების, ნარჩენების ან საეჭვო ფაქტორების ლაბორატორიული ტესტირების ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა; ხოლო აღნიშნულ მომსახურებათა კერძო სექტორში არსებობის შემთხვევაში, ასეთი კერძო დაწესებულებების ხარისხის კონტროლი ტესტირების მეთოდებისა და შესაბამის ჩანაწერთა წარმოების კუთხით; აგრეთვე მიღებული შედეგების გადასამოწმებლად რეფერენტული ტესტირების ჩატარების უზრუნველყოფა, რათა სხვადასხვა ლაბორატორიებში მიღებული შედეგები ერთგვაროვანი იყოს და სადაც ეს ეკონომიურად გამართლებულია სახელმწიფო რეფერენტული ლაბორატორიების გახსნა და აღჭურვა;

ე) მეცხოველეობის სექტორის მარეგულირებელი საკანონმდებლო და კანონქვემდებარე ნორმატიული აქტების შესრულება;

ვ) სახელმწიფო ვაქცინაციისა და დაავადების პრევენციული პროგრამების კონტროლი და მართვა;

ზ) გაუთვალისწინებელი გარემოებების წარმოშობის შემთხვევაში გასატარებელი ღონისძიებების დაგეგმვა და საგანგებო მდგომარეობაზე რეაგირების მართვა.

მეცხოველეთა ცოდნის გაღრმავების უზრუნველყოფა იმ დაავადებებისა და საკონტროლო ღონისძიებების შესახებ, რომელთაც შეიძლება უარყოფითი ზეგავლენა იქონიონ არა მარტო ცხოველის, არამედ ადამიანის ჯანმრთელობაზე.

საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტროს ხელმძღვანელობით სამუშაო ჯგუფის ჩამოყალიბება, რომლის შემადგენლობაშიც შევლენ ბუნებრივი რესურსებისა და გარემოს დაცვის სამინისტროს, ფინანსთა სამინისტროს, ფერმერული სექტორისა და მეცნიერების წარმომადგენლები. სამუშაო ჯგუფის მიზანი ზემოთ მითითებული საკითხებისა და ფუნქციების ირგვლივ რჩევებისა და რეკომენდაციების შემუშავება იქნება.

შესაძლებელია აღნიშნული სტრატეგიის აღტერნატიული ვარიანტის ჩამოყალიბება ევროპული გამოცდილების გათვალისწინებით, რაც გულისხმობს არაკეთილსაიმედო კერების მთლიან განადგურებას და ფერმერების შესაბამისი კომპენსაციით უზრუნველყოფას (სხვა ქვეყნებიდან ჯანმრთელი და

მაღალპროდუქტიული საქონლის შემოყვანას ფერმურებზე მათ საკუთრებაში გადაცემით).

აღსანიშნავია, რომ მთელი რიგი ქვეყნები არ მისდევს ვაქცინაციის მეშვეობით ცხოველის დაავადებათა კონტროლის პოლიტიკას და ამდენად ზღუდავს ასეთი პოლიტიკის მქონე ქვეყნებიდან ცოცხალი ცხოველების, ხორცისა და ხორცის პროდუქტების იმპორტს.

აღტერნატივა გულისხმობს ყველა სათანადო ვეტერინარულ-სანიტარულ დონისძიებათა გათვალისწინებას და მეცხოველეობის სექტორში არსებულ სპეციფიკას.

4.2.13. აკადემიის წევრ-კორესპოდენტი ჯემალ გუგუშვილი



აკადემიის წევრ-კორესპოდენტის ჯ. გუგუშვილის მიერ
შემუშავებული და დანერგილი რეკომენდაციები:

1. სამრეწველო შეჯვარების გამოყენება მებოცვრეობაში;
2. სოფლის მეურნეობის გაძლოლის სისტემები;
3. სანაშენე საქმის განვითარება მებოცვრეობაში;
4. შთანთქმითი შეჯვარებით ბოცვერის პროდუქტიულობის გაზრდა;
5. ბოცვერის პროდუქტიულობის გაზრდა საახალჯიშო შეჯვარებით;
6. სანაშენე საქმის ორგანიზაცია მებოცვრეობაში;
7. ბოცვერის გამოზრდა ფერმერულ მეურნეობაში;
8. ბოცვერის ცოცხალი მასის გაზრდა ჯიშთაშორისი შეჯვარებით;
9. ქართული ჯიშური ჯგუფის ბოცვერის სრულყოფა.

ჩამოვლილი რეკომენდაციები დანერგილია კუმისის მებოცვრეობის ფერმაში.

1. მეცხოველეობის შემდგომი განვითარების მიზნით მიზანშეწონილია უწინარეს ყოვლისა დადგინდეს ქვეყანაში არსებული სასოფლო სამეურნეო დანიშნულების ცხოველთა ჯიშურობა და რაოდენობა ანუ დღევანდელი მეცხოველეობის სასტარტო ბაზა;
2. დადგენილ იქნეს რა მიმართულებით განვითარდეს დარგი ექსტენსიური თუ ინტენსიური მიმართულებით; ე.ი. სტრატეგიული მიმართულება-გლეხური, ფერმული თუ სამრეწველო კომპლექსებში იმასთან დაკავშირებით, რომ დღეს საჭიროა მოსახლეობისათვის შედარებით მოკლე პერიოდში მოხდეს ცხოველური წარმოშობის პროდუქტებით უზრუნველყოფა, მიზანშეწონილია გლეხური და ფერმერული მეურნეობების განვითარება, ამასთანავე მალმწიფადი ცხოველების მოშენება (მედორეობა, მეცხვარეობა, მეთხევეობა, მებოცვრეობა, მეფრინველეობა);
3. მეცხოველეობაში ფართოდ უნდა დაინერგოს კოოპერირება, მასთან ერთად ფულად საკრედიტო სისტემა-ისეთი როგორც ლიზინგია. დროულად უნდა

შეჩერდეს უსისტემო პრივატიზაცია და უცხოელ ინვესტორებზე მიწების გაყიდვა, სხვა შემთხვევაში შესაძლებელია მეცხოველეობა საკვები ბაზის გარეშე დარჩეს.

4.2.14. აკადემიის წევრ-კორესპონდენტი თენგიზ ყურაშვილი



1. აგრარული უნივერსიტეტის საგეტერინარო მედიცინის ფაკულტეტის V კურსის სტუდენტებთან პროფ. თ. ყურაშვილი კითხულობდა ლექციებს საგანში „ცხოველთა ინფექციური დავადებები“;
2. ჩაბარებულია გამოსაქვეყნებლად 2 სამეცნიერო სტატია;
3. გამოქვეყნებულია ერთი სახელმძღვანელო – „დაკლული ცხოველის და ფრინველის ვეტერინარიულ-სანიტარიული ექსპერტიზა მიკრობიოლოგიის საფუძვლებით“ (125 გვ.) და 3 ბროშურა:

- „ფრინველის მოვლა-შენახვა და ვეტერინარიული მომსახურეობა“. ბროშურა, 34 გვ.
- „ღორის მოვლა-შენახვა და ვეტერინარიული მომსახურეობა“. ბროშურა, 44 გვ.
- „მხეილფეხა რქოსანი პირუტყვის მოვლა-შენახვა და ვეტერინარიული მომსახურეობა“. ბროშურა, 44 გვ.
- 4. ამჟამად აგრარულ უნივერსიტეტში დისერტაციების დაცვები შეჩერებულია. პროფ. თ. ყურაშვილის ხელმძღვანელობით დასაცავად მოზადებულია ორი სადოქტორო დისერტაცია (დ. შალამბერიძის და ლ. ბარათაშვილის).
- 5. ატარებდა სემინარებსა და ტრენინგებს:
 - გაეროს პროგრამით ახმეტის და ბორჯომის (წალერი) რაიონებში.
 - ვორლდ ვიუენის პროგრამით მცხეთა-მთიანეთის რეგიონში თემაზე – „ცხოველთა დაგვადებების დიაგნოსტიკა, მკურნალობა და პროფილაქტიკა“.
- 6. შ. რუსთაველის საქართველოს ეროვნულ სამეცნიერო ფონდში წარდგენილია ერთი პროექტი:
 - „ცხოველთა სასმელი წყლის მონიტორინგი“ (ხელმძღვანელი);
 - საერთაშორისო ფონდ GRDF (სხვა)-ში წარდგენილია ორი პროექტი;
 - Reliability Evaluation of Raw Material for Brucellosis in milk manufacturing and Processing Plants (თანამონაწილე);
- Brucellosis Epidemiological Control Based on Animals Pre-slaughter and Post-slaughter Research Outcomes of the slaughterhouses. (ხელმძღვანელი);
- 7. საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის აკადემიურ საბჭოზე 2012 წლის 24 აგვისტოს გაკეთებულია მოხსენება თემაზე: „ცხოველთა

ძირითადი ინფექციური დაავადებების საწინააღმდეგო დონისძიებათა პროგრამების შესახებ“.

8. საანგარიშო პერიოდში იყო:

- საქართველოს მემამულეთა კავშირის თავმჯდომარის მოადგილე;
- მეფრინველების პროდუქტების მომხმარებელთა კავშირის წევრი;
- ურნალის „Известия аграрной науки“-ის სარედაქციო კოლეგიის წევრი;
- საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის შრომათა კრებულის „მოამბე“-ს სარედაქციო კოლეგიის წევრი;
- მრავალი სახელმძღვანელოს, დამხმარე სახელმძღვანელოს, მონოგრაფიის და ბროშურის რედაქტორი ან რეცენზენტი.

9. მიღებულია ერთი დადგითი გადაწყვეტილება პატენტის მიღებაზე.

10. გაეროს ეგიდით მომზადებულია კომპლექსური სახელმძღვანელო კოლეჯის მსმენელებისათვის ვეტერინარიაში.

აკადემიის წევრ-კორესპონდენტის თ. ყურაშვილის წინადადებები „საქართველოში ვეტერინარიული და სურსათის უვნებლობის სამართლებლივი და პრაქტიკული საქმიანობის გაუმჯობესებისათვის“

ქვეყანაში ვეტერინარიული და სურსათის უვნებლობის სახელმწიფო უნივერსიტეტი და ამოცანების შესრულების განსახორციელებელი საქმიანობის ხელშეწყობისა და კონტროლის, საერთაშორისო ურთიერთობების სწორად და კვალიფიციურად წარმართვისათვის და სხვა სპეციალური და ორგანიზაციული საკითხების უზრუნველსაყოფად:

1. შეიქმნას პროფესიული, კომპეტენტური, ობიექტური, რისკის ანალიზის უნარის მქონე, იერარქიის მაღალ საფეხურზე მყოფი ვეტერინარიისა და სურსათის უვნებლობის ადმინისტრაცია (საგენტო, კომიტეტი, დეპარტამენტი ან სხვა), რომელიც სახელმწიფო, საუწყებო და კერძო ვეტერინარიული სამსახურების შერწყმით იმუშავებს პრინციპით „არცერთი სოფელი ვეტერინარიული მომსახურების გარეშე“.

2. შემუშავებული და მიღებული იქნას ვეტერინარიის და სურსათის უვნებლობის სამსახურის მიზნების და ამოცანების მკაფიოდ ჩამოყალიბების და მაღალ დონეზე მათი შესრულების უზრუნველმყოფელი საქართველოს კანონი „სავეტერინარო მედიცინის შესახებ“.

3. გაუქმდეს საქართველოს კოდექსი „სურსათის/ცხოველის საკვების უვნებლობის, ვეტერინარიისა და მცენარეთა დაცვის“ შესახებ.

4. შემუშავებული და მიღებული იქნას ახალი კოდექსი „სურსათის უვნებლობის შესახებ“, რომელიც დაეფუძნება კანონს „სავეტერინარო მედიცინის შესახებ“.

5. ახალმა კანონმა „სავეტერინარო მედიცინის შესახებ“ და „სურსათის უვნებლობის კოდექსმა“ ხელი უნდა შეუწყოს ქვეყნის საზღვარზე, აფხაზეთში, აჭარაში, რეგიონებში, ქალაქებში, რაიონებში, სოფლებში, ცხოველური პროდუქტების მწარმოებელ და გადამამუშავებელ საწარმოებში, რეალიზაციის ობიექტებზე და ტრანსპორტზე სახელმწიფო კონტროლის ქვეშ მყოფი

სახელმწიფო, საუწყებო და კერძო ვეტერინარიის და სურსათის უვნებლობის სამსახურების ჩამოყალიბებას და მათ გამართულად მუშაობას, ამის მისაღწევად:

ა) ვეტერინარიის და სურსათის ახალ შექმნილ უწყებას უნდა დაუბრუნდეს სასახლვრო ვეტერინარიული სამსახური.

ბ) სახელმწიფო კონტროლ ქვეშ მოექცეს ბაზრების, ბაზრობების, მსხვილი სუპერმარკეტების და სასაკლაოების დღეს გასხვისებული სანიტარიული ზედამხედველობის ლაბორატორიები.

გ) სოფლის მეურნეობის სამინისტროს და რეგიონალური სავალე ლაბორატორიები კვლავ უშუალოდ დაექვემდებაროს ახლად შექმნილ ვეტერინარიისა და სურსათის უვნებლობის სამსახურს.

დ) ამაღლდეს ვეტერინარიული განათლების და მეცნიერების განვითარების დონე.

6. წარმოდგენილი პროექტის სწრაფად განხორციელების მიზნით აუცილებელია კომპეტენტური და პროფესიონალი სპეციალისტებით დაკომპლექტებული კომისიების (ჯგუფების) შექმნა.

4.3. საინჟინრო საკოორდინაციო-დაზღვრობრივი სამეცნიერო განყოფილება

აკადემიკოს-მდიგანი – აკადემიკოსი რევაზ მახარობლიძე

სწავლული მდიგანი – აკადემიური დოქტორი ანატოლი გიორგაძე

საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის საინჟინრო საკოორდინაციო-დაზღვრობრივ სამეცნიერო განყოფილებაში გაერთიანებულია აკადემიის 13 წევრი, მათ შორის აკადემიის ნამდვილი წევრი 7 და აკადემიის წევრ-კორესპონდენტი 6.

აკადემიკოსები – ბალათურია ნუგზარი, დიდებულიძე ალექსანდრე, ვაშაკიძე არჩილი, კაციტაძე ჯემალი, მახარობლიძე რევაზი, ნანიტაშვილი თენგიზი, ჭალაგანიძე შოთა.

აკადემიის წევრ-კორესპონდენტები – ბედია ომარი, გაბუნია ნოდარი, თევზაძე ვახტანგი, პაპუნიძე გურამი, სარიშვილი დავითი, შაფაქიძე ელგუჯა.

1. განყოფილებაში შემოსულია განყოფილების წევრების ანგარიშები, რომლებიც ძირითადად პასუხობენ აკადემიური საბჭოს მიერ შემუშავებული კითხვების მოთხოვნებს;

2. განყოფილების წევრების მიერ წარმოდგენილი ანგარიშების მიხედვით შესაძლებელია ჩამოყალიბდეს აკადემიის ნამდვილი წევრების და წევრ-კორესპონდენტების მიერ ჩატარებული სამეცნიერო-კვლევითი და სასწავლო-კედაგოგიური მუშაობის ანგარიში 2012 წელს.

3. განყოფილების 13 წევრის საშუალო ასაკია 71 წელი, ყველაზე უფროსია აკადემიის წევრ-კორესპონდენტი დავით სარიშვილი – 85 წელი, უმცროსი კი – აკადემიკოსი ნუგზარ ბალათურია – 67 წლის.

4. განყოფილების 2 წევრი – აკად. შ. ჭალაგანიძე სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდენტია და აკად. წ/კ ო. ბედია – სსმმ აკადემიის აღმინისტრაციის ხელმძღვანელი, 4 წევრის, აკად. რ. მახარობლიძე, აკად. ჯ. კაციტაძის, აკად. ა. დიდებულიძე და აკად. წ/კ ე. შაფაქიძის ძირითადი სამუშაო აღგილია საქართველოს აგრარული უნივერსიტეტი – დაკავებული აქვთ სრული პროფესორების აკადემიური თანამდებობები, აკად. ა. ვაშაკიძე, აკად. ნ. ბადათურია, აკად. ო. ნანიტაშვილი, აკად. წ/კ ვ. თევზაძე - მუშაობები საქართველოს სახელმწიფო ტექნიკურ უნივერსიტეტი, აკად. წ/კ გ. პაპუნიძე მუშაობს შ. რუსთაველის ბათუმის სახელმწიფო უნივერსიტეტში სრ. პროფესორად, 2 წევრი – აკად. წ/კორ. დ. სარიშვილი და აკად. წ/კ ნ. გაბუნია არიან პენსიონერები.

განყოფილების წევრთა ძირითადი დასაქმების ადგილი და თანამდებობა:

- აკად. შ. ჭალაგანიძე – საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდენტი, ტექნ. მეცნ. დოქტორი, პროფესორი;
- აკად. რ. მახარობლიძე – საინჟინრო დარგობრივი-სამეცნიერო განყოფილების აკადემიკოს-მდივანი, საუ-ის კ. ამირაჯიბის მექანიზაციის და ელექტრიფიკაციის ს/კ ინსტიტუტის სამეცნიერო საბჭოს თავმჯდომარე, საუ-ის საინჟინრო-ტექნოლოგიური ფაკულტეტის ს.პ. მექანიზაციის მიმართულების სრული პროფესორი, ტექნ. მეცნ. დოქტორი;
- აკად. ჯ. კაციტაძე - საუ-ის საინჟინრო-ტექნოლოგიური ფაკულტეტის ს.პ. მექანიზაციის მიმართულების სრული პროფესორი, ტექნ. მეცნ. დოქტორი;
- აკად. ა. ვაშაკიძე - სტუ-ის სრული პროფესორი, ტექნ. მეცნ. დოქტორი;
- აკად. ა. დიდებულიძე - საუ-ის საინჟინრო-ტექნოლოგიური ფაკულტეტის ს.პ. ელექტრიფიკაციის მიმართულების სრული პროფესორი, ტექნ. მეცნ. დოქტორი;
- აკად. ნ. ბადათურია – საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის კვების მრეწველობის ინსტიტუტის დირექტორი, ტექნ. მეცნ. დოქტორი, პროფესორი;
- აკად. ო. ნანიტაშვილი - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის კვების მრეწველობის ინსტიტუტის სამეცნიერო საბჭოს თავმჯდომარე, ტექნ. მეცნ. დოქტორი, პროფესორი;
- აკად. წ/კორ. ე. შაფაქიძე - საუ-ის აგროსაინჟინრო ფაკულტეტის ს.პ. მექანიზაციის მიმართულების სრული პროფესორი, ტექნ. მეცნ. დოქტორი;
- აკად. წ/კორ. ვ. თევზაძე - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის პიდროტექნიკისა და წყალთა მეურნეობის ინსტიტუტის წამყვანი მეცნიერ თანამშრომელი, ტექნ. მეცნ. დოქტორი, პროფესორი;
- აკად. წ/კორ. დ. სარიშვილი – პენსიონერი, ტექნ. მეცნ. კანდ. დოცენტი;
- აკად. წ/კორ. ვ. თევზაძე - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის პიდროტექნიკისა და წყალთა მეურნეობის ინსტიტუტის წამყვანი მეცნიერ თანამშრომელი, ტექნ. მეცნ. დოქტორი, პროფესორი;
- აკად. წ/კორ. გ. პაპუნიძე – შ. რუსთაველის ბათუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის სრული პროფესორი, ტექნ. მეცნ. დოქტორი;
- აკად. წ/კორ. ნ. გაბუნია – პენსიონერი, ტექნ. მეცნ. დოქტორი, პროფესორი,

5. განყოფილების 12 წევრის სამეცნიერო ხარისხია მეცნიერებათა დოქტორი, ხოლო ერთი წევრი - აკად. წ/კ დ. სარიშვილი არის ტექნიკის

მეცნიერებათა კანდიდატი. წევრებიდან 11 აქვს სამეცნიერო წოდება – პროფესორი, 1 წევრს – სამეცნიერო წოდება დოცენტი, 6 წევრს უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში უკავია სრული პროფესორის აკადემიური თანამდებობა.

6. განყოფილების წევრების მიერ საანგარიშო 2012 წელს გამოქვეყნებულია 55 ნაშრომი (რ. მახარობლიძე – 7, 6. ბალათურია – 16, ო. ნანიტაშვილი – 2, გ. პაპუნიძე – 4, შ. ჭალაგანიძე – 7, ჯ. კაციტაძე – 4, ა. დიდებულიძე – 2, ე. შაფაქიძე – 6, ვ. თევზაძე – 1, ო. ბედია – 1), მათ შორის - 3 მონოგრაფია (ვ. თევზაძე-2, 6. გაბუნია-1) და 2 სახელმძღვანელო (ჯ. კაციტაძე-1, ა.დიდებულიძე-1).

7. განყოფილების წევრებს 2012 წელს მონაწილეობა აქვთ მიღებული 7 საერთაშორისო და ადგილობრივ კონფერენციებში, სიმპოზიუმებში და სემინარებში (შ. ჭალაგანიძე – 4 კონფერენცია, გ. პაპუნიძე – 1, ო. ნანიტაშვილი – 1, ჯ. კაციტაძე – 1);

8. 2012 წელს მიღებულია 3 პატენტი გამოგონებაზე, მათ შორის 1 პატენტი მიიღო აკად. რ. მახარობლიძემ, 2 პატენტი – აკადემიის წ/კ ე. შაფაქიძემ;

9. 2012 წელს მუშავდებოდა საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდის მიერ დაწესებული 3 გრანტი (ჯ. კაციტაძე – 1, რ. მახარობლიძე - 1, ა. დიდებულიძე – 1).

10. 2012 წელს განყოფილების წევრები ხელმძღვანელობას უწევენ 5 დოქტორანტს (აკად. რ. მახარობლიძე – დაიცვა 2 დოქტორანტმა, აკად. ჯ. კაციტაძე – დაიცვა 1 დოქტორანტმა, აკად. წ/კორ. ე. შაფაქიძე – დაიცვა 2 დოქტორანტმა)

11. 2012 წელს განყოფილების წევრების უმრავლესობა არის სხვადასხვა გამოცემების კრებულების, შრომების და გამოცემების სარედაქციო კოლეგიის წევრები.

12. განყოფილების წევრები 2012 წელს იყვნენ სხვადასხვა სამეცნიერო საბჭოების წევრი; აკად. შ. ჭალაგანიძე, აკად. რ. მახარობლიძე, აკად. 6. ბალათურია არიან საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის აკადემიური საბჭოს წევრები.

13. განყოფილების წევრები აკად. შ. ჭალაგანიძე, , აკად. ა. ვაშაკიძე, აკად. ა. დიდებულიძე, აკად. 6. ბალათურია, აკად. წ/კორ. ე. შაფაქიძე, აკად. წ/კორ. ო. ბედია, აკად. წ/კორ. გ. პაპუნიძე, აკად. წ/კორ. 6. გაბუნია, აკად. წ/კორ. ვ. თევზაძე არიან სხვადასხვა საერთაშორისო და არასახელმწიფო დარგობრივი აკადემიების წევრები;

14. განყოფილების წევრები აკად. ა. ვაშაკიძე, აკად. ა. დიდებულიძე, აკად. წ/კ. 6. გაბუნია, აკად. წ/კ. ო. ბედია არასამთავრობო ორგანიზაციის წევრები არიან.

15. განყოფილების წევრები არიან სხვადასხვა გამომცემლობების, შრომათა კრებულების, სამეცნიერო უურნალების სარედაქციო კოლეგიის წევრები, სახელმძღვანელოების და მონოგრაფიების რედაქტორები ან რეცენზენტები.

საინჟინრო საკოორდინაციო-დარგობრივი სამეცნიერო განყოფილებაში 2012 წელს სულ ჩატარდა 3 სხდომა.

პირველი სხდომა ჩატარდა 22 მაისს და განხილული იქნა შემდეგი საკითხები: 1. საინჟინრო სამეცნიერო დარგობრივი განყოფილების 2011 წლის ანგარიში. მომსენებლები: აკადემიკოს-მდივანი რევაზ მახარობლიძე, სწავლული მდივანი ანატოლი გიორგაძე; 2. საქართველოში აგროსაინჟინრო კვლევების მდგომარეობა და პერსპექტივები. მომსენებელი: აკადემიკოს-მდივანი რევაზ მახარობლიძე;

მეორე სხდომა ჩატარდა 16 ნოემბერს და განხილული იქნა შემდეგი საკითხები: 1. XX საერთაშორისო სამეცნიერო-ტექნიკური კონფერენციის „trans&MOTAUTO 12“ (ქვარნა, ბულგარეთი) შესახებ. მომსენებელი: აკადემიკოსი ჯემალ კაციტაძე; 2. ნიადაგის დამუშავების თანამედროვე რესურსდამზოგი ტექნოლოგიების განვითარების პერსპექტივები საქართველოში. მომსენებელი: აკადემიის წევრ-კორესპონდენტი ელგუჯა შაფაქიძე.

მესამე სხდომა ჩატარდა 26 დეკემბერს და განხილული იქნა საკითხი:

1. დვარცოფული მოვლენები და მათ წინააღმდეგ ბრძოლის ღონისძიებები. მომსენებელი: აკადემიის წევრ-კორესპონდენტი ვახტანგ თევზაძე.

საინჟინრო სამეცნიერო დარგობრივი განყოფილებიდან საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის აკადემიურ საბჭოზე განსახილველად გატანილი იქნა 2 საკითხი.

4.3.1. საინჟინრო საკოორდინაციო-დარგობრივი სამეცნიერო განყოფილების წევრების 2012 წლის ანგარიშები.

4.3.1.1. აკადემიკოსი ნუგზარ ბალათურია



სამეცნიერო თემის დასახელება (გეგმიური დავალებით):

1.“ნაკლებად გავრცელებული ყურძნის პერსპექტიული ჯიშების გამოკვლევა ნატურალური საკვები საღებავების მიღების მიზნით”;

ლაბორატორიულ და ნახევრადსაწარმოო პირობებში ჩატარებული კვლევითი სამუშაოებისას შესწავლილ იქნა როგორც ფართოდ გავრცელებული, ასევე ნაკლებად გავრცელებული წითელი ყურძნის ჯიშებიდან მიღებული ღვინომასალების ფიზიკურ-ქიმიური მაჩვენებლები (ფენოლური ნაერთები,

მდებავი ნივთიერებები, ტანინები, ექსტრაქტები).

დადგენილ იქნა, რომ საქართველოში ნაკლებად გაგრცელებული წითელი ყურძნის ჯიშებიდან უმეტესობა მაღალი ხარისხის ღვინოების დამზადების წყაროს წარმოადგენენ, ხოლო მაღალხარისხოვანი ღვინისათვის ნაკლებად

გამოსაყენებელი წითელი ურმნის ჯიშები კი გამოყენებულ უნდა იქნას ნატურალური საკვები წითელი საღებავისა და ბიოაქტიური გქსტრაქტების მისაღებად.

1. “პურის ნატურალური გამაუმჯობესებლის მიღების ტექნოლოგიის გამოკვლევა”;

კვლევის შედეგად დადგენილ იქნა, რომ კელურად მზარდი მცენარეების ნაყოფებიდან -კუნელი, ასკილი, ქაცვი და უნაბი - პექტინოვან ნივთიერებებს აბს. მშრალ მასაზე გადაანგარიშებით ყველაზე დიდი რაოდენობით შეიცავს კუნელი - 10, 72%, მინიმალურ რაოდენობას კი ქაცვი - 4,62%. დადგენილ იქნა, რომ პროტოპექტინის რაოდენობა აღემატება ხსნადი პექტინის რაოდენობას, გამონაკლისს წარმოადგენდა ასკილი. პექტინოვანი ნივთიერებების საერთო რაოდენობაში პროტოპექტინის წილი შეადგენდა 40,45 – 92,5% - ს.

დადგენილ იქნა ასევე, რომ კუნელის, ასკილის, ქაცვისა და უნაბის ნაყოფები შესაძლებელია გამოყენებულ იქნან სამრეწველო გადამუშავებისათვის, რათა მიღებულ იქნას ჰიდროპექტინი და პექტინოვანი ნივთიერებების შემცველი პურის ნატურალური დანამატები.

2. “ადგილობრივი მცენარეული ნედლეულის გამოყენებით ანტიოქსიდანტური სასმელების (მოცვი, მაყვალი, ქაცვი, შინდი) მიღების ტექნოლოგიის დამუშავება”;

დამუშავდა მოცვისა და შინდის ნაყოფებისაგან ანტიოქსიდანტური სასმელების მიღების ტექნოლოგია.

შესწავლილი იქნა მოცვისა და შინდის წვენების ფიზიკურ-ქიმიური შედგენილობა და განისაზღვრა მათი ანტიოქსიდანტური აქტივობა. დადგენილ იქნა, რომ ახალი ტექნოლოგიით მიღებული მოცვისა და შინდის წვენები ხასიათდებიან მაღალი ანტიოქსიდანტური აქტივობით.

3. “საქართველოში გავრცელებული მანდარინის, ფეიხოას და კივის არასტანდარტული ნედლეულიდან პექტინის პასტის მიღების ტექნოლოგიის დამუშავება”;

დადგინდა, რომ ფეიხოას, კივისა და მანდარინის ნაყოფები მდიდარია პექტინოვანი ნივთიერებებით, რაც შესაძლებლობას იძლევა დამზადდეს მათგან ფუნქციონალური დანიშნულების პექტინშემცველი საკვები პროდუქტები.

დამუშავდა შესწავლილი ნედლეულის არასტანდარტული ნაყოფებიდან პექტინის პასტის მიღების ტექნოლოგია.

4. “კელურად მზარდი ღვიის ნედლეულის ქიმიკო-ტექნოლოგიური გამოკვლევა, ნატურალური საკვები დანამატის დამზადების მიზნით”.

დადგენილი იქნა, რომ საგურამოს ქედის მისადგომებთან აღმოჩენილ კელურად მზარდი ღვიის (*juniperis Communis*) გირჩა-კენკრების ზეთშემცველობა მერყეობს 0,5-დან 1,15 %-მდე, ხოლო მწვანე გირჩა-კენკრების ეთეროვანი ზეთის შემცველობა 0,3-დან 0,6%-მდე.

ჩატარებული ექსპერიმენტების შედეგმა აჩვენა, რომ ღვიის როგორც მწიფე, ასევე მწვანე გირჩა-კენკრებში ზეთშემცველობა ცვალებადობს წელიწადის დროის მიხედვით.

II. უმაღლეს სასწავლებელში აკად. ნ. ბაღათურია ხელმძღვანელობს კურსს დისციპლინაში: “კვების ინდუსტრიის ინჟინერია და ტექნოლოგიები”.

III. გამოქვეყნებული თეზისები, სტატიები, (თეზისების, სტატიების სახელწოდებები, ჟურნალის, კრებულის დასახელება, წელი, ნომერი). სტატიის მოკლე ანოტაცია.

2012 წელს გამოქვეყნებული სამეცნიერო შრომები:

1. Багатурия Н.Ш ; Читашвили Н.В; Бегиашвили Н.А; Багатурия Б.Н; Которашвили Л.З – Производство и использование жидкого сахара. Ж. «Известия аграрной науки», 2012г.т.10 №2;
2. ნ. ბაღათურია, ნ. ბეგიაშვილი; ლ. კოტორაშვილი; მ. ორმოცაძე; შ. მულაძე; ბ. ბაღათურია – ციტრუსების გადამუშავების ნარჩენების გამოყენება საკონდიტო წარმოებაში; ქ. „აგრარულ-ეკონომიკური მეცნიერება და ტექნოლოგიები“, 2012 წ.
3. Н.Ш. Багатурия; Бегиашвили Н.А; Б.Н. Багатурия _ Физико-химические показатели фальсификации коньяков и коньячных спиртов; ქ. “გამოყენებითი ქიმიის პრობლემები”, თბილისი, 2012წ.
4. Н.Ш. Багатурия; Л.В.Каджая Бегиашвили Н.А; Б.Н. Багатурия _ Влияние -у и УФ – излучения на качество эфирных масел. Конф., посвящ. 90 г. юбил. Технич. универ. Грузии. Тбилиси, 2012 г
5. Н.Ш. Багатурия; Л.В.Каджая ; Бегиашвили Н.А; Утурашвили Э.А _ Химический состав эфирного масла полыни лимонной, прорастающей в условиях Грузии - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი დაარსებიდან 90 წლისათვის მიძღვნილი საერთაშორისო კონფერენცია. შრომები 21-ე საუკუნის მეცნიერებისა და ტექნოლოგიების განვითარების ძირითადი პარადიგმები. №1. გვ.344, 2012წ.
6. ნ. ბაღათურია, ნ. ბეგიაშვილი; ლ. კოტორაშვილი; მ. ორმოცაძე; ბ. ბაღათურია, „საკვები ნატურალური არომატიზატორის მიღება ევგენოლური რეჟანის ნედლეულის გადამუშავების ნარჩენებისაგან“ – საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის დაარსებიდან 90 წლისათვის

მიძღვნილი საერთაშორისო კონფერენცია. შრომები 21-ე საუკუნის მეცნიერებისა და ტექნოლოგიების განვითარების ძირითადი პარადიგმები. №1. გვ.331, 2012წ.

7. 6. ბალათურია, 6. ბეგიაშვილი; ლ. კოტორაშვილი; მ. ორმოცაძე; ბ. ბალათურია – “საქართველოში გავრცელებული ლიმონისებური რეპანის ეთეროვანი ზეთის ქიმიური შედგენილობის გამოკვლევა”. საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის დაარსებიდან 90 წლისათვის მიძღვნილი საერთაშორისო კონფერენცია. შრომები 21-ე საუკუნის მეცნიერებისა და ტექნოლოგიების განვითარების ძირითადი პარადიგმები. №1. გვ.334, 2012წ.
8. 6. ბალათურია, ე. ედიბერიძე, 6. ლომსაძე – “ღვინის სიმჟავის დაწევის ბიოლოგიური მეთოდი”. საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის დაარსებიდან 90 წლისათვისადმი მიძღვნილი საერთაშორისო კონფერენცია. შრომები, 21-ე საუკუნის მეცნიერებისა და ტექნოლოგიების განვითარების ძირითადი პარადიგმები. №1. გვ.337, 2012წ.
9. 6. ბალათურია; 6. ბეგიაშვილი; ლ. კოტორაშვილი; მ. ორმოცაძე; ბ. ბალათურია – “წითელი ჯიშის ყურძნიდან პურის ნატურალური გამაუმჯობესებლების ტექნოლოგიის გამოკვლევა”. ქ. „აგრარულ-ეკონომიკური მეცნიერება და ტექნოლოგიები“, 2012 წ. №3 გვ. 31.
10. 6. ბალათურია; თ. ნანიტაშვილი; 6. ბეგიაშვილი; ც. შილაკაძე; ბ. ბალათურია – “ყურძნისა და ღვინის პროცესლიზური ფერმენტების გამოკვლევა.” ქ. „აგრარულ-ეკონომიკური მეცნიერება და ტექნოლოგიები“, 2012 წ. №3 გვ. 40.
11. 6. ბალათურია; შ. მულაძე; ი. კუპატაძე; მ. კერესელიძე; 6. გილაური; ლ. კოტორაშვილი; ზ. ალანია – “ყურძნის პექტინის გამოყენებით ფუნქციონალური დანიშნულების პურ-პროდუქტების ახალი ასორტიმენტის შექმნა”. ქ. „აგრარულ-ეკონომიკური მეცნიერება და ტექნოლოგიები“, 2012 წ. 3 გვ. 46
12. 6. ბალათურია; 6. ბეგიაშვილი; ი. კუპატაძე; შ. მულაძე; ზ. ალანია – “საქართველოში ფართოდ გავრცელებული ციტრუსოვნების პექტინოვანი ნივთიერებების შესწავლა სამკურნალო-პროფილაქტიკური დანიშნულების პროდუქტების შექმნის მიზნით”. ქ. „აგრარულ-ეკონომიკური მეცნიერება და ტექნოლოგიები“, 2012წ. №3 გვ. 53.

13. 6. ბადათურია, 6. ბეგიაშვილი, ლ. კოტორაშვილი, მ. ორმოცაძე - “პექტინით გამდიდრებული ახალი სახეობის პროდუქტების გამოკვლევა”. აგრარულ-ეკონომიკური მეცნიერება და ტექნოლოგიები”, №2, 2012 წ.
14. 6. ბადათურიან, 6. ბეგიაშვილი, მ. მულაძე, ლ. კოტორაშვილი, მ. ორმოცაძე - “ციტრუსების გადამუშავების ნარჩენების გამოყენება საკონდიტრო წარმოებაში ” - ურნ. “აგრარულ-ეკონომიკური მეცნიერება და ტექნოლოგიები”, №2, 2012 წ. გვ. 55
15. ვ. ნაყოფია, 6. ბადათურია, ე. უთურაშვილი, ი. კუპატაძე, ზ. ალანია - ქაცის ნაყოფების ბიოქიმიური თავისებურებანი და მათი გამოყენების პერსპექტივები. ქ. “აგრარულ-ეკონომიკური მეცნიერება და ტექნოლოგიები”. №2, გვ. 82-87, 2012 წ.
16. 6. ბადათურია, ე. უთურაშვილი, მ. დემენიუკი - ახალი ჯიშის სურნელოვან-არომატული მცენარეების გამოვლენა და დანერგვა. ქ. “აგრარულ-ეკონომიკური მეცნიერება და ტექნოლოგიები”. №2, გვ. 82-87, 2012 წ.
- IV. მომზადდა გამოსაქვეყნებლად მონოგრაფია : ”ღვინის ექსპერტიზა”;
- V. სამეცნირო საზოგადოების დასახელება, რომლის მუშაობაში აკად. 6. ბადათურია იღებს მონაწილეობას: ”საქართველოს მეცნიერებათა ეროვნულ აკადემიის მთიანეთის პრობლემათა შემსწავლელი კომისია”.
- VI. გაკეთდა განაცხადი პატენტზე ”ქართული ვისკის მიღების ხერხი”.

აკად. 6. ბადათურიას კონკრეტული წინადაღებები ”საქართველოს კვებისა და გადამამუშავებელი მრეწველობის განვითარების შესახებ”

სოფლის მეურნეობის პროდუქციის გადამამუშავებელი მრეწველობის განვითარება შეუძლებელია ინოვაციური ტექნოლოგიების შექმნისა და დანერგვის გარეშე. ინოვაციური ტექნოლოგიების დანერგვა და სამისოდ უცხოელი და ადგილობრივი ინვესტორების მოზიდვა კი უნდა განხორციელდეს მსოფლიოში აპრობირებული მეთოდის - ტექნოპარკების შექმნის გზით.

კვების მრეწველობს ს/კ ინსტიტუტთან შექმნილი ტექნოპარკის ასამოქმედებლად და სამისოდ ინვესტორების მოსაზიდად დამუშავებულია შემდეგი ინოვაციური ტექნოლოგიები:

1. თხევადი შაქრის წარმოების ტექნოლოგია

მოთხოვნილება: ბოლო წლებში მსოფლიოში მნიშვნელოვნად გაიზარდა შაქრის ფასი, რამაც უშუალო გავლენა მოახდინა კვების პროდუქტების - უალკოჰოლო სასმელების, საკონდიტრო ნაწარმის, ხილის წვენების და კონსერვების გაძვირებაზე.

საზღვარგარეთის ქვეყნებში კვების მრეწველობის საწარმოები, როგორც წესი, იყენებენ თხევად შაქარს, რაც მნიშვნელოვნად ზრდის შაქარშემცველი კვების პროდუქტების წარმოების რენტაბელობას. საქართველოში მსგავსი წარმოების უქონლობის გამო, ადგილობრივი საწარმოები იყენებენ რაფინირებულ, ძვირადღირებულ შაქრის ფხვნილს, რის გამოც სამამულო წარმოების კვების პროდუქტები კონკურენციას ვერ უწევენ იმპორტირებულ იმავე დასახელების პროდუქტებს.

შედარება უცხოეთთან: ტექნიკური უნივერსიტეტის კვების მრეწველობის ს/კ ინსტიტუტში პირველად დამუშავდა უშუალოდ ნედლი შაქრიდან თხევადი შაქრის წარმოების ახალი ტექნოლოგია, რომელიც საშუალებას იძლევა არსებულთან (უცხოურთან) შედარებით გაცილებით უფრო მარტივი ხერხით მიღებულ იქნას კვების მრეწველობის საწარმოებისათვის საჭირო იაფფასიანი თხევადი შაქარი.

ტექნიკო-ეკონომიკური მაჩვენებლები: თხევადი შაქრის გამოყენება 20-25%-ით ამცირებს შაქარშემცველი კვების პროდუქტების ღირებულებას, აუმჯობესებს მათ ხარისხს.

თხევადი შაქრის წარმოება გამიზნულია მოეწყოს ტექნიკური უნივერსიტეტის თეორი წყაროს ექსპერიმენტულ ქარხნაში. აქ არსებულ დანადგარებზე ყოველწლიურად შეიძლება ვაწარმოოთ 9700 ტონა თხევადი შაქარი. წმინდა მოგება შეადგენს 2,34 მილიონ აშშ დოლარს წელიწადში. პერსპექტივაში საქართველოს კვების მრეწველობის დარგებისათვის, მათი განვითარების კვალობაზე, საჭირო იქნება ვაწარმოოთ 40-50 ათასი ტონა თხევადი შაქარი.

თხევადი შაქრის წარმოების შემდგომი განვითარების მიზნით, გამიზნულია ქვემო ქართლში მოეწყოს შაქრის ჭარხლისა და შაქრის სორგოს ნედლეულის წარმოება, რაც საშუალებას მოგვცემს ავითვისოთ რეგიონში გამოუყენებელი რეზერვის მდგომარეობაში არსებული მიწის ფართობები, დავასაქმოთ იქ მაცხოვრებელი მოსახლეობა, გავზარდოთ ქვეყნისათვის სტრატეგიული პროდუქტის – შაქრის წარმოება.

2. პურის ნატურალური გამაუმჯობესებლის ტექნოლოგია დანიშნულება: პურისა და საკონდიტრო მრეწველობა.

მოთხოვნილება: მსოფლიოს მთელ რიგ ქვეყნებში ბოლო წლებში მნიშვნელოვნად შემცირდა პურის მოხმარება, რაც ძირითადად გამოწვეულია იმით, რომ პურის ხელოვნური გამაუმჯობესებლების და მათ შორის განსაკუთრებით გლუტენის მასიურმა გამოყენებამ გამოიწვია ურთულესი დაავადების – ცერიაკიისა და სხვა საშიში დაავადებების გაგრცელება. პურის ხელოვნურ გამაუმჯობესებლებს იყენებენ დაბალი ხარისხი ფქვილის პურცხობის მაჩვენებლების გასაუმჯობესებლად.

ზემოთქმულიდან გამომდინარე, მთელს მსოფლიოში ყოველწლიურად იზრდება მოთხოვნილება პურის ნატურალურ გამაუმჯობესებლებზე.

ტექნიკური უნივერსიტეტის კვების მრეწველობის სამეცნიერო-კვლევით ინსტიტუტში ჩატარებული გამოკვლევებით დადგენილ იქნა, რომ პურცხობის მაჩვენებლების გასაუმჯობესებლად ხელოვნური გამაუმჯობესებლების ნაცვლად შეიძლება გამოყენებულ იქნას ყურძნიდან სპეციალური ტექნოლოგიით მიღებული ნატურალური ექსტრაქტები. ამ ექსტრაქტებში არსებული დაბალმეტოქსილირებული პექტინი, ლგინის მჟავა და გლუკოზა ხელს უწყობენ პურის ხარისხის გაუმჯობესებას და მთლიანად გამორიცხავებ ხელოვნური დანამატების გამოყენების აუცილბლობას. ყურძნის ექსტრაქტები არსებული ფენოლური ნაერთები კი პურფუნთუშეულს სძენენ ანტიოქსიდანტურ თვისებებს.

ყურძნის ფენოლურ ნაერთებს გააჩნიათ ადამიანის ორგანიზმში არსებული სხვადასხვა დაავადებების გამომწვევი თავისუფალი რადიკალიზაციის უნარი, რის გამოც მათ საფუძველზე დამზადებული კვების პროდუქტები იძნენ სამკურნალო-პროფილაქტიკურ თვისებებს გულ-სისხლძარღვთა დაავადებების (ინფაქტი, ინსულტი, თრომბოზები) წინააღმდეგ.

3. დისტილაციური ეთეროვანი ზეთების მიღების ახალი ტექნოლოგია.

დანიშნულება. ეთეროვანი ზეთები წარმოადგენენ ნატურალურ არომატიზატორებს და ფართოდ გამოიყენება ალკოჰოლიანი და უალკოჰოლო სასმელების, საკონდიტრო ნაწარმის და სხვა კვების პროდუქტების არომატიზაციისათვის. მსოფლიოში ეთეროვან ზეთებზე, როგორც ნატურალურ არომატიზატორებზე მოთხოვნილება ყოველწლიურად იზრდება, მაგრამ მათი წარმოება ჩამორჩება მოთხოვნილებას არსებული ტექნოლოგიის სირთულისა და არასრულყოფილების გამო.

ეთეროვანი ზეთები ძირითადად მიიღება დისტილაციის მეთოდით. ნედლეულად გამოიყენება ახლად მოკრეფილი ეთერზეთოვანი მცენარეები, რადგანაც ნედლეულის შრობის დროს იკარგება მათში არსებული ეთეროვანი ზეთების 30-50%. ნედლი მცენარეებიდან ეთეროვანი ზეთის გამოხდა (დისტილაცია) მოითხოვს დიდ დროს და ძნელდება მათში დიდი რაოდენობით ტენის არსებობის გამო, რაც იწვევს ორთქლის დიდი რაოდენიბით ხარჯს. ამ დროის განმავლობაში, პიდროთერმული ზემოქმედების შედეგად ნატურალური ზეთის კომპონენტები იშლება და წარმოიქმნება ე.წ. არტეფაქტები ანუ გარეშე (ტოქსიკური) ნივთიერებები (ალიფატური ალდეკიდები, ციმოლი და ა.შ.), რის გამოც უარესდება ზეთის ხარისხი. აღსანიშნავია ისიც, რომ ძალიან მცირეა ეთერზეთოვანი ნედლეულის გამოყენების კოეფიციენტი. კერძოდ, 1 ტონა ეთერზეთოვანი ნედლეულის გადამუშავებისას საშუალოდ მიიღება არა უმეტეს 4-5 კგ ეთეროვანი ზეთი. ნედლეულში არსებული სხვა დანარჩენი საკვები და ბიოაქტიური ნივთიერებები პიდროთერმული ზემოქმედების შედეგად იშლება ან განიცდის ტრანსფორმაციას, რის გამოც ეთერზეთოვანი მცენარეების

გადამუშავებისას გამოყენებელი ნარჩენების სახით რჩება საწყისი ნედლეული 94-99%, რაც მნიშვნელოვნად ამცირებს ეთეროვანი ზეთების წარმოების რენტაბელობას.

ზემოთქმულიდან გამომდინარე, აქტუალურ საკითხს წარმოადგენს ეთერზეთოვანი მცენარეების გადამუშავების ახალი ტექნოლოგიის შემუშავება მზა პროდუქციის ხარისხის გაუმჯობესების, ენერგეტიკული დანახარჯების შემცირებისა და ნედლეულის კომპლექსური გამოყენების მიზნით.

ახალი ტექნოლოგიის შედარება უცხოურთან. ახალი ტექნოლოგიის უპირატესობა მდგომარეობს იმაში, რომ მისი გამოყენების შედეგად მკვეთრად მცირდება (50-60%-ით) 1კგ ეთეროვანი ზეთის გამოხდისათვის საჭირო ორთქლის ხარჯი, 50-60%-ით იზრდება გამოსახდელი აპარატების წარმადობა, რადგანაც შესაბამისად მცირდება გამოსახდელი ნედლეულის მასა.

აღსანიშნავია ისიც, რომ ყოველი 1 ტონა ნედლეულის გადამუშავებისას ეთეროვან ზეთად (3-4 კგ) ახალი ტექნოლოგიით დამატებით მიიღება 500-600 კგ ბიოაქტიური ნივთიერებებით გამდიდრებული ნატურალური წვენი, რომლის 1 კგ-ის ღირებულება საშუალოდ შეადგენს 1 ლარს, ე.ო. თანმდევი პროდუქტის სახით მიიღება 500-600 ლარის ღირებულების ნატურალური წვენები, რაც მნიშვნელოვნად ზრდის ეთეროვანი ზეთის წარმოების რენტაბელობას.

4. ქართული ვისკის წარმოების ტექნოლოგია

მოთხოვნილება ადგილობრივ და უცხოეთის ბაზრებზე: საქართველო ყოველწლიურად აწარმოებდა 20-25 მლნ ბოთლ კონიაკს, რომელიც თავისი ხარისხის მაჩვენებლებით პასუხობდა მსოფლიო სტანდარტების მოთხოვნებს აღნიშნულ სასმელზე.

საქართველოს მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციაში შესვლასთან დაკავშირებით, საქართველოს კანონი ვაზისა და ღვინის შესახებ კრძალავს დასახელება „კონიაკის“ გამოყენებას და მოითხოვს ქართულ პროდუქტიას დაერქვას „ბრენდი“;

ევროკავშირის განმარტებების თანახმად, ბრენდი წარმოადგენს დაბალი ხარისხის ალკოჰოლურ სასმელს, რის გამოც მოთხოვნილება ქართულ ბრენდზე მკვეთრად შემცირდა, ყოფილი სსრ კავშირის ბაზრებზე. საექსპორტო შესაძლებლობები კი მინიმალურია, რის გამოც გამოუყენებელი რჩება ამ ტიპის სასმელების წარმოებისათვის საჭირო ღვინის დისტილატების უზარმაზარი რესურსები.

კვების მრეწველობის ინსტიტუტში დამუშავებულია ახალი ალკოჰოლური სასმელის - ქართული ვისკის წარმოების ტექნოლოგია, რომელიც საშუალებას იძლევა მიღებულ იქნას მსოფლიო ბაზარზე კონკურენტუნარიანი, საექსპორტო პროდუქცია.

შედარება უცხოურ ანალოგებთან. ქართული ვისკის ტექნოლოგია განსხვავდება ვისკის მიღების ტრადიციული ტექნოლოგიისაგან იმით, რომ ის მოიცავს ვისკისა და კონიაკის მიღების ტექნოლოგიებს. მიღებული პროდუქტი გამოირჩევა შესანიშნავი ორგანოლექტიკური მაჩვენებლებით.

5. ყურძნის ნატურალური წითელი საღებავის – გრეიპანტის მიღების ტექნოლოგიის გამოკვლევა

ევროპარლამენტის დადგენილებით, 2012 წლიდან იკრძალება ხელოვნური წითელი საღებავების გამოყენება კვების პროდუქტებში მათი ნეგატიური ზემოქმედების გამო ადამიანის და განსაკუთრებით ბავშვთა ჯანმრთელობაზე.

გრეიპანტი – ესაა ყურძნის ფენოლური ნაერთების კონცენტრატი. ის გამოყენება უშუალოდ როგორც სამკურნალო-პროფილაქტიკური დანიშნულების ნატურალური წვენი და ასევე როგორც ბიოლოგიურად აქტიური საპვები დანამატი პურისა და საკონდიტორო ნაწარმის დამზადებისას, რძის მრეწველობაში, ახალი ასორტიმენტის მსოფლიო ბაზარზე კონკურენტუნარიანი ალკოჰოლიანი და უალკოჰოლო სასმელების მისაღებად.

6. მანდარინის პექტინ-კაროტინიანი ჯემის წარმოების ტექნოლოგია

დანიშნულება: რადიაციით დაბინძურებულ რეგიონებში მოსახლეობის სამკურნალო-პროფილაქტიკური დანიშნულების ეკოლოგიურად სუფთა პროდუქციით უზრუნველყოფა.

მოთხოვნადობა ადგილობრივ და საზღვარგარეთის ბაზრებზე: რადიოპროტექტორული თვისებების მქონე პროდუქტებზე დიდია მოთხოვნილება უკრაინაში, ბელორუსიაში, იაპონიაში. თუ მხედველობაში მივიღებთ იმ გარემოებას, რომ ჩერნობილის ავარიის შედეგად მნიშვნელოვნად დაზარალდა დასავლეთ საქართველოც, აღნიშნული პროდუქტი ასევე მოთხოვნადია საქართველოშიც.

შედარება უცხოურ ანალოგთან. უცხოური ანალოგი არ არსებობს.

ტექნიკო-ეკონომიკური მაჩვენებლები: საქართველოში ყოველწლიურად მზადდება 80 ათასი ტონა ციტრუსოვანთა ნაყოფები. ნედლეულის ამ რაოდენობიდან 50-60% შეადგენს არასტანდარტულ ნაყოფებს, რომლებიც შესაძლებელია გამოყენებულ იქნას მხოლოდ სამრეწველო გადამუშავებისათვის.

კვების მრეწველობის ინსტიტუტში დამუშავებულია ციტრუსოვანთა ნაყოფების არასტანდარტული ნედლეულიდან რადიოპროტექტორული თვისებების მქონე პასტის წარმოების ტექნოლოგია, რომელიც, როგორც ნახევარ-ფაბრიკატი, შეიძლება მივაწოდოთ ბელორუსიისა და უკრაინის შესაბამის საწარმოებს.

ყოველწლიურად შეიძლება ვაწარმოოთ 20 მლნ დოლარის საექსპორტო პროდუქცია. რენტაბელობა შეადგენს 200%.

7. ტექნოლოგიის დასახელება: ანტიოქსიდანტური უალკოპოლო ღვინის წარმოების ტექნოლოგია.

დანიშნულება: რადიაციით დაბინძურებულ რეგიონებში მოსახლეობის სამკურნალო-პროფილაქტიკური დანიშნულების ეკოლოგიურად სუფთა პროდუქციით უზრუნველყოფა.

მოთხოვნადობა ადგილობრივ და საზღვარგარეთის ბაზრებზე:
რადიოპროტექტორული ოვისებების მქონე პროდუქტებზე დიდია მოთხოვნილება უკრაინაში, ბელორუსიაში, იაპონიაში. აღნიშნული პროდუქტი ასევე მოთხოვნადია დაბინძურებული ატმოსფეროს მქონე დიდ ინდუსტრიულ ქალაქებში.

შედარება უცხოურ ანალოგთან. საზღვარგარეთის ქვეყნებში (გერმანია) ყოველწლიურად იზრდება მოთხოვნილება უალკოპოლო ღვინოებზე. ამ პროდუქტის ფასი საშუალოდ შეადგენს 20-25 დოლარს 0,75ლ სასმელზე. ამასთან, უცხოური წარმოების ღვინოები სასიათდებიან დაბალი ბიოლოგიური ღირებულებით.

ჩვენს მიერ დამუშავებული ახალი ტექნოლოგია ძირეულად განსხვავდება უცხოურისაგან იმით, რომ უალკოპოლო ღვინო მიიღება კონიაკის(ბრენდის) გადამუშავების გამოუყენებელი ნარჩენებისაგან. და, რაც მთავარია, ქართული უალკოპოლო ღვინო გამდიდრებულია ყურძნის ფენოლური ნაერთებითა და დაბალმეტოქსილირებული პექტინით, რაც მიუთითებს იმაზე, რომ ის წარმატებით შეიძლება გამოყენებულ იქნას როგორც სამკურნალო-პროფილაქტიკური დანიშნულების პროდუქტი.

ტექნიკო-ეკონომიკური მაჩვენებლები. საქართველოში ყოველწლიურად კანალიზაციაში იღვრება 10-15 ათასი ტონა უალკოპოლო ღვინო, რომელიც წარმოიშობა საკონიაკე(საბრენდე) ღვინოების გამოხდის პროცესში. წარმოების დღემდე გამოუყენებელი ამ ნარჩენების ბიოაქტიური ნივთიერებებით გამდიდრების შედეგად მიღებული ანტიოქსიდანტური უალკოპოლო ღვინის რეალიზაციის შედეგად მიღებული შემოსავალი შეადგენს 100-150 მლნ დოლარს. რენტაბელობა – 250-300%.

8. ტექნოლოგიის დასახელება: პექტინის წარმოება.

ინსტიტუტში დამუშავებულია ნატურალური შემასქელებელის – პექტინის წარმოების რაციონალური ტექნოლოგია. პექტინი წარმოადგენს მსოფლიო ბაზარზე კონკურენტუნარიან პროდუქტს. საქართველოში შეიძლება დამზადეს პექტინის მისაღებად გამიზნული შემდეგი რაოდენობის მეორადი ნედლეული:

1. ვაშლის გადამუშავების ნარჩენები და ვაშლის არასტანდარტული ნაყოფები – 70 ათასი ტონა; 2. მანდარინის გადამუშავების ნარჩენები და მანდარინის არასტანდარტული ნაყოფები – 30 ათასი ტონის ოდენობით; 3. ყურძნის გადამუშავების ნარჩენები – 20 ათასი ტონის ოდენობით;

აღნიშნული ნედლეულის რესურსების გამოყენებით შეიძლება ვაწარმოოთ 30-40 მლნ აშშ დოლარის საექსპორტო პროდუქცია.

4.3.12. აკადემიკოსი ალექსანდრე დიდებულიძე



1. აკად. ა. დიდებულიძე მონაწილეობდა ერთ გეგმიურ სამეცნიერო-კვლევით სამუშაოში, იყო თემის ხელმძღვანელი. თემის დასახელება: “ელექტრიფიცირებული სასოფლო-სამეურნეო ტექნოლოგიური პროცესების ენერგეტიკული, ეკოლოგიური და ეკონომიკური შეფასება და მათი ენერგოტეგადობის შემცირება” (საბიუჯეტო, 2010 – 2012 წლები).
2. საქართველოს აგრარულ უნივერსიტეტი აკად. ა. დიდებულიძის აკადემიური დატვირთვა 2011/2012 სასწავლო წლის მეორე სემესტრში შეადგენდა კვირაში 5 საათს, 2012/2013 წლის პირველ სემესტრში – 8 საათს. იყო ერთი დოქტორანტის და ორი მაგისტრანტის სამეცნიერო ხელმძღვანელი.
- ელექტროამძრავი. საქართველოს აგრარული უნივერსიტეტის ბაკალავრიატი, მე-IV კურსის მეორე სემესტრები;
- საიმედოობის თეორია. საქართველოს აგრარული უნივერსიტეტის ბაკალავრიატი, მე-IV კურსის მეორე სემესტრები;
- ელექტრული მიკრო- და საეცმანქანები. საქართველოს აგრარული უნივერსიტეტის ბაკალავრიატი, IV კურსის პირველი სემესტრი;
- აგრარული ელექტროამძრავი. საქართველოს აგრარული უნივერსიტეტის მაგისტრატურა, II კურსის პირველი სემესტრი;
- ბიომეცნიერებების საკანონმდებლო, კომერციული და ეთიკური პრინციპები და უფლება ინტელექტუალურ საკუთრებაზე. საქართველოს აგრარული უნივერსიტეტის მაგისტრატურის II კურსის პირველი სემესტრი.
- ინტელექტუალური საკუთრების უფლებები, კანონმდებლობა და კომერციალიზაცია. ივ. ჯავახიშვილის სახ.თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის მაგისტრატურის I კურსის მეორე სემესტრი.

3. გამოცემულია სახელმძღვანელო: “გამოყენებითი ბიომეცნიერებები: ინტელექტუალური საკუთრება, კანონმდებლობა და კომერციალიზაცია” სიცოცხლის შემსწავლელი სპეციალობების სტუდენტთათვის, საქართველოს აგრარული უნივერსიტეტი, თბილისი, 2012, 120 გვერდი, ISBN 978-9941-0-4292-8; ინტერნეტში განთავსდა სახელმძღვანელოს ელექტრონული ვერსია.

თანამედროვე მსოფლიო შევიდა განვითარების ახალ ფაზაში, რომელიც სასიათდება პოლიტიკური, სამხედრო და ეკონომიკური ურთიერთობების

მრავალმხრივობით. ჩვენი ცივილიზაციის ასეთ რთულ კომპლექსურ სისტემად ჩამოყალიბებას, ძირითადად, ხელი შეუწყო მეცნიერებისა და ტექნოლოგიების ბოლოდროინდელმა რევოლუციურმა მიღწევებმა, რომელთა მოსალოდნელი ნახტომისებური განვითარება კიდევ უფრო დააჩქარებს მსოფლიოში მიმდინარე პროცესებს. ახალ პირობებში ყალიბდება მულტიდისციპლინარული მეცნიერება და ტექნოლოგიები, სხვადასხვა დარგის მიღწევებზე დაფუძნებული მრეწველობა.

სახელმძღვანელოში განხილულია ინტელექტუალური საკუთრების არსი და თავისებურებანი, მისი ობიექტებზე უფლებების მოპოვებისა და განხორციელების მექანიზმები, ინტელექტუალური საკუთრების უფლებების დაცვასთან დაკავშირებული საკითხები, აგრეთვე, ადგილი ეთმობა ინტელექტუალური საკუთრების სფეროში მოქმედ საერთაშორისო კონვენციებსა და შეთანხმებებს, ამ დარგში სახელმწიფოთაშორისო კოოპერაციის სრულყოფის პერსპექტივებსა და ინტელექტუალური საკუთრების უფლებებით ვაჭრობასთან დაკავშირებულ ასპექტებს.

სპეციალური თავი მიეძღვნა ბიზნეს გეგმის მომზადების საკითხს, განხილულია თანამედროვე ბიოტექნოლოგიური ობიექტების შესაქმნელად საჭირო სამეცნიერო საქმიანობის დაფინანსების მოპოვების პრობლემები.

2. სახელმძღვანელოსთვის “ორგანული სოფლის მეურნეობა” მომზადებულია თავი: “ორგანული სოფლის მეურნეობა და ბიოენერგია”, მოცულობა 14 გვ.

4. მონაწილეობდა ევროპავშირის ტემპუსის პროექტში JEP-159340 (www.biosciences.org): "სამაგისტრო პროგრამა გამოყენებით ბიომეცნიერებებში" (საქართველო, სომხეთი, ესპანეთი, დიდი ბრიტანეთი, საბერძნეთი პორტუგალია, 2010 – 2012 წწ) – შემსრულებელი;

5. არის იუნესკოს პროგრამის “ადამიანი და ბიოსფერო” საქართველოს ეროვნული კომიტეტის ვიცე-პრეზიდენტი (2010 წლის დეკემბრიდან).

არის არასამთავრობო ორგანიზაციის - პოლიტიკური კვლევების ინსტიტუტის საბჭოს წევრი.

აგრძელებდა მუშაობას ორი სამეცნიერო გამოცემის სარედაქციო კოლეგიაში:

- ჟურნალი: "Проблемы Аграрной Науки", თბილისი;
- ჟურნალი "ინტელექტი", თბილისი.

7. შეტანილი აქვს განაცხადი საქართველოს პატენტის მიღებაზე: კომბინირებული მაგნიტური ძრავა (თანაავტორები: ა.სანაძე, რ.კურტანიძე, რ.ცერცვაძე, მ.ცერცვაძე).

გამოგონება განეკუთვნება მოწყობილობებს, რომლებიც კომბინირებულად გარდაქმნიან მუდმივი მაგნიტების და ელექტრომაგნიტების ენერგიას ბრუნვითი მოძრაობის მექანიკურ ენერგიაში და შეიძლება იყოს გამოყენებული ეკოლოგიურად სუფთა, კინემატიკურად მარტივი და კარგი წევითი მახასიათებლების მქონე ამძრავის სახით.

8. მონაწილეობდა ენციკლოპედია "საქართველოს" III ტომის მასალებთან დაკავშირებული შენიშვნების მომზადებაში.

აკად. ალექსანდრე დიდებულიძის რეკომენდაციები "საქართველოს სოფლის მეურნეობის 2013–2017 წლებში განვითარების თაობაზე".

საქართველოს სოფლის მეურნეობის მიერ 2013–2017 წლებში მისაღწევია შემდეგი მიზანი: მდგრადი განვითარების პრინციპებზე დაყრდნობით, ქვეყნის აგრარულ სექტორში შემოსავლების გაზრდა, ქვეყნის სასურსათო უსაფრთხოების უზრუნველყოფა და სოფლად სიღარიბის შემცირება.

ამ სტრატეგიული მიზნის მისაღწევად გადასაწყვეტი ძირითადი ამოცანებია:

ა. აგრარულ სექტორში წარმოებული პროდუქციის შიდა და საგარეო ბაზარზე კონკურენტუნარიანობის ამაღლება;

ბ. აგრარული პროდუქციის გასაღების არსებული ბაზრების გაფართოვება და ახალი ბაზრების ათვისება;

გ. ქვეყნის აგრობიომრავალფეროვნების შენარჩუნება.

ყოველივე ეს უნდა მოხდეს იმ არსებული რთული მდგომარეობის გათვალისწინებით, როდესაც ქვეყნის სოფლის მეურნეობის, ნადირობის, მეტყველეობისა და თევზჭერის წილი ქვეყნის მთლიან შიდა პროდუქტში არ აღემატება 10%-ს, ხოლო სოფლის მეურნეობაში დასაქმებულია შრომისუნარიანი მოსახლეობის დახმარებით 50%; ამ ორი მონაცემიდან გამომდინარებს, რომ სოფლის მეურნეობაში ერთი დესაქმებული დაახლოებით ხუთჯერ ნაკლებ პროდუქციას აწარმოებს, ვიდრე საშუალოდ ქვეყანაში; ცხადია, აუცილებელია აღინიშნოს, რომ ზემოაღნიშნული 50%-ის დასაქმება არის არასრული სამუშაო დროით, და სოფლად დასაქმებულები პარალელურად მუშაობენ მშენებლობაში, ტრანსპორტში და სხვა სფეროებში. გასათვალისწინებელია აგრეთვე, რომ ქვეყნის აგრარული პროდუქციის ექსპორტი ბევრად ნაკლებია იმპორტზე.

მიზნისა და ამოცანების განხორციელებისთვის აუცილებელია შემდეგი პირობები:

1. ხელმისაწვდომი და მდგრადი საფინანსო ინსტიტუტები სოფლად;
2. სამეცნიერო უზრუნველყოფა და ექსტენცია;
3. განვითარებული საწარმოო და სოციალური ინფრასტრუქტურა;
4. ბაზარზე ორიენტირებული თანამედროვე ტექნოლოგიებით აღჭურვილი პროდუქციის შენახვის და გადამუშავების საწარმოები;
5. ალტერნატიული არასასოფლო-სამეურნეო დასაქმება სოფლად;
6. ფალსიფიცირებული და დემპინგური პროდუქციისგან დაცული თავისუფალი შიდა ბაზარი;
7. შენარჩუნებული აგრობიომრავალფეროვნება;
8. ეფექტური სახელმწიფო და საზოგადოებრივი ინსტიტუტები;
9. აქტიური საერთაშორისო თანამშრომლობა.

1. ხელმისაწვდომი და მდგრადი საფინანსო ინსტიტუტები სოფლად

სიცოცხლისუნარიანი საკრედიტო კავშირები და ასოციაციები, კომერციული ბანკების სექტორით დაინტერესება. უნდა ამოქმედდეს შეღავათიანი უპროცენტო სასაქონლო აგროკრედიტები მცირე ფერმერებისთვის უზრუნველყოფის გარეშე, აგრეთვე კოოპერატივებისათვის, საშუალო და დიდი ფერმერების შეღავათიანი კრედიტით უზრუნველყოფა. ფართო პროპაგანდა უნდა გაეწიოს საკრედიტო კავშირების ფორმირებასა და მათი საქმიანობის გააქტიურებას, მიკროდაფინანსების სქემით მომუშავე ბანკებთან გლეხების (ფერმერების), მეწარმეების ეკონომიკურად მისაღები კავშირების განმტკიცებას. არსებული სამეცნიერო პოტენციალის გამოყენებით, უნდა დაიწყოს კომერციული ბანკების თანამშრომელთა კვალიფიკაციის ამაღლება აგროსასურსათო სექტორისთვის დამახასიათებელი რისკების შეფასების მიმართებით.

განვითარებული მიწის ბაზარი. აგრარულ სექტორში არსებული პრობლემების უდიდესი ნაწილი უშუალოდ დაკავშირებულია მიწის ბაზრის ეფექტიანობასა და მიწის რენტაბელობასთან. აუცილებელია კანონი, რომელიც სახელმწიფო საკუთრებაში დარჩენილი მიწების გამჭვირვალე პრივატიზებას, მიწების იჯარით გაცემის პროცედურის დახვეწასა და გამარტივებას, მიწის ბაზრისა და სოფლის მეწარმეთა დაკრედიტების პრობლემების მოგვარებას უზრუნველყოფს. მიწის ბაზრის ამოქმედებაიხელს შეუწყობს სავარგულების გამსხვილებას, ინტენსიური აგროტექნოლოგიების გავრცელებას და ბანკების მხრიდან სექტორისადმი ინტერესის გაძლიერებას.

"სავაჭრო კრედიტები" გადამამუშავებელი საწარმოებისათვის. აგრარული პროდუქციის გარე ბაზრების და საერთაშორისო სტანდარტების შესახებ ინფორმაციის მიწოდებით ხელი უნდა შეეწყოს პროდუქციის რეალიზაციის შესაძლებლობების გაუმჯობესებას და კომერციული ბანკების მიერ გადამამუშავებელი საწარმოებისათვის სესხების გაცემას, რომელთა მიზანი იქნება ფერმერების მიერ მიწოდებული ნედლეულით გადამამუშავებელი საწარმოების მოთხოვნების დაკმაყოფილება. ყოველივე ეს დააჩქარებს გადამამუშავებელი მრეწველობის რეაბილიტაციას, რომელსაც შეუძლია საფინანსო ინსტიტუტებსა და ფერმერებს შორის გარკვეული შუამავლის როლის შესრულება. ამით გაიზრდება ფერმერთა ხელმისაწვდომობა საწყის კაპიტალზე.

სასოფლო-სამეურნეო ტექნიკისა და ტექნოლოგიური ხაზების ლიზინგი. სასოფლო-სამეურნეო ტექნიკაზე და აგრარულ პროდუქციაზე ფასების დისპარიტეტის პირობებში სატრაქტორო-სამანქანო პარკის განახლება ნელი ტემპით მიმდინარეობს. აუცილებელია გააქტიურდეს წარმოების საშუალებების ლიზინგის გავრცელება და უზრუნველყოფილი იქნეს ლიზინგური კომპანიების ინტერესების დაცვა, დონორთა დახმარების შედეგად ორგანიზებული ტექნიკური სერვისის სისტემის შემდგომი გაფართოვება. შედარებით ნაკლები რისკის გამო, მანქანა-დანადგარების

ლიზინგის დაფინანსება ბანკებისთვის უფრო მიმზიდველია, ვიდრე მათი შესყიდვისათვის სესხის გაცემა.

სტაბილური და გამჭვირვალე საგადასახადო სისტემა. სექტორში საგადასახადო სისტემის სრულყოფის ძირითადი მიმართულებაა საგადასახადო კანონმდებლობის გამარტივება და ისეთი ხელშემწყობი გარემოს შექმნა, რომელიც უზრუნველყოფს წარმოების სტიმულირებას. რადგან სოფლის მეურნეობის წილი საქართველოს საბიუჯეტო შემოსავლებში უმნიშვნელოა, სასურველია სოფლის მეურნეობისათვის დღგ-ს გაუქმება, ხოლო 2010 წელს გაზრდილი მიწის გადასახადი უნდა შემცირდეს, რაც ხელს შეუწყობს მიწების პარცელაციის დაძლევასა და კოოპერაციის განვითარებას. სახელმწიფო რესურსების დეფიციტის პირობებში, სექტორში საბაზო გარემოს ფორმირების ერთ-ერთი ინსტრუმენტი შედავათების სისტემის გამოყენებაა. აუცილებელია, რომ საგადასახადო განაკვეთები საქართველოში მეზობელ ქვეყნებთან შედარებით უფრო დაბალი იყოს. გადასახადებთან დაკავშირებული საკითხების შესახებ, სოფლის მეურნეობის განვითარების (ექსტენციის) სამსახურის საშუალებით, უნდა ხდებოდეს ფერმერთა რეგულარული ინფორმირება.

ეფექტიანი სადაზღვევო სისტემა. სექტორში კრედიტებზე ხელმისაწვდომობის გაზრდისთვის მნიშვნელოვანია ეფექტიანი სადაზღვევო სისტემის ჩამოყალიბება. დარგის პოტენციალის ეფექტიანად გამოყენებისთვის აუცილებელია, გადაწყვეტილებების მიმღებმა პირებმა სწორად განსაზღვრონ რისკების დონეები, შეარჩიონ სამუშაო საქმიანობის დასაბუთებული ტაქტიკა.

აგრარულ სექტორში ინვესტიციების მოზიდვა. საინვესტიციო გარემოს გაუმჯობესებისა და ინვესტიციების შემოდინებისთვის მიმზიდველი პირობების შესაქმნელად აუცილებელია სექტორის პოტენციალის რეკლამირება, იმის ნათლად ჩვენება, რომ ქვეყანაში შესაძლებელია მრავალი სახის ბიზნესის წარმოება ბუნებრივი რესურსების, იაფი სამუშაო ძალის, კვალიფიციური კადრების არსებობის და რაც მთავარია გასაღების ტევად ბაზრებთან სიახლოვის გამო.

2. სამეცნიერო უზრუნველყოფა და ექსტენცია

საბაზო გარემოში ფუნქციონირების მკაცრ პირობებში განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება გლეხთა (ფერმერთა) სწავლება-კონსულტირების და მათთვის ინფორმაციის მიწოდების (ექსტენციის) მწყობრი სისტემის ფორმირებას, პირველ რიგში სოფლის მეურნეობის განვითარების მუნიციპალიტეტური სამსახურების სრულყოფას. უნდა გააქტიურდეს ფერმერების, განსაკუთრებით ახალგაზრდების, პროფესიული კვალიფიკაციის ამაღლება და გადამზადება; აგრარული განათლების ეფექტიანობის გაზრდის მიზნით, ინტენსიურად უნდა გამოყენებულ იქნეს ქვეყნისა და საზღვარგარეთის მოწინავე სასწავლებლების პოტენციალი, ადგილობრივ წარმატებულ ფერმერებთა და მეწარმეებთა გამოცდილება.

უნდა დაჩქარდეს მუნიციპალიტეტური რგოლების უკვე დაწყებული ფორმირება, მათი სათანადო კადრებით დაკომპლექტება და მატერიალურ-ტექნიკური ბაზის განმტკიცება, სათანადო ლიტერატურის გამოცემა და წამყვანი სპეციალისტების მიერ მეწარმეთა ადგილებზე სწავლება-კონსულტირება. სისტემის ეფექტიანობის ამაღლების მიზნით, მაქსიმალურად უნდა იქნეს გამოყენებული საქართველოს სამეცნიერო-კვლევითი დაწესებულებების, უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ინტელექტუალური პოტენციალი. საჩვენებელი სწავლება-კონსულტაციების ჩასატარებლად უნდა გამოყენებულ იქნეს რეაბილიტირებული საცდელი სადგურები, წარმატებული კერძო საწარმოები და ფერმერული მეურნეობები. უნდა გაფართოვდეს საზღვარგარეთ ახალგაზრდა ფერმერთა სტაჟირება და შემდგომ მათ მიერ მიღებული გამოცდილების გავრცელება.

3. განვითარებული საწარმოო და სოციალური ინფრასტრუქტურა

საირიგაციო და სადრენაჟო სისტემების რეაბილიტაცია. სოფლად ინფრასტრუქტურის ფორმირების ამ ეტაპზე, სოფლის მეურნეობის სამინისტრო ძირითადად სამელიორაციო სისტემების რეაბილიტაციაში დებულობს მონაწილეობას. მნიშვნელოვანია ამ მიმართულებით დანახარჯებში სოფლის მეწარმეთა წილის თანდათანობით მატება, წყალმომხმარებელთა ასოციაციების ჩამოყალიბება, სარწყავი და დრენირებული წყლის საფასურის ოპტიმიზება და მისი ამოღების მექანიზმის გაუმჯობესება.

საზოგადოების მონაწილეობა გადაწყვეტილებების მიღებასა და დაგეგმვაში. მდგრადი განვითარების ერთ-ერთი ძირითადი წინაპირობაა მოსახლეობის ფართო ფენების მონაწილეობა გადაწყვეტილებების მიღებაში. სექტორში დასაქმებულებს დროულად და სრულყოფილად უნდა მიეწოდოთ ინფორმაცია იმ საკითხებზე, რომლებიც ეხება მათ, აგრეთვე, მონაცემები იმ პროდუქციასა და საქმიანობაზე, რომელმაც შეიძლება არსებითი ზეგავლენა იქონიოს გარემოზე. უნდა ამოქმედდეს ყველა შესაძლო მექანიზმი მეწარმეების და არასამთავრობო ორგანიზაციების მიერ სოფლის მეურნეობის მდგრად განვითარებაში პარტნიორული როლის შესასრულებლად.

სასოფლო-სამეურნეო ტექნიკით უზრუნველყოფა. სოფლის მეურნეობის განვითარების ერთ-ერთ შემაფერხებელ ფაქტორად იქცა ფიზიკურად და მორალურად მოძველებული, დაბალი მწარმოებლურობის, ენერგოტეგვადი სასოფლო-სამეურნეო ტექნიკის გამოყენება. მოდერნიზების მიმართულებით კერძო ინიციატივების გასავითარებლად უნდა შეიქმნას მათი სტიმულირების მექანიზმები.

ხარისხიანი პესტიციდებით, სასუქით და გაქცინებით უზრუნველყოფა. უნდა გაფართოვდეს სპეციალიზებულ მაღაზიებში მაღალხარისხიანი პროდუქციის მიწოდების სისტემა, ერთის მხრივ, ამ პროდუქციით ვაჭრობის წახალისებისა და მეორეს მხრივ, დაბალხარისხიან საქონელთან ბრძოლის

ღონისძიებათა გააქტიურების გზით. აუცილებელია განხორციელდეს არსებული პირუტყვის აღწერა და მისი ვაჭინაცია, ასევე მცენარეთა მავნებლების წინააღმდეგ მიმართული პროგრამა.

საქართველოში გავრცელებული ან პერსპექტიული მრავალწლიანი კულტურების ნერგის წარმოების რეაბილიტაცია. მეცნახეობაში მიმდინარე ცვლილებების შედეგად, მოთხოვნილება ვაზის ნერგზე გაიზრდება, მაგრამ იმის გამო, რომ ვაზის სპეციალური სანერგე მეურნეობები პრაქტიკულად აღარ არსებობს, ნერგი ხშირად არ შეესაბამება სტანდარტს. მეცნიერთა და მეწარმეთა თანამშრომლობით უნდა ჩამოყალიბდეს ვაზის სანერგე მეურნეობები, სადაც გამოყენებული იქნება თანამედროვე ტექნოლოგიები. საქართველოში უნდა შემოტანილ იქნეს დიდი რაოდენობით ვაზის უვირუსო საძირები, გასაშენებელია სანამყენე პლანტაციები. განსახორციელებელია დონისძიებები ადგილზე საძირების და სადედების გამოსაყვანად. სანერგების მოწყობა და პლანტაციების გაშენება უნდა ხდებოდეს კოოპერირების მხარდაჭერის ფარგლებში და ამ მიზნით შემუშავებული სახელმწიფო მიზნობრივი პროგრამის ბიუჯეტიდან დაფინანსებით.

საქართველოს მეხილეობა ევროპის ბაზრის მოთხოვნებისადმი მოუმზადებელი აღმოჩნდა. თითქმის ყოველ 15-20 წელიწადში ხილზე მოთხოვნილების ცვლილება იწვევს ნაგალა და ნახევრად ნაგალა ხეხილის ჯიშების გაშენების აუცილებლობას, მათი საძირე და საკვირტე მასალა ამ ეტაპზე ძირითადად საზღვარგარეთიდანაა შემოსატანი. საბაზრო კონიუნქტურით გამოიკვეთა მოთხოვნა თხილის, კივის, კაკლის, ფეიხოს, ფორთოხლის, ლიმონის ნერგებზე. რამდენადაც მრავალწლიანი კულტურა მოსავალს გაშენებიდან რამდენიმე წლის შემდეგ იძლევა, მარკეტინგული კვლევის და პროგნოზირების საფუძველზე ხელი უნდა შეეწყოს ნერგების მწარმოებელი კოოპერატივების ფორმირებას, ოპტიმალური საგადასახადო სისტემის შემუშავებას, სრულ საინფორმაციო - მარკეტინგულ უზრუნველყოფას, ინვესტორების და დონორების მოზიდვას.

ერთწლიანი კულტურების მეთესლეობის რეაბილიტაცია. თესლის წარმოების სისტემა თავიდან უნდა ჩამოყალიბდეს. კოორდინირებული უნდა იყოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის, სამეცნიერო დაწესებულებებში და უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებში მიმდინარე სელექციური მუშაობა, სელექციური მიღწევების გამოცდა, თესლის პირველი და მეორე თაობის წარმოება და გამრავლება, ყველა ეტაპის სამუშაოებში ფერმერების ფართოდ ჩაბმა. განსაკუთრებული ყურადღება უნდა დაეთმოს თესლის ხარისხის შემოწმების თანამედროვე მეთოდების გამოყენებას. თესლის წარმოება უნდა აგრარული სექტორის მაღალშემოსავლიან დარგად გადაიქცეს, უნდა მოხდეს არა მარტო ადგილობრივი მოთხოვნილების დაკმაყოფილება, არამედ დაიწყოს ექსპორტიც.

სელექციურ მუშაობაში განსაკუთრებული ადგილი უნდა დაეთმოს თავთავიანი კულტურების გვალვაგამძლე, მოკლე სავეგეტაციო პერიოდის

მქონე სიმინდის, ბოსტნეული და ბაღჩეული კულტურების, სოიას, მზესუმზირის, კარტოფილის ჯიშებისა და პიბრიდების თესლის წარმოებასა და გამრავლებას.

მეცხოველეობაში სანაშენე საქმიანობის რეაბილიტაცია. ხელოვნური დათესვლის სადგურების რეაბილიტაცია აუცილებელია მეცხოველეობაში პროდუქტიულობის ამაღლების, ჯიშიანი პირუტყვისა და ფრინველის, თევზის ლიფსიტების გამოყვანის უზრუნველსაყოფად. უნდა განხორციელდეს ცხოველთა აბორიგენული ჯიშების დაცვა და გამრავლება, დედა ფუტკრისა და ამანათნაყრის, ფრინველის მაღალპროდუქტიული კვერცხმდებელი და მეცხორცული ჯიშებისა და კროსების წარმოების სახელმწიფო მიზნობრივი პროგრამები, რომელთა დაფინანსება საწყის ეტაპზე უნდა მოხდეს სახელმწიფო ბიუჯეტიდან. უნდა ჩამოყალიბდეს სასელექციო მონაცემთა ბანკი და მოხდეს მისი კომპიუტერიზაცია, გაძლიერდეს სელექციონურთა და ოპერატორთა მომზადება და კვალიფიკაციის ამაღლება.

მომარაგების სფეროში მხარდაჭერა. სახელმწიფოს მხრიდან სამეურნეო ფუნქციების ჩამოცილების პირობებში კერძო სექტორმა უნდა იტვირთოს აგრარული სექტორის საიმედო მატერიალურ-ტექნიკური მომარაგების, აგრეთვე ენერგიის განახლებადი ალტერნატიული წყაროების გამოყენება, მოხდეს მომარაგებისა და გასაღების კოოპერატივების განვითარება. ცხოველთა და მცენარეთა ახალი ჯიშების ინტროდუქციის მარტივი პროცედურები უნდა განხორციელდეს კანონმდებლობის დახვეწით და გატარების წესების გამარტივებით, რომელიც პარმონიზებული იქნება ევროგაერთიანების შესაბამის კანონებსა და კანონქვემდებარე აქტებთან.

4. ბაზარზე ორიენტირებული მძლავრი სასურსათო მრეწველობა

გადამამუშავებელი მრეწველობის განვითარებით ხელი შეეწყობა ინტეგრაციული პროცესების განვითარებას, საექსპორტო რესურსების ზრდას (უმოკლეს დროში ქვეყანა უნდა გახდეს აგრარული პროდუქციის ნეტო-ექსპორტიორი), ალტერნატიული სამუშაო ადგილების შექმნას, კრედიტზე ფერმერების ხელმისაწვდომობას.

საერთაშორისო სტანდარტები და სერტიფიკაცია. ვაჭრობის მსოფლიო ორგანიზაციაში (ჰმო) გამოვრიანებისას აღებული ვალდებულებების გათვალისწინებით, ნებაყოფლობითი სტანდარტების პრინციპების აღიარების საფუძველზე უნდა გაძლიერდეს მომხმარებელთა უსაფრთხოების უზრუნველყოფა. სტანდარტების ევროპავშირის კანონმდებლობასთან პარმონიზაციის მიზნით, უნდა მოხდეს უხარისხო პროდუქციით მიყენებული ზიანის შესახებ ნორმატიული ბაზის შემუშავება.

გამოფენები, ბაზრობები და სხვა დონისძიებები. აგრარულ სექტორს აქვს საექსპორტო პროდუქციის წარმოების დიდი რეზერვები, რომლის ამოქმედებით შესაძლებელი გახდება ქვეყანაში სავალუტო შემოსავლების გაზრდა, უარყოფითი სავაჭრო ბალანსის გამოსწორება. ექსპორტის

ხელშეწყობის მიზნით, მაქსიმალურად უნდა გამოყენებულ იქნეს ვმო-ში გაწევრიანებით მინიჭებული უფლებები და პრეფერენციათა გენერალიზებული სისტემა. უნდა გააქტიურდეს საერთაშორისო გამოფენებში მონაწილეობა და რეკლამირება, ტარდებოდეს საბაჟო ტარიფებისა და გადასახადების რეგულირება მსოფლიო ბაზრებზე ვაჭრობის წესებთან ჰარმონიზაციის მიმართულებით. ტრადიციული საექსპორტო პროდუქციის გატანასთან ერთად, უნდა დაიწყოს ახალი, სატრანსპორტო პრობლემების გათვალისწინებით, ძვირადღირებული პროდუქციის, მაგალითად, ყვავილების, სამკურნალო მცენარეების და სხვ. ექსპორტი.

ინფორმაცია ბაზრის შესახებ და მისი ანალიზი. საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტროს, სტატისტიკის ეროვნული სამსახურის და მეცნიერთა ძალებით უნდა გააქტიურდეს შიდა და გარე აგროსახურსათო ბაზრებზე მიმდინარე პროცესების შესახებ ინფორმაციისა და ანალიტიკური მასალების დამუშავება, ტელევიზიონი, რადიოთი, ინტერნეტით და სოფლის მეურნეობის განვითარების მუნიციპალიტეტური სამსახურის მეშვეობით აღნიშნული ინფორმაციის რეგულარული გავრცელება. ინფორმაციული ტექნოლოგიების გამოყენებით სამინისტრო განსაზღვრავს სოფლის მეურნეობის პროდუქტების წარმოების მოსალოდნელ მოცულობას, იმავდროულად შექმნის სტატისტიკური მონაცემების ბანკს, რომელიც პროგნოზირების სეგმენტსაც მოემსახურება.

5. ალტერნატიული არასასოფლო-სამეურნეო სამუშაო ადგილები სოფლად

სოფლად დასაქმების მიზნით ხელი უნდა შეეწყოს სოფლად საწარმოო და სოციალური მომსახურების, მატერიალური წარმოების სფეროების განვითარებას. ალტერნატიული სამუშაო ადგილების შექმნისთვის, კანონმდებლობაში სათანადო ცვლილებების მომზადებით, უნდა მიღწეულ იქნეს მცირე და საშუალო ბიზნესისათვის ხელშემწყობი გარემოს ფორმირება. ქვეყნის ეკონომიკურ და პოლიტიკურ სტაბილურობას მოჰყვება აგროტურიზმის განვითარება, რაც ბიძგს მისცემს სოფლად ეკოლოგიური ღონისძიებების გატარებას. მცირე კოოპერირებული საწარმოების განვითარება ხელსაყრელია ბოსტნეულისა და ხილის კონსერვების, ტყემლის და პომიდორის საწებლის, ჩაის, ღვინისა და სხვა სახის პროდუქციის წარმოებისთვის. სოფლად მცირე საწარმოთა დაფუძნებისას, წარმოების ეკონომიკური ეფექტიანობის ზრდასთან ერთად, მოხდება სოციალური საკითხების ნაწილობრივად მაინც მოგვარება.

საქართველოს გააჩნია ყველა წინაპირობა აგროტურიზმის განვითარებისთვის: მრავალფეროვანი ბუნება, სანადიორო და საოცვაო სავარგულები, ტბები და მდინარეები, საექსკურსიო მარშრუტები, საინტერესო ისტორიული ძეგლები, ორიგინალური და გემრიელი სამზარეულო, მოსახერხებელი საცხოვრებელი სახლები, რომლებიც ადგილია, გადაკეთდეს საოჯახო სასტუმროებად. შედეგად მცირე თანხების

ინვესტირებით მოხდება ფერმერთა შესაძლებლობების გამოყენება ტურისტთა, ნორმალური ყოფითი სტანდარტების დონეზე, განთავსების, კვებისა და დასვენების ორგანიზაციისთვის, რაც დამატებით შემოსავალს მოუტანს მოსახლეობას. ამასთან, აუცილებელია შინარეწვის გაფართოება. მეაბრეშუმეობის რეაბილიტაციას ამ კუთხით განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს.

გლეხური (ფერმერული) მეურნეობისა და საწარმოების სტრუქტურის, მათი შემოსავლიანობის, მეწარმე სუბიექტების მენტალიტეტის გათვალისწინებით, აგრარული სექტორის განვითარების უმნიშვნელოვანესი მიმართულებაა სხვადასხვა ტიპის კოოპერატივების და ასოციაციების ჩამოყალიბება. ამ მიზნით აუცილებელია სასოფლო-სამეურნეო კოოპერაციის განვითარების მხარდაჭერის დონისძიებების შემუშავება; სასოფლო-სამეურნეო კოოპერაციის შესახებ საერთაშორისო გამოცდილების ანალიზე დაყრდნობით, შესაბამისი ინფორმაციის გავრცელება და ინტენსიური ახსნა-განმარტებითი მუშაობა; კოოპერაციის პრობლემების გადასაწყვეტად მეცნიერთა ინტელექტუალური რესურსების მობილიზება; სოფლის მეურნეობაში დღგ-ს ზღვარის მოხსნა, სასოფლო-სამეურნეო კოოპერაციის შესახებ ნორმატიული აქტების პროექტების მომზადება. კოოპერირების პორიზონტალური ფერმერი + ფერმერი, და ვერტიკალური ფერმერი + მრეწველი ფორმების განვითარების სტიმულირებას საქართველოში უდიდესი პერსპექტივები აქვს.

6.ფალსიფირებული და დემინგური პროდუქციისგან დაცული შიდა პაზარი

ვმო-ს მიერ დაშვებული დონისძიებების გამოყენება. ვმო-ში 2000 წელს გაწევრიანების შემდეგ საქართველო ემორჩილება ამ ორგანიზაციის მიერ აღიარებულ შიდა ბაზრის დაცვის წესებს. ამავე დროს, სუბსიდირებულ იმპორტულ პროდუქციასთან შედარებით, სამამულო წარმოების ანალოგიური პროდუქციის არაკონკურენტუნარიანობის გამო დღის წესრიგში დგება ადგილობრივი ბაზრის დაცვის აუცილებლობა, რაც შესაძლებელია:

ვმო-სთან შეთანხმებული საბაჟო ტარიფებით;

სეზონური ტარიფების გამოყენების პროცედურის გამარტივებით;

სოფლის მეწარმეთა მხარდაჭერისთვის ვმო-ს მიერ დაშვებული მწვანე კალათის დონისძიებებით;

პროდუქციის საექსპორტო პოტენციალის მნიშვნელოვნად გაზრდით და შედეგად სავაჭრო ბალანსის გაუმჯობესებით;

ახალი ტექნოლოგიების გავრცელების მეშვეობით პროდუქციის პირველ რიგში კონკურენტუნარიანობის ამაღლებით, ხოლო შემდეგ მოცულობის ზრდით;

ეკოლოგიურად სუფთა პროდუქციის წარმოების ორგანიზაციით;

ვმო-ს წინაშე ფიტოსანიტარული და ვეტერინარული უსაფრთხოების შესახებ აღებულ ვალდებულებათა განუხრელი შესრულებით.

მომხმარებელთა საგანმანათლებლო პროგრამები. თანამედროვე ტექნოლოგიების გავრცელება მოითხოვს მომხმარებლებში საგანმანათლებლო პროგრამების და ღონისძიებების გააქტიურებას. მომხმარებლის აღზრდა უნდა იწყებოდეს სკოლიდან და გრძელდებოდეს მთელი სიცოცხლის განმავლობაში; უნდა ხდებოდეს მოსახლეობის ინფორმირება კონსულტირება, რათა თითოეულმა ადამიანმა შეძლოს პროდუქციის მოხმარების და სერვისის პროცესში გონივრულად და ადეკვატურად მოქცევა, შეარჩიოს ხარისხიანი და უსაფრთხო პროდუქცია და გაუმჯლავდეს ბაზრის ნეგატიურ მოვლენებს. ეს ხელს შეუწყობს ცივილიზებული, კულტურული მომხმარებლის ფორმირებას, რომელსაც ძალუს წარუდგინოს მთლიანად ბაზარს და თითოეულ კონკრეტულ მეწარმეს დასაბუთებული მოთხოვნები და წაახალისოს ბიზნესის კეთილსინდისიერი წარმართვა და ხარისხიანი მომსახურება. მეწარმეთა ასოციაციებისა და გაერთიანებების ინტერესში შედის მომხმარებელთა ინფორმირება სხვადასხვა პროდუქტის, მათ შორის გენმოდიფიცირებულის, მახასიათებლების შესახებ, რათა მათ გაზარდონ რეალიზაციის შესაძლებლობები და მოსახლეობა უზრუნველყონ ხარისხიანი პროდუქტებით, მისაღებ ფასებში.

გამართული სურსათის უსაფრთხოების სამსახური და აგროსასურსათო პროდუქციის სასაზღვრო კონტროლი. მსოფლიოში ბიოტერორიზმის საფრთხესთან ბრძოლის გამოიერების ფონზე, უნდა განხორციელდეს ვეტერინარული, ფიტოსანიტარული, სოფლის მეურნეობის პროდუქციისა და ფქვილის ხარისხის კონტროლის სამსახურების რესტრუქტურიზაცია, დაიხვეწოს სასურსათო უსაფრთხოების კოდექსი, რომელიც მთლიანად დაარეგულირებს სურსათის უსაფრთხოებისა და ხარისხის საკითხებს, მოაგვარებს პროდუქციის წარმომავლობაზე კონტროლს.

უხარისხო საქონლის ბაზრიდან განდევნის მიზნით, უნდა გაგრძელდეს ნებაყოფლობითი სერტიფიცირების სისტემაზე გადასვლა, რაც გამომდინარეობს ვმო-ს მოთხოვნებიდან, დაიხვეწოს კერძო ფირმების მიერ სერტიფიკატების გაცემის სისტემა, ცხადად განისაზღვროს სერტიფიცირებულ პროდუქციაზე კონტროლის მექანიზმები, მოხდეს სტანდარტების საერთაშორისო და რეგიონულ სტანდარტებთან ჰარმონიზაცია. საერთაშორისო სტანდარტების მიხედვით უნდა ჩატარდეს სოფლის მეურნეობის ლაბორატორიების აკრედიტაციის პროცესი.

სურსათის უსაფრთხოება Codex Alimentarius-ის (სასურსათო კანონის) შესაბამისად.

უნდა გაძლიერდეს კონტროლი ადგილობრივი და იმპორტული მცენარეული და ცხოველური პროდუქციის ხარისხზე, საკარანტინო მავნებლებზე, რისოვისაც ეტაპობრივად ამოქმედდეს FAO-სა (გაეროს სოფლის მეურნეობისა და სურსათის ორგანიზაციის) და WH -ს (მსოფლიო ჯანდაცვის ორგანიზაციის) კოდექსით გათვალისწინებული, პროდუქციის

ხარისხის და უსაფრთხოების უზრუნველყოფი, სახიფათო ფაქტორის ანალიზისას კრიტიკული საკონტროლო წერტილების სისტემა (HACCP). შედეგად მოხდება პროდუქციის ხარისხის სრულყოფილი მონიტორინგი მეურნეობიდან მომხმარებლამდე; გააქტიურდება საქმიანობა ფალსიფიცირებული პროდუქციის გამოვლენისა და, შესაბამის სამსახურებთან ერთად, მოქმედი წესების დაცვით, მისი ამოღება-განადგურებისათვის.

ქართული სავაჭრო ნიშნებისა და მარკების საერთაშორისო დონეზე დაცვა. უნდა განხორციელდეს ფართომასშტაბიანი საერთაშორისო მარკეტინგული პროგრამები, რაც მიზნად ისახავს მომხმარებლის მიერ საქართველოს სამარკო პროდუქტების აღიარებას და დადგებითი დამოკიდებულების ჩამოყალიბებას მათ მიმართ. გასათვალისწინებელია აგრეთვე, რომ ტრადიციულ ბაზრებზე წარმატებულმა პროდუქციამ, შეფუთვის ფერის, ზომის, ფორმის ან სხვა მახასიათებლების გამო ახალ ბაზარზე შეიძლება წარუმატებლობა განიცადოს.

საქართველოს პროდუქციის კონკურენტუნარიანობაზე უდიდეს უარყოფით ზეგავლენას ახდენს ამ პროდუქციის ფალსიფიკაცია, განსაკუთრებით საქართველოს სავაჭრო ნიშნების უკანონო გამოყენება, რაც ლახავს ინტელექტუალური საკუთრების უფლებებს, ხოლო სასამართლოში დავები მეწარმეს ფინანსურად ძვირი უჯდება. ფალსიფიკატორებთან ბრძოლაში მონაწილეობა და ამით მეწარმეთა და მომხმარებელთა უფლებების დაცვა სოფლის მეურნეობის სამინისტროს ერთ-ერთ უმთავრეს ფუნქციად გვესახება.

7. აგრობიომრავალფეროვნების შენარჩუნება

მცენარეთა და ცხოველთა ენდემური სახეობებისა და აბორიგენული ჯიშების დაცვა.

საქართველოში გავრცელებულია უნიკალური გენეტიკური თვისების მქონე მრავალი მცენარისა და ცხოველის ენდემური სახეობა და აბორიგენული ჯიში, რომელიც ხასიათდება ადაპტაციის უნიკალური თვისებებით, დააგადებებისადმი მდგრადობით. ქვეყანაში არსებული აგრობიომრავალფეროვნების შენარჩუნების და მომავლის მოთხოვნილებების დაკმაყოფილების თვალსაზრისით აღსანიშნავია ხორბლის ისეთი ჯიშები, როგორიცაა მახა და ზანდური, ვაზის აბორიგენული ჯიშები ხიხვი, ქისი, უსახელოური, ალექსანდროული, ოჯალეში და სხვა, ხევსურული, მეგრული წითელი, კავკასიური წაბლა ჯიშის მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვი, თუშური და იმერული ცხვარი, კახური ღორი, ქართული ნაგაზი, ქართული ფუტკარი, ვაზის და ხორბლის ჯიშები და სხვა სახეობების გენეტიკური ფონდის შესანარჩუნებლად, რომელიც ეროვნული კულტურული მემკვიდრეობის განუყოფელ ნაწილს წარმოადგენს. უნდა შემუშავდეს მიზნობრივი პროგრამები, რომელთა დაფინანსება მოხდება სახელმწიფო ბიუჯეტიდან და განხორციელდება ძირითადად ფერმერთა მიერ იმ დონორთა მონაწილეობით, რომელთა

მანდატიც ითვალისწინებს ენდემურ სახეობათა და აბორიგენული ჯიშების შენარჩუნების დაფინანსებას და მათ კომერციალიზაციას.

მეცნიერთა მონაწილეობით უნდა მომზადდეს ცხოველთა გენეტიკური რესურსების მონაცემთა ბაზა, პოპულაციის ფაქტიური რიცხოვნობის ჩვენებით, გამოქვეყნდეს მონიტორინგისადმი დაქვემდებარებულ სახეობათა ჩამონათვალი და გატარდეს იშვიათი ჯიშების შესანარჩუნებლად საჭირო ღონისძიებები.

ნიადაგის ნაყოფიერების ამაღლების ხელშეწყობა. სახელმწიფო ვალდებულია, მიიღოს ქმედითი ზომები ეროზიისგან ნიადაგების დასაცავად, აგრეთვე ბიცობი, მლაშე და სხვა დაბალნაყოფიერი მიწების გასაუმჯობესებლად; მომზადოს იმ სასუქების სანედლეულო მარაგების საექსპლოატაციო პროექტები, რომელიც ქვეყანაში არ იწარმოება; სოფლის მეურნეობის განვითარების სამსახურის საშუალებით, უზრუნველყოს სადემონსტრაციო ნაკვეთების შექმნისა და ფერმერთა სწავლების ხელშემწყობი გარემოს ფორმირება.

ქარსაფარი ზოლებით და ტყით დაკავებული ფართობების შემცირების გამო ხდება ნიადაგების სწრაფი ეროზია. შედეგად, ადგილი აქვს აგროლანდშაფტების დეგრადაციასა და აგრობიომრავალფეროვნების შემცირებას. ამ მოვლენებთან ბრძოლის ქმედითი საშუალებაა ქარსაფარი ზოლების გაშენება, რაც დაარეგულირებს ურთიერთობებს, რომელიც წარმოიქმნება ნიადაგის ექსპლუატაციის, ნაყოფიერების ამაღლების, აგროქიმიკატების გამოყენებისა და ნიადაგდაცვითი ღონისძიებების გატარებისას. განხორციელდება ნიადაგების გამოკვლევა და ნაყოფიერების სისტემატური ანალიზი. ნიადაგდაცვითი ღონისძიებების საკითხებზე რეგულარულად მომზადდება სახელმწიფო მიზნობრივი პროგრამები.

სოფლად მდგრადი განვითარება მჭიდროდ უკავშირდება ენერგიაზე მოთხოვნილების დაკმაყოფილების საკითხს. ბუნებრივი აირისა და ელექტროენერგიის დეფიციტის პირობებში საქართველოში მოხდა ენერგიის ამ წყაროების შემთ ჩანაცვლება, რამაც ქარსაფარი ზოლების განადგურება და ტყის არასწორი ჭრა გამოიწვია. სახელმწიფომ უნდა წაახალისოს ისეთი დამოუკიდებელი პროგრამების განხორციელება, რომლებიც ორიენტირებულია ენერგიის განახლებადი წყაროების (წყლის, ქარის, გეოთერმული, ბიოგაზის) განვითარებაზე და მისი გამოყენების ეფექტიანობის ამაღლებაზე.

ბიომეურნეობები. სასუქებისა და პეტიციდების გამოუყენებლობის გამო, ხელსაყრელი პირობები შეიქმნა ბიოლოგიურად სუფთა პროდუქციის საწარმოებლად. ბიომეურნეობების ორგანიზატორთათვის უნდა შეიქმნას სტიმულირების მქანიზმები ბიოლოგიური აგროწარმოების შესახებ საქართველოს კანონის მოთხოვნათა გათვალისწინებით. მეწარმეებთან მჭიდრო თანამშრომლობით, უნდა წახალისდეს ისეთი საინფორმაციო პროგრამები, რომლებიც ითვალისწინებს ბიომეურნეობებში წარმოებული პროდუქტების მარკირების შემოღებასა და მომხმარებელთათვის მისი

მახასიათებლების ახესნას, რათა მათ შეეძლოთ შესაბამისი არჩევანის გაკეთება.

8. ეფექტიანი სახელმწიფო და საზოგადოებრივი ინსტიტუტები

საზოგადოების მომსახურების გაუმჯობესება, მომხმარებელთა და მეწარმეთა უფლებების დაცვა. მდგრადი განვითარება მოითხოვს რაციონალური ეკონომიკური პოლიტიკისა და მართვის პრინციპებისადმი ერთგულებას, ეფექტიანი და პროგნოზირებადი ხელისუფლების არსებობას, გადაწყვეტილებების მიღებისას ეკოლოგიური ფაქტორების კომპლექსურ გათვალისწინებასა და დემოკრატიზაციისკენ მისწრაფებას, რათა ჰელა დაინტერესებული მხარე, სრული საჯაროობის პირობებში, მონაწილეობდეს გადაწყვეტილებების მიღებაში. მომხმარებელთა და მეწარმეთა ეფექტიანი და გამჭვირვალე მომსახურების მიზნით, უნდა გაძლიერდეს სპეციალური აგროვებ-პორტალი სოფლის მეურნეობის სამინისტროს საქმიანობის, საერთაშორისო პროექტების მიმდინარეობის, მეცნიერული მიღწევების პროპაგანდის, აგრეთვე რეგიონებში არსებული მდგომარეობის ამსახველი ფართო ინფორმაციის განთავსებით. არასამთავრობო ორგანიზაციების ჩართვით უნდა ხორციელდებოდეს მომხმარებელთათვის აგრარული ბაზრის შესახებ ობიექტური ინფორმაციის მიწოდება და ამით კვების პროდუქტების შეძენისას, ხარისხის შეფასებისა და ფასების შედარების საფუძველზე რაციონალური გადაწყვეტილებების მიღება.

სოფლის მეურნეობის სამინისტროს სტრუქტურის სრულყოფა. აგრარულ სექტორში ინსტიტუციური და სტრუქტურული ცვლილებების გამო, აუცილებელი გახდება სამინისტროს რესტრუქტურიზაცია ცენტრალური აპარატისა და ქვედანაყოფების მუშაობის ეფექტიანობის ამაღლების მიზნით, მართვის მარტივი, მწყობრი, გამჭვირვალე სისტემის ჩამოსაყალიბებლად. სექტორის განვითარების პრობლემების გადასაწყვეტად უნდა განხორციელდეს მუდმივი საკანონმდებლო ინიციატივები, რაც უზრუნველყოფს შესაბამისი სამართლებრივი ბაზის დახვეწას. ზემოაღნიშნული პრიორიტეტების გასახორციელებლად განსაკუთრებული ყურადღება უნდა დაეთმოს სამართლებრივი ბაზის ჰარმონიზაციას ევროგაერთიანების კანონებთან. აგრარული სექტორის მართვის ორგანოების როლის ძირფესვიან შეცვლასთან დაკავშირებით აუცილებელი გახდა პერსონალის მიერ დამოუკიდებელი გადაწყვეტილებების მიღება, რაც მოითხოვს მის გადამზადებას როგორც ადგილზე, ასევე საზღვარგარეთ. სამინისტროს თანამშრომელთათვის სისტემატურად უნდა ტარდებოდეს უცხო ენების დაჩქარებული შესწავლის კომპიუტერული კურსები, ეწყობოდეს შეხვედრები საქართველოს და უცხოეთის წამყვან სპეციალისტებთან.

რეგიონული და სექტორული პოლიტიკა. აგრარულ სექტორში აუცილებელია რეგიონების დამახასიათებელი თავისებურებების გათვალისწინება, ბუნებრივი და ეკონომიკური შესაძლებლობების რაციონალურად გამოყენების მიზნით. ამ თვალსაზრისით, განსაკუთრებული

უურადღება უნდა დაეთმოს დარგობრივი და რეგიონული პროგრამების დამუშავებას, რომლებშიც, პროდუქციის კონკურენტუნარიანობის ამაღლების მიზნით, გათვალისწინებული იქნება ახალი ტექნოლოგიების გამოყენება, ინსტიტუციური მოწყობის სრულყოფა, ბაზრების მოძიება, საინვესტიციო გარემოს გაუმჯობესება.

უნდა გატარდეს კლიმატის ნეგატიური ცვლილებებით და ადამიანის არასწორი მოქმედებით გამოწვეულ უარყოფით შედეგებთან ბრძოლის ღონისძიებები: ქარსაფარი ზოლების აღდგენა, საძოვრების გაუმჯობესება, წყალდიდობების, გვალვების, სეტყვების და სხვა სტიქიური მოვლენების შედეგების ლიკვიდაცია. სპეციალურ უურადღებას იმსახურებს მაღალმთიანი ზონის განვითარებისკენ მიმართულ ეფექტიანი პროგრამების შემუშავება და განხორციელება, რის შედეგადაც გაუმჯობესდება ინფრასტრუქტურა, დაქარდება ადამიანური კაპიტალის განვითარება.

აფხაზეთის და ცხინვალის რეგიონის ტერიტორიაზე საქართველოს იურისდიქციის აღდგენასთან ერთად, დონორთა დახმარებით დაუყოვნებლივ უნდა დაიწყოს სოფლის მეურნეობისა და გადამამუშავებელი მრეწველობის რეაბილიტაციისა და განვითარების პროგრამების განხორციელება. ამ ეტაპზე, ფსოუს სასაზღვრო პუნქტზე შვეიცარიული ფირმის მუშაობის დაწყებასთან ერთად, სასურველია აფხაზეთის ტერიტორიის მოქცევა სტატისტიკურ მონაცემებში მაინც, რაც ეხება აგრარული პროდუქციის წარმოებას, ექსპორტსა და იმპორტს, რათა მივიღოთ შესადარისი მონაცემები ომისწინა მონაცემებთან.

9. აქტიური საერთაშორისო თანამშრომლობა

აგრარული სფეროს კანონმდებლობის ევროკავშირის კანონმდებლობასთან ჰარმონიზაცია. საქართველოსა და ევროკავშირს შორის დადებული აღმოსავლეთის პარტნიორობის შესახებ შეთანხმებით, საქართველომ აიღო ვალდებულება თავისი კანონმდებლობის ევროკავშირის კანონმდებლობასთან დაახლოებაზე. ამ თვალსაზრისით მნიშვნელოვანია საქართველოს კანონების „ცხოველთა და მცენარეთა ახალი ჯიშების შესახებ“, „ნიადაგის დაცვის შესახებ“ და „ბიოლოგიური აგროწარმოების შესახებ“ შემდგომი სრულყოფა. ცვლილებები უნდა შევიდეს აგრეთვე „კეტერინარიის შესახებ“, „მცენარეთა დაცვის შესახებ“ კანონებში, უნდა შეიქმნას და ამოქმედდეს სურსათის უგნებლობის კოდექსი.

ეფექტიანი ორმხრივი და მრავალმხრივი ურთიერთობები. განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება ვაჭრობის მსოფლიო ორგანიზაციასთან თანამშრომლობას, ამ ორგანიზაციის წევრობით მონიჭებულ უპირატესობათა ეფექტიან გამოყენებას. აქცენტი უნდა გაკეთდეს ყველა იმ საერთაშორისო ორგანიზაციასთან თანამშრომლობასა და პროგრამებში მონაწილეობაზე, რომელთა მანდატიც ითვალისწინებს აგრარული სექტორის პროგრესს (EBRD, DFID, FSP, FAO, IFAD, USAID, UNDP, WB, WFP,

CGIAR და სხვა). საერთაშორისო პროექტების თემატიკა უნდა შეესაბამებოდეს საქართველოს სტრატეგიულ მიმართულებებს.

აუცილებელია საზღვარგარეთის ქვეყნების საქართველოსადმი ინტერესების გამოყენება, სოფლის მეურნეობის დარგში ორმხრივი ურთიერთობების დასამყარებლად. უნდა მოჰყევს სასურსათო უსაფრთხოებისა და განვითარების რეგიონული პროექტების გააქტიურება.

აგროსასურსათო სექტორის განვითარების შეფასების კრიტერიუმები
რეკომენდაციების რეალიზაციის შედეგად უნდა იყოს მიღწეული:
სოფლად მოსახლეობის შემოსავლების ზრდა და სიდარიბის დონის შემცირება;

აგრარული პროდუქციის ექსპორტის მოცულობის მატება და დივერსიფიცირება, იმპორტული პროდუქციის ადგილობრივით ჩანაცვლება;

ძლიერი ფერმერული მეურნეობების ჩამოყალიბება;

ქვეყნის სასურსათო უსაფრთხოების უზრუნველყოფა;

გარემოს დაცვის ხარისხის ამაღლება, აგრობიომრავალფეროვნების შენარჩუნება.

4.3.13. აკადემიკოსი არჩილ ვაშაკიძე



აკად. ა. ვაშაკიძის სამეცნიერო საქმიანობა მიძღვნილია სოფლის მეურნეობის წარმოების ელექტრიფიკაციის პრობლემების კვლევისადმი.

მისი კვლევის მიზნები მიმართულია საქართველოს მთიანი ზონის ელექტრიფიკაციის აქტუალური საკითხებისადმი; აკად. ა. ვაშაკიძის კვლევებში განსაკუთრებული ადგილი უკავია ელექტრიფიკაციის რეგიონალურ პრობლემებს და სქემების ოპტიმიზაციის მეთოდოლოგიას, სადაც იგი განიხილავს როგორც არსებულ ელექტრულ სისტემებზე, აგრეთვე ელექტროენერგიის მისაღებად არატრადიციული მეთოდების გამოყენებასაც, ენერგორესურსების ვარიაციის შემთხვევაში ელექტრომომსახურებასთან ოპტიმალურ ურთიერთობების საკითხებს და ხარვეზების აღმოფხვრას, რაც გამოწვეული იყო არსებული ენერგეტიკული რესურსების არასწორად გამოყენებით; აგრეთვე მისი კვლევის მიმართულებაა სოფლის მეურნეობის წარმოების ელექტრომომარაგების საკითხების კომპლექსური ელექტრიფიკაციის მათემატიკური მოდელები, მაკორექტირებელი ალგორითმები, მანქანური უნიფიკაციის მეთოდით ელექტრიფიკაციის ამოცანების რეალიზაციის პროგრამები და სხვა.

4.3.14. აკადემიკოსი ჯემალ კაციტაძე



1. სამეცნიერო-კვლევითი თემა: “საქართველოში შემოტანილი საზღვარგარეთული სასოფლო-სამეურნეო ტექნიკის საექსპლუატაციო საიმედოობის მაჩვენებლების გამოკვლევა და ტექნიკური სერვისის რაციონალური ფორმების დამუშავება“. სამეცნიერო ხელმძღვანელი;
2. საქართველოს აგრარული უნივერსიტეტი—სასწავლო კურსი: „მანქანების საიმედოობა და რემონტი“, „მასალათმცოდნეობა“. აღნიშნულ დისციპლინებში კითხულობს ლექციებს და ხელმძღვანელობს მაგისტრანტებსა და დოქტორანტებს.

3. გამოქვეყნებული სტატიები:

3.1. –Theoretikal Basis for Calkulation of individual or complex of Relibiliti of Agrikultural Technical, Proceedings 20 International scientific and Technical Conference”trans&MOTAUTO-12”,2012I.

სტატიაში განხილულია სასოფლო-სამეურნეო ტექნიკის საიმედოობაზე გაანგარიშების თეორიული საფუძვლები და წამოდგენილია გაცვეთილი დეტალების ელექტრონაპერტკლური ლეგირებით აღდგენის რესურს- დამზოგი ოპტიმალური ტექნოლოგია ჩვენს მიერ დამზადებული მოწყობილობის გამოყენებით. პროცესის მახასიათებელი კოლმოგოროვის დიფერენციალური განტოლებების ამოხსნით დასაბუთებულია ჩვენს მიერ რეკომენდებული მეთოდის ეფექტურება კულტივატორების თათვების მაგალითზე,რომელიც ზრდის დეტალის რესურსს 2,5-3 ჯერ.

3.2. „სამეცნიერო-მეთოდური რეკომენდაციები საზღვარგარეთიდან შემოტანილი სასოფლო-სამეურნეო მანქანების საიმედოობის გაანგარიშების, გაზრდისა და ტექნიკური სერვისის რაციონალური ფორმების შერჩევისათვის“. (მონოგრაფია , თბილისი,2012,238 გვ) მონოგრაფიაში გამოკვლეულია საქართველოში შემოტანილი საზღვარგარეთული სასოფლო-სამეურნეო ტექნიკის საექსპლუატაციო საიმედოობის მაჩვენებლები, დადგენილია ყველაზე ნაკლებად საიმედო კვანძები და დეტალები, შემუშავებულია მათი საიმედოობის გაზრდის ტექნოლოგიური ხერხები ელექტრო-ნაპერტკლური ლეგირებისა და დაქრომვის გამოყენებით.მეცნიერებისა და ტექნიკის უკანასკნელი მიღწევების გათვალისწინებით დამუშავებული და რეალიზებულია მეთოდიკა მანქანების საიმედოობაზე გაანგარიშებისათვის,დეტალების აღდგენითი პროცესების ოპტიმიზაციისათვის,მანქანების სერვის-ცენტრების ოპტიმალური განლაგებისა და ტექნიკურისერვისის რაციონალური ფორმების შერჩევისათვის,რომელთა პრაქტიკული გამოყენებისათვის წარმოდგენილია შესაბამისი რეკომენდაციები;

3.3. “გუთნების გამოყენების ეფექტურობის გაზრდა“.

საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის „მოამბე“, №30, 2012 წ. გვ. 387...390;

სტატიაში მოცემულია სხვადასხვა ფაქტორების გავლენა გუთნების საიმედოობასა და ეფექტურობაზე, წარმოდგენილია გუთნის პრინციპულად ახალი

სქემა მოდების განის ცვალებადობისათვის, რომელიც შესრულებულია პატენტის დონეზე. სტატიაში ასევე წარმოდგენილია თეორიული და ექსპრიმენტული კვლევის შედეგები.

4.“სამეცნიერო-მეთოდური რეკომენდაციები საზღვარგარეთიდან შემოტანილი სასოფლო-სამეურნეო მანქანების საიმედობის გაანგარიშების, გაზრდისა და ტექნიკური სერვისის რაციონალური ფორმების შერჩევისათვის“. (მონოგრაფია, თბილისი, 2012 წ., 238 გვ.);

5. აგად. ჭ. კაციტაძის ხელმძღვანელობით 2011 წლის 27 ივნისს სადოქტორო დისერტაცია დაიცვა დოქტორანტმა ნ. სარჯველაძემ თემაზე „ტექნოლოგიური და ორგანიზაციული დონისძიებების დამუშავება სასოფლო-სამეურნეო ტექნიკის საიმედობის გაზრდისათვის“. დისერტაციის დაცვა შედგა საქართველოს აგრარული უნივერსიტეტის აგროსაინჟინრო ფაკულტეტის სადისერტაციო საბჭოს სხდომაზე.

6. მონაწილეობა აქვს მიღებული საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციაზე, რომელიც ჩატარდა ქ. ვარნაში (ბულგარეთი) 2012 წლის 27-30 ივნისს.

ქ. ვარნაში წაյითხულია მოხსენება თემაზე: “Theoretikal Basis for Calkulation of individual or complex of Relibiliti of Agrikultural Technical”. სამეცნიერო კონფერენციაში მონაწილეობდა ევროპავშირისა და აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნების 100-ზე მეტი მეცნიერი. მოხსენებამ, როგორც საუკეთესომ, დაიკავა პირველი ადგილი და მოსმენილი იქნა პლენარულ სხდომაზე. ამის შესახებ ინფორმაცია დაიბეჭდა გაზეთში „საქართველოს რესპუბლიკა“, №142(7018), 27 ივლისი, 2012 წელი, სათაურით „გამორჩეულთაგან საუკეთესო“ და ასევე აგრარული უნივერსიტეტის ვებ-გვერდზე სათაურით „აგრარული უნივერსიტეტის წარმატება ევროპის პრესტიჟულ სამეცნიერო ფორუმზე“.

აღნიშნული კონფერენციის საერთაშორისო საორგანიზაციო კომიტეტის წევრი.

7. ხელმძღვანელობს შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის მიერ დაფინანსებულ საგრანტო პროექტს „საქართველოში შემოტანილი საზღვარგარეთული სასოფლო-სამეურნეო ტექნიკის საგესპლუატაციო საიმედობის მაჩვენებლების გამოკვლევა და ტექნიკური სერვისის რაციონალური ფორმების დამუშავება“.

8. მოხსენებით გამოვიდა საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის აკადემიური საბჭოს სხდომაზე; მოხსენების თემა: „ქ. ვარნაში (ბულგარეთი) ჩატარებული საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციის Trans&MOTOAUTO-12 შესახებ“. წარმოადგენილია ასევე რეკომენდაციები საქართველოში სასოფლო-სამეურნეო ტექნიკის სერვისის რაციონალური ორგანიზაციის შესახებ.

9. არის საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის უურნალ „მოამბის“, უურნალ „სოფლის მეურნეობის ეკონომიკის“ და უურნალ „Вопросы металловедения« რედკოლეგიების წევრი.

10. წარდგენილია პატენტის მისაღებად ერთი წინადადება „ოპოზიტური ძრავი“, რომელიც არის რეცენზირების პროცესში.

11. 2012 წლის 27 მაისს მიწვეული იყო სომხეთში, ქ. ერევნის სახელმწიფო უნივერსიტეტში გაგიკ ერიციანის სადოქტორო დისერტაციის ოფიციალურ ოპონენტად თემაზე: „სამთო პირობებისა და ინტენსიური მოძრაობის პირობებში ავტომობილების ეკოლოგიურობის გამოკვლევა“.


12. გარდა აღნიშნულისა აკად. ჯ. კაციტაძე არის საქართველოს აგრარული უნივერსიტეტის საინჟინრო-ტექნოლოგიური ფაკულტეტის სრული პროფესორი და აგროსაინჟინრო სპეციალობის სადისერტაციო საბჭოს წევრი.

აკად. ჯ. კაციტაძის რეკომენდაციები
„საქართველოში სასოფლო-სამეურნეო მანქანების
ტექნიკური სერვისის სრულყოფისათვის“

1. საზღვარგარეთის განვითარებული სახელმწიფოების გამოცდილების გათვალისწინებით საქართველოში ჩატარდეს სამეცნიერო-კვლევითი სამუშაოები კომპენდენტური სპეციალისტების მონაწილეობით და დამუშავდეს მეცნიერულად დასაბუთებული რეკომენდაციები სასოფლო-სამეურნეო მანქანების ეფექტურად გამოყენებისათვის ტექნიკური სერვისის რაციონალური სქემების შესახებ სოფლის, რაიონისა და ქვეყნის მასშტაბით, რისთვისაც გრანტის სახით უნდა იქნეს გამოყოფილი შესაბამისი თანხა სოფლის მეურნეობის სამინისტროს ან საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდის მიერ;
2. იმისათვის, რომ დასაბუთდეს საქართველოში უცხოეთიდან შემოტანილი სასოფლო-სამეურნეო ტექნიკის სახე, მარკა და შესაბამისი მწარმოებელი ქვეყანა, საჭიროა ჩატარდეს სამეცნიერო-კვლევითი სამუშაოები და განისაზღვროს აღნიშნული ტექნიკის საიმედოობის მაჩვენებლები ჩვენი ქვეყნის კლიმატურ-ბუნებრივი პირობების გათვალისწინებით;
3. საქართველოს პარლამენტმა და მთავრობამ მიიღონ შესაბამისი კანონები და დაგენილებანი სოფლის მეურნეობის საინჟინრო-ტექნიკური უზრუნველყოფის შესახებ, ტექნიკური სერვისის საწარმოების (სერვის-ცენტრების) შესახებ დილერული სამსახურის გათვალისწინებით, სოფლის საქონელმწარმოებელთა ლიზინგისა და შედავათიანი დაკრედიტების შესახებ და სხვა საკანონმდებლო და ნორმატიულ-ტექნიკური აქტები;
4. გაგრძელდეს ტექნიკური სერვისის ცენტრების შექმნის პროცესი ისეთ რაიონებში, სადაც შენარჩუნებულია ტექნიკური ბაზა. სახელმწიფო გამოყოს შესაბამისი თანხა და დამუშავოს ქმედითი მექანიზმი აღნიშნული თანხის მიზნობრივად გამოყენების მონიტორინგისათვის;
5. შემუშავდეს სახელმწიფოს დონეზე შედავათები და სხვა სახის წამახალისებელი ღონისძიებანი ფერმერული და გლეხური მეურნეობებისა და ასევე კერძო მეწარმეთა მიერ სასოფლო-სამეურნეო ტექნიკის ერთობლივი გამოყენებისათვის;
6. თანამედროვე მაღალი ტექნოლოგიების ათვისებისა და ტექნიკის ეფექტურად გამოყენების მიზნით დამუშავდეს ქვეყნის რეგიონებში სერვის-ცენტრების ოპტიმალური განლაგების გენერალური სქემები ადგილობრივი პირობების გათვალისწინებით;
7. დამუშავდეს ეფექტური ღონისძიებანი სერვის-ცენტრების სერთიფიკაციისა და ლიცენზირებისათვის, ასევე ჩატარდეს მათი გამოყენების მარკენტინგული კვლევები;
8. დამუშავდეს სერვის-ცენტრების სახელოსნოებში მანქანების რემონტის რაციონალური ტექნოლოგიები ძირადლირებული გაცვეთილი დეტალების რესურსდამზოგი ინვაციური ტექნოლოგიების გამოყენებით;

9. შპს „მექანიზატორმა” გააგრძელოს სასოფლო-სამეურნეო ტექნიკის სერვის-ცენტრების ჩამოყალიბების პროცესი ტექნიკის უფრო ეფექტური გამოყენების მიზნით. განახორციელოს კონკრეტული დონისძიებანი მანქანათა ტექნოლოგიური სადგურების ორგანიზაციისა და შპს-ს განსახელმწიფეობრიობის მიზნით.

4.3.1.5. აკადემიკოსი რევაზ მახარობლიძე



1. აკად. რ. მახარობლიძე ხელმძღვანელობდა და მონაწილეობდა შემდეგი პრობლემის შესრულებაში: „საქართველოს სოფლის მეურნეობის ენერგორესურსდამზოგი სამანქანო ტექნოლოგიის, მანქანათა სისტემის და მათი ეფექტური გამოყენების მეცნიერული საფუძვლების დამუშავება“

2. აგრარული უნივერსიტეტის აგროსაინჟინრო ფაკულტეტზე კითხულობდა ლექციების კურსს ბაკალავრებთან და მაგისტრანტებთან შემდეგ დისციპლინებში:

- ა. „სოფლის მეურნეობის წარმოების ავტომატიზაცია“;
- ბ. „ტრაქტორებისა და ავტომობილების თეორია“;
- გ. „სამთო მექანიზაცია სოფლის მეურნეობაში“
- დ. „მცირე მექანიზაცია სოფლის მეურნეობაში“.

3. გამოქვეყნებული სტატიები:

3.1. “ტანდემთვლიანი თვითმავალი შასის გამავლობა”. სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის მოამბე, №31, 2012 წ. (რუსულ ენაზე).
დასაბუთებულია მდგრადობის კრიტერიუმების ტანდემთვლიანი თვითმავალი შასისათვის. მიღებულია კრიტერიუმებში შემავალი ფიზიკური სიდიდეების საანგარიშო ფორმულებში. ექსპერიმენტული თვითმავალი შასის გამავლობის მახასიათებლები შედარებულია სერიული ტრაქტორების ანალოგიურ მახასიათებლებთან.

3.2. “ტანდემთვლიანი თვითმავალი შასის საგალი თრგანოებით ნიადაგის გამკვრივების თეორია”. სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის მოამბე, №31, 2012 წ. (რუსულ ენაზე).

ნიადაგის რეოლოგიური თვისებების გათვალისწინებით დამუშავებულია მისი ტანდემთვლიანი თვითმავალი შასის საბურავებით გამკვრივების თეორია. ნიადაგის სიმკვრივე დაკავშირებულია შასის კინემატიკურ და დინამიკურ მახასიათებლებთან და ნიადაგის ფიზიკო-მექანიკურ თვისებებთან. შეფასებულია ექსპერიმენტული შასით ნიადაგის გამკვრივება სერიულთან შედარებით და შეფასებულია გამკვრივების გავლენა სასოფლო-სამეურნეო კულტურების მოსავლიანობაზე.

3.3. “ტანდემთვლიანი თვითმავალი შასის ტანდემის წინა თვლის დატვირთვის ავტომატური სისტემის მდგრადობა”. მექანიკის პრობლემები, №1 (46), 2012 წ. (ინგლისურ ენაზე).

შემოთავაზებულია ტანდემთვლიანი თვითმავალი შასის წამყვანი წინა თვლის დამატებითი დატვირთვის ავტომატური სისტემის სქემა. შედგენილია ავტომატური სისტემის ფუნქციონირების მათემატიკური მოდელი და სწრაფქმედების კრიტერიუმებიდან მიღებულია სისტემის გეომეტრიული, კინეტიკური და დინამიკური პარამეტრების ოპტიმალური მნიშვნელობის გაანგარიშების ფორმულები.

3.4. “ტანდემთვლიანი თვითმავალი შასის მოხვევადობის ამაღლების ავტომატური სისტემა”. მექანიკის პრობლემები №2 (47), 2012 წ. (ინგლისურ ენაზე).

ტანდემთვლიანი თვითმავალი შასის მოხვევადობის თვისებების ამაღლების მიზნით შემოთავაზებულია მოხვევის პროცესში ტანდემის წინა თვლის აწევის ავტომატური სისტემა. განსაზღვრულია ავტომატური სისტემის მდგრადობის პირობები და რგოლების პარამეტრების ოპტიმალური თანაფარდობის გარდამავალი პროცესის სწრაფად ჩაქრობის პირობიდან.

3.5. “ტანდემთვლიანი თვითმავალი შასის გამავლობა”. მექანიკის პრობლემები. №3 (48), 2012 წ. (ინგლისურ ენაზე).

ტანდემთვლიანი თვითმავალი შასის გამავლობა შეფასებულია ისეთი ფარდობითი მაჩვენებლებით, როგორიცაა გამავლობა საბურავის ნიადაგში ჩაღრმავების მიხედვით, ნიადაგის ამტანუნარიანობით, საბურავის ნიადაგთან ჩაჭიდებით, ძრავას სიმძლავრის მიხედვით სათოხნი და მაღალდეროიანი კულტურების რიგთაშორისების და სიმაღლის მიხედვით.

3.6. “ტრაქტორის სავალი ორგანოებით ნიადაგის გამკვრივების თეორია”. მექანიკის პრობლემები. №3 (48), 2012 წ. (ინგლისურ ენაზე), დამუშავებულია ფუნქციონალური კავშირი ნიადაგის საშუალო სიმკგრივესა და სავალი სისტემის პარამეტრებს შორის. ამ მაჩვენებლის მიხედვით ერთმანეთთან შედარებულია სხვადასხვა სავალი სისტემები.

3.7. “ცვალებად მასიანი მანქანა-ტრაქტორთა აგრეგატის დინამიკა”. მექანიკის პრობლემები №4 (49), 2012 წ. (ინგლისურ ენაზე).

გამოკვლეულია ცვალებად მასიანი მანქანა-ტრაქტორთა აგრეგატში გარდამავალი პროცესების დინამიკა, როცა მასა იცვლება ნამდვილად, ახალი მასის მიერთებით ან მოცილების გზით. გამოყვანილია აგრეგატის გადაადგილების სიჩქარის ცვალებადობის საანგარიშო ფორმულები მისი გადაადგილების ფუნქციაში, მასის ცვალებადობის გათვალისწინებით.

4. მომზადებულია ელექტრული კერსია სახელმძღვანელოსი: „სოფლის მეურნეობის წარმოების ავტომატიზაცია“.
5. მონაწილეობდა აღგილობრივი სამეცნიერო გრანტის შესრულებაში: „მრავალფუნქციური დანიშნულების ადაპტური ტანდემთვლიანი

თვითმავალი შასი მცირე ფერმერული მეურნეობისათვის“. შოთა რუსთაველის სამეცნიერო ფონდი №1-8/42/158.

6. არის საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის აკადემიური საბჭოს წევრი და საინჟინრო საკოორდინაციო-დარგობრივი სამეცნიერო განყოფილების აკადემიკოს-მდივანი.
7. არის საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის „მოამბის“ რედკოლეგიის წევრი, სამეცნიერო-საინფორმაციო ჟურნალის „აგრარული საქართველოს“ სამეცნიერო საბჭოს თავმჯდომარე.
8. მიღებული აქვს დადებითი გადაწყვეტა პატენტზე: „უნივერსალური ჩაის და გაზონების სასხლავ-საკრეატიული აპარატი“.

**აკად. რ. მახარობლიძის მიერ შემუშავებული და დანერგილი
(დასანერგი) რეკომენდაციები:**

1. მემკენარეობის პროდუქციის წარმოების ტექნოლოგიების სისტემა (გამოცემულია სოფლის მეურნეობის სამინისტროს დაკვეთით).
2. მემკენარეობის პროდუქციის წარმოების მანქანათა სისტემა (გამოცემულია სოფლის მეურნეობის სამინისტროს დაკვეთით).
3. მეცხოველეობის პროდუქციის წარმოების მანქანათა სისტემა (გამოცემულია სოფლის მეურნეობის სამინისტროს დაკვეთით).
4. ადაპტური თვითმავალი შასი ფერმერული მეურნეობებისათვის (დამზადებულია და გამოცდილია ექსპერიმენტული ნიმუში).
5. გადაზრდილი და დეგრადირებული ჩაის პლანტაციების რეაბილიტაციის სამანქანო ტექნოლოგია და მანქანათა კომპლექსი (სხვადასხვა თრგანიზაციების დაკვეთით დამზადებულია და წარმოებაში მუშაობს 10 კომლექსი).
6. „შეფუთული სენაჟის“ ტექნოლოგიით საკვების დამზადების დანადგარი (დამზადებულია ექსპერიმენტული ნიმუში).
7. გადასატანი დანადგარი ბიოგაზის წარმოებისათვის (დამზადებულია ექსპერიმენტული ნიმუში).
8. კარტოფილის სარგავი კომბინირებული მანქანა (დამზადებულია ექსპერიმენტული ნიმუში).
9. ხილ-ბოსტნეულის საშრობი დანადგარი (დამზადებულია ექსპერიმენტული ნიმუში).

აკად. რ. მახარობლიძის წინადადებები “სოფლის მეურნეობის მექანიზაციის განვითარების პერსპექტივების შესახებ”

1. სოფლის მეურნეობის ხელახლი ტექნიკური გადაიარადება უნდა მოხდეს მაღალი ტექნოლოგიის შემსრულებელი მანქანებით.
2. საზღვარგარეთიდან სასოფლო-სამეურნეო ტექნიკის შემენამდე საჭიროა მათი ნიმუშების წინასწარი გამოცდა ქვეყნის რეგიონების მიხედვით.

3. ქვეყანაში არსებულ და მშენებარე სერვის ცენტრებს უნდა დაეკისროს დამატებითი ფუნქცია. კერძოდ, ისინი უნდა გახდენ რეგიონებში მაღალი ტექნოლოგიების დემონსტრირების ორგანიზაციები. ამისათვის მათ უნდა ჰქონდეთ საკუთარი მიწის ნაკვეთები, სადაც მოახდენ სასოფლო-სამეურნეო კულტურების მოვლა-მოყვანას მაღალი ტექნოლოგიებით და ამ ტექნოლოგიების დემონსტრირებას ფერმერული მეურნეობებისათვის.
4. სამეცნიერო-კვლევითმა ორგანიზაციებმა უნდა დაამუშაონ რეკომენდაციები, თუ რომელი ტიპის მაღალი ტექნოლოგია გამოდგება კულტურების მოვლა-მოყვანისათვის ქვეყნის რეგიონების ბუნებრივ-კლიმატური პირობების გათვალისწინებით.
5. ქვეყანაში უნდა ადგეს სასოფლო-სამეურნეო მანქანათმშენებელი ქარხნა სპეციფიკური კულტურების (ჩაი, სუბტროპიკები, სამთო მიწათმოქმედება და ა.შ.) მოვლა-მოყვანის კომპლექსური მექანიზაციისათვის.
6. მექანიზაციისა და ელექტრიფიკაციის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის ბაზაზე უნდა შეიქმნას სამეცნიერო-პრაქტიკული ცენტრი რომლის ფუნქცია იქნება:
 - ა) ქვეყნის სოფლის მეურნეობის მექანიზაციისათვის სამანქანო ტექნოლოგიების და მანქანათა სისტემის დამუშავება;
 - ბ) სპეციფიკური კულტურების მოვლა-მოყვანისათვის ახალი თაობის მანქანათა კომპლექსების დაპროექტება, დამზადება და წარმოება;
 - გ) საზღვარგარეთიდან შემოსატანი ტექნიკის ნიმუშების გამოცდა;
 - დ) ტექნოლოგიური პროცესების შესრულების ოპერაციების მიხედვით სამუშაოების ნორმირება;
7. სოფლის მეურნეობის წარმოების მექანიზაციის განვითარების სახელმწიფო რეგულირებისათვის მისაღებია მთელი რიგი საკანონმდებლო აქტები:
 - ✓ კანონი აგროსამრეწველო კომპლექსის მანქანათმშენებლობის შესახებ;
 - ✓ კანონი საქართველოს აგროსამრეწველო წარმოების შესახებ;
 - ✓ კანონი ტრაქტორების, სასოფლო-სამეურნეო ტექნიკის, მოწყობილობებისა და ხელსაწყოების სერტიფიკაციის ნორმატიული აქტების შესახებ;
 - ✓ კანონი სასოფლო-სამეურნეო ტექნოლოგიების სერტიფიკაციის ნორმატიული აქტების შესახებ; აგროსამრეწველო კომპლექსში საწარმოო-ტექნოლოგიური და აგროსაინჟინრო სერვისის შესახებ;
 - ✓ კანონი საამორტიზაციო ანარიცხებისა და აგროსამრეწველო კომპლექსის სისტემაში ტექნიკური განახლების მიზნობრივი ფონდების ფორმირების შესახებ; კანონი სასოფლო-სამეურნეო წარმოებაში დილერების შესახებ;
 - ✓ დამუშავდეს მომხმარებელთა კრედიტირების მექანიზმი ტექნიკის შესყიდვის დაფინანსებისათვის, მათ შორის ლიზინგის საფუძველზე.

4.3.1.6. აკადემიკოსი თენგიზ ნანიტაშვილი



აკად. თ. ნანიტაშვილი მუშაობს კვების მრეწველობის სამეცნიერო-კვლევით ინსტიტუტში კვების პროდუქტებისა და საკვები დანამატების უსაფრთხოების კვლევის განყოფილების გამგედ, მთავარ მეცნიერ თანამშრომლად; მონაწილეობდა როგორც მეცნიერული ხელმძღვანელი და უშუალო შემსრულებელი ინსტიტუტის სამეცნიერო-კვლევითი თემატიკური გეგმით გათვალისწინებული ორი შემდგენ პრობლემის დამუშავებაში:

1. პრობლემა 4.1 – „დამუშავდეს წითელი ნატურალური სადებავის მიღების

ტექნოლოგია“;

2. პრობლემა 4.2. – „დამუშავდეს ასკილის ნაყოფების ხელოვნური შრობის რაციონალური ტექნოლოგია“.

გამოქვეყნებულია საანგარიშო ჰერიოდში შემდეგი სამეცნირო შრომები:

1. ნ. ბალათურია; თ. ნანიტაშვილი; ნ. ბეგიაშვილი; ც. შილაკაძე; ბ. ბალათურია – ყურძნისა და ლვინის პროტეოლიზური ფერმენტების გამოკვლევა. ქ. „აგრარულ-ეკონომიკური მეცნიერება და ტექნოლოგიები“, 2012 წ. №3 გვ. 40.

ანოტაცია - საერთაშორისო იმპაქტ-ფაქტორის მქონე აღნიშნულ სამეცნიერო ჟურნალში გამოქვეყნებულ სტატიაში დადგენილია, რომ ლვინომასალების ფორმირების, დამწიფებისა და ტექნოლოგიური დამუშავების პროცესში, პროტეინაზისა და პეპტიდაზის აქტივობა საგრძნობლად იცვლება, რაც მნიშვნელოვან გავლენას ახდენს ლვინოში ცილოვანი ნაერთებისა და პოლიპეპტიდების ფერმენტაციული დაშლისა და მათთან დაკავშირებული რთული ბიოქიმიური გარდაქმენის ინსტენსივობაზე. ეს გავალისწინებული უნდა იქნეს ამა თუ იმ ტიპის ლვინომასალების ტექნოლოგიური დამუშავებისა და სტაბილიზაციის მეთოდების ოპტიმალური რეჟიმების შერჩევისას.

2. პოლიპეპტიდების გამოკვლევა ქართული (კახური ტიპის ყურძნის) ლვინოს დამზადების და ტექნოლოგიური დამუშავების პროცესში. ქ. „აგრარულ-ეკონომიკური მეცნიერება და ტექნოლოგიები“, 2012 წ. №6.

ანოტაცია - საერთაშორისო იმპაქტ-ფაქტორის მქონე აღნიშნულ სამეცნიერო ჟურნალში გამოქვეყნებულ სტატიაში გამოკვლეულია კახური ტიპის ლვინოები ევროპული ტიპის ლვინოებთან შედარებით ხასიათდებიან პოლიპეპტიდების უფრო მაღალი შემცველობით, რაც კახური ტიპის ლვინოების დამზადების ტექნოლოგიური თავისებურებებით უნდა აიხსნას.

ლვინის დამზადების, ფორმირებისა და ტექნოლოგიური დამუშავების პროცესში პოლიპეპტიდების რაოდენობრივი და თვისობრივი შემადგენლობა საგრძნობლად იცვლება, აღნიშნული გათვალისწინებული უნდა იქნეს ლვინის სტაბილიზაციისა და ტექნოლოგიური დამუშავების

ოპტიმალური რეჟიმების შერჩევისას, რათა მაქსიმალურად შევინარჩუნოთ აღნიშნული ნაერთები მზა პროდუქციაში.

არის კვების მრეწველობის ინსტიტუტის სამეცნიერო საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მრეწველობის დარგობრივი საბჭოს წევრი.

მონაწილეობდა ქ. ბათუმში ჩატარებული “აჭარის დვინის ფესტივალის” მუშაობაში, როგორც მომხსენებელი, ექსპერტი და დეგუსტატორი.

არის საერთაშორისო იმპაქტ-ფაქტორის მქონე ჟურნალ “აგრარულ-ეკონომიკური მეცნიერება და ტექნოლოგიები” –ს სარედაქციოს სამეცნიერო საბჭოს წევრი.

აკადემიკოს თ. ნანიტაშვილის რეკომენდაციები “ქართული დვინის ხარისხის ამაღლების ზოგიერთ ღონისძიებათა შესახებ”

1. მედვინეობის მრეწველობა საქართველოს ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი და დიდი ტრადიციების მქონე დარგია, რომელსაც მნიშვნელოვანი როლის შესრულება შეუძლია ქვეყნის ეკონომიკური ძლევების ამაღლების საქმეში. უკანასკნელ ათწლეულში ცნობილი მიზეზების გამო ეს დარგი ღრმა კრიზისში აღმოჩნდა. მიუხედავად ბოლო წლებში ამ დარგის ღრმა გამოცოცხლებისა, ჯერ კიდევ ბევრია გასაკეთებელი, რათა საყოველთაოდ ცნობილი ქართული დვინოები ფართოდ გავიდეს საერთაშორისო ბაზარზე და მტკიცედ დაიმკვიდრონ იქ ღირსეული ადგილი.

2. საჭიროა გაფართოვდეს წარმოშობის ადგილმდებარეობის მიხედვით გასაკონტროლებლად დასახელებათა ასორტიმენტის წარმოება, ყველა იმ მოთხოვნების დაცვით, რაც გათვალისწინებულია ამ დვინოების წარმოებისას საერთაშორისო კანონმდებლობით და “კანონით ვაზისა და დვინის” შესახებ. ამ მიზნით საჭიროა დადგინდეს მკაცრად განსაზღვრული ზონები, ვაზის ჯიშები, მოსავლიანობა, აგროტექნიკური ღონისძიებები, დვინომასალების რაოდენობრივი მაჩვენებლები და ა.შ.

ამ მიმართულებით საქართველოს დიდი შესაძლებლობები გააჩნია თავისი ბუნებრივი ნიადაგობრივ-კლიმატური პირობებით, ვაზის ჯიშთა მრავალფეროვნებითა და მდიდარი ტრადიციებით.

ამ ღონისძიებათა განხორციელება საშუალებას მოგვცემს მნიშვნელოვნად აღმოფხვრათ ისეთი საყოველთაოდ ცნობილი ქართული დვინოების ფალსიფიკაცია, როგორიცაა “ხვანჭკარა”, ქინძმარაული”, “ახალშენი”, “წინანდალი”, “ნაფარეული”, “მუკუზანი” და სხვა რომლებიც მზადდებიან სპეციალური ტექნოლოგიით კონკრეტული ვაზის ჯიშის ყურძნიდან და ხასიათდებიან სპეციფიკური ორგანოლეპტიკური მაჩვენებლებით. ეს დვინოები ფართო პოპულარობით სარგებლობენ საერთაშორისო ბაზარზე და მათზე მოთხოვნები განუწყვეტლივ იზრდება.

3. საჭიროდ მიაჩნია “კანონში ვაზისა და დვინის” შესახებ შეტანილ იქნას ზოგიერთი ცვლილებები და შესწორებები, რომელიც დამუშავებული აქვს საქართველოს კვების მრეწველობის სამეცნიერო კვლევით ინსტიტუტს.

4. საჭიროა მაღალხარისხოვანი დვინოების წარმოების საწარმოო პროცესების რეგულარული მონიტორინგი და მისი ხარისხობრივი მაჩვენებლების ეფექტური კონტროლის სისტემის შემუშავება და მისი განხორციელება. უნდა მოხდეს

საექსპორტო დგინოების ხარისხის კონტროლის მექანიზმის სრულყოფა რათა არ მოხდეს საერთაშორისო ბაზარზე საყოველთაოდ ცნობილი ქართული დგინოების რეპუტაციის შეღახვა, რასაც არც თუ იშვიათად აქვს ადგილი. ამასთან დაკავშირებით საჭიროდ მიგვაჩნია მაღალხარისხოვანი დგინოების, განსაკუთრებით საექსპორტო პროდუქციის სახელმწიფო კონტროლის სრულყოფის მიზნით შესაბამისობის სერტიფიკატების გაცემის უფლება მიეცეს ამ სფეროში კომპეტენტურ სამეცნიერო ორგანიზაციას – საქართველოს კვების მრეწველობის სამეცნიერო კვლევის ინსტიტუტს, რომელსაც ამ სფეროში კვლევითი მუშობის დიდი გამოცდილება გააჩნია.

4.3.1.7. აკადემიკოსი შოთა ჭალაგანიძე



მონაწილეობა კონფერენციებსა და სემინარების მუშაობაში, მათ შორის:

1. საერთაშორისო სემინარში ხორბლის სელექციაზე – 25 მაისი, 2012 წელი, ლომთაგორა, მარნეულის რაიონი.
2. “ქართული ვაზი და დგინო საერთაშორისო სამეცნიერო ინტერესების ფოკუსში” პრეზენტაციაში – 22 ივნისი, 2012 წელი, ქ. თბილისი.
3. სამეცნიერო კონფერენციის მუშაობაში თემაზე: “ქართული სოფელი: არსებული მდგომარეობა, შესაძლო მომავალი” – 5 ივლისი, 2012 წელი, ქ. თბილისი.
4. ცენტრალური აზიისა და სამხრეთ კავკასიის სასოფლო – სამეურნეო ერთობლივი კვლევების საერთაშორისო პროგრამის ხელმძღვანელი კომიტეტის თათბირის მუშაობაში – 4-6 სექტემბერი, 2012 წელი, ისიპ – კული, ყირგიზეთი.

აკადემიის აკადემიური საბჭოს მუშაობაში მონაწილეობა

მოხსენება: “აგროპროდუქციის ექსპორტი – იმპორტის ტენდენციები საქართველოში” – 24 თებერვალი, 2012 წელი;

მოხსენება: “საქართველოში სოფლის მეურნეობაში სალიზინგო საქმიანობის განვითარების შესახებ” – 30 მარტი, 2012 წელი.

2012 წელს აკად. შ. ჭალაგანიძის მიერ შემუშავებული იქნა:

- კრებული “აკადემია – ფერმერი”;
- “სამთო სოფლის მეურნეობა” (საპრეზიდენტო პროგრამა);
- “საქართველოს აგროტექნოპარკი” – კანონის პროექტი.

2012 წელს გამოქვეყნებული შრომები:

1. “ქართული მეჩაიერების ბიზნეს – შესაძლებლობები” – ქურნალი “ბიზნესი და კანონმდებლობა”, იანვარი, 2012, თბილისი;

2. “აგროპროდუქტების ექსპორტ – იმპორტის ტენდენციები საქართველოში” – საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის მოამბე, №30, 2012, თბილისი;
 3. “საქართველოში აგროსაინჟინრო პრიორიტეტები” - საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის მოამბე, №30, 2012, თბილისი;
 4. “ნიადაგის მოტკეპნის მნიშვნელობა, მისი სახეები და გამოყენებული მანქანა – იარაღები” - საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის მოამბე, №31, 2012, თბილისი;
 5. “მოტკეპნის გავლენა ნიადაგის ტენიანობაზე, სითბურ რეჟიმზე, სტრუქტურაზე, მცენართა ზრდასა და განვითარებაზე” - საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის მოამბე, №31, 2012, თბილისი;
 6. “მიწათმოქმედების ზოგიერთი თანამედროვე ტექნოლოგიის შესახებ” - საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის მოამბე, №31, 2012, თბილისი;
 7. “მეცნიერების კორიფე და უდიდესი ინტერნაციონალისტი ნ.ი. ვავილოვი საქართველოში” - საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის მოამბე, №31, 2012, თბილისი.
- აკად. შ. ჭალაგანიძე არის საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდენტი; საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის აკადემიური საბჭოს თავმჯდომარე; შუა აზიისა და სამხრეთ კავკასიის კვლევითი ორგანიზაციების ასოციაციის სამეთვალყურეო საბჭოს წევრი; საქართველოს საინჟინრო აკადემიისა და საქართველოს სამეცნიერო – საინჟინრო საზოგადოებათა კავშირის პრეზიდიუმების წევრი; საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის “მოამბის” მთავარი რედაქტორი; ჟურნალების “საქართველოს საინჟინრო სიახლეები”, “კალი” და “სატყეო მოამბე”-ს რედაქტორების წევრი.

4.3.1.8. აკადემიის წევრ-კორესპონდენტის ომარი ბედია



2012 წელს შექმნილი სიტუაციიდან გამომდინარე, რომელიც ეხებოდა საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის ადგილმდებარეობის შეცვლას და ახალ მისამართზე გადმოსვლას, აკად. წ/კ ო. ბედია პრაქტიკულად სამეცნიერო საქმიანობას ვერ ეწეოდა დროის უქონლობის გამო. მის მიერ თანაავტორებთან ერთად მომზადებულია მხოლოდ ერთი სტატია “მიწათმოქმედების ზოგიერთი თანამედროვე ტექნოლოგიის შესახებ”, მიიღო აქტიური მონაწილეობა ჟურნალ “მოამბის” რედაქტორების მუშაობაში.

აკადემიის ადგილმდებარეობის გამოცვლასთან დაკავშირებით, როგორც საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის ადმინისტრაციული დეპარტამენტის უფროსი, ხელმძღვანელობდა შემდეგ სამუშაოებს:

1. მომზადდა ძველი შენობების ჩაბარებისათვის საჯარო ტექნიკური დოკუმენტაცია;
2. მოხდა ძველ შენობაში საჭირო მოწყობილობების, საგამოფენო ექსპონატების დემონტაჟი;
3. ახალ შენობაში მომზადდა ელექტროენერგიის მომარაგების, გაწყლოვანების ტექნიკური დოკუმენტაცია;
4. მოხდა აკადემიის “თელასის” და “თბილწყალის” აბონენტათ აყვანა, ჩატარდა შესაბამისი სამუშაოები;
5. განხორციელდა შენობაში ჩასატარებელი სარემონტო სამუშაოების ხარჯთაღრიცხვის შედგენა;
6. მომზადდა სატენდერო მასალები;
7. ჩატარდა ტენდერი, გამოვლინდა გამარჯვებული და გაფორმდა შესაბამისი ხელშეკრულება;
8. ჩატარდა სარემონტო სამუშაოები;
9. მოხდა აკადემიის ქონების ძველი შენობიდან გადმოტანა და ახალ შენობაში განლაგება – დამონტაჟება;
10. მოეწყო კაბინეტები;
11. განხორციელდა შენობის ტელეფონიზაცია და ავტომატური სადგურის დამონტაჟება;
12. განხორციელდა შენობის კომპიუტერიზაცია;
13. მოეწყო შენობის გათბობის სისტემა;
14. მომზადდა საბუთები ძირითადი საშუალებების ჩამოწერაზე ნებართვის მისაღებად;
15. ჩატარდა აკადემიის შენობის ინვენტარიზაცია ორჯერ;
16. განახლდა აბრები, წარწერები.

წლის განმავლობაში დაიდო 89 ხელშეკრულება შესყიდვების სააგენტოსთან სხვადასხვა საქონლის შეძენაზე.

**აკადემიის წევრ-კორესპონდენტის ობელიას
კონკრეტული წინადაღებები “სოფლის მეურნეობის შემდგომი განვითარების
შესახებ”**

საქართველოს სოფლის მეურნეობაში შექმნილი სიტუაციიდან გამომდინარე მისი მდგომარეობის გაუმჯობესებისა და სრულყოფისათვის აუცილებელია:

1. სახელმწიფო დონეზე გაირკვეს თუ როგორი სოფლის მეურნეობა გვინდა: ინტენსიური მიწათმოქმედების, თუ წვრილი, დანაწევრებული, დაქუცმაცებული გლეხური მეურნეობები.

უპირველესად გასატარებელია ორგანიზებული დონისძიებები, რომელიც დაფუძნებული იქნება კოოპერაციის მოწინავე გამოცდილებაზე. მისაღები იქნება სათანადო კანონი.

2. უნდა განისაზღვროს დარგის სტრატეგიული მიზნები, ეროვნული თავისებურებების და ბუნებრივ-საწარმოო პირობების გათვალისწინებით.
 3. გადაიხედოს მიწის დაცვის, გამოყენებაზე, ნაყოფიერებაზე არსებული კანონები. განსაკუთრებული ყურადღება მიექცეს დაუმუშავებელი, გამოუყენებული ფართობების (საკუთრებაში არსებული ფართობები) სახელმწიფო საკუთრებაში გადაცემას, მიწის გაუმჯობესების საკითხს (კულტურტექნიკური სამუშაოების ჩატარებას, მდელოს-სამოვრების ძირებულ და ზედაპირულ გაუმჯობესებას).
 4. დასახვეწია წყლის რესურსების გამოყენების არსებული მდგომარეობა. დაუშვებელია ქვეყანაში, რომელიც უმდიდრესია პიდრორესურსებით, მოსავლის დაკარგვა გვალვის გამო.
 5. დასახვეწია ქვეყანაში პროდუქციის დამზადების სისტემა, რაც თავისთავად დაკაგშირებულია სათანადო ბაზრის მოძიებასთან.
 6. უმთავრესი ამოცანაა სოფლად სერვისული მომსახურების სამსახურის მოწყობა, ტექნიკით, მასალებით, შხამქიმიკატებით, სასუქებით მომარაგება.
- ტექნიკის შემოტანა უნდა დაექვემდებაროს მკაცრ მოთხოვნებს – ის შემოტანილი უნდა იქნეს ქვეყნის ნიადაგების, კულტურებისა და სხვა ფაქტორების გათვალისწინებით. შემოტანამდე უნდა გამოიცადოს, შეიქმნას მისი სარემონტო ბაზა, მარაგნაწილებით უზრუნველყოფა.
7. გამოყენებული უნდა იქნეს ქვეყანაში არსებული სამეცნიერო პოტენციალი სოფლის მეურნეობის დარგის მეცნიერული უზრუნველყოფის თვალსაზრისით.
 8. ქვეყანა განიცდის კადრების მწვავე დეფიციტს საჭიროა ძირეულად შეცვალოს კადრების მომზადებაში არსებული მდგომარეობა.

4.3.19. აკადემიის წევრ-კორესპონდენტი ნოდარ გაბუნია



2012 წელს აკადემიის წ/კორესპონდენტი ნოდარ გაბუნიას მიერ გამოქვეყნებულია მონოგრაფია „ტრაქტორები, მანქანები და იარაღები საქართველოს სოფლის მეურნეობისათვის (კონსტრუქცია, თეორია, ანგარიში)“. თანაავტორები ნ. ფხაკაძე, ა. გაბუნია. თბილისი, 2012, 410 გვ.

მონოგრაფიაში მირითადი ყურადღება გამახვილებულია მექანიზმის კომპლექსური მექანიზაციის საკითხებისადმი, მაგრამ ამავე დროს განხილულია სამთო მიწათმოქმედების ისეთი

კულტურების მექანიზაციის საკითხებიც, როგორიცაა ვაზი, ციტრუსები, ხეხილი, ერთწლიანი კულტურები და სხვა. მონოგრაფიაში აღწერილია სამთო მიწათმოქმედების მობილური ენერგეტიკული საშუალებები; ჩაის მოვლა-მოყვანის, ფოთლის კრეფისა და აღების მანქანები; სუბტროპიკული კულტურების მოვლა-მოყვანის, მოსავლის აღებისა და პირველადი გადამუშავების მანქანები; მანქანა-იარაღები ფერდობების დასამუშავებლად, ვაზის გასაშენებლად და სხვა ოპერაციებისათვის; თამბაქოსა და წეკოს მოვლა-მოყვანის, მოსავლის აღებისა და პირველადი გადამუშავების მანქანები; საკარმიდამო, გლეხურ, სასკოლო და სხვა მცირეკონტურიან ნაკვეთებში სამუშაო მცირე გაბარიტიანი მანქანა-იარაღები სხვა.

4.3.10. აკადემიის წევრ-კორესპონდენტი ვახტანგ თევზაძე



2012 წელს, როგორც წინა წლებში, აგრძელებდა სამუშაოებს, რომლებიც მირითადად ეხებოდა გარემოს დაცვის პრობლემებს და კერძოდ ეროზიულ-დვარცოფული მოვლენებისაგან სამრეწველო, სასოფლო სამეურნეო და საზოგადოებრივი დანიშნულების ობიექტების დაცვის საკითხებს.

საანგარიშო პერიოდის დასაწყისში ქ. მოსკოვში გამოცემული იქნა აკადემიკოს ო. ნათიშვილთან თანაავტორობით მონოგრაფია „ერთგანზომილებიანი ნატანდატვირთული კალაპოტური ნაკადები“.

მოსკოვი, 2012 წ. 192 გვ. (რუსულ ენაზე). წიგნის შინაარსი ეხება ნატანდატვირთული კალაპოტური პროცესების ცალკეული ინჟინრულ საკითხებს. კერძოდ, ცვალებადი ხარჯით დაუმყარებელ მოძრაობას, თრიენტირებულს პრაქტიკული ამოცანების გადაწყვეტაზე, აგრეთვე წყალსადინარში დიდი ზომის ქვის გადაადგილების ამოცანას.

წყალთა მეურნეობის ინსტიტუტის 2012 წლის სამეცნიერო შრომათა კრებულში №67 გამოქვეყნებული იქნა სტატია „არა პრიზმატულ კალაპოტებში ნატანებით ჰიპერკონცენტრირებული ნაკადის არათანაბარი მოძრაობა” გვ. 159-161 გვ. თანაავტორი აკად. ო. ნათიშვილი.

ქართულ ენაზე გამოქვეყნებული იქნა ადრე რუსულ ენაზე გამოცემული მონოგრაფია „ღვარცოფების დინამიკის საფუძვლები”. თბილისი. 2012 წ. 254 გვ. თანაავტორი აკად. ო. ნათიშვილი.

აღნიშნული სამუშაოების გარდა აკად. ო. ნათიშვილთან ერთად ხელმძღვანელობდა ხუთწლიან საბიუჯეტო თემას „ღვარცოფების გავრცელების რეგიონები საქართველოში და დამცავი ღონისძიებების სქემები”. 74 გვ. სამეცნიერო ანგარიშს ახლავს სათანადო დასკვნები და რეკომენდაციები, რომელთა გამოყენება შესაძლებელია პრაქტიკული დანიშნულებით. თემა მთავრდება 2015 წელს.

თემა ეხება აგრეთვე ღვარცოფგამტარი ნაგებობების პიდრაგლიკურ გაანგარიშებას, რაც უზრუნველყოფს მთისა და მთისწინა რეგიონებში საავტომობილო და სარკინიგზო მაგისტრალების უსაფრთხო ფუნქციონირებას, კერძოდ, ღვარცოფული ნაკადების ამ ობიექტებზე ზევიდან უვნებლად გატარებას.

ნაგებობის შემოთავაზებული კონსტრუქცია ითვალისწინებს მისი ცალკეული დეტალების-ნაკადმიმმართველი კედლებისა და საკუთრივ დარის შემადგენელი ელემენტების გაუმჯობესებულ ვარიანტებს, რაც გამორიცხავს ნაკადის დარის კედლებიდან გადადინების შესაძლებლობას და უზრუნველყოფს მის ქვეშ განთავსებულ სატრანსპორტო საშუალებების შეუფერებელ გადაადგილებას.

შესრულებულია აგრეთვე თეორიული ხასიათის სამუშაოები, რომელთა მეშვეობითაც შესაძლებელია სხვადასხვა ტიპის ღვარცოფსაწინააღმდეგო და კერძოდ ღვარცოფგამტარი ნიადაგების ცალკეული კვანძების რაციონალური პროექტირების საკითხების გადაწყვეტა.

შედგენილი იქნა 2012 წლის სამეცნიერო მუშაობის პროგრამა, რომელიც ითვალისწინებს როგორც თეორიული ისე პრაქტიკული საკითხების გადაწყვეტის შესაძლებლობას გარემოს დაცვის პრობლემებთან დაკავშირებით და კერძოდ სხვადასხვა სახის კალაპოტური პროცესების მიმდებარე ტერიტორიებზე უარყოფთი ზემოქმედების მინიმიზირებას.

მონაწილეობდა ინსტიტუტის სამეცნიერო საბჭოზე დასმული საკითხების განხილვასა და გადაწყვეტილებების მიღებაში საბჭოს წევრის სტატუსით, კონკრეტული წინადაღებებით.

**აკადემიის წევრ-ქორესპონდენტის ფ. თევზაძის
კონკრეტული წინადადებები “სოფლის მეურნეობის შემდგომი განვითარების
პერსპექტივები ღვარცოფული მოვლენების წინააღმდეგ ბრძოლასთან
დაკავშირებით”.**

შემოთავაზებული წინადადებები ეხება ქვეყანაში ეროზიული ღვარცოფული მოვლენების განვითარებას რეგიონების მითითებით, ამ ნაკადების ბუნებას და მათ წინააღმდეგ ბრძოლის საკითხებს, რომლებიც მოიცავენ შემდეგ პოზიციებს:

1. მითითებული მოვლენები, როგორც მსოფლიოში, ისე ჩვენს ქვეყანაში, გავრცელებულია მთაგორიან რეგიონში, ადვილად ნგრევად მთის მასივებში, კერძოდ აშშ-ის კორდილიერებში, ალპურ ქვეყნებში, კარპატებში, კავკასიაში, შეუა აზიის მთიანეთში და იაპონიაში.
2. საქართველოს ფარგლებში ეროზიულ-ღვარცოფული მოვლენებს ადგილი აქვს მდ.ალაზნის აუზში (თელავის ხევი, მდ.დურუჯი) ცივ-გომბორის ქედის სამხრეთ ფერდობებზე საგარეჯოს რაიონში, მდ.არაგის ხეობაში, მდ.ქსანისა და ლიახვის ზემო დინებებში, მდ.რიონისა და ცხენისწყლის სათავეებში მდ.ენგურის აუზში და აჭარის მთიანეთში.
3. ღვარცოფსაშიშროების თვალსაზრისით ყველაზე უფრო მოწყვლად ობიექტს წარმოადგენს რაიცვნტრ ყვარლის სიახლოებები, მდ.დურუჯი, რომლის მიერ მხოლოდ ერთჯერადი ღვარცოფული გამონატანი ცალკეულ შემთხვევებში აღწევს 100 ათას მ³-მდე.
4. მდ. დურუჯის გასწვრივ ყვარლის ღვარცოფული მოვლენებისაგან დასაცავად აგებული 4-5 მ. სიმაღლის ნაპირდამცავი კედელი სრულყოფილად არ უზრუნველყოფს დასახლებული პუნქტის უსაფრთხოებას.
5. ყვარლის დამცველი კედელი ცალკეულ ადგილებში ხშირად გამოდის წყობიდან, ამიტომ იგი მუდმივი მეთვალყურეობის ქვეშ უნდა იმყოფებოდეს.
6. ყვარლის უსაფრთხოების უზრუნველყოფის მიზნით დადგენილი უნდა იქნეს დამცავი ნაპირსამაგრი კედლის სუსტი ადგილები და მათი დაზიანების შემთხვევაში დაუყოვნებლივ უნდა მოხდეს მათი აღდგენა.
7. მდ.დურუჯის გამოტანის კონუსის ტევადობის შეზღუდულობის მხედველობაში მიღებით მიზანშეწონილია, რომ ღვარცოფული გამონატანის შეკავება ნატანდამჭერი კაშხლების აგების გზით სასურველია განხორციელდეს მდინარის შეუა და ზემო უბნებზე.

8. შესწავლით უნდა იქნეს მდ.დურუჯისა და სხვა ანალოგიური ხასიათის წყალსადინარების ღვარცოფული გამონატანების უტილიზაციის შესაძლებლობები გამონატანის ფართო სპექტრის მქონე გრანულომეტრიული შემადგენლობის გათვალისწინებთ.
9. უმაღლეს სასწავლებლების შესაბამისი სპეციალობის ფაკულტეტებზე სასწავლო პროგრამებში ასახული უნდა იქნეს საკითხები ღვარცოფული მოვლენების შესწავლის მიზნით.
10. გაძლიერდეს თანამშრომლობა საპროექტო ორგანიზაციებსა და სამეცნიერო-კვლევით ინსტიტუტებს შორის ღვარცოფსაწინააღმდეგო ნაგებობების პროექტირებასთან დაკავშირებით.

4.3.1.11. აკადემიის წევრ-კორესპონდენტი გურამ პაპუნიძე



2012 წლის საანგარიშო პერიოდში სამეცნიერო-კვლევითი, საპროექტო და დანერგვით სამუშაოებს ახორციელებდა შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის სამეცნიერო ცენტრის აგრარულ და მემბრანული ტექნოლოგიების (ახლა უკვე ამავე დასახელების ინსტიტუტის) სამეცნიერო თემატური გეგმის ფარგლებში. ეკავა მიმართულების მთავარი მეცნიერ-კონსულტანტის თანამდებობა, ახლა კი არის მთავარი მეცნიერ-თანამშრომელი:

ინსტიტუტის სამეცნიერო-კვლევითი სამუშაოების შესრულებაში აკადემიის წ/პ გ. პაპუნიძის მონაწილეობა შემდეგნაირად არის წარმოდგენილი:

თემა 1. სასოფლო სამეურნეო გაერთიანების საცდელ-სარეკლამო მოდელების ჩამოყალიბება, აპრობაცია და სრულმაშტაბიანი დანერგვის ორგანიზაცია (თემის ხელმძღვანელი);

თემა 2. აჭარაში გავრცელებული ენდემური და ნიტროდოცირებული გაზის ჯიშების შესწავლა და მათი წარმოების მეცნიერულად დასაბუთებული რეკომენდაციების შემუშავება (თემის ხელმძღვანელი);

თემა 3. სუბტროპიკული და სხვა მეცნიერული ნედლეულის ბაზაზე საერთო და ფუნქციონალური დანიშნულების პროცესების წარმოების რაციონალური ტექნოლოგიების დამუშავება (თემის ხელმძღვანელი);

მონაწილეობდა აჭარაში აგრობიზნესის განვითარების პრობლემების გადაჭრასთან დაკავშირებული პროექტების, პროგრამებისა და რეკომენდაციების შემუშავებაში, კერძო:

1. “აჭარის მუნიციპალიტეტების სოციალურ-ეკონომიკური განვითარების გეგმების, მარკეტინგული გეგმების, საინვესტიციო პასპორტების და საპროექტო რუკების შემუშავებაში”. რეგიონის მუნიციპალიტეტების გამგეობების მიერ განხილვისა და დამტკიცების შემდეგ განისაზღვრა შესრულების პერიოდები და დაისახა ორგანიზაციული დონისძიებები;

2. “აჭარაში სასოფლო-სამეურნეო განვითარების, სხვადასხვა ფორმების მოდელების შემუშავება, აპრობაცია და დანერგვის ორგანიზაცია”. დღეისათვის ამ მიმართულებით მნიშვნელოვანი სამუშაოები შესრულებულია და კვლავაც ინტენსიურად მიმდინარეობს კვლევები. განსაზღვრულია არსებული რეალობისა და რეგიონში აგრობიზნესის განვითარების სპეციფიურობის, მოსახლეობის ინტერესების დაცვის უზრუნველყოფის მოდელები. ჩატარდა გამოკვლეული და წინასწარ მოსამზადებელი სამუშაოები. მიმდინარეობს სასოფლო-სამეურნეო გაერთიანების დებულების შემუშავებისა და საჯარო განხილვის სამუშაოები;

3. “თევზის სატბორე მეურნეობის განვითარება და წარმოებული თევზის გადამუშავება”. პროექტი ითვალისწინებს ბოლო წლებში შექმნილი ტენდენციების შენარჩუნება-განვითარებას, რაც დაკავშირებულია ამერიკული კალმახის მოშენებასთან. შესწავლის შედეგად დადგენილია წარმოების დღევანდელი რეალური პოტენციალი და პერსპექტიული შესაძლებლობები. ჩატარებული მარკეტინგული კვლევები და რეკომენდებულია თევზის გადამამუშავებელი საკონსერვო საწარმოოს შექმნა, რომლის წლიური წარმადობა უზრუნველყოფს თევზის რესურსების ოპტიმალურ გადამუშავება-გამოყენებას (თევზის კონსერვი, გაყინული თევზი, თევზის ფილე, შებოლილი თევზი);

4. “აჭარის მუნიციპალიტეტში მცირე სიმძლავრის გადამამუშავებელი საწარმოების შექმნა არსებული რესურსების გათვალისწინებით”. ამ მიმართულებით მიმდინარეობს კვლევები და დასაბუთება ცალკეული სასოფლო-სამეურნეო კულტურების გავრცელების არეალი, ნედლეულის წარმოებისა და გადამუშავების მოცულობითი პარამეტრების მიხედვით, ოპტიმალური საწარმოო შედგენისა და გადამამუშავებელი საწარმოო ობიექტების გადაადგილების მიმართულებით;

5. “აჭარაში ჩხავერის ჯიშის ვაზის შესაძლო გავრცელების ოპტიმალური დარაიონების სქემის შემუშავება, უურძნისაგან სუფრისა და ცქრიალა ბუნებრივად ნახევრად ტკბილი ღვინოების დამზადების ორგანიზაცია”. მისი უშუალო ხელმძღვანელობით განხორციელებული კვლევების საფუძველზე

შესაძლებელი გახდა მიღებულიყო მაღალი ხარისხის დვინო- პროდუქცია. სადეგუსტაციო შეფასებებმა დაადასტურა დვინოების მაღალი ხარისხი, გამორჩეული გემური თვისებები, კონკურენტუნარიანობა და პროდუქციის დივერსიფიკაციის დონე ქვეყანაში შიგა და გარე ბაზარზე. მარკეტინგული კვლევები ადასტურებს ჩხავერის ჯიშის უურმნის დიდ პერსპექტივას ქვეყნის შიგა და გარე ბაზრებზე მისგან დამზადებული დვინოების მიწოდების საქმეში.

მნიშვნელოვანი იყო ცალკეული კვლევები მეთამბაქოების, მეჩაიობის, მეაბრეშუმეობის დარგების აღდგენა-რეაბილიტაციის მიმართულებით. მართალია, საბოლოო რეკომენდაციები ჯერ კიდევ არ არის ჩამოყალიბებული, დაუდგენელია მარკეტინგული მონაცემები, მაგრამ წინასწარი კვლევები გრძელდება.

აჭარაში აგრობიზნესის განვითარების პრობლემებთან დაკავშირებით სამუშაოს აწარმოებდა საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის აჭარის რეგიონული სამეცნიერო ცენტრის დარგობრივ კომისიაში, რომელსაც ხელმძღვანელობს. კომისია აქტიურად თანამშრომლობს საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის შესაბამისი სტრუქტურებთან და ინსტიტუტებთან, აჭარის სოფლის მეურნეობის სამინისტროსთან და ხელისუფლების სხვადასხვა ორგანოებთან. კომისიის მიერ ჩატარდა აგროსფეროს განვითარების დღევანდელი დონის შესწავლის სამუშაოები, გამოვლინდა ძლიერი და სუსტი მხარეები, შემუშავდა სხვადასხვა სახის რკომენდაციები ადგილობრივი რესურსების გამოყენების გააქტიურების, მოსახლეობის სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის გაუმჯობესების პრობლემებთან დაკავშირებით.

გასულ წელს მონაწილეობა მიიღო “ტბელ აბუსერიმის ხიჭაურის უნივერსიტეტში” აგრარული მიმართულების სასწავლო ფაკულტეტის ჩამოყალიბებასა და პროგრამების შედგენაში.

უშუალოდ მონაწილეობდა ტექნოლოგიების მონაცემთა ბაზის საერთაშორისო სისტემის შექმნის სამუშაოებში, რომელიც ითვალისწინებს თანამშრომლობას ევროკავშირის ქვეყნებთან ინტელექტუალური პროდუქციის შესახებ ინფორმაციული ნაკადების ურთიერთგაცვლასა და გამოყენებაში.

მონაწილეობდა არასამთავრობო ორგანიზაცია აჭარის ახალგაზრდა მეცნიერთა კავშირის „ინტელექტის“ მიერ ორგანიზებულ საერთაშორისო კონფერენციაში თემაზე „რეგიონალური მართვის პრობლემების სოციალურ-ეკონომიკური ასპექტები“, სადაც წარადგინა მოხსენება თემაზე „კლასტერული განვითარების შესაძლებლობები და პერსპექტივები“.

არის იაკობ გოგებაშვილის სახელობის თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტის სადისერტაციო საბჭოს წევრი.

არის სამეცნიერო ურნალის „ხანძთა“ სარედაქციო კოლეგიის წევრი.

არის ბათუმი-ლაზეთის მიტოპოლიტის, ჩრდილოეთ ამერიკისა და კანადის მეუფე დიმიტრის ინიციატივით მოწყობილი ყოველწლიური ფესტივალის ერთერთი ორგანიზატორი და აქტიური მონაწილე, რომელიც ეძღვნება საქართველოში ოჯახში დამზადებული დვინოების დათვალიერება-დეგუსტაციას. ერთდროულად ვარ დვინოების სადეგუსტაციო კომისიის თავჯდომარე.

ამჟამად არის ერთი დოქტორანტის მირანდა გორგილაძის მეცნიერ ხელმძღვანელი; თვის დასახელება: “ციტრუსოვანი ნაყოფების ფიზიკო-ქიმიური გამოკვლევა პროფილაქტიკური შემუშავების მიზნით”.

გამოქვეყნებული სტატიები და კომფერენციებში მონაწილეობა:

1. M. Kobakhidze, A. Devadze, G. Papunidze. Tourism role in expansion of use of local resources. For the 2nd International scientific conference, Proceedings „Advances in Hospitality and Tourism Marketing & Management“ Gorfu isand, Greece 3lst – 3rd June 2012, <http://www.ahtmmc 2012.gr>

2. ა. დევაძე, გ. პაპუნიძე, გ. კობახიძე, სოფლის განვითარების ორიენტირებული სახელმწიფო პოლიტიკა, ქალაქების განვითარებისა და ეროვნული დამოუკიდებლობის ერთ-ერთ ჯანსაღი გზაა. აფხაზეთის მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის აგრარულ მეცნიერებათა განყოფილების და საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის აჭარის რეგიონალური სამეცნიერო ცენტრის ერთობლივი სამეცნიერო კონფერენციის ანგარიში „საქართველოს, მათ შორის აფხაზეთის აგრარული სექტორის თანამედროვე მდგომარეობა და მისი განვითარების პერსპექტივები”, თბილისი, 2012, გვ. 69-82.

3. Г. Папунидзе, И.Чхартишвили, М. Кобахидзе, С. Папунидзе, Н. Сеидишвили, Биохимическая характеристика цветков мандарина Уншу из Субтропиков Грузии и в этой области возможности развития туризма. Русенский Университет „Ангел Кънчев“, Научные труды Том 51, серия 9.2 Биотехнологии и пищевые технологии, Руссе, Болгария, 2012, ISSN 1311 – 3321, ст. 49-52.

4. გ. გორგილაძე, ე. ნიუარაძე, გ. პაპუნიძე. „ციტრუსოვანთა წვენების ფალსიფიკაციის პროცესები და მისი გამომქვდავნების მეთოდები“. საერთაშორისო შრომები „ქიმიური, ბიოლოგიური და გარემოს ინჟინერი“ №41, დუბაი. არაბეთის გაერთიანებული გმირატები, ISBN 978-961-07-3001-7, 2012.

4.3.1.12. აკადემიის წევრ-კორესპონდენტი დავით სარიშვილი



აკადემიის წ/კ დ. სარიშვილის სამეცნიერო კვლევის ძირითადი მიმართულებაა საქართველოს აგროსაინჟინრო სფეროს გაუმჯობესებისა და სტაბილიზაციის ღონისძიებების დამუშავება და მათი ფერმერულ მეურნეობებში დანერგვის საკითხების თეორიული და პრაქტიკული ასპექტები. მათ შორის განსაკუთრებით მნიშვნელოვანია სათიბ-საძოვრების ძირები და ზედაპირული გაუმჯობესების საკითხებზე კვლევების ჩატარება სათანადო მანქანა-იარაღების შექმნით. აგრეთვე აღსანიშნავია მის მიერ დანერგილი საქართველოში თავთავიანი კულტურების მოსავლის აღება ქვეყნის ვერტიკალური ზონალობის გათვალისწინებით და შექმნილია მოსავლის აღების ოპტიმალური

მათემატიკური მოდელი. მის კვლევებს შორის მრავალი შრომა ეძღვნება სოფლად საინჟინრო სამსახურის მრავალწახნაგოვან საინჟინრო მომსახურებას და ა.შ.

4.3.1.13. აკადემიის წევრ-კორესპონდენტი ელგუჯა შაფაქიძე



1.1. სამეცნიერო თემა: “მეაბრეშუმეობის შრომატევადი ტექნოლოგიური პროცესების ტექნოლოგიების და ტექნიკური საშუალებების დამუშავება” (შესრულების ვადა 01.01.2005-01.01.2013). **თემის ხელმძღვანელი – სრული პროფესორი ე. შაფაქიძე;**

1.2. სამეცნიერო თემა: “ფერმერული მეურნეობების მცირე კონტურიან ნაკვეთებში სათოხნი კულტურების მოვლა-მოყვანის სამანქანო ტექნოლოგიების და ტექნიკური საშუალებების დამუშავება”; (შესრულების ვადა 01.11.2009-01.01.2013). **თემის ხელმძღვანელი – სრული პროფ. ე. შაფაქიძე;**

2. მონაწილეობს საქართველოს აგრარული უნივერსიტეტის საინჟინრო-ტექნოლოგიური (ყოფილი აგროსაინჟინრო) ფაკულტეტის ს.მ. მექანიზაციის სპეციალობის სასწავლო პროცესში; 2012 წელს ხელმძღვანელობდა 3 სასწავლო კურსს: ს.მ. მექანიზაციის სპეციალობის IV კურსზე - “ სასოფლო-სამეურნეო მანქანები, I ნაწილი”, ს.მ. მექანიზაციის სპეციალობის IV კურსზე “ საგზაო და სამშენებლო მანქანები” და ს.მ. მექანიზაციის სპეციალობის მაგისტრატურის II კურსზე “თანამედროვე სამანქანო ტექნოლოგიები სოფლის მეურნეობაში”, ლექცია და პრაქტიკული მეცადინეობები. პედაგოგიური დატვირთვა 854 საათი; II კურსის მაგისტრანტ 6. ნათენაძის სამაგისტრო ნაშრომის ხელმძღვანელი.

3. გამოქვეყნებული თეზისები და სტატიები.

3.1. “ნიადაგის დამუშავების თანამედროვე კონკურენტუნარიანი ტექნოლოგიები და ტექნიკური საშუალებები”. საერთაშორისო სამეცნიერო-პრაქტიკული კონფერენციის შრომათა კრებული, ჯავახიშვილის თხუ; თბილისი, 2012, გვ. 497-503; თანაავტორი მ. ქვარცხავა.

სტატიაში განხილულია ნიადაგის დამუშავების ტექნოლოგიების “აღმასვლა-დაღმასვლის” მრუდის თეორია და ნიადაგის დამუშავების ძირითადი ეტაპები, გამოყოფილია თანამედროვე ტექნოლოგიები, რომელთა საშუალებით საგრძნობლად მცირდება ერთეული პროდუქციის თვითდირებულება, კლებულობს დანახარჯები საწვავ-საცხებ მასალებზე, იზრდება პროდუქციის რაოდენობა და ხარისხი. მარცვლეული კულტურების მოვლა-მოყვანის ენერგორესურსდამზოგი ტექნოლოგიების დანერგვით, რომელთა შემადგენელი ნაწილია ნიადაგის მინიმალური და ნულოვანი დამუშავება, უმჯობესდება ნიადაგის ფიზიკო-მექანიკური თვისებები, გეგმაზომიერად იზრდება ნიადაგის ნაყოფიერება, ნიადაგს

უნარჩუნდება ტენიანობა და თავიდან არის აცილებული წყლისმიერი და ქარისმიერი ეროზია. აღნიშნული ტექნოლოგიები ამართლებენ თავის დანიშნულებას ნიადაგის სტრუქტურის შენარჩუნებით, ოპერაციის ნაკლებად შრომატევადობით, ოპერაციის შრომითი დანახარჯების შემცირებით, ხარისხიანი და გაზრდილი მოსავალით, ერთეული პროდუქციის თვითდირებულების შემცირებით და ა.შ. მიუხედავად რესურსდამზოგი ტექნოლოგიების რიგი უარყოფითი მხარეებისა, ამ ტექნოლოგიების ათვისება ჩვენი ხვალინდელი დღეა და ამ პროცესისათვის მზადება ქვეყანაში აქედანვე უნდა დაიწყოს.

3.2. “მცირე კონტურიან ნაკვეთებში ნიადაგის დამუშავების რესურსდამზოგი სამანქანო ტექნოლოგია”. საერთაშორისო სამეცნიერო ჟურნალი “ინტელექტი”, №20, თბილისი, 2012; გვ.196-203; თანაავტორი მ. ქვარცხავა.

სტატიაში განხილულია ნიადაგის დამუშავების რესურსდამზოგი სამანქანო ტექნოლოგიის დადებითი მხარეები და მცირეკონტურიანი ნაკვეთებისათვის რეკომენდებულია ახალი კომბინირებული ნიადაგდამამუშავებელი მანქანა.

ჩატარებულია მანქანის ძირითადი პარამეტრების თეორიული გაანგარიშება და მოცემულია ეკონომიკური უფექტურობის მაჩვენებლები.

3.3. “მცხეთა – მთიანეთის მეცხოველეობის საკვები ბაზის განვითარების პერსპექტივები თანამედროვე ტექნოლოგიებისა და ტექნიკური საშუალებების გამოყენებით”. საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია, შრომათა კრებული (მცხეთა-მთიანეთის ტერიტორიის სოციალურ-ეკონომიკური და დემოგრაფიული განვითარების პრობლემები); თბილისი, 2012. გვ.183-201;

სტატიაში განხილულია მეცხოველეობის საკვები ბაზის “შეფუთული სენაჟის” ტექნოლოგიით მექანიზებული სამუშაოების წარმოებისათვის ის ტექნიკური საშუალებები და მეთოდები, რომლებიც შესაძლებელია გამოყენებული იქნეს მცხეთა-მთიანეთის რეგიონის სავარგულებში, რაც მნიშვნელოვნად გაზრდის ამ რეგიონში მეცხოველეობის და მისი პროდუქტების განვითარების პერსპექტივებს.

3.4. “ნიადაგის დაცვის მნიშვნელოვანი ღონისძიება – თანამედროვე რესურსდამზოგი ტექნოლოგიები”; საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის “მოამბე”, თბილისი, №31, გვ. 328-334.

სტატიაში განხილულია ნიადაგის დამუშავების თანამედროვე ტექნოლოგიები, რომელთა განხორციელების შედეგად მცირდება პროდუქციის თვითდირებულება, კლებულობს საწვავ-საცხები მასალების ხარჯები, დიდდება პროდუქციის რაოდენობა და ხარისხი. რესურსდამზოგი ტექნოლოგიების დანერგვით უმჯობესდება ნიადაგის ფიზიკო-მექანიკური თვისებები, იზრდება მათი ნაყოფიერება, მნიშვნელოვნად მცირდება ქარისმიერი და წყლისმიერი ეროზიის პროცესები.

5. 2012 წელს აკადემიის წ/კორესპონდენტის ე. შაფაქიძის ხელმძღვანელობით დოქტორანტების მიერ დაცული დისერტაციები:

- 5.1. მერაბ ქვარცხავა – სადოქტორო დისერტაცია თემაზე: “ფერმერული მეურნეობების მცირე კონტურიან ნაკვეთებში სათოხნი კულტურების მოვლა-მოყვანის სამანქანო ტექნოლოგიის დასაბუთება”, 2012 წელი, 25 მაისი, მიენიჭა დოქტორის აკადემიური ხარისხი. საქართველოს აგრარული უნივერსიტეტი;
- 5.2. ირაკლი ქორჩილავა - სადოქტორო დისერტაცია თემაზე: “მეაბრეშუმეობაში საკვების მომზადების სამანქანო ტექნოლოგიის დასაბუთება და მცირე მექანიზაციის ტექნიკური საშუალებების დამუშავება”. 2012 წელი, 12 ივნისი, მიენიჭა დოქტორის აკადემიური ხარისხი. საქართველოს აგრარული უნივერსიტეტი;

7. სამეცნიერო გრანტის დასახელება: 1. ტემპუსის პროექტის “სამაგისტრო პროგრამა გამოყენებით ბიოტექნოლოგიაში”; სასწავლო მოდულის “ტექნიკა ბიოტექნოლოგიაში” ხელმძღვანელი. (ვადები 2010-2013 წ.წ.);

8. საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის აკადემიურ საბჭოს მუშაობაში მონაწილეობა.

აკადემიური საბჭოს სხდომებზე გატანილია საკითხები:

- 8.1. ”ნიადაგის მინიმალური დამუშავებისათვის კომბინირებული მანქანების კონსტრუქციების სრულყოფის საკითხისათვის” (30 მარტი, 2012 წ);
- 8.2.” ნიადაგის დამუშავების თანამედროვე რესურსდამზოგი ტექნოლოგიების პერსპექტივები საქართველოში” (16 ნოემბერი, 2012 წ);
9. აკადემიის წევრ-კორესპონდენტი ე. შაფაქიძე არის საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის საინჟინრო საკოორდინაციო-დარგობრივი სამეცნიერო განყოფილების წევრი; საქართველოს აგრარული უნივერსიტეტის აგროსაინჟინრო ფაკულტეტის (ეხლა საინჟინრო-ტექნოლოგიური ფაკულტეტის) სადისერტაციო საბჭოს წევრი (2012 წლის ნოემბრამდე); საუ-ის აგროსაინჟინრო ფაკულტეტის დოქტორანტების შემფასებელი კომისიის წევრი (2012 წლის ივნისამდე);

უკავიალის “Annals of Agrarian Science”-ის რედაქოლუგიის წევრი. საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის “მოამბის” რედაქოლუგიის წევრი; საქართველოს ენციკლოპედიის სოფლის მეურნეობის განყოფილების წევრი.

10. გამოგონება, პატენტი.

საქართველოს პატენტები:

- 3.1. “კომბინირებული ნიადაგდასამუშავებელი მანქანა”. საქართველოს პატენტი ს 5423; 18.05. 2012 წ. თანაავტორები: დ. ნატროშვილი, ვ. მირუაშვილი, მ. ქვარცხავა, მ. მირუაშვილი;
- 3.2. “აღმონაცენის გამოსაჭრელი მოწყობილობა”. საქართველოს პატენტი ს 5424; 18.05. 2012 წ. თანაავტორები: დ. ნატროშვილი, ვ. მირუაშვილი, შ. ხატიაშვილი, მ. მირუაშვილი;

**აკადემიის წევრ-კორესპონდენტის ე. შაფაქიძის
კონკრეტული წინადადებები “სოფლის მეურნეობის შემდგომი განვითარების
შესახებ”**

**I. საქართველოში საზღვარგარეთიდან შეძენილი სასოფლო-სამეურნეო
ტრაქტორები და მანქანა-მოწყობილობები.**

საქართველოში სხვადასხვა პროექტებით შემოსული სასოფლო- სამეურნეო ტექნიკის მდგომარეობის შესწავლის საფუძველზე ჩამოყალიბდა გარკვეული მოსაზრებები სასოფლო-სამეურნეო ტექნიკის შეძენისა და გამოყენების შესახებ:

1. საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტრომ და მასზე დაქვემდებარებულმა შპს “მექანიზაცორმა” საქართველოში საზღვარგარეთის სასოფლო-სამეურნეო ტექნიკის შემოყვანის (შესყიდვის) დროს იხელმძღვანელოს აგროსაინჟინრო სფეროში დასაქმებული მეცნიერების რეკომენდაციებით, რათა გათვალისწინებული იქნეს ქვეყნის ნიადაგობრივი და სხვა პირობები, მეცნიერულ მონაცემებსა და საინჟინრო-ეკონომიკურ გათვლებზე დაფუძნებული სატრაქტორო აგრეგატების ოპტიმალური პარამეტრების და რაციონალური სამუშაო რეჟიმის შერჩევის საკითხები;
2. მეცნიერების რეკომენდაციების საფუძველზე უნდა განხორციელდეს სასოფლო-სამეურნეო აგრეგატების გაანგარიშება და დაკომპლექტება, მათი სამუშაო რეჟიმების შერჩევა, ტექნიკის შენახვის პირობები, მეცნიერულ დონეზე საწვავ-საცხები მასალებით გამართვის ტექნოლოგია;
3. სოფლის მეურნეობის სამინისტრომ ჭიდროდ უნდა ითანამშრომლოს დარგის მეცნიერებთან, რათა მეცნიერულად დასაბუთებული იყოს ამა თუ იმ რეგიონში სერვის ცენტრების შექმნის აუცილებლობა და პირობები, რომელთა ფუნქციონირებასაც ისედაც ართულებს სხვადასხვა ქვეყნებიდან შემოყვანილი ტექნიკის სიჭრელე;
4. სოფლის მეურნეობის სამინისტრომ უნდა გაითვალისწინოს, რომ საზღვარგარეთის სასოფლო-სამეურნეო ტექნიკის შემოყვანის (შესყიდვის) დროს მთლიანად უგულველყოფილია რესურსდამზოგი ტექნოლოგიის განხორციელებისათვის სასოფლო-სამეურნეო ტექნიკის შეძენა (გამონაკლისია 2012 წლის სექტემბერში შპს “მექანიზაცორმის” მიერ შემოგანილი ორი ცალი იტალიური წარმოების მინიმალური დამუშავების კომბინირებული მანქანა), რაც მნიშვნელოვნად უარყოფითად მოქმედებს სასოფლო-სამეურნეო კულტურების მოსავლიანობაზე. მიზანშეწონილია ძვირადლირებული, მაგრამ საკმაოდ ეფექტური ერთეული ტექნიკის შესყიდვა, რათა შემდგომ ფერმერებისათვის მოეწყოს საჩვენებელი სახწავლო კურსები რესურსდამზოგი ტექნოლოგიების განხორციელებისათვის;
5. სამინისტროსა და მეცნიერების მიერ ერთობლივად შესწავლილი და გაანალიზებული უნდა იქნეს რაიონების სასოფლო-სამეურნეო ტექნიკით უზრუნველყოფის საკითხები, რათა მათი განაწილების დროს არ მოხდეს რაოდენობრივი უთანაბრობა რეგიონებისა და რაიონების მიხედვით.

II. მცირე მექანიზაციის ტექნიკური საშუალებების შესახებ.

1. დღეისათვის საქართველოში სხვადასხვა ფონდებიდან და გრანტებით შემოტანილი ტრაქტორები და სასოფლო სამეურნეო ტექნიკის ნომენკლატურა არ ითვალისწინებს მცირე მექანიზაციის ტექნიკურ საშუალებებს და ფერმერებს არა აქვთ შესაძლებლობა მათი გარკვეული შეღავათებით შეძენის. ამიტომ მცირე და საშუალო ფერმერული მეურნეობების მფლობელები იძულებულნი არიან შეიძინონ მცირე მექანიზაციის ტექნიკური საშუალებები კერძო სავაჭრო ორგანიზაციებში მაღალ ფასებში, რომლის დროსაც ისინი არ ითვალისწინებენ ნიადაგობრივ და ტექნიკის მუშაობის სხვა პირობებს, რის გამოც ტექნოლოგიური ოპერაციები მიმდინარეობს სარგებებით და იზრდება ერთეული პროდუქციის თვითღირებულება.
2. სოფლის მეურნეობის სამინისტრომ და მასზე დაქვემდებარებულმა შპს „მექანიზატორმა“ საქართველოში შემოსატანი სას. სამ. ტექნიკის განაცხადის შედგენისას აუცილებლად უნდა გაითვალისწინოს მცირე მექანიზაციის ტექნიკური საშუალებები – მოტობლოკები, 0,2 კლასის ტრაქტორები და მათი შლეიფები;
3. ტექნიკის საფასურის გადახდა მოხდეს იჯარა-გამოსყიდვის საფუძველზე იმავე პირობებით, როგორც ეს არის გათვალისწინებული სოფლის მეურნეობის სამინისტროს მიერ სხვა მაღალი სიმძლავრეების ტექნიკისათვის;
4. სოფლის მეურნეობის სამინისტრომ უნდა გამოაცხადოს ტენდერები მცირე მექანიზაციის ტექნიკური საშუალებების საქართველოში შემოსატანად;
5. საქართველოში მცირე მექანიზაციის განვითარების საკითხებს უნდა უხელმძღვანელოს საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტრომ და შპს „მექანიზატორმა“, ხოლო მისი მეცნიერული უზრუნველყოფა და ზედამხედველობა უნდა განახორციელოს საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიამ და მისმა დარგობრივმა განყოფილებამ, სადაც ამ დროისათვის მოღვაწეობენ აგროსაინჟინრო დარგის მეცნიერები როგორც საქართველოს აგრარული უნივერსიტეტიდან, ისე სხვა კვლევითი ინსტიტუტებიდან.

III. ახალი თანამედროვე რესურსდამზოგი ტექნოლოგიების შესახებ

1. მემცენარეობის პროდუქტების წარმოების აგროტექნიკური დონისძიებების სისტემებში მარცვლეული კულტურების მოვლა-მოყვანისათვის გათვალისწინებული იქნეს რესურსდამზოგი ტექნოლოგიები, კერძოდ ნიადაგის მინიმალური დამუშავება და შესაბამისი ტექნიკური საშუალებები;;
2. დიდი კონფიგურაციის ნაკვეთებში მარცვლეული კულტურების წარმოების რესურსდამზოგ ტექნოლოგიებში შესაძლებელია საინფორმაციო ტექნოლოგიების GPS სისტემების ჩართვაც, როგორიცაა პარალელური მართვისა და ავტოპილოტირების სისტემები (პმას).
3. აღნიშნული დონისძიებების შედეგად გაიზრდება მარცვლეული კულტურების ქვეშ დაკავებული დამუშავებული ფართობების რაოდენობა, მარცვლეულის რაოდენობრივი და სარისხობრივი მაჩვენებლები, შემცირდება ერთეული პროდუქციის დირებულება;
4. აღნიშნული დონისძიებების საპილოტე ობიექტად შეიძლება განისაზღვროს დედოფლისწყაროს რაიონი, სადაც დიდი კონფიგურაციის (100 ჰა და მეტი)

ნაკვეთების რაოდენობა 15000 ჰა-ზე მეტია; მიზანშეწონილია შპს “მექანიზატორმა” ზემოთ აღნიშნული ტექნოლოგიებით დედოფლისწყაროს რაიონში 50 ჰა ფართობზე განახორციელოს საპილოტე პროექტი, სადაც გათვალისწინებული იქნება როგორც რესურსდამზოგი ტექნოლოგიები და ტექნიკური საშუალებები, ასევე ზუსტი მიწათმოწმედების ტექნოლოგიის ელემენტებიც.

5. მარცვლეული კულტურების მოვლა-მოყვანის რესურსდამზოგი ტექნოლოგიების დამუშავებაზე გაგრძელდეს სამეცნიერო-კვლევითი მუშაობა საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიაში და მის დარგობრივ განყოფილებაში.

6. აღნიშნული რეკომენდაციები აუცილებლად უნდა მიეწოდოს პარლამენტის აგრარულ კომიტეტს, სოფლის მეურნეობის სამინისტროს და შპს “მექანიზატორს”.

IV. აგროსაინჟინრო კადრების მომზადების შესახებ.

1. სოფლის მეურნეობის წარმოების შემდგომი აღმავლობისათვის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი საკითხია თანამედროვე ტექნოლოგიების განხორციელებისათვის შესაბამისი მექანიზატორთა კადრების მომზადება.

2. საქართველოს აგრარული უნივერსიტეტის საინჟინრო-ტექნოლოგიური ფაკულტეტი, სადაც დღემდე ჯერ კიდევ არის სოფლის მეურნეობის მექანიზაციის მიმართულება, თანამედროვე მატერიალურ-ტექნიკური ბაზის დღეისათვის უქონლობის გამო შესაბამის კადრებს ვედარ ამზადებს. გასათვალისწინებელია ისიც, რომ მომდევნო ორ წელიწადს აგრარულ უნივერსიტეტში ამ მიმართულებით ვაკუუმი იქმნება და სოფლის მეურნეობის მექანიზატორთა კადრების მომზადება არ მოხდება.

3. მიზანშეწონილია უახლოეს პერიოდში საქართველოს აგრარულ უნივერსიტეტის საინჟინრო-ტექნოლოგიურ ფაკულტეტზე გათვალისწინებული იქნეს სწავლების პირველი საფეხურის – მექანიზატორის პროფესიული კადრების მომზადება, რომლებიც შეძლებენ თანამედროვე, ტექნიკურად რთულ სასოფლო-სამეურნეო ტექნიკის მართვას, მათ რეგულირებებს, სამუშაოდ გამზადებას და სხვა ოპერაციებს. ამ მიზნით შესაძლებელია იმ პედაგოგიური პოტენციალის გამოყენება, რომელიც ეხლა არის აგრარული უნივერსიტეტის შესაბამის ფაკულტეტზე.

4. მექანიზატორთა კადრების მომზადების, გადამზადების და კვალიფიკაციის ამაღლების საკითხები სოფლის მეურნეობის სამინისტროსა და შპს “მექანიზატორის” გარდა უნდა იხილებოდეს საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიასა და მისი დარგობრივი განყოფილებაში, სადაც ს.მ. მექანიზაციის და ელექტრიფიკაციის მიმართულების ღვაწლმოსილი და ავტორიტეტული მეცნიერები მოღვაწეობენ.

**4.4. ეპონომიკის საბოროდინაციო-დარგობრივი სამაცნიერო განყოფილება
აკადემიკოს-მდივანი – აკადემიკოსი ნაპოლეონ ქარქაშაძე
სწავლული მდივანი – აკადემიური დოქტორი ანატოლი გიორგაძე**

საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიკის ეკონომიკის საკოლეგინაციო-დარგობრივ სამეცნიერო განყოფილებაში გაერთიანებულია აკადემიკის 8 წევრი, მათ შორის აკადემიკის ნამდვილი წევრი 5 და აკადემიკის წევრ-კორესპონდენტი 3.

აკადემიკოსები: ასათიანი რევაზი, ქარქაშაძე ნაპოლეონი, ქეშელაშვილი ომარი, ჭითანავა ნოდარი, ჯაფარიძე გივი.

აკადემიკის წევრ-კორესპონდენტი: კოლუაშვილი პაატა, კუნჭულია თამაზი, ნიკოლეიშვილი გიორგი.

1. განყოფილებაში შემოსულია განყოფილების წევრების 8 ანგარიში, რომლებიც ძირითადად პასუხობენ აკადემიური საბჭოს მიერ შემუშავებული კითხვარის მოთხოვნებს;

2. ეკონომიკის განყოფილების წევრების მიერ წარმოდგენილი ანგარიშების მიხედვით შესაძლებელია ჩამოყალიბდეს განყოფილების აკადემიკის ნამდვილი წევრების და წ/კორესპონდენტების მიერ ჩატარებული სამეცნიერო-კვლევითი და სასწავლო-პედაგოგიური მუშაობის ანგარიში 2012 წელს.

3. განყოფილების 8 წევრის საშუალო ასაკია 71 წელი, ყველაზე უფროსია აკადემიკის წევრ-კორესპონდენტი გიორგი ნიკოლეიშვილი – 82 წელი, უმცროსი კი – წევრ-კორესპონდენტი პაატა კოლუაშვილი – 56 წლის.

4. განყოფილების წევრები – აკად. გ. ჯაფარიძე სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიკის ვიცე-პრეზიდენტი და აკადემიკოს - მდივანი, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის სრული პროფესორი; აკადემიკოსი ნაპოლეონ ქარქაშაძე აკადემიკის აკადემიური საბჭოს მრჩეველი და განყოფილების აკადემიკოს-მდივანი; აკადემიკოსი ნოდარ ჭითანავა - საქართველოს დ. ადმაშენებლის სახ. უნივერსიტეტის სრული პროფესორი; აკადემიკოსი რევაზ ასათიანი - შოთა რუსთაველის სახელობის ეროვნული სამეცნიერო ფონდის სამეცნიერო პროგრამების დეპარტამენტის უფროსის მოადგილე და საქართველოს აგრარული უნივერსიტეტის სრული პოფესორი; აკადემიკოსი ომარ ქეშელაშვილი - საერთაშორისო რეფერირებული უურნალის „აგრარულ-ეკონომიკური მეცნიერება და ტექნოლოგიები“ სარედაქციო-სამეცნიერო საბჭოს თავმჯდომარე და მთავარი რედაქტორი; აკადემიკის წევრ-კორესპონდენტი თამაზ კუნჭულია – სსმმ აკადემიკის აკადემიური დეპარტამენტის უფროსი; აკადემიკის წევრ-კორესპონდენტი პაატა კოლუაშვილი - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის სრული პროფესორი; აკადემიკის წევრ-კორესპონდენტი გიორგი ნიკოლეიშვილი - პენსიონერი.

5. განყოფილების 8 წევრის სამეცნიერო ხარისხია მეცნიერებათა დოქტორი, წევრებიდან 7 აქვს სამეცნიერო წოდება – პროფესორი, 4 წევრს უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში უცავია სრული პროფესორის აკადემიური თანამდებობა.

6. განყოფილების წევრების მიერ საანგარიშო 2012 წელს სულ გამოქვეყნებულია 62 ნაშრომი (აკად. 6. ქარქაშაძე -2, აკად. გ. ჯაფარიძე - 3, აკად. 6. ჭითანავა - 1, აკად. ო. ქეშელაშვილი - 32, აკად. წ/კ თ. კუნძულია - 8, აკად. წ/კ პ. კოლუაშვილი - 11), მათ შორის - 5 მონოგრაფია და სახელმძღვანელო (ო. ქეშელაშვილი, 6. ჭითანავა) და 1 კონცეფცია (გ. ჯაფარიძე, გ. ნიკოლეიშვილი).

7. განყოფილების წევრებს 2012 წელს მონაწილეობა აქვთ მიღებული 7 საერთაშორისო და ადგილობრივ კონფერენციებში, სიმპოზიუმებში და სემინარებში (6. ქარქაშაძე - 2 კონფერენცია, ო. კუნძულია - 2, გ. ნიკოლეიშვილი -1, პ. კოლუაშვილი -2);

8. 2012 წელს განყოფილების წევრის აკად. 6. ჭითანავას ხელმძღვანელობით სდასუ-ში დაცულია 4 ნაშრომი საბაკალავრო პროგრამით;

9. 2012 წელს განყოფილების წევრების უმრავლესობა არის სხვადასხვა გამოცემების კრებულების, შრომების და გამოცემების სარედაქციო კოლეგიის წევრები.

10. აკადემიკოს 6. ქარქაშაძის მიერ გამოქვეყნებულია რამდენიმე საგაზეთო პუბლიკაცია და ინტერვიუ; აკადემიის წევრ-კორესპონდენტის პ. კოლუაშვილის მიერ გამოქვეყნებულია 50-მდე საგაზეთო პუბლიკაცია, ინტერვიუ და კომენტარი, მასგან ჰქონდა რამდენიმე სატელევიზიო გამოსვლა აგროსასურსათო პოლიტიკის პრობლემებზე.

12. განყოფილების წევრები 2012 წელს იყვნენ სხვადასხვა სამეცნიერო საბჭოების წევრი; აკად. გ. ჯაფარიძე და აკად. 6. ქარქაშაძე არიან საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის აკადემიური საბჭოს წევრები.

13. განყოფილების წევრები აკად. გ. ჯაფარიძე, აკად. 6. ქარქაშაძე, აკად. 6. ჭითანავა, აკად. ო. ასათიანი, აკად. წ/კ თ. კუნძულია, აკად. წ/კ გ. ნიკოლეიშვილი, აკად. წ/კ პ. კოლუაშვილი არიან სხვადასხვა საერთაშორისო და არასახელმწიფო დარგობრივი აკადემიების წევრები;

14. განყოფილების წევრები არიან სხვადასხვა სახელმძღვანელოების და მონოგრაფიების რედაქტორები ან რეცენზენტები.

ეკონომიკის საკოორდინაციო-დარგობრივ სამეცნიერო განყოფილებაში 2012 წელს სულ ჩატარდა 3 სხდომა.

პირველი სხდომა ჩატარდა 21 მაისს და განხილული იქნა შემდეგი საკითხები:

1. ეკონომიკის საკოორდინაციო სამეცნიერო დარგობრივი განყოფილების 2011 წლის ანგარიშის შესახებ. მომხსენებელი: აკადემიკოს მდივანი – ნაპოლეონ ქარქაშაძე, სწავლული მდივანი - ანატოლი გიორგაძე; 2. ბიზნეს გარემოს როლი საქართველოს სოფლის მეურნეობის განვითარებაში. მომხსენებელი: აკადემიკოსი ნაპოლეონ ქარქაშაძე;

მეორე სხდომა ჩატარდა 27 ივნისს და განხილული იქნა შემდეგი საკითხი:

1. აკადემიის საერთო კრების დადგენილების შესაბამისად განყოფილების სამუშაო გეგმაში ცვლილებების შეტანის შესახებ. მომხსენებელი: აკადემიკოს-მდივანი ნაპოლეონ ქარქაშაძე

მესამე სხდომა ჩატარდა 14 დეკემბერს და განხილული იქნა საკითხი: 1. გლობალური დათბობა და საქართველოს მდგომარეობა (პერსპექტივები); მომხსენებელი: აკადემიკოს-მდივანი ნაპოლეონ ქარქაშაძე;

ეკონომიკის სამეცნიერო დარგობრივი განყოფილების და აკადემიის წევრ-კორესპონდენტი თამაზ კუნჭულიას ორგანიზებით ჩატარდა მრგვალი მაგიდა მეჩაიერბის პრობლემატურ საკითხებზე.

ეკონომიკის სამეცნიერო დარგობრივი განყოფილებიდან საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის აკადემიურ საბჭოზე განსახილველად გატანილი იქნა 4 საკითხი.

4.4.1. ეკონომიკური დარგობრივი-სამეცნიერო განყოფილების წევრების 2012 წლის ანგარიშები

4.4.1.1. აკადემიკოსი რევაზ ასათიანი



**საანგარიშო პერიოდში გაწეული იქნა შემდეგი
სახის სამუშაოები**

- კითხულობდა ლექციებს, ატარებდა პრაქტიკულ და სემინარულ მეცადინეობებს საქართველოს აგრარულ უნივერსიტეტში და როგორც სრული პროფესორი ბაკალავრიატისა და მაგისტრატურის სტუდენტებისათვის ხელმძღვანელობდა შემდეგ მიმართულებებს: მენეჯმენტის საფუძვლები, მენეჯმენტი; ხოლო ყველა სპეციალობის დოქტორანტებისათვის – აგრარული პოლიტიკა;
- სისტემატურად იღებდა მონაწილეობას

საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდიუმის სხდომებში, აკადემიის მიერ მოწყობილ სემინარებსა და სხვა სახის შეხვედრებში;

• სისპ-შოთა რუსთაველის ეროვნულ სამეცნიერო ფონდში, როგორც სამეცნიერო პროგრამების დეპარტამენტის უფროსის მოადგილე მონაწილეობდა 10 – მდე ახალი სამეცნიერო პროგრამის სახელმძღვანელო ცნობარის (კონკურსის პროგრამისა და პირობების) მომზადებაში, რომელთა უმრავლესობა გადაეცა საქართველოს მთავრობას განხილვისა და დამტკიცებისათვის;

- მონაწილეობდა სისპ-შოთა რუსთაველის ეროვნულ სამეცნიერო ფონდში ახალგაზრდა მეცნიერთა პრეზიდენტის სახელობის სტიპენდიებზე წარმდგენი და მეცნიერთათვის ინდივიდუალური სამოგზაურო გრანტების განმხილველი კომისიების სხდომებში, აგრეთვე სხვადასხვა სახის სამუშაო და სამეცნიერო შეხვედრებსა თუ პრეზენტაციებში;
- მონაწილეობა მიიღო ქ.თბილისში, ასევე ქუთაისსა და ბათუმში რამოდენიმე სემინარის მუშაობაში ორგანიზებულს სამეცნიერო ფონდის მიერ სამეცნიერო

საზოგადოების ფართო წრისათვის საკონკურსო პროექტების ხარისხიანად მომზადების და სხვადასხვა სახის შეკითხვებზე პასუხების გაცემისა და კონსულტაციების გაწევის მიზნით;

- კოორდინაცია გაუწია აგრარულ სფეროსა და ეკონომიკაში ფონდში საკონკურსოდ წარმოდგენილი 130-ზე მეტი პროექტისათვის უცხოელი ექსპერტების მოძიების, პროექტებზე მათი განაწილებისა და ექსპერტებთან ყოველდღიური მიმოწერის საქმიანობას;
- როგორც სატენდერო კომისიის წევრი, გაეცნო 30-ზე მეტ საკონკურსო პროექტს და მონაწილეობა მიიღო საქართველოს ტექნოლოგიების გადაცემის ცენტრისა (PTCG) და გერმანიის საერთაშორისო თანამშრომლობის საზოგადოების (GIZ) მიერ ორგანიზებულ და დაფინანსებულ კონკურსში (INNO|GEORGIA);
- როგორც საქართველოს აგრარული უნივერსიტეტის ეკონომიკის ფაკულტეტის სადისერტაციო საბჭოს თავმჯდომარებ მონაწილეობა მიიღო 2 სხდომაში, იყო ერთი სადისერტაციო ნაშრომის ექსპერტი და ოფიციალური ოპონენტი;
- აკად. რ. ასათიანი დღეისათვის ხელმძღვანელობს ოთხ დოქტორანტს;

4.4.1.2. აკადემიკოსი ნაპოლეონ ქარქაშაძე



მიმართულებები;

აგრძელებდა მუშაობა მონოგრაფიაზე: “მსოფლიოს სოფლის მეურნეობა”, დამუშავებულია: მარცვლეულის მსოფლიოს წარმოების პრობლემები; შესწავლილია საქართველოს მეზობელ ქვეყნებში (რუსეთი, თურქეთი, ირანი, აზერბაიჯანი, სომხეთი და შავი ზღვის აუზის ქვეყნები) მარცვლეულის წარმოების მსოფლიო დინამიკა და განვითარების პერსპექტივები;

რეგიონალურ ჭრილში გაკეთებულია საქართველოში მარცვლეულის წარმოების ძირითადი

საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის უწრნალ “მოამბეში” დასაბეჭდად გადაცემულია სტატია: “გლობალური დათბობა, მითი თუ რეალობა”;

უწრნალი “Сельское хозяйство Закавказья”, გადაცემულია სტატია “მოსახლეობის სასურსათო უზრუნველყოფის გრაფიკები და მათი შედგენის მეთოდიკა”;

რეცენზირება გაუკეთდა პ. გულუას მონოგრაფიას “საქართველოს სოფლის მეურნეობა”, რომელიც გამოდის საპატიოარქოს ეგიდით;

მონაწილეობა მიიღო სამეცნიერო კონფერენციებში: 1) საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიაში ჩატარებული მეჩაიერების საწარმო – სამეცნიერო კონფერენცია; 2) საქართველოს ეკონომისტთა

ასოციაციის მიერ ჩატარებულ კონფერენციაში “საქართველოს სოციალურ – ეკონომიკური განვითარების ძირითადი მიმართულებები”.

კონფერენციის შედეგების მიხედვით, იბეჭდება თეზისები, რომლებშიც აკად. ნ. ქარქაშაძის მოსაზრებებიც არის გათვალისწინებული.

არის საქართველოს ენციკლოპედიის სოფლის მეურნეობის სარედაქციო კოლეგიის წევრი და საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის უურნალ “მოამბის” რედკოლეგიის წევრი.

არის აკადემიის სამეცნიერო საბჭოს წევრი და აქტიურ მონაწილეობას იღებს მის მუშაობაში, სისტემატურად გამოდის მოხსენებით.

აქტიურად თანამშრომლობს პრესასთან, სხვადასხვა გაზეთებში აქვთ აკადემიის სტატიებს და ინტერვიუებს.

ეწვა ლიტერატურულ საქმიანობას.

აკად. ნ. ქარქაშაძე მუშაობს პრობლემაზე: “დემოკრატია ეკონომიკაში და ეკონომიკური მიზიდულობის ძალა”; დღემდე მჭიდრო ურტიერეთობა აქვს რუსეთის სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიასთან და სხვა საერთაშორისო სამეცნიერო ცენტრებთან.

4.4.13. აკადემიკოსი ომარ ქეშელაშვილი



1. თემის დასახელება:

აგრარული ეკონომიკის ინსტიტუტის აგრარულ უნივერსიტეტის მიერთების შემდეგ (2011 წლის იანვრიდან) შეწყდა კვლევითი საქმიანობა და აკად. ო. ქეშელაშვილი ნაწილობრივ ჩამოცილდა ამ სფეროს, წარდგენილი პქონდა ერთი პრიორიტეტული პრობლემა 4 თემით, რომლის დამუშავებასაც აპირებდა. ფაქტობრივად, სამეცნიერო-კვლევითი მუშაობა აგრარული ეკონომიკის ხაზით უკვე შეწყდა.

2. 2012 წელს, სოფლის მეურნეობის სამინისტროში აკად. ო. ქეშელაშვილმა წარადგინა 3 მიზნობრივი სამეცნიერო-პრაქტიკული ხასიათის პროექტი:

2.1. სოფლის მეურნეობის გაძლიერების სისტემების ენციკლოპედიური ეკონომიკურ-ტექნოლოგიური და საცნობარო-ნორმატიული რეკომენდაციები (სამეცნიერო-გამოყენებითი პროექტი);

2.2. სასურსათო უსაფრთხოების ეროვნული პროგრამა (უზრუნველყოფის პოტენციალი და ეკონომიკური მექანიზმი (სამეცნიერო-გამოყენებითი პროექტი));

2.3. სამთო სოფლის მეურნეობის განვითარების ეროვნული პროგრამა (ეკონომიკურ-ტექნოლოგიური რეკომენდაციები და მართვის მექანიზმი (სამეცნიერო-გამოყენებითი პროექტი))

3. გამოქვეყნებული სტატიების რაოდენობა, დასახელება, გამოცემა:

3.1. საერთაშორისო რეფერირებულ, რეცენზირებულ სამეცნიერო ჟურნალებში, შრომათა კრებულებში გამოქვეყნებული სამეცნიერო შრომები:

1. სოფლის მეურნეობა, კრებულში „საქართველოს ეკონომიკა“, გამომცემლობა „სიახლე“, თბილისი 2012წ. ეძღვნება საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის ილია II-ის აღსაყდრების 35-ე წლისთავს;
2. გადავარჩინოთ აგრარული მეცნიერება. ჟურნალი „აგრარულ-ეკონომიკური მეცნიერება და ტექნოლოგიები“, №1, თბილისი, 2012;
3. ეკოლოგიურად სუფთა პროდუქციის წარმოების ტენდენციები და სტრატეგია, ჟურნალი „აგრარულ-ეკონომიკური მეცნიერება და ტექნოლოგიები“, №1, თბილისი, 2012;
4. ბიზნესი და მისი ორგანიზაციის ამოცანები, ჟურნალი „აგრარულ-ეკონომიკური მეცნიერება და ტექნოლოგიები“, №1, თბილისი, 2012;
5. ბიზნესის არსი, მნიშვნელობა, მიზანი, ჟურნალი „აგრარულ-ეკონომიკური მეცნიერება და ტექნოლოგიები“, №1, თბილისი, 2012;
6. ბიზნესის გენეზისი, ჟურნალი „აგრარულ-ეკონომიკური მეცნიერება და ტექნოლოგიები“, №1, თბილისი, 2012;
7. ბიზნესის ფილოსოფია და საიდუმლო, ჟურნალი „აგრარულ-ეკონომიკური მეცნიერება და ტექნოლოგიები“, №1, თბილისი, 2012;
8. ბიზნესის საფუძვლები და მიმართულებები, ჟურნალი „აგრარულ-ეკონომიკური მეცნიერება და ტექნოლოგიები“, №1, თბილისი, 2012;
9. ბიზნეს-გეგმა (ხორცისა და თევზის საკონსერვო საწარმოსათვის), შპს „ლაგი-XXI“-ისათვის;
10. აგრარული სექტორის ენციკლოპედიური ეკონომიკურ-ტექნოლოგიური საცნობარო-ნორმატიული სისტემური რეკომენდაციები, ჟურნალი „აგრარულ-ეკონომიკური მეცნიერება და ტექნოლოგიები“, №2, თბილისი, 2012;
11. კოლხური და ატლანტიკური ზუთხის პოპულაციისა და კვლავწარმოების სტრატეგია (ეკონომიკურ-ეკოლოგიური გააზრება), ჟურნალი „აგრარულ-ეკონომიკური მეცნიერება და ტექნოლოგიები“, №2, თბილისი, 2012;
12. ბიზნესის განვითარების პირობები და ფაქტორები, ჟურნალი „აგრარულ-ეკონომიკური მეცნიერება და ტექნოლოგიები“, №2, თბილისი, 2012;
13. ბიზნესის გარემო, ჟურნალი „აგრარულ-ეკონომიკური მეცნიერება და ტექნოლოგიები“, №2, თბილისი, 2012;
14. დიდი თამაში ბიზნესში, ჟურნალი „აგრარულ-ეკონომიკური მეცნიერება და ტექნოლოგიები“, №2, თბილისი, 2012;
15. მცირე ბიზნესის ორგანიზაცია, ჟურნალი „აგრარულ-ეკონომიკური მეცნიერება და ტექნოლოგიები“, №2, თბილისი, 2012;
16. სასურსათო უსაფრთხოების რესურსულ-პროდუქტიული პოტენციალი, მისი გამოყენების რეგულირება და მართვა, ჟურნალი „აგრარულ-ეკონომიკური მეცნიერება და ტექნოლოგიები“, №3, თბილისი, 2012;

17. ინფრასტრუქტურის არსი და ფორმები, ჟურნალი „აგრარულ-ეკონომიკური მეცნიერება და ტექნოლოგიები“, №3, თბილისი, 2012;
 18. ბირჟა და მისი როლი, ჟურნალი „აგრარულ-ეკონომიკური მეცნიერება და ტექნოლოგიები“, №3, თბილისი, 2012;
 19. აუდიტორული სამსახური, ჟურნალი „აგრარულ-ეკონომიკური მეცნიერება და ტექნოლოგიები“, №3, თბილისი, 2012;
 20. ინჟინირინგი, ჟურნალი „აგრარულ-ეკონომიკური მეცნიერება და ტექნოლოგიები“, №3, თბილისი, 2012;
 21. ფაქტორინგი, ჟურნალი „აგრარულ-ეკონომიკური მეცნიერება და ტექნოლოგიები“, №3, თბილისი, 2012;
 22. მარკეტინგული სამსახური, ჟურნალი „აგრარულ-ეკონომიკური მეცნიერება და ტექნოლოგიები“, №3, თბილისი, 2012;
 23. ინსტიტუციონალური სისტემა, როგორც ინფრასტრუქტურის რგოლი, ჟურნალი „აგრარულ-ეკონომიკური მეცნიერება და ტექნოლოგიები“, №3, თბილისი, 2012;
 24. აგრარული წარმოების ოპტიმიზაციისა და მდგრადი განვითარების ეკონომიკური მოდელირება, ჟურნალი „აგრარულ-ეკონომიკური მეცნიერება და ტექნოლოგიები“, №4, თბილისი, 2012;
 25. ბიზნესი მეცნიერებაში, ჟურნალი „აგრარულ-ეკონომიკური მეცნიერება და ტექნოლოგიები“, №4, თბილისი, 2012;
 26. ბიზნესმენის საქმიანობის ფინანსურიული ასპექტები, ჟურნალი „აგრარულ-ეკონომიკური მეცნიერება და ტექნოლოგიები“, №4, თბილისი, 2012;
 27. რა მოეთხოვება ბიზნესმენს (მენეჯერს), ჟურნალი „აგრარულ-ეკონომიკური მეცნიერება და ტექნოლოგიები“, №4, თბილისი, 2012;
 28. ბიზნესმენის ეთიკა, ჟურნალი „აგრარულ-ეკონომიკური მეცნიერება და ტექნოლოგიები“, №4, თბილისი, 2012;
 29. ლიდერობა. ჟურნალი „აგრარულ-ეკონომიკური მეცნიერება და ტექნოლოგიები“, №4, თბილისი, 2012;
- 3.2. გამოქვეყნებული მონოგრაფიები და ბროშურები:
1. ინვაციური ბიზნესი (მეცნიერებაზე აქცენტირებით), გამომცემლობა „არეალი“, თბილისი, 2012;
 2. სოფლის მეურნეობის აღმავლობისა და მდგრადი განვითარების სტრატეგიულ-პრიორიტეტული მიმართულებები და რეკომენდაციები, გამომცემლობა „არეალი“, თბილისი, 2012;
 3. ბიზნეს გეგმის შედგენის თეორია და პრაქტიკა, გამომცემლობა „არეალი“, თბილისი, 2012.
 4. სამეცნიერო საბჭოებში, კომისიებში, სარედაქციო კოლეგიებში მონაწილეობა. საბჭოს, კომისიის, სარედაქციო კოლეგიის დანიშნულება. როლი საბჭოს, კომისიის, სარედაქციო კოლეგიის საქმიანობაში.
1. საერთაშორისო რეფერინგებული ჟურნალის „აგრარულ-ეკონომიკური მეცნიერება და ტექნოლოგიები“-ის დამფუძნებელ-გამომცემელი, სარედაქციო-სამეცნიერო საბჭოს თავმჯდომარე და მთავარი რედაქტორი.

2. საერთაშორისო კრებულის „საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის მოამბე“ - სარედაქციო კოლეგიის წევრი.

აკადემიის აკადემიურ საბჭოს მუშაობაში მონაწილეობა (საკითხის მომზადება):

აკადემიის პრეზიდიუმმა განიხილა აკად. ო. ქეშელაშვილის მიერ მომზადებული საკითხი: ინოვაციური ბიზნესი.

სამეცნიერო საზოგადოების, ასოციაციის, სამეცნიერო საბჭოს წევრობა:

არის საქართველოს მეცნიერთა უფლებების დაცვის ასოციაციის პრეზიდენტი.

აკად. ო. ქეშელაშვილის რეკომენდაციები სოფლის მეურნეობის შემდგომი განვითარების შესახებ

სასოფლო-სამეურნეო წარმოების ამაღლებისა და მდგრადი განვითარებისათვის პრიორიტეტული მიჯნებისა და მასშტაბების მისაღწევად საჭიროა:

- სელექციისა და მეთესლეობის გაუმჯობესებისთვის ხელის შეწყობა და სასოფლო-სამეურნეო კულტურათა თესვა მაღალმოსავლიანი ჯიშებით;
- სარგავი მასალის წარმოების ტექნიკური ბაზის გადაიარაღება და სრულყოფა;
- მცენარეთა დაცვის ინტეგრირებული სისტემის ზედმიწევნით მიზნობრივი და სრულყოფილი გატარება;
- არსებული სარწყავი სისტემებისა და მცირე ქსელების სრულ მზადყოფნაში მოყვანა, მათი რეაბილიტაციისა და განახლების საფუძველზე;
- მატერიალურ-ტექნიკური რესურსებით მომარაგებისა და გამოყენების ზონალურ-დიფერენცირებული რეკომენდაციების დამუშავება და დანერგვა;
- პროდუქციის გადამუშავების (მ.შ ექსპრეს-გადამუშავების), გასაღების, წარმოების საშუალებებით მომარაგებისა და საწარმოო მომსახურების ტიპის დამოუკიდებელი და მინიმუმის რეცენზირებული საწარმოების (კოოპერაციების და სხვა ფორმის) შექმნა;
- სახელმწიფო დაკვეთებისა და შესყიდვების მექანიზმის შემუშავება და ამოქმედება;
- საბაზრო სეგმენტების სწორად შერჩევა და პროდუქციით გაჯერების სტაბილურობის მიღწევა;
- სამეურნეო რისკის მართვა;
- წარმოების ოპტიმიზაციისა და მდგრადი განვითარების ეკონომიკური მოდელების შექმნა და მისი რეალიზაციის ეკონომიკური მექანიზმის დამუშავება.

ზემოთ აღნიშნული, პროგნოზული მარკეტინგული მოდელით დადგენილი პარამეტრები შეესაბამება იმ პოზიციას, რომ, ჯერ თანდათან უნდა დავძლიოთ წლობით დაგროვილი კრიზისული ვითარება და დონე, არაინტენსიური განვითარების ტემპი და თანდათან გადავიდეთ პროგრესულ ტექნოლოგიებზე.

ასეთი მიდგომითა და სტრატეგიული მიმართულებების რეალიზაციით საქართველოს შეუძლია მსოფლიოს ერთ-ერთი მოწინავე ქვეყანა გახდეს.

ეს, რეალობად, რომ იქცეს აუცილებელია სასოფლო-სამეურნეო წარმოების ინტენსიური განვითარება.

სოფლის მეურნეობის ინტენსიური განვითარება კი ნიშნავს იმას, რომ თითოეული პექტარი სასოფლო-სამეურნეო სავარგული, პირუტყვისა და ფრინველის სახე მოექცეს ინტენსიური, მრავალკომპონენტური, ავტომატიზებული, პროგრამირებული ტექნოლოგიური, ბიოლოგიური და მართვის სისტემების გავლენის ქვეშ, რათა ამ კომპლექსური არსენალის ურთიერთშეჯერებული და კომპლექსური გამოყენებით მივიღოთ არა მხოლოდ აგროტექნიკურად და ზოოტექნიკურად მაღალი, არამედ ბიოლოგიური პოტენციალის შესაბამისი პროგრამირებული პროდუქცია.

როგორც ჩანს, ინტენსიური წარმოება უკვე ნიშნავს პროგრამირებული პროდუქციის მიღებას. ეს, უნდა მივიჩნიოთ მომავლის მიღგომად და, შესაბამისად, წარმოების ეწ. ფენომენმა სხვა გაგება უკვე დაკარგა.

ასეთი მიღგომისა და მისი პრაქტიკული რეალიზაციის გარეშე:

- გამოყენებელი დარჩება არ სებული ბუნებრივ-ეკონომიკური პირობები და რესურსული პოტენციური შესაძლებლობები;
 - ვერ გადაწყვდება სასურსათო და საერთოდ ეკონომიკური და სოციალური უსაფრთხოების პრობლემა;
 - ვერ მოხერხდება აგრარული ბაზრის შექმნა და მისი შიდა და საგარეო სეგმენტურ მოთხოვნებზე ორიენტირებული რეგულირება;
 - ვერ დარეგულირდება დემოგრაფიის პრობლემები;
- ვერ გამოვლინდება სახელმწიფოს როლი და ფუნქცია მსოფლიო თანამეგობრობაში.

სოფლის მეურნეობის ინტენსიური განვითარებისათვის აუცილებელია:

- ეკონომიკურ-ტექნოლოგიური გარემოს სწორი მეცნიერული შესწავლა და შეფასება;
- ნიადაგური და ბიოკლიმატური პოტენციალის მაღალი დატვირთვითა და მაღალი უკუგებით, ზონალურ-დიფერენცირებული სპეციფიკის შესაბამისი გამოყენება;
- ახალი, ინტენსიურ ტექნოლოგიებზე მორგებული ჯიშებისა და პიბრიდების გამოყვანა და მათი ინტენსიური და ინდუსტრიული ტექნოლოგიებით მოვლა-მოყვანა;
- წარმოების ტექნოლოგიური კომპლექსის მართვის ავტომატიზებულ, პროგრამირებულ სისტემებზე გადაყვანა;
- მთელი რესურსული პოტენციალის: მიწის, წარმოების ძირითადი საშუალებების, ინტენსიფიკაციის ფაქტორების, შრომითი რესურსების, ახლებური, თანამედროვე, ინტენსიური ტექნოლოგიების შესაბამის ნორმატივებსა და ენერგეტიკულ კრიტერიუმებზე, ამასთან, ეკონომიკურ ზრდაზე ორიენტირებულ მოთხოვნებზე დაყრდნობილი, ზონალურ-დიფერენცირებული და მოდიფიცირებული გამოყენება;

- ინტენსიურ საფუძვლებზე მოწყობილი და მართვის ავტომატიზებულ სისტემურ მოდელებზე დაფუძნებული საწარმოო ინფრასტრუქტურა, რასაც ამჟამად არანაკლები როლი მიეკუთვნება, ვიდრე თვით წარმოების პროცესს.
- წარმოების მართვაში ოისკმენეჯმენტის ფაქტორის აუცილებელი გათვალისწინება;
- ძლიერი ინვესტიციური გარემოს შექმნა და რეგულირებული გამოყენება;
- ინოვაციური (ცოდნის) ეკონომიკის თანდათანობითი და მიზნობრივი გამოყენება.

სოფლის მეურნეობის ინტენსიური განვითარება უნდა გავიგოთ და განვიხილოთ იმ თანამედროვე ფორმულირების პასუხად, როგორიცაა: ახალ დროს ახალი პირობები და ახლებური გადაწყვეტები სჭირდება; ამასთან, საჭიროა იმის გათვალისწინება და გათავისება, რომ ახალ დროს ახალი ადამიანები ქმნიან და წარმოების ახლებურ-ინტენსიურ ტიპს ახალი, ინტენსიურ-ინდუსტრიული ტექნოლოგიები და მართვის ავტომატიზებული, პროგრამირებული სისტემები უზრუნველყოფენ.

აი, ასე სრულად და რთულად დგას ახლა, საქართველოსა და მსოფლიოს ნებისმიერი ქვეყნის წინაშე, წარმოების ინტენსიური განვითარების, გლობალიზაციის გავლენით წამოჭრილი აუცილებლობის პრობლემა.

საკითხი, გლობალურად უკვე ასეა დასმული: მსოფლიო გლობალიზაციის პროცესში გაიმარჯვებს ის ქვეყანა, რომელიც განავითარებს ინოვაციურ ეკონომიკასა და გადაწყვეტს წარმოების, უპირატესად სასოფლო-სამეურნეო წარმოების, ინტენსიურ ტექნოლოგიებზე დაფუძნებული მდგრადი განვითარების საერთოსახელმწიფოებრივ ამოცანას.

სოფლის მეურნეობის სწრაფი აღმავლობისა და მდგრადი განვითარების ხელშემწყობი ორგანიზაციულ-სტრუქტურული და მმართველობრივი ხასიათის წინადადებები

• წარმოების ორგანიზაციულ-სტრუქტურული სრულყოფის თვალსაზრისით საჭიროა გადაიდგას ნაბიჯი იმ მიმართულებით, რომ ეტაპობრივად (თუმცა, არახანგრძლივი დროის მანძილზე) ნებაყოფლობით (დარწმუნების მეთოდის გამოყენებით), შესაბამისი საკანონმდებლო ბაზის მიღების საფუძველზე მოხდეს ფერმერულ მეურნეობათა მნიშვნელოვანი ნაწილის ბაზაზე, საშუალო სიდიდისა და შედარებით მსხვილი კოოპერირებული და ინტეგრირებული საწარმოების შექმნა. დაჩქარებული ტემპით უნდა დამუშავდეს და დამტკიცდეს კოოპერირებულ და ინტეგრირებულ საწარმოთა სანიმუშო წესდება.

ამ კოოპერატივებსა თუ ინტეგრირებულ ფორმირებებს უნდა გააჩნდეთ თავისი აგროტექსერვისული სამსახურები, სათანადო სასაწყობო მეურნეობები, გადამამუშავებელი (შესაბამისი სიდიდისა და მასშტაბის) საწარმოები, პროდუქციის სარეალიზაციო სამსახურები და სხვა შესაბამისი თანაფორმირებები. დასაშვებია აგრეთვე, ცალკე შეიქმნას კოოპერირებული ტიპის აგროტექსერვისის ფორმირებები.

ასეთი რეორგანიზაცია საშუალებას მოგვცემს მაქსიმალური ეფექტურობით გამოვიყენოთ წარმოების ძირითადი საშუალებები (განსაკუთრებით მიწის

რესურსები, რომელთა დიდი ნაწილი ამჟამად მიგდებული და გავერანებულ-გატიალებულია), ტექნოლოგიური ხერხები და ღონისძიებები, ინტენსიფიკაციის ფაქტორები, კაპდაბანდებები, მაღალი უკუგებით ავითვისოთ მარკეტინგული სივრცე, განვავითაროთ საგარეო-ეკონომიკური კავშირები, ინვესტიციების მოზიდვის პროცესი და სრულყოფით მენეჯმენტი.

10. საქართველოს სოფლის მეურნეობის აღმავლობა გამორიცხულია მისი სპეციფიკის მეცნიერების ხელშეწყობისა და განვითარების გარეშე, რამეთუ სწორედ მეცნიერებამ უნდა შექმნას ახალი ჯიშები და პიბრიდები, ახალი, თანამედროვე, ინტენსიურ-ინდუსტრიული ტექნოლოგიები, მცენარეთა ინტეგრირებული დაცვის საშუალებები, მაღალ ტექნოლოგიებზე მორგებული სამექანიზაციო საშუალებები, დარგობრივ-რეგიონული გაძლოლის სისტემები, ეკონომიკურ-ორგანიზაციული და მმართველობრივი ხასიათის რეკომენდაციები, მცონომიკური მექანიზმი და ინსტიტუციონალური სისტემა, ეკონომიკური ტექნოლოგიების მთელი სისტემა, მარკეტინგისა და მენეჯმენტის სრულყოფის სტრატეგიები, სამეურნეო რისკისა და საგარეო-ეკონომიკურ ურთიერთობათა მართვის პროგრამები, გადაწყვიტოს წარმოების ოპტიმიზაციის, მდგრადობისა და მოხმარების რაციონალურის მრავალვარიანტული ამოცანები და სხვ.
11. დღესდღეობით კი, მეცნიერება თითქოსდა უურადღებოდაა და მისთვის ვერ მოგვიცლია. მას, ფართო სახელმწიფოებრივი მხარდაჭერა სჭირდება.
12. მაქსიმალური ეფექტიანობით უნდა გამოვიყენოთ გამოჩენილ და ავტორიტეტულ მეცნიერთა ინტელექტუალური პოტენციალი და მათი უნარი ახალგაზრდა კადრების აღზრდის საქმეში.
13. რაც შეეხბა მეცნიერთა მიერ დამუშავებული სამეცნიერო პროექტების რეალიზაციას და ცხოვრებაში გატარებას, ეს მისია, როგორც მოწინავე ქვეყნებშია (განსაკუთრებით ჩინეთში), ხელში უნდა აიღოს ხელისუფლებამ.

აკად. ო. ქეშელაშვილის ხედვა

“სოფლის მეურნეობის აღმავლობისა და მდგრადი განვითარების სტრატეგიულ-პრიორიტეტული მიმართულებების კუთხით”

საქართველოს სოფლის მეურნეობაში პრიორიტეტების გამოყოფის დროს გათვალისწინებული უნდა იქნას საქართველოში, სასოფლო-სამეურნეო კულტურათა მოვლა-მოყვანის მიკროზონალური ტრადიციები და დაგროვილი გამოცდილება, შრომის დანაწილებაში მათი როლი და მნიშვნელობა, ადგილობრივ ნიადაგურ-კლიმატურ პირობებთან ადაპტაცია და ამ პირობების მაღალი, ბიოლოგიური და ეკონომიკური უკუგებით გამოყენების უნარი, საბაზრო ეკონომიკისა და არსებული და მომავალში გამოსაყოფი საბაზრო სეგმენტების, ამა თუ იმ პროდუქციით გაჯერების მოთხოვნები, მათი საექსპორტოუნარიანობა, ეკონომიკური ბერკეტებისადმი მორგებულობის, მედეგობისა და ლავირების შესაძლებლობა და სხვა.

გლობალიზაციისა და საბაზრო ეკონომიკის მოთხოვნებისა და პოზიციების, აგრეთვე ადგილობრივი ბუნებრივ-ეკონომიკური პირობებისა და პოტენციური რესურსული შესაძლებლობების გათვალისწინებით, უკანასკნელ წლებში (2000-იანი წლები), საქართველოში პირველად (ხელმძღვანელი აკად. ო. ქეშელაშვილი),

დამუშავდა სოფლის მეურნეობის განვითარების სტრატეგიული მარკეტინგული მოდელი, რომლის მიხედვითაც საბაზრო მოტივაციების შესაბამისად, განისაზღვრა სოფლის მეურნეობის რეგიონული პრიორიტეტები, დარგობრივ ჭრილში, შეფასდა და დადგინდა ის ოპტიმალური ეკონომიკური პარამეტრები, რაც ეკონომიკური და სასურსათო უსაფრთხოების თვალსაზრისით რეალურად მისაღწევ მიჯნებსა და დასაბუთებულ ზღვრებს წარმოადგენს ამა თუ იმ დარგისათვის, როგორც ადგილობრივი საბაზრო სეგმენტების გაჯერების, ისე მყარი საექსპორტო პოზიციების დაკავების მიზნით.

ამის საფუძველზე, საქართველოს სოფლის მეურნეობის სწრაფი აღმავლობისა და მდგრადი განვითარებისათვის სარეკომენდაციოა კვლევის შედეგად მიღებული შემდეგი დასკვნები:

I. საქართველოს სოფლის მეურნეობაში ძირითად პრიორიტეტებად გამოიყო დიდი ტრადიციებისა და ფართო პოტენციური (როგორც ბუნებრივი ისე ეკონომიკური) შესაძლებლობების, აგრეთვე დიდი პერსპექტივების მქონე ისეთი სტრატეგიული მნიშვნელობის დარგები, როგორიცაა: მევენახეობა და ნიშანდობლივ სამრეწველო მევენახეობა, ასევე სამრეწველო მეხილეობა და სუბტროპიკული მიწათმოქმედების ძირითადი დარგები: მეჩაიეობა და მეციტრუსეობა და მათ ბაზაზე მომუშავე კვების მრეწველობის დარგები.

II. ამ პრიორიტეტული და სტრატეგიული მნიშვნელობის დარგების განვითარება შესაძლებლობას იძლევა მაქსიმალური ეფექტიანობითა და უკუგებით იქნას გამოყენებული საქართველოს უნიკალური ბიოკლიმატური პოტენციალი, ამასთან მაქსიმალურად იქნას ათვისებული მხოლოდ ის მიკროზონალური სივრცე, სადაც გათვის ყველაზე ხელსაყრელი ბუნებრივი და ეკონომიკური პირობები არსებობს.

ეს დარგები, რომლებიც საექსპორტო და პოტენციურად კონკურენტუნარიან პროდუქციას აწარმოებენ, საქართველოს სოფლის მეურნეობის გლობალური სტრატეგიის შესაბამისად მიეკუთვნა ე.წ. “ენერგომომტანი” დარგების ჯგუფს. ამ დარგებს სწორედ იმიტომ ეწოდა “ენერგომომტანი”, რომ მათი განვითარება საშუალებას იძლევა პროდუქციის ექვივალენტური, ბარტერული და სხვა ფორმის გაცვლების საფუძველზე და ამ ინტერესების შესაბამისად, ინტეგრირებულ საწარმოთა მოწყობითა და სხვა პროგრესული ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმების გამოყენებით გარკვეულწილად გადავჭრათ სტრატეგიული ენერგეტიკული რესურსებით (ნავთობპროდუქტები, გაზი, ელექტროენერგია) აგრეთვე კალორიატევადი სასურსათო პროდუქტებით (მარცვალი, შაქარი, ცხიმი, ზეთი, კარაქი და სხვა) უზრუნველყოფის პრობლემა.

როგორც ჩანს, ეს გლობალიზაციის პროცესში ჩართვისა და ფუნქციონირების საფეხბით მისაღები და რეალური ფორმაა, ამავდროულად საქართველოს სოფლის მეურნეობას უნარჩუნებს თავის სპეციალიზაციასა და თვითმყოფადობას.

ამ პრიორიტეტულ დარგებთან, ადგილობრივი პირობების შესაბამისად, თანაბარი უპირატესობის მიცემით, ნიადაგურ-კლიმატური ფაქტორებისა და მიწათმოქმედების გაძლიერების ისტორიული ტრადიციების მხედველობაში მიღებით, შეთანაწყობილი უნდა იყოს ე.წ. “კალორიატევადი” პროდუქციის მომცემი კულტურების მოვლა-მოყვანა, კერძოდ: თავთავიანი პურეულის, სიმინდის,

მარცვლეულ-პარკოსნების, ბოსტნეულის, კარტოფილის, აგრეთვე ტექნიკური და საკვები კულტურებისა.

საქართველოს სოფლის მეურნეობის მდგრადი განვითარების სტრატეგიული პოზიცია გვკარნახობს, რომ წარმოების ინტეგრირების, კოოპერირებისა და შრომის საერთაშორისო დანაწილების, როგორც დღევანდელი, ისე თვალსაწიერი პერსპექტივის ბიზნესური მოთხოვნებიდან გამომდინარე, მისი სპეციალიზაცია, ისტორიულ-ტრადიციული მოდელიდან დიდ და რადიკალურ გადახრას არ ექვემდებარება. ეს იმას ნიშნავს, რომ სავნება ფართობებს კვლავ ვენახი დაიკავებს, სახორცლებ-ხორბალი, სასიმინდეს-სიმინდი, სუბტროპიკული ზონის სივრცეს-ჩაი, ციტრუსი, სუბტროპიკული ხილი და ა.შ.

აღნიშნული, საერთო, პერსპექტივული პოზიციებიდან გამომდინარე საქართველოს სოფლის მეურნეობის განვითარების თვალსაზრისით გამოიყოფა შემდეგი ძირითადი მიმართულებები და პოზიციები:

1. გლობალური (საგარეო-ეკონომიკური ურთიერთობების) პოზიცია, რომელიც გულისხმობს სახელმწიფოებრივ (ქვეყნის) დონეს. აქ ძირითადად თავსდება ზემოთ აღნიშნული “ენერგომომტანი” დარგები, რომელმაც უნდა აითვისოს ადგილობრივი, ახლომდებარე და შორეული საბაზრო სეგმენტები;

—ადგილობრივი, ახლომდებარე და შორეული საბაზრო სეგმენტების დასაპყრობად და გასაჯერებლად პრიორიტეტი უნდა მიეცეს დიდი ტრადიციების, ქართული იმიჯის შემქმნელ ისეთ დარგს, როგორიცაა მევე-ნახეობა და მის ბაზაზე მომუშავე მრავალპროფილიანი მეღვინეობა. ამ დარგებში საკმაოდ კონკურენტუნარიანი პროდუქტები შეიძლება ვაწარმოოთ (საჭირო იქნება ტექნოლოგიების სრულყოფა და ტექნოლოგიური გადაიარაღება), რასაც საქართველოს მთელი სამარკეტინგო ამინდის შექმნა შეუძლია.

2. ადგილობრივი და ახლომდებარე საბაზრო სეგმენტების დასაპყრო-ბად და გასაჯერებლად, არსებულ ტრადიციებზე დაყრდნობით, კვლავ ფართოდ უნდა განვითარდეს მეხილეობა და მის ბაზაზე მომუშავე საკონსერვო მრეწველობა.

საქართველოს მეხილეობის განვითარების დიდი ტრადიციები ისტორიის კუთვნილებად არ უნდა დარჩეს. საქართველოში ჩატარებული მდიდარი სელექციური მუშაობის შედეგები საშუალებას იძლევა თვისებრივად ახალ დონეზე ავიყვანოთ მეხილეობის დარგი და პროგრესული და ნაკლებნარჩენიანი ტექნოლოგიების გამოყენებით საკმაოდ კონკურენტუნარიანი ხილი და მისი გადამუშავების პროდუქტები ვაწარმოოთ.

3. ადგილობრივი და პოსტსაბჭოთა ქვეყნების საბაზრო სეგმენტების გასაჯერებლად უნდა აღორძინდეს და ფართოდ უნდა განვითარდეს მეჩაიერება და მეციტრუსეობა და მათ ბაზაზე მომუშავე მოდერნიზებული, პროგრესულ ტექნოლოგიებზე დაფუძნებული ჩაის მრეწველობა და სუბტროპიკული ხილის გადამუშავებელი მრეწველობა;

ამ დარგების განვითარებისათვის არსებული ძვირფასი და ხელსაყრელი ნიადაგურ-კლიმატური პირობების რაციონალური გამოუყენებლობის შემთხვევაში საქართველო დიდ მარკეტინგულ მარცხს წააწყდება, გარდა ამისა, დიდი სიძნელეები შეიქმნება შიდამარკეტინგული პოზიციები და რაც დიდად ანგარიშგასაწევია მიკრორეგიონული სოციალური დაცვის თვალსაზრისით.

4. თვისებრივად ახალ დონეზე უნდა ავიდეს ადრეული მებოსტნეობა და მეკარტოფილეობა, რაც ამ დარგების განვითარებისათვის არსებული ძვირფასი მიკროკლიმატური პირობების რაციონალურ გამოყენებას მოითხოვს. ამავე ასპექტით, სტრატეგიულ მარკეტინგულ პოზიციას წარმოადგენს სასათბურე მებოსტნეობის აღდგენა და სტაბილური განვითარება.

5. საგარეო-საგაჭრო ურთიერთობებში განსაკუთრებული როლი შეიძლება შეასრულოს ისეთმა დარგებმა, როგორიცაა მეფუტკრეობა და ეთერზეთების წარმოება.

დიდად ანგარიშგასაწევია ის, რომ ფუტკარს, თაფლის მოცემის გარდა, გაცილებით (10-15 ჯერ) მეტი სარგებლობა მოაქვს, როგორც მცენარეთა დამტვერიანების ძლიერ ფაქტორს.

6. ლოკალური, შიდასახელმწიფოებრივი და რეგიონულ-დარგობრივი პოზიციები – აქ თავსდება მეცხოველეობა და “კალორიატევადი” სასოფლო-სამეურნეო კულტურები, კერძოდ: მარცვლეული, საადრეო და საგვიანო კარტოფილი, მზესუმზირა, შაქრის ჭარხალი.

მეცხოველეობის დარგებიდან მედორეობა და მეფრინველეობა მეტ-ნაკლებად ყველა რეგიონში, განსაკუთრებით საგარეუბნო ზონებში უნდა განვითარდეს; მეცხვარეობა მთიან რაიონებში; სატბორე მეთევზეობა შესატყვის ადგილებში; მებოცვრეობა (და სხვა) ლოკალურ მასშტაბებში.

ქვეყნის ყველა რეგიონის საბაზრო სეგმენტები უნდა გაჯერდეს მსხვილფეხა რქოსანი მესაქონლეობის პროდუქციით, ამ დარგის მეტნაკლები პროპორციებით ყველა რეგიონში განვითარებითა (ბარისა და სამთო პირო-ბებზე მორგებით) და მის ბაზაზე ხორცისა და რძის მრეწველობის დონის ამაღლებით.

7. სახელმწიფოებრივი პროგრამის პოზიციები ამ თვალსაზრისით განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს მარცვლეული მეურნეობის განვითარებას. მარკეტინგული სტრატეგიის შესაბამისად სასურსათო მარცვლეული კულტურების (ხორბალი, სიმინდი) მოყვანა მეტნაკლები მასშტაბით თითქმის ყველა რეგიონში შეიძლება, თუმცა, მის რეგიონულ რეგულირებას ახდენს ისტორიულად ჩამოყალიბებული ობიექტური ფაქტორი – მოსახლეობის სპეციფიკური მოთხოვნები, რომლის შესაბამისადაც აღმოსავლეთ საქართველოში უპირატესად მოიყვანება და მოიხმარება ხორბლეული, ხოლო დასავლეთში – სიმინდი. ეს გარემოება მნიშვნელოვან გავლენას ახდენს მარკეტინგულ ბადეზე და საბაზრო უზრუნველყოფაზე.

ამასთან, გასათვალისწინებელია, რომ საქართველოს სოფლის მეურნეობის მრავალდარგოვანი სტრუქტურა, რაც ობიექტური ბუნებრივ-ეკონომიკური პირობების გავლენით არის ჩამოყალიბებული, საშუალებას არ იძლევა ძირითადი სასურსათო პროდუქტები, მათ შორის სასურსათო და საფურავე მარცვლეული, გამოკვეთილი მინიშნებით კი ხორბალი, ვაწარმოოთ იმ მოცულობით, რომ მაქსიმალურად დაკმაყოფილდეს, როგორც საქართველოს მოსახლეობის, ისე, მითუმეტეს ტურისტებისა და საკურორტო და სამკურნალო კერებში მყოფ დამსევნებელთა (რომელთა რიცხვი წლითი-წლობით გაიზრდება) მოთხოვნილება.

პერსპექტივაში კი, თუ გავითვალისწინებთ და მხედველობაში მივიღებთ მაღალ და ინტენსიურ ტექნოლოგიებს, სელექციისა და გენეტიკის მიღწევებს,

ჰიბრიდიზაციის ძალას და, ამის საფუძველზე პროგრამირებული მოსავლის მიღების პოტენციურ შესაძლებლობებს, ამ შემთხვევაში, საქართველო, საკუთარი წარმოებით შეძლებს დაიგმაყოფილოს მარცვლეულზე სასურსათო მოთხოვნილება, მაგრამ, ეს, ჯერჯერობით თეორიულ და მეცნიერულ ჩარჩოებს არ სცილდება.

ამიტომ, ჩვენ, არ უნდა გამოვედევნოთ და არ უნდა გაგვიტაცოს მარცვლეულით სწრაფად თვითდაკმაყოფილების კონცეფციამ და პრაქტიკული თვალსაზრისით აქცენტი უნდა გავაკეთოთ და ორიენტირად უნდა მივიჩნიოთ ის გზა, რომელსაც თვით ბუნება გვთავაზობს და გვკარნახობს, რაც იმას ნიშნავს, რომ პოტენციურად და აგრობიოლოგიურად ვარგისი სავენახე ფართობები უნდა დაიკავოს მხოლოდ ვენახმა; სახეხილე ფართობები ხეხილოვანმა კულტურებმა და ისიც შერჩევითა და გამოზომილად: თესლოვნებმა, კურკოვნებმა, კაკლოვნებმა, კენკროვნებმა; ჩაისა და სუბტროპიკული კულტურებისათვის ვარგისი ფართობები სწორედ ამ კულტურებმა; საბოსტნე-საბაღჩე-ბოსტნეულ-ბაღჩეულმა; საკარტოფილე-კარტოფილმა; საბაღახე-სათიბ-საძოვრებმა და ა.შ.

8. საიმპორტო პოზიციებიდან გამომდინარე საქართველოს საბაზრო სეგმენტები მოსახლეობის მოთხოვნილების შესაბამისად რომ გაჯერდეს აუცილებელი იქნება ისეთი ძირითადი სასურსათო პროდუქტების იმპორტი (ბაზრის მოთხოვნების შესაბამისი ცვალებადი მოცულობებით), როგორიცაა: მარცვლეული, ხორცი, რძე, და ხორცისა და რძის პროდუქტები, მეფრინველების პროდუქცია, ცხიმეული, აგრეთვე პროდუქციის კონკურენტუნარიანობისა და საბაზრო კონიუნქტურის შესაბამისი სხვადასხვა სასოფლო-სამეურნეო და კვების მრეწველობის პროდუქტები, რომელიც ეტაპების მიხედვით ცვალებადი მოცულობითა და პროპორციებით იქნება შემოტანილი.

როგორც წესი, ექსპორტისა და იმპორტის რეგულირება უნდა ხდებოდეს ეკონომიკური ბერკეტების მარჯვე გამოყენებით, სწორი სამარკეტინგო სტრატეგიითა და მოქნილი მენეჯმენტით.

3. სერვისის სფერო და ინფრასტრუქტურა. ამ თვალსაზრისით საჭიროა ხელი შეეწყოს სხვადასხვა, მეწარმეობის კანონის შესაბამისი, ორგანიზაციულ-სამრთლებრივი ფორმის სერვისული ტიპის საწარმოების ფუნქციონირებას, რომელიც შებოჭილი არ იქნება მოუქნელი საგადასახადო მექანიზმით და საშუალება ექნება ინდივიდუალურად და დიფერენცირებულად შეუხამოს თავისი საქმიანობა აღგილობრივ მოთხოვნებს და მარკეტინგის პრინციპებს.

4.4.14. აკადემიკოსი ნოდარ ჭითანავა



1. 2012 წელს საქართველოს დავით აღმაშენებლის სახელობის უნივერსიტეტში აკად. ნ. ჭითანავა ასწავლიდა შემდეგ საგნებს „ეკონომიკის პრინციპები (ეკონომიკური თეორია)“, „საქართველოს ეკონომიკა“, „სოციალური პოლიტიკა“, „ეკონომიკური გლობალიზაცია“ და „ეკონომიკური და სოციალური უსაფრთხოება“.
2. ჟურნალში „სოციალური ეკონომიკა“ („სოციალური ეკონომიკა“ 4(22) 2012) გამოქვეყნდა სტატია „საქართველოს ეკონომიკის ტრანსფორმაციის თავისებურებები და განვითარების ახალი სტრატეგიის ფორმირების ლოგიკა“.
3. 2012 წელს გამოქვეყნდა მონოგრაფია „საქართველოს ეკონომიკის მეტამორფოზები და პერსპექტივები“ (თბ. 2012, გამომცემლობა „ივერიონი“). მონოგრაფიაში განხილულია საბაზრო ურთიერთობებზე გარდამავალ პერიოდში ეროვნული ეკონომიკის ტრანსფორმაციის პროცესი, ახსნილია მიზეზ-ფაქტორები, რომელმაც განაპირობეს ეკონომიკური და სოციალური განვითარების ზიგ-ზაგები, მწვავე სოციალური პრობლემები. დასაბუთებულია ეროვნული ეკონომიკის განვითარების თვისებრივად ახალ ტრაექტორიაზე გადასვლის აუცილებლობა.
4. 2012 წელს სდასუ-ში აკად. ნ. ჭითანავას ხელმძღვანელობით დაცულია საბაკალავრო ნაშრომები თემებზე: „დასაქმების პრობლემები საბაზრო ურთიერთობებზე გარდამავალ პერიოდში“, „ცხოვრების დონე – ეკონომიკის განვითრების ინდიკატორი“, „საქართველოს ეკონომიკა სამხრეთ-კავკასიის ეკონომიკურ სივრცეში“, „აჭარის აო სოციალურ-ეკონომიკური განვითარების ტენდენციები საბაზრო ურთიერთობებზე გარდამავალ პერიოდში“.
5. ბიზნესის აკადემიის, პოლიტიკური და ეროვნული აკადემიების გაფართოებულ სხდომაზე 2012 წლის 16 ნოემბერს გამოვიდა მოხსენებით თემაზე: „საქართველოს ეკონომიკის მეტამორფოზები და განვითარების პერსპექტივები“.

**აკად. ნ. ჭითანავა -
“სოფლის მეურნეობის განვითარების ახალი სტრატეგია”**

აგრარულ სფეროში წამოჭრილი პრობლემების გადაწყვეტა ხანგრძლივ პერიოდს, დიდ ინვესტიციებს, თანამედროვე მენეჯმენტს და, რაც გადამწყვეტია, საზოგადეობის ერთიან ნებას, ერის ყველა თაობის ცოდნისა და ენერგიის

გაერთიანებას და ერთიანი მიზნისაკენ წარმართვას და ორგანიზებულობის მაღალ დონეს მოითხოვს.

ამიტომ აუცილებელია აგრარული მეურნეობის განვითარების “გარღვევის სტრატეგიის განსაზღვრა”, რისთვისაც საჭიროა ეროვნული თავისებურებების და მსოფლიოს სამეურნეო გამოცდილების შეხამება. ამისათვის:

1. უნდა განისაზღვროს დარგის განვითარების სტრატეგიული მიზნები ქვეყნის ბუნებრივ-საწარმოო თავისებურებების გათვალისწინებით.
2. ჩამოყალიბდეს სოფლად საწარმოო და მომსახურების (ასევე სხვა ფორმების) კოოპერაციის განვითარების ძირითადი მიმართულებები, ჩამოყალიბდეს და მომზადდეს პირობები მათი ეტაპობრივად შექმნა-ფუნქციონირებისათვის. მიღებული იქნას კანონი “სოფლად კოოპრეაციის განვითარების შესახებ”.
3. შეიქმნას და გაუმჯობესდეს აგრარული მეურნეობის თანამედროვე მატერიალურ-ტექნიკური ბაზა.
4. საჭიროა მიწის დაცვაზე, გამოყენებაზე, ნაყოფიერებაზე, უპირველესყოვლისა ასეუხისმგებლობა აიღოს სახელმწიფომ.
5. უზრუნველყოფილი იქნეს ქვეყნის ტერიტორიაზე წყლის რესურსების თანაბარი განაწილება და მიზანშეწონილია წყალსამეურნეო მშენებლობისა და საერთოდ სარწყავი წყლის რესურსების გამოყენების კოორდინაცია დაეკისროს სოფლის მეურნეობის სისტემაში ფუნქციონირებად სამსახურს.
6. შემუშავდეს ექსპორტ-იმპორტის სტრუქტურის სრულყოფის ღონისძიებანი. (საექსპორტო და იმპორტშემცვლელი პროდუქციის წარმოების სტიმულირება).
7. შიდა ბაზრის გაფართოების მიზნით რეგიონებს შორის მოხდეს სამეურნეო კავშირების ინტენსიფიკაცია. რეგიონთაშორისი ერთობლივი საწარმოების შექმნა-ფუნქციონირება, რეგიონთაშორისი ვაჭრობის გაფართოება და სხვა.
8. საჭიროა მეთესლეობის სარგავი მასალის წარმოების, სანაშენო საქმის ორგანიზაციის, მცენარეთა დაცვის, ვეტერინარიის, მიწათმოწყობის, პროგნოზირებისა და სტრატეგიული განვითარების სამსახურების ინტეგრირება შესაბამის სამეცნიერო სტრუქტურებთან (სამეცნიერო-კვლევითი ცენტრების (ინსტიტუტების) ან სხვა ფორმით) და სოფლის მეურნეობის სამინისტროს სისტემაში მათი ფუნქციურირება.
9. აუცილებელია ქვეყანაში აგრარული მეურნეობის განვითარებისათვის საბიუჯეტო (ფისკალური) და ფულად-საკრედიტო პოლიტიკის განსაზღვრა.
10. საჭიროა დაზუსტდეს “სოფლის მეურნეობის განვითარების ფონდის” ფუნქციები.
11. სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის შესყიდვის დაფინანსება უნდა მოხდეს “სოფლის მეურნეობის განვითარების ფონდიდან” (ან სპეციალიზებული ბანკიდან).
12. აუცილებელია დაზღვევის ისეთი სისტემის ჩამოყალიბება, რომელიც უზრუნველყოფს აგრარულ მეურნეობაში დასაქმებულთა შემოსავლების დაცვას ბუნებრივი (გვალვა, წყალდიდობა, წყინვები, სეტყვა, ქარიშხალი, მიწისძვრა და სხვ.), ბიოლოგიური (დაავადებები, მავნებლები) და ეკონომიკური (ფასების გაუთვალისწინებელი ცვლილებები) ფაქტორებისაგან.
13. უნდა ჩამოყალიბდეს აგრარული მეურნეობისათვის კადრების მომზადების ერთიანი სისტემა. განისაზღვროს აგრარული უნივერსიტეტის სტატუსი, რომელიც მომზადებს აგრარული მეურნეობის ყველა სპეციალისტებს,

სამეცნიერო კადრებს და რომლებსაც შეეძლებათ (სტატუსის შესაბამისად) იმუშაონ როგორც ქვეყანაში, ასევე ქვეყნის გარეთაც.

14. ეტაპობრივად უნდა განისაზღვროს აგრარული მეურნეობის სპეციალისტების მომზადებისათვის პროფესიული სასწავლებლების, კოლეჯების, კვალიფიკაციის ამაღლების კურსების (სემინარების), კონსალტინგის (საკონსულტაციო) სამსახურების ფორმირებისა და ფუნქციონირების პირობები.
15. სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემია მიზანშეწონილია ფუნქციონირებდეს სოფლის მეურნოების სამინისტროს ორგანიზაციულ სისტემაში. მას დაეკისრება ქვეყნის ტერიტორიაზე აგრარული პრობლემების კვლევის, მისი შედეგების, ახალი ტექნოლოგიების პროპაგანდისა და დანერგვის ფუნქციები.
16. ახალი გამოწვევების შესაბამისად უნდა განისაზღვროს სოფლის მეურნეობის სამინისტროს ფუნქციები. მხედველობაში უნდა იქნეს მიღებული აგრარული მეურნოების რიგი თავისებურებები: დარგის ბუნებრივ-საწარმოო (ვერტიკალური ზონალობა, მრავალდარგიანობა, სამთო მიწათმოქმედების თავისებურებანი და სხვ.), სოციალურ-ეკონომიკური (სპეციალიზაცია, მეურნეობრიობის ფორმები, ტრადიციები, მენტალიტები, ბაზრის კონიუქტურა, შომითი რესურსების სტრუქტურა, ინოვაციურ მეურნეობაზე, ეკოლოგიურად სუფთა პროდუქციის წარმოებაზე ორინეტაცია და სხვ), გეოეკონომიკური (საგარეო, საგაჭრო-ეკონომიკური ურთიერთობები სასაზღვროს გაჭრობა, რეგიონთაშორისი კავშირები, ერთობლივი საწარმოების შექმნა, სახელმწიფოთაშორის ხელშეკრულებებში აგრარული მეურნეობის ინტერესების გათვალისწინება და სხვ), რურალიზაციის (ქალაქის მოსახლეობის სოფლად გადასვლის პროცესის წახალისება, ქალაქისა და სოფლის სოციალურ-ეკონომიკური განვითრების პოლოტიკის ერთიანობის პრინციპის დაცვა და სხვ), ასევე სოფლის, როგორც ტერიტორიის (სოციუმის) კომპლექსური განვითარების თავისებურებები.
17. სოფლის მეურნეობის სამინისტროს უნდა დაეკისროს სოფლის (ტერიტორიის) და აგრარული მეურნოების განვითარების სახელმწიფო ორგანო-კოორდინაციორის ფუნქცია. ამჟამინდელი რეგიონების (მხარეების) დონეზე უნდა ჩამოყალიბდეს სამინისტროს მმართველობითი რგოლი, რომელიც მოცემულ ტერიტორიაზე კოორდინაციას გაუწევს სახელმწიფო აგრარული პოლიტიკის განხორციელებას.
18. აგრარული პოლიტიკის განხორციელებისათვის აუცილებელია სამართლებრივი და ინფორმაციული უზრუნველყოფის საშუალებების ეფექტურად გამოყენება.

4.4.1.5. აკადემიკოსი გივი ჯაფარიძე



2012 წელს ჩატარებული სამეცნიერო-კვლევითი (პედაგოგიური) მუშაობისა და საზოგადოებრივი საქმიანობის შესახებ.

1. 2012 წელს აკად. გ. ჯაფარიძე მიწვეული იყო საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტიში კონსულტანტად, სადაც მის მიერ დამუშავებული იქნა ლექცია-სემინარების პროგრამა (სილაბუსები) ახლად შექმნილ “ხე-ტყის მრეწველობისა და სატყეო მეურნეობის” სპეციალობებისათვის.

2. 2012 წელს საქართველოს სოფლის მეურნეობის

მეცნიერებათა აკადემიის “მოამბეში” გამოქვეყნებული იქნა შემდეგი სტატიები:

- “საქართველოს ტექნიკური შექმნილი მდგომარეობის ცალკეული ასპექტების შესახებ”;
- “ინფორმაცია და მოსაზრებანი ყაზბეგის რაიონში, მდინარე თერგის შენაკადზე მშენებარე პიდროელექტროსადგურის პროექტის შესახებ”;
- “მეცნიერებათა კორიფე და უდიდესი ინტერნაციონალისტი ნ.ი. ვაკილოვი საქართველოში” (თანაავტორებთან ერთად).
- 2. თანაავტორებთან ერთად (აკადემიის წევრ-კორესპონდენტები გ. ნიკოლეიშვილი, თ. კუნძულია) შემუშავებული იქნა მეაბრეშუმეობის დარგის განვითარების კონცეფცია საქართველოსათვის, რომელიც მოწონებული იქნა სამთავრობო ორგანიზაციების უცხოელ ექსპერტთა მიერ.
- 3. დაამთავრა მუშაობა საგრანტო კონკურსში მონაწილეობისათვის პროგრამაზე “კლიმატის ცვლილებების გავლენა გაზის განვითარებასა და მოსავალზე საქართველოში” (კახეთი).
- 4. ხელმძღვანელობს ორ მაგისტრს, რომელთა კვლევისა და მუშაობის ძირითადი თემაა – ბუნებათსარგებლობის კანონმდებლობა.
- 5. არის საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის ჟურნალ “მოამბის” რედაქტორის წევრი.
- 6. პრაქტიკულად ყოველდღიურად მონაწილეობს აკადემიის აკადემიური საბჭოსა და აკადემიის სამეცნიერო – დარგობრივი განყოფილებების, ასევე აკადემიის აკადემიური დეპარტამენტის მუშაობის ორგანიზებაში.
- 7. როგორც აკადემიის ვიცე-პრეზიდენტი, აკადემიკოს-მდივანი მონაწილეობას დებულობს საქართველოში აგრარულ საკითხებთან დაკავშირებულ სამეცნიერო-პრაქტიკულ კონფერენციებში.
- 8. როგორც მეცნიერ-მკვლევარი, სისტემატურად მუშაობს სატყეო კანონმდებლობის, მათ შორის, საქართველოს კანონის – “საქართველოს ტყის კოდექსის” სრულყოფაზე, რომელთან დაკავშირებით აკდ. გ. ჯაფარიძის მიერ შემუშავებული რეკომენდაციები და წინადადებები გაეგზავნა საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების სამინისტროსა და საქართველოს პარლამენტის შესაბამის დარგობრივ კომიტეტს.

აკად. გ. ჯაფარიძის ხედვა და წინადადებები “სატყეო და სოფლის მეურნეობის განვითარების ცალკეულ ასპექტებთან დაკავშირებით”.

საქართველოს სატყეო მეურნეობის სისტემამ უკანასკნელ წლებში განიცადა ძირეული სტრუქტურული რეორგანიზაცია (სატყეო მეურნეობის სახელმწიფო კომიტეტი, სატყეო მეურნეობის სამინისტრო, სატყეო მეურნეობისა და გარემოს დაცვის სახელმწიფო კომიტეტი, სოფლისა და სატყეო მეურნეობის სამინისტრო, რესპუბლიკური გაერთიანება „საქტყემეურნეობა”, სატყეო მეურნეობის დეპარტამენტი, სატყეო მეურნეობის სახელმწიფო დეპარტამენტი, გარემოს დაცვის სამინისტროს სატყეო მეურნეობის სააგენტო და სხვა) დასახელებასთან ერთად სატყეო უწყებისა და დაქვემდებარებული ორგანიზაციების ფუნქციები.

სამწუხაროდ, ასეთმა გაუმართლებელმა ცვლილებებმა და რეორგანიზაციებმა დიდი ზიანი მიაყენა სატყეო დარგის მართვასა და მის ნორმალურ განვითარებას.

“აღმასრულებელი ხელისუფლების სტრუქტურისა და საქმიანობის წესის შესახებ” საქართველოს კანონის მიღების შემდეგ, დაიწყო სატყეო მეურნეობის სახელმწიფო დეპარტამენტის როგორც სამთავრობო დაწესებულებისა და მისი საქვეუწყებო ორგანიზაციების (სატყეო მეურნეობები) საქმიანობის რეორგანიზაცია, ხოლო საქართველოს კანონის „ტყის კოდექსის შესახებ” მიღებით განისაზღვრა მისი ფუნქციები, პასუხისმგებლობა და უფლება-მოვალეობანი:

1. სატყეო პოლიტიკის და სტრატეგიის შემუშავება;
2. საკანონმდებლო და ქვენორმატიული აქტების შემუშავება;
3. სატყეო მეურნეობის დარგის სტრატეგიული დაგეგმვა და ეკონომიკური რეფორმების განხორციელება;
4. სატყეო-მეურნეობის ღონისძიებათა (ტყის აღდგენა-განახლება, მოვლა, დაცვა და ტყით სარგებლობა) განხორციელების ორგანიზება;
5. სატყეო-მეურნეობის ღონისძიებათა წარმოებაზე ლიცენზიების გასაცემად ტენდერის ჩატარება;
6. სახელმწიფო სამეურნეო ტყის ფონდის მოვლაზე, დაცვაზე აღდგენასა და გაშენებაზე, აგრეთვე ტყით სარგებლობაზე სახელმწიფო კონტროლი და ზედამხედველობა.

ამასთან ხაზგასმით უნდა აღინიშნოს, რომ უკანასკნელ წლებში შეიცვალა დეპარტამენტის ფუნქციები და რაც მთავარია იგი აღარ არის როგორც დამოუკიდებელი სტრუქტურული ერთული.

რაც შეეხება სამეწარმეო საქმიანობას, კერძოდ: მთავარი სარგებლობით, ასევე მოვლითი სახის ჭრებით ხე-ტყის დამზადება-გამოზიდვას, მერქნის პირველად გადამუშავებასა და რეალიზაციას, სატყეო მეურნეობები მას აღარ აწარმოებენ და შესაბამისად აღნიშნული სახის სამუშაოებიდან არავითარი ფინანსური შემოსავალი არ გააჩნიათ.

საქართველოს სატყეო მეურნეობის მართვის სახელმწიფო ორგანოს, როგორც სახელმწიფო უწყების, საბოლოო ფორმირებისა და მისი ფუნქცია-მოვალეობების

განსაზღვრის საკითხი განხილული უნდა იქნეს მხოლოდ მთელი რიგი გლობალური საკითხების გადაწყვეტის შემდეგ, კერძოდ: ტყეების ინვენტარიზაციის თანამედროვე სისტემების დანერგვა და ტყის რესურსების ინდეტიფიცირება (დადგენა), ტყისა და ტყის რესურსების ეკონომიკური შეფასება, დაცული ტერიტორიების და ადგილობრივი ტყეების სისტემების ჩამოყალიბება (ამ სამუშაოებთან დაკავშირებული აღრიცხვის, კარტოგრაფირებისა და გადაცემის სამუშაოთა ორგანიზება), სახელმწიფო ტყის ფონდის სამეურნეო ნაწილის მაქსიმალურად ოპტიმალური ვარიანტის დადგენა, რომელმაც ფაქტობრივად უნდა უზრუნველყოს მოსახლეობის მხრიდან ტყის რესურსების რეალური მოხმარების მაქსიმალურად დაკმაყოფილება ტყის მართვის თანამედროვე დონესთან (ეკონომიკური და ეკოლოგიური ეფექტის გათვალისწინებით) შეჯერებული პროექტების საფუძველზე, ცენტრალურ და რეგიონალურ ხელისუფლებათა უფლება-მრვალეობათა გამიჯვნა, ხე-ტყის დასამზადებელი, ტრანსპორტირებისა და გადამუშავების, გზების გაყვანის ახალი ტექნოლოგიების აპრობირება და შესაბამის სპეციალისტთა გადამზადება; ასევე აუცილებელია დაჩქარდეს ტყეების განსახელმწიფოებრიობის საკითხზე შესაბამისი საკანონმდებლო აქტის შემუშავება.

გვინდა შევეხოთ ყოფილ საკოლმეურნეო ტყეებში შექმნილ საგანგაშო მდგომარეობას, რომელიც არაერთხელ ყოფილა საქართველოს მთავრობის, პარლამენტისა და ფართო საზოგადოების დაინტერესების საკითხი.

ავღნიშნავთ რა ტყეებში შექმნილ პრობლემებზე, დარღვევებით გამოწვეულ ტყის დაცვისა და ტყით სარგებლობის საქმიანობაში არსებულ ეკოლოგიურ და ეკონომიკურ ზიანზე შესაძლო კორუფციის ელემენტებსა და დანაშაულებრივი ქმედებების შესახებ, არ შეიძლება არ აღინიშნოს იმ უკიდურესად არასახარბიერო მდგომარეობის თაობაზე, რომელიც შექმნილია ყოფილ საკოლმეურნეო და საზოგადოებრივ მეურნეობების ტყეებში, რომლის საერთო ფართობი ტყის ფონდის სახელმწიფო აღრიცხვის მონაცემებით შეადგენდა 516.5 ათ. ჰექტარს, რაც ქვეყნის ტყის ფონდის საერთო ფართობის 17.3%-ია. ყოფილი საკოლმეურნეო ტყეების ძირითადი ნაწილი გაადგილებულია დასახლებული ადგილებისა და სასოფლო-სამეურნეო სავარგულების მიმდებარედ, რის გამოც მრავალი წლის განმავლობაში განიცდიდა და განიცდის გადაჭარბებულ ექსპლუატაციას. დღეის მდგომარეობით იგი ხასიათდება მეტად დაბალი პროდუქტიულობით.

ყოფილ კოლმეურნეობებსა და საზოგადოებრივ მეურნეობებზე რიცხული ტყეების საკითხის საბოლოოდ გადაწყვეტის პროცესი ჭიანურდება, აღნიშნულ სუბიექტში ტყით არაორგანიზებული სარგებლობა ატარებს ფართო მასშტაბებს და საკითხის გადაწყვეტის გაურკვეველი ვადით გაგრძელებამ შეიძლება მძიმე ეკოლოგიური ზიანი მიაყენოს ქვეყნას.

კურორტ აბასთუმანის მიმდებარე ტყეების კურორტოლოგიური და სანიტარული ფუნქციების ღონისძიებების შემუშავება.

დღეისათვის კურორტზე მძიმე ეკოლოგიური მდგომარეობაა. სრულიად იგნორირებულია კურორტის სანიტარული დაცვის ზონების არსებული

კანონმდებლობა, ამგვარი ვითარება აუცილებლად გამოიწვევს აბასთუმნის კურორტის კლიმატის გაუარესებას, რომელსაც შეიძლება გამოუსწორებელი შედეგები მოჰყვეს.

ამჟამად აბასთუმნის საკურორტო ზონაში მიმდინარეობს საპრივატიზაციო საქმიანობა, რაც საფრთხეს უქმნის მასში სახელმწიფო ინტერესების შეზღუდვას, ხოლო კერძო სექტორი მზად არ არის ინფრასტრუქტურებში დააბანდოს საჭირო ფინანსური რესურსები. აქედან გამომდინარე, როგორდება საკურორტო მეურნეობის სათანადო დონეზე ამოქმედების სამუშაოები.

ისე, როგორც ბორჯომის ხეობაში მთელ ტერიტორიაზე, კურორტ აბასთუმანშიც ინტენსიურად მიმდინარეობს ტყეობილობაში ცნობილი მოვლენა, სახეობათა ცვლა: მაღალი საკურორტო თვისებების მქონე ფიჭვის კორომები ბუნებრივად იცვლებიან ნაძვნარით. ადამიანის მიზანდასახული ჩარევის გარეშე, აღნიშნული პროცესის შეჩერება შეუძლებელია და ამ პროცესების გაგრძელების შემთხვევაში დამაფიქრებელია აბასთუმანის ტყეების კურორტოლოგიური და სანიტარულ-ჰიგიენური ფუნქციების ხარისხი და საერთო კურორტის მომავალი.

ზემოთ აღნიშნულის გათვალისწინებით, კურორტ აბასთუმნის აღორძინების პრობლემების გადაწყვეტას უნდა მიეცეს სახელმწიფო მიზნობრივი პროგრამის სახე. ასეთ პროგრამებს უნდა მიეკუთვნოს:

-კურორტ აბასთუმნის სოციალურ-ეკონომიკური განვითარების პროგრამა (სათანადო საკანონმდებლო ბაზის შექმნით);

-კურორტ აბასთუმნის განაშენიანების პროგრამა;

-კურორტ აბასთუმნის მინერალური წყლების მოპოვება და მათი რესურსების რაციონალური გამოყენების პროგრამა;

-კურორტ აბასთუმნის ბიოკლიმატური პირობების შესწავლისა და რეგულირების პროგრამა;

-აბასთუმნის ტყეების კურორტოლოგიური და სანიტარულ-ჰიგიენური ფუნქციონირების გაუმჯობესების ღონისძიებების პროგრამა;

ყოველი პროგრამა (ბლოკი) უნდა შესრულდეს სათანადო სამთავრობო უწყებების, სამეცნიერო-კვლევითი და დამოუკიდებელი ორგანიზაციების მიერ და ერთიანობაში უნდა წარმოადგენდეს დასახული მიზნების მიღწევის სამოქმედო გეგმას, რომლის განხორციელებას ექნება გარკვეული ეტაპები.

საქართველოს სატყეო მეურნეობის სისტემაში ტყის დაცვის არსებული მდგომარეობა და ტყის დაცვის შემდგომი სრულყოფის რეკომენდაციები.

საყოველთაოდ ცნობილია, რომ სატყეო მეურნეობის მთავარ ფუნქციას წარმოადგენს ტყის დაცვა.

ტყის დაცვა გულისხმობს ტყისა და ტყის რესურსების დაცვას მავნებელ-დაავადებებისაგან, ხანძრებისაგან და სხვა უარყოფითი ანტროპოგენური ფაქტორებისაგან (ხის უკანონო მოჭრა, უნებართვო ძოვება და ა.შ.)

ტყეების დაცვის საქმეში გადაუჭრელ პრობლემად რჩება გამოვლინებული ხე-ტყის უკანონო მჭრელების მიერ ტყეზე მიყენებული ზიანის ანაზღაურება. სამართალდამცავი ორგანოების მიერ ძალზე ჭიანურდება ხე-ტყის უკანონო მჭრელთა საქმეების განხილვა და ტყეზე მიყენებული ზიანის ანაზღაურება, რაც შესამჩნევ ეკონომიკურ ზიანს აყენებს სახელმწიფო ბიუჯეტს.

აქ მთავარი მარტო ის კი არ არის, რომ არ ხდება დამნაშავეებიდან უკანონოდ მოპოვებულ ხე-ტყეზე დაკისრებული თანხების ამოღება, არამედ ის, რომ იქმნება დაუსჯელობის და განუკითხაობის ატმოსფერო, რაც ახალი დანაშაულის საფუძველი ხდება. მიგვაჩნია, რომ სამართალდამცავმა ორგანოებმა უნდა გაააქტიურონ მუშაობა ტყის უკანონო მჭრელთა, ბრაკონიერთა და ტყის რესურსების დამტაცებელთა მიმართ.

ტყის დაცვისა და საერთოდ ბუნებათსარგებლობის სფეროში კანონმდებლობის დამრღვევთა წინააღმდეგ ბრძოლას ართულებს შესაბამისი სრულყოფილი საკანონმდებლო ბაზის უქონლობა.

აღსანიშნავია ისიც, რომ საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსი, რომელიც მიღებული იქნა 1999 წლის 22 ივლისს და მოქმედებაში შევიდა 2000 წლის 1 ივლისიდან, მიღებული იქნა სატყეო დეპარტამენტთან ურველგვარი შეთანხმების გარეშე, რამაც გამოიწვია ის გარემოება, რომ აღნიშნული კოდექსის მუხლ 303-ში “ხე-ბუჩქნარის უკანონოდ გაჩეხვა”, ადრე მოქმედ კოდექსისაგან განსხვავებით არ არის გამოკვეთილი თუ რა ოდენობის ზიანი შეიძლება ჩაითვალოს ტყეზე მიყენებულ მნიშვნელოვან ზიანად, რომელზეც უნდა აღიძრას სისხლის სამართლის საქმე.

ტყის დაცვის გაუმჯობესების საკითხს განსაკუთრებით ართულებს ის გარემოებაც, რომ ქვეყანაში რაიმე წინსვლა სათბობი შემის ალტერნატიული საწვავით შეცვლის თაობაზე არ ჩანს. ქვეყანაში დღემდე არ არის შემუშავებული ხე-ტყის ნედლეულის სათბობად გამოყენების სხვა ალტერნატიული ნედლეულით (ქვანახშირი, ტორფი, ბუნებრივი გაზი და სხვა) შეცვლის ეროვნული პროგრამა. ამას ემატება ისიც, რომ მოსახლეობა თავისი დაბალი მსყიდველობითი უნარიანობის გამო ვერ იძენს სხვა სახის სათბობ რესურსებს, რომლებითაც რაიონების მოსახლეობის მომარაგებას ცდილობენ კომერციული სტრუქტურები, რის გამოც მოსახლეობის, ლტოლვილების და საბიუჯეტო ორგანიზაციების გათბობის ძირითად საშუალებად ისევ შემა რჩება. განსაკუთრებით რთული მდგომარეობა იქმნება ზამთრის პერიოდებში დევნილი მოსახლეობის შემით უზრუნველყოფის საკითხში.

ტყის დაცვის სფეროში, არსებული პრობლემების გადასაჭრელად, აუცილებელია გატარდეს შემდეგი დონისძიებები:

- “საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ” საქართველოს კანონის მიღებისას დაცულ მუხლად ჩაითვალოს ტყის დაცვის პროგრამები;
- ტყის დაცვის სამსახურის მუშაკებს უნდა შეეცვალოთ სტატუსი, ისინი უფლებამოსილებითა და ხელფასით გათანაბრებულნი უნდა იყვნენ გარემოს დაცვის ინსპექციის თანამშრომლებთან;

- საქართველოს ტყის კოდექსის მოთხოვნათა შესრულების მიზნით შეტანილ იქნეს სათანადო ცვლილებები საქართველოს საგადასახედო კოდექსში. კერძოდ აღდგენილი იქნას ტყის დაცვის მუშაკებისათვის “საქართველოს ტყის კოდექსის” მიღებით მინიჭებული შედავათები, რაც თვის მხრივ ხელს შეუწყობს ტყის რესურსების დაცვასა და კვლავწარმოებას. კერძოდ ბუნებრივი რესურსების გადასახადისაგან განთავისუფლდეს ტყის დაცვის მუშაკთა მიერ არასამეწარმეო მიზნით, პირადი მუშაკობისათვის (არასამეწარმეო მიზნით) მოპოვებული ტყის ფონდის რესურსების მოცულობა.
 - ❖ თანამედროვე ეტაპზე შესწავლილი იქნა რიგი ეკონომიკურ-ორგანიზაციული საკითხები, რომელთა დროული გადაწყვეტა ხელს შეუწყობს პრიორიტეტული მიმართულებების განსაზღვრას, რომელთა შორის მიზანშეწონილად მიგვაჩინა:
 - სოფლად კოპერირების სხვადასხვა ფორმების (წარმოების, მომარაგების, პროდუქტების შესყიდვის, გასაღების და სხვა) ფართოდ დამკვიდრების ხელშეწყობის დონისძიებების დამუშავება. ამას ისიც ადასტურებს, რომ მიუხედავად იმისა, რომ საქართველოში განხორციელებული მიწის რეფორმა და მისი განკერძოება პროგრესული მოვლენაა, ზოგიერთი უარყოფითი ტენდენცია ჩამოყალიბდა, რომელთაგან უმთავრესი მაინც მიწების პარაცელაციაა. ჭირს წარმოების საშუალებებით გლეხობის მომარაგება, შექმნილი პროდუქციის მომხმარებლამდე მიღწევა, პირველადი გადამუშავება და ა.შ. ამასთან კოპერირება მხოლოდ ნებაყოფლობით საწყისებზე უნდა მოხდეს. ამასთანავე სასურველი იქნება მომზადდეს კანონი “სასოფლო-სამეურნეო კოპერაციის შესახებ.”
 - ქვეყანაში თითქმის არ არსებობს აგროსაინჟინრო სრულყოფილი სერვისი და ფერმერი (გლეხი) მიწასთან მარტო დავტოვეთ. ქვეყნის რეგიონების (მხარეთა) კონკრეტული პირობების გათვალისწინებით სასწრაფოდ უნდა დამუშავდეს აგროსაინჟინრო სერვისის (საკუთრების ფორმის გათვალისწინებით) ისეთი ორგანიზაციული ფორმები, რომლებიც სოფლად საქონელმწარმოებელთა ყოველდღიურ საქმიანობაში აქტიურ მამოძრავებელ ძალად იქცევიან.
 - მეტად მნიშვნელოვანია სოფლად სახელმწიფო ინტერვენციული პოლიტიკის განხორციელება. იგი თავის თავში სოფლად საქონელმწარმოებელთა სახელმწიფო პროცექციონისტურ დამოკიდებულებასაც მოიცავს. ეს ჩვენს შემთხვევაში არის სახელმწიფოს ჩარევის ფორმა აგრარული სფეროს ეკონომიკურ საქმიანობაში. ეს ნიშნავს, რომ საბაზრო მექანიზმი ზოგჯერ სრულყოფილად არ ფუნქციონირებს, არ იძლევა გარკვეული მნიშვნელოვანი მიზნების მიღწევის საშუალებას და ამიტომ, ამ შემთხვევაში, აუცილებელია სახელმწიფოს აქტიური ინტერვენცია. სახელმწიფოს მოქმედებამ კორექტირება უნდა შეიტანოს საბაზრო მექანიზმის მოქმედების არსებულ შედეგებში. ცხადია, აქ ლაპარაკი არ უნდა იყოს ანტისაბაზრო ინტერვენციაზე.
- ნობელის პრემიის ლაურეატ ვ. ლეონტიევის აზრით, „”ბაზარი და წარმოება ეკონომიკის მხოლოდ იალქნებია და საჭის უმართავად ბაზარი, შედეომების გამო დიდხანს ეძებს მიმართულებასა და განვითარების ტრაექტორიას”. ეკონომიკის სახელმწიფოებრივი რეგულირება წითელ ზოლად

უნდა გასდევდეს ქვეყნის ეკონომიკურ პოლიტიკას. უნდა შევცვალოთ ეკონომიკური ქცევის წესი, უნდა დავამყაროთ კანონის დიქტატურა.

მაგრამ ეს არ ნიშნავს ეკონომიკაში სახელმწიფოს უხეშ ჩარევას, ეკონომიკისა და ბიზნესის შერწყმას.

სახელმწიფო ინტერვენციული პოლიტიკა უნდა განხორციელდეს, როგორც პირდაპირი, ისე არაპირდაპირი გზით და მის უმნიშვნელოვანეს მიმართულებად და ფორმად მიჩნეული უნდა იქნეს:

- აგრარული სფეროს მეცნიერული უზრუნველყოფა;
- სოფლის მეურნეობის პროდუქტების ინტერვენციული შესყიდვა;
- პრიორიტეტული კრედიტები;
- სოფლისა და სასოფლო-სამეურნეო წარმოების საწარმოო და სოციალური ინფრასტრუქტურის განვითარება;
- დოტაცია სოფლად საქონელმწარმოებელთათვის განსაკუთრებით მნიშვნელოვანი წარმოების საშუალებების შესაძენად.

ნათელია, რომ ამ დონისძიებების განხორციელებისათვის თითქმის ყოველთვის ნაგულისხმევი უნდა იყოს როგორც ადგილობრივი, ისე ცენტრალური ბიუჯეტის სახსრების გამოყენება, და რაც მთავარია, საერთაშორისო საფინანსო ინსტიტუტების და მეგობარი ქვეყნების მიერ საქართველოს აგრარული სექტორისათვის გამოყოფილი თანხები, გრანტები, შედაგათიანი კრედიტები, რის თაობაზეც აღინიშნა საქართველოს ტავრობის თავმჯდომარის საპროგრამო სიტყვაშიც.

• სოფლად სახელმწიფო ინტერვენციული პოლიტიკის გამტარებელი უნდა გახდეს საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტრო და მანვე უნდა განახორციელოს გამოყოფილი თანხების მიზნობრივი ხარჯვის მონიტორინგი და კონტროლი. ამასთან დაკავშირებით დღის წესრიგში დგება სამინისტროს რესტრუქტურიზაციისა და შესაბამისი ახალი ფუნქციების შექმნის ადეკვატურობა. სამინისტროში დაწყებული ეს პროცესი, მართვის სისტემაში პოლიტიკური და სამეურნეო დონეების გამიჯვნის ეტაპი, ცალკეულ პრობლემათა განხილვისა და მათი პოლიტიკური გადაწყვეტის გზების განსაზღვრის მცდელობა, კიდევ უფრო უნდა გადრმავდეს და საბოლოოდ მოხდეს რეალური გამიჯვნა აგრარულ სფეროში მიმდინარე ეკონომიკური პროცესების დონეთა შორის: სამინისტრომ უნდა ჩამოაყალიბოს ეკონომიკური გარემო, შექმნას ამ გარემოში ეფექტური, ეკონომიკური საქმიანობისათვის ხელშემწყობი წესები, ხოლო სოფლად საქონელმწარმოებლებმა უნდა უზრუნველყონ წარმოების პროცესი, ამ საქმეში განსაკუთრებული როლი სოფლად სახელმწიფო ინტერვენციის პოლიტიკის სწორად გატარებამ უნდა შეასრულოს.

რაც შექება აგრარულ სფეროს განვითარების მეცნიერულ უზრუნველყოფას, იგი საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის პრეროგატივაა, მაღალი მეცნიერული პოტენციალითა და მდიდარი ინტელექტუალური პროდუქციით. დასახვეჭია მთელი რიგი საკითხები, როგორიცაა:

- სოფლად საქონელმწამოებელთა დაბეგვრისა და საგადასახადო სისტემის კიდევ უფრო სრულყოფა.

საქართველოს პარლამენტი “საქართველოს საგადასახადო კოდექსში” შეიტანა ცვლილებები და სოფლად საქონელმწამოებელი გაანთავისუფლა უველა გადასახადისაგან და დაადგინა მხოლოდ ერთი მიწაზე ფიქსირებული გადასახადი.

მიუხედავად ამისა სოფლად საგადასახადო სისტემა კიდევ მოითხოვს სრულყოფას.

აგრარული სექტორის სტრატეგიის შემუშავება ორ ეტაპად: უახლესი მომავლისათვის და თვალსაწიერი პერსპექტივისათვის.

უველა ეს პრობლემა მოითხოვს ევროპული ქვეყნების გამოცდილების შესწავლას, ჩვენი კონკრეტული პირობების გათვალისწინებით გამოყენებას.

- აგროსამრეწველო სექტორის გეგმაზომიერი განვითარებისათვის მნიშვნელოვანი როლი უნდა დაეთმოს სამეცნიერო-ტექნოლოგიური პროგრესის დაჩქარებულ დანერგვას, აგრარული სამეცნიერო პოტენციალის რაციონალური და მიზნობრივი გამოყენების გზით.

აგრარული პროფილის სამეცნიერო ორგანიზაციების ძირითად მიმართულებად რჩება სოფლის მეურნეობის პრიორიტეტული დარგების განვითარება, სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების წარმოებაში და გადამუშავებაში უახლესი ტექნოლოგიებისა და ტექნიკურ საშუალებათა გამოყენება და დანერგვა.

საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის მიერ ყოველწლიურად ხდება ქვეყნის აგრარული მეცნიერების მიერ შექმნილი ინტელექტუალური პროდუქციის წარმოებაში გამოსაყენებლად რეკომენდაციათა გამოცემა, რომელიც ეგზავნება დაინტერესებულ უწყებებს.

მაგრამ, საწრმოების, ორგანიზაციების, ფერმერთა და გლეხთა მძიმე ფინანსური მდგომარეობის გამო, შექმნილი ინტელექტუალური პროდუქციის გამოყენება ვერ ხერხდება, ამასთან, მეტად ძნელად მიმდინარეობს ფერმერთა, აგრეთვე სოფლის მეურნეობის სხვა მიწათმოსარგებლეთა სწავლება, მათი კვალიფიკაციის ამაღლება, სასოფლო-სამეურნეო ცოდნის განზოგადება და კონსულტირება.

სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის კანონით მინიჭებული აქვს სახელმწიფოს მეცნიერ-მრჩევლის სტატუსი, იგი ითვლება აგრარული ეროვნული პოლიტიკის განხორციელებაში მთავარ კოორდინატორად.

სოფლის მეურნეობის სისტემაში შექმნილი ინტელექტუალური პროდუქციის რეალიზაციის, სამეცნიერო-ტექნოლოგიური მომსახურების გაუმჯობესების მიზნით იკვეთება აკადემიის დამატებითი ძირითადი ფუნქციები, სახელდობრ:

- აგრარიკოს მეცნიერთა შემოქმედებითი კავშირების დამყარება სოფლის მეურნეობის პროდუქციის უშუალო მწარმოებლებთან (მეწარმეებთან, ფერმერებთან, სააქციო საზოგადოებებთან, კოოპერატივებთან, შპს-თან, კორპორაციებთან, სხვა მეურნეობრივ სტრუქტურებთან);

- აგრარული სექტორის სპეციალისტთა და ფერმერთა სწავლების და კონსულტირების უზრუნველყოფა, მათი კვალიფიკაციის თანამედროვე მეცნიერულ-ტექნოლოგიურ დონემდე ამაღლება.

აგრარული სექტორის სპეციალისტების და ფერმერთა სწავლების, კონსულტირების და კვალიფიკაციის ამაღლების მიზნით მიზანშეწონილია:

- შეირჩეს რეგიონის სათანადო კონტიგენტი და ჩატარდეს სწავლების, კონსულტირების და კვალიფიკაციის ამაღლების კურსები, რომელთა ძირითადი მოვალეობა იქნება:

• სასოფლო-სამეურნეო წარმოებაში ჩამბული უკელა კატეგორიის წარმომადგენლობისათვის სწავლებისა და კონსულტირების გაწევა სოფლის მეურნეობის საკითხებზე (მემცნიარეობა, მეცხოველეობა, მარკეტინგი, ბანკთან ურთიერთობა, კოოპერაცია, კრედიტები, ტექნიკური მომსახურება, პრაქტიკული ჩვევები და სხვა).

სწავლებისა და კონსულტირებისათვის გამოყენებულ იქნება აგრარული პროფილის სამეცნიერო-კვლევით დაწესებულებებში შექმნილი პროგრამები;

• ფერმერის სასოფლო-სამეურნეო ცოდნის ამაღლებით მიღწეულ უნდა იქნეს სასოფლო-სამეურნეო სექტორში პროდუქტიულობის გაზრდა. ამისათვის საჭირო იქნება დაგეგმვის, აღრიცხვის, კულტურების შერჩევის, ტექნიკური მომსახურეობის სახეების, ეკოლოგიის, პროდუქციის ხარისხის გაუმჯობესების, პროდუქციაზე მოთხოვნის განსაზღვრის, ქვეყნის შიგნით და ქვეყნის გარეთ ბაზრის შესწავლის საკითხების მოგვარება;

• სასოფლო-სამეურნეო სექტორისათვის პრიორიტეტული მიმართულებების და დამატებითი სამეცნიერო-კვლევითი სამუშაოების ჩატარების განსაზღვრა;

• ხელშეწყობა მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის მიღწევების გამოყენებაში ცოდნის გადასაცემად, საინსტრუქტაჟო მოღვაწეობა.

ამ მიზნით შესაძლებელია განხორციელდეს ცოდნის ინდივიდუალური გადაცემა ჯგუფური ინსტრუქციულ-პრაქტიკული მეცადინეობა; სემინარების, კონფერენციების მოწყობა და სხვა;

• საცნობარო და საინსტრუქტაჟო მასალებით დაინტერესებული პირების უზრუნველყოფა;

• სასოფლო-სამეურნეო დარგში მეცნიერების მოღვაწეობის მასიური პროპაგანდა: სამეცნიერო საცდელი ფართობების დათვალიერება, სპეციალური გამოფენის მოწყობა, სადაც წარმოდგენილი იქნება სიახლეები და მიღწევები სოფლის მეურნეობაში;

• ამ სამუშაოების შესასრულებლად კონსულტანტებად სამეცნიერო-კვლევითი კოლექტივების თანამშრომლების მოწვევა.

საქართველოში ფერმერების მეცნიერებთან დაკავშირების მიზნით ახლო მომავალში მიზანშეწონილად უნდა ჩაითვალოს სასწავლო ცენტრების ერთიანი ქსელის ჩამოყალიბება, რომელიც აღჭურვილ იქნება ინტერნეტში ჩართული მძღავრი კომპიუტერით, რომელთანაც დაკავშირებულ იქნებიან სოფლის მეურნეობის სამეცნიერო მომსახურებისა და კონსულტირების რეგიონალური,

ზონალური და რაიონული ცენტრები, რომლებიც აგრეთვე აღჭურვილ იქნებიან კომპიუტერებით, რაც ინფორმაციის გაცვლის კომპიუტერულ საშუალებას იძლევა. სათაო ცენტრს პარალელურად კავშირი ექნება სოფლის მეურნეობის სამინისტროსთან, მსოფლიო ბანკთან, პარლამენტთან, საქართველოსა და საზღვარგარეთის აგრარულ დაწესებულებებთან, ფერმერთა სწავლება-კონსულტირების არსებულ ორგანიზაციებთან. სათაო ცენტრში შეიქმნება კომპიუტერული საინფორმაციო ბანკი, მონაცემთა ბაზა, დამუშავდება ფერმერული მეურნეობის რაციონალური დაგეგმვისა და მართვის კომპიუტერული პროგრამები წარმოების ადგილობრივი პირობების, საბაზო მოთხოვნილებისა და ფერმერების ტექნიკურ-ეკონომიკური შესაძლებლობის გათვალისწინებით. პერიოდულად სათაო ცენტრის სპეციალისტები რეგიონებში ჩაატარებენ კონსულტაციებს, შეამოწმებენ პროცესების მიმდინარეობას. გათვალისწინებულ უნდა იქნეს პროექტის მუშაობაში უცხოელი სპეციალისტების ჩართვა და მათი გამოცდილების გამოყენება. სათაო ცენტრში გამოიცემა რეკომენდაციები და ბროშურები ფერმერებისათვის, მოწყობა სასწავლო კურსები სხვადასხვა მიმართულებით, სახელდობრ: ფერმერული მეურნეობის გაძლიერება, ბუღალტერია და საგადასახადო საქმე, კომპიუტერის გამოყენება ფერმერულ მეურნეობაში და სხვა.

4.4.1.6. აკადემიის წევრ-კორესპონდენტი პაატა კოლუაშვილი



სამეცნიერო კონფერენციებში მონაწილეობა

1. თსუ, მე-4 საერთაშორისო კონფერენცია – “გლობალიზაცია და ეკონომიკის მდგრადი განვითარების პერსპექტივები” – 23-24 მარტი, 2012.

თემა: “სოფლის მეურნეობა მეცნიერებაზე დამყარებული ინდუსტრიაა”. 117-126 გვ.

2. თსუ, პაატა გუგუშვილის ეკონომიკის ინსტიტუტი საერთაშორისო-პრაქტიკული კონფერენცია – ”ეროვნული ეკონომიკები და

გლობალიზაცია” – 28-29 ივნისი, 2012;

თემა: “აგრარული წარმოება მეცნიერებაზე დაფუძნებული ინდუსტრიაა – ასე მიაჩინიათ ევროპაში, საქართველოში?” – 217-223 გვ.

3. ქუთაისი, საერთაშორისო-პრაქტიკული კონფერენცია – ”ეკონომიკის მდგრადი განვითარების პრობლემები: რეალობა და პერსპექტივები” – 20-21 ოქტომბერი, 2012

თემა: “ქართული სოფლის გადარჩენა ჯერ კიდევ შესაძლებელია” – 115-119 გვ.

4. II საერთაშორისო კონფერენცია – “შემობრუნება სულიერებისაკენ” – მიძღვნილი სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის, ილია II აღსაყდრებიდან 35 და დაბადებიდან 80 წლის იუბილისადმი. თბილისი,

2012 წლის 14-15 დეკემბერი; თემა: “საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი ილია II სოფლად ყოფისა და მეურნეობის განვითარების შესახებ”.

გამოქვეყნებულიშრომები:

1. “მიწა და სახელმწიფო”. ქურ. ეკონომიკა და ბიზნესი, № 1, 2012, 35-46 გვ.
2. “ერთად გადავარჩინოთ სოფელი”. ქურ.ბიზნეს-ინჟინერინგი, №3,2012. 168-175 გვ.
3. “კოოპერაცია-სოფლის მეურნეობის განვითარების ეფექტური მექანიზმი”. ქურ. ბიზნეს-ინჟინერინგი, №4, 2012.
4. “საზოგადოების სოციალურ-ეკონომიკური სტაბილურობის სახელმწიფო გარანტია”. ქურ. სოციალური ეკონომიკა, №1, 2012. 28-33 გვ.
5. “სოფლის ვერ გადარჩენის სტრატეგია”. ქურ. სოციალური ეკონომიკა, №3, 2012. 39-44 გვ.
6. “მიწის გამყიდველები საქართველოს ყიდიან”. ქურ. სოციალური ეკონომიკა, №4, 2012. 22-29 გვ.
7. “მიწის გაყიდვა საქართველოს მომავლის გაყიდვაა”. ქურ. სოციალური ეკონომიკა, №5, 2012.
8. “არ დაიგიშეთ გლეხებაცი”. ქურ. სოციალური ეკონომიკა, №6, 2012.
9. “რამდენად რეალურია სოფლის მეურნეობის განვითარების ახალი სტრატეგია”. ქურ. ახალი ეკონომისტი, №2, 2012. 11-15 გვ.
10. “ქართული სოფლის გადარჩენა შესაძლებელია”. ქურ. ახალი ეკონომისტი, №2, 2012. 8-13 გვ.
11. “ადგილობრივი პროდუქციის კონკურენტუნარიანობის ამაღლების შესახებ” (თანაავტორობით), საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემია, “მოამბე”, №31, 2012. გვ. 300-304;

სარედაქციო (სამეცნიერო) კოლეგიის (საბჭოს) წევრობა:

1. „ბიზნესი და კანონმდებლობა”, სამეცნიერო – ანალიტიკური ქურნალი.
2. „ეკონომიკა”, სამეცნიერო ქურნალი.
3. „აგრარული მეცნიერება და ეკონომიკა“, სამეცნიერო ქურნალი.
4. „ახალი ეკონომისტი“ – სამეცნიერო-პრაქტიკული ქურნალი.
5. „სოციალური ეკონომიკა“ – სამეცნიერო-პრაქტიკული ქურნალისტუ.
6. „ბიზნეს-ინჟინერინგი“ – სამეცნიერო ქურნალი.

- წაკითხულია ორი საჯარო ლექცია ილია ჭავჭავაძის 175 წლის იუბილესთან დაკავშირებით.
- გამოქვეყნებულია 50-მდე საგაზეო პუბლიკაცია, ინტერვიუ და კომენტარი (გაზეთები “რეზონანსი”, “საქართველოს რესპუბლიკა”, “საქართველო და მსოფლიო” და ა.შ.); სატელევიზიო გამოსვლები (კავკასია, მაქსტრო, 9 არხი, ობიექტივი) აგროსასურსათო პოლიტიკის პრობლემებზე.
- წაკითხულია სალექციო კურსი – ბაკალავრებთან, “უძრავი ქონების ეკონომიკა” და მაგისტრანტებთან - “საქართველოს კონკურენტუნარიანობა” (საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი).
- ხელმძღვანელობს ერთ დოქტორანტს და ორ მაგისტრანტს.

4.4.17. აკადემიის წევრ-კორესპონდენტი თამაზ გუშტულია



გამოქვეყნებული თეზისები, სტატიები

1. “აგროპროდუქტებით საგარეო ვაჭრობის ტენდენციები დაიბერალური ეკონომიკური პოლიტიკის პირობებში”. საქართველოს ბიზნესის მეცნიერებათა აკადემია, “მოამბე” XII-XIV, 2012.

სტატიაში განხილულია აგროსასურსათო პროდუქტებით საგარეო ვაჭრობის ტენდენციები 2000-2009 წლებში, დასაბუთებულია იმპორტჩანაცვლებადი პროდუქციის წარმოების გაფართოების, ქვეყნიდან ვალუტის გადინების შემცირების შესაძლებლობები.

12. “ადამიანური ფსიქოლოგიის გავლენა ეკონომიკურ საქმიანობაზე”, საქართველოს ბიზნესის მეცნიერებათა აკადემია, “მოამბე”, XVI-XVII, 2012.

სტატიაში განხილულია თანამედროვე გლეხის საბაზრო მექანიზმებთან ურთიერთობის პრობლემები, რომელიც განპირობებულია შესაბამისი გამოცდილების უქონლობით, შრომით პროცესებში მონაწილეობის წესით, რომელიც სოციალისტურ საზოგადოებრივ მეურნეობაში იყო დანერგილი.

13. “აგროპროდუქტების ექსპორტ-იმპორტის ტენდენციები საქართველოში” (თანაავტორობით), საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემია, “მოამბე”, №30, 2012.

სტატიაში ახსნილია ბოლო წლებში სურსათის ექსპორტის ზრდის მაჩვენებლები, მისი ნებატიური გავლენა ადგილობრივ წარმოებაზე, სამამულე წარმოების დაცვის მექანიზმები ვმოს- წევრობისა და ლიბერალური სავაჭრო პოლიტიკის პირობებში.

14. “ადგილობრივი პროდუქციის კონკურენტუნარიანობის ამაღლების შესახებ”. (თანაავტორობით), საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემია, “მოამბე”, №31, 2012.

სტატიაში ყურადღება გამახვილებულია ფაქტორებზე, რომლებმაც უნდა გამოიწვიონ ადგილობრივი პროდუქციის კონკურენტუნარიანობის ამაღლება, რასაც განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს ქართული პროდუქციის წარმოების გაფართოებისათვის.

15. “სოფლის მეურნეობის პროდუქციის წარმოებისა და გადამუშავების შესახებ” (თანაავტორობით), საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემია, “მოამბე”, №31, 2012.

სტატიაში დასაბუთებულია თანამედროვე ეტაპზე დარგობრივი განვითარების პროგრამების ტრადიციული მეთოდოლოგიით შედგენის შეუძლებლობა, დასაბუთებულია ახლებური მიდგომების აუცილებლობა და ის მიმართულებები რომელიც განსაკუთრებულ ყურადღებას იმსახურებენ.

16. “საქართველოს მეჩაიერის ბიზნეს შესაძლებლობები”. (თანაავტორობით), “ბიზნესკურიერი”, №1, 2012.

სტატიაში მეჩაიერის შექმნილი მძიმე მდგომარეობის პირობებში დასაბუთებულია მცირე საწარმოების აღორძინებით მეჩაიერის რეაბილიტაციის შესაძლებლობები, მაღალხარისხიანი ჩაის წარმოებით ადგილობრივ და მსოფლიო ბაზარზე დაბრუნების პერსპექტივები.

17. “სოფლის ვერ გადარჩენის სტრატეგია”. (თანაავტორობით), რეცენზია, ჟურ.”სოციალური ეკონომიკა”, №3, 2012.
18. “რამდენად რეალურია სოფლის მეურნეობის განვითარების ახალი სტრატეგია”, რეცენზია, ჟურ. “ახალი ეკონომისტი”, №2, 2012. 20 ივნისი, 2012 წელი.
19. მონაწილეობა კონფერენციებში:
 - ა. საპატრიარქოსთან არსებული უნივერსიტეტის მიერ ორგანიზებული კონფერენცია „სოფლის მეურნეობის ეკონომიკური ეფექტიანობის ამაღლების გზები”, 20.06. 2012.
 - ბ. ეკონომისტთა საზოგადოების მიერ ორგანიზებული სემინარი “კოოპერატიული მშენებლობის შესაძლებლობები საქართველოში”, 5.07. 2012.
10. მოხსენებები აკადემიის აკადემიური საბჭოში:
 - 10.1. “აგროპროდუქციის ექსპორტ-იმპორტის ტენდენციები”, 24.02. 21012.
 - 10.2. “სალიზინგო საქმიანობის განვითარების შესახებ საქართველოს სოფლის მეურნეობაში”, 30.03. 2012.
 - 10.3. “საქართველოში კოოპერაციული მშენებლობის პრინციპები ასპექტების შესახებ”, 28.12. 2012.

4.4.1.8. აკადემიის წევრ-კორესპონდენტი გიორგი ნიკოლეიშვილი



1. საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის შესაბამისი ბრძანების საფუძველზე დამუშავდა და სტამბური წესით გამოიცა „საქართველოში მეაბრეშუმეობის განვითარების კონცეფცია 2012-2052 წლამდე პერიოდისთვის.” აღნიშნული დოკუმენტი ითარგმნა ინგლისურ ენაზე და საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდენტის ხელმოწერით გაიგზავნა შავი და კასპიის ზღვის აუზისა და ცენტრალური აუზის ქვეყნების FAO-ს რეგიონალურ ორგანიზაციაში (BACSA), რასაც დიდი გამოხმაურება მოჰყვა. აღნიშნულთან დაკავშირებით აკადემიის წევრ-კორესპონდენტი გ. ნიკოლეიშვილი პერსონალურად მიწვევულია მომხსენებლად BACSA – ს მეაბრეშუმეობის მე-6 საერთაშორისო კომფერენციაზე, რომელიც გაიმართება იტალიის ქალაქ პადუაში 2013 წლის 7-12 აპრილს. კონფერენცია შეიმუშავებს დონისძიებათა სისტემას, რომელიც წარედგინება ევროსაბჭოს BACSA-ში შემავალი ქვეყნებისთვის მეაბრეშუმეობის განვითარებისათვის ფინანსების გამოყოფის მიზნით.
2. გამოიცა (თანაავტორობით) ვრცელი ორენოვანი (ქართული, ინგლისური) ბუკლეტი: “თუთის მცენარის მრავალმიზნობრივი გამოყენების მიზანშეწონილობისა და ეკონომიკური ეფექტიანობის შესახებ”,

რომელიც FAO-ს რეგიონალური ორგანიზაციის ყურადღების ცენტრშიც მოქმედია.

3. მონაწილეობა მიიღო საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტროსა და არასამთავრობო ორგანიზაციების მიერ მოწყობილ სამეცნიერო-პრაქტიკული სემინარის მუშაობაში.
4. შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის მიერ გამოცხადებულ კონკურსში მონაწილეობისთვის წარდგენილია თემა (ხელმძღვანელი თ. დალალიშვილი) „თუთის დავადება ფოთლის სიხუჭუჭისადმი მედეგი ჯიშების გამოყვანა-გამოვლინება, დეფიციტური ჯიშებისა და ფორმების მოძიება და მათი უნიკალური თვისებების მრავალმიზნობრივი გამოყენება”.
5. არის ურნალ „აგრარულ-ეკონომიკური მეცნიერება და ტექნოლოგიების“-ს სარედაქციო საბჭოს წევრი.
6. თანამშრომლობს რამდენიმე არასამთავრობო ორგანიზაციასთან მეაბრეშუმეობის ბიზნეს-გეგმის შედგენასა და დარგთან დაკავშირებული სხვა პრობლემური საკითხების მოგვარებასთან დაკავშირებით.
7. საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის შესაბამისი ბრძანებით ხელმძღვანელობს კომისიას, რომელიც ამუშავებს საინვესტიციო პროგრამას “ხონის რაიონში მეაბრეშუმეობის გადარჩენა, რეაბილიტაცია, განადგურებული საკვები ბაზის ეტაპობრივი აღდგენა, პარკის წარმოება და კუსტარული რეწვის მივიწყებული ტრადიციების აღორძინება”; პროგრამაზე მუშაობა მიმდინარეობს ინტენსიურად და მაღლე დასრულდება.

სახელმგანი მეცნიერის და მოქალაქის ბახსმენება



გამოჩენილ მეცნიერსა და საზოგადო მოღვაწეს, საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსს, სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა დოქტორს, მეცნიერების დამსახურებულ მოღვაწეს, დ.ნ.პრიანიშნიკოვის პრემიის ლაურეატს, პროფესორ ოთარ ონიანს 2012 წლის 18 სექტემბერს დაბადებიდან 82 წელი შეუსრულდებოდა.

საქართველოში, აგროქიმიის სფეროში, ძალზე მცირება ისეთი გამოკვეთილი პიროვნებები, როგორიც იყო აკადემიკოსი ოთარ ონიანი. საქმიანობაში თანმიმდევრულობამ, კომპეტენტურობამ, პრინციპულობამ, პირდაპირობამ, პატიოსნებამ, ადამიანებთან დამოკიდებულებაში უშუალობამ, პასუხისმგებლობის მაღალმა გრძნობამ, გამორჩეულმა პიროვნულმა თვისებებმა ლეგენდად აქცია განგებისაგან მრავალმხრივი ნიჭით დაჯილდოებული ამ ადამიანის სახელი.

1954 წელს დაამთავრა საქართველოს სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტის „მებადეობის, მევენახეობისა და მებოსტნეობის“ ფაკულტეტი, ხოლო, 1957 წელს ჩაისა და სუბტროპიკული კულტურების საკავშირო სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის ასპირანტურა. 1959 წელს დაიცვა საკანდიდატო, ხოლო 1968 წელს სადოქტორო დისერტაცია.

ო.ონიანის მკვლევარად და სამეცნიერო-პედაგოგიურ მოღვაწედ ჩამოყალიბება დაკავშირებულია ჩაისა და სუბტროპიკულ კულტურათა საკავშირო ს/კ ინსტიტუტთან. სწორედ ამ ინსტიტუტში გამოვლინდა სრულად მისი ნიჭიერება და შრომისუნარიანობა. ასპირანტურის დამთავრების შემდეგ აქ მუშაობდა ჯერ უმცროს, შემდეგ უფროს მეცნიერ-თანამშრომლად.

1967-1969 წლებში ო.ონიანი თბილისის ზონალური აგროქიმიური ლაბორატორიის დირექტორია, ხოლო, 1970-1973 წლებში სოფლის მეურნეობის აგროქიმიური მომსახურების ცენტრალური ინსტიტუტის ამიერკავკასიის (თბილისის) ფილიალის დირექტორი. 1974 წლიდან 2006 წლის ჩათვლით, საქართველოს ნიადაგმცოდნეობის, აგროქიმიისა და მელიორაციის ს/კ ინსტიტუტის დირექტორია.

აკადემიკოსმა ო.ონიანმა მთელი თავისი შეგნებული ცხოვრება ნიადაგის ნაყოფიერების დაცვის, მისი შენარჩუნებისა და ამაღლების პრობლემების შესწავლას შეალია. იგი ითვლებოდა საქართველოს სუბტროპიკულ სოფლის მეურნეობაში ფოსფორიანი და კალიუმიანი სასუქების რაციონალური და ეფექტური გამოყენების თეორიული და პრაქტიკული საფუძვლების დამუშავების ქართული სამეცნიერო აგროქიმიური სკოლის ხელმძღვანელად.

დიდ ბრიტანეთში სტაჟირებისას (1968-1969 წ.წ.) ო.ონიანმა შეასრულა ორიგინალური გამოკვლევები ნიადაგში ფოსფორის ორგანული ფორმების განსაზღვრის მეთოდებთან დაკავშირებით. შედეგები გამოქვეყნებულია

ინგლისურ და რუსულ ენებზე.

ო. ონიანი დიდ მზრუნველობას იჩენდა მეცნიერთა ახალგაზრდა კადრების აღზრდისადმი. წლების მანძილზე იყო სამეცნიერო ხარისხების მიმნიჭებელი საბჭოს თავმჯდომარე. მისი ხელმძღვანელობით მომზადებულია 50-ზე მეტი მეცნიერებათა კანდიდატი და 5 დოქტორი. დვაწლმოსილ მეცნიერს გამოქვეყნებული ჰქონდა 300-მდე სამეცნიერო ნაშრომი, მათგან 10 მონოგრაფია და 4 სახელმძღვანელო წიგნი. აკადემიკოსმა ო. ონიანმა არაერთხელ მიიღო მონაწილეობა საერთაშორისო კონგრესების და კონფერენციების მუშაობაში (გერმანია, ავსტრია, ბელგია, იტალია, ინდოეთი, იაპონია, საფრანგეთი). ო. ონიანი მთავრობის მიერ დაჯილდოებული იყო: „საპატიო ნიშნის”, „ხალხთა მეგობრობის” და „ლირსების” ორდენებით.

წავიდა ჩვენგან სახელოვანი მამულიშვილი, დიდი მეცნიერი და ღირსებით აღსავს პიროვნება. ო. ონიანის ნათელი ხსოვნა სამარადუამოდ იცოცხლებს მისი შთამომავლობისა და მრავალრიცხოვან აღზრდილთა მეხსიერებაში.

**საქართველოს სოფლის მეურნეობის
მეცნიერებათა აკადემია.**



ქართული ზოოტექნიკური მეცნიერების თვალსაჩინო მოდვაწე

საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსს, სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა დოქტორს, პროფესორ აპოლონ კოზმანიშვილს 2012 წლის 31 დეკემბერს 82 წელი შეუსრულდებოდა.

აპოლონ კოზმანიშვილი დაიბადა 1930 წლის 31 დეკემბერს, დუშეთის რაიონის სოფელ ჭოპორტში. 1949 წელს დამთავრა საშუალო სკოლა, ხოლო 1954 წელს

– ზოოტექნიკურ-სავეტერინარო ინსტიტუტის ზოოტექნიკური ფაკულტეტი. 1954-1957 წლებში იგი იწყებს მუშაობას დუშეთის რაიონის სოფელ მთიულეთის კოლმეურნეობაში, ზოოტექნიკოსად.

1957 წელს აბარებს გამოცდებს და სწავლას აგრძელებს ქ. მოსკოვის მეცხოველეობის საკავშრო სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის ასპირანტურაში. 1960 წელს წარმატებით იცავს საკანდიდატო დისერტაციას და იწყებს მუშაობას ამავე ინსტიტუტის ქ. იაროსლავის ფილიალში, უფროს მეცნიერ თანამშრომლად.

1961 წლიდან, 1969 წლამდე, იგი მუშაობს ზოოტექნიკურ-სავეტერინარო ინსტიტუტში უფროს მეცნიერ თანამშრომლად და შემდეგ დოცენტად, ცხოველთა კვების კათედრაზე. 1969 წლიდან აგრძელებს მუშაობას კომბინირებილი საკვების მრეწველობის საკავშირო სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის საქრთველოს

ფილიალის დირექტორად. 1975-1976 წლებში აპოლონ კოზმანიშვილი მუშაობს საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის სოფლის მეურნეობის განყოფილების გამგის მოადგილედ, 1976-1978 წლებში გორის რაიონული კომიტეტის პირველ მდივნად, ხოლო 1978-1982 წლებში საქართველოს სოფლის მეურნეობის მინისტრის პირველ მოადგილედ. 1980 წელს აპ. კოზმანიშვილი წარმატებით იცავს სადოქტორო დისერტაციას და 1982 წელს ენიჭება პროფესორის წოდება. 1982 წლიდან 1989 წლამდე იგი მუშაობს ზოოტექნიკურ-საგეტერინარო ინსტიტუტში ცხოველთა კვების კათედრის გამგედ, 1989 წლიდან 1991 წლამდე – პროფექტორად, სამეცნიერო ნაწილში. 1991 წლიდან 1992 წლამდე იგი კვლავ სოფლის მეურნეობის მინისტრის პირველი მოადგილეა, 1992 წლიდან 2005 წლამდე ზოოტექნიკურ-საგეტერინარო ინსტიტუტში ცხოველთა კვების კათედრის გამგე, ხოლო სასოფლო-სამეურნეო და ზოოტექნიკურ-საგეტერინარო ინსტიტუტების გაერთიანების შემდეგ, არჩეული იქნა აგრარული უნივერსიტეტის კერძო ზოოტექნიკის დეპარტამენტის სრულ პროფესორად.

1992 წელს აპოლონ კოზმანიშვილი არჩეულ იქნა საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის ნამდვილ წევრად. იგი მრავალი წლის განმავლობაში წარმატებით ხელმძღვანელობდა საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის მეცხოველეობის საკოორდინაციო სამეცნიერო დარგობრივ განყოფილებას. იყო ამავე აკადემიის აკადემიური საბჭოს წევრი.

შთამბეჭდავია ის გზა, რომელიც განვლო აკადემიკოსმა აპოლონ კოზმანიშვილმა. განსაკუთრებით აღნიშვნის დირსია მისი სამეცნიერო და პედაგოგიური მოღვაწეობა. მის მიერ ჩატარებულია მნიშვნელოვანი მეცნიერული კვლევები სოფლის მეურნეობისა და გადამამუშავებელი მრეწველობის ანარჩენების ცხოველთა კვებაში გამოყენების მიმართულებით, რომელსაც არაერთი სამეცნიერო ნაშრომი მიუძღვნა. იგი არის ავტორი წიგნისა სასოფლო სამეურნეო ცხოველთა კვებაში, რომელიც განკუთვნილია უმაღლესი სასწავლებლების სტუდენტებისათვის.

სახელოვან მეცნიერს გამოქვეყნებული აქვს 161 სამეცნიერო ნაშრომი, 5 წიგნი და 3 მონოგრაფია, იყო 12 საკანდიდატო დისერტაციის სამეცნიერო ხელმძღვანელი და ათეულობით დისერტაციის ოპონენტი. სიცოცხლის ბოლო პერიოდში ხელმძღვანელობდა 5 დოქტორანტს.

წავიდა ამ ქვეყნიდან აგრარიკოს მეცნიერთა კიდევ ერთი გამოჩენილი წარმომადგენელი, რომლის მოღვაწეობაც მიმართული იყო ქართული აგრარული მეცნიერების პრესტიჟის ამაღლებისაკენ.

გამოჩენილი მეცნიერის, შესანიშნავი მასწავლებლის, თავისი ქვეყნის პატრიოტის აპოლონ კოზმანიშვილის ნათელი ხსოვნა მარად დარჩება მისი მოსწავლეების, კოლეგებისა და მეგობრების გულებში.

**საქართველოს სოფლის მეურნეობის
მეცნიერებათა აკადემია**

შინაარსი

| | |
|--------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------|-----|
| მილოცვა | 3 |
| რედაქტორისაგან | 4 |
| შესავლის მაგიერ | 7 |
| I. საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსების (ნამდვილი წევრების) და წევრ-კორესპონდენტების შემადგენლობა 2012 წლის 31 დეკემბრისათვის | 10 |
| II. საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის აკადემიური საბჭო | 25 |
| 2.1. ამონაწერი საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის წესდებიდან | 25 |
| 2.2. საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის აკადემიური საბჭოს შემადგენლობა | 26 |
| 2.3. საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის აკადემიური საბჭოს 2012 წლის სამუშაო გეგმა | 27 |
| 2.4. საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის აკადემიურ საბჭოში 2012 წელს განხილული საკითხების მოკლე მიმოხილვა | 32 |
| III. საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის საერთაშორისო თანამშრომლობა | 98 |
| 3.1. საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის საზღვარგარეთის სამეცნიერო ცენტრებთან ურთიერთობა | 98 |
| 3.2. საერთაშორისო სიმპოზიუმი თემაზე ”ანატოლიის სამიტის (WISAS) პირველი ზამთრის სამიტი – ტურიზმი, სპორტი, ბიომრავალფეროვნება და გლობალური ცვლილებები” | 99 |
| 3.3. საერთაშორისო კონფერენცია თემაზე: “ზოოტექნიკური მეცნიერება: ისტორია, პრობლემები, პერსპექტივები” | 100 |
| 3.4. ევროპის მცენარეთა გენეტიკური რესურსების კოოპერირებული პროგრამის ბეტა ჯგუფის და ქსელის მე-4 თათბირი | 101 |
| 3.5. სასოფლო – სამეურნეო ერთობლივი კვლევების საერთაშორისო პროგრამის ხელმძღვანელი კომიტეტის მე-15 თათბირი | 102 |
| 3.6. ნ.ი. ვავილოვის III საერთაშორისო კონფერენცია | 104 |
| 3.7. საერთაშორისო სამეცნიერო-ტექნიკური კონფერენცია | |

| | |
|------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------|-----|
| ქ. ვარნაში (ბულგარეთი) | 105 |
| 3.8. ხორბლის სელექციის საერთაშორისო სამოგზაურო სემინარი (საქართველო, ლომთაგორა) | 106 |
| 3.9. საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის მეცნიერების საერთაშორისო აღიარება | 107 |
| IV. საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის საკოორდინაციო-დარგობრივი სამეცნიერო განყოფილებები | 108 |
| 4.1. აგრონომიული საკოორდინაციო-დარგობრივი სამეცნიერო განყოფილება | 109 |
| 4.2. მეცხოველეობის, ვეტერინარიის, საკვებწარმოებისა და მეცხოველეობის პროდუქტების გადამუშავების საკოორდინაციო- დარგობრივი სამეცნიერო განყოფილება | 168 |
| 4.3. საინჟინრო საკოორდინაციო-დარგობრივი სამეცნიერო განყოფილება | 179 |
| 4.4. ეკონომიკური საკოორდინაციო-დარგობრივი სამეცნიერო განყოფილება | 234 |
| ➤ სახელოვანი მეცნიერის და მოქალაქის გახსენება | 266 |
| ➤ ქართული ზოოტექნიკური მეცნიერების თვალსაჩინო მოღვაწე | 267 |